რომეო რომლანი

ქან-ქრისტოფი

ფიცნი მეცხრე, მეათე

»ნაკადული«
თბილისი
1979

И (фр)
84—31 т 78

©„ნაკადული“ 1979

Р $\frac{70304\ 106}{М603\ (08)—79}$ 117—79

ᲙᲚᲘᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲤᲡᲘᲥᲝᲚᲝ�გᲘᲐ

ალმასივით მტკიცე ვარ და მაგარი;
ჩაქუჩითაც ვერ დამაკლებ ვერას,
ბასრზე ბასრი მახვილიც რომ დამკრა
ზიანი არ მომადგება, მჯერა, —
თუ გსურს დამკარ, — ვერ მოვკვდები. ვერა.
ზღაპრულ ფენიქსს წავაგავარ, იცოდე,
ფრინველს, მკვდარიც ადვილად რომ ცოცხლდება,
ფენიქსს ვგავარ, ფერფლიდან რომ ღორძინობს,
დამკარ, თუ გსურს, არა და არ მოხდება, —
მწამს ვერასაზით, ვერა და ვერ მოვკვდები[1].

(პაიფი, „რიტმული სიმღერა",
რომლის მუსიკაც ჟაკ მოდიუიმ დაწერა).



---

1 თარგმნა ბელა შალვაშვილმა.

ნაწილი პირველი

სიმშვიდემ დაისადგურა გულში. ქარები ჩადგნენ. გაქვავდა ჰაერი...

კრისტოფიც დამშვიდდა; მშვიდობამ მოიცვა მისი სული. ეამაყებოდა კიდეც, რომ მოიპოვა ეს სიმშვიდე. თუმც გულის სიღრმეში დანაღვლიანებულიყო ამ ამბით. აკვირვებდა ეს სიჩუმე. მის ვნებებს ეძინათ; კრისტოფს კი გულწრფელად ეგონა, აწი აღარც უწერიათო გაღვიძება.

მისი ვეება, ოდნავ უხეში ძალა თვლემდა, უსაგნოდ დარჩენილი. სულ ღრმად კი ფარული სიცარიელე სუფევდა, „რა აზრი აქვსო", — ამის ფიქრი; იქნებ ბედნიერების გრძნობაც, რომელიც ვერ იქნა და ვერ მოიხელთა. ახლა არც თავის თავთან უხდებოდა ბრძოლა და არც სხვასთან. უკვე მუშაობაც აღარ უმძიმდა. ერთი ეტაპი დასრულდა მისთვის; უხვად იმკიდა უწინდელ დღეთა შრომის ნაყოფს; არხეინად სწურავდა მისგან მინაგნებ მუსიკალურ ძარღვს, და სანამ მსმენელი რის დაგვიანებით აღმოაჩენდა და მოიწონებდა მის ძველ ნაწარმოებთ, თვითონ ისე გაემიჯნებოდა მათ, რომ არც კი უწყოდა, წინ თუ წავიდოდა კიდევ. თხზავდა და ტკბებოდა ნირუცვლელი ბედნიერებით. ცხოვრების ამ მონაკვეთში ხელოვნება მისთვის მხოლოდღა ლამაზი ინსტრუმენტი იყო, რომელზედაც ვირტუოზულად უკრავდა. გრძნობდა, რომ დილეტანტი ხდებოდა და ერცხვინებოდა საკუთარი თავის.

„ხელოვნებაში რომ წარმატება შეგრჩეს, ღვთივ მომადლებული ნიჭის გარდა სხვა რამაც უნდა გაგაჩნდეს: მწუხარება, ვნებები, რომლებიც ავსებენ სიცოცხლესა და აზრს ანიჭებენ. თუ არა და, კი აღარ ჰქმნი, წიგნებს წერო" — უთქვამს იბსენს.

კრისტოფიც წიგნებსა წერდა. ამას კი არ გახლდათ ჩვეული. მისი წიგნები მშვენიერი იყო. ოღონდ ერჩია, ნაკლებ წარმტაცი გამოსვლოდა და უფრო ცოცხალი. ეს მოსვენებას თავმიცემული გოლიათი, რომელმაც არ იცოდა რა ექნა საკუთარი მუსკულებისათვის, მოწყენილი ნადირივით, მთქნარებით უცქეროდა წლებს, მშვიდი მუშაობის წლებს, მას რომ ედო წინ. და რაკი ძველთაძველი გერმანული ოპტიმიზმი ძვალსა და რბილში ჰქონდა გამჯდარი, თავს ირწმუნებდა ყველაფერი უკეთესობისაკენ მიდისო და, ეტყობა, ბედმა მე ასეთი საზღვარი დამისაზღვრაო. უხაროდა კიდეც, რომ ტანჯვას დააღწია თავი, ბატონად გაუხდა. დიდად სახარბიელო აქ არა იყო რა, მაგრამ რას იზამ!.. განაგებ იმას რაც გაბადია; ხარ ის, რაც ძალგიძს იყო... ეგონა, უკვე ნავსაყუდელს მივაღწიეო.

მეგობრები ერთად როდი ცხოვრობდნენ. ჟაკლინი რომ გაიქცა, კრისტოფმა იფიქრა, ოლივიე ისევ ჩემთან გადმობარგდებაო. მაგრამ ოლივიეს ეს აღარ შეეძლო. თუმც კი სჭირდებოდა კვლავ დაახლოებოდა კრისტოფს, გრძნობდა, წინანდებურად ვეღარ იცხოვრებდა მასთან. ჟაკლინთან გატარებული წლების შემდეგ აუტანლად კი არა და, პირდაპირ მკრეხელობად მიაჩნდა სხვა ვინმე შეეყვანა თავის ინტიმურ ცხოვრებაში, თუნდაც ამ სხვას ჟაკლინზე მეტადაც ჰყვარებოდა და თავადაც მეტად ყოფილიყო მისი მოყვარული. გონებით ამას ვერ მიხვდება კაცი.

კრისტოფსაც გაუჭირდა გაგება. ემუდარებოდა, უკვირდა, სწყინდა, ბრაზობდა... ბოლოს ინსტინქტმა, გონებაზე მეტად რომ უჭრიდა, ამცნო ყოველი. მიხვდა, რომ ოლივიე მართალი იყო და აღარ ჩასციებია.

ისე ყოველდღე ნახულობდნენ ერთმანეთს და არასოდეს ყოფილან ასეთის თანხმობით. თუმცა საუბრისას მთლად საგულისგულო ფიქრს არ უმხელდნენ ერთმანეთს. არც სჭირდებოდათ. ერთურთის ხვაშიადს უსიტყვოდაც ხვდებოდნენ, მოსიყვარულე გულების წყალობით...

ორთავ სიტყვაძუნწი გახდა: ერთი თავის ხელოვნებაში იყო გადავარდნილი, მეორე — მოგონებებში. ოლივიეს გულს ცოტა გადაეყარა ნაღველი. მაგრამ საამისოდ არაფერი უღონია, თითქოს ტკბებოდა კიდეც ამ თავის დარდით, აკი დიდხანს მხოლოდ ამ კაეშნით ედგა სული. უყვარდა თავისი შვილი, მაგრამ ბალღი — მჩხავანა ჩვილი — დიდ ადგილს ხომ ვერ დაიჭერდა მის ცხოვრებაში. კაცთა შორის ბევრი მიჯნური უფროა, ვინემ მამა. ამაზე გაბრაზება არ ღირს, ბუნება ერთგვაროვანი როდია და სისულელე იქნებოდა ყველასათვის გულის ერთნაირი კანონები დაგვეწესებინა. არავისა აქვს ნება თავისი მოვალეობანი გულს მოუტანოს მსხვერპლად; მაგრამ გულსაც უნდა დავრთოთ ნება, ბედნიერი არ იყოს, როს ვალის აღსრულებას შეუდგება. ოლივიეს ყველაზე მეტად უყვარდა შვილში სწორედ ის ქალი, ვისი სისხლი და ხორციც ბიჭუნა იყო.

დღეს აქამომდე დიდ ყურადღებას არ აქცევდა სხვათა ტანჯვას. ის ინტელიგენტი გახლდათ, თავის თავში ჩაკეტილი ინტელიგენტი. ამას არ ეთქმოდა ეგოიზმი, ეს ოცნების ავადმყოფური ჩვევა იყო. ჟაკლინმა კიდევ უფრო გაზარდა მის ირგვლივ სიცარიელე; მისმა სიყვარულმა ოლივიესა და დანარჩენ მოკვდავთა შორის მაგიური ზღუდე აღმართა და ეს ზღუდე ახლაც, სიყვარულის გაქრობის შემდეგაც განაგრძობდა არსებობას. თანაც ოლივიე ბუნებით იყო არისტოკრატი. ბრბოსგან, თუმც კი გული მოსიყვარულე ჰქონდა, სიყრმიდანვე მუდამ შორს ეჭირა თავი. ეს იყო სულისა და სხეულის ინსტინქტური სიფაქიზე. საზოგადოების ხუნი და აზრი მუდამ ზიზღს გვრიდა.

მაგრამ ყველაფერი შეიცვალა ერთი მეტად ბანალური შემთხვევის შემდეგ, რომლის მომსწრეც უნებურად შეიქმნა.

საკმაოდ ღარიბული ბინა ჰქონდა ნაქირავები მონრუჟის წვერში, კრისტოფისა და სესილის გვერდით. მდაბიოთა უბანი იყო; აქ ბინადრობდნენ წვრილწვრილი რანტიეები და მოხელეები, მუშათა ოჯახები. სხვა დროს გაუჭირდებოდა ამგვარ გარემოში გაძლება, თავს უცხოდ იგრძნობდა, მაგრამ ახლა მისთვის სულერთი იყო, აქ იდგებოდა თუ სხვაგან: მაინც ყველასაგან იყო განაკიდი. არ იცოდა, ვინ ჰყავდა მეზობლად და არც სურდა სცოდნოდა. სამსახურიდან რომ დაბრუნდებოდა — (ერთ გამომცემლობაში მოეწყო სამუშაოდ) — ჩაიკეტებოდა ხოლმე თავის მოგონებებთან და მხოლოდ მაშინ თუ გამოდიოდა გარეთ, როცა შვილის, ანდა კრისტოფის ნახვა მოუნდებოდა. მის ბინას კერა არ ეთქმოდა: ეს გახლდათ ბნელი ოთახი, სადაც წარსულის სურათები მჟღავნდებოდა; რაც უფრო ბნელი იყო ოთახი და რაც უფრო შიშველი, მით უფრო მკაფიოდ იკვეთებოდა სურათები. კიბეზე რომ ხალხს ხვდებოდა, ძლივს ამჩნევდა. მაგრამ მისდაუნებურად ზოგიერთის სახე მაინც აღებეჭდა გონებაში. ზოგს ისე აქვს გონება მომართული, რომ მხოლოდ მაშინღა აღიქვამს კარგად საგნებს, როცა ისინი თვალს მიეფარებიან. მაშინ კი არაფერი გამოეპარებათ, თვით უმცირესი წვრილმანიც კი საჭრელთლითა აქვთ ამოტვიფრული. ასეთი იყო ოლივიეც: ცოცხალთა აჩრდილებით დასახლებული. თუ რამ ანაზდეული აამღელვარებდა, ეს აჩრდილები ცოცხლდებოდნენ და ოლივიეც ცნობდა მათ, თუმც უწინ არასოდეს სცნობებია; ხანდახან ხელსაც იწვდიდა მათ დასაჭერად... მაგრამ გვიანღა იყო!...

ერთხელ, შინიდან რომ გამოვიდა, დაინახა, მისი სახლის წინ ხალხი შეჯგუფულიყო; კონსიერჟ ქალს შემოხვეოდა, რომელიც გამწარებით ჰყვებოდა რაღაცას. ცნობისწადილი არ აღძვრია და ამბის გამოკითხვასაც არ ცდილა, ისე უნდოდა ჩავლა; მაგრამ კონსიერჟს, ეტყობა, სურდა, რაც შეიძლება მეტი მსმენელი შემოეკრიბა, დაუძახა და ჰკითხა, იცით, იმ საწყალ რუსელებს რა დაემართათო. ოლივიემ ისიც კი არ იცოდა, „ის საწყალი რუსელები" ვინ იყვნენ, და მხოლოდ ზრდილობის გულისთვის მიუგდო ყური. როცა შეიტყო, რომ სიღარიბით სასოწარკვეთილმა ერთმა მუშის ოჯახმა: მამამ, დედამ და ხუთმა ბავშვმა თავი მოიკლეს თავიანთ ბინაში, სხვებსავით მანაც კედლებს დაუწყო ცქერა და თან ყურს უგდებდა მთხრობელს, რომელიც ენის დაუყენებლად ჰყვებოდა და ჰყვებოდა. სანამ ქალი ლაპარაკობდა, მეხსიერებაში გაუცოცხლდა მეზობელთა სახეები და მიხვდა, რომ ადრეც ენახა ეს ხალხი; დაიწყო გამოკითხვა... დიახ, იცნობდა: კაცი (თითქოს კიბეზე ამომავალის ხვნეშაც ესმოდა) ხაბაზი იყო, ღუმელის ცეცხლისაგან სისხლგამშრალი, სახეჩატეტკილი, მიწყივ გაუპარსავი, ლოყებჩაცვივნული... წლეულს ფილტვების ანთება გადაიტანა და ზამთრის პირს ხელახლა შეუდგა მუშაობას, თუმც კი მთლად ფეხზე არ იყო დამდგარი; სენმა ისევ დაიგდო; სამი კვირის განმავლობაში არც სამუშაო ქჰონდა და არც ილაჯი. ქალი გამუდმებით ორსულად იყო, რევმატიზმებისაგან გატანჯულდადამბლავებული; მაინც ქანცს იწყვეტდა კარდაკარ დამლაგებლად მუშაობით, მთელ დღეებს სასყიდლებზე სირბილში ატარებდა, ცდილობდა საზოგადოებრივი

ქველმოქმედების უწყებათაგან დახმარების მიღებას, მაგრამ დახმარება მცირედი იყო და მოსვლასაც არ ჩქარობდა. სამაგიეროდ ბავშვები მოდიოდნენ ერთიმეორის მიყოლებით და არ კი იღლებოდნენ: ერთი თერთმეტი წლისა იყო, მეორე— შვიდი წლისა, მესამე — სამის, თუ სათვალავში არ ჩავაგდებთ ორ დანარჩენს, ჩვილობაშივე რომ დაჰკარგეს. და ბოლოს ორი ტყუპიც გაჩნდა, ორი ნამცეცა; საუცხოო დრო კი შეარჩიეს ამქვეყნად მოსასვლელად: გასულ თვეს დაიბადნენ.

— მათი დაბადების დღეს ჰყვებოდა მეზობლის ქალი, — უფროსმა, თერთმეტი წლის ჟიუსტინმა — საწყალი გოგო! — ცხარე ცრემლებით იტირა, ორთავ ერთად როგორ ვატაროო.

ოლივიეს მყისვე თვალწინ დაუდგა გოგონას სახე, ამობურცული შუბლი, გადატკეცილი, ჩალისფერი თმა, მღვრიე ნაცრისფერი, დიდრონი თვალები ხშირად ხვდებოდა ხან სანოვაგის ჩანთით, ხან უმცროსი დით ხელში; ზოგჯერ შვიდი წლის ძმა მოჰყავდა ხელჩაკიდებული. ტანწვრილი, სუსტი ბიჭი იყო, ცალთვალდაშრეტილი, ნატიფი სახისა. როცა კიბეზე გადაეყრებოდა გოგონას, ოლივიე მისთვის ჩვეული, დაბნეული ზრდილობით ეტყოდა:

— ბოდიში, ქალიშვილო.

ბავშვი არ პასუხობდა; გვერდით ჩაუვლიდა სარგადაყლაპულივით; ოდნავ თუ უტევდა გზას. მაგრამ ეს მოჩვენებითი ზრდილობიანობა იდუმალ სიხარულს გვრიდა. წუხელ საღამოს, ექვს საათზე, ოლივიე კიბეზე რომ ჩადიოდა, მაშინ შემოხვდა უკანასკნელად. მთელი სათლი ნახშირი მიჰქონდა. ტვირთი მეტისმეტად მძიმე ჩანდა მისთვის, მაგრამ ღატაკთა ბავშვები მძიმე ტვირთის ტარებას ჩვეულნი არიან. ოლივიე უწინდებურად მიესალმა, ისე, რომ სახეში არც შეუხედავს. რამდენიმე საფეხური რომ ჩაიარა, ანგარიშმიუცემლად ასწია თავი და დაინახა — მოჯირზე გადმოხრილი სიმწრისგან დამანჭული სახე გადმოსცქეროდა ზევიდან. გოგონამ მაშინვე განაგრძო გზა. იცოდა კია, რას უქადდა ეს გზა? — ოლივიე აღარ ეჭვობდა ამაში და არ ასვენებდა ფიქრი ამ ბავშვზე, რომელსაც თავისი მძიმე სათლით სიკვდილი მიჰქონდა —შვება მიჰქონდა... უბედური პატარები, მათთვის ხომ არყოფნა წამების დასასრულს უდრიდა! სასეირნოდ გულმა აღარ გაუწია. თავის ოთახში დაბრუნდა. მაგრამ იქაც ზარავდა ფიქრი იმისა, რომ სულ ახლოს, ზევით, ის მკვდრები ესვენა... რამდენიმე ტიხარი თუ ჰყოფდა მათგან... თურმე ამდენ ხანს ამ ბედკრულთა გვერდით ცხოვრობდა და არ კი უწყოდა!

ისევ კრისტოფისაკენ გასწია. გული უკვნესოდა; თავს ეუბნებოდა, სიმხეცეა ასე თავის ნაჭუჭში ჩაკეტვა, სიყვარულის ფუჭ სინანულს მივცემივარ, როცა აგერ ამდენ ხალხს ათასჯერ უფრო უარესი უბედურება სჭირს და შეიძლებაო მათი გადარჩენა. მის მღელვარებას საზღვარი არ ჰქონდა. ამ მღელვარების გადადება ძნელი არ იყო და კრისტოფსაც ადვილად გადაედო. ოლივიეს ნაამბობი რომ მოისმინა, დახია იმ დღეს დაწერილი გვერდი, ეგოისტი ვარ, ბავშვური

თამაშობებით ვიქცევ თავსო... მაგრამ შემდეგ აკრიფა ნაფხრეწები. ერთობ შეპყრობილი იყო თავისი მუსიკით; ინსტინქტიც უკარნახებდა, ერთი ხელოვნების ნაწარმოებით ნაკლები ერთით მეტ კაცს არ გააბედნიერებსო. სიღატაკის ეს ტრაგედია მისთვის არავითარ სიახლეს არ შეიცავდა; სიყრმიდანვე შეჩვეული იყო ასეთი უფსკრულების პირას სიარულს და არ გადახაფრულა. გულისწყრომასაც აღუძრავდა თვითმკვლელობა იმჟამად, როცა თავად ჯან-ღონით სავსე იყო და ვერ მიმხვდარიყო, რა ტანჯვაც არ უნდა გრგებოდა წილად. როგორ იქნებოდა ფარხმალი დაგეყარა და ბრძოლაზე გეთქვა უარი. ტანჯვა და ბრძოლა, რა შეიძლება იყოს ამაზე ნორმალური? ესაა სამყაროს ხერხემალი.

ოლივიესაც მსგავსი განსაცდელი გამოევლო; მაგრამ თავის დღეში ვერ შერიგებოდა ხვედრს; სხვისი სიღატაკე ისევე აღაშფოთებდა, როგორც საკუთარი. აძრწუნებდა. ეს სიღატაკე, მისი საყვარელი ანტუანეტას სიცოცხლე რომ შეიწირა. მას შემდეგ, რაც ჟაკლინი შეირთო ცოლად, სიმდიდრესა და სიყვარულს თავი ისე გაანაზღვინა, სულ იმის ცდაში იყო, გულიდან გადაეგდო იმ მძიმე წლების მოგონებანი, როცა ისა და მისი და დღეცისმარე ქანცს იწყვეტდნენ, რათა მეორე დღეს ცხოვრების უფლება მოეპოვებინათ, თანაც ისე, რომ არ უწყოდნენ, ეწეოდნენ თუ არა საწადელს. ეს სურათები ხელახლა უდგებოდა თვალწინ ახლა, როცა გადასარჩენი სიყვარულის ეგოიზმით აღარ იყო მოცული. ნაცვლად იმისა, რომ ტანჯვისაგან პირი ებრუნებინა, სატანჯველს აქეთ დაუწყო ძებნა. დიდი გზის გავლა არ დასჭირვებია მის საპოვნელად. მისებრ გონებამომართულ კაცს გაჭირვება ყოველ ფეხის ნაბიჯზე ხვდებოდა. მთელი ქვეყანა გაჭირვებული იყო. ქვეყანა ლაზარეთს მოჰგავდა!.. ჰოი, მწუხარებავ! ჰოი, სულის ხდომავ! წამებავ ღონემიხდილი, დაჭრილი ხორცისა, ცოცხლად რომ იხრწნება! ჩუმო ტანჯვავ გულებისა, რომელთაც შავი ნაღველი ფლეთს! ალერსს მოკლებულო ბავშვებო, უიმედოდ შთენილო ქალიშვილებო, შეცდენილო და მიტოვებულო ქალებო, მეგობრის ღალატით გულმოკლულო მამაკაცებო — თქვენი სიყვარული და თქვენი რწმენა — ესაა საბრალობელი კორტეჟი უბედურთა, რომელთაც ცხოვრებამ გაჰკრა მსახვრალი ხელი!.. ყველაზე საზარელი გაჭირვება და ავადმყოფობა როდია; ყველაზე აუტანელი კაცთ სისასტიკეა ერთურთის მიმართ. აუწია თუ არა ყური ოლივიემ სარქველს, რომელიც კაცთა ჯოჯოხეთს ფარავდა, ერთბაშად შემოესმა ყველა ჩაგრულის ძახილი, ექსპლოატირებული პლორეტარებისა, დევნილი ხალხებისა, სისხლდანთხეული სომხეთისა, მოგუდული ფინეთისა, შაყანაკრავი პოლონეთისა, გვემული რუსეთისა, ევროპელ მგელთა საჯიჯგნად მიგდებული აფრიკისა, კაცთ მოდგმის ყველა უბედურთა ხმა; სული კინაღამ შეეხუთა; ეს ხმა ჩაესმოდა ყველგან, ვეღარც წარმოედგინა, რომ ფიქრი სხვა რამეზედაც შეიძლებოდა. სულ ამ სატკივარზე ელაპარაკებოდა კრისტოფს. აღელვებული კრისტოფი ეუბნებოდა:

— გაჩუმდი! მუშაობა მაცალე.

და რადგან უკვირდა წონასწორობის კვლავ აღდგენა, ბრაზობდა და ილანძღებოდა:

— ჯანდაბას ყველაფერი! ეს ერთი დღეც დაკარგულია ჩემთვის! ხედავ, რას გამომრჩი.

ოლივიე ბოდიშს უხდიდა.

— ძმაო, — ეუბნებოდა კრისტოფი, — მუდამ უფსკრულში კი არ უნდა იცქირო. ასე ვერაკაცი ვერ იცხოვრებს.

— ხელი უნდა გავუწოდოთ იმათ, ვინც უფსკრულში ჩავარდნილა.

— ცხადია. მაგრამ როგორ? ჩვენც რომ შიგ ჩავცვივდეთ, იმით? შენ სწორედ აქეთკენ მიისწრაფვი. საერთოდაც გჩვევია, ცხოვრებაში მხოლოდ ის დაინახო, რაც სამწუხაროა. ღმერთი იყოს შენი მფარველი! ეგ პესიმიზმი გულმოწყალეა, თქმა არ უნდა, მაგრამ გულის მომწყვლელიც. ბედნიერების მოტანა გინდა? ჯერ თავად გაბედნიერდი!

— გაბედნიერდე? გულდამშვიდებით როგორ მივეცე ბედნიერებას, როცა ირგვლივ ამდენ ტანჯვასა ვხედავ? ბედნიერება ახლა ისღაა, რომ ტანჯულთ ტვირთი შევუმსუბუქოთ.

— კეთილი და პატიოსანი. მაგრამ ასე ცა და ქვეყანასთან ბრძოლით ვერ შევეწევი უბედურებს. ერთი უხეირო ჯარისკაცით მეტი გინდ ყოფილა, გინდა არა. სამაგიეროდ მე შემიძლია დავამშვიდო ხალხი ჩემი ხელოვნებით, მივმადლო ძალა და სიხარული. იცი, რამდენი უპოვრისათვის უშველია გაჭირვებაში ფრთიანი სიმღერის სიმშვენიერეს? ყველას თავისი ხელობა აქვს! თქვენ, ფრანგები, როგორც სულდიდ შლეგებს სჩვევიათ, მუდამ პირველნი იმაღლებთ ხმას ყველა ჯურის უსამართლობის წინააღმდეგ, ესპანეთსა და რუსეთში რომ ხდება, ისე, რომ ზუსტად არც კი უწყით, სად რა ტრიალებს. სწორედ ამისთვის მიყვარხართ. მაგრამ გგონიათ, საქმეს შველით? თავგამეტებით ებმებით ომში და შედეგს კი ვერ აღწევთ, თუ მთლად არ აუარესებთ საქმეს... აბა უცქირე, ხელოვნება თავის დღეში არ ყოფილა ისეთი უსახური, როგორც ახლა, როცა თქვენი ხელოვანნი ცდილობენ ჩაებან მსოფლიო საქმეებში. საოცარია, რამდენი უხეირო და გაქნილი დილეტანტი ჩემულობს მოციქულობას. ბევრად უკეთესი იქნებოდა ნაკლებად აძმარებული ღვინო ჩამოესხათ ხალხისათვის. ჩემი უპირველესი ვალია გავაკეთო ის, რასაც ვაკეთებ, დაგიწეროთ ჯანსაღი მუსიკა, რომელიც სისხლს აგიჩქროლებთ და მზეს ჩაგისხამთ ძარღვებში.

სხვებს რომ უწილადო მზე, თავად უნდა გაგაჩნდეს იგი. ოლივიე მზენაკლი იყო, როგორც დღევანდელთა შორის საუკეთესონი. იმდენი ძალა არ შესწევდა, რომ მარტოს, თავისით გაეთბო ირგვლივ მყოფნი. ამას მხოლოდ სხვასთან შეამხანაგებული თუ შეძლებდა. მაგრამ ვის უნდა შეამხანაგებოდა? ეს თავისუფლად მოაზროვნე და თანაც გულით მორწმუნე კაცი განდევნილი იყო ყველა პოლიტიკური და რელიგიური პარტიიდან. პარტიები ხომ ყველა ერთმანეთს ეჯიბრე-

ბოდა შეუწყნარებლობასა და გონებაშეზღუდულობაში. როგორც კი ძალა-უფლებას იგდებდნენ ხელთ, იმწამსვე ბოროტად იყენებდნენ. მხოლოდ ჩაგრულებისაკენ მიუწევდა ოლივიეს გული; ამაში მაინც იზიარებდა კრისტოფის აზრს: სანამ შორეულ უსამართლობას შევებმოდეთ, ჩვენს ირგვლივ მყოფთა უბედურებას უნდა ვუწამლოთ, გარს რომ გვაკრავს და ნაწილობრივ ჩვენც გვბრალდებაო. ბევრი კაცი გმობს სხვათა მიერ ჩადენილ ბოროტებას და არ კი ფიქრობს თავის ნამოქმედარ სიავეზე.

ოლივიემ ჯერ ღარიბთა შემწეობას მიჰყო ხელი. მისი მეგობარი ქალი, ქალბატონი არნო მონაწილეობდა საქველმოქმედო საქმეებში. ოლივიეც ჩაეწერა მის დასში. პირველ ხანებში სულ იმედი უცრუვდებოდა: ღარიბები, მას რომ ერგო წილად, ყველა არ გამოდგა თანაგრძნობის ღირსი; მის სიყვარულს საკადრისს არ მიუზღავდნენ, გულს არ უხსნიდნენ, არ ენდობოდნენ. კაცმა რომ თქვას, ინტელიგენტს უჭირს კიდეც, მარტოოდენ მოწყალების გაცემას დასჯერდეს: ეს მოწყალება ლატაკთა ქვეყნის ისე მცირე მიდამოსა რწყავს! მისი მოქმედება თითქმის ყოველთვის კნინი და უდღეურია! თითქოს ალალბედზე მავალი, მხოლოდ იმ ჭრილობებს წამლობს, რომელთაც გადაეყრება. საერთოდაც მეტად უღონოა და ანაჩქარები, რომ სატკივარს ფესვებამდე ჩასდიოს. ოლივიეს გონება კი სულ ამ საფიქრალს უტრიალებდა.

მერე სოციალური სიღატაკის პრობლემათა შესწავლას მოჰკიდა ხელი. მეგზურიც მრავლად ჰყავდა. იმხანად სოციალური საკითხი მთელი საზოგადოების საკითხად იყო ქცეული. ამაზე საუბრობდნენ სალონებში, რომანებში, სცენაზე. ყველა მის ცოდნას ჩემულობდა. ახალგაზრდობის ნაწილი მის გადაწყვეტას ახმარდა ყოველივეს, რაც რამ გააჩნდა კარგი და კეთილი.

ყოველ ახალ თაობას სჭირდება თავისი მშვენიერი სიგიჟე. ჭაბუკთა შორის ყველაზე ეგოისტებსაც კი გააჩნიათ ჭარბი ენერგია, ძალ-ღონის მარაგი, რომელსაც უმოქმედოდ გაჩერება უჭირს. ისინი ცდილობენ დახარჯონ ეს ძალა მოქმედებაში, ანდა (რაც ნაკლებ საფრთხილოა) — თეორიებში. ავიაცია ან რევოლუცია. მუსკულების სპორტი ანდა სპორტი იდეებისა. ახალგაზრდებს არ მოესვენებათ, თუ თავი არ დაირწმუნეს, რომ მონაწილეობენ კაცობრიობის დიდ მოძრაობაში, რომ ანახლებენ ქვეყნიერებას. მათი გრძნობებიც თრთიან და ცახცახებენ სამყაროს ყოველ ამოსუნთქვაზე, ისეთი თავისუფალნი და მსუბუქნი არიან! ოჯახური უღელი ჯერ არ დაუდგამთ ქედზე, არაფერი აბადიათ და არც არაფერი აქვთ დასაკარგი. სულდიდნი არიან, როცა შეუძლიათ უარი თქვან იმაზე, რაიც ჯერ არ უპყრიათ ხელთ. თანაც რა სჯობია გიყვარდეს და გძულდეს, და გწამდეს, რომ გარდაქმნი დედამიწას ოცნებებითა და ყვირილით! ახალგაზრდები სმენაგადარაჯებულ ძაღლებს გვანან: თრთიან და ქარს უყეფენ. ქვეყნის დასალიერში ჩადენილი უსამართლობა აშმაგებთ...

ეს ღამეული ყეფა იყო.. ერთი ფერმიდან მეორემდე, ვეება ტყეში განუ-

წყვეტლივ გაისმრდა იგი. შფოთიანი ღამე იდგა. ადვილი როდი იყო დაძინება მაშინ! ქარს ამდენი უსამართლობის გამოძახილი მოჰქონდა ჰაერში!.. უსამართლობათ ხომ რიცხვი არა აქვს; ერთს რომ უწამლო, შეიძლება სხვების ჩადენა მოგიხდეს. რა არის უსამართლობა? — ერთისთვის ეს სამარცხვინო მშვიდობაა — დაქუცმაცებული სამშობლო. მეორისათვის — ომი. ერთისთვის — დანგრეული წარსული, გაძევებული უფლისწული; სხვებისთვის — გაძარცვული ეკლესია; მესამისათვის — გაცუდებული მომავალი, საფრთხეში მყოფი თავისუფლება. ხალხისთვის ესაა უთანასწორობა; ელიტისათვის — თანასწორობა. იმდენი სხვადასხვა უსამართლობაა, რომ ყოველი თაობა თავისას ირჩევს, — ერთს იმას, რომელსაც ებრძვის და მეორეს იმას, რომელსაც აფუძნებს.

იმხანად ყველაზე გადამეტებით სოციალურ უსამართლობას უტევდნენ და შეუცნობლად სხვა, ახალ უსამართლობათ ამზადებდნენ.

ცხადია, ეს უსამართლობა მძიმე იყო და თვალში საცემი; მეტადრე მას შემდეგ, რაც მუშათა კლასი გაიზარდა რიცხობრივად და ღონეც მეტი მოიცა, რაც სახელმწიფოს ერთ-ერთი ძირითადი მამოძრავებელი ძალა გახდა. მაგრამ მისი ბელადებისა და მეხოტბეთა განცხადებების მიუხედავად, ამ კლასის მდგომარეობა არ გაუარესებულა; წარსულისაზე უკეთესიც კი იყო; შეცვლით იმიტომ კი არ შეიცვალა, რომ მეტად იტანჯებოდა, არამედ იმიტომ, რომ თავად იყო უფრო ძლიერი, ძალმოცემული თავისი მტრის — კაპიტალის ძლიერებით, ეკონომიური და ინდუსტრიული განვითარების ფატალურობით, განვითარებისა, რომელმაც ეს დღიური მუშები საბრძოლველად მომზადებულ არმიად შეადუღაბა და მანქანური წარმოების დანერგვით ხელში იარაღი მისცა, ყოველი შეგირდი ოსტატად აქცია, რომელიც მბრძანებლობს მეხსა და სინათლეს, განაგებს მსოფლიო ენერგიას; ელემენტარულ ძალთა ამ უზარმაზარი მასისაგან, რომლის დარაზმვასაც ბელადები ეს ერთი ხანია ცდილობდნენ, არმურის მცხუნვარება, ელექტრონული ტალღები მომდინარეობდა და ტანში უვლიდა მთელ საზოგადოებას.

ამ ხალხის საქმემ თავისი სიმართლით, სიახლითა და ძალით როდი შესძრა ბურჟუაზიული ინტელიგენცია, თუმც თვითონ ასე წარმოედგინათ. თუ მოაჯადოვა, მხოლოდ და მხოლოდ თავისი სასიცოცხლო ძალით.

მისი სიმართლე? სხვა, ათასი სიმართლე ამქვეყნად ფეხქვეშ იყო გათელილი ისე, რომ ქვეყანა არ შეწუხებულა. მისი იდეები? ჭეშმარიტების ნამუსრევი გახლდათ, აქა-იქ შეკრებილი, სხვა კლასების ხარჯზე ერთი კლასის ტანს მორგებული. აბსურდული კრედოები იყო ყველა სხვა კრედოთა მსგავსად, — მეფეთა საღვთო უფლების, პაპების შეუცდომლობის, პროლეტარიატის მეფობის, საყოველთაო არჩევნების, კაცთ თანასწორობისა, — ერთნაირად აბსურდული, თუ მხედველობაში მხოლოდ მათ იდეურ ღირებულებას მივიღებთ და არა ძალას, რომელსაც იგი მოძრაობაში მოჰყავს. მერე რა, რომ კნინნი არიან? იდეები როდი იპყრობენ ქვეყანას, ისინი ვერაფერს გახდებიან, თუ ძალში არ გან-

სხეულდნენ. ადამიანთა გულებს ისინი თავიანთი ინტელექტუალური შინაარსით როდი ინადირებენ, არამედ იმ სასიცოცხლო სხივებით, ისტორიის ზოგ საათებში რომ აფრქვევენ. თითქოსდა სუნი ასდით: ყნოსვა ყველაზე ნაკლებ რომ უჭირთ, ისინიც კი მონუსხულნი არიან. ყველაზე ზეაღმტაცი იდეაც კი მომხრეთ ვერ შემოიკრებს იმ წუთამდე, სანამ გადამდები არ გახდება; თავისი საკუთარი ღირსებით კი არა, ადამიანთა იმ ჯგუფის ღირსებებით, რომელიც მას განასხეულებს და თავის სისხლს ჩაუსხამს ძარღვებში. მაშინ გამხმარი მცენარე — ვარდი ერიქონისა უეცრად აყვავდება, იზრდება, მძაფრი სუნით ავსებს მიდამოს. ეს აზრები, რომელთა მოელვარე დროშასაც მუშათა კლასი იერიშით მიჰყავდა ბურჟუაზიულ ციტადელზე, ბურჟუა მეოცნებეთა თავებიდან იყო გამოსული. სანამ ბურჟუათა წიგნებში იყვნენ ჩაკეტილნი, მკვდრებს მოჰგავდნენ: სამუზეუმო ნივთებს, ვიტრინებში გამოდებულ, ჩვრებში შეხვეულ მუმიებს, რომელთაც არავინ უცქერს. მაგრამ როგორც კი ხალხმა გაითავისა, დაიჩემა და დაუმატა თავისი ცხელებიანი სინამდვილე, ასე რომ ასახიჩრებს და სულს უდგამს ყოველივეს, რაც მის განყენებულ იდეებში ჩააწნა თავისი ჰალუცინაციური იმედები — ჰიჯრის ხორშაკი ქარი, ერთმა მეორეს გადასდო, მეორემ — მესამეს... ყველას გულებში ჩაუვარდა, თუმც კი არ უწყოდნენ, ვისგან და როდის იქნა შემოტანილი. პიროვნებანი სათვალავში აღარ იყვნენ ჩასაგდებნი. მორალური ეპიდემია კვლავ იზრდებოდა; და შეიძლებოდა გონებაშეზღუდულ ხალხს გადაედო სენი რჩეულთათვის. ყველა თავის თავში ატარებდა მას ისე, რომ თავად არ იცოდა.

ამგვარი ინტელექტუალური ეპიდემია ყოველ დროსა და ყოველ ქვეყანაში ყოფილა; მათ თავი უჩენიათ არისტოკრატიულ სახელმწიფოებშიც, სადაც დახურული კასტები ცდილობენ დღე გაიხანგრძლივონ. მაგრამ არსად არ არიან ისეთი ელვისებურნი, როგორც დემოკრატებში, საცა აღარავითარი სანიტარული ბარიერი აღარ დარჩენილა ელიტასა და ბრბოს შორის. ბრბოს ერთბაშად მოეძალება სენი. მისთვის ჩვეული სიამაყისა და გამჭრიახობის მიუხედავად მას არ ძალუძს თავი დაიძვრინოს, რადგან ბევრად უფრო სუსტია, ვიდრე თავად ჰგონია. ჭკუა-გონება კუნძულია, რომელსაც კაცთ მოქცევა ღრღნის, ფიტავს და ფარავს. იგი მხოლოდ მაშინ წამოსწევს თავს, როცა წყალი იკლებს. ზოგი აღტაცებულია ფრანგი დიდგვაროვნების საქციელით, ოთხ აგვისტოს, ღამით, ხელი რომ აიღეს თავიანთ პრივილეგიებზე. ყველაზე ღირსშესანიშნავი კი ისაა, რომ სხვაგვარად მოქცევა არ შეეძლოთ. წარმომიდგენია, მათმა უმრავლესობამ, შინ რომ დაბრუნდა, თქვა: ეს რა ჩავიდინე, მთვრალი ვიყავიო.. საუცხოო სიმთვრალე კი იყო! ღმერთმა აკურთხოს კარგი ღვინო და ვაზი, რომლისგანაც დაწურულა იგი! ვაზი, რომლის სისხლმაც დაათრო ძველი საფრანგეთის დიდებულები, მათი დარგული არ ყოფილა. ღვინო ამოხაპული იყო და დალევაღა აკლდა. ვინც კი დალია, ყველას თავბრუ დაესხა; იმათაც კი, ვინც მარტო როფიდან იყნოსა სუნი!.. რევოლუციის რთველი!.. დღესდღეობით 89 წლის ღვინო რამდენიმე ბოთლის მეტი აღარ დარჩენილა ჩვენს სარ-

დაფებში, მაგრამ ჩვენს ბადიშებს ემახსოვრებათ, რომ მათი პაპის პაპები დამთვრალან ამ ღვინით.

ის ღვინო, თავში რომ უვარდებოდათ ოლივიეს თაობის ყმაწვილ ბურჟუებს, უფრო მძაფრი იყო, მაგრამ ნაკლებ ძლიერი. ისინი თავიანთ კლასს მსხვერპლად სწირავდნენ ახალ ღვთაებას — Deo ignoto-ს ხალხს[1].

ცხადია, ყველა ერთნაირად გულწრფელი არ ყოფილა. ზოგს თავის კლასის მოძულედ მოჰქონდა თავი და მისგან გამორჩევის წყურვილი ამოძრავებდა. უმეტესობისათვის ეს ინტელექტუალური დროსტარება იყო, ორატორული ჟინი, რომელსაც თავადაც მთლად სერიოზულად არ ღებულობდა. საამურია გეგონოს, რომ რაღაც საქმისა გწამს, რომ იბრძვი, ანდა იბრძოლებდი მისი გულისათვის. ურიგო არაა იმის ფიქრიც, რაღაც რისკსა ვწევო. თეატრალური ემოციებია და მეტი არაფერი.

საკმაოდ უწყინარადაც გამოიყურებიან, როცა გულუბრყვილოდ აჰყოლიხარ და არაფერს გამოელი მათგან. მაგრამ სხვებს, უფრო გამოცდილებს, მხოლოდ ანგარება ამოძრავებდათ; სახალხო მოძრაობის წყალობით სურდათ წარმატებისათვის მიეღწიათ. ასე ნორმანთა[2] ურდოები სარგებლობდნენ ზღვის მოქცევით, რომ თავიანთი კატარღებით ღრმად შეჭრილიყვნენ ხმელეთში, დიდ-დიდი მდინარეების შესართავებიდან ზემოწელისაკენ ევლოთ და დაპყრობილ ქალაქებში გამაგრებულიყვნენ, სანამ ზღვის მოქცევა დაიწყებოდა. გასასვლელი ყელი ვიწრო იყო, ტალღა — მუხანათი; მოხერხება მართებდათ მეზღვაურებს, მაგრამ დემაგოგიის ორმა თუ სამმა თაობამ შვა მოდგმა კორსარებისა, რომლებიც ხელობის ყველა საიდუმლოს იყვნენ ნაზიარებნი, თავად მოხერხებულად გადიოდნენ და ცალი თვალითაც კი არ გადახედავდნენ იმას, ვისაც ტალღა შთანთქავდა.

ასეთი ვიგინდარები ყოველ პარტიაში არიან; ღვთის მადლით ეს არც ერთი პარტიის ბრალი არაა. მაგრამ ზიზღმა, ეს ავანტიურისტები რომ აღუძრავდნენ გულწრფელსა და ერთგულ ადამიანებს, ზოგიერთს სულ წარუხოცა თავიანთი კლასის რწმენა. ოლივიე ხედავდა მდიდარსა და განათლებულ ახალგაზრდა ბურჟუებს, ბურჟუაზიისა და თავიანთ უსარგებლობას რომ ხვდებოდნენ. გულით ეწადა მათთან დაახლოება. მას შემდეგ, რაც გადაწყვიტეს, სახალხო რევოლუცია ელიტამ უნდა მოახდინოსო, მას შემდეგ, რაც სახალხო უნივერსიტეტები გახსნეს, რომელთაც ბევრი დრო და ფული შეალიეს, მიხვდნენ, რომ ამაოდ დაშვრნენ; იმედი უსაზომოდ დიდი იყო; იმედის გაცრუება — მით უმეტეს. ხალხი არ მოვიდა მათ ძახილზე, ანდა მოვიდა და მსწრაფლ დაიფანტა. მოსულსაც ყველაფერი უკუღმართად ესმოდა, ბურჟუაზიული კულტურიდან მხო-

---

[1] უხილავი ღმერთი (ლათ.).

[2] ნორმანები — ძველი სკანდინავიის მკვიდრნი.

ლოდ მანკს გადაიღებდა ხოლმე. ბოლოს და ბოლოს, ერთ ქეციან ცხვარზე მეტი გადავიდა ბურჟუაზიულ მოციქულთა ბანაკში და მათ სახელი გაუტეხა, რაკი ერთსა და იმავე დროს ექსპლუატაციას უწევდა ხალხსაც და ბურჟუაზიასაც. მაშინ კეთილი ნების ადამიანებს ეჩვენებოდათ, რომ ბურჟუაზია განწირული იყო; რომ მას შეეძლო მხოლოდ სენი გადაედო ხალხისათვის, რომ ხალხს, რადაც უნდა დაჯდომოდა, უნდა გათავისუფლებულიყო მისგან და თავისით გაეკვლია გზა და სავალი. ერთი სიტყვით, სხვა აღარაფერი დარჩენოდათ, გარდა იმისა, რომ ემცნოთ ყველასათვის მოძრაობა, რომელიც უმათოდ და მათ წინააღმდეგ წარიმართებოდა. ზოგი ამაში უარის თქმის სიხარულს ჰპოვებდა, ადამიანურ თანაგრძნობას, ღრმასა და უანგაროს, რომელიც თავისივე მსხვერპლით იკვებება. სიყვარული, თავის მტლად დადება! ,ჩეჭაბუკე აურაცხელ სიმდიდრესა ფლობს და სამაგიეროს გარეშეც შეუძლია იოლას გასვლა, შიში არა აქვს, განძარცული დავრჩებიო. სხვები გონებას ანიჭებდნენ უპირატესობას, მბრძანებლურ ლოგიკას; ადამიანებს კი არ სწირავდნენ თავს, არამედ — იდეებს. ესენი ყველაზე მეტად უშიშარნი და შეუპოვარნი იყვნენ. ზვიადურ ტკბობას განიცდიდნენ, როცა თავიანთი მსჯელობით საბედისწერო განაჩენი გამოჰქონდათ საკუთარი კლასისათვის. მათთვის უფრო სამძიმო იქნებოდა ამ წინასწარმეტყველების გაცუდება, ვიდრე მისი სიმძიმის ქვეშ დატნევა. თავიანთ ინტელექტუალურ სიმთვრალეში გარეთ დარჩენილებს უყვიროდნენ: „უფრო მაგრად დაგვცხეთ! დე, ჩვენგან აღარაფერი დარჩეს!“ ერთი სიტყვით, ძალმომრეობის თეორეტიკოსებად იქცნენ.

სხვათა ძალმომრეობის, რადგან ეს უხეში ძალის ქადაგნი ჩვეულებრივ თითქმის მუდამ სუსტნი და დახვეწილნი იყვნენ. ზოგიერთი იმ მთავრობის მოხელეც გახლდათ, რომლის დამხობაზედაც ლაპარაკობდა, თანაც გულმოდგინე მოხელე, კეთილსინდისიერი და მორჩილი. მათი თეორიული ძალმომრეობა რევანში იყო მათი სისუსტისა, მათი ბოღმის და ბედით განჩინებული ტვირთმძიმობის. მაგრამ, პირველ ყოვლისა, ეს ნიშანი იყო ქარიშხლებისა, მათ ირგვლივ რომ გრგვინავდა. თეორეტიკოსები მეტეოროლოგისტებს მოჰგვანან: მეცნიერული ტერმინებით ამბობენ მომავლის კი არა და, დღეის დღის ამინდს. ფლუგერები იყვნენ, აღმნიშვნელნი იმისა, თუ საიდან უბერავს ქარი და რაკი ტრიალებენ, ლამის იფიქრონ, ქარს მიმართულებას ვაძლევთო.

ქარმა სხვა მხრისაკენ ჰქნა პირი.

იდეებს მალე გაუდის ყავლი დემოკრატიაში: მით უფრო, თუ მსწრაფლ არიან გავრცელებულნი. რამდენი რესპუბლიკელი იყო საფრანგეთში, ვისაც ორმოცდაათი წლის მანძილზე გული გაუტყდა რესპუბლიკაზე, საყოველთაო არჩევნებზე და სიშმაგით მოპოვებულ ამდენ თავისუფლებაზე! რიცხვის ფეტიშისტური კულტის, ნეტარი ოპტიმიზმის შემდეგ, რომელსაც წმინდა უმრავლესობისა სწამდა და კაცობრიობის პროგრესს ელოდა, ძალმომრეობამ წამოჰყო თავი, უმრავლესობის უუნარობა თავი ემართათ, მათი გამყიდ-

ველობა, მათი სიძაბუნე, მათი მდაბალი, მხდალი შუღლი, ამაღლებულისადმი მტრობა, მათი აგრესიული სიმხდალე ჯანყს იწვევდა; ენერგიული უმცირესობანი — ყველა ჯურის უმცირესობა — ძალას უხმობდა საშველად. უცნაური და მაინც ფატალური დაახლოება ხდებოდა აკსიონ ფრანსეზის[1] როიალისტებსა და შრომის გენერალური კონფედერაციის სინდიკალისტებს შორის. ბალზაკი ერთგან ლაპარაკობს თავისი დროის ადამიანებზე, რომლებიც „არისტოკრატები არიან თავიანთი მიდრეკილებებით და რესპუბლიკელები კი ხდებიან ჯავრისაგან, მხოლოდ იმიტომ, მეტი დაბლა მდგომი ჰპოვონ თანასწორთა შორის“... მჭლე სიამოვნებაა! უნდა აიძულო შენზე უარესნი აღიარონ, შენა გვჯობიხარო; ამისთვის სხვა საშუალება არა არის რა, გარდა ავტორიტეტისა, ელიტის უპირატესობას რომ შთააგონებს ხალხთ სიმრავლეს, რომელსაც ჩაგრავს (მუშურისას თუ ბურჟუაზიულისას). ყმაწვილი ინტელიგენტები, ყოყოჩა წვრილი ბურჟუები, როიალისტები ან რევოლუციონერები ხდებოდნენ შელახული თავმოყვარეობის ან დემოკრატიული თანასწორობის სიძულვილით. პირუთვნელი თეორეტიკოსები კი, ძალმომრეობის ფილოსოფოსნი, კარგი აფქიოსავით, ქარიშხალის ბაირაღებივით აღმართულიყვნენ მათ თავსზემოთ.

იყო შთაგონების მაძიებელ ლიტერატორთა დასიც — იმათთაგანნი, ვინაც იცოდა წერა, მაგრამ არ იცოდა, რა დაეწერა: როგორც ავლიდში ზღვის სიმშვიდით გარემოცული ბერძნები, წინ წასვლა რომ არ შეეძლოთ, ესენიც მოუთმენლად ელოდნენ მხსნელ ქარს და აღარ დაეძებდნენ, საიდან დაუქროლებდა იგი, ოღონდ კი აფრები დაებერა. აქ სახელგანთქმულებიც იყვნენ; იმათთაგანნი, ვინც დრეიფუსის საქმემ მოულოდნელად მოსწყვიტა სტილზე · მუშაობასა და სახალხო კრებებში უკრა თავი. ზღვევით მათა ზღვეს და მერე ბევრი მიმბაძველიც გაუჩნდათ. ახლა ლიტერატორთა მთელი ჯარი ერეოდა პოლიტიკაში და სახელმწიფოს საქმეთა წარმართველად მოჰქონდა თავი. ყველაფერი საბაბად უჩნდათ ლიგების შესაქმნელად, მანიფესტების გამოსაცემად, კაპიტოლიუმის გადასარჩენად. ავანგარდის ინტელექტუალებს მებოლოვეებიც მოჰყვებოდნენ; ერთიმეორეს კი არაფრით სჯობდნენ, ორ პარტიაფაგან თითოეული მეორეს ინტელექტუალურს ეძახდა, თავს კი — გონიერს. ისინი, ვისაც ბედმა გაუღიმა და ძარღვებში რამდენიმე წვეთი ხალხის სისხლი უდიოდა, უზომოდ ამაყობდა ამით. ამ სისხლში აწებდნენ თავიანთ კალამს. ყველანი ბურჟუები იყვნენ, მაინც უკმაყოფილონი და ხელისუფლების კვლავ ხელში ჩაგდების მსურველნი, ხელისუფლებისა, ბურჟუაზიამ თავისი ეგოიზმის წყალობით სამუდამოდ რომ დაკარგა. ეს მოციქულები დიდხანს ძვირად თუ ინარჩუნებდნენ, სამოციქულო გულმოდგინებას. თავში საქმეს მათთვის მოჰქონდა წარმატება-

---

[1] რეაქციული მონარქიულ-კათოლიკური ორგანიზაცია, დაარსებული 1905 წელს.

ნი, რომლებიც, როგორც ჩანს, მათი ორატორული ნიჭის წყალობა სულაც არ იყო. ამით უჩვეულოდ ეთნებოდათ გული. მერე და მერე ნაკლები დიდება ხვდებოდათ წილად და იდუმალ შიში ეპარებოდათ გულში, სასაცილონი ხომ არ ვჩანვართო. ბოლოს ეს უკანასკნელი გრძნობა სძლევდა, ამას ზედ ერთვოდა დაღლილობა და შეგნება იმისა, რომ მათსავით სკეპტიკოსებისა და გაფაქიზებული გემოვნების პატრონთათვის მძიმე როლი ჰქონდათ გასათამაშებელი. ზურგის ქარს და თავიანთ ამალას უცდიდნენ, რომ უკუქცეულიყვნენ, რაკი ერთის ტყვეებიც იყვნენ და მეორისაც... ახალ დროების ეს ვოლტერები და ჟოზეფ დე მესტრები თავიანთ თამამ ნაწერებში მფრთხალ ეჭვს მალავდნენ, ფრთხილად რომ სინჯავს ნიადაგს, ეშინია სახელი არ გაუტყდეს ახალგაზრდობის თვალში. ყოველი ღონით ცდილობდნენ მოეწონებინათ მისთვის თავი, ყმაწვილკაცობას ჩემულობდნენ. რევოლუციონერები თუ კონტრრევოლუციონერები მორჩილად მიჰყვებოდნენ ლიტერატურულ მოდას, რომლის დაფუძნებასაც თავად შეუწყვეს ხელი.

ყველაზე უფრო საინტერესო ტიპი, ოლივიეს რომ შეხვდა რევოლუციის ამ პატარა ბურჟუაზიულ ავანგარდში, იყო კაცი, რომელიც მორცხვობას გაეხადა რევოლუციონერად.

ხორცშესხმულ ნიმუშს, თვალთა წინარე რომ ედგა, პიერ კანე ერქვა სახელად. ეს იყო მდიდარი ბურჟუა, ახალი იდეების არმცნობი, საოცრად კონსერვატიული ოჯახის შვილი. მის გვარში მრავლად იყვნენ მოსამართლენი და მსხვილი მიწელეები, რომლებმაც სახელი გაითქვეს იმით, რომ ოპოზიციაში ედგნენ ხელისუფლებას, ანდა მის მესვეურებს შეაკლეს თავი: მარეს[1] მსხვილი ბურჟუები იყვნენ, ფლირტი რომ გაემართათ ეკლესიასთან და ცოტას, მაგრამ მართებულად ფიქრობდნენ. უსაქმურობამ პიერ კანეს ერთი არისტოკრატი ქალი მოაყვანინა ცოლად, რომელიც მასზე არც ნაკლებ მართებულად და არც მეტს არ ფიქრობდა. ამ ფარისევლურმა, შეზღუდულმა და ჩამორჩენილმა სამყარომ, გამუდმებით რომ ცოხნის თავის ქადმაღლობას და ნაღველს, ბოლოს სასოწარკვეთილებაში ჩააგდო ახალგაზრდა ბატონი, მით უფრო, რომ მისი ცოლი უშნო და თავმომაბეზრებელი ქალი გამოდგა. თავად საშუალო ნიჭის პატრონი გახლდათ, მაგრამ საკმაოდ გონებაგახსნილი იყო და ლიბერალობას ჩემულობდა, თუმც კი ზუსტად არ უწყოდა, რაში გამოიხატებოდა ლიბერალიზმი. თავის წრეში ხომ ვერ შეიტყობდა, რა იყო თავისუფლება. მხოლოდ ის იცოდა, რომ თავისუფლებას იქ ბინა არ ედო; და ეგონა, საკმარისია, ჩემს წრეს გავცდე, რომ ვიპოვნოო. მაგრამ მარტო სიარული არ შეეძლო. გადგა თუ არა ფეხი გარეთ, სიხარულით ცას ეწია, რაკი კოლეჯის ამხანაგებს გადააწყდა, რომელთაგანაც ზოგი სინდიკალისტური იდეებით იყო გატაცებული. აქ უფრო უთვისტომოდ

[1] რაიონი პარიზის ცენტრში, სადაც ჯერ კიდევ XVIII საუკუნიდან მსხვილი ბურჟუები მოსახლეობენ.

გრძნობდა თავს, ვიდრე იმ სამყაროში, საიდანაც მოვიდა; მაგრამ თავს არ უტყდებოდა ამაში; სადღაც ხომ უნდა ეცხოვრა; მისი ჯურის ხალხი კი (ე. ი. უთვისებო) ვერსად ეპოვა. ღმერთმა ხომ უწყის, ამგვარი თესლი უცხო არაა საფრანგეთში! მაგრამ ერცხვინებათ თავისი თავისა: იმალებიან ან იღებებიან მოდური პოლიტიკის ფერად; ზოგჯერ ერთბაშად რამდენიმე ფერსაც კი იცხებენ.

როგორც ჩვეულებრივ ხდება ხოლმე, ისიც თავის ახალ ამხანაგთაგან უფრო იმათ შეეთვისა, ვინც მეტად განსხვავდებოდა მისგან. ეს ფრანგი, ფრანგი ბურჟუა და სულის სიღრმეში პროვინციელი კაცი, ახალგაზრდა ებრაელი ექიმის მანუს ჰეიმანის ერთგულ აქატად[1] ქცეულიყო, ერთი გადმოხვეწილი რუსისა, ვისაც ბევრი მისი თანამემამულის დარად ორმაგი ნიჭი ჰქონდა სხვაგან ისე მოწყობილიყო, როგორც საკუთარ სახლში და ისე კარგად ეგრძნო თავი ყველა ჯურის რევოლუციაში, რომ ძალაუნებურად კითხვა იბადებოდა, თამაში აინტერესებს, თუ ამ რევოლუციის მიზანიო. საკუთარი თუ სხვისი განსაცდელი გართობად უჩნდა. გულწრფელად რევოლუციონერი იყო, ოღონდ მეცნიერული გონება იმგვარად ჰქონდა მომართული, რომ რევოლუციონერებს (მისივე თავის ჩათვლით) როგორც შეშლილებს ისე უცქეროდა. აკვირდებოდა ამ შეშლილობას და თან ნერგავდა ხალხში. მისი მგზნებარე დილეტანტიზმი და გონების უკიდურესი ცვალებადობა სულ ურთიერთსაწინააღმდეგო გარემოს აძებნინებდა. მეგობრები ჰყავდა ხელისუფალთ შორის, პოლიციელთა წრეებშიაც; ყველგან დაძვრებოდა იმ საეჭვო ცნობისმოყვარეობით, ბევრ რუს რევოლუციონერს ორმაგი თამაშის მოყვარულს რომ ამსგავსებს და ხშირად მსგავსებიდან რეალობად იქცევა ხოლმე. ეს ღალატი როდია, ეს — მერყეობაა და ხშირად უანგაროც. რამდენია ქმედების კაცი, ვისთვისაც მოქმედება თეატრია, სადაც მიაქვთ ჩინებული მსახიობური ნიჭი, პატიოსნებაც არ აკლიათ, მაგრამ მუდამ მზად არიან როლის შესაცვლელად! მანუსიც, რამდენადაც შეეძლო, რევოლუციონერის როლის ერთგული იყო: ეს როლი ყველაზე უკეთ ჰფერობდა მის ბუნებრივ ანარქიულობასა და წყურვილს — გაეცამტვერებინა იმ ქვეყნის კანონები, საცა კი გაივლიდა. და მაინც ეს როლი გახლდათ და მეტი არაფერი. კაცმა არ იცოდა, რა იყო მრნაჯორი და რა მართალი მის ნალაპარაკევში; ბოლოს თვითონაც კარგად არ უწყოდა ხოლმე ეს ამბავი.

ჭკვიანი იყო და დამცინავი; რუს-ებრაელთა რასისათვის დამახასიათებელი ფსიქოლოგიური წვდომის უნარით დაჯილდოებულს ადვილად შეეძლო გამოეცნო სხვათა და თავისი სუსტი მხარეები და ამით მოხერხებულად სარგებლობდა. ამიტომაც არ გასჭირვებია კანეს დამორჩილება. სასეიროდ მიაჩნდა ჩაება ეს სანჩო პანსა დონ კიხოტის საკადრის ფათერაკებში. უბოდიშოდ განაგებდა კანეს, მის ნებისყოფას, მის დროსა და შემოსავალს — გამორჩენის მიზნით კი

[1] ენეოსის თანამგზავრი, ვერგილიუსის „ენეიდას“ მოქმედი პირი.

არა (თავად არაფერი უნდოდა, გაჭირვება არ ადგა, თუმც კაცმა არ იცოდა, თავს რითი ირჩენდა) — ისე აქეზებდა, საქმისათვის ყველაზე უფრო სახელის გამტეხი გამოხდომებისათვის. კანე არ ეურჩებოდა; ცდილობდა დაერწმუნებინა თავი, მეც მანუსივით ვფიქრობო. მაგრამ შესანიშნავად იცოდა, რომ ეს სიცრუე იყო: მანუსის იდეები თავზარსა სცემდა. ეწინააღმდეგებოდა მის საღ აზრს. მერე ის იყო, რომ ხალხი არ უყვარდა. არც მამაცი ეთქმოდა. ეს სქელ-სქელი, მაღალი, ბრგე და დაკუნთული მამაკაცი, პირწმინდად გაპარსული სახე მანეკენისას რომ მიუგავდა, ტკბილმოუბარი, პომპეზურად და ბავშვურად მოლაპარაკე, ჩინებული მოკრივე და ჩხუბისთავი, მხარ-ბეჭით ფარნეზის ჰერკულესსაც რომ არ დაუვარდებოდა, ადამის ძეთა შორის უმორცხვესი კაცი იყო. თავისიანებისთვის შიშის ზარი სურდა დაეცა, თუმცა იდუმალ გული უსკდებოდა მეგობრების სითამამით დამფრთხალს. ცხადია, ეს პატარა შიში საამურიც კი იყო, მანამ საქმე მხოლოდ თამაშს შეეხებოდა. მაგრამ თამაშიც რომ სახიფათო სახეს იღებდა! ეს პირუტყვები აგრესიულნი ხდებოდნენ, მათი პრეტენზიებიც იზრდებოდა; მათი მოთხოვნები აღშფოთებდნენ კანეს, მის ძვალსა და რბილში გამჯდარ ეგოიზმს, მასში ფესვგამდგარ მესაკუთრულ გრძნობას, მის ბურჟუაზიულ სულმოკლეობას. ვერ ბედავდა ეკითხა, საით მიგყევართო, მაგრამ იდუმალ წყევლიდა იმ ხალხს, ვისაც თამაშად უჩნს კისრის მოტეხა და თავსაც კი არ იწუხებს იმის ფიქრით, ვაითუ სხვებსაც მოვტეხო კისერიო. ვინ აიძულებდა მათ გაჰყოლოდა? განა მისი ნება არ იყო რევოლუციონერებს ჩამოსცილებოდა? მაგრამ გამბედაობა არ ჰყოფნიდა. ეშინოდა მარტო დარჩენისა, როგორც ბავშვს, გზად უკან რომ ჩამოიტოვებენ და ტირილს მორთავს. ის ბევრ იმათგანს ჰგავდა, არავითარი აზრი რომ არ გააჩნიათ და მარტოოდენ სხვათა მგზნებარე აზრებს კიცხავენ; მაგრამ დამოუკიდებელი რომ იყო, მარტო უნდა დარჩე; მერედა რამდენს ძალუძს ეს? რამდენს, თუნდ ნათელმხედველთაგანს ჰყოფნის სითამამე დაიხსნას თავი იმ ცრურწმენათა და პოსტულატებისაგან, რომლებიც ერთი და იგივე თაობის ყველა კაცს აწევს? ეს ნიშნავს კედელი აღმართო შენსა და სხვებს შორის. ერთის მხრივაა თავისუფლება უდაბნოში; მეორეს მხრივ — ცხოვრება კაცთა შორის. ისინიც როდი ყოყმანობდნენ: ხალხს, ჯოგს ამჯობინებდნენ. ჯოგი ყარს, მაგრამ ჯოგში თბილა. მაშინ თავს ისე აჩვენებდნენ, თითქოს ფიქრობდნენ იმას, რაც წამითაც არ გაუვლიათ გულში. ეს ძალიან არც კი უჭირდათ: აკი ძალზე ცოტა წარმოდგენა აქვთ იმაზე, რასაც ფიქრობენ!.. „შეიცან თავი თვისი!“ როგორ მოეხერხებინათ ეს იმათ, ვისაც საკუთარი მე ძლივს გააჩნდა? ყველა კოლექტიურ რწმენაში, რელიგიური იქნება თუ სოციალური, იშვიათნი არიან ისინი, ვისაც სწამს, რადგან იშვიათნი არიან ისინი, ვისაც კაცობა ეთქმის. რწმენა გმირული ძალაა; მისი ცეცხლი მხოლოდ რამდენიმე ადამიანურ ჩირაღდანს აგიზგიზებს. ისინიც ხშირად მერყეობენ. მოციქულები, წინასწარმეტყველები, თვით იესოც კი დაეჭვებულან. დანრჩენები მხოლოდ ანარეკლები

არიან — გარდა იმ იშვიათი წუთებისა, როს სულის გოლვა სჭირთ, და დიდი ჩირაღდნიდან გადმოვარდნილი რამდენიმე ნაპეწკალი მთელს ველს ალად ააბრიალებს; შემდეგ ხანძარი ქრება და მხოლოდ რამდენიმე მუგუზალიღა ღვივის ფერფლქვეშ. რამდენიმე ასეულ ქრისტიანს თუ სწამს ჭეშმარიტის რწმენით ქრისტე. სხვებსა ჰგონიათ, გვწამსო, ან უნდათ, რომ სწამდეთ.

ასე იყო ბევრი რევოლუციონერის საქმეც. კეთილ კანეს სურდა რევოლუციონერი ყოფილიყო: სწამდა კიდეც, ვარო და საკუთარი სითამამე თავადაც აძრწუნებდა.

ყველა ეს ბურჟუა განსხვავებულ ზნეობრივ წესებს მოითხოვდა: ერთნი გულის, მეორენი გონების კარნახით, სხვები კიდევ გამორჩენის იმედით; ზოგი თავის ნაზრევს სახარებას უკავშირებდა, ზოგი—ბერგსონს, სხვები კიდევ—კარლ მარქსს ან პრუდონს, ზოგიც — ჟოზეფ დე მესტრს, ნიცშეს ან ჟორჟ სორელს. ზოგი — მოდას, სნობიზმს გაეხადა რევოლუციონერად, ზოგი — ველურობას; ზოგს მოქმედება სწყუროდა, გმირობის ცეცხლი სწვავდა; ზოგი ქედმოხრილობას ეფცია მეამბოხედ, ფარის ინსტინქტს. მაგრამ ყველას, იცოდნენ მათ ეს თუ არა, ერთნაირად მიერეკებოდა ქარი. მტვრის კორიანტელი იდგა, შორით რომ ჰკიდებენ თვალს დიდ, თეთრ გზებზე და გრიგალის მოახლოებას რომ გვამცნობს.

ოლივიე და კრისტოფიც გრძნობდნენ ქარიშხალის მოახლოებას. ორთავეს კარგად უჭრიდა თვალი, მაგრამ ერთნაირად როდი ხედავდნენ. ოლივიე ნათელმხედველივით სჭვრეტდა ხალხის იდუმალ ზრახვებს და დამწუხრებული იყო მათი სიკნინით; მაგრამ კარგად ხედავდა დამალულ ძალას, სამოქმედოდ რომ იწევდა და საქმის ტრაგიკული მხარე მეტად აშფოთებდა. კრისტოფს უფრო კომიკურად ესახებოდა ყოველი. იდეებს არ დაგიდევდათ, ადამიანები უფრო აინტერესებდა. სასაცილოდ არ ჰყოფნიდა სოციალური უტოპიები. წინააღმდეგობის გრძნობით ატანილი ანგარიშმიუცემლად უმხედრდებოდა სნებიან ჰუმანიტარიზმს. ფარზე რომ ჰყავდათ აყვანილი და უფრო ეგოისტად აჩვენებდა თავს, ვინემ სინამდვილეში იყო; კაცი, რომელმაც თავად გაიკაფა გზა, თავისი მუსკულებითა და ნებისყოფით გაამაყებული მძლავრი პარვენიუ, ცოტას კიდევაც აკარებდა და უსაქმურებად ნათლავდა ყველას, ვისაც მასავით ღონე არ მოსდევდა. თვითონ მარტოდმარტომ, უპოვარმა გაიმარჯვა; დე, სხვებიც გარჯილიყვნენ! სოციალური საკითხიო?! რა საკითხი? სიღატაკე?

— სიღატაკის ამბავს მე ვერ მასწავლით, — ამბობდა იგი, — მამაჩემს, დედას, მე, ჩემიანებს მაგის მეტი რა გვინახავს. მაგრამ სიღატაკეს ხელიდან უნდა დაუსხლტე.

— ყველას არ შეუძლია ეგ, — ეტყოდა ოლივიე, — ბედუკუღმართებს, სნეულებს.

— დაე, მათ დაეხმარონ, მაგაზე იოლი რაა. მაგრამ მათ განდიდებას კი ნუ მოვყვებით, დღეს რომ ჩვევიათ; ეგ არ ივარგებს. ამ ცოტა ხნის წინათ უფრო

ძლიერის ბინძურ უფლებას აღიარებდნენ. ღმერთმანი, არც კი ვიცი, უფრო სუსტის უფლება უფრო საზიზღარი ხომ არაა: ის დღევანდელობის აზრს ამღვრევს; შიშის ზარს სცემს და ექსპლოატაციას უწევს ძლიერთ. კაცი იფიქრებს, რომ დღეს ღირსებაა სნებიანი, უჭკუო, გაჭირვებული, ხელმოცარული იყო; მანკია, ძლიერი, ჯანმრთელი და გამარჯვებული თუ ხარ. თან ყველაზე სასაცილო ისაა, რომ პირველ რიგში ძლიერებს სწამთ აგრე... კარგი სიუჟეტია კომედიისათვის, ოლივიე ჩემო!

— მე მირჩევნია სასაცილოდ ვჩანდე, ვიდრე ვატირო ვინმე.

— ვიცი ეგ სიკეთე, —ეტყოდა კრისტოფი, — ეშმაკმა დალახვროს! ვინ გაგამტყუნოს? როცა კუზიანს ვხედავ, ზურგი მეც ამტკივა ხოლმე. კომედიას ჩვენ ვთამაშობთ, დაწერით კი სხვა წერს.

არაფრის დიდებით არ სურდა აჰყოლოდა სიციალურ სამართლიანობაზე ოცნებებს. ხალხის წიაღიდან გამოსულს საღი აზრი არწმუნებდა, რაც უწინ იყო, მომავალშიც ის იქნებაო.

— ხელოვნებაზე რომ გითხრან ამგვარი რამ, იცოცხლე, გადაირეოდი! — პირში ეცემოდა ილივიე.

— შეიძლება. ასეა თუ ისე, მე მარტო ხელოვნებისა გამეგება. მეცა და შენც. მე ვერ ვენდობი ადამიანებს, რომლებიც იმაზე ლაპარაკობენ, რაც არ იციან.

ვერც ოლივიე ენდობოდა. ორი მეგობარი ცოტას აჭარბებდა კიდეც ამ უნდობლობაში. პოლიტიკაში თავის დღეში არ გარეულან. ოლივიე აღიარებდა, თუმცა ცოტათი რცხვენოდა კიდეც, რომ აღარც ახსოვდა, არჩევნებში თუ მიეღო ოდესმე მონაწილეობა; უკვე ათი წელი იყო, საამომრჩევლო ბარათი არ გამოეტანა მერიიდან.

— რად ჩავერიო კომედიაში, უსარგებლოდ რომ მესახება? ხმა მივცე? შერედა ვის? ვერავის მივცემ უპირატესობას კანდიდატებიდან, ერთნაირად უცხონი რომ არიან ჩემთვის და დარწმუნებული ვარ, არჩევნების მეორე დღესვე უღალატებენ თავიანთ რწმენას. თვალყური ვადევნოთ? მოვალეობის შესრულებისაკენ მოვუწოდოთ? ეს ჩემს ცხოვრებას შეიწირავს და ნაყოფს კი არ გამოიტანს. მე არც დრო მაქვს და არც ძალი შემწევს, არც ორატორული ნიჭი მომდგამს, არც იმდენად უსირცხვილო ვარ, არც მოქმედებისაკენ მიმიწევს გული. მიჯობს განვერიდო. მე ყაბულსა ვარ ავიტანო სიავე, მაგრამ თანამონაწილედ კი არ მსურს გავუხდე ავის მომქმედთ, — ამბობდა იგი.

მაგრამ მიუხედავად უკიდურესი შორსმჭვრეტელობისა, ეს კაცი, ვისაც ზიზღს გვრიდა პოლიტიკური ხრიკები, რევოლუციის ქიმერულ იმედს ებღაუჭებოდა. თავადაც იცოდა, რომ ფუჭი იმედი იყო; მაგრამ მაინც ვერ ელეოდა. ასეთი გახლდათ რასის მისტიციზმი. დაუსჯელად ვერ იქნები დასავლეთის დიდი დამანგრეველი ერის შვილი, ერისა, რომელიც ანგრევს, რათა აშენოს და აშენებს, რათა დაანგრიოს; რომელიც თამაშობს იდეებითა და სიცოცხლით,

სულ პირწმინდად გვის ყველაფერს, რომ უკეთ დაიწყოს თავიდან თამაში და გასათამაშებელიც საკუთარი სისხლის მეტი არა აქვს რა.

კრისტოფს არა ეცხო რა ამ მემკვიდროებითი მესიანიზმისა. ის ერთობ გერმანელი იყო საიმისოდ, რომ რევოლუციის იდეა ჯეროვნად შეეტკბო. დარწმუნებული გახლდათ, ქვეყანა არ გასწორდებაო. ფუჭია თეორიები, ამაო სიტყვები და ამაო ლაქლაქი!

— მე არად მინდა რევოლუცია, არც რევოლუციებზე ენის მოტყავება, თავი რომ დავირწმუნო ჩემს ძალაში. თქვენებური მამაცი ყმაწვილკაცებივით სულაც არ მჭირდება შევარყიო მთავრობა, რათა აღვადგინო მეფე ან საზოგადოებრივი ხსნის კომიტეტი[1], რომელმაც უნდა დამიცვას. საოცარი გამოვლინებაა ძალისა! თავს მე თვითონაც კარგად დავიცავ. ანარქისტი როდი ვარ, მიყვარს აუცილებელი წესრიგი და პატივსა ვცემ კანონებს, სამყაროს რომ მართავენ. მაგრამ მათსა და ჩემს შორის შუამავალი არა მჭირდება. ჩემს ნებისყოფას ძალუძს მბრძანებლობაცა და ქედის მოდრეკაც. თქვენ, წარამარა ენაზე თქვენი კლასიკოსები რომ გაკერიათ, გაიხსენეთ, რა თქვა კორნელმა: მარტო მე ვარ და ვკმარი კიდეცო. თქვენი წყურვილი ბატონი გყავდეთ, ნიღბავს თქვენს სისუსტეს. ძალა სინათლესა ჰგავს: ბრმაა, ვინც მას უარსა ჰყოფს! იყავით ძლიერნი მშვიდად, უთეორიებოდ, ძალმომრეობის გარეშე და როგორც მცენარეები სინათლისაკენ, სუსტთა სულებიც ისე შემობრუნდებიან თქვენკენ...

მაგრამ თუმც კი უარობდა, პოლიტიკურ დისკუსიებში დასაკარგი დრო არა მაქვსო, ნაკლებ გაკიდეგანებული გახლდათ, ვინემ თავს აჩვენებდა. სოციალური უქეიფობით ისევე იტანჯებოდა, როგორც ყოველი ხელოვანი. ვნებათა წამიერ შიმშილობაში მიმოიხედავდა ირგვლივ და თავს ეკითხებოდა, ვისთვის ვწერო. მაშინ ხედავდა თანამედროვე ხელოვნების დუხჭირ კლიენტურას, ამ დაღლილ ელიტას, ამ დილეტანტ ბურჟუებს და ფიქრობდა:

— რა აზრი აქვს ამ ხალხისთვის შრომას?

ცხადია, გამორჩეული გონების ხალხიც მოიძევებოდა, განათლებული, საქმის მცოდნე, სიახლით, ანდა (რაც იგივეა) რაფინირებულ გრძნობათა ანარქიულობით დატკბობის უნარიც რომ შესწევდა. მაგრამ მათაც მოყირჭებოდათ ყოველი, ერთობ ინტელექტუალები იყვნენ, თავად ძლივს ედგათ სული და როგორღა ერწმუნათ ხელოვნების რეალურობა? მათ მხოლოდ ფამაში აინტერესებდათ — თანხმოვანება ანდა იდეები. უმეტესობა სხვა, მაღალი წრის ინტერესებით გახლდათ გართული, შეჩვეული იყო ერთდროულად მრავალი საქმის კეთებას, რომელთა შორისაც „აუცილებელი“ არც ერთს არ ეთქმოდა. სად შესწევდათ უნარი, ხელოვნების ქერქს მიღმა მის გულსაც ჩასწვდომოდნენ; ხელოვნება მათთვის სისხლისა და ხორცისგან როდი იყო შეთხზული: ის

---

[1] 1793—95 წლებში ეს იყო საფრანგეთის კონვენტის უმაღლესი აღმსრულებელი ორგანო, ინტერვენციისა და შინაური კონტრრევოლუციის დათრგუნვის ორგანიზატორი.

ლიტერატურას წარმოადგენდა. მათი კრიტიკოსები შეუმცდარ თეორიად სახავდნენ საკუთარ უძლურობას — გაქცეოდნენ დილეტანტიზმს. თუკი შემთხვევით ვინმე ისეთი გულისხმიერი გამოჩნდებოდა, რომ აეტაცნა ხელოვნების მძლავრი აკორდები, ვეღარ უძლებდა და სამისდღემჩიოდ მოშლილი რჩებოდა. ნევროზი სჭირდათ თუ დადამბლავებულიყვნენ. რა ესაქმებოდა ხელოვნებას ამ ლაზარეთში? და მაინც, კრისტოფს არ შეეძლო თანამედროვე საზოგადოებაში ამ უცნაური ხალხის უმისოდ გაძლება, რაკი მათ ხელში იყო ფული და გაზეთები; მხოლოდ მათ შეეძლოთ მიეპყრათ ლუკმაპური ხელოვანისათვის. მაშასადამე, მოუხდებოდა ამგვარად თავის დამცირება: მაღალი წრის საღამოებზე სნობებისა და დაქანცულ ინტელექტუალთა კრებულისათვის როგორც გასართობი რამ, მოწყენილობის გამაქარვებელი წამალი ან ახალი მოწყენილობა, ისე მიერთმია თავისი ხელოვნების მთრთოლვარე სხეული, მუსიკა, რომელშიც მისი შინაგანი ცხოვრების საიდუმლო იყო ჩაქსოვილი.

კრისტოფი დაეძებდა ნამდვილ მსმენელებს, იმათ, რომელთაც სწამთ ხელოვნების ემოციებისა ისევე, როგორც სიცოცხლისა და რომელნიც მას უბიწო სულით გრძნობენ. ამიტომაც მოხდა, რომ იდუმალ იზიდავდა ახალი აღთქმული ქვეყანა — ხალხი. ბავშვობის მოგონებანი, გოტფრიდი და სხვა დაბეჩავებულნი, რომელთაც ღრმად ჩაახედეს ცხოვრებაში და მასთან გაიზიარეს მუსიკის წმიდათაწმიდა პური, აფიქრებინებდნენ, რომ მისი ჭეშმარიტი მეგობრები ამ მხარეს იყვნენ. სხვა გულუბრყვილო ახალგაზრდებისა არ იყოს, ისიც ელოლიავებოდა სახალხო ხელოვნების დიად გეგმებს, სახალხო კონცერტებსა და თეატრებს, თუმც კი გაუჭირდებოდა აეხსნა, როგორ უნდა მოწყობილიყვნენ ისინი. რევოლუციიდან ხელოვნების განახლებას მოელოდა და გაიძახოდა, სოციალური მოძრაობა მარტო ამით თუ მაინტერესებსო. მაგრამ ტყუვდებოდა. ის ერთობ ცოცხალი იყო და არ შეიძლებოდა ყველაზე უფრო ცხოველ მოძრაობას არ მიეზიდა.

წარმოდგენაში ყველაზე ნაკლებად ბურჟუა თეორეტიკოსები აინტერესებდა. ხილი, რომელსაც ეს ხეები ისხამენ, ჩირადაც არა ღირს: ცხოვრების მთელი წვენი მათში იდეებად გაქვავებულა. ამ იდეათა შორის კრისტოფი განსხვავებას ვერ პოულობდა. თავისი იდეებიც არაფრად ეპიტნავებოდა, როცა მათ სისტემებად ჩამოყალიბებულს ხვდებოდა. უბოროტო ზიზღით აქცევდა ზურგს ძალის თეორეტიკოსებსაცა და სიძაბუნის თეორეტიკოსებსაც. კომედიაში ყველაზე უმადური პეიტრის როლია. მაყურებელს მის თავს მარტო დადებითი გმირები კი არა და, უარყოფითნიც ურჩევნია. კრისტოფიც მაყურებელი იყო ამ დარგში. სოციალურ საკითხზე მოლაყბენი მოწყენილობას გვრიდნენ. მაგრამ ართობდა სხვათა ხილვა: იმათი, რომელთაც სურდათ ერწმუნათ, ტყუვდებოდნენ და ცდილობდნენ მოტყუებულიყვნენ; ახალისებდა კეთილი ყაჩაღების ცქერაც, თავიანთ მტაცებლურ ხელობას რომ მისდევდნენ და ცხვრებისაც, გასაკრეჭად რომ იყვნენ შობილნი. გულმოწყალედ ეკიდებოდა ახირებულ, კეთილ

ადამიანებს, იმგვარებს, როგორიც სქელ-სქელი კანე იყო. მათი კნინი ბუნება ისე არ ზარავდა, როგორც ოლივიეს. ყველას მოყვარული და დამცინავი ინტერესით უცქეროდა; ეგონა, მე გამოკლებული ვარ პიესას, ესენი რომ თამაშობენო. და მოგვიანებითღა ამჩნევდა, რომ თვითონაც ითრევდნენ. ფიქრობდა, მაყურებელი ვარ, მეტი არაფერი და ქარის გადავლას ველოდებიო. მაგრამ ქარმა უკვე შეახო ფრთა და მტვრის კორიანტელში დააბზრიალა.

სოციალური პიესა რომბრივი იყო. ის, რომელსაც ინტელექტუალები თამაშობდნენ, კომედია გახლდათ კომედიაში: ხალხი მას არ უსმენდა. ნამდვილი პიესა მას ეკუთვნოდა. ადვილი როდი იყო მისთვის თვალის მიდევნება; თავადაც ზედმიწევნით როდი ესმოდა. ამიტომაც იყო იგი მოულოდნელობებით აღსავსე.

არ კი იფიქროთ, აქ ლაპარაკი გაცილებით არ სჭარბობდაო მოქმედებას. ბურჟუა იქნება თუ ხალხის შვილი, პურზე მეტად სიტყვებით იკვებება. მაგრამ ყველა ერთნაირ პურს როდი მიირთმევს. არის რაფინირებული სიტყვა აზიზი პირისათვის და უფრო მაწიერი — დამშეული ხახებისათვის. სიტყვები თუ იგივეა, ერთნაირად როდია მოცემული; გემო და სუნი განსხვავებული აქვთ.

როცა ოლივიე პირველად დაესწრო სახალხო კრებას, როცა პირველად იგემა ეს პური, კრიჭა შეეკრა; ლუკმა ყელში გაეჩხირა. გული აურია აზრთა კნინობამ, გამოთქმათა უსახურობამ და სიმძიმემ; ბუნდოვანმა განზოგადოებებმა, ბალღურმა ლოგიკამ, აბსტრაქციებისა და შეუნაწევრებელი ამბების ამ ცუდად ათქვეფილმა მაიონეზმა. ენის უვარგისობა ხალხურ, ფრთიან სიტყვას არ გამოუსყიდავს. იყო მხოლოდ გაზეთის ლექსიკონი, დამჭკნარი ზიზილ-პიპილები, ბურჟუაზიული რიტორიკის ნაბდისძველა. ოლივიეს ყველაზე მეტად ის აკვირვებდა, რომ სისადავის ნიშანწყალიც არსად ჩანდა. ავიწყდებოდა, რომ ლიტერატურული სისადავე თანდაყოლილი კი არ არის, არამედ — შეძენილი. იგი ელიტის მონაპოვარია. უბირ ქალაქელებს არ შეუძლიათ იყვნენ უბრალონი; ხალხი ყოველთვის ამჯობინებს და დაეძებს მაღალფარდოვან გამოთქმებს. ოლივიეს არ ესმოდა, რა ზეგავლენა უნდა მოეხდინა ამ ღვარჭნილ ფრაზებს მსმენელზე. საამისო გასაღები არ გააჩნდა. უცხო ენას ეძახიან სხვა ერის ენას, მაგრამ ერთ ერშიც თითქმის იმდენი ენაა, რამდენიც — სოციალური ფენა. მხოლოდ მცირეოდენ რჩეულთათვისაა სიტყვები მრავალსაუკუნოვანი გამოცდილების მოწმე და გამოძახილი. სხვებისთვის მხოლოდ მათი და მათი კასტის გამოცდილების ხორცშესხმას წარმოადგენს. ელიტისაგან ნათრევი და მისგან მოძულებული ზოგი სიტყვა ცარიელ სახლს დამგვანებია, სადაც პატრონის წასვლის შემდეგ ახალ ძალებს დაუდევს ბინა. თუ გსურთ, მასპინძელს გაუგოთ, შინ შებრძანდით.

კრისტოფიც სწორედ ასე მოიქცა.

მეზობლის შემწეობით რამდენიმე მუშა გაიცნო. მეზობლად სახელმწიფო რკინიგზის მოხელე ჰყავდა. ორმოცდახუთი წლის კაცი იყო, ვაგლახად გამელოტებული, კაფანდარა, უდროოდ დაბერებული; ლოყები ჩავარდნილი ჰქონდა, თვალები — ამოღამებული, ყურები — სახიჩარი, ცხვირი — ვეება და მოკაკვული. გადაგვარებულ სახეზე ტუჩებიღა შერჩენოდა მეტყველი. ხალხის წიაღიდან როდი იყო გამოსული, საშუალო ბურჟუაზიას ეკუთვნოდა, რიგიან ოჯახს, ერთადერთი შვილის აღზრდაზე რომ დახარჯა რაც რამ ებადა და უსხსრობის გამო მაინც ვერ შეძლო თავის ერისათვის სწავლა გაესრულებინებინა. სრულიად ახალგაზრდამ სახელმწიფო დაწესებულებაში ერთი თანამდებობა იშოვა, მასავით ღატაკ ბურჟუებს ნავსაყუდელი რომ ჰგონიათ და სინამდვილეში სიკვდილია — თავის ცოცხლად დამარხვა. რაკი ერთხელ შედგა შიგ ფეხი, მერე ველარაფრით დააღწია თავი, თანაც შეცდომა დაუშვა (ეს შეცდომაა თანამედროვე საზოგადოებაში) — სიყვარულით შეირთო ლამაზი მუშა ქალი, რომლის თანდაყოლილმა ვულგარულობამაც სულ მალე იჩინა თავი. სამი შვილი შეეძინა. ამათ ყველას ხომ ჭამა უნდოდათ. კაცი ნიჭიერი იყო და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ცდილობდა სწავლა გაესრულებინა; გაჭირვებამ შეუბორკა ხელ-ფეხი. გრძნობდა თავის თავში ფარულ ძალას, რომელსაც დუხჭირი ცხოვრება ახრჩობდა; ხვედრს ვერ იქნა და ვერ შეურიგდა. თავის დღეში არ ყოფილა მარტო. ბუღალტერიის მოხელე იყო და ყოველ ცისმარე დღეს უაზრო მუშაობაში აღამებდა, ოთახში, სადაც სხვა თანამშრომლებიც ისხდნენ, უხამსნი და ლაყბობის მოყვარულნი; ლაპარაკობდნენ ქნინ საგნებზე და თითქოს ჯავრს იყრიდნენ თავიანთი ყოფის აბსურდულობაზე, რაკი დალანძღავდნენ უფროსობას, დასცინებდნენ გოტიესაც, მის ცოდნის წყურვილს, რომლის დასამალავადაც ჭკუა არ ეყო. შინ დაბრუნებულს ხვდებოდა უშნო, აქოთებული ბინა, მყვირალა და ანჩხლი ცოლი, რომელსაც არ ესმოდა მისი გულის დუღილი და სულ უქნარასა და გიჟს ეძახდა. ბავშვებს მამისა არაფერი ეცხოთ, სულ დედას გამოემგვანენ. სამართლიანი იყო ეს? სამართლიანი იყო? ამდენი სიმწარე, ამდენი ტანჯვა, მუდმივი ხელმოკლეობა, ქანცგამცლელი სამუშაო, რომელსაც მაგრად ჩაებღუჯა დილიდან საღამომდე. თავის დღეში ერთი საათითაც ვერ განმარტოვდებოდა, ვერ ჩაუღრმავდებოდა თავს სიმყუდროვეში. ყოველივე ამან ერთიანად გამოფიტა და გააბოროტა. რომ დაევიწყებინა ყველაფერი, ამ ბოლო დროს სმას მიჰყო ხელი, რაც მთლად უღებდა ბოლოს. კრისტოფი გააკვირვა ამ კაცის ტრაგიკულმა ბედმა: ამ საკმაო განათლებასა და არტისტულ გემოვნებას მოკლებულმა ნატურამ, დიდი საქმეებისათვის რომ იყო გაჩენილი, მაგრამ ბედის უკუღმართობამ ქვეშ დაიტნია. გოტიე მყისვე მოებღაუჯა კრისტოფს, როგორც უღონო წყალწაღებულებმა იციან ხოლმე, როცა მათი ხელი გამოცდილი მოცურავის ხელს წააწყდება. კრისტოფს სიმპათიითა და თან შურით უმზერდა. სახალხო კრებებზე ატარებდა და რევოლუციონერთა პარტიების რამდენიმე მეთაურიც უჩვენა, რომელთაც თავად არ უერთდებოდა, რადგან

საზოგადოებას გახლდათ შემომწყრალი. ხელმოცარულ არისტოკრატად მიაჩნდა თავი და მწარედ იტანჯებოდა, ხალხში რომ იყო ათქვეფილი.

კრისტოფი ბევრად უფრო ღვიძლი იყო ხალხისა — მით უმეტეს, რომ ძალას არავინ ატანდა — და მოეწონა ამ მიტინგებზე სიარული. ორატორთა სიტყვები ართობდა, ოლივიესავით ზიზღს კი არ აღუძრავდა გულში. არ აღიზიანებდა მათი სასაცილო სიტყვა-პასუხი. მისთვის ერთი მოლაყბე მეორეს არაფრით სჯობდა და არც დაუვარდებოდა. თავს იკატუნებდა, თითქოს საერთოდ სძულდა მჭევრმეტყველება, მაგრამ თუმც არ ცდილობდა კარგად გაეგო ეს რიტორიკა, მოლაპარაკისა და მსმენელთ მიღმა გუმანით გრძნობდა მის მუსიკას. ორატორის ძალა მსმენელთა გულებში გამოძახილით ასკეცდებოდა. კრისტოფმა ჯერ მხოლოდ ამ ორატორებს მიაქცია ყურადღება და ზოგიერთი მათგანის გაცნობა მოისურვა.

მას, ვისაც ბრბოზე ყველაზე მეტი გავლენა ჰქონდა მოპოვებული, კაზიმირ ჟუსიე ერქვა. ტანად დაბალი კაცი იყო, წაბლისფერთმიანი და ფერმკრთალი, ასე, ოცდაათი თუ ოცდათხუთმეტი წლისა; სახე მონღოლისას მიუგავდა, გამხდარი, ავადმყოფური; თვალები მგზნებარე ჰქონდა და თან ცივი, თმა — მეჩხერი, წვერი — წაწვეტებული. მისი ძლიერება სახის მეტყველებიდან არ მომდინარეობდა; მიმიკა ღარიბი ჰქონდა, იშვიათად ეთანხმებოდა სიტყვას, კიდევ უფრო ნაკლებად მის ხრინწიან ხმას, მღელვარებით, ნაწყვეტ-ნაწყვეტად რომ წამოისროდა წინადადებებს. მსმენელთ ატყვევებდა მისი პიროვნება, მისი სიშმაგე და თავდაჯერებულობა. თითქოს არავის აძლევდა ნებას, მისებურად არ ეფიქრა; და რაკი მისი ნაფიქრ-ნააზრევი გახლდათ ის, რაც მის მსმენელთა გულებს ესალბუნებოდა, მთქმელსა და გამგონეთ კარგად ესმოდათ ერთმანეთისა. სამჯერ, ოთხჯერ, ათჯერ უმეორებდა ხალხს ისეთ რასმე, რასაც გამოელოდნენ მისგან და არ კი იღლებოდა შლეგური სიმტკიცით ერთსა და იმავე ლურსმანზე უროს ცემით; ყველა მისი მსმენელიც უროს ავლებდა ხელს და სცემდა და სცემდა მისი მაგალითით წაქეზებული. მანამ ურტყამდნენ, სანამ ლურსმანი ხორცში ბოლომდე არ ჩაესობოდა. ამ პიროვნულ მომხიბვლელობას ემატებოდა ნდობა, რომელსაც იმსახურებდა მისი წარსული, რაკი პოლიტიკური მოღვაწეობისათვის ბევრჯერ იყო ნასამართლევი. თითქოს არაფერს ძალუძდა მისი ენერგიის დაოკება, მაგრამ ვისაც თვალნი ესხდნენ ხედვად, შეეძლო გაერჩია ძირში დალექილი მძიმე დაღლილობა, ზიზღი ამოდენა ძალისხმევისადმი და ბედისწერის მიმართ ამბოხი. ის ერთი იმათგანი იყო, ვინც ყოველდღე ხარჯავს იმაზე მეტს, ვიდრე მთელი სიცოცხლის მანძილზე იღებს ხოლმე. ბავშვობიდანვე მუშაობა და სიღატაკე აცლიდა სიქას. რა ხელობა არ გამოეცვალა: იყო მეშუშეც, წყალსადენის ოსტატიც, ასოთამწყობიც; ჯანი გაუტყდა, ჭლექი ადნობდა; მწარე სასოწარკვეთილებაში აგდებდა, ხელს აქნევინებდა თავის მიზანზე და თავის თავზე; ხან კი უფრორე აღაგზნებდა. გამიზნული თუ ავადმყოფური ძალმომრეობა, პოლიტიკა და თავდავიწყებული სიფიცხე ძვალსა და რბილში

ჰქონდა გამჯდარი. ავად თუ კარგად, განათლება მიეღო; ზოგი რამ ძალიან კარგად იცოდა მეცნიერებაზე, სოციოლოგიაზე, სხვადასხვა ხელობაზე, ზოგი კი — ძალიან ცუდად; მაგრამ ერთშიაც და მეორეშიაც ერთნაირად იყო დარწმუნებული. მასაც ჰქონდა თავისი უტოპიები, მართებული წარმოდგენები, პრაქტიკული ჭკუა, ცრურწმენანი, გამოცდილება, უვიცობა, ეჭვიანი სიძულვილი ბურჟუაზიული საზოგადოების მიმართ. ამას მისთვის ხელი არ შეუშლია კარგად მიეღო კრისტოფი. გულს ეთნებოდა, რაკი ასეთი განთქმული ხელოვანი დაეძებდა მასთან ნაცნობობას. ის მეთაურთა მოდგმისა იყო და რაც უნდა ექნა, მუშებს მაინც ცოტა ამპარტავნულად უცქეროდა; თუმცა კი გულწრფელად სწადდა სრული თანასწორობა, ამ თანასწორობას უფრო იოლად ამყარებდა მათთან, ვინც მის ზემოთ იდგა, ვიდრე მათთან, ვინც ქვემოთ იყო დარჩენილი.

კრისტოფი მუშათა მოძრაობის სხვა მესვეურებსაც შეხვდა. მათ ერთმანეთი მაინცდამაინც გულზე არ ეხატებოდათ. თუკი საერთო ბრძოლა გაჭირვებით, მაგრამ მაინც ბადებდა საერთო მოქმედებას, გულთა ერთობას ვერ წარმოშ[illegible]და. ცხადად მოჩანდა, თუ რა გარეგნული და უხანო გახლდათ კლასთა შორის განსხვავება. ძველი წინააღმდეგობანი დროებით იყო მივიწყებული, ანდა შენიღბული; მაგრამ არც ერთი არ გამქრალა. აქ ნახავდით ჩრდილოელ და სამხრეთელ ადამიანებს, ერთიმეორისადმი თანდაყოლილი ზიზღი რომ ღრღნიდათ. სხვადასხვა ხელობის ხალხს ერთმანეთის ხელფასი შურდა, აშკარად ქედმაღლურად უცქერდა სხვებს და ხვაშიადის დამალვა აზრადაც არ მოსდიოდა. მაგრამ ყველაზე უფრო განასხვავებდა და მუდამაც განასხვავებს ხალხს სხვაობა ტემპერამენტთა შორის მელიები და მგლები, კბილალესილი მტაცებლები და ბალახიჭამია რქოსანი საქონელი, ისინი, ვინც გაჩენილა, რომ ჭამოს და ისინი, ვინც სხვის ლუკმად გაუჩენია განგებას, ერთმანეთს ყნოსავდნენ გზადაგზა ამ ჯოგში, კლასის შემთხვევითობამ და საერთო ინტერესმა რომ წარმოშვა, სცნობდნენ ერთმანეთს და ჯაგარი ყალყზე უდგებოდათ.

კრისტოფი პატარა კაფე-რესტორანში სადილობას დაეჩვია, გოტიეს ყოფილი კოლეგა, გაფიცვაში მონაწილეობისათვის დათხოვნილი რკინიგზის მოხელე სიმონი რომ განაგებდა. ამ სასადილოში სინდიკალისტები ხშირი სტუმრები იყვნენ. ხუთი თუ ექვსი კაცი იყრიდა თავს ერთ უკანა ოთახში, რომელიც ბნელსა და ვიწრო შიდა ეზოში გადიოდა. იქიდან გამუდმებით მოისმოდა გალიაში გამომწყვდეული, სინათლეს დანატრებული ორი იადონის გალობა. ჟუსიე აქ თავის საყვარელთან ერთად მოდიოდა, ლამაზ ბერტასთან, წარმოსადეგ და კეკლუც, ალისფერთმიან, ფერმკრთალ, მიბნედილ და თვალჟუჟუნა ქალთან. ჯაბის კალთაზე ერთი ლამაზი ბიჭი ჰყავდა გამობმული, ლეოპოლდ გრაიო — ცოტა ქარაფშუტა, ჭკვიანი და პოზიორი მუშა მექანიკოსი! ათლეტი ამ დასისა. ამ კაცს, თუმცა ანარქისტობას ჩემულობდა და თავი ბურჟუაზიის დაუძინებელ მტრად მოჰქონდა, უარესი ბურჟუას სული ედგა. ყოველ დილით წლების განმავლობაში ნთქავდა ერთ სუდ ღირებულ ლიტერატურული გაზეთების ერო-

ტიკულსა და დეკადენტურ ნოველებს. ამ კითხვამ ცოტა უცნაურად მოუქცია გონება. სიამოვნების მისეულ წარმოსახვაში გონებრივი დახვეწილობა შერწყმული იყო ფიზიკური სინატიფის უქონლობასთან, სიბინძურესთან, მისი ცხოვრების უხეშობასთან. მან შეიყვარა ეს პაწია ჭიქა ყალბი, ინტელექტუალური და საფუფუნო ალკოჰოლისა — ბიწიერ მდიდართა ბიწიერი აღგზნება. რაკი ხორციელად მათგვარ ტკბობას ვერ განიცდიდა, ტვინში ინერგავდა. ეს ცულგემოს გიტოვებს პირში, მუხლებს გკვეთს, მაგრამ მდიდრებს უტოლდები და გძაგს ისინი.

კრისტოფს ეს კაცი ჭირის დღესავით ეჯავრებოდა. ელექტრიკოსი სებასტიან კოკარი უფრო მოსწონდა, რომელიც ჟუსიეისი არ იყოს, ხალხის ყველაზე საყვარელი ორატორი გახლდათ. იგი თეორიებით როდი იტენიდა თავს. ყოველთვის თავადაც არ უწყოდა, სად მიდიოდა, მაგრამ წინ ჯიქურ კი მიიწევდა. ნამდვილი ფრანგი იყო, ძალ-ღონით სავსე ვაჟკაცი, ორმოციოდე წლისა. ცოტა გატყაპული სახე ჰქონდა, ფეროვანი; მრგვალი თავი და ხშირი, მწითური თმაწვერი. ხმა და კისერი ხარისას მიუგავდა. ჟუსიეს ოსტატობით არ დაუვარდებოდა, მაგრამ უყვარდა სიცილი და სმა. უღონო ჟუსიე შურით უცქეროდა ამ საოცრად ჯანიან კაცს და თუმცა მეგობრები იყვნენ, მათ შორის ფარულ მტრობას დაებუდებინა.

სასადილოს მეპატრონე ქალი — ორელი — ორმოცდახუთი წლის კეთილი დედაკაცი, რომლის ოდნავ მომჭკნარ სახეზე ახლაც მოჩანდა უწინდელი სილამაზის კვალი, გვერდში მიუჯდებოდა სტუმრებს თავისი ხელსაქმით, გულითადი ღიმილით უსმენდა მათ საუბარს და თან ტუჩებს აცმაცუნებდა; თუ შემთხვევა მიეცემოდა, თავის სიტყვასაც ჩაურთავდა კამათში და ნათქვამის ტაქტს თავს აყოლებდა ისე, რომ მუშაობას წამითაც არ წყვეტდა. მას გათხოვილი ქალი ჰყავდა და კიდევ ორი ბავშვი: შვიდი წლის გოგონა და ათი წლის ბიჭი; და-ძმა სასკოლო დავალებებს გაქონილი მაგიდის კუთხეში აკეთებდა; მონდომებისაგან ენა გამოეყოთ და მათთვის შეუფერებელი საუბრის ნაწყვეტები ჩაესმოდათ ყურში.

ოლივიემ ორჯერ-სამჯერ სცადა კრისტოფს გაჰყოლოდა. მაგრამ თავს უხერხულად გრძნობდა ამ ხალხში. როცა ამ მუშებს არ აკავებთ საამქროების მკაცრი განაწესი, როცა არ უხმობთ ქარხნის საყვირი, ვერც კი წარმოიდგენთ, რამდენი დრო აქვთ დასაკარგი სამუშაოს შემდეგ, ან მუშაობასა და მუშაობას შორის, ან სახეტიალოდ, ან უმუშევრობის გამო. კრისტოფს, რომელსაც ერთერთი თავისი უსაქმო თავისუფლების ჟამი დასდგომოდა, რაკი გონებას მოეთავებინა ერთი ნაწარმოები და მეორის ჩასახვას ელოდა, მათზე მეტად როდი ეჩქარებოდა; სიამოვნებით ეწეოდა, ჭიქას ჭიქაზე სცლიდა და საუბრობდა. მაგიდაზე იდაყვებდაყრდნობილი, მაგრამ ოლივიეს ბურჟუაზიული ინსტინქტები ამბოხს იწყებდა, რაკი არად უღირდათ მისთვის სანუკვარი გონებრივი დისციპლინა, საგულდაგულოდ დაზოგილი დროით რეგულარულ მუშაობას რომ

იყო ჩვეული; დროის ასეთი ფლანგვა საძრახისად მიაჩნდა. არც საუბარი იცოდა და არც სმა ემარჯვებოდა. დაბოლოს, ბუნებრივი სიმორცხვე, ფარული ანტიპათია, განსხვავებული მოდგმის ხალხში რომ იჩენს თავს, გრძნობათ სხვაობა ეურჩებოდა მათს სულთა ერთობას; ხორცი გულს უმხედრებდა. როცა ოლივიე მარტო იყო კრისტოფთან, დიდის მღელვარებით ელაპარაკებოდა ხალხთან დაძმობილების აუცილებლობაზე; მაგრამ როცა ხალხში გაერეოდა, ვეღარაფერს ახერხებდა. კრისტოფი კი, თუმცა დასცინოდა მის იდეებს, სულ ადვილად უძმაკაცდებოდა პირველ შემხვედრ მუშას ქუჩაში. ოლივიეს ძალიან სწყდებოდა გული, ხალხისგან ასე რომ იყო გარიყული. ცდილობდა მათ დამგვანებოდა, მათებურად ეფიქრა, მათებურად ელაპარაკა, მაგრამ არ შეეძლო. მისი ხმა ყრუ იყო და მათ ხმებსავით არა სჭექდა. როცა შეეცდებოდა ზოგიერთ გამოთქმას ხალხს დასესხებოდა, სიტყვები ყელში ეჩხირებოდა, ანდა საოცრად ყალბად ჟღერდა. უკვირდებოდა თავის თავს, წუხდებოდა და სხვასაც აწუხებდა. თვითონაც გრძნობდა ამას. იცოდა, რომ მათთვის უცხო იყო და საეჭვო, რომ არავინ უცქერდა სიყვარულით და როდესაც წამოვიდოდა, ყველა თავისუფლად ამოისუნთქავდა. ყოველ წუთს აწყდებოდა კუშტ, ცივ მზერას, მტრულ გამოხედვას, სიღატაკით განაწამები მუშები რომ ესვრიან ხოლმე ბურჟუებს. ცოტას იქნებ კრისტოფსაც უბღვერდნენ, მაგრამ ის ვერაფერს ხვდებოდა.

მთელი ამ კრებულიდან ერთადერთნი, ვისაც ოლივიესაკენ მიუწევდა გული, ორელის შვილები იყვნენ. მათ, ცხადია, ბურჟუას ზიზღი არ იცოდნენ. პატარა ბიჭი მოჯადოებული იყო აზრთა ბურჟუაზიული მდინარებით; ის საკმაოდ ჭკვიანი გახლდათ, რომ ჰყვარებოდა იგი, მაგრამ რომ გაეგო კიდეც, საამისოდ გონი არ შესწევდა. გოგონა ძალიან ლამაზი იყო. ერთხელ ოლივიემ ქალბატონ არნოსთან წაიყვანა სტუმრად და პატარა უზომოდ მოიხიბლა სიმდიდრით. აღტაცებისგან ენა ებმოდა, როცა ლამაზ სავარძლებში ჯდებოდა, ხელს ავლებდა ლამაზ კაბებს. მას პაწია როსკიპის ინსტინქტები ჰქონდა, ქარაფშუტა გოგონასი, რომელიც ოცნებობს გაექცეს ხალხს და ბურჟუაზიული კომფორტის სამოთხეში ამოჰყოს თავი. ოლივიეს სულაც არ სურდა ამ მიდრეკილებათა გაღვივება; და ეს გულუბრყვილო აღტაცება, მის კლასს რომ მიუპყრობდნენ, სულაც არ ანუგეშებდა, სხვა დანარჩენთა მტრული მზერისაგან აშლილ დარდებს ვერ უქარვებდა. ოლივიეს სტანჯავდა მათი მტრული გამოხედვა, მას ხომ ისე მგზნებარედ სწადდა ამ ხალხს შეთვისებოდა! სინამდვილეში კიდევაც ესმოდა მათი, ძალიან კარგადაც ესმოდა, ოღონდ ეს იყო, ჩაციებით აკვირდებოდა ყველას და მით აღიზიანებდა. უტიფარი ცნობისწადილი როდი ამოძრავებდა, სულთა ანალიზი ჩვეად ჰქონდა გადაქცეული.

მალე შენიშნა ჟუსიეს ცხოვრების იდუმალი დრამა: ძლიერი სენი და მისი საყვარლის სასტიკი თამაში. ქალს უყვარდა ჟუსიე, ეამაყებოდა; მაგრამ თავად იყო ძალზე ცოცხალი; კაცმა იცოდა, რომ ქალი ხელიდან გაუსხლტებოდა და

ეპვი უფლეთდა გულს. ქალი ერთობოდა ამით; იწვევდა მამაკაცებს, თვალებს უჟუჟუნებდა, ახელებდა: ნამდვილი შეითანი იყო; იქნებ ღალატობდა კიდეც გრაიოსთან. იქნებ სიამოვნებდა, ჟუსიეს ეფიქრა, მატყუებსო. დღეს თუ არა, ხვალ ხომ ნამდვილად მოატყუებდა. ჟუსიე ვერ ბედავდა აეკრძალა მისთვის ჰყვარებოდა ის, ვინც მოსწონდა. განა ქალისათვის, ისევე, როგორც კაცისათვის, თვითონვე სრულ თავისუფლებას არ მოითხოვდა? ეს კიდევაც შეახსენა სატრფომ ცბიერი უტიფრობით ერთ დღეს, როცა ჟუსიე ღალატს სწამებდა. მტანჯველი ბრძოლა მიმდინარეობდა კაცის გულში მის თავისუფალ თეორიებსა და შმაგ ინსტინქტებს შორის. გულით ისევ წინანდელი მამრი იყო, დესპოტური და ეჭვიანი; გონებით — მომავლის ადამიანი, უტოპიის კაცი. ქალი კი გუშინდელიც იყო და დღევანდელიც — მარადიული. და ოლივიეს, ამ ფარულ ორთაბრძოლას რომ ესწრებოდა, ბრძოლას, რომლის სისასტიკეც გამოცდილებით იცოდა, მთელი სულითა და გულით ებრალებოდა ჟუსიე, რაკი მის სისუსტეს ხედავდა. მაგრამ ჟუსიეც ხვდებოდა, ოლივიე ჩემს გულში კითხულობსო და სულაც არ ემადლიერებოდა.

სხვაც ადევნებდა თვალს ლმობიერად ამ სიძულვილ-სიყვარულის თამაშს. ეს სხვა კაფეს პატრონი ორელი გახლდათ. ისიც ყველაფერს ხედავდა, მაგრამ არაფერს იმჩნევდა. ცხოვრებას კარგად იცნობდა. ამ კეთილ, მშვიდსა და თავდაჭერილ ქალს ბობოქარი ახალგაზრდობა ჰქონდა გამოვლილი. მეყვავილე იყო და ერთი ბურჟუა გაიჩინა საყვარლად; სხვებიც ჰყოლია. შემდეგ მუშას გაჰყვა ცოლად და კარგი ოჯახის დედა დადგა. მაგრამ ესმოდა გულის ყველა სიგიჟე, ჟუსიეს ეჭვიანობაცა და ამ „ახალგაზრდობისაც", გართობას რომ იყო დახარბებული. თითო-ოროლა ალერსიანი სიტყვით ცდილობდა თანხმობის ჩამოგდებას.

— უნდა დაუთმოთ ერთმანეთს! ასეთი ცოტა რამის გულისათვის სისხლის ამღვრევა არ ღირს...

და არ უკვირდა, რომ მისი სიტყვები სულ არა სჭრიდა.

— სიტყვები არასოდეს სჭრის... ყოველთვის უნდა იტანჯონ...

ამას ხალხური უდარდელობა ათქმევინებდა, ძვალ-რბილში რომ ჰქონდა გამჯდარი; უდარდელობა, რომელსაც უბედურება დიდხანს ვერ ეკარება. ბედი მასაც მკაცრად მოექცა. სამი თვის წინ თხუთმეტი წლის ვაჟი მოუკვდა. კინაღამ გაგიჟდა დარდისაგან. ახლა ისევ ძველებურად პირმღიმარი დაფუსფუსებდა. ამბობდა ხოლმე:

— ფიქრს რომ დაუდო თავი, ვეღარ იცხოვრებ.

და აღარ ფიქრობდა. ეს ეგოიზმი როდი იყო. სხვაგვარად არ შეეძლო, მისი სიცოცხლისუნარიანობა იმდენად ძლიერი იყო, აწმყო მთლიანად ნთქავდა: სად შესწევდა ძალი წარსულზე ფიქრს გადაჰყოლოდა. ეგუებოდა იმას, რაც იყო, შეეგუებოდა იმასაც, რაც იქნებოდა. თუ რევოლუცია მოხდებოდა და თავდაყირა დააყენებდა იმას, რაც ფეხზე იდგა და ფეხზე წამოაყენებდა იმას, რაც თავდაყირა იყო მოქცეული, ქალი მუდამ მოახერხებდა ფეხზე დადგომას, გაა-

კეთებდა იმას, რაც ჰქონდა გასაკეთებელი, ყველგან თავის ადგილას იქნებოდა, საცა დააყენებდნენ. კაცმა რომ თქვას, რევოლუციისა მაინცდამაინც როდი სჯეროდა. რწმენა უკვე აღარაფრისა ჰქონდა. ზედმეტია დავსძინოთ, რომ გაჭირვებაში ჩავარდნილი კარტზე ამარჩიელებინებდა, თავის დღეში არ ავიწყდებოდა პირჯვრის გადაწერა, როცა მკვდარს ჩაატარებდნენ. ძალიან თავისუფალი და შემწყნარებელი ეს ქალი პარიზელი ხალხის ჯანსაღი სკეპტიციზმით უცქეროდა ყველაფერს, ხალხისა, რომელიც ეჭვობს ისევე, როგორც სუნთქავს, ლაღად და თავისუფლად. თუმცა კი რევოლუციონერის ცოლი იყო, მაინც დედობრივი ირონიით უცქეროდა ქმრისა და მისი პარტიის იდეებს: და სხვა პარტიების იდეებსაც მეტის მოწიწებით როდი ეპყრობოდა. მათ უყურებდა ისე, როგორც ახალგაზრდობის სიშლეგეს და მოწიფულობის ხნისასაც. ბევრად არაფერს ნაღვლობდა, მაგრამ ყველაფერი აინტერესებდა. ბედნიერებისა და უბედურებისათვის ერთნაირად მზად იყო. მოკლედ, ოპტიმისტი გახლდათ.

— გულს ნუ გაიხეთქ!.. ყველაფერი მოგვარდება, ოღონდ ჯანმრთელობა იყოს...

ეს ქალი კარგად უნდა შეწყობოდა კრისტოფს. მათ ბევრი სიტყვები არ დასჭირვებიათ, რომ დაენახათ, ერთი მოდგმისა ვართო. დროდადრო დამცინავად, კეთილად შეჰღიმილებდნენ ერთმანეთს, როცა სხვები გაცხარებით კამათობდნენ და გაჰყვიროდნენ. მაგრამ უფრო ხშირად ქალი მარტო იცინოდა, რაკი ხედავდა, რომ კრისტოფიც ჩაეთრია კამათს და შიგ კიდევ უფრო მეტ მგზნებარეგას აქსოვდა, ვიდრე დანარჩენები.

კრისტოფი ვერ ამჩნევდა ოლივიეს მარტოობასა და უხერხულობას. ის არც ცდილობდა ამოეკითხა, სხვათა გულებში რა ხდებოდა. მადიანად ჭამდა და სვამდა მათთან ერთად, მათთან ერთად იცინოდა და ჯავრობდა. ისინიც არ უფრთხოდნენ, თუმცა კი ცხარედ ეკამათებოდნენ ხოლმე. კრისტოფი მათ პირდაპირ ეუბნებოდა სათქმელს, როდი ერიდებოდა. კაცმა რომ თქვას, გაუჭირდებოდა კიდეც ეთქვა, მათი მომხრე იყო თუ წინააღმდეგი. ამას არც ეკითხებოდა თავის თავს. რომ დაეძალებინა ვინმეს, უეჭველია, სინდიკალისტობას ირჩევდა და სოციალიზმსა და ყოველგვარ სახელმწიფოებრივ დოქტრინას გადაუდგებოდა. სახელმწიფო ნამდვილ ურჩხულად მიაჩნდა, მრავლად რომ წარმოშობს მოხელეებს — ადამიან-მანქანებს. მის გონებას საქებურად უჩნდა ძლიერი ძალისხმევა კორპორაციული დაჯგუფებებისა, რომლის ორლესული ხანჯალიც ერთნაირის ძალით სცემს სოციალისტური სახელმწიფოს მკვდარ აბსტრაქციასა და ბერწ ინდივიდუალიზმს — ენერგიის ამ დაქუცმაცებას, სახალხო ძალის დანამცეცებას ცალკეულთა სისუსტედ—დღეისდღეობის დიდ უბედურებას, რომლის გაჩენაშიც ნაწილობრივ ფრანგულ რევოლუციას ედება ბრალი.

მაგრამ ბუნება უფრო ძლიერია, ვიდრე გონება. როცა კრისტოფს შეხვედრა უწევდა სინდიკალისტებთან — სუსტთა ამ საშინელ დაჯგუფებასთან —

ბისი მძლავრი ინდივიდუალიზმი ყალყზე დგებოდა. მას არ შეეძლო არ შეზიზღებოდა ეს ადამიანები, რომლებიც ერთმანეთს უნდა მობღაუჭებოდნენ იმისათვის, რომ საბრძოლველად წასულიყვნენ; და თუ ამ კანონს მათთვის მაინც ვარგისად მიიჩნევდა, აღიარებდა, ეს საჩემო კანონი არაა. ამას ზედ ისიც დაურთეთ, რომ თუ ჩაგრულნი თავიანთ სისუსტეში შესაბრალისნი არიან, გულმისასვლელნი აღარ ეთქმით, როცა თავად იქცევიან მჩაგვრელებად. კრისტოფს, წინათ კეთილი ნების ეულ ადამიანებს რომ უყვიროდა: „შეერთდითო!“ ტანში უსიამოდ გასცრა, როცა პირველად მოხვდა ამ ხალხის კრებაზე; ნახა, რომ ხალხი, გარს რომ ეხვია, ნაკლებ კეთილი აღმოჩნდა; ყველა თავის უფლებებს აფუძნებდა, ძალას აჩენდა და მზად იყო ბოროტად გამოეყენებინა იგი. საეკეთესონი, ისინი, რომლებიც კრისტოფს უყვარდა, რომელთაც „შინ“ შეხვდა ყველა სართულზე მაცხოვრებელთ, ახლოსაც არ ეკარებოდნენ ამ საბრძოლო კავშირებს. გულით ერთობ აზიზნი და მორცხვები იყვნენ საამისოდ. ისინი შობილიყვნენ იმისათვის, რომ პირველები გაეჭყლიტათ ამ ასოციაციებს. მუშათა მოძრაობას ისევე უცქეროდნენ, როგორც ოლივიე. კრისტოფის სიმპათია კი იხრებოდა მშრომელებისაკენ, რომლებიც ირაზმებოდნენ. მაგრამ თავად სიყმიდანვე თავისუფლების კულტს მონებდა, რევოლუციონერები კი დიდად არ დარდობდენ ამ თავისუფლებაზე. კაცმა რომ თქვას, დღეს ვიღა ზრუნავს თავისუფლებაზე? ელიტა, რომელსაც არავითარი გავლენა არა აქვს საზოგადოებაზე. თავისუფლებას შავი დღე ადგას. რომის პაპები დევნიან გონების სინათლეს. პარიზის პაპები ცათა შუქს აქრობენ[1] ბატონი პატო კი — ქუჩებისას. ყველგან იმპერიალიზმს გაუმარჯვნია. რომის ეკლესიის თეოკრატიულ იმპერიალიზმს, მერკანტილური და მისტიკური მონარქიების სამხედრო იმპერიალიზმს, კაპიტალისტური რესპუბლიკების ბიუროკრატიულ იმპერიალიზმს, რევოლუციური კომიტეტების დიქტატორულ იმპერიალიზმს. საბრალო თავისუფლებავ, შენ საამქვეყნოდ არა ხარ შობილი!.. უფლებათა ბოროტად გამოყენება, რევოლუციონერები რომ ქადაგებდნენ და არც საქმით თაკილობდნენ, აცოფებდა კრისტოფსა და ოლივიეს. ისინი პატივს არა სცემდნენ ისეთ მუშებს, რომელთაც არ სურდათ გატანჯულიყვნენ საერთო საქმისათვის, მაგრამ მათზე ძალდატანებაც შემაძრწუნებლად მიაჩნდათ. მაინც მოუწევდათ არჩევანის გაკეთება. სინამდვილეში დღეს იმპერიალიზმსა და თავისუფლებას შორის როდი გვიწევს ამორჩევა. არჩევანი გვიხდება იმპერიალიზმსა და იმპერიალიზმს შორის.

ოლივიე ამბობდა:

— არც ერთი მინდა და არც მეორე. მე ჩაგრულთა მხარეს ვარ.

კრისტოფს ნაკლებად როდი სძულდა მჩაგვრელთა ტირანია. მაგრამ ის ძალის ტალღას გაეტაცნა აჯანყებულ მშრომელთა ლაშქრის კვალდაკვალ.

---

[1] მინიშნება ენაწყლიან ვივიანის მიერ პალატაში წარმოთქმულ სასაცილო სიტყვაზე (ავტორის შენიშვნა).

თვითონ კერაფერს ხვდებოდა. თანამეინახეთ უცხადებდა, მე ჩემი გზა მაქვსო.

— სანამ მხოლოდ მატერიალური ინტერესები გამოძრავებთ, მხარს ვერ აგიბამთ. იმ დღეს კი, როცა რწმენისათვის აღსდგებით, მეც თქვენად მიგულეთ. თორემ რა მესაქმება ორ სტომაქს შორის? მე ხელოვანი ვარ და ხელოვნების დაცვა მევალება. რომელიმე პარტიას მსახურად ვერ გავუხდები. ვიცი, რომ ამ ბოლო ხანებში პოპულარობის ანგარებიანი წყურვილით ანთებულმა პატივმოყვარე მწერლებმა ცუდი მაგალითი მოგვცეს, თუმცა დიდი სარგებლობა არ უნდა მოეტანოთ საქმისათვის, ამგვარად რომ იცავდნენ; მაგრამ ხელოვნებას კი უღალატეს. ჩვენ გონიერების სხივის გადარჩენა გვაწევს ვალად. აი ჩვენი ვალი. დე, ამას თქვენს ბრმა ბრძოლებში ნუ გაურუვენ! ვიღა დაიჭერს სინათლეს, ჩვენც რომ გავაგდოთ ხელიდან? თქვენც გეამებათ, ხლეუხლებელს რომ ჩაგაბარებთ ბრძოლის შემდეგ. მუდამ უნდა არსებობდნენ მუშები, რომელთა ვალიც იქნება თვალყური მიადევნონ, ღუმელში ცეცხლი არ ჩაქრეს, სანამ გემბანზე ბრძოლაა გამართული. ყველაფრის გაგება გვმართებს, არ უნდა გვძულდეს არაფერი. ხელოვანი კომპასია, რომელიც ქარიშხლის დროსაც მუდამ ჩრდილოეთს უჩვენებს...

კრისტოფს ფრაზიორად ნათლავდნენ; ამბობდნენ, საკუთარი კომპასი დაუკარგავსო და თავს ნებას აძლევდნენ ცოტა ქედმაღლურად ეცქირათ მისთვის. მათთვის ხელოვანი გაქნილი კაცი იყო, რომელსაც ისე მოეწყო ცხოვრება, რომ რაც შეიძლება ნაკლებად და სასიამოვნოდ ემუშავა.

კრისტოფი პასუხობდა, მეც თქვენდენს ვმუშაობ, თქვენზე მეტსაცო და თქვენზე ნაკლებად: მეშინია შრომისო. არაფერი ურევდა გულს ისე, როგორც საბოტაჟი, სამუშაოს წახდენა, პრინციპად გამხდარი უსაქმურობა.

— რა საცოდავები არიან ეს ადამიანები, — ამბობდა იგი, — ასე რომ უფრთხილდებიან თავიანთ ძვირფას ტყავს!.. ღმერთო ჩემო! მე ათი წლიდან მუხლჩაუხრელად ვმუშაობ. თქვენ არ გიყვართ მუშაობა, თქვენ არსებითად ბურჟუები ხართ... ის მაინც შეგეძლოთ — დაანგრიოთ ძველი სამყარო. მაგრამ ძალა არ შეგწევთ. არც კი გინდათ. დიახ, არა გსურთ. ტყუილად ბღავით, იმუქრებით, თავი ყველაფრის გამანადგურებლად მოგაქვთ. მარტო ერთი აზრი გიტრიალებთ თავში: ხელთ იგდოთ და ჩაწვეთ ბურჟუათა ჯერ კიდევ თბილ საწოლებში. მხოლოდ რამდენიმე ასეული საწყალი ყმაწვილი მიწის მთხრელია მუდამ მზად, დასთხიოს საკუთარი ან სხვათა სისხლი, თავადაც რომ არ უწყის, რატომ: სიამოვნებისათვის, ტანჯვისათვის, ასწლოვანი ტანჯვისათვის. სხვები მხოლოდ იმაზე ფიქრობენ, წიხლი ჰკრან თავიანთ ბანაკს, როგორმე შეძვრნენ ბურჟუაზიის რიგებში პირველ შესაძლებლობისთანავე. სოციალისტობას, ჟურნალისტობას, კონფერანსლექტორობას, მინისტრობას ჩემულობენ... ეჰ! იმათ რას უყიჟინებთ! თქვენ მათ როდი სჯობიხართ. ამან და ამან გვიღალატაო, ამბობთ?.. კეთილი. ახლა ვისი ჯერია? ყველანი მაგ გზას დაადგებით. ვერც ერთი თქვენგანი ვერ გაუძლებს, მისატყუებელი.. საკენკი თუ დაუყარეს. როგორ

შეიძლებთ? არც ერთ თქვენგანს არ სჯერა სულის უკვდავებისა. ცარიელა სტომაქები ხართ და მეტი არაფერი; პირშიაც გეუბნებით, ცარიელა სტომაქები ხართ; ამოყორვას რომ ცდილობენ-მეთქი.

ამაზე ისინი ჯავრდებოდნენ და ყველანი ერთბაშად იწყებდნენ ყვირილს. კამათს ისე შეჰყვებოდნენ, რომ ვნებით ატანილი კრისტოფი უფრო რევოლუციონერი გამოდიოდა, ვინემ დანარჩენები. ამაოდ უარობდა: მისი ინტელექტუალური სიამაყე, მისი შემწყნარებლური თვალთახედვა წმინდად ესთეტიკური სამყაროსი, რომელიც სულ სიხარულისა და გონებისაგან იქნებოდა შეთხზული, მიწის ქვეშ ინთქმებოდა უსამართლობის შემხედვარე. რაა ესთეტიკა იმ ქვეყანაში, სადაც ათიდან რვა კაცი სიღატაკეში ცხოვრობს ან ხელმოკლეობას განიცდის, ნივთიერსა თუ მორალურ სიღატაკეს? კარგით ერთი! წინდაუხედავი ბედის ნებიერი უნდა იყო, ეს რომ ინატრო. კრისტოფისთანა ხელოვანს გულის სიღრმეში არ შეეძლო მშრომელთა მხარეს არ ყოფილიყო. გონების მუშაკზე მეტად ვინ გატანჯულა სოციალური გარემოს იმორალურობით, ბედთა აღმაშფოთებელი უთანასწორობით? ხელოვანს შიმშილით სული ამოსდის, ანდა მილიონერი ხდება და საამისოდ სხვა მიზეზი არ არსებობს, თუ არ მოდისა და მათი კაპრიზი, ვინც სპეკულაციას ეწევა ამ მოდით. საზოგადოება, რომელიც დასაღუპად სწირავს თავის რჩეულ შვილებს, ან გასამრჯელოს ისე მიუზღავს, როგორც მოეპრიანება, ურჩხულია: ის უნდა განადგურდეს. ყოველ კაცს, მუშაობს თუ არა, აქვს უფლება დღიური ლუკმა ჰქონდეს. ყოველი სამუშაო, კარგია თუ საშუალო, უნდა ნაზღაურდებოდეს არა მისი რეალური ღირებულებით (ვინაა ამის შეუმცდარი მსაჯული?), არამედ მშრომელი კაცის კანონიერი მოთხოვნილებით. ხელოვანს, მეცნიერს, გამომგონებელს, ვინც საზოგადოებას ასახელებს, საზოგადოებამ უნდა გაუჩინოს საკმარისი სახსარი, რომ მისცეს დრო და საშუალება თავის ხალხს კიდევ უფრო მეტად გაუთქვას სახელი. ეს იკმარებს მათთვის. „ჯოკონდა“ არ ღირს ერთ მილიონად. არაფერი საერთო არაა რაღაც თანხასა და ხელოვნების ნაწარმოებს შორის; ხელოვნების ნაწარმოები არც უფრო მაღლა მდგომია და არც უფრო დაბლა მდგომი; ის მას გარეთაა; მის ანაზღაურებაში როდია საქმე; საქმე ისაა, ხელოვანმა იცხოვროს. მიეცით საზრდო და მშვიდად მუშაობის უფლება! სიმდიდრე ზედმეტი ბარგია: ეს სხვების გაქურდვას უდრის. პირდაპირ უნდა ითქვას: ყოველი კაცი, ვისაც იმაზე მეტი აქვს, ვიდრე მისი და მისიანების არსებობასა და წორმალურ გონებრივ განვითარებას სჭირდება, ქურდია. რაც მას ზედმეტი აქვს, სხვებს აკლიათ. ჩვენ მწარედ ვიღიმებით, როცა საფრანგეთის ამოუწურავ სიმდიდრეზე, ქონებათა სიუხვეზე ლაპარაკი გვესმის; ჩვენ, მშრომელი ხალხი, მუშები, ინტელიგენცია, კაცები და ქალები, ვინც ბავშვობიდანვე მუშაობით სიქას ვიცლით. შიმშილით სული რომ არ ამოგვხდეს და ხშირად ვხედავთ, რომ საუკეთესონი ტვირთს ვერ უძლებენ; ჩვენ, რომლებიც ერის ცოცხალი ძალა ვართ! თქვენ კი, ვისაც ქვეყნის სიმდიდრე ყელში ამოგდით, ჩვენი ტანჯვისა და აგონიის ფა-

სად ხართ მდიდრები. ეს თქვენ არ გაღელვებთ, თქვენ თავის დღეში არ მოგაკლდებათ გულის გამაკეთებელი სოფიზმები: ეს საკუთრების წმიდათაწმიდა უფლებაო, ჯანსაღი ბრძოლაო სიცოცხლისათვის, ეს პროგრესის უზეშთაესი ინტერესებიო; ლეგენდარული ურჩხული, ეს სათუო უკეთესობა, რომელსაც მსხვერპლად სწირავენ კეთილდღეობას — სხვათა კეთილდღეობას! მაგრამ მარტო ეს როდია. ჩვენ სამყოფიც არ გაგვაჩნია. თქვენ თავზე გადაგდით საბადებელი. თანაც ჩვენ გჯობივართ. თუ უთანასწორობა მოგწონთ, უფრთხილდით, ხვალ თქვენკენ არ მოიბრუნოს კეხი!

ერთი სიტყვით, ვნებები, გარს რომ ერტყა, კრისტოფსაც თავბრუს ახვევდა ხოლმე. მერე თავადაც უკვირდა, ამდენს რა მალაპარაკებდაო. მაგრამ თავს. მაინცდამაინც როდი იტკივებდა ფიქრით. ერთობოდა ამ აღგზნებითა და ღვინოს აბრალებდა ყველაფერს. მხოლოდ იმას ნანობდა, ღვინო რომ უკეთესი არ იყო და რაინული ღვინოების ქებას იწყებდა. კიდევაც სჯეროდა, რევოლუციურ იდეებს ჩემთან ხელი არა აქვსო. მაგრამ ხდებოდა უცნაური რამ: კრისტოფი კამათში სწორედ მაშინ აქსოვდა მეტ ვნებას, როცა თანამეინახეთ გზნება აკლდებოდათ.

მათ კრისტოფზე ნაკლები ილუზიები ჰქონდათ. თვით მძვინვარე წინამძღოლებიც კი, რომლებიც შიშის ზარს სცემდნენ ბურჟუაზიას, გულის სიღრმეში მერყეევნი და უკიდურესი ბურჟუები იყვნენ. კოკარს, საჯიშე ულაყივით რომ ჭიხვინებდა, ხმას იბოხებდა და გააფთრებით იქნევდა ხელებს, მხოლოდ სანახევროდ სჯეროდა იმისა, რასაც ქადაგებდა: ის ძალმომრეობის ბაქია მქადაგებელი იყო. დღის სინათლეზე გამოჰქონდა ბურჟუათა სილაჩრე, მათი შიშით იქცევდა თავს, თან უფრო ძლიერად სურდა გამოჩენილიყო, ვინემ სინამდვილეში გახლდათ; დიდი დაძალებაც არ უნდოდა, ამეებს თვითონ აღიარებდა სიცილით კრისტოფთან. გრაიო ყველაფერს აკრიტიკებდა, რის გაკეთებასაც აპირებდნენ: ყველა გეგმას ფუშავდა. ჟუსიე საკუთარ ნათქვამს არ გადავიდოდა, თავის დღეში არ სურდა მტყუანი გამოსულიყო. ძალიან კარგად ხედავდა, რა ნაკლიც სჭირდა მის საბუთებს და მით უფრო ჯიუტად ადგა თავის აზრს, თავისი საქმის გამარჯვებასაც კი მსხვერპლად შესწირავდა, ოღონდ სხვებს არ ეფიქრათ, საკუთარ სიმართლეში ეჭვი შეეპარაო. მაგრამ ჯიუტი რწმენიდან ირონიულ პესიმიზმში იცოდა ჩავარდნა; მწარედ კიცხავდა იდეოლოგიათა სიცრუესა და ჩიოდა ყველა ძალისხმევის ამაოებაზე.

მუშათა უმეტესობაც მათ ჰგავდა. ერთ წუთს სიტყვებით მთვრალნი რომ იყვნენ, მეორე წუთს გული უცრუვდებოდათ ყველაფერზე. უსაზღვრო იმედები ჰქონდათ, მაგრამ ეს იმედები არაფერზე არ იყო დაფუძნებული; ეს ილუზიები თავად არ მოუპოვებიათ და არ შეუქმნიათ; მზამზარეული მიიღეს, რაც შეიძლება ნაკლები ძალის დახარჯვის კანონით, მოცალეობის ჟამს, სხვა დროს სამიკიტნოებისაკენ რომ მიჰყავდა ისინი. ეს გახლდათ ფიქრის უკურნებელი

სიზარმაცე, რომელსაც ზომაზე მეტი ჰქონდა საპატიო: ღონემიხდილი პირუ-ტყვი იმასღა ცდილობს, მიეგდოს სადმე, რომ მშვიდად გადაცოხნოს საჭმელი და თავისი ოცნებანი. მაგრამ ნაოცნებარს აღარაფერი რჩებოდათ უარესი დაღლილობისა და პირში მწკლარტე გემოს მეტი. აირჩევდნენ და ეთაყვანე-ბოდნენ რომელიმე მეთაურს, მაგრამ სულ მალე ეჭვით უწყებდნენ ცქერას და ზურგს აქცევდნენ. ყველაზე სამწუხარო კი ის იყო, რომ ვერც ვერავინ გაამ-ტყუნებდა: მეთაურები ერთიმეორის მიყოლებით ეხარბებოდნენ ზოგი — წარმატებას, ზოგი — სიმდიდრეს, ზოგიც — პატივმოყვარეობას. ჟუსიეს ცთუნებისაგან იცავდა ჭლექი, ძალ-ღონეს რომ აცლიდა და თავს წამომდგარი სიკვდილი; სხვები კი ღალატსა რჩეობდნენ, ან ფარ-ხმალს ყრიდნენ დაქანცულ-ები. ისინი მსხვერპლად უხდებოდნენ იარას, რომელიც იმხანად ყველა პარ-ტიის პოლიტიკურ მოღვაწეთ ღრღნიდა. ცთუნებას ქალით თუ ფულით, ფულით და ქალით (ეს ორი სენი არსებითად მხოლოდ ერთია) ყველგან გაედგა ფესვი. მთავრობაშიც და ოპოზიციაშიც მრავლად იყვნენ უნიჭიერესი ადამიანები, რომ-ლებსაც დიდ სახელმწიფო მოღვაწეებად შეეძლოთ გახდომა და სხვა დრო რომ ყოფილიყო, შეიძლება, გამხდარიყვნენ კიდეც, მაგრამ რწმენა არა ჰქონდათ; არც ხასიათი მოსდევდათ. გაჭირვებამ, ჩვეულებამ, დაღლილობამ, ტკბობის წყურვილმა ისინი გაანერვიულა; ტკბობის წყურვილი გახლდათ, ბევრ მათგანს ვრცელი გეგმებისათვის რომ შეაქცევინა ზურგი და ხელი უთავბოლო საქმე-ებისათვის მოაკიდებინა; დაავიწყდათ სამშობლო და მათი საქმე, რომ დაესვე-ნათ და განცხრომას მისცემოდნენ. საკმაოდ ყოჩაღნი იყვნენ საიმისოდ, რომ ბრძოლაში გაეწირათ თავი, მაგრამ ამ მეთაურთაგან ცოტა თუ გამოჩნდებოდა ისეთი, ვისაც შეეძლო საქმის კეთებისას მომკვდარიყო ფუჭი ბაქიაობის გარე-შე, საჭეზე ხელჩავლებული და თავის პოსტზე უძრავად მდგარი.

ამ დედის მუცლით დაყოლილი სისუსტის შეგნება ხერხემალში ხსნიდა რევოლუციას. მუშები მთელ დროს იმაში ატარებდნენ, რომ ერთმანეთს სდებ-დნენ ბრალს. მათი-გაფიცვები მუდამ წარუმატებლად მთავრებოდა, რაკი მეთაუ-რები, ან თვით გაფიცულნი ერთმანეთში ვერ რიგდებოდნენ; აზრთა სხვადა-სხვაობა იყო რეფორმისტებსა და რევოლუციონერებს შორის, მონობას ჩვე-ულთ შიშით გული ელეოდათ და მთავრობის პირველსავე მოთხოვნაზე კვლავ უღელს იდგამდნენ ქედზე; მარცხდებოდნენ მხდალი ეგოიზმისა და იმათი სიმ-დაბლის წყალობით, ვინც სარგებლობდა სხვათა ამბოხით და პატრონებს ეკედ-ლებოდა, რომ ძვირად დაესვა მათთვის თავიანთი ანგარებიანი ერთგულება. ამას დაუმატეთ ბრბოთა დამახასიათებელი უწესრიგობა, მათი ანარქიული ბუ-ნება. მათ დიაღაც რომ სურდათ კორპორაციული გაფიცვები მოეწყოთ, რო-მელთაც რევოლუციური ხასიათი ექნებოდათ; მაგრამ არ სურდათ რევოლუ-ციონერთა სახელი დარქმეოდათ. ხიშტები სულაც არ ხიბლავდათ. უნდოდათ ისე მოეწვათ ერბო-კვერცხი, რომ კვერცხი არ გაეტეხათ. ყოველ შემთხვევაში, ერჩიათ, გატეხილი კვერცხი მეზობლისა ყოფილიყო.

ოლივიე უცქერდა, აკვირდებოდა და აღარ უკვირდა. იგი მიხვდა, თუ რაოდენ კნინნი იყვნენ ეს ადამიანები იმ საქმესთან შედარებით, რომელსაც შესჭიდებოდნენ; მაგრამ დაინახა ის ფატალური ძალაც, ისინი რომ ჩაეთრია; ამჩნევდა იმასაც, რომ კრისტოფი შეუგნებლად მიჰყვებოდა მდინარებას. თვითონ კი, ვისაც სანატრელი მხოლოდ ის ჰქონდა — ტალღამ მეც გამიტაცოსო, ნაკადს გამოერიყა. ნაპირზე რჩებოდა და უცქეროდა, წყალი როგორ მიდიოდა.

ძლიერი ნაკადი კი იყო: ვნებათა, ინტერესთა და რწმენის ქარიშხალი ამოეგდო; მძლავრად აწყდებოდნენ ერთმანეთს, ერთიმეორეში ინთქმებოდნენ აღქაფებულნი. მეთაურები თავში იდგნენ, ყველაზე ნაკლებ თავისუფალნი, რადგან მათაც აწვებოდნენ, იქნებ ყველაზე მეტადაც, თუმც კი აზრადაც არ მოსდიოდათ ეს ამბავი. წინათ თვითონაც სწამდათ, იმ მღვდლებს მოჰგვანდნენ, უწინ რომ მასხრად იგდებდნენ, თავიანთ რწმენაში ჩაკეტილან და ბოლომდე მისი ქადაგება უწერიათო. ახლა ამ დღეში თავად იყვნენ. უკან ფარა მოჰყვებოდათ, უმეტესწილად მძვინვარე, არასანდო და მოკლე თვალთახედვის პატრონი. უმეტესობას წამხედურობით სჯეროდა, ფეხის ხმას იყო აყოლილი, რადგან ნაკადი ახლა ამ უტოპიების მხარეს მიჰქროდა; საღამოთი კი რწმენა გაუქრებოდათ; რაკი ქარი შეიცვლებოდა. ბევრს იმიტომ სჯეროდა, რომ მოქმედება სწყუროდა, სურდა თავს რამე გარდახდენოდა. სხვებს — საღ აზრს მოკლებული პეიტრული ლოგიკის გამო. ზოგს — სიკეთის წყალობით. წინდახედულები მხოლოდ საომარ იარაღად იყენებდნენ იდეებს; ისინი ხელფასის მომატებისათვის იბრძოდნენ, სამუშაო დღის შემცირებისათვის. დიდი მადის მქონენი იდუმალ იმედოვნებდნენ, სამუდამოდ ჩამოვეხსნებით ღატაკურ ცხოვრებას და წილს ერთიასად ამოვიგებთო.

მაგრამ ნაკადი, მათ რომ მიაქანებდა, ყველა მათგანზე ჭკვიანი იყო; მან იცოდა, სად მიდიოდა, რა ვუყოთ მერე, რომ სულ მალე შეელეწებოდა ძველი სამყაროს კაშხალებს! ოლივიე ხვდებოდა, რომ სოციალურ რევოლუციას დღეს გამარჯვება არ ეწერა. მაგრამ ისიც იცოდა, რომ თავის მიზანს დამარცხებითაც ისევე შიაღწევდა, როგორც გამარჯვებით, რადგან მჩაგვრელები მხოლოდ მაშინ სცნობენ ჩაგრულთა მოთხოვნებს, როცა ჩაგრულებისა ეშინიათ. ამიტომ რევოლუციის უსამართლო ძალმომრეობა ნაკლებ სამსახურს რიდი უწევს მათ საქმეს, ვიდრე მათი საქმის სამართლიანობა. ერთიცა და მეორეც ნაწილი იყო ბრმა და თავის თავში დარწმუნებული ძალის გეგმისა, კაცთა ფარას რომ მიერეკება...

„რამეთუ იხილეთ-ღა ჩინებულებაჲ ეგე თქუენი, ძმანო: არა მრავალნი ბრძენ არიან ჯორციელად, არა მრავალნი ძლიერ არიან, არა მრავალნი აზნაურ არიან, არამედ სულელნი იგი სოფლისანი გამოირჩინა ღმერთმან, რაჲთა არცხჳნოს ბრძენთა, და უძლურნი იგი სოფლისანი გამოირჩინა ღმერთმან,

რაჲთა არცხჳნოს ძლიერთა. და უაზნონი იგი სოფლისანი და შეურაცხნი გამოირჩინა ღმერთმან და არაარსნი იგი, რაჲთა არსნი იგი განაქარვნეს"[1].

და მაინც, ვინც არ უნდა ყოფილიყო მეუფე, ქვეყნის განმგებლად რომ მოვიდოდა — გონიერება თუ უგუნურება — როგორი პროგრესიც არ უნდა ყოფილიყო სინდიკალიზმის მიერ მომავლისათვის მომზადებული სოციალური ორგანიზაცია, ოლივიე ფიქრობდა, მე და კრისტოფს არ გვიღირს მთელი ჩვენი იმედები ჩავაქსოვოთ და მსხვერპლიც გავიღოთ ამ მიწიერი ბრძოლისათვის, ახალ ქვეყანას რომ ვერ შობსო. რევოლუციის მისტიური იმედი გაუცრუვდა. ხალხი უკეთესი როდი გამოდგა და არც უფრო გულწრფელი ჩანდა, ვიდრე სხვა კლასები იყვნენ; მეტადრე ის აღონებდა, რომ სხვათაგან ბევრად არაფრით განსხვავდებოდა. ინტერესთა და ვნებათა მღვრიე ნაკადს შუა ოლივიეს მზერა და გული მიიზიდეს დამოუკიდებელმა კუნძულებმა, ჰეშმარიტ მორწმუნეთა პატარა-პატარა ჯგუფებმა, როგორც ყვავილები წყლიდან, აქა-იქ ისე რომ ამოზიდულიყვნენ. ელიტა ტყუილად ცდილობს ბრბოს შეერიოს: ის მუდამ რჩეულთ მიელტვის — ყველა კლასისა და ყველა პარტიის რჩეულთ, იმათ, ვისაც ცეცხლი უპყრია ხელთ. და წმიდათაწმიდა ვალად აძევს უდარაჯოს, რომ ცეცხლი არ ჩაქრეს.

ოლივიემ უკვე გააკეთა არჩევანი.

მისი სახლიდან რამდენიმე სახლს იქით ერთი მეჯღანის ფარდული იდგა. ეს გახლდათ ერთმანეთს მიჭედებული რამდენიმე ფიცარი, სანახევროდ შემინული, სანახევროდ ქაღალდებაწებებული. შიგ სამი კიბით ჩადიოდით და წელში უნდა მოხრილიყავით, ფეხზე დადგომა რომ მოგეხერხებინათ. იქ მარტო ჯღანების თაროსა და ორი ტაბურეტის ადგილი იყო. ყოველ ცისმარე დღეს, როგორც საზოგადოდ მეჯღანეებს სჩვევიათ, ფარდულის პატრონიც სიმღერაში აღამებდა. სტვენდა, ფეხსაცმლის ლანჩებს აბაკუნებდა, ჩახლეჩილი ხმით გაჰყვიროდა სახუმარო და რევოლუციურ სიმღერებს, ანდა თავის სამყოფელიდან გამვლელ-გამომვლელს ეხმიანებოდა. ფრთამოტეხილი კაჭკაჭი, ქვაფენილზე რომ სეირნობდა, კონსიერჟის ლოჟიდან ხტუნვა-ხტუნვით მოდიოდა მასთან სტუმრად. პირველ საფეხურზე ჯდებოდა, ფარდულის კარში და მეჯღანეს აცქერდებოდა. მოხუცი წამით წყვეტდა მუშაობას, რომ შეღლაბუცებოდა, დათაფლული ენით უხამსობა რამ ეთქვა, ან სტვენით ჩაერაკრაკებინა ინტერნაციონალი. კაჭკაჭიც ჩერდებოდა ნისკარტაწეული და სერიოზულად უსმენდა; დროდადრო ასე ნისკარტწაწვდილი ჩაჯდებოდა, თითქოს სასალამოდ და უხერხულად სცემდა ფრთებს, წონასწორობა რომ შეენარჩუნებინა; მერე უეცრად მობრუნდებოდა, შუა სიტყვაზე მიატოვებდა თანამოსაუბრეს, რის ვაივაგლახით აფრინდებოდა ძელსკამის ზურგზე და უბნის ძაღლების

[1] კორ., 1,26 — 28.

გამოჯავრებას იწყებდა. მაშინ მეჯღანეც კვლავ უბრუნდებოდა თავის საკერებელს. მსმენელის გაქცევა ხელს როდი უშლიდა გაწყვეტილი საუბარი გაეგრძელებინა.

მეწაღე ორმოცდათექვსმეტი წლისა იყო, სიცოცხლით სავსე და შუბლდაღარული. პატარა, მომცინარე თვალები დაფანჩული წარბების ქვეშ უელავდნენ, კინკრიხო გამელოტებოდა და თმების ბუდიდან კვერცხივით ჰქონდა ამოჩრილი; ყურები ბანჯგვლიანი ესხა, პირი კბილებშთამუსრული ჰქონდა. ხახას რომ დააფჩენდა, გეგონებოდათ, ჭა არისო. ბინძური წვერი აბურძგნოდა. სულ მის ფხანაში იყო; იქექებოდა შიგ თავისი ვეება, ვაქსით ჩაშავებული მარწუხებით. უბანში მამილო ფეიეს, ფეიეტის, ან უკეთ, ლა ფეიეტის სახელით იცნობდნენ. გამოსაჯავრებლად ლა ფაიეტსაც[1] ეძახდნენ, რადგან მოხუცი უკიდურესად მემარცხენე შეხედულებებისა გახლდათ; სულ ახალგაზრდა ჩაბმულიყო კომუნაში, სიკვდილი მიესაჯათ, მერე გადაესახლებინათ; ამაყობდა ამ თავისი წარსულით და გულჯავრიანი ერთნაირად ლანძღავდა ბადენგეს[2], გალიფესა[3] და ფუტრიკეს[4]. რევოლუციონერთა მიტინგს თავის დღეში არ გამოაკლდებოდა, უყვარდა კოკარი, რაკი სულ შურისძიებას ქადაგებდა. მოსწონდა. მისი წვერი და ხმა, მეხის გავარდნას რომ ედარებოდა. არც ერთი მისი სიტყვა არ გამოუტოვებია, ხარბად ეწაფებოდა მის ნათქვამს, ხარხარებდა მის ყოველ ხუმრობაზე, დუღდა, როცა ის ლანძღვა-გინებას იწყებდა, ცას სწვდებოდა სიხარულით, როცა მომავალ ბრძოლებსა და აღთქმულ სამოთხეს წარმოიდგენდა. მეორე დღეს თავის ფარდულში ხელახლა კითხულობდა წარმოთქმული სიტყვების მოკლე ანგარიშებს; ხმამაღლა კითხულობდა, თავისთვის და თავის შეგირდის გასაგონად; უკეთ რომ დამტკბარიყო, შეგირდსაც აკითხებდა და თავში ჩაუტყაპუნებდა, თუ ბიჭი ერთ ხაზს მაინც გადაახტებოდა. ამიტომ ხშირად დროზე ვერ აბარებდა სამუშაოს, სამაგიეროდ, რასაც აკეთებდა, საგულდაგულოდ აკეთებდა. კაცს ფეხს მოსტეხდა, თვითონ კი არ გაცვდებოდა მისი ფეხსაცმელი.

მოხუცს თავისთან ჰყავდა ცამეტი წლის შვილიშვილი, კუზიანი, უღონო და რაქიტიანი ბიჭი, რომელიც შეგირდობას უწევდა. დედამისი ჩვიდმეტი წლისა გაიქცა სახლიდან. ერთ უხეირო მუშას გაეკიდა. აპაშად რომ იქცა და მალეც დაიჭირეს. გაასამართლეს და მერე აღარავის უნახავს. ბავშვით ხელში მარტოდ დარჩენილმა, თავისიანებისაგან უარყოფილმა ყმაწვილმა ქალმა გამოზარდა პატარა ემანუელი. მასზე გადაიტანა მთელი ის სიყვარული და

[1] „ფეიეტი" ღვინის კასრსა ნიშნავს, მარკიზ დე ლა ფაიეტი (1757—1834) კი ფრანგული რევოლუციისდრონდელი სახელმწიფო მოღვაწე იყო, ტიპიური ბურჟუაზიული ლიბერალი.

[2] ნაპოლეონ III-ის ზედმეტი სახელი.

[3] გასტონ გალიფე (1830 — 1909) ფრანგი გენერალი იყო; თავი შეირცხვინა კომუნარების ხოცვა-ჟლეტით.

[4] ტიერის სალანძღავი სახელი.

სიძულვილი, საყვარელისადმი რომ ჰქონდა. ანჩხლი, ავადმყოფურად ეჭვიანი ქალი იყო. გაგიჟებით უყვარდა შვილი და შავ დღეს ათევდა; მერე, როცა ბიჭი ავად ხდებოდა, სასოწარკვეთილებისაგან სიგიჟემდე მიდიოდა ხოლმე. ზოგჯერ, როცა ცუდ გუნებაზე იყო, უჭმელს აძინებდა, ლუკმა პურსაც კი არ მისცემდა. როცა ხელჩაკიდებული მიათრევდა ქუჩაში, ხოლო ბავშვს დაღლილობისაგან ფეხის წადგმა არ შეეძლო და მიწაზე ვარდებოდა, წიხლის კვრით წამოაგდებდა ფეხზე. უთავბოლო ლაპარაკი იცოდა და ცრემლიდან უეცრად ისტერიულ სიცილზე გადადიოდა ხოლმე. მოკვდა და ისევ ბაბუამ შეიფარა პატარა, რომელიც მაშინ ექვსი წლისა იყო. შვილიშვილი ძალიან უყვარდა მოხუცს, მაგრამ ერთობ ახირებულად, უხეშად ექცეოდა ბიჭს. ლანძღავდა და თათხავდა, ყურებს უწევდა, უტყაპუნებდა დილიდან საღამომდე, თავის ხელობა რომ ესწავლებინა; თან თავის სოციალურსა და ანტიკლერიკალურ კატეხიზმოს ჩასჩიჩინებდა.

ემანუელმა იცოდა, რომ ბაბუამისი ბოროტი არ იყო, მაგრამ მუდამ მზად ჰქონდა ხელი, სახეზე რომ აეფარებინა სილის ასაცდენად; მოხუცი აშინებდა, განსაკუთრებით თუ საღამოთი მთვრალი დაბრუნდებოდა შინ. დიახ, მამილოლა ფეიეტს როდი მოუპარავს თავისი ზედმეტი სახელი: თვეში ორჯერ ან სამჯერ უეჭველად გამოთვრებოდა ხოლმე. მაშინ უთავბოლოდ იწყებდა ლაპარაკს, მოჰყვებოდა ტრაბახს და ბოლოს შვილიშვილსაც ერთ-ორს წაუთაქუნებდა ხოლმე. ისე არ წვიმდა, როგორადაც ქუხდა, მაგრამ ბიჭი მშიშარა გახლდათ; ავადმყოფობა კიდევ უფრო მგრძნობიარეს ხდიდა. ადრე მოუმწიფდა გონება და დედასავით მძვინვარე და ლაგამწაყრილი გახდა. პაპის საქციელიც ისე აფრთხობდა, როგორც მისი რევოლუციური ტირადები. გარედან მოსულ შთაბეჭდილებათაგან ყველაფერი ისე ეთრთოლებდა მის გულის სიმებს, როგორც მათი ფარდული თრთოდა და ცახცახებდა მძიმე ომნიბუსის ჩავლისას. მის შეძრწუნებულ წარმოსახვაში სამრეკლოს ზართა გადაძახილ-გადმოძახილივით ერთმანეთს ერეოდა ყოველდღიური შთაბეჭდილებანი, მისი ბავშვური დიდი განცდები, მწარე სამსალა ნაადრევი გამოცდილებისა, კომუნის ამბები, საღამოს სკოლა, გაზეთების ფელეტონები, მიტინგებზე წარმოთქმული სიტყვები და სექსუალური ინსტინქტები, ბუნდოვანნი და ბობოქარნი — მისიანებისაგან რომ ჰქონდა ნაანდერძევი. ყველაფერი ეს სიზმარეულ სამყაროს ჰქმნიდა, საზარელსა და ღამის ჭანჭრობის სადარს, საიდანაც ჟამიდანჟამს იმედის დამაბრმავებელი შადრევნები ჩქეფდა.

მეჯღანე თავის შეგირდს კაბარეში დაათრევდა ორელისთან. სწორედ აქ შენიშნა ოლივიემ პატარა კუზიანი, მერცხალივით წკრიალა ხმა რომ ჰქონდა. ამ მუშებს შორის, რომელთაც ის თითქმის არც ელაპარაკებოდა, დრო თავზე საყრელი ჰქონდა, რომ გულდასმით დაკვირვებოდა ბავშვის სნებიან სახეს, გამობურცულ შუბლს, დაჩაგრულსა და ველურ გამოხედვას. შესწრებია, მხიარულად როგორ ეტყოდნენ უხამსობას; პატარა ხუმრობას უსიტყვოდ იტანდა,

მაგრამ სახე მოექცეოდა ხოლმე. ისიც შენიშნა, რომ როცა იქ მყოფნი რევოლუციაზე მრავალსიტყვაობას მოჰყვებოდნენ, მისი წაბლისფერი, ხავერდოვანი თვალები მომავალი ბედნიერების ქიმერული ექსტაზით ენთებოდნენ — იმ ბედნიერებისა, რომელიც ოდესმე ცხადადაც რომ ქცეულიყო, ბევრს ვერაფერს შესცვლიდა მის დუხჭირ ყოფაში. ამ წუთებში თვალები უცისკროვნებდა უმარილო სახეს და მნახველს მის სიგონჯეს ავიწყებდა. ლამაზი ბერტაც კი გაოცებული იყო ამით; ერთ მშვენიერ დღეს არც აცივა, არც აცხელა, პირდაპირ უთხრა ესა და შიგ ტუჩებში აკოცა. ბავშვი შეკრთა, გაფითრდა მოულოდნელობისაგან და გაკვირვებისაგან და ზიზღით უკან გადავარდა. ქალიშვილს სად ეცალა ეს შეენიშნა: უკვე ჟუსიესთან ჩხუბით იყო გართული. მხოლოდ ოლივიემ შენიშნა ემანუელის შეცბუნება: თვალი მიადევნა პატარას, ჩრდილში რომ მიიყუჟა ხელებაკანკალებული, თავდახრილი, ქვეშ-ქვეშ მომზირალი; ქალიშვილს მგზნებარე და გაღიზიანებულ თვალთა ისარს სტყორცნიდა. მოუახლოვდა, დაუყვავა, გულითადი საუბარი გაუბა, მიიჩვია... რა სიკეთის მოტანა შეუძლია ზრდილობიან მოპყრობას ალერსმონატრებული გულისათვის. ეს წვეთი ცვარია, რომელსაც წყურვილით სასაგამშრალი მიწა ხარბად ისრუტავს. მხოლოდ რამდენიმე სიტყვა, ღიმილი შეიქნა საკმარისი იმისათვის, რომ პატარა ემანუელი მთელის არსებით შეთვისებოდა ოლივიეს და ოლივიეც თავისად ეგულვა. შემდეგ, როცა ქუჩაში შეხვდა და აღმოაჩინა, მეზობლები ვყოფილვართო, ეს ბედისწერის იდუმალ ნიშნად ჩათვალა და არც შეშცდარა. თავის ფარდულიდან უთვალთვალებდა, როდის ჩაივლიდა ოლივიე, რომ სალამი ეთქვა; და თუ ისე მოხდებოდა, რომ დაბნეული ოლივიე არ მოიხედავდა მისკენ, ბიჭი შეურაცხყოფილი რჩებოდა.

ემანუელის ბედნიერებას საზღვარი არ ჰქონდა იმ დღეს, როცა ოლივიე მამილო ფეიეტთან შევიდა და შეკვეთა მისცა. მეჯღანე საქმეს რომ მორჩა, ემანუელმა წაუღო ფეხსაცმელები ოლივიეს; დაუდარაჯდა, როდის დაბრუნდებოდა, რომ დაბეჯითებით სცოდნოდა, შინ დამხვდებაო. ოლივიე თავის ფიქრებში იყო გართული და ყურადღება არ მიუქცევია მოსულისათვის, ანგარიში გაუსწორა და არც კი გამოლაპარაკებია; ბავშვი კი თითქოს ელოდა, ხან მარჯვნივ გაიხედავდა, ხან — მარცხნივ და წასვლა ვერ გადაეწყვიტა. ოლივიე თავისი კეთილი გულის კარნახით მიხვდა, რა ხდებოდა მის სულში; გაუღიმა და შეეცადა საუბარი გაება მასთან, თუმცა მუდამ უჭირდა უბირ ხალხთან მასლაათი. ამჯერად მოახერხა უბრალო და გულში ჩამწვდომი სიტყვების პოვნა. ტანჯვას ნაჩვევი ქვეცნობიერი ბუნება ბავშვს წარმოუდგენდა (ძალიან გამარტივებულად) მასავით ცხოვრებისაგან გატეხილ პატარა ჩიტუნიად, რომელიც ნუგეშს იმაში ჰპოვებს, რომ თავი ფრთისქვეშ ამოუდევს და ქანდარაზე მოკუნტული სინათლეში გიჟურ გაფრენაზე ოცნებობს. ინსტინქტური ნდობა აახლოებდა მასთან ამ ბავშვს. ეგი დაატყვევა ამ მდუმარე სულის მიზიდულობის ძალამ, სულისა, რომელიც არ ყვიროდა, არც უხეშ სიტყვებს წარმოთქვამდა და ვის

სიახლოვესაც ქუჩის სისასტიკე ვერას დაგაკლებდა. წიგნებით სავსე ოთახი, საუკუნეთა მაგიური ხმა საღვთო მოწიწებას შთააგონებდა; ხალისით პასუხობდა ოლივიეს შეკითხვებზე, ხან უეცრად მოეძალებოდა ველური სიამაყე, მაგრამ სიტყვა არ ჰყოფნიდა სათქმელის გამოსახატავად: ოლივიე ფრთხილად ხსნიდა არტახებს ამ ბნელით მოცულსა და ენაბრგვილ სულს; თანდათანობით ეჩვეოდა შიგ კითხვას, ხედავდა მის სასაცილო და გულუბრყვილო რწმენას სამყაროს განახლებისა. სურვილი არ აღძვრია გაეცინა, თუმც კი იცოდა, რომ ბალღი შეუძლებელზე ოცნებობდა და რომ ადამიანს ვერაფერი შეცვლიდა. ქრისტიანებიც შეუძლებელზე ოცნებობდნენ; და მათაც ვერ შეცვალეს ადამიანის ბუნება. პერიკლეს[1] ხნიდან მოკიდებული ბ-ნ ფალიერის[2] ხანამდე რა მორალური პროგრესი მოხდა?.. მაგრამ ყოველი რწმენა წარმტაცია; და როცა ხუნდებიან ისინი, რომელთაც ყავლი გასვლიათ, უნდა მივესალმოთ სხვების დაბადებას, ახლა რომ ბრწყინდებიან: ზედმეტნი თავის დღეში არ იქნებიან. ოლივიე გრძნობამორეული ცნობისმოყვარეობით უცქეროდა ბუნდოვან სხივს, ბავშვის გონებაში რომ კიაფობდა. რა საოცრად ჰქონდა ამ ბიჭს გონება მომართული!.. ოლივიე თვალს ვერ ადევნებდა მის აზრთა მდინარებას, ერთ საკითხზე დახანება რომ არ ძალუძდა, სკუპ-სკუპით მიიწევდა წინ და როცა ელაპარაკებოდით, უკან, შორს მოგჩანჩალებდათ, წელან ნათქვამი სიტყვისგან უეცრად მოვლენილი ხილვით დატყვევებული; მერე უეცრად გეწეოდათ, ერთი ნახტომით წინ გისწრებდათ, სრულიად უბრალო, ფრთხილი, ბურჟუაზიული სიტყვისაგან მთელ მომაჯადოებელ სამყაროს გამოიხმობდა, გმირულსა და შლეგურ რწმენას აღანთებდა. ამ მთვლემარე სულს, მხოლოდ უეცრად რომ გამოიღვიძებდა, გულუბრყვილო ნდომა და მომავლის უსაზღვრო რწმენა ასაზრდოებდა; ყველაფერს, რასაც უჩვენებდნენ, ხელოვნება იქნებოდა თუ მეცნიერება, მელოდრამის სასიკეთო ბოლოს გამოაბამდა, რომელიც მისი ქიმერების წყურვილს აოკებდა.

ოლივიეს ცნობისწადილმა სძლია და რაღაც-რაღაცები წააკითხა „კვირა დღეს პატარას. ეგონა, დააინტერესებდა რეალისტური და სანიადაგო ამბებით; წაუკითხა ტოლსტოის „ბავშვობა". პატარა აღტაცებული არ დარჩა განაგონით. კარგი, ეგ ხომ ცნობილიაო, გაიძახოდა.

არ ესმოდა, რად უნდა აეტკივებინათ თავი იმისათვის, რომ ჩვეულებრივი ამბები აღეწერათ.

— ჩვეულებრივი ბიჭია, — ამბობდა ამრეზით.

ისტორიისადმიც შეტ ინტერესს როდი იჩენდა; მეცნიერება მოსაწყენად ეჩვენებოდა; ეს მისთვის მოსაბეზრებელი შესავალი იყო ფერიათა ზღაპრისა:

---

[1] პერიკლე (499—429 ჩვ. ერამდე) — ძველი ათენის გმირი და სახელმწიფოს უბადლო მეთაური.

[2] არმან ფალიერი (1841—1931) — ფრანგი პოლიტიკური მოღვაწე; 1906—1913 წლებში ეჭირა პრეზიდენტის პოსტი.

უხილავი ძალები გახლდათ, კაცის სამსახურში მდგარი, საშინელი და დათრგუ-ნული გენიების მსგავსი... რა საჭიროა ამდენი ახსნა-განმარტებანი? როცა რაიმეს იპოვი, რა სათქმელია, როგორ მიაგენი, თქვი, რა იპოვე. ფიქრთა ანალიზი ბურჟუაზიული ფუფუნებაა. მდაბიოთა სულებს მხოლოდ სინთეზი სჭირდებათ, მზამზარეული იდეები, ავად თუ კარგად შეკოწიწებული, თან უმალ ავად, ვინემ კარგად, მაგრამ ისეთნი, სამოქმედოდ რომ აღძრავს ადამიანს; მათ ცხოვრებით მაკე, დაელექტროვებული სინამდვილე თუ ხიბლავთ; ლიტერატურიდან, რაც ემანუელს წაეკითხა, ყველაზე მეტად ვიქტორ ჰიუგოს ეპიურმა პათოსმა და რევოლუციონერ ორატორთა მღვრიე რიტორიკამ შესძრა, რომელიც კარგად არ ესმოდა; თუმც რაღა ემანუელს, ჰიუგოსი არ იყოს, ამ რევოლუციონერებს თვითონაც ყოველთვის კარგად არ ესმოდათ თავიანთი თავისა. სამყარო მისთვის, ისევე, როგორც მისთანებისთვის, გონებისა და ფაქტების დაწყობილ-შემჭიდროებული ნაერთი კი არ იყო, არამედ უსასრულო სივრცე — ჩრდილით მოცული და სინათლით აციმციმებული, სადაც ღამღამობით მზით გაჩახჩახებული ვეება ფრინველი გადაიფრენდა. ოლივიე ამაოდ ცდილობდა საკუთარი ბურჟუაზიული ლოგიკა მოეხვია თავს ბიჭისათვის. მოჯანყე და გაბეზრებული სული ხელიდან უსხლტებოდა; მოსწონდა კიდეც ეს თავისი ბუნდოვანი და მორკინალი ჰალუცინაციური გრძნობები, როგორც სიყვარული ატანილ ქალს, სატრფოს თვალდახუჭული რომ ნებდება.

ოლივიეს იზიდავდა კიდეც და უკმაყოფილებასაც გვრიდა ის, რასაც ბავშვში მისთვის ასე მახლობელს ხედავდა: სიმარტოვის სიყვარული, ზვიადური სისუსტე, იდეალისტური მგზნებარება; მოსწონდა და არც მოსწონდა მისი ბუნებიდან ესოდენ განსხვავებული ეს მერყეობაც, ეს ბრმა და ლაგამწაყრილი ენებანიც, ეს გრძნობადი ველურობა, რომელმაც არ უწყოდა კეთილისა და ბოროტის გარჩევა და არად უჩნდა ჩვეულებრივი შორალი. ის მხოლოდ ამ ველურობის ერთ ნაწილს აჩენდა. თავის დღეში არ დაეჭვებულა მღვრიე ენებათა იმ ქაოსზე, რომელიც დუღდა მისი პატარა მეგობრის გულში. ჩვენმა ბურჟუაზიულმა ატავიზმმა ერთობ დაგვაძაბუნა. ჩვენ ჩვენს სულშიაც კი ვერ ჩაგვიხედავს. იმ სიზმართა მეასედიც რომ გამოვიტანოთ სამზეოზე, ნამუსიან კაცს რომ ესიზმრება, ან ვთქვათ, უბიწო ქალის სხეულს რა უცნაური მგზნებარება შემოენთება ხოლმე, ყიჟინას დაგვცემენ. დაჩუმდით, ურჩხულებო! დავხუროთ გალია. მაგრამ ვიცოდეთ, რომ ისინი არსებობენ და ყმაწვილთა სულეიიდან ნიადაგ ლამობენ გამოსვლას. პატარას ყველა ერეტიული სურვილი ჰქონდა, ჩვეულებრივად გარყვნილს რომ ვეძახით. თავს დახვეოდნენ და საშველს არ აძლევდნენ. სასოწარკვეთილნი იყვნენ მათი პატრონის სიმახინჯით, იგი რომ გაენაპირებინა. ოლივიემ ამის შესახებ არა იცოდა რა. ემანუელს რცხვენოდა მისი. თავადაც გადაედებოდა უფროსი მეგობრის სიმშვიდე. მისი ცხოვრება მაგალითი იყო ყმაწვილისათვის. ბავშვს გაგიჟებით შეჰყვარებოდა ოლივიე. მისი შეკავებული გრძნობები ბობოქარ სიზმრებში ცხადდებოდა.

ხორცს ისხამდა ადამიანური ბეჭდნიერება, სოციალური ძმობა, მეცნიერების სასწაულები, ფანტასტიკური ავიაცია, ბავშვური და ბარბაროსული პოეზია, გმირულ ქმედებათა, წვრილმანობის, ავხორცობის, მსხვერპლის მთელი სამყარო, სადაც მისი სიცხეში ჩაძირული, მთვრალი ნებისყოფა მიმოიტაცებოდა.

პაპამისის ფარდულში ბევრი დრო არცა ჰქონდა, რომ გულს ჩაჰკვირვებოდა. მამილო ფეიეტმა ხომ წამითაც არ იცოდა გაყუჩება, სტვენდა, ფეხებს აბაკუნებდა და ენის დაუყენებლივ ქაქანებდა დილიდან საღამომდე. მაგრამ ოცნებისათვის მუდამ მოიძებნება ადგილი. დღისითაც რამდენი სიზმრის ხილვა შეიძლება ზეზეურად, თვალღია! მუშის შრომა ადვილად იგუებს წყვეტილ ფიქრს. მის გონებას გაუჭირდებოდა ნებისყოფის დაძაბვის გარეშე აზროვნების გრძელი ჯაჭვისათვის თვალის მიდევნება; თუ მოახერხა ამის გაკეთება, აქა-იქ ჯაჭვის რამდენიმე რგოლი მაინც ჩაუცვივა; მაგრამ რიტმულ მოძრაობას აყოლილს რამდენი იდეა მოუვა თავში, რამდენი სახე გაუცოცხლდება. მუშაობს და უცნაური ხატები ისე გაიყრებიან, როგორც გრდემლიდან ნაპერწკლები. ხალხის ფიქრი! ძნაა ცეცხლისა და კვამლისაგან შეწმახნილი, შადრევანი ნაპერწკლებისა, რომლებიც ქრებიან, ხელახლა ენთებიან და ისევ ქრებიან! მაგრამ ხანდახან ერთ მათგანს ქარი წარიტაცებს და ბურჟუაზიის ვეება ზვინებს ალად ააბრიალებს...

ოლივიემ მოახერხა და სტამბაში მოაწყო ემანუელი. ეს ბავშვის წადილი იყო: პაპაც წინ არ აღსდგომია: უხაროდა კიდეც, რომ შვილიშვილი მასზე განსწავლული გამოვიდოდა; მოწიწებით ეკიდებოდა სტამბის საღებავს. ახალი ხელობა ძველზე მეტად დამქანცველი იყო, მაგრამ მუშათა ჯარში უფრო თავისუფლად ახერხებდა ფიქრს, ვიდრე ფარდულში, პაპასთან პირისპირ დარჩენილი.

ყველაზე მეტად საუზმობის საათი უყვარდა. განერიდებოდა მუშათა ტალღას, ქვაფენილზე მდგარ პატარ-პატარა მაგიდებს და უბნის ღვინის ფარდულებს რომ მოედებოდა ხოლმე, კოჭლობით გაძვრებოდა მეზობელ სკვერში და აქ, ძელსკამზე მხედრულ გადამჯდარი, ყურძნის მტევნებიანი მოცეკვავე ფავნის ქვეშ, თავკარავიანი წაბლის ჩეროში გაქონილი ქაღალდიდან პურსა და ძეხვს ამოალაგებდა; ნელა, მადიანად ილუკმებოდა, ბეღურების გუნდით გარემოცული. მწვანე გაზონებს პატარ-პატარა შადრევნები წვრილ წვიმად დასდიოდა, მზით გამძღარ ხის ტოტებში თეთრმორეული ცისფერი, გრიფელის მძივებივით მრგვალთვალება მტრედები ღუღუნებდნენ. ირგვლივ პარიზის გუგუნი იდგა, მანქანების გრიალი, შფოთიანი ხმა ზღვა ნაბიჯებისა, ქუჩის ჩვეული გადაძახილ-გადმოძახილი, ქაშანურის ჭურჭლის რსტატის ხალისიანი სიმღერა, ქვისმთლელის ურის ცემის ხმა ფილაქანზე, შადრევნის კეთილშობილური მუსიკა; პარიზული ოცნების სიცხიანი და ოქრონაყარი-გარსი. პატარა კუზიანიც, თავის ძელსკამზე მხედრულ გადამჯდარი და პირგამოტენილი, როდი ჩქარობდა ლუკმის გადაყლაპვას, ითენთებოდა ენაჩავარდნილი, სულ ვეღარ გრძნობდა თავის

მტკივან ხერხემალს და სულის სისუსტეს; ასე ცურავდა ბედნიერების გაურკვეველსა და დამათრობელ ტალღებში...

„თბილო ნათელო, მზეე სიმართლისა, ხვალ ჩვენთვის რომ უნდა აღმობრწყინდე, უკვე არ ნათობ განა? ყველაფერი ისე კარგია, ისეთი მშვენიერი! მდიდარი ხარ, ძლიერი, ჯანმრთელი, მოყვარული... მე მიყვარს, მიყვარს ყველა და ყველას ვუყვარვარ... ო, რა კარგია! ხვალ მთლად საუცხოო იქნება!..“

ქარხნის საყვირები სტვენდნენ; ბავშვი იღვიძებდა, ყლაპავდა ლუკმას, ხარბად სვამდა ერთ ყლუპ წყალს მეზობელი შადრევნიდან და თავის კუზიან ნაჭუჭში შემძვრალი ხტუნვა-ხტუნვით მიკელანობდა, მიჩენილი ადგილი რომ დაეჭირა საასოთამწყობოში, ჯადოსნური ასოების ყუთთან, ასოებისა, რომელნიც ერთ მშვენიერ დღეს დაწერდნენ Mane Thecel Pharés-ს[1] რევოლუციისას.

მამილო ფეიეს ჰყავდა ერთი ძველი მეგობარი — მექაღალდე ტრუიო, მისი საქაღალდე-საწვრილმანო ქუჩის მეორე მხარეს იდგა; ვიტრინაში სირჩებში ჩაწყობილი ვარდისფერი და მწვანე კამფეტები და უხელფეხო მუყაოს თოჯინები იყო გამოდებული. მექაღალდეს უყვარდა პარმაღზე დგომა, აქედან უპასუხებდა თვალებს ფარდულში მჯდომ ლა ფეიეტს; თავის გადაქან-გადმოქანებით რაღაცას ანიშნებდნენ ერთმანეთს. ზოგჯერ, როცა მეჯღანე დაიღლებოდა ჩაქუჩის კაკუნით და როცა, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, უკანალი დაუბრუჟდებოდა, ერთმანეთს გადაუძახ-გადმოუძახებდნენ: ლა ფეიეტი თავისი წივანა, გამყინავი ხმით, ტრუიო ხარისებური ბღავილითა და მეზობელ დუქანში გასწევდნენ გადასაყლურწად. დაბრუნებას როდი ჩქარობდნენ. ლაყბობაში დრო ნელა გადიოდა. თითქმის ნახევარი საუკუნე იყო, რაც ერთმანეთს იცნობდნენ. მექაღალდესაც ეთამაშა თავისი პატარა როლი 1871 წლის დიდ მელოდრამაში. ამას ვერც შეატყობდით, თუ შეხედავდით ამ ჩაგოდრებულ, თავდაჭერილ კაცს, თავზე მაღალი, შავი ცილინდრი რომ ეხურა, გაქათქათებული პერანგი ეცვა და ძველი ჯარისკაცივით ჭაღარა ულვაშები დაემშვენებინა. ლოყები მუდამ გაოფლილი და აპრიალებული ჰქონდა, დაბინდული, ღია ცისფერი თვალები, რომელთა დამძიმებული უპეებიც ჩამოჰკიდებოდა, ჩასისხლიანებოდა. ფეხს მიათრევდა ნიკრისით დადამბლავებული, ქოშინებდა და ენას უკიდებდა. მაგრამ წინანდელი ილუზიები მაინც შემორჩენოდა. რამდენიმე წლით შვეიცარიაში იყო გადახვეწილი. იქ შეხვედროდა სხვადასხვა ეროვნების ამხანაგებს, უპირატესად — რუსებს, რომელთაც ძმური ანარქიის სიმშვენიერეს აზიარეს.

[1] აღრიცხულია, აწონილია, გაზომილია. — სიტყვები, რომლებიც ბიბლიური თქმულების თანახმად განგების ხელმა დაწერა ბაბილონის ძლევამოსილი მეფის — ბალთაზარის სასახლის კედელზე. მეორე დღეს კი სპარსები შემოეწყვნენ ქალაქს, მიწასთან გაასწორეს და ბაბილონის სამეფოც დაამხეს.

ამეებში არ ეთანხმებოდა ლა ფეიეტს — ძველი ფრანგი იყო, თავისუფლებაში აბსოლუტიზმისა და ძალის პოლიტიკის მომხრე. სხვაფრივ ორთავეს მტკიცედ სჯეროდა სოციალური რევოლუციისა და მომავლისათვის მუშური სალანტის[1] დამყარებას ელოდნენ. თითოეულს ერთი მეთაური დაესახა კერპად, რომელშიაც ხორცშესხმულს ხედავდა იმ იდეალს, სათავისოდ რომ ენატრებოდა. ტრუიო ჟუსიეს ეთაყვანებოდა. ლა ფეიეტი — კოკარს. გამუდმებით კამათობდნენ იმაზე, რაც ერთმანეთს აშორებდათ, რაშიაც თანხმდებოდნენ ის აზრები დამტკიცებულად მიიჩნდათ და წყალი არ გაუვიდოდა. რა დასამალია და, ნასმურევს ზოგჯერ განხორციელებულადაც ესახებოდათ. ორთაგან უფრო რეზონიორი მეჯღანე იყო. მას გონებით სჯეროდა: ყოველ შემთხვევაში, ასე ამბობდა, რადგან ღმერთმა ხომ უწყოდა, რომ გონება უცნაურად ჰქონდა მომართული! მარტო თავის ფეხს თუ მოარგებდა წუღას და თუმც მეჯღანეობაში უფრო იყო გაწაფული, ვიდრე გონებრივ ვარჯიშში, მოითხოვდა, სხვებმაც ჩემნაირი ფეხსაცმელი ჩაიცვანო. მექაღალდე უფრო ზარმაცი იყო და თავს არ იწუხებდა თავისი რწმენის დასაცავად. მხოლოდ იმას ამტკიცებენ, რაშიაც ეჭვი შეაქვთ. ის კი არ ეჭვობდა. მისი თანდაყოლილი ოპტიმიზმი საგნებს ისე ხედავდა, როგორადაც თავად სურდა დაენახა და სულ ვერ ამჩნევდა, თუ სხვაგვარად შემობრუნდებოდა საქმე, ანდა ყველაფერს ივიწყებდა. თავს დამტყდარი ჭირი მუდამ სხლტებოდა მის ტყავზე და კვალსაც კი არ ამჩნევდა. ეს ბერიკაცები რომანტიული ბალღები იყვნენ, რეალობის შეცნობის უნარს მოკლებული ბალღები; რევოლუცია, რომლის მარტოოდენ სახელიც კი ათრობდათ, მათთვის კარგი ამბავი იყო მხოლოდ, საამბობლად საამური; ისეთი რამ, რომელზედაც არ იციან, ოდესმე თუ მოხდება, ან თუ მოხდა უკვე. მაინც ორთავეს სწამდა ღმერთ-კაცობრიობისა, ამ თაყვანისცემაში გადაზრდილიყო რწმენა მათი მამა-პაპებისა, საუკუნეთა მანძილზე ძე კაცისა რომ გაეხადათ კერპად. საჭირო აღარაა იმის დამატება, რომ ორივე ანტიკლერიკალი იყო.

სასეირო ის გახლდათ, რომ კეთილი მექაღალდე ძალიან მორწმუნე ქმისშვილთან ცხოვრობდა, რომელიც ისე ატრიალებდა, როგორადაც მოეპრიანებოდა, ეს თვალციმციმა კუპრივით შავთმიანი, ენაწყლიანად მოუბარი, ჩასუქებული ქალი, ლაპარაკში ცოტას მარსელურად რომ უქცევდა, კომერციული სამინისტროს მოხელის ქვრივი გახლდათ. მარტოდმარტო, პატარა გოგონათი ხელში უსახსროდ დარჩენილი ბიძამ შეიფარა. ქალს ბურჟუად მოჰქონდა თავი და საცაა, იმასაც იფიქრებდა, რომ თავის მედუქნე ბიძას დიდ მადლს უშვრებოდა, მის დუქანში საქონელს რომ ყიდდა; იჯდა ტახტწართმეული დედოფალივით და ეს საწუხარი ბიძამისის საქმეებისა და მისი მუშტრების საბედნიეროდ დიდად ანელებდა მის ბუნებრივ ენაწყლიანობას. ქალბატონი ალექსანდრინი როია-

[1] იდიალური სახელმწიფო, რომელიც ფენელონსა (1651—1715) აქვს აღწერილი თავის რომანში „ტელემაქეს თავგადასავალი" (1699).

ლისტი და ღვთისმოსავი გახლდათ, როგორადაც ჰფერობდა მის მაღალ წარმოშობას; უტიფრად ჰფენდა საამაკარაოზე თავის გრძნობებს, რომ გაეხელებინა ბებერი უღვთო, რომლის პურსაც სჭამდა და მით ეგემნა ეშმაკური "ნიამოვნება. სახლს ბატონ-პატრონად გაუხდა, მთელი სახლობის სინდის-ნამუსის დამცველად იქცა. თუ ბიძამისი ვერ მოაქცია (იფიცებოდა კი, in extremis[1] დროს ვუნახავო), ეშმაკს ნაკურთხ წყალს სიხარულით აპკურებდა. ლურდის ღვთისმშობლისა[2] და წმინდა ანტუან პადუელის[3] სურათებს აკრავდა კედლებზე; ბუხარს ფერად-ფერადად მოხატული მინის ავგაროზებით რთავდა და დღესასწაულებზე თავისი შვილის საძინებელში ღვთისმშობლის საკურთხეველს პატარა, ცისფერი სანთლებით ამკობდა. არავინ იცოდა აგრერიგად რა აქეზებდა ამ აგრესიულ ღვთისმოსაობაში, სიყვარული ბიძისა, რომლის მოქცევაც სურდა, თუ მისი გახელების სიხარული.

კეთილ, დამყოლსა და ცოტა ყრუჩუნა ბერიკაცს თავი მოედრიკა; ვერ ბედავდა საშიშარი ძმისწულის გამოწვევას: ისეთი ენამოტყავებული ქალი იყო, რომ კაცი ვერ მოუგებდა სიტყვას; მოხუცს კი უწინარეს ყოვლისა სიმშვიდე სურდა. ერთხელ გაბრაზდა, როცა პატარა წმ. იოსები შეეცადა მოტყუებით შემძვრალიყო მის ოთახში და მისი საწოლის თავთით მოეკალათებინა: მაშინ კიდევაც გაიმარჯვა, რადგან კინაღამ სისხლი ჩაექცა და ძმისწული დაფრთხა: მეტი აღარც შემოუტევია. ყველა დანარჩენში კაცმა დაუთმო, ოღონდ თავს ისე აჩვენებდა, ვერაფერს ვხედავო; ირგვლივ ღვთის სუნი რომ ტრიალებდა, უქეიფოთ ხდიდა, მაგრამ ამეებზე ფიქრს თავიდან იშორებდა. გულის სიღრმეში აღტაცებული იყო ძმისწულით და სიამოვნებდა კიდეც, ქალი რომ დაეჯაბნა. თან ორთავ თანხმობით ანებივრებდნენ გოგონას, პატარა რენს — რენეტ-დედოფალს[4].

გოგონა ცამეტი წლისა იყო და სულ ავადმყოფობდა. მენჯისა და ბარძაყის სახსრის ანთება თვეობით ლოგინს მიაჯაჭვავდა ხოლმე. ცალი მხარე არტაშნებით ჰქონდა შეკრული და ისე იყო შიგ ჩაკირული, როგორც პატარა დაფნა[5] ხის ტანში. დაჭრილი ნუკრის თვალები ჰქონდა და უმზეობით გატანჯული მცენარის ფერი; თავი ერთობ დიდი ება და ძალიან წმინდა, მქრქალი ქერა და გადასლექილი თმა კიდევ უფრო დიდს უჩენდა; მაგრამ სახე მოძრავი და სანდომია-

---

[1] სიკვდილის წინ (ლათ.).

[2] საფრანგეთის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე ქალაქი ლურდი კათოლიკებისათვის უსაყვარლესი მოსალოცი ადგილია. იქაურ ღვთისმშობელს ყოველგვარი სენის განმკურნებლად თვლიან.

[3] წმ. ანტუან პადუელი (1195—1231) — პორტუგალიელი ბერი, რომელიც სიკვდილის შემდეგ წმინდანად იქნა შერაცხული.

[4] აქ სიტყვის თამაშია; ფრანგულად „რენი" დედოფალს ნიშნავს.

[5] მშვენიერი ნიმფა, რომელსაც აპოლონი გაუმეჯნურდა. მაგრამ დაფნა არ დაჰყვა მის ნებას, გაექცა ღმერთს და ხედ იქცა. სწორედ ამის შემდეგ შეიყვარა მზისა და ხელოვნების ღმერთმა დაფნის ფოთოლი, ხეც მარად უპკნობ მცენარედ აქცია.

ნი ჰქონდა, კოხტა, პატარა ცხვირი და კეთილი, ბალღური ღიმილი ამკობდა. დედამისის ღვთისმოსაობამ სნეულსა და უსაქმობით გაბეზრებულ ბავშვში ეგზალტირებული ხასიათი მიიღო, საათობით მარცვლავდა მარჯნის კრიალოსანს, რომელიც თვით რომის პაპის მიერ იყო ნაკურთხი. ხან გატაცებით დაეკონებოდა ზედ ბაგეებით. მთელი დღის განმავლობაში თითქმის არაფერს აკეთებდა; ქარგვა ღლიდა, ქალბატონმა ალექსანდრინმა ვერ ჩაუნერგა ხელსაქმისადმი სიყვარული. რამდენიმე უნიჭო რელიგიურ ბროშურას თუ გადაავლებდა თვალს, რამდენიმე უმარილო სასწაულმოქმედების ამბავს, რომელთა ღვარჭნილი და უგერგილო სტილი თავად პოეზიად ესახებოდა. ანდა დანაშაულობათა ანბების კითხვით იქცევდა თავს, ფერადი ილუსტრაციებით რომ იბეჭდებოდა საკვირაო გაზეთებში და ჭკუამოკლე დედამისი ხელში აჩეჩებდა. ყაისნაღით რამდენიმე თვალს თუ ამოიყვანდა ტუჩების ცმაცუნით; თავის ხელსაქმეს ნაკლები ყურადღებით ეკიდებოდა, ვიდრე იმ საუბარს, ერთ-ერთ თავის მეგობარ წმინდანთან, ანდა თავად ფუფალასთან რომ ჰქონდა გამართული. ტყუილად გვგონია, რომ უეჭველად ჟანა დ' არკი უნდა იყო, ხილვები რომ გეწვიოს; ხილვები ვის არა გვქონია. ოღონდ ჩვეულებრივ ციური სტუმრები მარტო ჩვენ გვალაპარაკებენ ჩვენ-ჩვენს კერიასთან მიმსხდართ, თავად კი კრინტსაც არ სძრავენ. რენეტს საწყენად არ რჩებოდა ეს ამბავი... დუმილი ხომ თანხმობის ნიშანია. თან იმდენი ჰქონდა მათთვის სათქმელი, რომ ლამის დროსაც არ აძლევდა საპასუხოდ: თავადვე პასუხობდა მათ მაგივრად. უტყვი მოლაყბე იყო; დედისგან დაჰყოლოდა ენაწყლიანობა, მაგრამ ეს ნიაღვარი სულში ეღვრებოდა სიტყვებად, როგორც ნაკადული, მიწის ქვეშ რომ უჩინარდება. ცხადია, ისიც მონაწილეობდა ბიძის წინაალმდეგ გამართულ შეთქმულებაში, სურდა მოექცია მოხუცი; ახარებდა ყოველი გოჯი სახლში, ბნელეთის სულს რომ სტაცებდნენ ნათლის სულები; მოხუცს სარჩულში უკერებდა ავგაროზებს, ანდა ჯიბეში მალულად უდებდა კრიალოსანის მარცვლებს, რომელთაც მოხუცი, ბალღისათვის რომ ეამებინა, ვითომ ვერც ამჩნევდა. ამ ორი ღვთისმოსავი ქალის გამარჯვება მღვდლების ფეხის მკვნეტელზე მეჯღანის აღშფოთებასა და დაცინვას იწვევდა. ხუმრობით წამდაუწუმ წაუქილიკებდა ხოლმე, სიტყვას უკრავდა ქალებზე, ოჯახში თავი ვაჟკაცებივით რომ უჭირავთ და დასცინოდა მამაკაცებს, ქალი თავის ჭკუაზე რომ დაატარებდა. თუმც, კაცმა რომ თქვას, არაფერი ჰქონდა საბაქიბუქო, რადგან თვითონაც ოცი წლის მანძილზე გაბეზრებული ჰყავდა ანჩხლსა და აშარ ცოლს, რომელიც გამუდმებით ლოთს ეძახდა და რომლის უნებურსაც ვერაფერს ჩაიდენდა. ეს ამბავი თითქოს დავიწყებოდა. ოდნავ დარცხვენილი მექალალდე უნდილად იმართლებდა თავს და ენის კიდეებით კროპოტკინისებურ შემწყნარებლობას ქადაგებდა.

რენეტი და ემანუელი მეგობრები იყვნენ. პატარაობიდანვე ყოველდღე ხედავდნენ ერთმანეთს. ემანუელი იშვიათად ბედავდა მათ სახლში შესვლას. ქალბატონი ალექსანდრინი ცუდი თვალით უყურებდა ურწმუნო, პატარა, ბინ-

ძურ მეჯღანეს. მაგრამ რენეტი მთელ დღეებს შეზლონგზე ატარებდა ფანჯარასთან, პირველ სართულზე და ემანუელიც მიუკაკუნებდა ხოლმე, როცა ჩაივლიდა ცხვირს მიაჭყლეტდა მინას და გამარჯობას ეტყოდა. ზაფხულობით, როცა ფანჯარა ღია იყო, ჩერდებოდა ფანჯრის ცხაურზე ჩაფრენილი (ეგონა ბუნებრივად ზეაწეული მხრები ჩემს სახიჩრობას მალავსო). რენეტი სტუმრიანობით განებივრებული არ გახლდათ და უკვე ვეღარ ამჩნევდა, რომ ემანუელი კუზიანი იყო. ემანუელს ეშინოდა გოგონებისა, ეშინოდა და ეზიზღებოდა; მარტო რენეტი გახლდათ გამონაკლისი. ეს პატარა, ნახევრად გახევებული ავადმყოფი მისთვის რაღაც ხელშეუხებელი და შორეული იყო. მხოლოდ იმ საღამოს, როცა ლამაზმა ბერტამ ტუჩებში აკოცა და მეორე დღეს განერიდა რენეტს, არ შეჩერებულა მის სარკმელთან, თავდახრილმა ჩაუარა; მოშორებით დაძრწოდა. უნდობლად, როგორც უპატრონო ძაღლი. შემდეგ დაბრუნდა. რენეტი ისე ცოტათი მოჰგავდა ქალს!.. სახელოსნოდან გამოსვლისას, როცა გვერდით ჩაუვლიდა გრძელხალათიან ამკინძველ ქალიშვილებს, ხალათები ღამის პერანგებს რომ მიუგავდათ, ცდილობდა, რაც შეიძლება დაპატარავებულიყო, დასხლტომოდა ამ დიდ, კისკისა გოგოებს, რომელთა დამშეული თვალები თითქოს ტანთ ხდიდნენ და რენტის ფანჯრისაკენ მოუსვამდა ხოლმე, მადლიერი იყო თავისი მეგობრისა, რაკი ისიც სახიჩარი გახლდათ: შეეძლო მისთვის თავის უპირატესობა ეჩვენებინა და კიდევაც დაეცვა დობილი. უამბობდა ქუჩაში მომხდარ ამბებს; თავის სასარგებლოდ გადახრიდა ნაამბობს. ხანდახან, როცა მეგობრის ამება ეწადა, ზამთრობით მისთვის მოხარშული წაბლი მოჰქონდა, ზაფხულობით — ალუბლის კუნწულა. რენეტიც არ რჩებოდა ვალში, სთავაზობდა ნაირფერ კანფეტებს, ორი სავსე სირჩით რომ იყო გამოდგმული ვიტრინაში; მერე ერთად ათვალიერებდნენ სურათებიან საფოსტო ბარათებს. რა ბედნიერი წუთები იყო; ორთავეს ავიწყდებოდა საბრალობელი სხეული, რომელშიაც მათი ბავშვური სული იყო ჩაკირული.

მაგრამ ისეც ხდებოდა, რომ დიდებივით წაკამათდებოდნენ პოლიტიკურ და რელიგიურ საკითხებზე. მაშინ დიდებივით ბრიყვები ჩანდნენ ორთავე. აიშლებოდნენ: გოგონა სასწაულებზე, ცხრადღიან სალოცავ აღთქმაზე, ქაღალდის მაქმანებშემოვლებულ ხატებზე ან ცოდვათა შენდობის დღეებზე ელაპარაკებოდა. ბიჭი ეუბნებოდა, ეგ ყოველივე სისულელე და თვალთმაქცობაა, როგორც პაპამისისაგან ჰქონდა განაგონი. მაგრამ როცა თვითონ დააპირებდა სახალხო კრებებზე მოეთხრო, გოგონა ზიზღით აწყვეტინებდა სიტყვას, და გიძახოდა, იქ მარტო ლოთები დაიარებიანო. კამათი ცხარდებოდა. მერე მშობლებსაც გადასწვდებოდნენ ხოლმე: ერთი დედას გაულანძღავდა, მეორე პაპის აუგს ეტყოდა, როგორც დედისა და პაპისაგან ჰქონდათ ჩაწვეთებული. მერე ერთმანეთს მოდგებოდნენ. ცდილობდნენ, რაც შეიძლება მეტი საწყენი ეთქვათ ერთმანეთისათვის. ადვილადაც აღწევდნენ მიზანს. ბიჭი მეტ უხეშობას იჩენდა. მაგრამ გოგონა მეტად გესლავდა. მაშინ ბიჭი მიდიოდა და როცა ბრუნდებოდა,

უამბობდა, სხვა გოგონებთან ვიყავი, ლამაზები არიან, ბევრი ვიცინეთ და მომავალ კვირას ისევ შევხვდებით ერთმანეთსო. გოგონა არას ამბობდა; თავს ისე აჩვენებდა, თითქოს სულაც არ ანაღვლებდა მისი მონაყოლი; მერე ერთბაშად მოუვლიდა ბრაზი, თავში ესროდა ყაისნაღს და უყვიროდა: წადი, გამშორდი, მეჯავრებიო და ხელებში მალავდა სახეს. ბიჭი მიდიოდა და სულაც არ ეამაყებოდა ეს გამარჯვება. უნდოდა გაეხსნა პაწია, გამხდარი ხელები, ეთქვა რენეტისათვის, რაც გითხარი, სულ ტყუილიაო, მაგრამ თავმოყვარეობა ნებას არ აძლევდა უკან მობრუნებულიყო.

ერთ დღეს რენეტის ნაცვლად სხვამ იძია შური. ემანუელი სახელოსნოს მუშებში იყო ჩამდგარი. ამხანაგებს არ უყვარდათ, რაკი განაპირებას ცდილობდა და არ ლაპარაკობდა, ან უკეთ, ძალიან კარგად ლაპარაკობდა: გულუბრყვილოდ და მაღალფარდოვნად, როგორც წიგნი, ან უფრო ზუსტად — საგაზეთო სტატია (აკი გაზეთს წაუკითხავს არ გაუშვებდა). იმ დღეს რევოლუციაზე და მყობადზე დაიწყეს საუბარი. ემანუელი აენთო და სასაცილო შეიქნა. ერთმა ამხანაგმა უხეშად შეუძახა:

— ჯერ ერთი, შენ რევოლუციას არა სჭირდები, ერთობ გონჯი ხარ. მომავალ საზოგადოებაში კუზიანები არ იქნებიან. დაბადებისთანავე წყალში გადაუძახებენ სუყველას.

ამან ფრთა შეაჭრა ყმაწვილის მჭევრმეტყველებას. დანარჩენები სიცილით იჭაჭებოდნენ. საღამომდე კრიჭა არ გახსნია. საღამოს შინ დაბრუნდა; ეშურებოდა დაბრუნებას, რომ მიმალულიყო თავის კუთხეში. და მარტოს ეტანჯა. გზად ოლივიე შემოხვდა; გაუკვირდა, ბიჭს მიწისფერი რომ ედო.

— შენ რაღაც გჭირს; რა მოგვიდა?

ემანუელს არ სურდა გამხელა. ოლივიემ დაუყვავა, აღარ მოეშვა. პატარა მაინც ჯიუტობდა; მაგრამ ყბა უკანკალებდა, თითქოს საცაა, უნდა ატირდესო. ოლივიემ მკლავში ჩაავლო ხელი და თავისთან წაიყვანა, თუმცა თვითონაც განიცდიდა სიმახინჯისა და სნეულების მიმართ იმ უნებურსა და სასტიკ ზიზღს, მოწყალების დის ბუნებას მოკლებულ ხალხს რომ სჩვევია.

— გაწყენინეს?

— დიახ.

— რა გიყვეს?

პატარამ გული გადაუხსნა. უთხრა, გონჯი ვარ, ამხანაგები მეუბნებიან, ჩვენი რევოლუცია შენ არაფერს მოგიტანსო.

— არც მათთვის იქნება, პატარავ; არც ჩვენთვის. ეს ერთი დღის საქმე როდია. იმათთვის ვიღწვით, ვინც ჩვენს შემდეგ მოვლენ.

ბიჭს იმედის გაცრუება დაეტყო, რაკი უთხრეს, რევოლუცია დიდი ხნის შემდეგ მოხდებაო.

— განა არ გახარებს ფიქრი იმისა, რომ ათასობით შენისთანა ბიჭის, მილიონობით სულდგმულის საბედნიეროდ ვიბრძვით?

ემანუელმა ამოიოხრა და უთხრა:

— კარგი იქნებოდა ჩვენც გვრგებოდა პატარა ბედნიერება.

— უმადური არ უნდა იყო, პატარავ. შენ საუკეთესო ქალაქში ცხოვრობ, საოცრებებით ყველაზე მდიდარ ხანაში; უჭკუო არა ხარ. თვალიც გიჭრის. იფიქრე, რომ ბევრი რამაა შენს ირგვლივ დასანახი და სიყვარულის ღირსი.

და რაღაც-რაღაცეები უჩვენა კიდეც.

ბავშვმა უსმინა, უსმინა, მერე თავი გააქნია და უთხრა:

— კი მაგრამ, სულ ხომ ამ ტყავში ვიქნები გამოხვეული!

— არა, განთავისუფლდები მაგ ტყავიდანაც...

— მაშინ ყველაფერი დამთავრდება.

— შენ რა იცი მაგისა?

პატარას გაუკვირდა. პაპამისი წმინდა წყლის მატერიალისტი იყო. ემანუელიც ფიქრობდა, მხოლოდ ხუცებს სწამთ მარადიული ცხოვრებაო. ისიც კარგად მოეხსენებოდა, რომ მისი მეგობარი მღვდელი არ იყო და თავს ეკითხებოდა, ნეტა სერიოზულად თუ მელაპარაკებაო. მაგრამ ოლივიეს ხელი ჩაევლო მისთვის; დიდხანს ელაპარაკა თავის იდეალისტურ რწმენაზე, უკიდეგანო სიცოცხლის ერთიანობაზე, რომელსაც არც თავი აქვს, არც ბოლო, რომლისთვისაც მილიონობით სულდგმული და მილიარდობით წამები მხოლოდ ერთადერთი მზის სხივებია. მაგრამ ამას ასე განყენებული ფორმით როდი ეუბნებოდა. ქვეშეცნეულად ბავშვთან საუბრისას მის ფიქრს უსადაგებდა თავისას; ანტიკური ლეგენდები, ძველ კოსმოგონიათა მატერიალური და ღრმა წარმოსახვანი გაახსენდა; ნახევრად ხუმრობით, ნახევრად სერიოზულად ელაპარაკებოდა სულთა გადასახლებაზე, უამრავ ფორმათა ურთიერთმონაცვლეობაზე, რომლებშიაც სული გადადის და იფილტრება, როგორც წყარო ერთი აუზიდან მეორეში გადასვლისას. ერთმანეთში ურევდა ქრისტიანულ, ბუნდოვან მოგონებებსა და ზაფხულის საღამოს სურათებს, ორთავეს რომ უალერსებდა; ოლივიე ღია ფანჯარასთან იჯდა; ბიჭი თავს წამოსდგომოდა; ხელიხელჩაკიდებულნი იყვნენ. შაბათი საღამო იყო. ზარები რეკდნენ. თბილი ქვეყნებიდან ახლახან დაბრუნებული მერცხლები სახლების კედლებთან მიმოქროდნენ. შორეული ცა დაჰღიმოდა ზემოდან ქალაქს, რომელიც ჩრდილით იმოსებოდა. ბავშვი სუნთქვაშეკრული უსმენდა ფერიათა ზღაპარს, მისი უფროსი მეგობარი რომ უამბობდა; ოლივიეს აც ცეცხლი ედებოდა პატარა მსმენელის ყურადღებით და თავადაც სწამდა საკუთარი ნაამბობისა.

ცხოვრებაში არის გადამჭრელი წუთები, როცა ღამის წყვდიადში დანთქმული დიდი ქალაქის ელნათურებივით ერთბაშად ინთება ბნელ სულში მარადიული ცეცხლი. საკმარისია ერთი ნაპერწკალი დააკვესოს შეორე სულმა და მყის აბრიალებს იმას, ვინც პრომეთეოსის ცეცხლს ელოდება. გაზაფხულის ამ საღამოს ოლივიეს მშვიდმა საუბარმა სულში, დაჟეჟილი ფანრის დარად რომ მოსავდა პატარა, სახიჩარი სხეული, აანთო სინათლე, რომელსაც ჩაქრობა არ

უწერია. ოლივიეს მსჯელობისა არაფერი ესმოდა, სიტყვები ძლივს სწვდებოდა მის ყურს. მაგრამ ეს ლეგენდები, ეს სახეები, რაიც ოლივიესათვის ლამაზი ზღაპრები. პარაბოლები იყო ოდენ, მისთვის ხორცს ისხამდნენ, რეალობად იქცეოდნენ. ფერიათა ზღაპარი ცოცხლდებოდა, დაქროდა ყმაწვილის ირგვლივ. და სახილველი, რომელსაც ჩარჩოდ შემოსდგომოდა ოთახის ფანჯარა, ადამიანები, ქუჩაში რომ მიმოდიოდნენ, შდიდრები, ღარიბები, მერცხლები — კედლებს ფრთას რომ გაჰკრავდნენ, ილაჯგაწყვეტილი ცხენები, ტვირთს რომ ეზიდებოდნენ, შენობათა ქვები, ბინდბუნდის ჩრდილს რომ დასწაფებოდნენ, ფერნამკრთალევი ზეცა, მთელი ეს გარე სამყარო მეყვსეულად აღიბეჭდა მასში, როგორც კოცნა რამ მწველი. ერთი გაიელვა მხოლოდ. შემდეგ ჩაქრა ყველაფერი. რენეტი გაახსენდა და იკითხა:

— — მაშ, ისინი, ვინც წირვაზე დადიან და სჯერათ ღმერთის არსებობა, მაინც დამთხვეულები არიან?

ოლივიეს გაეღიმა.

— მათაც ჩვენსავით სწამთ. — უთხრა. — ყველა ერთსა და იმავეს ვფიქრობთ. ოღონდ მათ ჩვენზე ნაკლებადა სწამთ; ეს ის ხალხია, ვისაც სინათლის დასანახად დარაბების დახურვა და ლამპის ანთება სჭირდება. ისინი ღმერთს კაცში ასახლებენ. ჩვენ უკეთ გვიქრის თვალი... მაგრამ მაინც ერთი და იგივე სინათლე გვიყვარს.

პატარა შინ დაბრუნდა ბნელი ქუჩებით, სადაც გაზის ფანრები ჯერ კიდევ არ იყო ანთებული. ოლივიეს სიტყვები უტრიალებდა თავში. თავს ამუნათებდა, ისეთივე სისასტიკეა ცუდი თვალთახედვისათვის დასცინო კაცს, როგორც უძრახო. კუზიანი რადა ხარო. რენეტის ლამაზი თვალები გაახსენდა; გაიფიქრა, რამდენი ცრემლი მიღვრეკინებიაო და გული შეეკუმშა. ვეღარ გაუძლო, უკან გამობრუნდა და მექაღალდის სახლს მიადგა. ფანჯარა ჯერ კიდევ ღრიჭოდ იყო დარჩენილი: ფრთხილად შეჰყო შიგ თავი და ხმადაბლა დაუძახა:

— — რენეტ!

გოგონამ ხმა არ გასცა.

— მაპატიე, რენეტ!

ბნელიდან რენეტის ხმა გამოეპასუხა:

— საზიზღარო! მეჯავრები.

— მაპატიე, — გაიმეორა ბიჭმა და გაყუჩდა; მერე უცებ, ერთბაშად, ერთის ამოსუნთქვით, კიდევ უფრო ხმადაბლა, აღელვებულმა და ოდნავ დარცხვენილმა უთხრა: — რენეტ, იცი, მეც შენსავით მწამს ღმერთი.

— მართლა?

— მართლა.

უფრო სულგრძელობა სძალავდა ამის სათქმელად. მაგრამ როცა თქვა, ცოტათი იწამა კიდეც.

ერთხანს მდუმარედ იყვნენ. ერთმანეთს ვერ ხედავდნენ. გარეთ საუცხოო ღამე იდგა. პატარა ხეიბარმა წაიჩურჩულა:

—რა კარგი იქნება, როცა დავიხოცებით!..

რენეტის მსუბუქი სუნთქვა ისმოდა.

ბიჭმა გასძახა:

— ღამე ნებისა, პაწია ვასაკავ!

— ძილი ნებისა, — გამოეპასუხა გოგონას მოლმობიერებული ხმა.

უფრო მსუბუქად წავიდა შინისაკენ. კმაყოფილი იყო, რენეტმა რომ აპატია; მაგრამ გულის სიღრმეში ამ საცოდავს სიამოვნებდა კიდეც, სხვა რომ ეწამა მისთვის.

ოლივიე თავის ბინაში განმარტოვდა. მალე კრისტოფიც მასთან გაჩნდა. მათი ადგილი სოციალურ-რევოლუციურ მოძრაობაში აშკარად არ იყო. ოლივიე ვერაფრით შეეთვისა თანამებრძოლებს. კრისტოფს კი არ სურდა შეგუება. ოლივიე განზე დგებოდა სუსტებისა და ჩაგრულთ სახელით. კრისტოფი კი — ძლიერთა და დამოუკიდებელთა სახელით. მაგრამ ტყუილად გაიწიეს ერთმა — ცხვირისაკენ, მეორემ — კიჩოსაკენ, მაინც ერთ გემზე ისხდნენ, რომელსაც მუშათა არმია და მთელი საზოგადოება მიჰყავდა. თავისუფალი და თავის ნებისყოფის მოიმედე კრისტოფი გამომწვევი ცნობისმოყვარეობით ადევნებდა თვალყურს პროლეტართა დარაზმვას; მოსწონდა ხალხში ტრიალი: ეს ასვენებდა; იქიდან უფრო გაჯანსაღებული და ძალმოცემული გამოდიოდა. კვლავ ხვდებოდა კოკარს და დროგამოშვებით ორელისთანაც სადილობდა. იქ რომ მოხვდებოდა, თავს კონტროლს არ უწევდა, ერთბაშად მინებდებოდა ხოლმე თავის ახირებულ ხასიათს. პარადოქსი არ აფრთხობდა; და ეშმაკური სიამოვნება ეუფლებოდა, როცა თანამოსაუბრეთ მათი პრინციპების უკიდურეს — აბსურდულსა და შლეგურ შედეგებამდე მიიყვანდა. კაცი ვერასდროს გაუგებდა, სერიოზულად ლაპარკობდა თუ არა; რადგან ლაპარაკი ისეთის გატაცებით იცოდა, თვითონვე ავიწყდებოდა თავისი თავდაპირველი ახირება. ხელოვანი თვრებოდა სხვათა სიმთვრალით. ერთი ასეთი ესთეტიკური მღელვარების ჟამს იყო, რომ ორელის დუქნის უკანა ოთახში რევოლუციური სიმღერა შეთხზა, რომელიც მეორე დღესვე აიტაცეს და გაიმეორეს მუშათა ჯგუფებმა. ასე გაიტეხა სახელი. პოლიციამ თვალყურის დევნება დაუწყო. მანუსს ნაცნობები ჰყავდა შიგ მტრის ბანაკში, სწორედ ის გააფრთხილა ერთმა შეგობარმა — პოლიციის პრეფექტის ახალგაზრდა თანამშრომელმა ჭსავიე ბერნარმა, რომელიც ლიტერატორობას ჩემულობდა და იმასაც ამბობდა, კრისტოფის მუსიკაზე ჭკუას ვკარგავო (რამეთუ დილეტანტიზმი და ანარქიული სულისკვეთება თვით მესამე რესპუბლიკის მცველ ნაგაზებს შორისაც შეიპარა).

— თქვენი კრაფტი ცუდ თამაშს შესდგომია, — უთხრა მანუსს ბერნარმა, — სულ წაიყარა ლაგამი. ჩვენ კი ვიცით, რა უნდა ვიფიქროთ ამეებზე, მაგ-

რამ ზემოთ საწყენად არ დარჩებათ, თუ უცხოელს, და თანაც ვის? გერმანელს ჩაავლეს ამ რევოლუციურ ბნელ საქმეებში. ამაზე უკეთესი ხერხი არ არსებობს საიმისოდ, სახელი რომ გავუტეხოთ პარტიასა და თითით საჩვენებელი გავხადოთ მისი წევრები. თუ ეგ სიბრიყვე არ დაიშალა, იძულებული გავხდებით, დავაკავოთ. ეს კი სამწუხარო იქნება. გააფრთხილეთ!

მანუსმა გააფრთხილა კრისტოფი; ოლივიეც ბევრს ემუდარა, ფრთხილად იყავიო. კრისტოფს სერიოზულად არც კი მიუღია ეს ამბავი.

— განა ყველამ არ იცის, რომ საშიში არა ვარ? ხომ მაქვს უფლება გავერთო! მე მიყვარს ეს ხალხი; ისინი ჩემსავით მუშაობენ და მათაცა აქვთ რწმენა, ჩემი არ იყოს. სინამდვილეში ჩვენი რწმენა ერთი როდია, ჩვენ ერთ ბანაკს არ ვეკუთვნით... კეთილი და პატიოსანი! მაშ, ვიბრძოლებთ. ბრძოლას არ შევუშინდები. რას იზამ? მე არ შემიძლია შენსავით საკუთარ ნიჟარაში დავრჩე შეკეტილი. სული მეხუთება ბურჟუებთან.

ოლივიეს ასეთი მომთხოვნი ფილტვები არ ჰქონდა, ამიტომ თავს კარგად გრძნობდა თავის ვიწრო ბინაში, ორ წყნარ ქალს შორის, მით უფრო, რომ ერთი მათგანი — ქალბატონი არნო ქველმოქმედების გზას დაადგა, მეორე კი — სესილი, მთლად ბავშვზე იყო გადაგებული; მხოლოდ ჩვილზე ლაპარაკობდა და ეტიტინებოდა კიდეც იმ მოჟღურტულე კილოთი, რომელიც ათაყვანებს ყველას, ვისაც სურს მიჰბაძოს ჩიტის გალობასა და კაცთა ენაზე გადმოიტანოს იგი.

მუშათა წრიდან ორი ნაცნობიღა შერჩა: ორთავ მასავით დამოუკიდებელი. ერთი — გერენი, ხალიჩების მქსოველი იყო. თავის გუნებისად მუშაობდა, როგორც მოეპრიანებოდა, მაგრამ მარჯვედ და ოსტატურად. უყვარდა თავისი ხელობა, სიყრმიდანვე გატაცებული იყო ხელოვნების საგნებით; დაკვირვებამ, შრომამ და მუზეუმებში სიარულმა ეს ნიჭი კიდევ უფრო გაუცხოველა. ოლივიემ ძველი ავეჯი შეაკეთებინა: ძნელი საქმე იყო, მაგრამ ოსტატმა ჩინებულად გაართვა თავი; დრო და ენერგია არ დაუზოგავს, საფასური კი ცოტა ითხოვა, იმდენად იყო გახარებული, რომ გამოუვიდა ნახელავი. ოლივიე დაინტერესდა მისით, როგორ ცხოვრობო, გამოჰკითხა, შეეცადა გაეგო, რას ფიქრობდა მუშათა მოძრაობაზე. გერენი არაფერსაც არ ფიქრობდა. არც ენაღვლებოდა. ის მუშათა კლასს არ ეკუთვნოდა. ის არც ერთ კლასს არ ეკუთვნოდა. მარტო იყო, თავისთვის. ცოტას კითხულობდა. მთელი მისი ინტელექტუალური ალღო გრძნობათა, თვალის, ხელის, პარიზელთა თანდაყოლილი გემოვნების საქმე იყო. ბედნიერი კაცი გახლდათ. ასეთი ჯურის კაცი იშვიათი როდია მუშათა წვრილ ბურჟუაზიას შორის, რომელიც ერის ერთ ყველაზე უფრო გონიერ ნაწილს შეადგენს, რადგან ახორციელებს სანუკვარ წონასწორობას ხელოსნის შრომასა და გონების საღ მუშაობას შორის.

მეორე ნაცნობობა უფრო ორიგინალური გახლდათ. იმ კაცს ურტელუ ერქვა და ფოსტალიონად მსახურობდა. ლამაზი ვაჟკაცი იყო, მაღალი, ცის-

ფერთვალება: მოკლე წვერი და ქერა ულვაშები ამშვენებდა; გულღია და მხიარული იერით წამში მოინადირებდა მნახველს. ერთ დღეს, როცა დაზღვეული წერილი მოიტანა, ოლივიეს ოთახში შემოვიდა. სანამ ოლივიე ხელს მოუწერდა, მთელი ბიბლიოთეკა გადაათვალიერა, ცხვირი დაასო ტომების სათაურებს:

— სულ კლასიკოსები გქონიათ... — ჩაილაპარაკა და დასძინა, — მე კი ბურგუნდიის ისტორიაზე ვაგროვებ წიგნებს.

ვარ ეშხიანი ბურგუნდიელი,
ფოლადი მიეღერს ხმაში,
წვერი მამშვენებს, ძალოსანი ვარ,
დავიარები დაშნით.—

მიუგო სიცილით ფოსტალიონმა. — მე ავალონის მხრიდანა ვარ. წინაპართა ქაღალდები მაქვს, 1200-იანი წლებით დათარიღებული...

ოლივიეს ცნობის წადილი აღეძრა და დაწვრილებით დაუწყო გამოკითხვა. ურტელუსაც მეტი რა უნდოდა. მართლაც ბურგუნდიის ერთ-ერთი უძველესი ოჯახიდან ყოფილიყო გამოსული. ერთ მის წინაპარს ფილიპ ავგუსტის[1] ჯვაროსნულ ლაშქრობაშიაც მიეღო მონაწილეობა. მეორე ამრი II-ის[2] დროს მჯდარა სახელმწიფო მდივნად. გვარის დაცემა XVII საუკუნიდან დაიწყო. რევოლუციის დროს გაპარტახებული და დაკნინებული ოჯახი ხალხის ჭაობში ჩაძირულა. ახლა ისევ ამოტივტივდა ზევით ფოსტალიონ ურტელუს პატიოსანი შრომის, ფიზიკური და მორალური ძალისა და თავისი გვარისადმი უსაზღვრო ერთგულების წყალობით. ყოველგვარ დროსტარებას იმ ისტორიული და საგვარტომო საბუთების შეგროვება ერჩია, მისიანებსა და მის მშობელ მხარეს რომ შეეხებოდა. უქმე დღეებში არქივში მიდიოდა ძველი ქაღალდების გადმოსაწერად. როცა არ ესმოდა წაკითხულის შინაარსი, ერთ თავის კლიენტს — ქარტისტ[3] თუ სორბონდამთავრებულ კაცს ეკითხებოდა. საუცხოო წარმომავლობა თავბრუს არ ახვევდა; სიცილით ჰყვებოდა, ერთხელაც არ დაიჩივლებდა ბედის უკუღმართობაზე. ისეთი ლაღი და მხიარული იყო, მის ნახვას არაფერი სჯობდა. მისი შემხედვარე ოლივიეც ფიქრობდა, რასათა საიდუმლოებით მოცული ნაკადი, მთელი ძალით რომ ჩქეფდა საუკუნეთა მანძილზე, მთელი საუკუნეებით მიწის ქვეშ იკარგება, მერე ისევ ზედაპირზე ამოვა მას შემდეგ, რაც ამოკრებს მიწის წიაღიდან ახალ ძალებსო. ხალხი ესახებოდა უზარმაზარ წყალსატევად, სადაც იკარგებოდნენ მომავლის მდინარეები, რომლებიც მერე სახელს კი იცვლიან, მაგრამ თავად არ იცვლებიან.

---

[1] ფილიპ ავგუსტი — საფრანგეთის მეფე 1180 წლიდან 1223 წლამდე.

[2] ანრი მეორე — საფრანგეთის მეფე 1547 წლიდან 1559 წლამდე.

[3] ქარტისტებს ეძახდნენ იმ პირთ, ვისაც პარიზის საარქივო და საბიბლიოთეკო ინსტიტუტი ჰქონდათ დამთავრებული.

გერენიცა და ურტელუც ძალიან მოსწონდა ოლივიეს; მაგრამ ისინი მეგობრობას ვერ გაუწევდნენ; ცოტა რამ ჰქონდათ ერთმანეთისათვის სათქმელი. პატარა ემანუელს მეტ დროს ახმარდა; ბიჭი თითქმის ყოველ საღამოს მოდიოდა მასთან. იმ ჯადოსნური საუბრის შემდეგ ბავშვი მთლად გამოიცვალა. ცოდნის წყურვილით ატანილი უჩვეულო სიხარბით დაეწაფა წიგნებს. თავს მანამ არ აიღებდა წიგნიდან, სანამ არ გამოთაყვანდებოდა. წინანდელზე ნაკლებ გონიერი კი ჩანდა: ლაპარაკსაც გადაეჩვია. ოლივიე ჰოსა და არას ძლივს ამოგლეჯდა პირიდან; თუ რამეს ჰკითხავდა, ბრიყვულ პასუხს ღებულობდა. მასწავლებელი იმედს ჰკარგავდა; ცდილობდა ბიჭისათვის არაფერი ეგრძნობინებინა, მაგრამ ფიქრობდა, შევცდი, ეს ბიჭი მთლად ტუტუციაო. იგი ვერ ამჩნევდა იმ უზარმაზარ მუშაობას, ამ ცხელებიან სულში რომ მიმდინარეობდა. ცუდი მასწავლებელი იყო; მინდორში ალალბედზე საუცხოო მარცვლის პოვნა უფრო ემარჯვებოდა, ვიდრე მიწის გამარგვლა და კვლების გაკვლება. კრისტოფის სტუმრობა კიდევ უფრო ახდენდა საქმეს: ოლივიეს უჭირდა თავისი პატარა შეგირდის ჩვენება; რცხვენოდა ემანუელის სიბრიყვისა, კრისტოფის წინაშე უფრო თვალში საცემი რომ ხდებოდა ხოლმე. ბიჭი იბღვირებოდა და დუმდა. სძულდა კრისტოფი, რადგან ილივიეს უყვარდა იგი; ვერ აეტანა, რომ მისი მასწავლებლის გულში სხვასაც დაედო ბინა. არც კრისტოფსა და არც ოლივიეს წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ სიყვარულისა და ეჭვიანობის იმ ქარიშხალზე, ბავშვის გულში რომ ტრიალებდა. თუმცა კრისტოფს ასეთი რამ წინათ გამოვლილი ჰქონდა. მაგრამ თავს ვეღარ სცნობდა ამ არსებაში, სულ სხვა მასალისაგან რომ იყო შეთხზული. ამ სნებიანი მემკვიდრეობის ნაშიერში ყველაფერი — სიყვარულიცა და სიძულვილიც, ფარული ნიჭიც სხვაგვარ ხმას გამოსცემდა.

პირველი მაისი ახლოვდებოდა.

პარიზი შფოთავდა და გუგუნებდა. ამ გუგუნს შრომის ეროვნული კონფედერაციის მატამორები კიდევ უფრო აძლიერებდნენ. შათი გაზეთები ყველას ამცნობდნენ, გადამწყვეტი დღე დადგაო. იწვევდნენ სახალხო მილიციას და თავზარდამცემ სიტყვას ისროდნენ, ბურჟუების ყველაზე უფრო მგრძნობიარე ადგილას — შიგ მუცელში რომ ადწევდა... Feri ventrem![1] ბურჟუებს საყოველთაო გაფიცვით ემუქრებოდნენ. დამფრთხალი პარიზელები სოფლებში იხიზნებოდნენ, ან სარჩოს იმარაგებდნენ, თითქოსდა ალყისათვის ემზადებიანო. კრისტოფი შეხვდა თავის მანქანაში მჯდარ კანეს, ვეება ლორის ნაჭერი და ტომარა კარტოფილი რომ მიჰქონდა; თავის ჭკუაზე აღარ იყო საწყალი; უკვე აღარ იცოდა, რომელ პარტიას ეკუთვნოდა; ხან ძველი რესპუბლიკელი იყო, ხან — როიალისტი, ხან — რევოლუციონერი. ძალმომრეობას თაყვანსა სცემდა, თავგზააბნეული კომპასი იყო,

---

[1] ჰკა შიგ მუცელში (ლათ.).

რომლის ისარიც ჩრდილოეთიდან სამხრეთზე, სამხრეთიდან კვლავ ჩრდილოეთზე ხტებოდა. ხალხში კვლავ თავისი მეგობრების ბაქიაობას უბამდა მხარს, მაგრამ in petto[1] პირველსავე მოსულ დიქტატორს მიემხრობოდა, თუკი ის წითლებს გარეკავდა.

კრისტოფი იცინოდა ამ საყოველთაო სიმხდალეზე. დარწმუნებული იყო, არაფერი მოხდებაო. ოლივიე ნაკლებად გახლდათ დარწმუნებული. ბურჟუაზიული ოჯახისშვილობიდან კიდევ შერჩენოდა ის პატარა, მარადიული ცხრო, რევოლუციის მოგონება და მოლოდინი რომ იწვევს ბურჟუაზიაში.

— კარგი, თუ კაცი ხარ! — ეუბნებოდა კრისტოფი, — შეგიძლია მშვიდად იძინო. შენი რევოლუცია ხვალ არ მოხდება! თქვენ ყველას გეშინიათ მისი. დარტყმებისა გეშინიათ... ყველა შეუპყრია ამ შიშს: ბურჟუებიც, უბრალო ხალხიც, მთელი ერიც, დასავლეთის ყველა ერებიც. სისხლი დაგვწრეტია და ვშიშობთ, არ დავთხიოთ იგი. უკვე ორმოცი წელია, რაც სიტყვებით მთავრდება ყველაფერი. დახე ერთი თქვენს დიად საქმეს! საკმარისად იყვირეთ: „სიკვდილი... სისხლი... ხოცვა-ულტიმატუმ!..“ ოი, გასკონიის კადეტებო![2] რამდენი ნერწყვი და მელანია! რამდენი ცვარი სისხლი?!

— ნუ მიენდობი, — არწმუნებდა ოლივიე, — სისხლის ეგ შიში საიდუმლო ინსტინქტია და, პირველსავე დაღვრილ სისხლზე ნადირი გააფთრდება; ცივილიზებულის ნიღაბი მოსძვრება, გამოაჩენს ვეება, უშველებელ ხახას და ღმერთმა იცი, ვინ მოახერხებს მაშინ მისთვის პირის აკვრას! ომის წინ ყველა ყოყმანობს; მაგრამ ომი თუ ატყდა, სასტიკი იქნება...

კრისტოფი მხრებს იჩეჩდა და ამბობდა, ტყუილად როდია, რომ დღეის დღეს გმირად გაუხდიათ ენაწყლიანი სირანო და მკვეხარა ყვინჩილა — შანტეკლერიო[3]. გმირები, რომლებიც ტყუილად მოჰკვეხენო.

ოლივიე თავს აქნევდა. მან იცოდა, რომ საფრანგეთში ლაქლაქი მოქმედების დასაწყისია. მაგრამ სიმართლე თუ გნებავთ, კრისტოფზე მეტად არც მას სჯეროდა საპირველმაისოდ რევოლუციის დაწყებისა; რევოლუცია ბევრჯერ გამოაცხადეს და მთავრობას თადარიგი ჰქონდა დაჭერილი. საფიქრებელი იყო, რომ აჯანყების მოთავენი ბრძოლას უფრო მარჯვე დროისათვის გადასდებდნენ.

აპრილის მეორე ნახევარში ოლივიეს გრიპი შეხვდა: გრიპი ყოველ ზამთარს ემართებოდა თითქმის ერთსა და იმავე დროს და ძველ ბრონქიტს უღიზიანებდა. კრისტოფი ორი თუ სამი დღით მასთან გადავიდა. სენი მძიმე არ ყოფილა და სწრაფად ჩაიარა. მაგრამ, როგორც ყოველთვის, ოლივიეს გაუცხოველა

---

[1] გულში (იტალ.).

[2] იმ გვარდიის ჯარისკაცები, რომელშიაც სირანო დე ბერჟერაკი მსახურობდა — როსტანის ამავე სახელწოდების პიესის გმირი, დუელიანტები და მკვეხარა ხალხი.

[3] როსტანის ამავე სახელწოდების ალეგორიული პიესის გმირი მამალი (1910).

მორალური და ფიზიკური დაღლილობა, რომელიც მას შემდეგაც გაჰყვა, რაც სიცხეს დაუწია. ლოგინში იწვა გულაღმა, საათობით გაშოტილი და განძრევის სურვილი არ ჰქონდა; ხედავდა კრისტოფს, ზურგი რომ შეექცია მისთვის და თავის მაგიდაზე დაყრდნობილი მუშაობდა.

იგი მთლად გაეტაცა სამუშაოს. როცა წერით დაიღლებოდა, წამოხტებოდა და მივარდებოდა პიანინოს; უკრავდა იმას კი არა, რაც დაწერა, რაც თითებზე მოადგებოდა. მაშინ უცნაური რამ ხდებოდა. რასაც წერდა, მის ძველ ნაწარმოებებს მოაგონებდა კაცს, რასაც უკრავდა, სულ სხვის დაწერილს ჰგავდა. ეს გახლდათ ხმამყივანი, სუნთქვაწყვეტილი სამყარო. შიგ შეუსაბამობაც ბევრი იყო, მძლავრი და დამსხვრეული არათანამიმდევრობაც და არაფრით გვაგონებდა ლოგიკურ სიძლიერეს, მთელ მის ადრინდელ მუსიკაში რომ სუფევდა. იტყოდით, ეს დაუფიქრებელი იმპროვიზაციები, ცნობიერების თვალს რომ ეპარება და ნადირის ყვირილისა არ იყოს, ხორციდან უფრო წარმოსდინდება, ვინემ აზრიდან, ფარდას ხდის სულის წრტიალს, ქარიშხალს, მომავლის წიაღში რომ უნდა დაიდოსო ბინა. კრისტოფი ამას ვერ ამჩნევდა; მაგრამ ოლივიე უსმენდა, უცქერდა მეგობარს და იდუმალი ნაღველი იპყრობდა. სუსტსა და უღონოს უცნაური მიხვედრის უნარი გააჩნდა; შორს გამჭვრეტი. ისეთ რასმე ხედავდა, რასაც ვერავინ ამჩნევდა.

კრისტოფი უკანასკნელ აკორდს მოსწყდა, გაოფლიანებული, გახელებული. შედგა, ირგვლივ მოავლო ჯერ კიდევ ამღვრეული მზერა, ოლივიეს თვალებს შეეფეთა, გაიცინა და თავის მაგიდას მიუბრუნდა. ოლივიემ ჰკითხა:

— რასა წერ, კრისტოფ?

— არაფერს, — მიუგო კრისტოფმა, — წყალს ვამღვრევ, თევზი რომ მოვიზიდო.

— ამეებს დაწერ?

— ამას? რას ამას?

— რასაც წეღან უკრავდი.

— რას ვუკრავდი? მე აღარც კი მახსოვს.

— მაშ, რაზე ფიქრობდი?

— არ ვიცი, — მიუგო კრისტოფმა და შუბლზე გადაისვა ხელი.

მერე კვლავ წერას შეუდგა. ისევ სიჩუმე ჩამოვარდა ოთახში. ოლივიე კრისტოფს შესცქეროდა. კრისტოფი გრძნობდა ამ მზერას; შემობრუნდა. ოლივიეს თვალები ისეთი ცნობისმოყვარეობით შემოჰყურებდნენ!

— ზარმაცო! — უთხრა ხუმრობით.

ოლივიემ ამოიოხრა.

— რა მოგივიდა? — ჰკითხა კრისტოფმა.

— ო, კრისტოფ! ვფიქრობ იმაზე, თუ რამდენი რამაა შენში, აქ, ჩემს გვერდით; აურაცხელი განძი გაგაჩნია, რომელთაც სხვას დაურიგებ, მე კი წილი არ შემხვდება!..

— რა ეშმაკი შეგიჩნდა, გაგიჟდი?!

— როგორი იქნება შენი ცხოვრება? კიდევ რა ხიფათებს, რა განსაცდელს გაივლი?.. მეც შენთან ყოფნა მეწადა... მაგრამ ვეღარაფერს ვნახავ. მე სულელურად გავრჩები გზაზე.

— მართლაც სულელი ხარ. ხომ არა გგონია, შემთხვევით, კიდევაც რომ ინდომო, გზაში მიგატოვებ?

— შენ დამივიწყებ, — უთხრა ოლივიემ.

კრისტოფი ადგა, მივიდა ოლივიეს საწოლთან, ზედ ჩამოჯდა; მაჯები დაუჭირა, სისუსტის ოფლით დაცვარული მაჯები. საკინძე ჩახსნოდა ავადმყოფს, მოუჩანდა გამხდარი მკერდი, როგორც იალქანი, ქარი რომ შემოუბერავს და საცაა, გაიხევა. კრისტოფის ღონიერმა თითებმა შეუკრა საკინძე. ოლივიე უსიტყვოდ მინებდა.

— ძვირფასო კრისტოფ, — უთხრა სიყვარულით, — მე დიდი ბედნიერება მაინც განვიცადე ამ წუთისოფელში!

— ეს რა აზრები მოგდის? — შეუწყარა კრისტოფი, — შენ ჩემსავით ჯანმრთელი ხარ.

— ჰო, — ჩაიდუდუნა ოლივიემ.

— მაშ, სისულელეებს რაღად ამბობ?

— მომიტევე, — მიუგო ღიმილით დარცხვენილმა ოლივიემ, — გრიპმა დამიგდო.

— თავს უნდა შოერიო; აბა, ადექი!

— ჯერ არა. ცოტა ხნის მერე.

იწვა და ოცნებობდა. მეორე დღეს ადგა, მაგრამ ცეცხლაპირას მიჯდა და კვლავ ოცნებას მისცა თავი: აპრილი წყნარი და ნისლიანი დაიჭირა. ნისლის ვერცხლისფერ და თბილ ფარდის უკან პაწია მწვანე კვირტები სკდებოდნენ; უხილავი ჩიტები დამალულ მზეს უგალობდნენ. ოლივიე აპირქვავებდა თავის მოგონებათა სკივრს. ხედავდა თავს პატარაობისას მატარებელში, რომელსაც პატარა, მშობლიური ქალაქიდან ნისლში მიჰყავდა იგი ატირებულ დედასთან ერთად. ანტუანეტა მარტო მიყუჟულიყო ვაგონის მეორე კუთხეში... ნატიფი პროფილები, ამო სანახები ეხატებოდა გონების თვალწინ. ლამაზი ლექსები თავისით ეწყობოდნენ მარცვალ-მარცვალ, სასიმღერო რიტმებად. მაგიდას მისჯდომოდა, მხოლოდ ხელი უნდა გაეწვდინა და კალამს მისწვდებოდა პოეტური ფიქრების ჩასაწერად. მაგრამ ნებისყოფა არ მოსდევდა; დაღლილი იყო; იცოდა, რომ მისი ნაოცნებარის სურნელი მაშინვე განქარდებოდა, როგორც კი ჩაწერას დააპირებდა. მუდამ ასე იყო: საუკეთესო რაც ჰქონდა, ენით არ ითქმოდა; მისი გონება ყვავილებით მოქარგული ხევი იყო, მაგრამ იქამდე ვერავინ აღწევდა. მოკრეფდნენ ყვავილებს და ისინიც მაშინვე ჭკნებოდნენ. მხოლოდ რამდენიმე სუსტი და მიბნედილი ნოველა გადაურჩა, რამდენიმე ლექსი, სასიამოვნო, ნაზი და მომაკვდავი სუნი რომ სდიოდა. ეს ხელოვნებისეული უძლურება დიდხანს ყველაზე უფრო სამძიმო დარდად უჩნდა ოლივიეს. ამდენ

სიცოცხლეს გრძნობდე შენს გულში და არ კი შეგეძლოს მათი გადარჩენა!.. ახლა შეურიგდა ბედს. ყვავილებმა რომ იყვავილონ, მეთვალყურე არა სჭირიათ. კიდევ უფრო წარმტაცნი არიან ველზე, სადაც არა კაცის ხელი არ ეტანებათ მოსაწყვეტად. ბედნიერნი არიან აყვავილებული ველ-მინდვრები, მზეზე რომ ოცნებობენ! მზე აღარ ჩანდა, მაგრამ ოლივიეს ოცნებანი კიდევ უფრო ყვავილობდნენ. რამდენი ნაღვლიანი, მოსიყვარულე, სასწაულებრივი ამბავი უამბო თავის თავს იმ დღეებში!... კაცმა არ იცის, საიდან მოდიოდნენ ეს ამბები, როგორც თეთრი ღრუბლები ზაფხულის ცაზე; ჰაერში იბნეოდნენ, განიმქრეოდნენ მზის სხივებით ნაბანნი; მათ ადგილას კი სხვები ჩნდებოდნენ. ოლივიე პირთამდე სავსე იყო ამ ამბებზე. ხანდახან ცა ცარიელდებოდა და ოლივიეც ინთქმებოდა მის სილურჯეში, სანამ ამ სიჩუმეში ოცნების იალქნები ფარფატით ისევ არ გამოჩნდებოდნენ.

საღამოს პატარა კუზიანი მოვიდა. ოლივიე ისე სავსე იყო თავისი ამბებით, რომ ფიქრით გატაცებულმა და მომღიმარმა ერთი მათგანი კიდევაც უამბო. რამდენჯერ ულაპარაკია ასე, როცა ბავშვი სიტყვას არ ძრავდა! ბოლოს ავიწყდებოდა კიდეც ემანუელის იქ ყოფნა. კრისტოფი მოთხრობის შუაში შემოესწროთ და გააკვირვა მისმა სილამაზემ. ოლივიეს სთხოვა, თავიდან მიამბეო. ოლივიემ უარი უთხრა.

— მეც შენსავითა ვარ; აღარ მახსოვს.

— სტყუი, — უთხრა კრისტოფმა, — შენ ეშმაკი ფრანგი ხარ, რომელმაც მუდამ იცის, რასაც ამბობს და აკეთებს; შენ თავის დღეში არაფერი გავიწყდება.

— ვაი, რომ ეგრეა! — ამოიოხრა ოლივიემ.

— მაშ, გაიმეორე.

— დამღლის; ან კი რა საჭიროა?

კრისტოფი გაწყრა.

— ეგრე არ იქნება, — უთხრა მეგობარს, — მაშ, რაში გარგია ეგ შენი ფიქრი? რაცა გაქვს, ყრი და სამუდამოდ კარგავ.

— არაფერი არ იკარგება, — შიუგო ოლივიემ.

პატარა კუზიანი გამოერკვა გარინდებიდან, ოლივიეს ნაამბობმა თავს რომ მოახვია. ფანჯრისთვის მიეპყრო მონიწსლული მზერა, სახე შეეშმუხვნოდა, მტრულად იცქირებოდა ისე, რომ ვერ გამოიცნობდით, გულში რა ედო, რას ფიქრობდა. მერე ადგა და თქვა:

— ხვალ კარგი დარი იქნება.

— სანაძლეოს ვდებ, — უთხრა კრისტოფმა ოლივიეს, — ყურსაც არ გიგდებდა.

— ხვალ პირველი მაისია, — განაგრძო ემანუელმა და მოქუფრული სახე გაუცისკროვნდა.

— ეგ უკვე მისი ზღაპარი გახლავთ, — თქვა ოლივიემ და — ხვალ მიამბობო, ბიჭს უთხრა.

— სისულელეა! — ჩაილაპარაკა კრისტოფმა.

მეორე დღეს კრისტოფმა გამოუარა ოლივიეს, პარიზში რომ გაესეირნათ. ოლივიე მორჩა, მაგრამ ისევ უცნაურ დაღლილობას უჩიოდა: კარში გასვლა არ უნდოდა, ბუნდოვან შიშს გრძნობდა, არ სურდა ბრბოში გარეულიყო. გული და გონება მამაცი ჰქონდა, მაგრამ ხორცით იყო სუსტი. ეშინოდა ზედახოცვის, მუშტიკრივის, ძალმომრეობის: ძალზე კარგად უწყოდა, რომ მსხვერპლად იყო დაბადებული, მაგრამ არც შეეძლო და არც სურდა თავი დაეცვა, რადგან აძრწუნებდა ფიქრი იმისა, ვაითუ ტანჯვა მივაყენო ვინმესო. ავადმყოფურ არსებებს სხვაზე მეტად სძრავთ ფიზიკური ტანჯვა, იმიტომ რომ უკეთ იცნობენ მას: წარმოსახვა უხატავთ ამ ტანჯვას უფრო ხელშესახებად და სისხლმდინარედ. ოლივიეს აწითლებდა საკუთარი სხეულის სიძაბუნე, მისი ნებისყოფის სტოიციზმს რომ არ ეთანხმებოდა და ცდილობდა ჩაეხშო შიში. მაგრამ ამ დილით ძე ხორციელის ნახვა არ სურდა; უნდოდა შინ დარჩენილიყო, მთელი დღით ჩაკეტილიყო თავის ფიქრებთან ერთად. კრისტოფმა დატუქსა, დასცინა, კარში გაყვანა მოუნდომა, რომ გარინდებიდან როგორმე დაეღწევინებინა თავი: ათი დღე იყო, რაც ოლივიეს ჰაერი არ ჩაეყლაპა. ოლივიე ყურს არ იბერტყავდა. კრისტოფმა უთხრა:

— კარგი, უშენოდ წავალ. მათ პირველ მაისსაც ვნახავ. ამ საღამოს თუ არ დავბრუნდი, იცოდე, რომ საპყრობილეში მიკრეს თავი.

და წავიდა. კიბეზე ოლივიეც დაეწია. არ უნდოდა მარტო გაეშვა მეგობარი.

ქუჩაში ცოტა ხალხი იყო. რამდენიმე ახალგაზრდა მუშა ქალიც შემოხვდათ, კაბაზე შროშანის ყვავილი რომ დაემაგრებინათ. საუქმოდ გამოწყობილი მუშები უსაქმურად დაეხეტებოდნენ. ქუჩების კუთხეებში, მეტროს სადგურებთან, ჯგუფ-ჯგუფად, მალულად ტრიალებდნენ აგენტები. ლუქსემბურგის ბაღი დაკეტილი იყო. დარი ისევ ნისლიანი და თბილი იდგა. უკვე იმდენი ხანი იყო, რაც მზე არ ენახათ!.. ორი მეგობარი ხელიხელგაყრილი მიდიოდა. ცოტას ლაპარაკობდნენ; ძლიერ უყვარდათ ერთმანეთი... რამდენიმე სიტყვით აცოცხლებდნენ ინტიმურ, გარდასულ ამბებს. მერიის წინ შედგნენ და ბარომეტრს შეხედეს, აწევას რომ აპირებდა.

— ხვალ მზეს ვნახავ, — თქვა ოლივიემ.

სულ ახლოს იყვნენ სესილის სახლიდან. იფიქრეს, შეევალთ, ბავშვს ვაკოცებთო.

— არა; რომ დავბრუნდებით, მერე.

წყალს გაღმა უკვე მეტ ხალხს ხვდებოდნენ. მშვიდობიანი მოსეირნეები იყვნენ, საუქმო ტანსაცმელში გამოწყობილები, მხიარულნი და ხალისიანნი; უსაქმურები თავიანთი ბავშვებით, მოხეტიალე მუშები. ორსა თუ სამს საღილეში წითელი ასკილი გაერჭო. მშვიდობიანი იერი ჰქონდათ მათაც. ესენი რევოლუციონერები იყვნენ, უკეთ, ისინი, რევოლუციონერობას რომ ჩემუ-

ლობდნენ; იგრძნობოდა მათი ოპტიმისტური გული, მცირეოდენი ბედნიერებითაც რომ კმაყოფილდება: კარგი დარი იქნებოდა თუ ასატანი, ამ გამოსაშვები დღის მაინც მადლიერები იყვნენ... არც კი იცოდნენ ვისი... ყველაფრისა, რაც გარს ერტყათ. ტაატით მიმოდიოდნენ გალაღებულნი; ტკბებოდნენ ხეთა კვირტების მზერით, გოგონათა კაბებით და ამაყად ამბობდნენ:

— მხოლოდ პარიზში ნახავთ ასე გამოწყობილ ბავშვებს...

კრისტოფი იცინოდა, აკი სადღეისოდ ამბოხს გვპირდებოდნენ პარიზელებიო. კეთილო ხალხო! მას უყვარდა ისინი, ოღონდ ცოტა ზიზღიც ერია ამ სიყვარულში.

რაც უფრო მიიწევდნენ წინ, ბრბოც მატულობდა. მიწისფერი, საეკვო სახეები, ბილწი სიფათები ჩნდებოდნენ ნაკადში. გადარაჯებულნი ელოდნენ მარჯვე წუთსა და მსხვერპლს, რომ ხელი ეტაცათ მისთვის. შლამი აირია. ყოველ ნაბიჯზე მდინარე სულ უფრო მღვრიე ხდებოდა. ახლა მიედინებოდა ჭუჭყიანი და გაუმჭვირი. მდინარის გაზინთულ ზედაპირზე სიღრმიდან ამოსროლილი ბუშტულების მსგავსად გადაძახილ-გადმოძახილი, სტვენა, მეწვრილმანეთა ყვირილი აპობდა ნაკადის ყრუ გუგუნს და საცნაურს ხდიდა მის მრავალშრიანობას. ქუჩის ბოლოს, ორელის დუქანთან, რაბების ხმაური იდგა. ბრბოს ტალღა იმსხვრეოდა პოლიციელთა და ჯარის ნაწილების ჯებირზე. დაბრკოლების წინ ბრბო ტორტმანობდა გაჩქარებული. ისმოდა სტვენა, არეული სიმღერა, სიცილი. ხალხის სიცილი ერთადერთი საშუალებაა ათასობით ბნელი გრძნობის გამოსახატავად, რომელთაც ვერ უპოვიათ, ვერ გაურღვევიათ სიტყვის ჯებირი!..

ბრბო როდი იყო მტრულად განწყობილი. მან თავადაც არ უწყოდა, რა სურდა. სანამ გაიგებდა, თავს იქცევდა თავისებურად აღგზნებული, უხეში, მაგრამ ჯერაც უბოროტო. აწვებოდა და მასაც აწვებოდნენ, ლანძღავდა პოლიციელებს ან თავისიანებს ეხმიანებოდა. მაგრამ თანდათან გაცხარდა. უკან დარჩენილებს მოუსვენრობა დაეტყოთ, რაკი ვერაფერს ხედავდნენ: და მით უფრო გამომწვევად ეჭირათ თავი, რაც უფრო ნაკლები ჰქონდათ საშიშარი ხალხის ჯავშანს ამოფარებულთ. წინ წასულები იჭყლიტებოდნენ მათ შორის, ვინც აქედან აწვებოდა და ვინც იგერიებდა; მოთმინებიდან გამოდიოდნენ მით უფრო, რომ მათი მდგომარეობა აუტანელი შექმნილიყო: ნაკადი, უკნიდან რომ აწვებოდათ, ძალას უასკეცებდათ და რაც უფრო მისრესილები იყვნენ ერთიმეორეს პირუტყვებივით, მით უფრო გრძნობდნენ ფარის სითბოს, მკერდსა და ფილტვებში რომ უვლიდათ; ეჩვენებოდათ, ერთხორც ვიქეცითო; თითოეული ყველა იყო და სუყველა გოლიათ ბრიარეესად[1] ქცეულიყო; დროდადრო სისხლის ტალღა აწვებოდა ათასთავიანი ბრბოს გულს; მზერაში სიძულვილი გამოკრთოდა. ჰაერს

---

[1] ბერძნულ მითოლოგიაში ასხელიანი გოლიათი, ერთი იმათგანი, ვინც ტიტანებთან ბრძოლაში მხარს უმაგრებდა ზევსს.

მკვლელთა ყვირილი ფლეთდა. ზოგზოგებმა, მესამე თუ მეოთხე რიგში რომ იმალებოდნენ, ქვების სროლა იწყეს. სახლების ფანჯრებიდან ოჯახები დედაწულიანად იმზირებოდნენ; თავი წარმოდგენაზე თუ ეგონათ, აქეზებდნენ ბრბოს და იდუმალი კანკალით მოუთმენლად ელოდნენ ჯარის იერიშზე გადმოსვლას.

ხალხის კედელში კრისტოფი იდაყვებითა და მუხლებით მიიკვლევდა გზას. ოლივიე უკან მისდევდა. ცოცხალი კედელი წამით იპობოდა, ისინი რომ გაეტარებინა და მაშინვე პირს კრავდა. კრისტოფი ცას ეწეოდა სიხარულით. დავიწყებოდა, რომ სულ ხუთი წუთის წინ გაიძახოდა, ხალხი გამოსვლას ვერ გაბედავსო. ფეხი შედგა თუ არა ნაკადში, მაშინვე ჩაითრიეს. თუმც უცხო იყო ამ ფრანგულ ბრბოში და მისი გულისთქმის უცოდინარი, მაშინვე გაითქვიფა; აღარ დაგიდევდათ, რა სურდა ამ ბრბოს: მას თავად სურდა! აღარ დაეძებდა, სად მიდიოდა; მიიწევდა წინ და ამ სიშლეგის ჰაერს ყლაპავდა...

ოლივიე უკან მისდევდა ნებაუნებლიედ, მაგრამ უსიხარულოდ — ყველაფრის ნათლად მხედი. თავი წამითაც არ დაუკარგავს, კრისტოფზე ათასჯერ უცხოდ გრძნობდა თავს ამ თავისი მშობელი ხალხისაგან, ვნებასაყოლილი ნაფოტივით რომ მიაქროლებდა. სენმა დააძაბუნა და ცხოვრებასთან კავშირი შეუსუსტა. არა, არაფერი ჰქონდა საერთო ამ ხალხთან. აღბორგებული არ ეთქმოდა. რა თავისუფალი იყო მისი გონება, საგანთა თვით უმცირესი დეტალებიც კი ცხადლივ აღიბეჭდებოდა მასში. აღტაცებით შესცქეროდა მის წინ მდგარი ქალიშვილის ოქროსფერ თმას, მის ფერმკრთალსა და ნატიფ კისერს. თან მჭახე სუნი, ამ შეკრულ სხეულებს. რომ ასდიოდა, გულს ურევდა.

— კრისტოფ!.. — შეევედრა მეგობარს.

კრისტოფი არ უსმენდა.

— კრისტოფ!

— რა იყო?

— დავბრუნდეთ.

— გეშინია? — ჰკითხა კრისტოფმა.

და გზა განაგრძო. ოლივიე ნაღვლიანი ღიმილით მიჰყვა.

რამდენიმე რიგით წინ, სახიფათო ზონაში, სადაც გახელებულ ხალხს თითქოს ჯებირი აღემართა, საგაზეთო ჯიხურის თავზე შესკუპული თავისი პატარა კუზიანი მეგობარი შენიშნა. ორთავ ხელით ჩაბღაუჭებოდა რაღაცას და უხერხულად ჩაცუცქული, სიცილით გადმოჰყურებდა ხალხის კედელს; ბრბოს უმზერდა გამარჯვებული სახით. უცებ შენიშნა ოლივიე და თვალები გაუბრწყინდა. მერე ისევ თვალთვალი დაუწყო, რა ხდებოდა ძირს, მოედნის მხარეს. იცქირებოდა იმედით გაფართოებული, მომლოდინე თვალებით... რას ელოდა? რაც უნდა მომხდარიყო... მარტო როდი გახლდათ გადარაჯებული, ბევრი სხვაც მის გარშემო სასწაულს ელოდა! ოლივიემ შეხედა კრისტოფს და დაინახა, რომ ისიც მოლოდინში იყო.

ბავშვს შეეხმიანა, დაუძახა, ჩამოდიო. ემანუელმა ანიშნა, არ მესმისო და

აქეთ აღარც გამოუხედავს. ოლივიეს გვერდით კრისტოფს მოჰკრა თვალი. სურდა შეტაკებაში ჩაბმულიყო, ძალად ჩაეგდო თავი საფრთხეში, ნაწილობრივ იმიტომ, რომ თავის სიმამაცე ეჩვენებინა ოლივიესათვის, ნაწილობრივ იმიტომ, რომ დაესაჯა, კრისტოფთან რადა ხარო.

ცოტაც და ბრბოში რამდენიმე მეგობარიც შემოხვდათ: ოქროსფერწვერებიანი კოკარი, მარტო პატარა შეხლა-შემოხლას. რომ ელოდა და გამოცდილი თვალით უცდიდა მომენტს, შლამი როდის წალეკავდა ნაპირებს. უფრო მოშორებით ლამაზი ბერტაც იდგა, გაცხარებით ედავებოდა თავის მეზობლებს და აინუნშიც არ აგდებდა, ხელებს რომ უფათურებდნენ. პირველ რიგში გაძრომა მოეხერხებინა და ხმის ჩახლეჩამდე აგინებდა ჟგენტებს. კოკარი მიუახლოვდა კრისტოფს. კრისტოფმა დაინახა თუ არა, კვლავ წაიქილიკა:

— აკი ვამბობდი, არაფერიც არ მოხდება-მეთქი.

— ვინ იცის! — მიუგო კოკარმა, — დიდხანს ნუ დარჩებით აქ. სულ მალე წახდება საქმე.

— ხუმრობთ! — უთხრა კრისტოფმა.

ამასობაში კირასირებს მოსწყინდათ, ქვებს რომ უშენდნენ და მოედნის მისადგომების გასათავისუფლებლად წამოიწიეს; წინ ცენტრალური რაზმები მოდიოდნენ სირბილით. ხალხი წამსვე უკუიქცა და სახარების სიტყვებით რომ ვთქვათ, „წინანი უკანანი შეიქნენ“. მაგრამ რაც ძალი და ღონე ჰქონდათ კი ცდილობდნენ სხვების გადასწრებას. ჯავრი რომ ეყარათ, გაქცეულები გაავებით უსტვენდნენ მდევართ და „მკვლელებოო“, დასძახოდნენ ჯერ-კიდევ მანამ, სანამ თოფი დაიჭექებდა. ბერტა უკანა რიგებში გაძვრა გველთევზასავით და გამყინავი ხმით გაჰკიოდა. ისევ თავის მეგობრებს მიეჭრა; კოკარის ფართე ზურგს უკან მოითქვა სული, კრისტოფს მიეკრა, მკლავზე უჩქმიტა — შიშით თუ სხვა რამ მოსაზრებით, ოლივიეს თვალი ჩაუკრა და მტერს ჭყვირილით მუშტი უჩვენა. კოკარმა მკლავში ჩაავლო ხელი კრისტოფს და უთხრა:

— შევიდეთ ორელისთან.

მხოლოდ რამდენიმე ნაბიჯი ჰქონდათ გადასადგმელი. გრაიომა და ბერტამ წინ უსწროთ. კრისტოფიც შესვლას აპირებდა ოლივიეს თანხლებით. ქუჩა შეღმართზე იყო. დუქანში რომ შესულიყვნენ, ხუთი თუ ექვსი საფეხური ჰქონდათ ასავლელი. ოლივიე სულს ძლივს ითქვამდა ხალხის ტალღიდან თავდაღწეული. გული ერეოდა იმის გაფიქრებაზე, რომ კაბარეს მოწამლულ ჰაერში მოუხდებოდა ჯდომა და დამრბევი რაზმის ღრიალი უნდა ესმინა.

— მე შინ მივდივარ, — უთხრა კრისტოფს.

— წადი, გენაცვალე, — მიუგო კრისტოფმა, — ერთ საათში მეც შენთან გავჩნდები.

— თავს ხიფათში ნუ ჩაიგდებ, კრისტოფ!

— ლაჩარო! — გაეცინა კრისტოფს და სასაუზმეში შევიდა.

ოლივიემ ჯიხურს შემოუარა. კიდევ რამდენიმე ნაბიჯი და გადამკვეთ ქუ-

ჩაზე გავიდოდა, განერიდებოდა შეხლა-შემოხლას. უეცრად თავისი პატარა მეგობარი მოაგონდა. შემობრუნდა და თვალებით დაუწყო ძებნა. მაშინღა შენიშნა, როცა თავის სათვალთვალო პოსტიდან ჩამოგდებული ემანუელი მიწაზე გორავდა და ბრბო ფეხით ქელავდა; გაქცეულები ზედ გადადიოდნენ; პოლიციელები საცაა, თავს წამოადგებოდნენ. ოლივიეს ბევრი აღარ უფიქრია, კიბეებიდან ისკუპა და მისაშველებლად გაიქცა. ერთმა მიწის მთხრელმა იგრძნო საფრთხე, დაინახა ამოწვდილი ხმლები, ოლივიე, ბავშვისაკენ რომ გაეწვდინა ხელი წამოსაყენებლად, პოლიციელთა სასტიკი ტალღა, ორთავეს გადაქელვას რომ უქადდა. ერთი შეჰყვირა და თვითონაც მიეჭრა. ამხანაგებიც სირბილით მიჰყვნენ. კაბარეს ზღურბლზე მდგომნიც წამოეშველნენ. მათ ძახილზე წასულებიც უკან მობრუნდნენ. ორი რაზმი ძაღლებივით ყელში სწვდა ერთმანეთს. კიბის თავზე დარჩენილი ქალები სტვენით უქსევდნენ მოჩხუბართ. ამრიგად პატარა არისტოკრატი ბურჟუა შეიქნა საბაბი ბრძოლისა, რომლის ატეხვაც მასზე ნაკლებ არავის სურდა.

კრისტოფი გაიტაცა მუშათა ტალღამ და ისე გადაეშვა ჩხუბში, რომ არც კი იცოდა, ვინ გამოიწვია იგი. წამითაც არ გაუვლია გულში, რომ ამ საქმეში ოლივიე იქნებოდა გარეული. ეგონა, უკვე შორსაა აქედან, სამშვიდობოსაა გასულიო. ბრძოლისას ვერაფერს დაინახავდა. თითოეული მარტო იმას თუ ხედავდა, ვინ უტევდა. ოლივიე გაუჩინარდა ამ ორომტრიალში ნავივით, ფსკერისაკენ რომ იძირება... მუშტი, მისთვის რომ არ იყო გამიზნული, მარცხენა საფეთქელში მოხვდა; დაეცა; ბრბო ფეხით თელავდა. კრისტოფი მოჩხუბართა ტალღამ ბრძოლის ველის მეორე კიდისაკენ მიაგდო. გულში მტრობა არ ედო; აწვებოდნენ და ისიც ხალისით აწვებოდა ისე, როგორც სოფლის ბაზრობაზე. აქ დატრიალებული ამბები სერიოზულად არ ეჩვენებოდა და მასხრობის გუნებაზე დამდგარს აზრად მოუვიდა მხარბეჭიანი ჟანდარმისათვის, ხელჩართული ბრძოლა რომ გაუმართა, წელზე მოეხვია ხელი და ეკითხა:

— ვალსის საცეკვაოდ ხომ არ გამომყვებით, ქალიშვილო?

მაგრამ მეორე ჟანდარმი ზურგზე მოახტა; კრისტოფი ველური ტახივით შეიბერტყა და ორთავეს რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მუშტები დააყარა; ამათ როგორ უნდა დამიჭირონო. ერთმა მომხდურთაგანმა, იმან, რომელიც უკნიდან ეკვეთა, ქვაფენილზე მოიღო ზღართანი. მეორემ, გამძვინვარებულმა, ხმალი იშიშვლა. კრისტოფმა დაინახა ხმლის წვერი, მისი მკერდიდან ორი გოჯის დაცილებაზე რომ იყო. დარტყმა აიცდინა და ჟანდარმს მაჯა გადაუგრიხა, შეეცადა იარაღი გაეგდებინებინა ხელიდან. აღარაფერი ესმოდა; ამ წუთამდე თამაშობა ეგონა ყოველი... მაგრამ ახლა პირისპირ იდგა მტერთან, სახეში აორთქლებდნენ ერთმანეთს. მოფიქრების დრო აღარ ჰქონდა. სისხლის წყურვილი შენიშნა მომხვდურის თვალებში და თავადაც სისხლი მოსწყურდა. მიხვდა, რომ ბატკანივით გამოღადრავდნენ ყელს. ელვისებური სისწრაფით შეაბრუნა მაჯა და ხმალი იმ კაცის მკერდისაკენ... ჩაასო და იგრძნო, რომ კლავდა, რომ მოკლა... და უეც-

რად ყველაფერი შეიცვალა მის თვალში. მთვრალი იყო, ნადირივით შებღავლა.

მისმა ყვირილმა წარმოუდგენელი შთაბეჭდილება მოახდინა. ბრბომ სისხლის სუნი იკრა და წამში მძვინვარე ხროვად იქცა. ყოველი მხრიდან ისროდნენ. ფანჯრებში წითელი დროშები აფრიალდა და პარიზული რევოლუციების ძველმა ატავიზმმა ხალხს ბარიკადა აღამართვინა. ქვაფენილი აყარეს, გაზის ნათურათა ბოძები გადმოაწვინეს, ხეები აკაფეს, ომნიბუსი გადააყირავეს. სანგრად თვეების უკან მეტროპოლიტენისათვის გაჭრილი თხრილი იხმარეს. ხეებს ირგვლივ რომ თუჯის ცხაურები იყო, დალეწეს და ნამსხვრევები სატყორცნად გამოიყენეს. ჯიბე-უბეებიდან იარაღს აძვრენდნენ, სახლებიდანაც გამოჰქონდათ. ერთი საათიც არ გასულა და აჯანყებამ ზენიტს მიაღწია: მთელი უბანი ალყაში იყო მოქცეული. ბარიკადზე კი კრისტოფი, რომლის ცნობაც კაცს გაუჭირდებოდა, თავის რევოლუციურ სიმღერას გაჰკიოდა. ოცამდე ხმა ბანს აძლევდა.

ოლივიე ორელისთან მიასვენეს. გრძნობაზე აღარ იყო. უკანა ბნელ ოთახში დააწვინეს, საწოლზე... ფერხთით პატარა კუზიანი ედგა სახეგამტკნარებული. ბერტას ჯერ დიდი ზაფრა მოუვიდა, შორიდან ეგონა, რომ კრაიო იყო დაჭრილი და ოლივიე რომ იცნო, აღმოხდა:

— მადლობა ღმერთს! მე მეგონა, ლეოპოლდი-მეთქი.

ახლა სიბრალულით კოცნიდა და ეხეოდა ოლივიეს. თან თავს უსწორებდა სასთუმალზე. ორელიმ მისთვის ჩვეული სიმშვიდით გაუხსნა საკინძე, დაქეჟილი შეუხვია; ბედად მანუს ჰეიმანიც შეესწროთ თავის განუყრელ კანესთან ერთად. კრისტოფივით ცნობისმოყვარეობას მოეყვანა დემონსტრაციის საყურებლად; შეესწრნენ შეტაკებას და ნახეს, როგორ დაეცა ოლივიე. კანე ხბოსავით ბღაოდა. თან ფიქრობდა:

— რა ჯანდაბა მინდოდა ამ გემზე?[1]..

მანუსმა გულდაგულ დაათვალიერა დაჭრილი; იმწამსვე იფიქრა, საამქვეყნო პირი არა აქვსო. ოლივიე მოსწონდა, მაგრამ ისეთი კაცი არ იყო, გული აეჩვილებინა იმგვარ რამეზე, რასაც აღარაფერი ეშველებოდა; მომაკვდავს თავი ანება და კრისტოფზე დაიწყო ფიქრი. კრისტოფი პათოლოგიურ ტიპად მიაჩნდა და აღტაცებული იყო მისით. იცოდა, რა აზრისა გახლდათ რევოლუციაზე და უნდოდა გამოეგლიჯა სულელური განსაცდელიდან, კრისტოფი ძალად რომ იტეხდა თავს იმ საქმისათვის, მის გულს რომ არ ეკარებოდა. ჯერ ერთი, სულ ადვილად შეეძლო თავი წაეგო უგვან შეტაკებაში; შეიძლებოდა მერეც მწარედ დასჯილიყო. უკვე დიდი ხანია, გაეფრთხილებინათ: პოლიცია თვალყურს ადევნებდა; მარტო თავის ცოდვებს კი არ აჰკიდებდნენ, სხვებისასაც ზედ დაურთავდნენ. ქსავიე ბერნარი ბრბოში დაძრწოდა თავშესაქცევადაც და თან სამსახუ-

---

[1] პერიფრაზა ძუნწი ჟერონტის სიტყვებისა მოლიერის კომედიიდან „სკაპენის ცუღლუტობა" — „რა ჯანდაბა უნდოდა იმ გემზე?"

რებრივ მოვალეობასაც ასრულებდა. წეღან რომ შეხვდა მანუსს, გააჩერა და უთხრა:

— თქვენი კრაფტი ნამდვილი იდიოტია. წარმოგიდგენიათ, ახლა ბარიკადებზე ამძვრალა და ძალგულოვნებას იჩენს! ამჯერად ვეღარ დაგვიძვრება ხელიდან. ღვთის გულისათვის, გააქციეთ.

ეს სათქმელად უფრო ადვილი იყო, ვიდრე საქმნელად. კრისტოფს რომ გაეგო, ოლივიე კვდებაო, დასაბმელი გახდებოდა, მოჰკლავდა ვინმეს და თავსაც შეაკლავდა.

მანუსმა უთხრა ბერნარს:

— ახლავე თუ არ გაიქცა, დაიღუპება; მე გავიტაცებ.

— როგორ?

— კანეს ავტომობილით... აქვე დგას, ქუჩის კუთხეში.

— კი მაგრამ... — თქვა გაბრაზებით კანემ.

— ლაროშს მიიყვან, — განაგრძო მანუსმა, — დროზე ჩაუსწრებთ პონტარლიეს ექსპრესს[1]. შვეიცარიაში გაამგზავრებ.

— თავის დღეში არ დათანხმდება.

— დათანხმდება. ვეტყვი, რომ ჟანენიც იქ ჩავა, რომ წასულია უკვე.

მანუსმა ყური აღარ ათხოვა კანეს და კრისტოფის მოსანახად წავიდა ბარიკადებზე. დიდი მამაცი არ ეთქმოდა, გასროლის ხმას რომ გაიგონებდა, წელში იკუნტებოდა; ითვლიდა ფილაქანზე დაგებულ ქვებს, წყვილია თუ კენტიო და ასე მარჩიელობდა, მომკლავენ თუ არაო. მაგრამ უკან არ დიუხევია, ბოლომდე მივიდა. როცა მიზნამდე მიაღწია, დაინახა გადაბრუნებული ომნიბუსის ბორბალზე შემომჯდარი კრისტოფი, ჰაერში რომ ისროდა რევოლვერს. ბარიკადის ირგვლივ პარიზის ქვაფენილიდან ამონთხეული ბრბო ისე გაზრდილიყო, როგორც ჩასადენი ღარის ბინძური წყალი დიდწვიმობის შემდეგ. პირველი მეომრები წაელეკათ. მანუსმა დაუძახა კრისტოფს. მაგრამ კრისტოფი ზურგით იდგა და არაფერი გაუგონია. მანუსი აძვრა მასთან, სახელოზე მოჰქაჩა. კრისტოფმა ხელი ჰკრა და კინაღამ გადმოაგდო. მანუსი არ შეეპუა, ისევ მიუცოცდა და დაუყვირა:

— ჟანენი...

ხმაურში ფრაზის დანარჩენი ჩაიკარგა. კრისტოფი უეცრად დადუმდა, ხელიდან გააგდო რევოლვერი, ელვის სისწრაფით ჩამოვიდა ომნიბუსიდან, მანუსს ჩააფრინდა და უკან გაჰყვა.

— უნდა გაიქცეთ, — უთხრა მანუსმა.

— ოლივიე სადაა?

— უნდა გაიქცეთ, — გაუმეორა მანუსმა.

— რატომ, რისთვის? — კითხულობდა კრისტოფი.

---

[1] ლაროში და პონტარლიე საფრანგეთ-შვეიცარიის საზღვართან მდებარე ქალაქებია.

— ერთ საათში ბარიკადას აიღებენ. ამ საღამოს კი დაგაპატიმრებენ.

— რა ჩავიდინე ისეთი?

— დახეთ თქვენს ხელებს... დიახ, ყველამ დაინახა, რაც ჰქენით. თავზე ხელს არ გადაგისვამენ. აგენტებმა გიცნეს. წამიც კი არა გაქვთ დასაკარგი.

— ოლივიე სადაა?

— შინ.

— მეც მასთან მივალ.

— არ იქნება. პოლიცია კართან გელოდებათ. თვითონ ოლივიემ გამომგზავნა თქვენს გასაფრთხილებლად. გაიქეცით.

— სად უნდა გავიქცე?

— შვეიცარიაში. კანე წაგიყვანთ თავისი მანქანით.

— მერე ოლივიე?

— სალაპარაკო დრო აღარა გვაქვს...

— მისი უნახავი არ წავალ.

— იქ ნახავთ. ხვალვე ჩამოგაკითხავთ. პირველსავე მატარებელს გამოჰყვება. იჩქარეთ! მერე აგიხსნით ყველაფერს.

მან ხელი ჩასჭიდა კრისტოფს. ხმაურითა და სიშმაგით გაბრუებული კრისტოფი, კვლავ ბრძოლის ჟინით რომ იყო ატანილი და უნარი არ შესწევდა გაეგო, რა ჩაიდინა, რას სთხოვნდნენ, მანუსს მორჩილად გაჰყვა. მანუსმა მკლავში მოჰკიდა ხელი, მერრე ხელი კანეს ჩაავლო, რომელიც სულ არ გახლდათ აღტაცებული იმ როლით, ამ საქმეში რომ გამოუყვეს და ორთავე მანქანაში ჩასხა: კეთილ კანეს ღრმად დაამწუხრებდა კრისტოფის დაჭერის ამბავი, მაგრამ ამჯობინებდა, სხვას გადაერჩინა იგი. მანუსი იცნობდა მეგობარს, და რაკი მისი სილაჩრე ეშვს აღუძრავდა, განშორებისას, როცა მანქანა ის იყო, უნდა დაძრულიყო, გადაიფიქრა დარჩენა და მათთან ერთად ჩაჯდა მანქანაში.

ოლივიეს ცნობა არ დაბრუნებია. ოთახში ახლა მარტო ორელი და პატარა კუზიანი იყვნენ. ვიწრო ოთახი, უპაერო და უსინათლო!.. თითქმის ბნელოდა... ოლივიემ წამით ამოიყურყუმალავა უფსკრულიდან. ხელზე ემანუელის ტუჩები და ცრემლი იგრძნო. უღონოდ გაიღიმა და გაჭირვებით დაადო ბავშვს თავზე ხელი. რა მძიმე იყო ეს ხელი!.. მერე ისევ წაერთვა გონი.

მომაკვდავის თავთან, სასთუმალზე, ორელიმ პირველი მაისის პაწია თაიგული დადო, შროშანის რამდენიმე ღერი. ცუდად დაკეტილი ონკანიდან ეზოში წყალი წვეთავდა, წანწკარით ეცემოდა მიწაზე. სურათები წამით კრთებოდნენ ტვინში, როგორც ჩასაქრობად მიწურვილი სინათლის სხივი... პროვინციის სახლი ეზმანებოდა; კედლებზე ასული გლიცინიები; ბაღში ბავშვი თამაშობდა, გაზონზე იყო გაწოლილი; წყლის ჩქერი ნელა იღვრებოდა ქვის აუზში. პატარა გოგონა იცინოდა...

ნაწილი მეორე

პარიზიდან გავიდნენ. ნისლში ჩაძირული ვრცელი ველები გადაკვეთეს. ასეთივე საღამო იდგა, ათი წლის წინათ რომ კრისტოფი პარიზში ჩამოვიდა. მაშინაც ისე გამორბოდა, როგორც დღეს. მაგრამ მაშინ მეგობარი ცოცხალი ჰყავდა, მისი მოყვარული მეგობარი, და კრისტოფიც ქვეშეუცნობლად მისკენ მოიჩქაროდა...

პირველ ხანებში იგი ისევ ბრძოლის ცეცხლით იყო ატანილი; ბევრს და ხმამაღლა ლაპარაკობდა; ნაწყვეტ-ნაწყვეტად ჰყვებოდა რა ენახა და რა ჩაედინა; ამაყობდა თავისი ვაჟკაცობით. მანუსი და კანეც მხარს უბამდნენ, რომ შეეყოლიებინათ. თანდათანობით სიცხემ დაუწია და კრისტოფიც გაყუჩდა; ახლა მისი ორი თანამგზავრიღა ლაპარაკობდა. იმ დღეს მომხდარ ამბავს გაეოგნებინა კრისტოფი, მაგრამ ვერ გაეტეხა. გაახსენდა ის დრო, გერმანიიდან რომ გამოიქცა. სულ გაქცევა და გაქცევა წერებია ბედად... გაიცინა, ეტყობა, ასეთი ხვედრი დამყვაო! პარიზიდან წამოსვლა არ ანაღვლებდა: ქვეყანა დიდია, ხალხი ყველგან ერთნაირიაო. სადაც უნდა ყოფილიყო, არ დაეძებდა, ოღონდ მეგობარი ჰყოლოდა გვერდში. იმედოვნებდა, ოლივიე ხვალე ჩამომაკითხავსო...

ლაროშს ჩავიდნენ. მანუსი და კანე გვერდიდან არ მოსცილებიან, სანამ მატარებელში არ ჩასვეს და არ გაამგზავრეს. კრისტოფმა გაამეორებინა სადგურის სახელი, სადაც უნდა ჩამომხტარიყო, სასტუმროს მისამართი ჩაიწერა და ფოსტისა, სადაც წერილისათვის უნდა მიეკითხა. გამცილებლებს მათდაუნებურად გამოთხოვებისას ნაღვლიანი სახეები ჰქონდათ. კრისტოფმა კი მხიარულად ჩამოართვა ხელი.

— პანაშვიდზე ხომ არა ხართ, რა სახეები ჩამოგტირით. ეშმაკმა დალახვროს, კიდევ შევხვდებით ერთმანეთს! ამგვარი ქცევა არ გეკადრებათ. ხვალვე მოგწერთ.

მატარებელი დაიძრა. მანუსი და კანე მანამდე გაჰყურებდნენ, სანამ კრისტოფი თვალს არ მიეფარა.

— საწყალი კაცი! — ამოიოხრა მანუსმა.

ისევ მანქანაში ჩასხდნენ. ხმას არც ერთი არ იღებდა. ცოტა ხნის შემდეგ კანემ დაარღვია სიჩუმე:

— მე მგონი, დანაშაული ჩავიდინეთ...

მანუსმა ჯერ არაფერი უპასუხა, მერე უთხრა:

— ეჰ! მკვდრებს აღარა ეშველებათ რა. ცოცხლების გადარჩენა გვმართებს.

მოვიდა ღამე და კრისტოფის აღგზნებაც ერთბაშად დაცხრა. კუპის კუთხეში მიყუჟული ფიქრს მისცემოდა, გამოფხიზლებული და გათოშილი. ხელებზე

დაიხედა და სისხლი შენიშნა, სხვისი სისხლი. გული აერია, შეაჟრჟოლა. მკვლელობის სურათი დაუდგა თვალწინ. გაახსენდა, რომ კაცი შემოაკვდა და არ კი იცოდა, რატომ. შეეცადა გაეცოცხლებინა ბრძოლის ამბავი; მაგრამ ამჯერად უკვე სხვა თვალით უცქეროდა ყველაფერს. ახლა აღარ ესმოდა, რად გაერია ამ ბრძოლაში. გაიხსენა მთელი ის დღე, იმ წუთიდან, როცა ისა და ოლივიე ქუჩაში გამოვიდნენ; მასთან ერთად ხელახლა გაიარა პარიზის ქუჩები, სანამ ქარიშხალმა არ გაიტაცა. ამ წუთიდან უკვე აღარაფერი ესმოდა; აზრთა ჯაჭვი უწყდებოდა; როგორ შეეძლო ყვირილი, დარტყმა, როგორ აჰყვა ამ ხალხს, რომლის რწმენასაც არ იზიარებდა? არა, ეს მე როდი ვიყავიო, ფიქრობდა... გონთ დაუბნელდა. ნებისყოფამ უმტყუნა!.. თავზარდაცემული და დარცხვენილი იყო ამ ამბით. მაშ, თავის თავის ბატონი არა ყოფილა. ან კი, ვინ იყო თავის ბატონი?.. ექსპრესი ღამის წყვდიადში მიაქროლებდა; ის წყვდიადიც, მის სულში რომ დაებუდებინა, ნაკლებ გულისშემძვრელი როდი გახლდათ, უცხო ძალასაც ნაკლებ თავბრუდამხვევი არ ეთქმოდა... შეეცადა ძალი მოეცა, მაგრამ ახალი სადარდებელი აეშალა მხოლოდ. რაც უფრო უახლოვდებოდა მიზანს, მით უფრო მეტს ფიქრობდა ოლივიეზე და რატომღაც შიში იპყრობდა.

ჩასვლისას კარიდან გაიხედა, ბაქანზე ძვირფასი სახე ხომ არ გამოჩნდებაო, მაგრამ არავინ იყო... ვაგონიდან ჩამოვიდა, სულ გარშემო იყურებოდა. ერთხელ თუ ორჯერ მოეჩვენა, რომ... არა, ეს „ის" არ ყოფილა. რომ მიასწავლეს, იმ სასტუმროში მივიდა. ოლივიე არც იქ დახვდა. კრისტოფს არ უნდა გაჰკვირვებოდა ეს ამბავი: აბა, ოლივიე როგორ ჩამოასწრებდა?.. მაგრამ მას შემდეგ მოლოდინმა გატანჯა.

უკვე გათენებულიყო. კრისტოფი თავის ოთახში ავიდა. მერე ჩამოვიდა და ისაუზმა. ქუჩებშიც გაიარა, თავს იტყუებდა, არაფერი მაქვს სადარდებელიო. უცქეროდა ტბას, დუქნებში გამოფენილ საქონელს; ოფიციანტ ქალიშვილსაც გაეხუმრა, ილუსტრირებულ გაზეთებს ფურცლავდა... არაფერი არ აინტერესებდა. დღე ზლაზვნით მიიწევდა წინ, ზანტი და მძიმე. საღამოს შვიდი საათისათვის კრისტოფმა აღარ იცოდა, დრო რაში მოეკლა. ადრე ისადილა, უმადოდ, თავის ოთახში ავიდა და დაიბარა, ჩემი შეგობარი თუ მოვიდეს, მაშინვე ამომიყვანეთო. მაგიდას მიუჯდა კარისკენ ზურგმიქცეული. არაფერი ჰქონდა, თავი რომ შეეყოლებინა, არც ბარგი რამე, არც წიგნი; მარტო ერთი გაზეთი აღმოაჩნდა, წეღან რომ იყიდა; შეეცადა წაეკითხა; მაგრამ სხვას უტრიალებდა მისი გონება; დერეფანშივე ფეხის ხმას აყურადებდა. მთელი დღის მოლოდინით და უძილობით გატანჯულს ნერვები სულ ერთიანად დაკუწული ჰქონდა.

უეცრად კარის ჭრიალი გაიგონა. უცნაურმა გრძნობამ მოიცვა, არ შემობრუნებულა. იგრძნო, როგორ დაადო ვიღაცამ მხარზე ხელი. შემობრუნდა და მომღიმარი ოლივიე დაინახა. არ გაჰკვირვებია: აა, როგორც იქნა, მოხვედიო, უთხრა მხოლოდ.

მოჩვენება გაქრა...

კრისტოფი ფეთიანივით წამოიჭრა, ხელი ჰკრა მაგიდასა და სკამს; სკამი ძირს დავარდა. თმა ყალყზე დაუდგა. ერთხანს მკვდრისფერი ედო და კბილები უკაწკაწებდა...

ამ წუთიდან (თუმც კი არაფერი შეეტყო და იმეორებდა, არაფერი ვიცი), — უკვე ყველაფერი იცოდა. დარწმუნებული იყო, რაც მოხდებოდა.

ოთახში ვეღარ დადგა. ქუჩაში გამოვიდა, მთელ საათს იბორიალა. რომ დაბრუნდა, სასტუმროს მეკარემ წერილი მიაწოდა. წერილი. დარწმუნებული იყო, დაახვედრებდნენ. ხელები უკანკალებდა, როცა ართმევდა. თავის ოთახში შეიკეტა წასაკითხად. გახსნა, ნახა, რომ ოლივიე მკვდარი იყო და გული შეუღონდა.

წერილს მანუსი სწერდა. ატყობინებდა, გუშინ იმიტომ დაგიმალეთ, ოლივიეს ნებას ვასრულებდითო. ოლივიეს სურდა მეგობარი გადაერჩინა, თქვენი დარჩენა მას არ უშველიდა, თქვენ კი დაგღუპავდათო... თაკს უნდა გაუფრთხილდეთ მეგობრის ხსოვნის გულისათვის, სხვა მეგობრებისათვის, საკუთარი დიდებისთვისო... და სხვა ამგვარი... ორელისაც მიეწერა სამიოდ სტრიქონი, მსხვილი, აკანკალებული ხელით: საწყალ ახალგაზრდა ბატონს მე მიგიხედავთო.

გონს რომ მოეგო, კრისტოფს საშინელი ბრაზი შემოენთო. უნდოდა მოეკლა მანუსი. სადგურისაკენ გაიქცა. სასტუმროს წინკარი ცარიელი იყო, ქუჩებში კაცი არ ჭაჭანებდა; ღამის იშვიათ, დაგვიანებულ გამვლელებს არ შეუნიშნავთ კაცი, გიჟივით რომ აბრიალებდა თვალებს და ქოშინებდა. ისე ჩაფრენოდა თავის აკვიატებულ აზრს, როგორც ბულდოგი, რამეს რომ ჩაასობს კბილს: „მანუსი უნდა მოვკლა! მანუსი უნდა მოვკლა!“.. პარიზში უნდოდა დაბრუნება. ღამის ექსპრესი უკვე ერთი საათის გასული იყო. ხვალ დილამდე უნდა ეცადა. მოცდა კი არ შეეძლო. პარიზის მხრისაკენ მიმავალ პირველსავე მატარებელში ჩაჯდა, მატარებელში, ყოველ სადგურში რომ ჩერდებოდა. მარტო იჯდა ვაგონში და გაჰყვიროდა:

— ტყუილია! ტყუილია!

საფრანგეთის საზღვრამდე ერთი სადგური რომ იყო დარჩენილიი, მატარებელი სულ დადგა; იქით აღარ მიდიოდა. გაცოფებული კრისტოფი ჩამოვიდა, მეორე მატარებელი მოიკითხა, ნახევრად დაძინებული სადგურის მოხელეების გულგრილობამ ნერვები აუწეწა. რაც უნდა ეღონა, მაინც ვერ ჩაუსწრებდა; ოლივიეს უმისოდ მიაბარებდნენ მიწას. მანუსთანაც ვერ მიაღწევდა. მანამდე დაიჭერდნენ. რა ექნა? რა წყალში ჩავარდნილიყო? გზა გაეგრძელებინა? უკან დაბრუნებულიყო? მერედა რისთვის? რისთვის?.. გვერდით ჟანდარმმა ჩაუარა და გაიფიქრა, მოდი, ჩავბარდებიო. იდუმალმა სასიცოცხლო ინსტინქტმა დააკავა, ურჩია, შვეიცარიაში დაბრუნებულიყო. მაგრამ ორ თუ სამ საათამდე არც იქით მიდიოდა მატარებელი და არც აქეთ. კრისტოფი მოსაცდელ დარბაზში დაჯდა, ვეღარ გაძლო, სადგურიდან გამოვიდა და ალალბედზე გაუყვა გზას სიბნელეში. უდაბურ ველზე ამოჰყო თავი, — ირგვლივ ტრიალი ველი ეკრა,

მხოლოდ აქა-იქ ამოზიდულიყო თითო-ოროლა ნაძვი, მაცნენი იმისა, რომ სადღაც, მოშორებით, ტყეც იწყებოდა. კრისტოფი იქით ეცა. რამდენიმე ნაბიჯიც არ ჰქონდა გადადგმული, რომ მიწაზე დავარდა და შესძახა:

— ოლივიე!

მერე შუა გზაზე დავარდა და აქვითინდა.

როდის როდის გამოარკვია შორიდან მონადენმა მატარებლის სასტვენის ხმამ; წამოდგა, სადგურში დაბრუნება უნდოდა, მაგრამ გზა ვეღარ გაიგნო. მთელ ღამეს იარა. აქეთ წავიდოდა თუ იქით, განა სულერთი არ იყო? ოღონდ უნდა ევლო, რომ არ ეფიქრა, ევლო, სანამ ფიქრის ძაფი გაუწყდებოდა, სანამ მკვდარი დაეცემოდა მიწაზე. ო, ნეტავ კი შეძლებოდა სიკვდილი!..

განთიადისას ფრანგულ სოფელში ამოყო თავი, საზღვრიდან ძალიან შორს. მთელ ღამეს შორდებოდა თურმე საზღვარს. დუქანში შევიდა, ხარბად ისაუზმა და კვლავ გზა განაგრძო. მანამ იარა, სანამ მოცელილივით არ დაეცა მიწაზე; საღამომდე იქ დარჩა მძინარე. როცა გაიღვიძა, მეორე ღამე იწყებოდა. რისხვა დაუცხრა. მარტო სასტიკი, სულის შემხუთველი მწუხარებაღა შერჩა. ფერმამდე მიჩანჩალდა, პურის ნატეხი და ჩალა ითხოვა დასაძინებლად. ფერმერმა აათვალიერ- ჩაათვალიერა, მოუჭრა პური, ბაგაში წაიყვანა და ჩაკეტა. შმორის სუნში, ძროხების გვერდით მიგდებულმა კრისტოფმა ხარბად შეჭამა პური. ცრემლები ლაპალუპით ჩამოსდიოდა სახეზე. შიმშილი და მწუხარება ვერაფრით დაიცხრო. ამ ღამითაც ძილი მოევლინა მხსნელად; რამდენიმე საათით განარიდა სატანჯველს. დილით კარის გაღების ხმამ გამოაღვიძა. მაინც არ წამომდგარა, არ შერხეულა. სიცოცხლე აღარ უნდოდა. ფერმერი თავს წამოადგა და დიდხანს დაკვირვებით უცქირა; ხელში ქაღალდი ეჭირა (კრისტოფს იქით გაექცა მზერა) და ჩასცქეროდა. ბოლოს კრისტოფს ცხვირწინ აუფრიალა გაზეთი, რომლის პირველ გვერდზედაც მისი სურათი იყო დაბეჭდილი.

— ეს მე ვარ, — უთხრა კრისტოფმა, — დამაბეზღეთ!

— ადექით, — უთხრა ფერმერმა.

კრისტოფი ადგა; კაცმა ანიშნა, მომყეო. კალოს მოუარეს და ბილიკს დაადგნენ, ხეხილს შორის რომ უხვევდა. ჯვრამდე რომ მიაღწიეს, ფერმერმა ერთი გზა უჩვენა კრისტოფს და უთხრა:

— საზღვარი იქითკენაა.

კრისტოფმა ანგარიშმიუცემლად განაგრძო გზა. არ კი იცოდა, რად მიდიოდა. სულიან-ხორციანა დამსხვრეული იყო; ყოველ ნაბიჯზე ლამობდა შეჩერებას, მაგრამ გრძნობდა, ერთხელ თუ გაჩერდი, მერე ადგილიდან ვეღარაფერი დამძრავსო. კიდევ მთელ დღეს იარა. ერთი სუც აღარ ჰქონდა, რომ პური ეყიდა. თუმცა სიმართლე თუ გნებავთ, სოფლებში შესვლასაც უფრთხოდა. რაღაც უცნაური გრძნობის ძალით, თვითონ გონებით რომ ვერ სწვდებოდა, ამ კაცს, რომელსაც ასე სწყუროდა სიკვდილი, დაჭერისა ეშინოდა; მისი სხეული დევნილ ნადირს ჰგავდა, გაქცევით რომ ლამობს თავის გადარჩენას. ფიზი-

კური სატკივარი: დაღლილობა, შიმშილი, იდუმალი შიში, მის ქანცგამწყდარ არსებაში რომ ჩაებუდებინა, წამით აყუჩებდა სულის სალმობას. მარტო იმასღა ნატრობდა, ერთი თავშესაფარი მაპოვნინა, მიმაგდო კუთხეში ჩემს დარდთან ერთად და ამ დარდით გამაძღოო.

საზღვარი გადაიარა. შორს ქალაქს მოჰკრა თვალი. წვერწამახული სამრეკლოიანი კოშკები და ქარხნის მილები გაარჩია. მილებიდან ამომავალი კვამლი შავ, მდორე მდინარეებივით ერთსა და იმავე მიმართულებით მიედინებოდა წვიმის ქვეშ. ცოტაც და, დაეცემოდა მგზავრი. უეცრად გაახსენდა, რომ ამ ქალაქში თანამემამულე ჰყავდა, ხელობით ექიმი, ვინმე ერიხ ბრაუნი, რომელმაც ამ ერთი წლის უკან წერილი მოსწერა; მორიგ წარმატებას ულოცავდა, თან თავიც უნდოდა შეეხსენებინა. თუმცა ბრაუნი ერთი უჩინარი კაცი იყო და კრისტოფის ცხოვრებასთანაც ცოტა რამ აკავშირებდა, ლტოლვილმა დაჭრილი ნადირის ინსტინქტით მთელი ძალ-ღონე დაძაბა, რომ იმასთან დაცემულიყო, ვინც მისთვის მთლად უცხო არ იქნებოდა.

ნისლისა და წვიმის საბურველის ქვეშ შევიდა მორუხო-მოწითალო ფერის ქალაქში. ალმა-დალმა იარა, ვერაფერს ხედავდა, გზას ეკითხებოდა გამვლელებს, ეშლებოდა, უკან ბრუნდებოდა, ალალბედზე მიდიოდა. ქანცგაწყვეტილი იყო. ნებისყოფის უკანასკნელი დაძაბვით ციცაბო ქუჩების ალმართს შეუყვა, კიბეების ავლა მოუხდა, პატარა გორაკის წვერზე რომ მიდიოდა, რომლის თავზედაც პირქუში ეკლესიის გარშემო მჭიდროდ ჩარიგებული სახლები მოჩანდნენ. სამოცი წითელი აგურის საფეხური იყო, სამ-სამად, თუ ექვს-ექვსად დაჯგუფული. ყოველ ჯგუფს მომცრო ბაქანი მოსდევდა, სახლის კარებისათვის რომ იყო განკუთვნილი. სანამ ახალ საფეხურებს შეუდგებოდა, კრისტოფი ბარბაცით ითქვამდა სულს. ზევით, კოშკის თავზე, ყვავები ტრიალებდნენ.

ბოლოს ერთ კარზე ამოიკითხა სახელი, რომელსაც ეძებდა. დააკაკუნა. ქუჩა ჩაბნელებული იყო. დაღლილობისაგან თვალები ეხუჭებოდა. გულშიაც წყვდიადი ედგა... ბევრმა საუკუნემ განვლო...

ვიწრო კარი ოდნავ გაიღო. ზღურბლზე ქალი გამოჩნდა. სახე ჩრდილში ჰქონდა, მაგრამ მისი სილუეტი კარგად იხატებოდა პატარა, ნათელი ბაღის ფონზე, გრძელი დერეფნის ბოლოს დამავალ მზის სხივებში რომ მოჩანდა. მაღალი ქალი იყო, თავი ზეაწეული ჰქონდა. სიტყვას არ ეუბნებოდა კრისტოფს, ელოდა, თავად როდის ამოიღებსო ხმას. მოსული მის თვალებს ვერ ხედავდა, მათ მზერას კი გრძნობდა. ექიმი ერიხ ბრაუნი იკითხა და თავის ვინაობაც უთხრა. ძლივს ამოსთქვამდა სიტყვებს. დაღლილობისგან, წყურვილისა და შიმშილისაგან სიქა ჰქონდა გაცლილი. ქალი უსიტყვოდ შებრუნდა შინ; კრისტოფიც მიჰყვა დარაბაჩარაზულ ოთახში. ბნელში შეეჩეხა, მუხლებითა და მუცლით მიაწყდა ამ მდუმარე სხეულს. ქალი გავიდა და კარი გაიხურა, მოსული უსინათლოდ დასტოვა, მარტო. კრისტოფი იდგა გაუნძრევლად, კედელს მიყრ-

დნობილი; ეშინოდა, რამე არ გადავაყირავოო. შუბლი გაპრიალებული ტიხარისათვის მიეკრა. ყურები უშხუოდა; თვალებში წყვდიადი ურეკავდა.

მეორე სართულიდან სკამის გაჩოჩების ხმა და გაკვირვების შეძახილები მოისმა; ხმაურით დაიხურა კარი, ვიღაც მძიმე ნაბიჯებით ჩამოდიოდა კიბეზე.

— სად არის? — იკითხა ნაცნობმა ხმამ.

ხელახლა გაიღო ოთახის კარი.

— როგორ! სიბნელეში დატოვეთ?! ანა! დალახვროს ეშმაკმა! სანთელი!

კრისტოფი ისეთი დასუსტებული იყო, თავს ისე მიტოვებულად გრძნობდა, რომ ამ როხროხა, მაგრამ გულითადი ხმის გაგონებამ ჭირში ცოტაოდენი შვება მოჰგვარა. მაგრად ჩაბღუჯა მარჯვენა, მასპინძელი რომ უწვდიდა. სანთელი მოიტანეს. ორი კაცი ერთმანეთს უმზერდა. ბრაუნი ტანად დაბალი იყო; ღაჟღაჟა სახე და შავი, ჯაგარა წვერი ჰქონდა. სათვალის შუშებს უკან თვალები კეთილად უცინოდნენ. ფართო, ამობურცული, დაღარული შუბლისა და ქალაზე გადაგლესილი, კეფაზე შუამდე გადაყოფილი თმის პატრონზე კაცი ვერ იტყოდა, მარილიანი სახე აქვსო. საოცრად უშნო იყო, მაგრამ კრისტოფი ნეტარებდა, რომ უცქერდა და ხელს ართმევდა. ბრაუნი გაოცებას არ მალავდა:

— ღმერთო ჩემო! როგორ შეცვლილხართ! რა დღეში ხართ!..

— პარიზიდან მოვდივარ, — უთხრა კრისტოფმა, — გამოვიქეცი.

— ვიცი, ვიცი; გაზეთებში წავიკითხეთ: ეწერა, თითქოს დაიჭირესო. მადლობა ღმერთს, გადარჩენილხართ! მე და ანამ ბევრი ვიფიქრეთ თქვენზე.

სიტყვა გაწყვიტა და კრისტოფს მდუმარე ქალზე მიუთითა, სტუმარი შინ რომ შემოიყვანა.

— ჩემი ცოლია.

ქალი კარის ზღურბლთან გაჩერებულიყო ლამპით ხელში. წინ წამოწვდილი ნიკაპი და უსანდომო სახე ჰქონდა. სინათლე ეცემოდა მის ფერმკრთალ ნაკვთებს და წაბლისფერ თმას, ცოტა მოწითალო ფერი რომ გადაჰკრავდა. დიასახლისმა ხელი გაუწოდა კრისტოფს; გაშეშებული იდგა, იდაყვი არ მოუცილებია ტანისათვის. კრისტოფმა ისე ჩამოართვა ხელი, ზედაც არ შეუხედავს. გული უღონდებოდა.

— მე მოვედი, — შეეცადა აეხსნა, — ვიფიქრე, იქნებ... თუ ძალიან არ შეგაწუხებთ, ღამის გასათევი მომცეთ... ერთ დღეს...

ბრაუნმა სიტყვის დამთავრება არ აცალა.

— ერთი დღეო?! ოცი დღე იყოს, ორმოცდაათი, სანამ არ მოგწყინდებათ. სანამ ამ ქვეყანაში ხართ, ჩვენს სახლში იცხოვრებთ; ვიმედოვნებ, დიდხანს დაჰყოფთ აქ. ჩვენთვის ეს დიდი პატივი და ბედნიერება იქნება.

ამ მგრძნობიარე სიტყვებმა ერთობ ააღელვეს კრისტოფი. ბრაუნს მივარდა და გადაეხვია.

— ჩემო კარგო კრისტოფ, ჩემო კარგო კრისტოფ, — ამბობდა ბრაუნი, — ტირის?.. ღმერთო, რა მოსდის?.. ანა! ანა! ჩქარა! ხედავ, გული უღონდება...

კრისტოფი მასპინძლის მკლავებში ჩაიკეცა. რამდენიმე საათი იყო გულის შეღონებას ელოდა, ახლა უსწრო და კიდევაც მოცელა.

თვალი რომ გაახილა, ფართო საწოლზე იწვა. სველი მიწის სურნელი შემოდიოდა ღია ფანჯრიდან. ბრაუნი მის თავთან გადმოხრილიყო.

— მაპატიეთ, — წაიდუდუნა კრისტოფმა და შეეცადა წამომდგარიყო.

— ეს თურმე შიმშილით კვდება! — დაიყვირა ბრაუნმა.

ქალი გავიდა; ფინჯნით რძე შემოიტანა, დაალევინა კრისტოფს. ბრაუნს მისი თავი ეჭირა. კრისტოფი თითქოს მოცოცხლდა, მაგრამ დაღლილობა შიმშილზე ძლიერი გამოდგა; თავი ბალიშზე მიდო თუ არა, მაშინვე ჩაეძინა. ბრაუნი და მისი ცოლი ღამეს უთევდნენ, შემდეგ, რაკი დარწმუნდნენ, მოსვენების მეტი არა უნდა რაო, მარტო დატოვეს.

ეს იყო ერთი იმ ძილთაგანი, თითქოსდა წლობით რომ გრძელდება, ტბის ფსკერისაკენ მიმავალ ტყვიასავით მძიმე და მძიმედ ასატანი. კაცი ტყვედ გახდომია შენივთულ დაღლილობასა და საზარელ ჰალუცინაციებს, გამუდმებით ნებისყოფის ზღურბლთან რომ დაძრწიან. უნდოდა გაეღვიძა სიცხით გათანგულს, დამსხვრეულ-დამტვრეულს, ამ უცნობ ღამეში ჩაკარგულს; ესმოდა, საათები ყოველ ოცდაათ წუთში ერთხელ როგორ რეკდნენ; სუნთქვა უმძიმდა, არც ფიქრის თავი ჰქონდა, აღარც განძრევისა; შეკრული იყო, შებოჭილი, როგორც კაცი, რომელსაც აღრჩობენ; უნდოდა გაებრძოლა და ფსკერისაკენ კი მიდიოდა. ბოლოს ინათლა. გვიანი, წვიმიანი დღის მოღუშული დილა გათენდა. აუტანელი სიცხე რომ აწვალებდა, დაუცხრა; მაგრამ ეგონა, ტანზე მთელი მთა დამწოლიაო. გაეღვიძა. საშინელი იყო ეს გაღვიძება...

— რად გავახილო კიდევ თვალი? რად გავიღვიძო? სჯობს ვიწვე ჩემი მეგობარივით, მიწის ქვეშ რომ განისვენებს...

პირალმა გაშოტილიყო და არ ინძრეოდა, თუმცა უხერხულად გრძნობდა თავს; ხელ-ფეხი დამძიმებოდა. საფლავში იდო. ზედ მოლურჯო სინათლე ეღვრებოდა. წვიმის წვეთები ხამუშ-ხამუშ ეცემოდა ფანჯრის მინებს. ბაღში რომელიღაც ჩიტი საბრალობლად წიოდა. ჰოი, დუხჭირო, უსარგებლო, სასტიკო სიცოცხლევ!..

რამდენიმე საათმა გაიარა. ბრაუნი შემოვიდა. კრისტოფს თავი არ მიუბრუნებია მისკენ. მასპინძელმა შენიშნა, რომ სტუმარს თვალები ღია ჰქონდა და მხიარულად შეეხმიანა; და რაკი კრისტოფი ჭერს არ აცილებდა კუშტ მზერას, გადაწყვიტა ნაღველი გაექარვებინა მისთვის; ლოგინზე ჩამოუჯდა და ხმამაღალი საუბარი გაუბა. ეს ხმაური აუტანელი ეჩვენებოდა კრისტოფს. თავს ძალა დაატანა, ზეადამიანური ეჩვენა ეს ძალდატანებაც, და უთხრა:

— გემუდარებით, თავი დამანებოთ.

ბრაუნმა უმალვე შესცვალა კილო:

— მარტო დარჩენა გნებავთ? ბატონი ბრძანდებით. მშვიდად იყავით. დაი-

სვენეთ; ნუ ილაპარაკებთ. საჭმელს ოთახში მოგართმევენ. საუბრით არავინ შეგაწყენთ თავს.

მაგრამ მოკლესიტყვაობა არ გამოუვიდა. იქაქანა, იქოთქოთა და როგორც იქნა, გავიდა ოთახიდან უხეში ფეხსაცმლის წვერებზე, იატაკს რომ აზანზარებდა. კრისტოფი კვლავ მარტო დარჩა საშინელ დაღლილობაში ჩაძირული. მისი ფიქრი ტანჯვათა ბურუსში მიმოიძვროდა. თავს იწამებდა, რომ გაეგო: „რატომ გავიცან? რად შევიყვარე? რა შედეგი გამოიღო ანტუანეტას თავდადებამ? რა აზრი ჰქონდა ამდენ სიცოცხლეს, მთელ თაობებს, ამდენ განსაცდელსა და იმედს, ოლივიემდე რომ მოატანა და მასთან ერთად არყოფნის უფსკრულში გადაიხაფრა?..“ სიცოცხლე უაზროა. უაზროა სიკვდილიც. გაქრა არსებობა, უკვალოდ გაქრა მთელი მოდგმა. კაცმა არ იცის, ამაში საზარელი მეტია, თუ სასაცილო. ავი სიცილი უტყდებოდა სასოწარკვეთილებისა და სიძულვილისაგან. ასეთი-მწუხარების ატანა არ ძალუძდა, აქეთ კიდევ საკუთარი უმწეობა ამწუხარებდა, კლავდა. გული გასკდომაზე ჰქონდა...

სახლში ჩამიჩუმი არ ისმოდა; მხოლოდ ავადმყოფებთან მიმავალი ექიმის ნაბიჯების ხმა თუ გაკრთებოდა. კრისტოფს უკვე დროის ანგარიში ჰქონდა დაკარგული, როცა ანა გამოჩნდა. ლანგარზე სადილი მოჰქონდა. კრისტოფი გაუნძრევლად უცქეროდა, ტუჩებიც არ შეუტოკებია მადლობის ნიშნად; მაგრამ მის გაშტერებულ თვალებში, რომლებიც თითქოს ვერაფერს ამჩნევდნენ, ყმაწვილი ქალის სახე ფოტოგრაფიული სიცხადით აღიბეჭდა. დიდი ხნის შემდეგ, როცა უკეთ გაიცნო, მაინც ასეთად ხედავდა; მომდევნო სურათებმა პირველი შთაბეჭდილების ხსოვნა ვერ ამოშანთეს მისი გონებიდან. ქალს სქელი თმა ჰქონდა, კეფაზე მძიმედ შემოგრაგნილი, ამობურცული შუბლი, ფართო ლოყები, მოკლე და სწორი ცხვირი; თვალები მუდამ ჯიუტად ჰქონდა დახრილი, ან უკეთ, სხვის მზერას რომ წააწყდებოდა, თვალს არიდებდა ნაკლებ გულწრფელი, სიკეთეს მოკლებული გამომეტყველებით. ტუჩები დიდრონი ჰქონდა, მომუწული, იერი — კერპი, თითქმის უხეში. დიდი ქალი იყო, ღონიერი და კარგად მოყვანილიც ჩანდა, მაგრამ ტანთ კაბა უშნოდ ჰქონდა შემოსალტული და მიხრა-მოხრასაც ულაზათოს უჩენდა. უსიტყვოდ და უხმაუროდ მოვიდა, ლანგარი საწოლის თავით მდგარ მაგიდაზე დადო და უკანვე გაბრუნდა თავდახრილი, ჩამოშვებული, ტანზე მიკრული ხელებით. კრისტოფს აზრად არ მოსვლია გაკვირვებოდა ეს უცნაური და ცოტა არ იყოს, სასაცილო სტუმრობა; სადილს პირი არ დააკარა. უსიტყვოდ იტანჯებოდა.

დღე მიიწურა. ისევ მოსაღამოვდა. ანაც ისევ მოვიდა ახალი კერძებით ხელში. რაც უწინ მოეტანა დილით, ხელუხლებელი დახვდა და უსიტყვოდ აალაგა ყველაფერი. ერთი გულითადი სიტყვაც არ მოადგა პირზე, ყველა ქალი რომ პოულობს ინსტინქტურად, ავადმყოფს რომ ელაპარაკება. თითქოს კრისტოფი არც არსებობდა მისთვის, ანდა თავად ძლივს ედგა სული. კრისტოფი ყრუ მტრობას განიცდიდა მისდამი, როცა მოუთმენლად ადევნებდა თვალს მის მოუ-

ხერხებელსა და ზვიადურ ქცევას. მაინც მადლიერი იყო, რომ ანა გამოლაპარაკებას არ ცდილა. — მადლიერების გრძნობა გაუორკეცდა, როცა მისი წასვლის შემდეგ იძულებული შეიქნა ექიმის შემოტევა გადაეტანა. ბრაუნმა ვერ მოითმინა, რომ კრისტოფს დილანდელი კერძისთვის პირიც არ დაეკარებინა; ბრაზობდა თავის ცოლზე, ძალით როგორ ვერ აჭამაო და ახლა თვითონ ატანდა ძალას. სიმშვიდე რომ მოეპოვებინა, კრისტოფი იძულებული გახდა, რამდენიმე ყლუპი რძე მოესვა. მერე მასპინძელს ზურგი უბრუნა.

მეორე ღამე უფრო მშვიდი გამოდგა. მძიმე ძილმა არყოფნის უფსკრულში ჩააგდო კრისტოფი. საზარელი სიცოცხლის კვალიც კი არ დარჩა. მაგრამ გამოღვიძება კიდევ უფრო სულისშემძვრელი იყო. ისევ გაიხსენა საბედისწერო დღის ყველა წვრილმანი, მოაგონდა, რომ ოლივიეს ზარავდა შინიდან გასვლა, წამდაუწუმ ემუდარებოდა, დავბრუნდეთო და სასოწარკვეთით შესძახა: . .

— მე მოვკალი, მე...

შეუძლებელი იყო ასე მარტო დარჩენა, უძრავად, ჩაკეტილში, როცა თვალებმრისხანე სფინქსი კლანჭებით ჩაფრენოდა, სახეში ასუნთქავდა თავის კითხვების ქარაშოტსა და ცხედრის სუნთქვას. წამოდგა სიცხიანი; ოთახიდან გალასლასდა, კიბე ჩაიარა; და როგორც კი სხვისი ხმა შემოესმა, გაქცევა დააპირა.

ბრაუნი სასადილო ოთახში იჯდა. ჩვეული გულითადობით მიიღო კრისტოფი. მაშინვე პარიზული ამბების გამოკითხვა დაუწყო. კრისტოფმა ხელზე მოჰკიდა ხელი და უთხრა:

— ნურაფერს მკითხავთ. შემდეგ გიამბობთ... ნუ დამემდურებით ამაზე. არ შემიძლია. დავიღალე...

— ვიცი, ვიცი, — უთხრა გრძნობამორევით ბრაუნმა, — ნერვები აგეწეწათ. წინა დღეების მღელვარებამ დაგმართათ ეგ ამბავი. ნურაფერს მეტყვით. თავს ნურაფერში დაატანთ ძალას. თავისუფალი ხართ, შინა ხართ. აღარავინ შეგაწუხებთ.

თქვა და კიდევაც შეასრულა სიტყვა. სტუმარი რომ არ დაეღალა, მეორე უკიდურესობაში გადავარდა: მისი თანდასწრებით ცოლთან გამოლაპარაკებასაც ვეღარ ბედავდა; ხმადაბლა საუბრობდნენ, თითის წვერებზე დადიოდნენ, სახლი დამუნჯებულიყო. ბოლოს ამ ნაძალადევი სიჩუმითა და ჩურჩულით გაბეზრებულმა კრისტოფმა ბრაუნს სთხოვა, ცხოვრების ნირს ნუ კი შეიცვლით, უწინდებურად იცხოვრეთო.

მომდევნო დღეებში კრისტოფი თავის ანაბარა იყო მიტოვებული. საათობით იჯდა ოთახის კუთხეში, ან არადა, სახლში დაძრწოდა, როგორც ოცნებაში დანთქმული კაცი. რაზე ფიქრობდა? თავადაც ვერ გაგცემდათ პასუხს. იმის ძალაც ძლივს შემორჩა, რომ ეტანჯა. მთლად განადგურებული იყო. საკუთარი გულცივობა აძრწუნებდა. მარტო ერთი სურვილიღა ჰქონდა: „მასთან“ ერთად დამარხულიყო და ბოლო მოღებოდა ყველაფერს. ერთხელ ბაღის კარი ღია დახვდა და გარეთ გავიდა. მაგრამ ისე ემძიმა სინათლეში ყოფნა, რომ მსწრაფლ

ეკუქცა, თავის ოთახში შეიკეტა და დარაბებიც დარაზა. დარიანი დღეები უზომო ტანჯვას გვრიდა. სძულდა მზე. ბუნება თავზარსა სცემდა თავისი უხეში უშფოთველობით სუფრასთან უსიტყვოდ, თავდახრილი დასჩერებოდა თეფშს, ყლაპავდა, რასაც ბრაუნი აწოდებდა და ხმას არ იღებდა. ერთ დღეს ბრაუნმა სასტუმრო ოთახში მდგარ პიანინოზე მიუთითა; კრისტოფმა ძრწოლით აქცია ზურგი. ყოველგვარი ხმაური აღიზიანებდა. სიჩუმე სწყუროდა; სიჩუმე და ღამის წყვდიადი!.. მხოლოდ სიცარიელე და სიცარიელის წყურვილი შერჩენოდა. მშვიდობით, სიცოცხლის სიხარულო, სიხარულის მძლე ფრინველო, უწინ გატაცებით, სიმღერით რომ დაჰქროდი ლაჟვარდში! მთელი დღეები თავის ოთახში იჯდა და სიცოცხლის მაჯისცემას მხოლოდ მეზობელი ოთახის საათის კანტიკუნტი რეკვითღა გრძნობდა; ეგონა, შიგ ჩემს ტვინში რეკენო. და მაინც, სიხარულის ველური ფრინველი ჯერ კიდევ გულში ეჯდა, ანაზდეულად გაშლიდა ფრთებს და ცხაურს ეხეთქებოდა; მაშინ სულის სიღრმეში ფრთონას იწყებდა სალმობის საშინელი ქარიშხალი — „მარტოდმარტო თვალუწვდენელ ველზე დარჩენილი კაცის სასოწარკვეთილი ძახილი“...

ამ სოფლის უბედურება ისაა, რომ თითქმის თავის დღეში არა გვყავს მეგობარი. თანამგზავრები კი შეიძლება გაგვიჩნდეს და შემთხვევითი ამხანაგებიც. მეგობრის სახელს გულუხვად ვფანტავთ: სინამდვილეში კი მხოლოდ ერთი მეგობარი თუ გვეძლევა მთელი სიცოცხლის მანძილზე, თან იშვიათია კაცი, ვისაც ამგვარად გაუღიმებს ბედი. მაგრამ ეს იმოდენა ბედნიერებაა, რომ კაცმა აღარ იცის, როგორ იცხოვროს, როცა მეგობარი გამოეცლება ხელიდან. მეგობარი უვსებდა სიცოცხლეს, თუმც კი თავადაც ვერ გრძნობდა ამას. ოლივიე წავიდა და სიცოცხლეც დაცარიელდა. მარტო საყვარელი ადამიანი კი არ დაიკარგა, სიყვარულის აზრიც გაქრა, აწინდელი და უწინდელი სიყვარულის აზრი. რატომ ცხოვრობდა? ჩვენ რაღად ვცხოვრობთ?

ამ სიკვდილით გამოწვეული ზაფრა მით უფრო საშინელი იყო კრისტოფისათვის, რომ იმ დროს უწია, როცა მთელი მისი არსება თვითონაც იდუმალ იყო შერყეული. ცხოვრებაში გვეწვევა ხანი, როცა ორგანიზმში უხილავი, ყრუ ცვლილებები მიმდინარეობს; მაშინ სულიც და ხორციც უფრო სათუთნი არიან, გარეგან შემოტევას ვერ უმკლავდებიან. გონება დასუსტებულია, იდუმალი მწუხარება ღრღნის, ფიტავს საგანთ სიმაძღრე; რაც გაკეთებული აქვს, იმას გამიჯვნია და ვეღარ შესწევს უნარი დაინახოს კიდევ რა შეიძლება გააკეთოს. იმ წლებში, როცა ასეთი კრიზისი გვეწვევა, ადამიანთა უმრავლესობას კისრად აწევს ოჯახური მოვალეობანი: ეს მათთვის ხსნაა, საფარველი, ურომლისოდაც თავის განსჯა, გზის გაკვლევა შეუძლებელია, შინაგან ახალ ცხოვრებას ვერ შეიქმნი. რამდენი მწუხარებაა დამალული, რამდენს მწარედ აყრია გული!.. იარე! იარე! უნდა წახვიდე.. იძულებითი ტვირთი, ოჯახური საზრუნავი ისე იჭერს ადამიანს, როგორც ცხენს, ზეზეულად რომ სძინავს და მაინც წინ მიიწევს ჯალამბრებს შორის. მაგრამ სულ თავისუფალ კაცს არაფერი აკავებს,

არაფერი აიძულებს წინ იაროს, როცა მის სულში არყოფნა იმზირება. ჩვეულების ძალით მიაბიჯებს; არ კი იცის, სად და რისთვის. ძალები შემღვრევია, გონთ უბნელდება. ვაი მას, თუ ამ წუთს, როცა თვლემამ წაართვა. თავი, მეხი დაატყდა და შეაწყვეტინა ეს მთვარეული სვლა! სულ ნადგურდება...

პარიზიდან გამოგზავნილმა რამდენიმე წერილმა, ბოლოს და ბოლოს რომ მოაღწია კრისტოფამდე, წამით მოსწყვიტა იგი სასოწარკვეთასა და აპათიას. წერილები სესილისა და ქ-ნ არნოსგან იყო გამოგზავნილი. მათ ნუგეში მოუტანეს კრისტოფს. კნინი ნუგეში! უსარგებლო ნუგეშის სიტყვები... ისინი, ვინც მწუხარებაზე ლაპარაკობენ, როდი იტანჯებიან... მთავარი ის იყო, რომ ამ წერილებს კრისტოფისათვის მოჰქონდათ მიმქრალი ხმის ექო... ვერ გაბედა პასუხის გაცემა; წერილებიც აღარ განახლებულა. უგუნებოდ მყოფი ცდილობდა თავისი კვალი წაეშალა, გამქრალიყო... მწუხარება უსამართლოა: ყველანი, ვინც მას უყვარდა, ამ ქვეყნიდან წასულიყვნენ. მთელი კვირეები გახარჯა, რა არ იღონა, რომ გაეცოცხლებინა მეგობარი. ესაუბრებოდა, სწერდა:

„სულო ჩემო!

დღეს შენი წერილი არ მიმიღია. სადა ხარ? მოდი, დამიბრუნდი, ხმა გამეც, მომწერე რამე!“

მაგრამ ღამით, თუმც კი ძალიან ცდილობდა, ერთხელაც ვერ ნახა სიზმარში. სიზმრად იშვიათად ვნახულობთ იმათ, ვინც დავკარგეთ, მანამ, სანამ მათი დაკარგვა გვაწამებს. ისინი მოგვიანებით გამოჩნდებიან, როცა დავიწყება მოვა.

მაგრამ სიცოცხლე თანდათანობით მაინც აღწევდა ამ სამარედ ქცეულ სულში. კრისტოფს ახლა ისევ ესმოდა სახლის სხვადასხვა ხმაური და ინტერესით აყურადებდა, თუმც თავად არ შეუნიშნავს ეს ამბავი. იცოდა, რომელ საათზე იღებოდა და იხურებოდა კარი, დღეში რამდენჯერ და რანაირად იმისდა მიხედვით, თუ ვინ მოვიდოდა. უკვე ბრაუნის ფეხის ხმასაც სცნობდა; თითქოს თავისი თვალით ხედავდა როგორ ბრუნდებოდა ექიმი შინ მას შემდეგ, რაც ავადმყოფებს მოინახულებდა, როგორ ჩერდებოდა წინკარში, ქუდსა და პალტოს როგორ ჰკიდებდა საკიდარზე, მუდამ უცვლელი, მანიაკალური გულმოდგინებით. და როცა ჩვეულ დროს ჩვეული ჩქამი არ მოისმოდა, ქვეშეცნეულად ცდილობდა ეპოვა ცვლილების მიზეზი. სუფრასთანაც ანგარიშმიუცემლად აყურადებდა საუბარს. შენიშნა, რომ ბრაუნი თითქმის ყოველთვის მარტო ლაპარაკობდა. ცოლი ჰოსა და არას თუ ეტყოდა მხოლოდ. ბრაუნს, ეტყობა, არ აწუხებდა თანამოსაუბრეთა არყოლა. გულღიად ლაყბობდა, ჰყვებოდა თავისი ავადმყოფების ამბავს, ყურმოკრულ ჭორებს. ერთხელ ისე მოხდა, რომ კრისტოფმა შეხედა მასპინძელს, როცა ის ჰყვებოდა; ბრაუნის ბედნიერებას საზღვარი არ ჰქონდა, როგორც იქნა, მოახერხა დაეინტერესებინა სტუმარი.

კრისტოფი შეეცადა დაბრუნებოდა სიცოცხლეს... რა მომქანცველი იყო ეს ამბავი. თავს მოხუცებულად, დედამიწასავით მოხუცებულად გრძნობდა!..

დილით, როცა დგებოდა, როცა სარკეში იცქირებოდა, უზომოდ ღლიდა საკუთარი სხეული, მიმოხრა, სულელური აღნაგობა. რად უნდა ამდგარიყო? რად უნდა ჩაეცვა?.. უზომო ძალდატანება მოუხდა თავზე, რომ ემუშავა: გული ერეოდა! რისთვის შეეთხზა რამე, თუკი ყველაფერი არყოფნაში უნდა დანთქმულიყო? მუსიკა აუტანელი შეიქნა მისთვის, ხელოვნებაზე (და სხვა რამეებზეც) მართებულად მხოლოდ უბედურების ჟამს ვმსჯელობთ. უბედურება სასინჯი ქვაა. მხოლოდ ჭირში გამოვარჩევთ იმ ადამიანებს, სიკვდილზე ძლიერნი საუკუნეებს რომ გაჰყვებიან. ძალიან ცოტა უძლებს ამ გამოცდას. გვაკვირვებს იმათი სულების სიკნინე, ვისზედაც იმედს ვამყარებდით (საყვარელი ხელოვანნი იქნებიან, თუ მეგობრები). ვინ ამოტივტივდება? რა ფუჭი რამ არის ამა სოფლის სიმშვენიერე, როს კაცის გულისათვის ტანჯვას შეუხია მსახვრალი ხელი!

მაგრამ ტანჯვასაც გასდის ყავლი; მისი ხელიც მძიმდება. კრისტოფის ნერვებს შვება მიეცა. მას ეძინა, ეძინა გამუდმებით. იტყოდით, თავის დღეში ვერ გაძღება ძილითო.

ერთ ღამეს მაინც ისე ღრმად ჩაეძინა, რომ მეორე დღის საღამოსღა გამოეღვიძა. სახლში არავინ იყო. ბრაუნი და მისი ცოლი სადღაც წასულიყვნენ. ფანჯარა ღია დარჩენოდათ. ღიმილს აფრქვევდა სხივოსანი ჰაერი. კრისტოფს თითქოს უზარმაზარი ტვირთი მოეხსნა მხრებიდან. ადგა და ბაღში ჩავიდა. მონასტრის ბაღს ჰგავდა ეს მაღალი კედლებით შემოზღუდული ვიწრო მართკუთხედი, რამდენიმე ხრეშმოყრილი ხეივანი ორ ოთხკუთხა გაზონს შორის და ბურჟუათა საყვარელი ყვავილები; ფანჩატურში ერთმანეთს ეწმახნებოდა ვაზი და ვარდები. წყლის ერთი ბეწო ნაკადი მოწანწკარებდა გამოქვაბულიდან; კედელზე ასული აკაცია სურნელოვან ტოტებს ჰფენდა მეზობელ ბაღს. იქით წითელი ქვიშაქვისაგან ნაგები ძველი ეკლესიის კოშკი აღმართულიყო. ნაშუადღევის ოთხმა საათმა დაჰკრა. ბაღს უკვე ბინდი ეფინებოდა. მზის სხივებში ბანაობდა ხის კენწეროები და წითელი სამრეკლო. კრისტოფი ფანჩატურის ქვეშ დაჯდა კედლისაკენ ზურგშექცეული; თავი უკან გადაეგდო და ერთმანეთში გადახლართულ ვაზსა და ვარდებს შორის გამომჭვირალ კამკამა ზეცას უყურებდა. ეგონა, კოშმარიდან გამომეღვიძაო. ირგვლივ უძრავი მდუმარება გამეფებულიყო. ვარდების ლიანა მიბნედილად გადმოკიდებულიყო მის თავს ზემოთ. უეცრად ყველაზე ლამაზი ყვავილი დაიფურცლა, სული დალია; მისი ფურცლების თოვლი ჰაერში განიმქრა. თითქოს ლამაზ, უცოდველ სიცოცხლეს მოეღო ბოლო. ისე უბრალოდ!.. კრისტოფს გული მოუწყალა ამ ამბავმა. სული შეეხუთა, სახე ხელის გულებში ჩარგო და აქვითინდა...

სამრეკლოზე ზარებმა ჩამოჰკრეს. მათ სხვა ეკლესიების ზარებმაც მისცეს ბანი... კრისტოფს წარმოდგენაც არ ჰქონდა, რამდენმა ხანმა განვლო. თავი რომ აიღო, ზარები დადუმებულიყვნენ, მზე გამქრალიყო. გულს მოუფონა ცრემლებმა, გონება დაეწმინდა. ესმოდა, გულიდან როგორ ამოსჩქეფდა მუსი-

კის ნაკადი და ღამის ცაში მოცურავე ნამგალა მთვარეს შესცქეროდა. ფეხის ხმამ გამოაფხიზლა, თავის ოთახში ავიდა, მაგრად ჩაიკეტა და მუსიკის შადრევანი გადმოღვარა ქაღალდზე. ბრაუნმა დაუძახა, სადილად უხმობდა, კარზეც მიუკაკუნა, შეეცადა გაეღო. კრისტოფმა ხმა არ გასცა. შეშფოთებულმა ბრაუნმა ჭუჭრუტანიდან შეუჭვრიტინა და დამშვიდდა, რაკი დაინახა, რომ კრისტოფი მაგიდაზე გადამხობილიყო ქაღალდების გროვაზე და რაღაცას იწერდა.

რამდენიმე საათის შემდეგ ღონემიხდილი კრისტოფი ძირს ჩავიდა; სასტუმრო ოთახში ექიმი იჯდა, რაღაცას კითხულობდა და მოთმინებით ელოდა. კრისტოფი გადაეხვია, ბოდიში მოუხადა, ჩამოსვლის დღიდან საძაგლად მიჭირავს თავიო და თუმცა ბრაუნი არ ეკითხებოდა, უამბო უკანასკნელი კვირების საშინელი ამბები. მხოლოდ ამ ერთხელ ელაპარაკა გარდასულზე; მაინც დარწმუნებული არ იყო, რომ ბრაუნმა კარგად გაუგო, რადგან კრისტოფი უთავბოლოდ ჰყვებოდა; შუაღამე გადასული იყო და თუმცა მასპინძელს ცნობისწადილი დიდი ჰქონდა, ძილი მაინც ყველაფერს ერჩია. ბოლოს, ორმა საათმა რომ ჩამოჰკრა, კრისტოფმა შენიშნა ეს და ერთმანეთს ღამე ნებისა უსურვეს.

ამ ხნიდან მოკიდებული კრისტოფის ცხოვრება ერთიანად გამოიცვალა. სადარდებელს აღარ დაუდო თავი; მწუხარება არ დასცხრობია, მაგრამ ნორმალური სახე მიიღო და ცხოვრებაში ხელს არ უშლიდა. სიცოცხლე კი აუცილებელი იყო! ამ კაცს, რომელმაც ახლახან დაკარგა მეგობარი, ვინც ყველაზე მეტად უყვარდა, კაცს, რომელსაც მწუხარება ღრღნიდა და სიკვდილი დაჰქონდა გულით, ნაყოფიერი ცხოვრების ისეთი ტირანული ძალა გააჩნდა; ეს ძალა ისე ჩქეფდა მის მწუხარე სიტყვებში, მის თვალთაგან, მის ბაგეთაგან ასხივებდა, გამოსჭვივოდა მის მიხრა-მოხრაში. მაგრამ ამ ძალის გულში მღრღნელი ჭია მოკალათებულიყო. კრისტოფს ხანდახან მთლად წარეკვეთებოდა სასო. უეცრად დაუვლიდა ხოლმე ტკივილი. მშვიდი იყო, თავს ძალას ატანდა, რომ ეკითხა, ანდა სასეირნოდ გასწევდა ხოლმე. ანაზდად ოლივიეს ღიმილი, მისი სახე მოელანდებოდა, დაღლილი, ალერსიანი... თითქოს შიგ გულში აძგერეს დანაო, ისე შეტორტმანდებოდა... გულთან მიიტანდა ხელს და კვნესოდა. ერთხელ პიანინოს უჯდა, ბეთჰოვენის რომელიღაც ნაწარმოებს უკრავდა უწინდებურის მგზნებარებით... უეცრად შეჩერდა, მერე დავარდა, თავი სავარძლის ბალიშებში ჩარგო და შეჰყვირა:

— ჩემო პატარავ!..

ყველაზე უარესი „უკვე განცდილის“ შთაბეჭდილება იყო. დაუსრულებლივ აწყდებოდა იმავე ჟესტებს, იმავე სიტყვებს; თავს ისევ ის უნდა გარდახდენოდა, რაც უკვე ჰქონდა განცდილი. ყველაფერი ნაცნობი იყო მისთვის, ყველაფერი წინასწარ ჰქონდა განჭვრეტილი. ეს კაცი, უწინ ნანახს რომ მოაგონებდა, იმავეს ეტყოდა, რაც უწინ სხვისგან მოესმინა, ამაში წინასწარ იყო დარწმუნებული; ერთიმეორის მსგავსი სულდგმულები ერთმანეთის მინამგვან ფაზებს გადიოდნენ, იმავ დაბრკოლებებს ეჯახებოდნენ, და მათსავით იხარ-

ჯებოდნენ. თუ მართალია, რომ „არაფერი ისე არ გაბეზრებს ცხოვრებას, რო-გორც განახლებული სიყვარული“, ყველაფრის თავიდან დაწყებაზე რაღა ითქ-მის! ეს პირდაპირ ჭკუიდან შეშლიდა კაცს. კრისტოფი ცდილობდა არ ეფიქრა ამ ეებზე, რაკი აუცილებელი იყო ეცხოვრა, რაკი ცხოვრება სურდა. ეს გახლავთ სამწუხარო პირმოთნეობა, რომელსაც არ სურს თავის შეცნობა; სირცხვილს გაუტანჯავს, თავი ებრალება, ცხოვრება კი სჭირია, მაინც სჭირია... რაკი იცო-და, რომ შვება არ იყო, ნუგეშს თვითონ იჩენდა. დარწმუნებული იყო, რომ ცხოვრებას არ ჰქონდა აზრი, და სასიცოცხლო საბაბს დაეძებდა. თავს ირწმუ-ნებდა, უნდა ეიცოცხლოო, თუმც კი მისი სიცოცხლე მის მეტს არავის სჭირ-დებოდა. იცოდა ისიც, რომ სიკვდილს იმ სიტყვებს მიაწერდა, თავად რომ სურდა ეთქმევინებინა. ჰოი, უბადრუკობავ!

კრისტოფმა კვლავ განაგრძო გზა; მის ნაბიჯს თითქოს ძველი სიმტკიცეც დაუბრუნდა; მწუხარება ღრმად ჩაიმარხა გულში. ამაზე თავის დღეში არ ელაპარაკებოდა არავის; თვითონაც ცდილობდა მარტო არ დარჩენილიყო მოგონებებთან და მშვიდი ჩანდა.

„ნამდვილი მწუხარებანი გარეგნულად მშვიდნი ჩანან მათ მიერ გაკეთე-ბულ სარეცელში; იქ თითქოს სძინავთ, მაგრამ იდუმალ სულის დანგრევას აგრძელებენო“, — უთქვამს ბალზაკს.

ვინც იცნობდა კრისტოფს და კარგად დააკვირდებოდა, როგორ მიმოდი-ოდა, როგორ საუბრობდა, უკრავდა, იცინოდა (დიახ, ახლა იცინოდა კიდეც!) იგრძნობდა, რომ რაღაც დამსხვრეულიყო ამ ძლიერ, სიცოცხლისაგან თვა-ლებანთებულ მამაკაცში, სულის იდუმალ კუნჭულში რაღაც ჩასწყდომოდა.

იმ წუთიდან, რაც მიეჯაჭვა სიცოცხლეს, ცხოვრების სახსარიც უნდა ეშოვ-ნა. ქალაქიდან გასვლა არ შეიძლებოდა. შვეიცარია საუკეთესო თავშესაფარი იყო მისთვის; ან კი სად ნახავდა უფრო ერთგულ მასპინძლობას? მაგრამ თავ-მოყვარეობა ნებას არ აძლევდა მეგობრის ხელის შემყურეს ეცხოვრა. თუმცა ბრაუნი ძალიან ამშვიდებდა, სამადლო არა უნდოდა რა; ვერ მოისვენა, სანამ მუსიკის რამდენიმე გაკვეთილი არ იშოვნა; ამან შესაძლებლობა მისცა მასპინ-ძლისათვის ყოველთვიური გადასახადი ეძლია. ეს ადვილი როდი იყო. ხმა გავრ-ცელდა, რევოლუციურ საქმეებში იყო ჩაბმული და გამოიქცაო; ბურჟუაზიულ ოჯახებს არ სურდათ შინ შეეშვათ კაცი, საშიშრის, ან, უკეთეს შემთხვევაში, უცნაურის სახელი რომ ჰქონდა გავარდნილი და მით ცოტა „საჩოთირო“ გამხ-დარიყო. მაგრამ კრისტოფის მუსიკალურმა სახელმა და ბრაუნის მეცადინეო-ბამ ოთხი თუ ხუთი ნაკლებ აზიზი ან უფრო ცნობისმოყვარე სახლის კარი გაუღო, რომელთაც არტისტული სნობიზმით თავის გამოჩენა სურდათ. მაინც გამუდმებით თვალყურს ადევნებდნენ და ყოველ ღონეს ხმარობდნენ იმისათ-

ვის, რომ მასწავლებელსა და მოსწავლეებს შორის საპატიო მანძილი დაეცვათ.

ბრაუნის სახლში ცხოვრება გეგმაზომიერად აეწყო. დილით ყველა თავის საქმეზე მიდიოდა: ექიმი ავადმყოფებთან გასწევდა, კრისტოფი — გაკვეთილებზე, ქ-ნი ბრაუნი — ბაზარში, ანდა თავის საქველმოქმედო საქმეებზე. კრისტოფი პირველი საათისათვის ბრუნდებოდა, ჩვეულებრივ, ბრაუნზე ადრე. ბრაუნი იბარებდა, უჩემოდ ისაუზმეთო და კრისტოფიც მარტო მიუჯდებოდა ხოლმე სუფრას ანასთან ერთად. ეს მაინცდამაინც არ სიამოვნებდა, რადგან ქალი არ მოსწონდა და მისთვის სათქმელს ვერაფერს პოულობდა. ანა კი, ოდნავადაც არ ცდილობდა ეს შთაბეჭდილება გაენელებინა, თუმც კი შეუძლებელია იმის თქმა, ვერაფერს ატყობდაო. არც ირთვებოდა, არც ჭკუის გამოჩენას ცდილობდა; თავის დღეში პირველი არ გამოელაპარაკებოდა კრისტოფს. მისი მოუხეშავი მიხრა-მოხრა და ულაზათო ტანისამოსი, მისი მოუხერხებლობა, მისი სიცივე კრისტოფივით ქალური მოხდენილობის მოტრფიალე ყოველ მამაკაცს დააშორებდა მისგან. ანას შემხედვარე კრისტოფი თავს ვერ იკავებდა და ფიქრობდა:

— ღმერთო, რა უშნოა!

მაგრამ ეს მართალი არ იყო; და კრისტოფმაც მალე შენიშნა, რომ ყმაწვილ ქალს საუცხოო თმა, ხელები, ბაგე და თვალები ჰქონდა. იშვიათ წუთებში იქერდა ამ თვალთა გამოხედვას, თუმც კი ანა მაშინვე არიდებდა მზერას. აზრი მაინც არ შეუცვლია მასპინძლის ცოლზე. მხოლოდ ზრდილობის გულისათვის ელაპარაკებოდა; გაჭირვებით ეძებდა სასაუბრო თემებს; ანა სულ არ ეხმარებოდა. ორჯერ თუ სამჯერ სცადა მოეყოლებინა რამე თავის ქალაქზე, ქმარზე, თავის თავზე: ვერაფერი დააცდენინა. ქალი ბანალურ პასუხებს აძლევდა; თავს ძალას ატანდა, რომ გაეღიმა; მაგრამ ეს ძალდატანება იგრძნობოდა და უსიამო შთაბეჭდილებას ახდენდა; მისი ღიმილი ნაძალადევი იყო, ხმა — ყრუდ ეღერდა; ყოველ სიტყვას კბილებში სცრიდა; ყოველ ფრაზას სამძიმო დუმილი მოსდევდა. ბოლოს კრისტოფი შეეშვა და თითქმის აღარც ელაპარაკებოდა; ქალი მადლიერი დაურჩა. ორთავეს გულზე მოეშვებოდა ხოლმე, როცა ექიმი ბრუნდებოდა. ბრაუნი მუდამ კარგ ხასიათზე იყო; ხმაურიანი, მუდამ მოფუსფუსე, ცოტა გაუთლელი, ჩინებული კაცი გახლდათ. ჭამდა, სვამდა, ლაპარაკობდა, გულიანად იცინოდა. მასთან ანა ცოტა ამოიდგამდა ხოლმე ენას; მაგრამ მარტო კერძებზე და სანოვაგის ფასზე ლაპარაკობდნენ. ხანდახან ბრაუნი მის ქველ საქმეებსა და პასტორის ქადაგებებსაც გადასწვდებოდა, ცოლს გახელებას უწყებდა. ქალი მყისვე გაქვავდებოდა, დუმდებოდა შეურაცხყოფილი და სადილის ბოლომდე ხმას არ იღებდა. უფრო ხშირად ექიმი თავისი ავადმყოფების ამბავს უამბობდა კრისტოფს. ზოგ ამაზრზენ შემთხვევას ისეთი ხალისითა და დაწვრილებით ჰყვებოდა, რომ კრისტოფს გული ელეოდა, ხელსახოცს სუფრაზე დააგდებდა, დგებოდა მთხრობელის გასახარად და გულარეუ-

ლი გაიჭყანებოდა. ბრაუნი მაშინვე წყვეტდა თხრობას და სიცილით ამშვიდებდა მეგობარს. შემდეგ სადილზე ისევ თავიდან იწყებოდა ყველაფერი. ექიმის ამ ხუმრობათ უგრძნობელი ანას გამხიარულების ნიჭი შესწევდათ. უეცრად ნერვიულად გაიცინებდა და რაღაც ცხოველური იყო ამ სიცილში. იქნებ კრისტოფზე ნაკლებ როდი ურევდა გულს ის, რაზედაც იცინოდა.

ნაშუადღევს კრისტოფს ცოტა მოწაფეები ჰყავდა. ჩვეულებრივ, შინ რჩებოდა ანასთან, ექიმი კი კვლავ მიდიოდა. ერთმანეთს ვერ ნახულობდნენ. თითოეული თავის კუთხეში მუშაობდა. თავში ბრაუნმა სთხოვა კრისტოფს, ჩემი ცოლიც წაამაცადინე დაკვრაშიო. მისთვის რომ გეკითხათ, ქალი საკმაოდ კარგი მუსიკოსი იყო. კრისტოფმა სთხოვა ანას, რამე დაუკარითო. ქალს თავპატიჟი არ დაუდვია, თუმცა სულაც არ ეხალისებოდა დაკვრა, მაგრამ დაკვრაშიაც მოხდენილობა აკლდა: უგულოდ უკრავდა, წარმოუდგენელის უგრძნობლობით; ყველა ნოტი თანაბრად ჟღერდა; არსად მახვილი არ იგრძნობოდა; გვერდი რომ ჰქონდა გადასაფურცლი, ცივად შეწყვიტა დაკვრა შუა ფრაზაზე, გადაშალა და აუჩქარებლად გააგრძელა მომდევნო ნოტიდან. კრისტოფი იმდენად გაამწარა ამ ამბავმა, რომ ძლივს შეიკავა თავი, უხეშობა რომ არ ეთქვა; ვეღარ გაუძლო და მანამ გამოვიდა ოთახიდან, სანამ ანა დაკვრას მორჩებოდა. ქალი ამას არ შეუწუხებია, წარბშეუხრელად განაგრძო დაკვრა, არც დართგუნვილი და არც შეურაცხყოფილი არ ჩანდა ამ უზრდელობით; თითქოს არც არაფერი შეუნიშნავს. მაგრამ მას შემდეგ მუსიკის სწავლებაზე კრინტიც არ დაძრულა. ნაშუადღევს, როცა კრისტოფი ქალაქში გამოდიოდა და მოულოდნელად უწევდა დაბრუნება, ზოგჯერ ანას პიანინოსთან მიმჯდარს უსწრებდა; ქალი უგრძნობლად და უგემური დაჟინებით ორმოცდაათჯერ დაუღალავად იმეორებდა ერთსა და იმავეს ტაქტს და თავის დღეში არ ეტყობოდა გამოცოცხლება. მაგრამ თუ კრისტოფი შინ ეგულებოდა, ინსტრუმენტს ახლოსაც არ ეკარებოდა. რაც სულის მარგ საქმიანობათაგან დრო გადაურჩებოდა, ოჯახის საქმეს ახმარდა: კერავდა, ფუსფუსებდა; მსახურ ქალს თვალყურს ადევნებდა; მანიაკალურად უყვარდა სისუფთავე და წესრიგი. ქმარი ყოჩაღ, ცოტა უცნაურ ქალად თვლიდა — „როგორც ყველა ქალიაო", — იტყოდა ხოლმე, — მაგრამ — „როგორც ყველა ერთგული ქალიო",—დააყოლებდა. ამ ბოლო შენიშვნაზე კრისტოფი in petto[1] თავს იკავებდა: ასეთი ფსიქოლოგია მეტისმეტად გამარტივებულად ეჩვენებოდა, მაგრამ გუნებაში ფიქრობდა, ეს ბოლოს და ბოლოს, ბრაუნის საქმეაო და ამაზე თავს აღარც იწუხებდა.

საღამოობით, ნასადილევს, ერთად იყრიდნენ თავს. ბრაუნი და კრისტოფი საუბრობდნენ. ანა ხელსაქმობდა. ბრაუნი აღარ მოეშვა კრისტოფს და მანაც კვლავ იწყო დაკვრა, ღამის პირველ საათამდე უკრავდა ცუდად განათებულ დიდ სალონში, რომელიც ბაღს გადაჰყურებდა. ბრაუნი ნეტარებდა... ვინ არ

[1] გულში (იტალ.).

იცნობს ასეთ ხალხს, გატაცებით რომ მოსწონთ ნაწარმოებები, რომელიც ცუდად, ან უკეთესმა ესმით! — (სწორედ ამიტომაც უყვართ!) —კრისტოფი არ ჯავრობდა; ცხოვრებაში იმდენი ბრიყვი ჰყავდა ნანახი! მაგრამ ბრაუნის ზოგ უადგილო აღტაცებულ შეძახილზე დაკვრას სწყვეტდა და თავის ოთახს მიაშურებდა. ბოლოს ბრაუნმა გუმანით იგრძნო ამის მიზეზი და შთაბეჭდილებებს ისე ხმამაღლა აღარ გამოთქვამდა. თუმცა მალედაც მოჰყირჭდა მუსიკა; ყურადღებით თხუთმეტ წუთზე მეტს არ შეეძლო სმენა: გაზეთს დაავლებდა ხელს, ან თვლემდა და კრისტოფს დაეხსნებოდა ხოლმე. შორს, ოთახის კუთხეში მიმჯდარი ანა ხმას არ იღებდა; მუხლებზე საკერავი ედო, თითქოს მუშაობდა, მაგრამ თვალები გაშტერებული ჰქონდა და ხელსაც არ ანძრევდა. ხანდახან მაშინ გავიდოდა ოთახიდან, როცა კრისტოფი შუა დაკვრაში იყო და უკან აღარ ბრუნდებოდა.

ასე გადიოდა დღეები. კრისტოფი ძალებს იკრებდა. ბრაუნის მძიმე, მაგრამ გულითადი სიკეთე, სახლში გამეფებული მყუდროება, წეს-რიგიანი ოჯახური ცხოვრება, მეტისმეტად უხვი საჭმელ-სასმელი, გერმანელებს რომ უყვართ, მის მძლავრ ტემპერამენტს აღადგენდა. ჯანზე მოვიდა; მაგრამ მორალურად ისევ ავად იყო. ახლად ძალის მოცემა კიდევ უფრო უსვამდა ხაზს მისი გონების დაბნეულობას, გონებისა, რომელსაც ვერაფრით აღედგინა წონასწორობა, ცუდად დატვირთული კარჭაპივით მცირეოდენ დარტყმაზედაც ტორტმანებდა.

სულ განაპირებული იყო. ბრაუნთან სულიერად არაფერი ჰქონდა საერთო. ანასთან ურთიერთობა კი დილა-საღამოს გამარჯობა-გაგიმარჯოთი თუ შემოიფარგლებოდა. მოწაფეებთან უფრო მტრულ დამოკიდებულებაში იყო, რადგან სულ არ ცდილობდა დაემალა, მუსიკას საერთოდ თავი რომ დაანებოთ, თქვენთვის უმჯობესი იქნებაო. ეს მარტო მისი ბრალი არ ყოფილა, მას შემდეგ, რაც მგლოვიარედ იყო, თავი განმარტოებით ეჭირა. არც იკარებდნენ.

ძველ ქალაქში იყო, ჭკუითა და ძალით სავსე, მაგრამ პატრიციული სიამაყით თავმომწონე, თავის თავში ჩაკეტილ და თავის თავით კმაყოფილ ქალაქში. პიეტისტ ბურჟუაზიულ არისტოკრატიას, რომელსაც უყვარდა შრომა და ამაღლებული, მაგრამ შეზღუდული კულტურის მატარებელი გახლდათ, ურყევად სწამდა საკუთარი და თავის ქალქის უპირატესობისა და თავის კერიასთან განმარტოებას არაფერი ერჩია. ძველ-ძველი ოჯახები ძალიან გამრავლებულიყვნენ. ყოველ ოჯახს დათქმული ჰქონდა დღე, როცა თავისიანებს იღებდა. სხვებს მაინცდამაინც ხალისით როდი უღებდა სახლის კარებს. ამ ძლიერ ოჯახებს, ასწლოვანი სიმდიდრე რომ დაეგროვებინათ, არავითარი სურვილი არ ჰქონდათ ამ სიმდიდრის გამოფენისა. ისინი იცნობდნენ ერთმანეთს, ეს საკმარისი იყო; სხვათა აზრი სათვალავში არ გახლდათ ჩასაგდები. ზოგჯერ მილიონერებს ისე ეცვათ, წვრილი ბურჟუები გეგონებოდათ და თავიანთ მჭახე კილოკავზე ლაპა-

რაკობდნენ, საუბარში მარილიან გამოთქმებს ხმარობდნენ, ბეჯითად დაიარებოდნენ თავიანთ კანტორებში, არც ერთ დღეს არ აცდენდნენ, მაშინაც კი, როცა იმ ხნისა მოიყრებოდნენ, რომ ყველაზე უფრო შრომისმოყვარე ადამიანებიც კი თავს დასვენების უფლებას აძლევენ. მათ ცოლებს, დიასახლისობით მოჰქონდათ თავი. ქალიშვილებს არ ამზითვებდნენ. მდიდრები ახლა თავიანთ შვილებსაც აიძულებდნენ გაევლოთ ის მძიმე შეგირდობის გზა, თავად რომ განვლეს. საოცარი ხელმომჭირნეობით ცხოვრობდნენ. მაგრამ მათი ღირსება ის გახლდათ, რომ ხელოვნების ქმნილებებში, სურათების გალერეებსა და ქალაქის კეთილმოწყობაში ფულს უშურველად ხარჯავდნენ; საქველმოქმედო დაწესებულებებს, მუზეუმებს გამუდმებით უზარმაზარ თანხებს სწირავდნენ, თანაც თითქმის ყოველთვის ანონიმურად. სიდიადისა და სასაცილოს ეს ნაზავი ერთნაირად ძველმოდური გახლდათ. ეს სამყარო, რომლისთვისაც ქვეყნის სხვა ნაწილი თითქოს არ არსებობდა, — (თუმც კი ჩინებულად იცნობდა, საქმიანი გარიგების დროს შეხვედრია, ანდა სხვაგვარი ურთიერთობისას, ხანგრძლივ და შორეულ სამეცნიერო მოგზაურობებში, რომლებშიაც ვაჟიშვილებს აღებინებდნენ მონაწილეობას), — ეს სამყარო, რომლისთვისაც დიდად სახელდებული კაცი, უცხოეთში განთქმული მხოლოდ იმ დღიდან გახდებოდა პატივის ღირსი, როცა თავად მიიღებდა და აღიარებდა, — მეტად მკაცრ დისციპლინას მონებდა. ყველა თავს იზღუდავდა და ყველა ერთმანეთს უთვალთვალებდა. აქედან წარმოსდგა კოლექტიური სინდისი, პიროვნულ განსხვავებას რომ ჩქმალავდა, რაიც ამ უხეშ ადამიანთა შორის უფრო გამოკვეთილი ჩანდა, ვიდრე სხვაგან, და ყველას რელიგიურ და მორალური ერთფეროვნების საბურველით მოსავდა. არც ერთი არ აკლდებოდა წირვა-ლოცვას, ყველა მორწმუნე იყო. არც ერთს არ სწვევია ეჭვი, ანდა არ უნდოდა ამის გამჟღავნება. შეუძლებელი იყო ჩასწვდომოდით, რა ხდებოდა ამ სულებს შიგნით, რომლებიც მით უფრო შეუვალად იკეტებოდნენ თავიანთ ნაჭუჭში და ცდილობდნენ განრიდებოდნენ სხვათა მზერას, რაკი იცოდნენ, გამუდმებით, გაფაციცებით თვალყურს გვადევნებენო. და თითოეული თავს უფლებას ანიჭებდა სხვის სინდისში ჩაეხედა. ამბობდნენ, რომ ისინიც, ვინც სხვა ქვეყნებს მოივლიდა და განთავისუფლებული ეგონა თავი, როგორც კი მშობლიურ ქალაქში დადგამდა ფეხს, მაშინვე მონად უხდებოდა იქაურ ტრადიციებს, იქაურ ჩვეულებებს, იქაურ გარემოს. მაშინ ყველაზე ურწმუნონიც კი იძულებულნი იყვნენ წირვა-ლოცვაზე ევლოთ და ღმერთი ეწამათ. ურწმუნოება ბუნების წინააღმდეგი მოეჩვენებოდათ. ურწმუნოება მდაბიორთა საქმე იყო, თავის რიგიანი დაჭერა რომ არ იციან. როგორ იქნებოდა, რომ მათი მოდგმის კაცი რელიგიურ მოვალეობათ გაქცეოდა. ვინც წირვა-ლოცვას აკლდებოდა, თავის კლასს შორდებოდა და აღარავისთან მიესვლებოდა.

მაგრამ მარტო ამას როდი სჯერდებოდნენ. ამ ხალხს თავი საკმარისად შებოჭილად არ მიაჩნდა თავიანთ კასტაში. ამ დიდი Verein-ის შიგნით უამრა-

ვ ვერს Verein-ები მოიგონეს, რომ სულ დაეარტახებინათ თავი. ასობით ასე-
ო ტულ ,ადოება მოიძევებოდა. ამხანაგობა დაედგინათ ერთსა და იმავე დროს
რ ლურ ,ერი ქველმოქმედებისა და სავაჭრო საქმეებისათვის, ხელოვნების დარ-
გე უმ ის, მეცნიერებათვის, სიმღერისათვის, მუსიკისათვის, გონებრივი
ვარ ჯ დ ათვს, ფიზიკური ვარჯიშისათვის, თავშეყრისათვის, უბრალოდ ერთად
დრ ტ კასატარებლად; არსებობდა უბნების, კორპორაციების Verein-ები!
მათ ,ვისაც ერთნაირი მდგომარეობა, ერთნაირი შემოსავალი ჰქონდა, ვინც
ერ ,ერი წონისა იყო, ვისაც ერთნაირი სახელი ერქვა. ამბობდნენ, ერთი
Verein losen-თა Verein-ის[1] შექმნა სწადიათ, იმათი Verein-ის, ვინც არც ერთ
Verein-ს არ ეკუთვნისო. მაგრამ ასეთი თორმეტი კაციც არ აღმოჩნდა.

ამ სამმაგი კორსეტის: ქალაქისა, კასტისა და დაჯგუფების შიგნით გამომ-
წყვდეული სული დაარტახებული იყო. იდუმალი იძულება თრგუნავდა ხასია-
თებს. უმეტესობა ბავშვობიდანვე იყო შეჩვეული ამას — საუკუნეების მანძილ-
ზე, და სასარგებლოდ მიაჩნდა. საზიანოდ და უმართებულოდ ჩათვლიდნენ
უკორსეტოდ გავლას. მათი კმაყოფილი ღიმილი რომ გენახათ, ვერავინ მიხვ-
დებოდა, ამ ხალხს თუ რამე აწუხებდა. მაგრამ ბუნება შურს მაინც იძიებდა —
დროდადრო ამ წრიდან მოჯანყე პიროვნება, ძლიერი ხელოვანი ან თამამი მოა-
ზროვნე გამოდიოდა, რომელიც უხეშად ამსხვრევდა ბორკილებსა და ქალაქის
მოთვალყურეთ ბევრ თავში საცემ საქმეს უჩენდა. მაგრამ ქალაქის თავკაცები
ისეთი ჭკვიანები იყვნენ, რომ თუ აჯანყებას ჩანასახშივე ვერ ჩაახშობდნენ, თუ
ჯანყი სძლევდათ, არ ჯიუტობდნენ და მასთან ბრძოლაზე ხელს იღებ-
დნენ (ბრძოლას შეიძლებოდა სკანდალური გამოძახილი მოჰყოლოდა);
ისინი მოჯანყეს ეპატრონებოდნენ, მოისყიდიდნენ ხრლმე. თუ მხატვა-
რი იყო, მუზეუმში გამოჰფენდნენ, მოაზროვნეს — ბიბლიოთეკაში მოა-
ყუჩებდნენ. მეამბოხე ამაოდ იღლიდა თავს უკმეხი სიტყვების ძახი-
ლით, ყველას ისე ეჭირა თავი, თითქოს არაფერი ესმოდა. ტყუილად
იცავდა დამოუკიდებლობას: თავის რიგებში აყენებდნენ. ამგვარად აუვ-
ნებლებდნენ საწამლავის მოქმედებას: ეს ჰომეოპათიით მკურნალობა გახლ-
დათ — მაგრამ ასეთი შემთხვევები მცირე იყო. აჯანყებათა უმეტესობა სამ-
ზეოზე არც გამოდიოდა. ეს მყუდრო სახლები ბევრ უცნობ ტრაგედიას მალავ-
და. ხდებოდა ისე, რომ ზოგიერთი მათგანის პატრონი მშვიდი ნაბიჯით გამო-
დიოდა შინიდან, არავის არაფერს უბარებდა და მდინარეში იღრჩობდა თავს, ან
იკეტებოდა ექვსი თვით, ან საავადმყოფოში გამოკეტდა ცოლს, რომ შეშლი-
ლობისათვის ეწამლა. ამაზე შეუფარავად ლაპარაკობდნენ, როგორც ბუნებ-
რივ რამეზე, ისეთის თვინიერებით, ამ ქალაქელთა ერთ საქებურ ზნეს რომ
შეადგენდა, რომელსაც არ ღალატობდნენ არც სატანჯველში და არც სიკვდი-
ლის პირისპირ.

---

[1] საზოგადოება, დაჯგუფება (გერმ.).

ეს სოლიდური ბურჟუაზია თავის თავის მიმართ მკაცრი იყო, რადგან ამ ფასი იცოდა; სხვების მიმართ კი ნაკლებ მომთხოვნი გახლდათ, რაშინაც ამ სხვებს ნაკლებ პატივსა სცემდა. კრისტოფივით მათ ქალაქში ჩამოსულნი აგზოელებს; გერმანელ პროფესორებს. პოლიტიკურ ლტოლვილებს, საკმაოდსახიზბერალურად ეპყრობოდა, რადგან ისინი დიდად არ აინტერესებდა. თანაცალკვარდა გონიერება. მოწინავე აზრები არ აშფოთებდა: იცოდა, რომ მის შვილებს ეს აზრები ვერ მოინადირებდა. თავის სტუმრებს გაყინული თავაზით ხვდებოდა, რაც დაახლოების საშუალებას არ აძლევდათ.

კრისტოფს დაძალება არ სჭირდებოდა, მგრძნობიარობა ისედაც უკიდურესად გამახვილებული ჰქონდა. მისი გული გაშიშვლებული იყო: ყველგან უწინარეს ყოვლისა ეგოიზმს, განურჩევლობას ხედავდა და თავის თავში იკეტებოდა.

ამას ზედ ისიც ერთვოდა, რომ ბრაუნის პაციენტები, ვიწრო წრე, რომელსაც მისი ცოლი ეკუთვნოდა, განსაკუთრებით მკაცრად განწყობილ პროტესტანტულ სამყაროს შეადგენდა. კრისტოფს ორმაგად ცუდი თვალით უმზერდნენ, როგორც დაბადებით კათოლიკესა და არსებითად ურწმუნოს. თავის მხრივ კრისტოფიც ბევრ რასმე ამჩნევდა ისეთს, რაც საჩოთიროდ მიაჩნდა. მერე რა, რომ ღმერთი არ სწამდა, საუკუნოვანი კათოლიციზმის დაღი ესვა, უფრო პოეტურისა, ვიდრე გონითის, ბუნებისადმი ლმობიერებას რომ იჩენს, უფრო იმაზე ზრუნავს, უყვარდეს თუ არ უყვარდეს, ახსნასა და გაგებაზე როდი იმტვრევს თავს. კრისტოფს ინტელექტუალური და მორალური თავისუფლებაც, პარიზში რომ შეეთვისებინა, ჩვეულად ჰქონდა ქცეული; ახლა კი იძულებული იყო შეჯახებოდა ამ პატარა, ღვთისმოსავ სამყაროს, სადაც კალვინისტური სულისკვეთების ბევრი ნაკლი გაზვიადებულად ეჩვენებოდა. აკვირვებდა რელიგიური რაციონალიზმი, რომელიც ფრთას აკვეცდა რწმენას და უფსკრულზე გადმოკიდებულს ტოვებდა, რადგან იმ a priori-დან[1] გამოდიოდა, რომელიც ისევე საკამათო იყო, როგორც ყველა მისტიციზმი; ეს აღარც პოეზია იყო და აღარც პროზა, ეს პროზად გარდათქმული პოეზია გახლდათ. ინტელექტუალური მზვაობრობა, აბსოლუტური, სახიფათო რწმენა გონებისა, — მათი გონებისა. მათ შეეძლოთ არ ერწმუნათ ღმერთი, არც სულის უკვდავება; მაგრამ გონებისა კი სწამდათ ისე, როგორც კათოლიკეს სწამს პაპისა, ან ფეტიშისტს — თავისი კერპისა. ცხოვრება თუ ხშირად საწინააღმდეგოს ამტკიცებდა, უწინ ცხოვრებას უარყოფდნენ. არაფერი გაეგებოდათ ფსიქოლოგიისა, ბუნების დამალული ძალებისა, არსების ფესვებისა, „მიწის სულისა". ბავშვურ ცხოვრებას იწყობდნენ, ბავშვურ მიამიტ და პრაქტიკულ არსებებს ზრდიდნენ; მათ ბევრი წაეკითხათ, ბევრი რამ ჰქონდათ ნანახი, მაგრამ არაფერს ხედავდნენ,

[1] წინასაწრ დადგენილი (ლათ.).

არაფერს კითხულობდნენ ისე, როგორც სინამდვილეში იყო; ყველაფერი აბსტრაქტულ განზოგადოებამდე დაჰყავდათ. სისხლნაკლულები იყვნენ; მაღალი მორალური თვისებები გააჩნდათ, მაგრამ საკმაო ჰუმანურობა არ მოსდევდათ. ეს კი უმძიმესი ცოდვაა. მათი ალალმართლობა ხშირად ერთობ კეთილშობილური და გულუბრყვილო, ზოგჯერ სასაცილოც, საუბედურო ხშირ შემთხვევაში ტრაგიკულად შემობრუნდებოდა; ამ უმწყინოლოების გამო იყო, სხვებს უხეშად რომ ეპყრობოდნენ, მრისხანების გარეშე, სხვის უბედურებაზე გული არ შეუტოკდებოდათ, თან თავის სიმართლეში ისე იყვნენ დარწმუნებულნი, მნახველს თავზარს დასცემდნენ. ან კი როგორ უნდა ეყოყმანათ? განა ჭეშმარიტება, უფლება, სათნოება ხელთ არ ეპყრათ? განა თავიანთი სულიწმინდის გამოცხადებას არ ესწრებოდნენ? გონება მკაცრი მზეა; ანათებს, მაგრამ აბრმავებს კიდეც. ამ მშრალ, უორთქლო და უჩრდილო სინათლეში გაუფერულებული სულები დაფარფატებენ; გულის სისხლი დაწრეტილი აქვთ.

კრისტოფის დღეში მყოფი კაცისათვის თუ რამ უაზრო გახლდათ, ეს გონება იყო. ეს მზე მის თვალში მხოლოდ უფსკრულის ტიხარს ანათებდა, მისგან თავის დასაღწევ გზას კი არა, და არც ამ უფსკრულის სიღრმის გაგების შესაძლებლობას იძლეოდა.

რაც შეეხებოდა არტისტულ სამყაროს, კრისტოფს ცოტა შემთხვევა და კიდევ უფრო ნაკლები სურვილი ჰქონდა, გზა გაეკაფა მისკენ. მუსიკოსები უპირატესად ნეო-შუმანიანელი და „ბრამინული“ ეპოქის პატიოსანი კონსერვატორები იყვნენ, რომელთაც წინათ კრისტოფმა ბევრი შუბი შეალეწა. მარტო ორი იყო გამონაკლისი: ორღანისტი კრებსი, საკონდიტროს მფლობელი, კეთილი კაცი და ჩინებული მუსიკოსი (უფრო უკეთესიც იქნებოდა, ერთი მისი თანამემამულის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ისეთ პეგასზე რომ არ ყოფილიყო გადამჯდარი, რომელსაც ქერი თავზე საყრელად ჰქონდა“) და ახალგაზრდა ებრაელი კომპოზიტორი, თვითმყოფადი ნიჭის პატრონი, ღონიერი და მშფოთვარე კაცი, რომელიც შვეიცარიული საქონლით ვაჭრობდა: ყიდდა ხის ქანდაკებებს, შალეებსა და ბერნის[1] დათვებს. ესენი სხვებზე უფრო დამოუკიდებელნი იყვნენ, უთუოდ იმიტომ, რომ ხელოვნება ხელობად არ გაეხადათ, კრისტოფსაც სიამოვნებით შეეთვისებოდნენ და სხვა დროს კრისტოფიც უეჭველად ისურვებდა მათ გაცნობას, მაგრამ ამ დღეში მყოფს არტისტულიცა და ადამიანური ცნობისმოყვარეობაც დასჩლუნგებოდა; უფრო იმას გრძნობდა, რაც კაცთაგან აშორებდა, ვიდრე იმას, რაც აკავშირებდა.

მისი ერთადერთი მეგობარი და გულისთქმათა მესაიდუმლე მდინარე იყო, აქ ქალაქს რომ კვეთდა — იგივ მძლავრი და მამობრივი მდინარე, იქ, ჩრდილოეთში მის მშობლიურ ქალაქს რომ ჩამოუდიოდა. კრისტოფს მის სიახლო-

---

[1] დათვი ქ. ბერნის სიმბოლოა. აქ: პატარ-პატარა ხის დათვებს.

ვეს თავისი ყმაწვილური ოცნებანი აგონდებოდა... მაგრამ ახლა, გლოვით მოცულისათვის ისინი რაინივით სამგლოვიარო შეფერილობას იღებდნენ. მიმწუხრისას სანაპიროს მოაჯირზე დაყრდნობილი კრისტოფი გაჰყურებდა შშფოთვარე მდინარეს, ამ შენივთულ მასას, მძიმეს, მღვრიესა და აჩქარებულს, რომელიც მუდამ მიედინებოდა, შიგ მხოლოდ დიდი, მოძრავი ტალღის ქოჩრები მოჩანდა, ათასობით ნაკადული, ნაკადი, ნიაღვარი, რომლებიც იხატებოდნენ და იშლებოდნენ, ვით სახეთა ქაოსი ჰალუცინირებულ გონებაში; მარად იბადებოდნენ და მარად ერწყმოდნენ ერთმანეთს. ამ მრუმე სიზმარში კუბოებივით მოცურავდნენ აჩრდილებივით აჩონჩხილი ბორნები. ზედ კაცის ჭაჭანება არ იყო. ღამე შენივთდებოდა. მდინარე ბრინჯაოსაგან ჩამოსხმულს ემგვანებოდა. ნაპირის სინათლეები თავიანთ ჯავშანს აელვებდნენ შავი მელნის მსგავსად, მუქ ელვებს რომ გაჰყრის ხოლმე. გაზის სპილენძისფერი ათინათები, ელექტრონული ვეება ფარნების მთვარის ნათელს მინამგვანი ანარეკლები, ფანჯრებში აკიაფებულ სინათლეთა სისხლიანი ანარეკლები. მდინარის დუდუნი, ზღვაზე მწუხარე, მარადიული ჩქამი თავისი მონოტონურობით ავსებდა წყვდიადს.

კრისტოფი საათობით აყურადებდა ამ სიკვდილისა და მოწყენილობის სიმღერას. უმძიმდა რაინთან განშორება — როდის-როდის ბრუნდებოდა შინ შუაზე გაცვეთილი, აგურისსაფეხურებიანი ციცაბო კიბეებით; სულიან-ხორციანა გატეხილი კედელში ჩაჭედილ, მბზინავ რკინის მოაჯირებს ებღაუჭებოდა, რომელთაც ზემოდან ბნელით მოსილი ეკლესიის უკაცურ მოედანზე მდგარი ფანრები ანათებდნენ.

აღარ ესმოდა, რად ცოცხლობდნენ ადამიანები. როცა გაახსენდებოდა ბრძოლები, რომელთა მომსწრეც თავად ყოფილა, სევდიანი აღტაცებით ფიქრობდა ამ კაცობრიობაზე, რწმენა ძვალსა და რბილში რომ ჰქონდა გამჯდარი. იდეები იჭერდნენ საწინააღმდეგო იდეათა ადგილს. ყოველ ქმედებას უკუქმედება მოსდევდა: დემოკრატიზმი, არისტოკრატია; სოციალიზმი, ინდივიდუალიზმი; რომანტიზმი, კლასიციზმი; პროგრესი, ტრადიცია; და ასე უკუნითი უკუნისამდე. ყოველ ახალ თაობას, ათ წუთზე ნაკლებ დროში რომ გასდიოდა ყავლი ერთნაირის გატაცებით სწამდა, მარტო ჩვენ მივაღწიეთო მწვერვალს და თავისი წინამორბედებს ქვების სროლით ძირს ამხობდა; ღელავდა, ყვიროდა, ითვისებდა ძალაუფლებასა და დიდებას, მერე ახალმოსულები ქვებს რომ დააყრიდნენ, ძირს მოდიოდა კოტრიალით და თავადაც ქრებოდა. ახლა ვისი ჯერი იყო?..

მუსიკის თხზვა კრისტოფისათვის თავშესაფარად არ გამოდგებოდა. თხზავდა ნაწყვეტ-ნაწყვეტ, ჟამიდან ჟამს, უმიზნოდ. ეწერა? ვისთვის ეწერა? ხალხისთვის? ახლა საშინლად სძულდა ადამის მოდგმა. თავისთვის? ზედმიწევნით გრძნობდა ხელოვნების ამაოებას, რაკი არ ძალუძდა სიკვდილის სიცარიელის ამოვსება. მარტო მისი ბრმა ძალაღა აღაფრენდა ხანდახან მძლავრის

ფრთით და ისევ ძირს ენარცხებოდა დამსხვრეული. საავდრო ღრუბელი იყო, წყვდიადში რომ გრუხუნებს. ოლივიე რომ წავიდა ამქვეყნიდან, აღარაფერი დარჩა, აღარაფერი. გააფთრებით უმხედრდებოდა ყველაფერს, რაც უწინ მის ცხოვრებას ავსებდა: გრძნობებს, აზრებს, საკაცობრიო რომ ეგონა. დღეს ეჩვენებოდა, თავს ვიტყუებდი, ილუზიის სათამაშო ვყოფილვარო. მთელი სოციალური ცხოვრება უზარმაზარ გაუგებრობაზე გახლდათ დაფუძნებული, რომლის წყაროც ენა იყო... შენა გგონია, რომ შენი ფიქრი სხვათა ფიქრს გაუგებს? კავშირი მარტოოდენ სიტყვებშია. შენ ამბობ და ისმენ სიტყვებს; არც ერთ სიტყვას არა აქვს ერთი და იგივე მნიშვნელობა ორი წარმომთქმელი ბაგისათვის. ეს კიდევ არაფერია: არც ერთ სიტყვას, არც ერთს არა აქვს თავისი აზრი სიცოცხლეში. სიტყვები განცდილი ყინამდვილის საზღვრებს სცილდებიან. შენ იტყვი, სიყვარული და სიძულვილიო... არ არსებობს სიყვარული; არც სიძულვილი, არც მეგობრები არსებობენ, არც მტრები, არც რწმენა, არც ვნება, არც კეთილი, არც ბოროტი. არის მხოლოდ იმ სინათლის ცივი ათინათი, საუკუნეების წინ ჩამქრალი მზიდან რომ ეცემა... მეგობრებიო? ცოტა როდია ხალხი, ამ სახელის მითვისება რომ სურს!.. ეს რა დუხჭირი სინამდვილეა! რა არის მათი მეგობრობა, ან მეგობრობა საერთოდ, ჩვეულებრივი მნიშვნელობით? ცხოვრების რამდენ წუთს უთმობს მეგობრის მჭრქალ ხსოვნას ის, ვისაც მეგობრად მოაქვს თავი? რას შესწირავდა, აუცილებელთაგან კი არა, რაც ზედმეტი აქვს, მოცალეობიდან, მოწყენილობიდან? მე რა შევწირე ოლივიეს? — (აკი კრისტოფი თავისათვისაც კი არ აკეთებდა გამონაკლისს, მარტო ოლივიე ჰყავდა გამორჩეული იმ არარიდან, სადაც ყველა სულდგმულს უყრიდა თავს) — ხელოვნება სიყვარულზე მართალი როდია. რა ადგილი უჭირავს მას სინამდვილეში, ცხოვრებაში? რა სიყვარულით უყვარდა იგი მათ, ვინც მის ტრფიალს ჩემობს?.. კაცურ გრძნობათა სიღარიბე შემზარავია. ჯიშის ინსტიქტის, ამ კოსმიური ძალის გარეშე, რაიც სამყაროს ბერკეტად ქცეულა, ყველაფერი მხოლოდ ემოციათა მტვერია და მეტი არაფერი. ადამიანთა უმეტესობას საკმაო სიცოცხლე არ გააჩნია, რომ მთლიანად მიეცეს რამე ვნებას. ისინი თავს იზოგავენ ფრთხილის კრიჟანგობით... ყველაფერს ედებიან ცოტ-ცოტაობით, მთლიანად კი არ ინთქმებიან არაფერში. ის, ვინც უანგარიშოდ ეძლევა ყველა საქმეს, რასაც ხელს მოჰკიდებს, - ყველაფერს, რასაც ტანჯვით იტანს, რაც უყვარს, რაც სძულს — ყველაზე დიდი მფლანგველია, რომელსაც კი უცხოვრია დედამიწაზე. ვნება ღვთიური ნიჭივითაა: იგი სასწაულია. შეიძლება ითქვას, რომ არც კი არსებობს!...

ასე ფიქრობდა კრისტოფი; და ცხოვრება საშინლად უპირებდა გამტყუნებას. სასწაული ყველგანა ბუდობს, ისევე, როგორც ცეცხლი ყველა ქვაში: გაჰკრავ და ნაპერწკლებსაც გაჰყრის. ჩვენ წარმოდგენაც არა გვაქვს დემონებზე, ჩვენს სულში რომ თვლემენ...

Pero non mi destar. dêh! parla basso!.[1]
ნუ გამაღვიძებთ, ო, ჩურჩულით ილაპარაკეთ!

ერთ საღამოს, როცა კრისტოფი პიანინოს უჯდა და იმპროვიზაციას ეწეოდა, ანა, როგორც ხშირად სჩვეოდა კრისტოფის დაკვრისას, ადგა და გავიდა. ეტყობა, მუსიკა მოწყენილობას ჰგვრიდა. კრისტოფი ამას უკვე აღარ აქცევდა ყურადღებას: სულაც არ ადარდებდა, ქალი რას ფიქრობდა. დაკვრა განაგრძო; უეცრად დაკრულის ჩაწერა მოუნდა, წამოხტა და თავის ოთახისაკენ გაიქცა ქაღალდის მოსატანად. მეზობელი ოთახის კარი რომ გააღო და თავდახრილმა წყვდიადში გააბიჯა, შემოსასვლელში მდგარ უძრავ სხეულს შეასკდა. ანა იყო... შეჯახებისა და გაოცებისაგან ყმაწვილ ქალს ყვირილი აღმოხდა. კრისტოფი შეშინდა, რამე ხომ არ ვატკინეო და ალერსით დაუჭირა ორთავ ხელი. ქალს ხელები გაყინული ჰქონდა. თვითონაც თითქოს ცახცახებდა, — უეცარი ელდისაგან? რაღაც გაუგებრად ჩაილუღლუღა:

— სასადილო ოთახში ვეძებდი...

კრისტოფს არ გაუგია, რას ეძებდა; იქნებ ქალს არც უთქვამს ეს. უცნაურად მოეჩვენა, სიბნელეში, უსინათლოდ რას დაეძებსო, მაგრამ ისე იყო შეჩვეული ანას უცნაურ ქცევას, რომ ყურადღება არ მიუქცევია.

ერთი საათის შემდეგ ისევ პატარა სალონში იყო, სადაც საღამოებს ატარებდა ბრაუნთან და ანასთან ერთად. მაგიდას უჯდა, წინ ლამპა ედგა და წერდა. მაგიდის მეორე მხარეს, მარჯვნივ მჯდარი ანა თავის საკერავზე დახრილიყო. მათ უკან, დაბალ სავარძელში, ცეცხლის პირას მიმჯდარი ბრაუნი ჟურნალს კითხულობდა. სამივე დუმდა. დროდადრო ისმოდა, ბაღის ქვიშაზე როგორ ეშხაპუნებოდა წვიმა. სულ რომ განმარტოებულიყო, კრისტოფი სანახევროდ შემობრუნდა და ზურგი აქცია ანას. მის წინ, კედელზე სარკე ეკიდა და ირეკლავდა მაგიდას, ლამპას და თავ-თავიანთ სამუშაოზე დახრილ მათ თავებს. კრისტოფს მოეჩვენა, რომ ანა უყურებდა. ჯერ ყურადღება არ მიუქცევია, მერე ისე აეკვიატა ეს აზრი, რომ შეწუხდა, კვლავ აიღო თავი და დაინახა... ქალი მართლაც მისჩერებოდა. მერედა რა თვალებით! კრისტოფი განაცვიფრა ამ მზერამ, სუნთქვა შეეკრა და თავადაც თვალთვალი დაუწყო. ქალმა არ იცოდა, კრისტოფი თუ აკვირდებოდა. ლამპის შუქი ეცემოდა მის ფერმკრთალ სახეს, რომლის სერიოზულ გამომეტყველებასა და ჩვეულ მდუმარებას უცნაური რამ ძალა ახლდა. თვალები, მისი უცნობი თვალები, რომელთა მოხელთებაც თავის დღეში ვერ შეძლო კრისტოფმა, მისთვის მიეშტერებინა: მუქი ცისფერი, ფართოგუგებიანი თვალების მზერა მწველი იყო და მკაცრი; უთვალთვალებდნენ, სულში უძვრებოდნენ კრისტოფს უსიტყვო და ჯიუტი მგზნებარებით.

---

[1] (იტალ.) — თარგმანი ციკი გეგეჭკორისა. წარწერა მიქელანჯელოს ქანდაკების — „ღამის“ კვარცხლბეკზე.

მისი თვალები? განა შეიძლებოდა ეს მისი თვალები ყოფილიყო? კრისტოფი ხედავდა მათ და თვალს არ უჯერებდა. მართლა მათ ხედავდა? უეცრად შემობრუნდა... ქალს თვალების დახრა მოესწრო. კრისტოფი შეეცადა გამოლაპარაკებოდა, ეიძულებინა სახეში შემოეხედა. ანა გულგრილად გამოეპასუხა, ისე, რომ ხელსაქმიდან არც აუღია თავისი მოცისფრო, მოკლე და ხშირწამწამებიან ქუთუთოებს შეფარებული თვალები. კრისტოფი დარწმუნებული რომ არ ყოფილიყო თავის თავში, იფიქრებდა, თვალმა მომატყუაო. მაგრამ ხომ ნახა...

მაინც, რაკი სამუშაოთი იყო გატაცებული და ანა დიდად არ აინტერესებდა, ეს უცნაური შთაბეჭდილება მალე გაუნელდა.

ერთი კვირის შემდეგ პიანინოზე ცდიდა ერთ თავის lied-ს,[1] რომელიც ის იყო, შეეთხზა. ბრაუნს სხვა ქმრებივით ცოლის ნიჭით თავმოწონება სჩვეოდა, თან ანას გახელებაც უყვარდა და ამ საღამოს განსაკუთრებით ჩამოაცივდა, იმღერეო. ჩვეულებრივ ანა იმას დააჯერებდა, რომ მშრალად ეტყოდა უარს; მერე თხოვნა-ვედრებასა და ხუმრობაზე პასუხის გაცემითაც არ იწუხებდა თავს; ტუჩებს მაგრად მოკუმავდა და თითქოს არც ესმოდა არაფერი. ამჯერად, ბრაუნისა და კრისტოფის გასაოცრად, ხელსაქმე მაგიდაზე დადო და პიანინოსთან მივიდა. იმღერა ნაწყვეტი, რომელიც თავის დღეში არ წაეკითხა. ეს სასწაულს ჰგავდა, ნამდვილ სასწაულს. მისი ხმა, ღრმა ტემბრის მქონე ხმა არაფრით ჰგავდა ცოტა ხრინწიანსა და ყრუ ხმას, საუბრისას რომ ჰქონდა. პირველსავე ნოტიდან თავდაჯერებულს უხერხულობის ნატამალიც არ აჩნდა; ძალადაუტანებლად ანიჭებდა მუსიკალურ ფრაზას ამაღელვებელსა და წმინდა სიდიადეს; და ვნებათა ისეთ მგზნებარებას მისწვდა, რომ კრისტოფს გააკრჭოლა: რადგან ეს ხმა საკუთარი გულის ძახილი ეგონა. გაოგნებული შეჰყურებდა ქალს, სანამ იგი მღეროდა და თითქოს პირველად დაინახა. დაინახა მისი მონისლული თვალები, სადაც ველურობის სხივი ენთო, მისი დიდრონი, ვნებიანი ტუჩები, კარგად მოყვანილი ბაგე, ცოტა მძიმე და სასტიკი, ავხორცი ღიმილი, მისი საღი და თეთრი კბილები, მისი ლამაზი, ღონიერი ხელები, რომელთაგან ცალი პიანინოს პიუპიტრზე დაეყრდნო, და ძლიერი სხეული, შემოტმასნილ ტანისამოსს რომ დაეუშნოებინა, კნინ ცხოვრებას ჩამოეხმო. მაგრამ მაინც იგრძნობოდა ახალგაზრდა, ძალ-ღონით აღსავსე და ჰარმონიული რომ იყო.

ქალმა შეწყვიტა სიმღერა, კვლავ დაჯდა და მუხლებზე დაიწყო ხელები. ბრაუნმა შეაქო, მაგრამ შენიშნა, სიმღერას ცოტა სინაზე აკლდაო. კრისტოფს არაფერი უთქვამს, უსიტყვოდ აკვირდებოდა ანას. ქალს იდუმალი ღიმილი დასთამაშებდა ბაგეზე, რაკი იცოდა, კრისტოფი მიყურებსო. იმ საღამოს სულ

---

[1] სიმღერა (გერმ.).

მდუმარედ ისხდნენ. ქალი გრძნობდა, რომ თავის თავზე მაღლა ასულიყო, ან იქნებ პირველად იქცა „იმად“, რაც სინამდვილეში გახლდათ. თავად არ იცოდა რატომ.

იმ დღიდან მოკიდებული კრისტოფმა ანას ყურადღებით დაუწყო დაკვირვება. ანა კვლავ დამუნჯებულიყო, ცივი განურჩევლობა და მუშაობის გააფთრებული ჟინი, ქმარიც კი მოთმინებიდან რომ გამოჰყავდა, კვლავ დაუბრუნდა; ამეებში ახშობდა თავისი მღელვარე ბუნების ბნელ აზრებს. კრისტოფი ამაოდ უთვალთვალებდა, ქალში მხოლოდ პირველი დღეების ქედმაღალ ბურჟუას ხედავდა. ხანდახან ქალი გარინდდებოდა უსაქმოდ, თვალებგაშტერებული. ასე დატოვებდით და ასევე დაგხვდებოდათ თხუთმეტი წუთის შემდეგ: ერთს არ შეტოკდებოდა. როცა ქმარი ჰკითხავდა, რაზე ფიქრობო, გარინდებიდან გამოიღვიძებდა, გაიღიმებდა და მიუგებდა, არაფერზეო. საოცარი ის იყო, რომ მართალს ამბობდა.

არაფერს შეეძლო ჩვეული სიმშვიდიდან გამოეყვანა. ერთ დღეს, როცა ტანთ იცვამდა, სპირტიანმა ლამპამ იფეთქა. ერთ წუთში მოედო ირგვლივ ალი. მსახური გაიქცა ბღავილით, ვიწვით, გვიშველეთო. ბრაუნს თავგზა აებნა, ყვირილი მორთო და კინაღამ გული შეუღონდა. ანამ მოიგლიჯა თავისი პენუარის დუგმები, სწრაფად ჩაიცურა თეძოებზე ქვედაწელი, რომელსაც უკვე ცეცხლი ედებოდა და ფეხით დაუწყო ქელვა. როცა შეშინებული კრისტოფი მოიჭრა გრაფინიანა, სულელურად რომ სტაცა ხელი, დაინახა სკამზე ასული მხრებმოშიშვლებული ანა, ქვადატანის ამარა, ხელებით მშვიდად რომ აქრობდა ფარდებზე მოდებულ ცეცხლს. ხელები დაეწვა, მაგრამ კრინტიც არ დაუძრავს ამაზე, მარტო იმაზე ჩანდა ნაწყენი, რომ ასე ჩაუცმელს, მოუსწრეს. გაწითლდა, მოუხერხებლად დაიფარა ხელებით გულმკერდი და ღირსებაშელახული ქალის იერით გაიქცა მეზობელ ოთახში. კრისტოფი აღტაცებაში მოიყვანა მისმა სიმშვიდემ; მაგრამ ვერ გეტყოდათ, ეს სიმშვიდე ანას სიმამაცეზე მეტყველებდა თუ მის უგრძნობლობაზე. მეორე მოსაზრება უფრო სარწმუნოდ ეჩვენებოდა. მართლაც ამ ქალს თითქოს არაფერი აინტერესებდა, არც სხვები, არც საკუთარი თავი. კრისტოფს ეჭვი ეპარებოდა, ნეტა გული თუ აქვსო.

ერთი შემთხვევის შემდეგ კი, რომლის მოწმეც შეიქნა, ეს ეჭვიც გაუქარწყლდა. ანას პატარა შავი ფინია ჰყავდა, ჭკვიანი და მოალერსე, სახლში ყველა რომ ანებივრებდა. ბრაუნი მასზე ჭკუას კარგავდა. კრისტოფსაც თავის ოთახში აჰყავდა, როცა სამუშაოდ იკეტებოდა და კარდახურულში მუშაობის მაგიერ ხშირად ეთამაშებოდა. როცა კრისტოფი გამოდიოდა, ფინია ზღურბლთან უდარაჯებდა და აედევნებოდა ხოლმე, სეირნობისას გამყოლი რომ ჰყოლოდა. ძაღლი კრისტოფის წინ მიხტოდა, მიწას ფხაჭნიდა და ისე სწრაფად აბიჯებდა ფეხებს, გეგონებოდათ, მიფრინავსო. დროდადრო შეჩერდებოდა თავისი სიმკვირცხლით გაამაყებული და მკერდწამოზიდული, წელში გაზნექილი პატრონს

შემოჰყურებდა. ზოგჯერ დიდ ვინმედ მოჰქონდა თავი; გაშმაგებით უყეფდა ხის მორს, მაგრამ როგორც კი შორით მეორე ძაღლს მოჰკრავდა თვალს, მაშინვე მოჰკურცხლავდა და აკანკალებული კრისტოფის ფეხებშუა აფარებდა თავს. კრისტოფი დასცინოდა და კიდევ მეტად უყვარდა. მას შემდეგ, რაც ჩამოსცილდა ადამიანებს, თავს ცხოველებთან უფრო მახლობლად გრძნობდა; საბრალონი რომ იყვნენ, იმიტომ. ამ საბრალო ცხოველებს თუ კარგად მოეპყარ, მთელის არსებით მოგენდობიან! ყაცია მათი ცხოვრებისა და სიკვდილის სრული განმგებელი, ამიტომ ცუდად თუ მოეპყრო ამ სუსტ არსებებს, რომელთა ბედიც მასზე ჰკიდია, ბოროტად იყენებს საზიზღარ ძალაუფლებას.

მოსიყვარულე ლეკვი თუმც ყველას ელაქუცებოდა, მაინც ანა ჰყავდა გამორჩეული. ქალი არაფერს აკეთებდა, რომ მიეზიდა იგი, მაგრამ ხშირად კი ეფერებოდა, კალთაში ისვამდა, მის სმა-ჭამას მეთვალყურეობდა და ერთის შეხედვით იმდენად უყვარდა, რამდენადაც საერთოდ შეეძლო სიყვარული. ერთ დღეს ძაღლი აეტომობილის ბორბლებქვეშ ჩავარდა. თითქმის პატრონების თვალწინ გაჭყლიტეს. ჯერ კიდევ სული ედგა და საბრალობლად წკავწკაევებდა. ბრაუნი თავშიშველი გაიქცა სახლიდან; აღლო გასისხლიანებული პირუტყვი და ცდილობდა, როგორმე მაინც შეემსუბუქებინა მისი ტანჯვა. ანაც მოვიდა, დახედა გოშიას, მაგრამ არც დახრილა, ზიზღით დაიმანჭა და წავიდა. თვალცრემლიანი ბრაუნი უკანასკნელ წუთამდე არ მოსცილებია, ძაღლმა მის ხელში დალია სული. კრისტოფი გამალებით სცემდა ბოლთას ბაღში და ხელებს მუშტებად ჰკრავდა გამწარებული. უცებ გაიგონა, ანა მშვიდად რომ უბრძანებდა რაღაცას მოსამსახურეს და უთხრა:

— ნუთუ სულ არ გებრალებათ?

ქალმა მიუგო:

— მაინც ვერაფერს ვუშველით, სჯობს, აღარ ვიფიქროთ ამაზე.

კრისტოფს სიძულვილი აღეძრა მისდამი; მერე პასუხის უხიაკობამ განაცვიფრა; და გაეცინა. თავს ეუბნებოდა, ანას რეცეპტი უნდა გამოვართვა, სამწუხარო ფიქრები როგორ გადავიგდო გულიდანო. რა საამურია ცხოვრება მისთვის, ვისაც გული არ გააჩნიაო. აზრად მოუვიდა, ბრაუნი რომ მოკვდეს, ანა არც ამაზე შეწუხდებაო და გაიფიქრა, რა კარგია, ცოლიანი რომ არა ვარო. საკუთარი მარტოობა ნაკლებ სამწუხარო ეჩვენებოდა, ვიდრე ჩვეულებათა ეს ჯაჭვი, სამუდამოდ რომ გაკავშირებს არსებას, რომელსაც სძულხარ ან (რაც უფრო უარესია!) არაფრად ეღირხარ. არა, ამ ქალს ნამდვილად არავინ უყვარდა. პიეტიზმს გამოეშრო იგი.

ანამ კიდევ უფრო გააოცა კრისტოფი ოქტომბრის მიწურულის ერთ დღეს. სუფრას უსხდნენ და საუბრობდნენ სიყვარულის ნიადაგზე ჩადენილ დანაშაულზე, მთელი ქალაქი რომ აელაპარაკებინა. სოფელში ორ დას, ორ იტალიელს, ერთი და იგივე კაცი შეჰყვარებოდა. რაკი ნებით არც ერთსა და არც მეორეს არ შეეძლო დათმობა, წილი ჰყარეს; დამარცხებულს რაინში უნ-

და დაეხრჩო თავი. მაგრამ როცა ბედმა გამოიტანა განაჩენი, სასიკვდილოდ განწირული და გაჯიქდა, როდი ჩქარობდა აღთქმის შესრულებას. მეორე აღაშფოთა ასეთმა უპირულობამ. ლანძღვა-გინებიდან ცემა-ტყეპაზე გადავიდნენ, მერე დანებსაც დაავლეს ხელი; ერთბაშად ქარმა სხვა მხრიდან დაუბერა; ტირილით გადაეხვივნენ ერთმანეთს, შეჰფიცეს, უერთმანეთოდ სიცოცხლე არ შეგვიძლიაო და რაკი მიჯნური მაინც ვერ გაიყვეს, მისი მოკვლა გადაწყვიტეს და საქმის აღსრულებასაც შეუდგნენ. ერთხელ, ღამით ორთავე შეყვარებულმა ქალმა თავიანთ ოთახში დაიბარეს ამ ორმაგი გამარჯვებით გაამაყებული საყვარელი და სანამ ერთი ვნებით ეხვეოდა, მეორე ასევე ვნებით ხანჯალს სცემდა ზურგში. მისი ყვირილი მეზობლებმა გაიგონეს. მოცვივდნენ და შავ დღეში მყოფი გამოგლიჯეს დებს ხელიდან. ქალები დააკავეს. ისინი კი გაიძახოდნენ, ეს არავისი საქმე არაა, მარტო ჩვენ გვეხება და რაკი გადავწყვიტეთ იმის თავიდან მოშორება, რაც ჩვენ გვეკუთვნის, არავინ არ უნდა ჩაერიოსო. ლამის მსხვერპლიც ასევე სჯიდა. მაგრამ მართლმსაჯულებამ სხვაგვარად გადაწყვიტა; და ბრაუნიც გაიძახოდა:

—ნამდვილი გიჟები არიან, დასაბმელი გიჟები! საგიჟეთში უნდა გამოამწყვდიონ ორთავე... მესმის, კაცმა თავი მოიკლა სიყვარულის გულისათვის. მესმის ისიც, მოკლა, ის, ვინც გიყვარს და გღალატობს... არა, ბოდიშს კი არა ვხდი, ეს ბარბაროსობაა, მაგრამ ლოგიკური... კლავ იმას, ვინც სატანჯველში გაგდებს, მაგრამ მოკლა კაცი, ვინც გიყვარს, უღვარძლოდ, სიძულვილის გარეშე, მხოლოდ იმიტომ, რომ სხვებსაც უყვართ, ეს შეშლილობაა... შენ გესმის, კრისტოფ?

— ჰმ! — თქვა კრისტოფმა, — მე შეჩვეული ვარ ვერ გაგებას. სიყვარული ხომ იგივ სიშლეგეა...

ანამ, სულ რომ დუმდა და თითქოს არც უსმენდა, თავი აიღო და თქვა თავისი ჩვეული სიმშვიდით:

— აქ არავითარი სიშლეგე არ არის. ეს ბუნებრივია. როცა უყვართ, სურთ დაანგრიონ, რაც უყვართ, რომ სხვამ ვეღარ დაისაკუთროს.

ბრაუნმა გაოცებით შეხედა ცოლს; მაგიდას მუშტი დასცხო, მერე გულხელი დაიკრიფა და თქვა:

— საიდან მოიტანა ეს?.. როგორ! აბა, შენი აზრიც მოგვახსენე. რა ჯანდაბა იცი ამაზე?

ანა ოდნავ გაწითლდა და დადუმდა. ბრაუნმა განაგრძო:

— როცა უყვართ, დანგრევა სურთო? ამაზე მეტი სისულელე, გაგონილა? დაანგრიო ის, რაც ძვირფასია შენთვის, ეს საკუთარი თავის დანგრევას ნიშნავს... როცა გიყვარს, პირიქით, ბუნებრივად გიჩნდება სურვილი სიკეთე უყო იმას, ვინც სიკეთეს გიშვებს, გსურს, თავს ევლებოდე, დაიცვა, კარგად მოექცე; ყველას კარგად მოექცე; სიყვარული მიწიერი სამოთხეა.

სიბნელეს თვალებმიშტერებულმა ანამ ქმარს ლაპარაკი აცალა, მერე თავი გაიქნია და ცივად უთხრა:

— როცა უყვართ, კეთილნი არ არიან.

კრისტოფი არ ცდილობდა კვლავ აემღერებინა ანა. ეშინოდა... იმედის გაცრუებისა თუ რისა? თავადაც ვერ გაგცემდათ პასუხს. ანაც იმავე შიშით იყო შეპყრობილი. გაურბოდა სალონში ყოფნას, როცა კრისტოფი დაკვრას იწყებდა.

მაგრამ ნოემბრის ერთ საღამოს, როცა ცეცხლისპირს მიმჯდარი კრისტოფი კითხულობდა, შენიშნა, რომ ანას მუხლებზე დაედო საკერავი და თავი ფიქრებისათვის მიეცა. ქალი სიცარიელეში გაიცქირებოდა და კრისტოფს მოეჩვენა, რომ მის თვალთაგან, როგორც იმ საღამოს, უცნაური მგზნებარება გამოკრთოდა. წიგნი დახურა. ქალმა იგრძნო, რომ უთვალთვალებდნენ და საკერავს მიუბრუნდა. დახრილი ქუთუთოებიდან ყველაფერს ხედავდა. კრისტოფი ადგა და უთხრა:

— მობრძანდით.

ანამ თვალები მიაპყრო, რომლებშიაც კიდევ კრთოდა ცოტა მღელვარება, შემდეგ მიხვდა და გაჰყვა.

— სად მიდიხართ? — ჰკითხა ბრაუნმა.

— დასაკრავად, — მიუგო კრისტოფმა.

და დაუკრა. ანამ იმღერა. წამში ისეთად ეჩვენა კრისტოფს, როგორც პირველად რომ ამღერა. თამამად აბიჯებდა ამ გმირულ სამყაროში, თითქოს საკუთარ სამფლობელოშიაო. კრისტოფმა ცდა განაგრძო, მეორე ნაწყვეტი დაუკრა, მერე მესამე, უფრო აჩქარებული, რომელიც ქალში ვნებათა ტალღებს აღძრავდა, ამღელვარებდა; თავადაც მღელვარებდა. შემდეგ, პაროქსიზმს რომ მიაღწია, ერთბაშად შეწყვიტა დაკვრა, თვალი თვალში გაუყარა ქალს და ჰკითხა:

— ბოლოს და ბოლოს, თქვით, ვინა ხართ?

— არ ვიცი, — მიუგო ანამ.

კრისტოფმა უხეშად უთხრა:

— რა გაქვთ მაგ გვამში, ასე რომ მღერით?

ქალმა უპასუხა:

— რასაც თქვენ მამღერებთ.

— მართლა? ეგ შეიძლება. თავს ვეკითხები, მე შევქმენი ეს, თუ თქვენ-მეთქი. მაშასადამე, თქვენ ამეებს ამგვარადა გრძნობთ?

— არ ვიცი. მე მგონი, სულ სხვა ხარ, როცა მღერი.

— მე კი მგონია, რომ მხოლოდ მაშინა ხართ ნამდვილი.

ორთავე გაჩუმდა. ანას ლოყები შეცვარული ჰქონდა. მკერდი მდუმარედ აუდ-ჩაუდიოდა. ჩირაღდნების შუქს უცქეროდა და ანგარიშმიუცემლად ფხეკდა სანთელს, შანდლის მეორე მხარეს რომ ჩამოღვენთილიყო. კრისტოფი შეხცქეროდა და კლავიშებზე აცურებდა ხელებს. კიდევ რამდენიმე სიტყვა უთხრეს ერთმანეთს დამორცხვებულებმა, უხეში ტონით, შემდეგ ბანალური სიტყვების წარმოთქმა სცადეს, მერე იმის შიშით, არ შევტოპოთო, სულ დადუმდნენ...

მეორე დღეს თითქმის ხმაც არ გაუცია ერთმანეთისათვის; მალულად, თითქმის შიშით უპვრეტდნენ ერთიმეორეს. მაგრამ უკვე ჩვევად ექცათ საღამოობით ერთად დაკვრა და სიმღერა. მალე ეს საქმე ნაშუადღევსაც მოიწყეს და ძალიანაც გაუტკბათ. ყოველთვის იგივ გაუგებარი ვნება მოიცავდა ქალს პირველივე აკორდიდან და სწვავდა თხემით ტერფამდე, სანამ მუსიკა გრძელდებოდა მბრძანებლურ, ძლევამოსილ ვენერად აქცევდა, სულის ყველა სიშმაგის განსახიერებად ხდიდა.

ბრაუნს აკვირვებდა ანას ეს ეგზომი გატაცება სიმღერით, მაგრამ ქალური კაპრიზის მიზეზთა გამოძიებას არ შესდგომია; ესწრებოდა ამ პატარა კონცერტებს, ტაქტს თავს აყოლებდა; რჩევასაც იტყოდა და უსაზღვროდ ბედნიერი იყო, თუმცა უფრო მშვიდი მუსიკა ერჩია: ძალის ასეთი ხარჯვა უაზრო მფლანგველობად ეჩვენებოდა. კრისტოფი ჰაერში იყნოსდა საფრთხეს; მაგრამ თავბრუ ეხვეოდა: ახლახან განვლილი კრიზისით დაძაბული არ ეწინააღმდეგებოდა; ვეღარ გაეცნობიერებინა, რა ხდებოდა მასში და არ სურდა გაეგო, ანას სულში რა ხდებოდა. ერთ დღეს, როცა ანამ ქარიშხლიანი მგზნებარებით აღსავსე სიმღერა შეწყვიტა, უეცრად ხმისამოუღებლივ გავიდა ოთახიდან. კრისტოფი დაელოდა. ქალი აღარ გამოჩენილა. ნახევარი საათის შემდეგ, როცა კრისტოფმა დერეფანში ჩაიარა, ანას ოთახის წინ, ღრიჭედ დატოვებულ კარებში დაინახა, რომ ოთახის სიღრმეში სახეგაქვავებული ანა თავის ლოცვებში. ჩანთქმულიყო.

მაგრამ ცოტა, სულ ერთი ბეწო ნდობამ მაინც დაისადგურა მათ შორის. კრისტოფი შეეცადა წარსულის ამბავი გამოეკითხა ქალისათვის; ანა მარტო ბანალურ რასმე ეუბნებოდა. გაჭირვებით, ნაწყვეტ-ნაწყვეტ ძლივს ამოგლიჯა რამდენიმე სიტყვა. ბრაუნის გაუფრთხილებელი, გულღია ლაყბობის წყალობით შეძლო ჩასწვდომოდა მისი ცხოვრების საიდუმლოს.

ანა სოფელში იყო დაბადებული. ქალიშვილობაში ანა-მარია ზენფლის სახელს ატარებდა. მამამისი, მარტენი, მსხვილ ვაჭართა ძველთაძველ გვარს ეკუთვნოდა; მილიონერები იყვნენ და მათი კასტური სიამაყე და რელიგიური რიგორიზმი მწვერვალს აღწევდა. მარტენ ზენფლი თავგადასავლების მოყვარული კაცი გახლდათ და, ბევრი მისი თანამემამულისა არ იყოს, მრავალი წელი შორს — აღმოსავლეთსა და სამხრეთ ამერიკაში გაეტარებინა; ცენტრალურ აზიაში, სადაც სახლის კომერციული ინტერესებიც უბიძგებდა, რაღაც თამამი აღმოჩენებიც ჰქონდა; მეცნიერების სიყვარულიც იქითკენ ეწეოდა და საკუთარი სიამოვნებაც. ქვეყანა რომ მოიარა, ქრთილისოდენა არაფერი მოუნაგრებია, ის კი არა და, ყველა თავისი ძველი ცრურწმენაც მოიცილა თავიდან. ისე რომ, სამშობლოში დაბრუნებული, რაკი სიყვარულის ცეცხლი მსწრაფლ მოედებოდა ხოლმე და ცოტა ჯიუტიც გახლდათ, თავისიანების გულისწყრომას არ დარიდებია და ცოლად მოიყვანა ქალაქის გარეუბანში მოსახლე ერთი ფერმერის ქალი, რომელსაც ცოტა სახელი ჰქონდა გატეხილი

და ჯერ საყვარლად ესვა. ეს ქორწინება ერთადერთი ხერხი იყო, სხვას ვერ მიაგნო ამ ლამაზი ქალიშვილის დასასაკუთრებლად, ქალიშვილისა, ურომლისოდაც უკვე ვეღარ ძლებდა. ოჯახმა, რაკი წინააღმდეგობა არ გაუვიდა, სულ მოიკვეთა ვაჟი, მის წმიდათაწმიდა უფლებებს რომ არ სცნობდა. ქალაქელები — ყველანი, ვინც კი სათვალავში იყვნენ ჩასაგდებნი, ერთსულოვნად აუმხედრდნენ უტიფარ წყვილს. სხვანაირად არც ეგებოდა: მორალურ საკითხში ვის აპატიებდნენ თავიანთი კასტის ღირსების გაქელვას. მოგზაურმა თავის ტყავზე გამოსცადა, რომ ქრისტეს მმოსველ ერს შორისაც ისევე სახიფათოა ხალხის ცრურწმენის ხელყოფა, როგორც დიდი ლამას[1] მოთაყვანეთა შორის. იმდენი ძალა არ შესწევდა, ქვეყნის აზრი არაფრად ჩაეგდო. თავისი წილი ქონება ხომ თითქმის ხელში შემოადნა. აქ კიდევ ვერსად იშოვა სამუშაო: ყველამ ცხვირწინ მოუკეტა კარი. შემოსწყრა ულმობელ ქალაქს და უღონო ბრაზით ტყუილად გაიშრო სისხლი. სადარდებლითა და ცხელებით გატანჯულმა ვეღარ გაუძლო. ტვინში სისხლის ჩაქცევით გარდაიცვალა ქორწინებიდან ხუთი თვის შემდეგ. ორი თვის მერე მისი ცოლი, კეთილი, მაგრამ უჭკუო ქალი, ქორწინების აქეთ ერთი დღეც რომ არ გაეტარებინა უცრემლოდ, მუცელს გადაჰყვა და ამ ნაპირზე, რომელსაც სტოვებდა, პატარა ანა დააგდო.

მარტენის დედა ცოცხალი იყო. მას არაფერი უპატიებია სასიკვდილო სარეცელზე მწოლარე ვაჟისათვის და არც მისთვის, ვისაც თავის რძლად არა სცნობდა. მაგრამ როცა ის უბედურიც გარდაიცვალა, ღვთაებრივი შურისძიება დაცხრა — ბავშვი თავისთან წაიყვანა და უპატრონა. ეს გონებაშეზღუდული, ღვთისმოსავი ქალი იყო; მდიდარსა და ქვახარშიას აბრეშუმეულობის მაღაზია ჰქონდა ძველი ქალაქის ერთ ბნელ ქუჩაზე. თავისი ვაჟის შვილს როგორც შვილიშვილს ისე კი არ ეპყრობოდა, არამედ როგორც სამადლოდ შეკედლებულ ობოლს, ვისაც საზღაურად შინაყმად გახდომა მართებს. მაგრამ მაინც ჩინებული აღზრდა მისცა; თუმცა უნდობელი სიმკაცრით ეკიდებოდა; თითქოს ბავშვს მშობელთა შეცოდებაში დამნაშავედ რაცხს და ძალ-ღონეს არ იშურებს, რომ ცოდვისადმი ლტოლვა ჩაუხშოსო. ყოველგვარ გართობას უკრძალავდა, ბუნებას დანაშაულივით სდევნიდა მის მიხრა-მოხრაში, მის სიტყვებსა და ასე გასინჯეთ, აზრებშიაც. ჩაკლა სიხარული ამ ახალგაზრდა, სიცოცხლით სავსე სხეულში. ანა ადრიდანვე დაეჩვია ტაძარში მოწყენასა და ამის დაფარვას; ჯოჯოხეთის საშინელებებით თავზარს სცემდნენ; მისი ბალღური, თვალთმაქცი ქუთუთოებქვეშ შეყუჟული თვალები ამ წამებას ყოველკვირაობით ნათლად ხედავდა ძველი Münster-ის[2] კარზე: ურიცხვი და დაკრუნჩხული ქანდაკებები, ფეხებსშუა ალი რომ ავარდნოდათ და ბარძაყებზე გველ-ბაყაყი დახვეოდათ, ძრწოლასა გვრიდნენ. ანაც შეეჩვია ჩავხშო საკუთარი ინსტინქტები, თავიც კი

---

[1] დალაი-ლამა — ბუდისტების სულიერი მოძღვარი.

[2] ტაძარი (გერმ.).

მოეტყუებინა. როგორც კი იმ ხნისა მოიყარა, რომ ბებიას მოხმარება შეეძლო, დილიდან საღამომდე ბნელ მაღაზიაში დახლთან იდგა. ის ჩვევები გადმოიღო, მის ირგვლივ რომ გამეფებულიყო: წესრიგის სიყვარული, მკაცრი ხელმომჭირნეობა, თვით აუცილებელზეც უარის თქმა; ეს მოწყენილი განურჩევლობა, ცხოვრებაზე ზიზღიანი და კუშტი შეხედულება, რაიც ბუნებრივი შედეგია რელიგიური რწმენისა ხალხთან, ბუნებით რელიგიურნი რომ არ არიან. ისეთ ღვთისმოსაობაში გადავარდა, რომ მოხუც ქალსაც კი გადამეტებულად ეჩვენა; მარხვითა და ხორცის მოკვდინებით თავს იგვემდა; ერთხანს ქინძისთავებიბ შემსჭვალულ კორსეტსაც კი ატარებდა, ქინძისთავები ყოველ მოძრაობაზე ტანში ესობოდა. გარშემო მყოფნი ხედავდნენ, როგორ მისდიოდა ფერი, მაგრამ ვერ ხვდებოდნენ, რა სჭირდა. ბოლოს, რაკი გულიც მისდიოდა, ექიმსაც უხმეს. ანამ გადაჭრით თქვა უარი, არ გავესინჯებიო — მოკვდებოდა და კაცის წინაშე ტანთ არ გაიხდიდა — მაგრამ კორსეტის ამბავი კი აღიარა; ექიმმა ისეთი დღე დააწია, რომ ქალიშვილმა აღუთქვა, მეტს აღარ ვიზამო. ბებიამისი კი იმ დღიდან, გული საგულეს რომ ჰქონოდა, თვითონ უმოწმებდა ტანსაცმელს. ანა ამ თავის ტანჯვაში, როგორც შეიძლება ზოგს ეგონოს, მისტიურ ნეტარებას როდი ჰპოვებდა; ცოტა წარმოსახვა ჰქონდა: ფრანსუა ასიზელის[1] პოეზიას ვერ ჩასწვდებოდა, ვერც წმინდა ტერეზიასას გაუგებდა რასმე. მისი ღვთისმოსაობა მწუხარე და მატერიალური იყო. როცა თავს იგვემდა, იმის იმედი როდი ამოძრავებდა. საუკუნო ცხოვრებაში ჯილდო მერგებაო, სასტიკი მოწყენილობის გამო გახდომოდა თავს ჯალათად, თითქმის ბოროტ სიხარულს ჰპოვებდა იმ სიავეში, თავს რომ უშვებოდა. მაგრამ როგორღაც ეს უხეში და ცივი გონება, ანას ბებიამისისაგან რომ დაჰყოლოდა, უჩვეულოდ ღრმად შეიგრძნობდა მუსიკას. თვითონაც არ უწყოდა როგორ და რანაირად... სხვა ხელოვნებათა-თვის დახშული იყო; იქნებ თავის დღეში არ შეეხედა სურათისათვის; ჩანდა, არაფერი გაეგებოდა პლასტიკური სილამაზისა, გემოვნების ნატამალიც კი არ გააჩნდა და ყველაფერს ზვიადური განურჩეველობით უცქეროდა. ლამაზი შიშველი სხეულის წარმოდგენა მასში მხოლოდ სიშიშვლის იდეას აღძრავდა, როგორც იმ გლეხის წარმოსახვაში, ტოლსტოი რომ ახსენებს. და — ზიზღის გრძნობას; ეს ზიზღი მით უფრო ძლიერი ჰქონდა ანას, რომ იმ ადამიანებთან ურთიერთობაში, რომლებიც მოსწონდა, ბუნდოვნად ნდომის ყრუ ჩხვლეტას უფრო გრძნობდა, ვიდრე ესთეტიკურ, მშვიდ სიამოვნებას. წარმოდგენა არ ჰქონდა არც თავის სილამაზეზე, არც თავის გაქექილი ინსტინქტების ძალაზე; ან უკეთ, არ სურდა ამეების ცოდნა და შინაგან სიცრუეს ჩვეული ახერხებდა სხვის მოტყუებას.

---

[1] ფრანსუა ასიზელი (1182—1226) — ფრანცისკელთა ორდენის დამაარსებელი. უმბრიის მდიდარი ვაჭრის ვაჟმა სიჭაბუკეშივე დატოვა სოფელი, ასიზის მთებში გაიხიზნა და მოწაფეებით გარშემორტყმული ხალხს ევანგელური მარტივი ყოფით ცხოვრებას უქადაგებდა. ორდენი კანონიზირებულ იქნა 1215 წელს პაპ ინოკენტ III-ის დროს.

ბრაუნი მას ერთ ქორწილზე შეხვდა, სადაც სულგრძელად მიეპატიჟებინათ, რადგან მისი სამარცხვინო წარმომავლობის გამო ახლაც ამრეზით უყურებდნენ. ანა ოცდაორი წლისა იყო. ბრაუნს მოეწონა იგი. არა, ქალი როდი ცდილა რითიმე მოეხიბლა. სუფრასთან გვერდით უჯდა გახევებული და უგემოვნოდ ჩაცმული. იშვიათად თუ გააღებდა პირს რაიმეს სათქმელად. მაგრამ ბრაუნი, სულ რომ ესაუბრებოდა, ან უკეთ, სულ მარტო რომ ლაპარაკობდა მთელი სადილის განმავლობაში, მოხიბლული დარჩა. მის გამჭრიახ მზერას არაფერი გამოპარვია. შენიშნა და გააოცა მეზობლის ქალწულებრივმა კდემა-მოსილებამ; მოეწონა მისი საღი მსჯელობა და სიმშვიდე; სათანადოდ შეაფასა მისი ჯანმრთელობა და სახლის გაძღოლის უნარი. ბებიამისს ეწვია, მეორედაც მივიდა, ითხოვა ანას ხელი და თანხმობაც მიიღო. მზითევზე არაფერი თქმულა. ქ-ნი ზენფლი მთელ თავის ქონებას ქალაქს სწირავდა კომერციული საქმეებისათვის.

ახალგაზრდა ქალს არასოდეს ჰყვარებია თავისი ქმარი; ეს ფიქრი თითქო საკადრისი არც კი იყო ნამუსიან ცხოვრებაში და როგორც დანაშაულებრივი, თავიდან უნდა მოეშორებინა. მაგრამ ანა გრძნობდა ბრაუნის სიკეთის ფასს და მადლიერიც იყო მისი, თუმც კი არ ამჟღავნებდა, რომ ითხოვა საეჭვო წარმოშობის მიუხედავად. საერთოდაც ერთობ სერიოზულად ეკიდებოდა ცოლ-ქმრულ ღირსებას. იმ შვიდი წლის მანძილზე, რაც შეუღლებულნი იყვნენ, მათი თანხმობა არაფერს დაურღვევია. ცხოვრობდნენ ერთმანეთის გვერდით, ერთმანეთისა არ ესმოდათ, მაგრამ ეს არ ანაღვლებდათ. ხალხის თვალში სანიმუშო ცოლ-ქმრად ითვლებოდნენ. შინიდან იშვიათად გადიოდნენ. ბრაუნს ბევრი პაციენტი ჰყავდა, მაგრამ ვერ მოახერხა მათ სახლში ცოლიც შეეყვანა. ანა არავის მოსწონდა; დაბადების ჩირქიც ჯერ მთლად არ ჩამორეცხოდა. ქალიც თავის მხრივ სულ არ ცდილობდა კეთილი განწყობა დაემსახურებინა. გულიდან არ გადაჰყროდა ჯავრი იმ ზიზღის გამო, ბავშვობა რომ ჩაუმწარა. თან რცხვენოდა ხალხში და არ ჩიოდა, მივიწყებული რომ ჰყავდათ. თუ აუცილებელი იყო, სტუმრად მარტო მაშინღა წავიდოდა; თვითონაც მხოლოდ იმათ ღებულობდა, ვის მიღებასაც ქმრის ინტერესები უკარნახებდა. სტუმრად უმთავრესად ცნობისმოყვარე და ენაჭარტალა წვრილბურჟუა ქალები ეწვეოდნენ ხოლმე, მათი ჭორაობა ანას სულაც არ აინტერესებდა; არც ცდილა თავისი გულგრილობის დაფარვას. ასეთ რაიმეს კი არავინ გაპატიებს. სტუმრებმა მოსვლას უკლეს და ანა მარტო დარჩა. მასაც ეს უნდოდა: არაფერი ურღვევდა ოცნებებს, თავში გამუდმებით რომ უტრიალებდა და ხორცის იდუმალ წრტიალს.

რამდენიმე კვირა იყო, რაც ანას უქეიფობა ეტყობოდა. სახე დაუგრძელდა, კრისტოფსა და ბრაუნსაც გაურბოდა. მთელ დღეებს თავის ოთახში ატარებდა გამოკეტილი; თავის საფიქრალს მისცემოდა; პასუხსაც არ სცემდა, როცა ელაპარაკებოდნენ. ბრაუნს ჩვეულებრივ დიდად არ ანაღვლებდა ეს ქალუ-

რი კაპრიზები. ცოლს ნამუსსაც კი სწმენდდა კრისტოფთან. როგორც თითქ-მის ყველა მამაკაცს, ქალმა რომ უნდა მოატყუოს, მასაც ქალების მცოდნედ მოჰქონდა თავი. და მართლაც, ქალებს საკმაოდ კარგად იცნობდა, რაც საქმეს ვერ შველის ხოლმე. იცოდა, რომ ქალებს ხანდახან თავქეიფა ოცნებები სჩვევიათ, ჯიუტად დუმან და მტრულად გვიმზერენ; ფიქრობდა, ასეთ დროს თავიანთ ნებაზე უნდა მიუშვა, აღარ ჩაეძიო, უნდა ეცადო თავადაც არ დაი-წყონ ქექვა ქვეშეცნეულის სახიფათო სამყაროში, სადაც მათი გონებაა დან-თქმული. მაგრამ ანას ჯანმრთელობის ამბავმა მაინც შეაშფოთა. გადაწყვიტა, ასე იმიტომ ჩამოხმა და გაილია, რომ სულ შინ ზის ჩაკეტილი, ქალაქგარეთ ერთხელაც არ გავა და ჰაერს არ გადაყლაპავსო. ცოლს ურჩია ისეირნეო. თა-ვად არ შეეძლო გაჰყოლოდა: კვირაობით ანა საქველმოქმედო საქმეებით იყო გართული, სხვა დღეებში ბრაუნი დადიოდა ავადმყოფებთან. კრისტოფიც თავს არიდებდა ანასთან გავლას. ერთხელ თუ ორჯერ პატარა მანძილზე გაისეირ-ნეს ერთად, ქალაქის კარიბჭემდე: მოწყენილობისაგან კინაღამ სული დაელიათ. საუბარი ვერ ააწყვეს. ბუნება, ეტყობა, ანასათვის სულაც არ არსებობდა; ვერაფერს ამჩნევდა ირგვლივ. გარემო მისთვის მარტო ქვა იყო და ბალახი; მისი უგრძნობლობა გულს გაგიყინავდათ. კრისტოფი შეეცადა ერთი ლამაზი სანახით დაეტკბო იგი. ქალმა უცქირა, უცქირა, გულგრილად გაიღიმა, თავს ძალა დაატანა და მისდა საამებლად ძლივს ამოღერღა:

— ო, დიახ! რაღაც მისტიურია...

„მზე მეტად აჭერსო“, ასევე შეეძლო ეთქვა.

კრისტოფი ისე გაცეცხლდა, რომ ფრჩხილები ჩაისო ხელის გულებში. მას შემდგ აღარაფერი უკითხავს ქალისათვის; და როცა ანა შინიდან აპირებ-და გასვლას, მუდამ პოულობდა მიზეზს სახლში დარჩენილიყო.

სინამდვილეში ანა ბუნებისადმი უგრძნობელი როდი გახლდათ. მას არ მოსწონდა ის, რასაც ჩვეულებრივ „ლამაზ სანახებს“ ეძახიან: მათ სხვათაგან ვერც გამოარჩევდა. მაგრამ სოფელი კი უყვარდა, სულ ერთია, როგორი — მიწა და ჰაერი. ოღონდ ეს გრძნობა გაცნობიერებული არა ჰქონდა, ისევე, რო-გორც თავისი სხვა, ძლიერი გრძნობები. მის გვერდით ვინც ცხოვრობდა, ის ხომ ამ სიყვარულს სულ ვერ შეატყობდა.

ბრაუნი ჩააცივდა ცოლს, ქალაქის შემოგარენში გავისეირნოთო. ქალი გაბეზრდა და დაუთმო, სიმშვიდე რომ მოეპოვებინა. გასეირნება კვირა დღი-სათვის დანიშნეს. უკანასკნელ წუთს ექიმს, ეს გასეირნება ბალღივით რომ ახარებდა, მძიმე ავადმყოფთან უხმეს და ანას გაცილება კრისტოფს მოუხდა.

ზამთრის საუცხოო, უთოვლო დღე იდგა: ჰაერი წმინდა იყო და ცივი, ცა — მოწმენდილი, მზე ჩარჩახებდა და გაყინული ნიავი ქროდა. საგარეუბნო პატარა მატარებელში ჩასხდნენ; ეს რკინიგზა იმ ცისფერი ბორცვების რკი-ნიგზებს ერთვოდა, ქალაქის ირგვლივ შორეულ ორეოლს რომ ქმნიდა. კუპე ხალხით იყო გაჭედილი; ერთიმეორისაგან შორიშორს ისხდნენ და ლაპარაკი

არ უხერხდებოდათ. ანა მოქუფრული იყო; წინა დღით, ბრაუნისდა გასაოცრად, დაიჩემა, ხვალ წირვაზე არ წავალო. თავის სიცოცხლეში პირველად აკლდებოდა წირვას. ეს რა, ჯანყი იყო?.. ვინ ხედავდა, რა ბრძოლები მიმდინარეობდა მის სულში? თვალჩაშტერებით უცქეროდა მის წინ მდგარ სკამს; სახეზე მკვდრისფერი ედო...

მატარებლიდან გადმოვიდნენ. სეირნობის დასაწყისში მტრულად უმზერდნენ ერთმანეთს. გვერდიგვერდ მიაბიჯებდნენ; ანა მტკიცე ნაბიჯით მიდიოდა წინ, არაფერს აქცევდა ყურადღებას; ტვირთი არაფერი ეჭირა; ხელებს თავისუფლად მიარხევდა; მისი ფეხის ხმა რეკდა გაყინულ მიწაზე. თანდათან სახე გამოუცოცხლდა. ჩქარმა სიარულმა ღაწვები შეუფაკლა. ბაგე გაეპო, სუფთა ჰაერი რომ შეესვა. ბილიკის ერთ მოსახვევში, ლენტივით რომ ევლებოდა ბორცვს გარშემო, გზიდან გადავიდა და პირდაპირ, თხასავით შეუყვა აღმართს; რომ არ გადმოვარდნილიყო, გზად ბუჩქებს ებღაუჭებოდა. კრისტოფიც მიჰყვა. ქალი უფრო სწრაფად მიცოცავდა, ცურდებოდა, თავის შესამაგრებლად ხელებით ეჭიდებოდა ბალახებს. კრისტოფმა დაუყვირა, გაჩერდითო. ანამ ყური არ ათხოვა და ახლა უკვე ოთხით განაგრძო ასვლა. გააპეს ნისლი, რომელიც ხეობას დასწოლოდა ზემოდან მოვერცხლილი გაზივით, ბუჩქებზე რომ იფლითებოდა; მაღლა, მზის თბილ სხივებში გახვეულები აღმოჩდნენ. მწვერვალს რომ მიაღწიეს, ანა შემობრუნდა; სახე განათებოდა. პირი დაეღო და ღრმად სუნთქავდა. დამცინავად გადმოხედა კრისტოფს, აღმართს რომ მიუყვებოდა, პალტო გაიხადა, სახეში მიუგდო, არ დალოდებია, სანამ ის სულს მოითქვამდა და გზა განაგრძო. კრისტოფი გამოუდგა. თამაშობამ გაახალისა ორთავე; ჰაერი ათრობდათ. ქალი ციცაბო თავდაღმართში დაქანდა; ქვები უცურდებოდა ფეხქვეშ; მაგრამ არ ვარდებოდა, მისრიალებდა, მიხტოდა, მიქროდა, როგორც ნატყორცნი ისარი. ხანდახან უკან მოიხედავდა, რომ გაეგო, რამდენით გავუსწარიო წინ კრისტოფს. კრისტოფი ეწეოდა. ქალი ტყეში შევარდა. მჭკნარ ფოთლებს შარიშური გაუდიოდა მათ ფეხქვეშ; ქალი რომ ტოტებს შლიდა, ის ტოტები კრისტოფს სახეში სცემდა. ანამ ხის ფესვს წამოჰკრა ფეხი. კრისტოფმა ხელი სტაცა. ანამ მოგერიება დაუწყო, ხელებით, ფეხებით; მაგრად ურტყამდა, ცდილობდა წაექცია; ყვიროდა და იცინოდა. კრისტოფის მკერდს მიბჯენილი მკერდი გამალებით აუდ-ჩაუდიოდა; მათი ლოყები ოდნავ შეეხო ერთმანეთს. კრისტოფს ბაგეზე მოხვდა ოფლი, ანას საფეთქლები რომ დაეცვარა; მისი ნამიანი თმის სურნელი შეიგრძნო. ანამ ღონივრად უჯიკავა, თავი გამოინთავისუფლა და მშვიდად, დაკვირვებით დაუწყო ცქერა. კრისტოფი გაკვირვებული იყო, ეს რამოდენა ძალა ჰქონია, ცხოვრობს კი ისე, რომ არაფერში არ იყენებსო.

მეზობელ სოფელს მიაშურეს; ხალისიანად ქელავდნენ გამხმარ ნაყანევს, მათ ფეხქვეშ ხიწვებად რომ ამოჩრილიყო. ცხვირწინ ყვავები უფრინდებოდნენ. მზე აჭერდა და ქარი იკბინებოდა. კრისტოფს ხელკავი გაეკეთებინა ანა-

სათვის; ქალს თხელი კაბა ეცვა და ქსოვილის შიგნით კრისტოფი გრძნობდა შეცვარულსა და სიცხისგან გამთბარ სხეულს. პალტოს ჩაცმევინება მოუნდომა, მაგრამ ანამ არ ისურვა, ის კი არა და, ვაჟკაცობის გამოჩენა მოუნდა და საყელოც გაიღეღა. პური სამიკიტნოში ჭამეს, რომლის აბრაზედაც „ველური კაცი“ (Zum wilden Mann) იყო გამოყვანილი. კარის წინ პატარა ნაძვი იზრდებოდა. დარბაზი გერმანული კატრენებით იყო მორთული და ორი ქრომოლითოგრაფიაც ამკობდა: ერთი სანტიმენტალური გ ა ზ ა ფ ხ უ ლ ი (Im Frühling) და მეორე — პატრიოტული: „წმ. ჟაკის ბრძოლა“[1]. იქვე ჯვარცმაც იყო, რომლის ფერხთითაც თავის ქალა იდო. ანა მადიანად ჭამდა, რაც მანამ არ შეუნიშნავს კრისტოფს. ხალისით გადაჰკრეს ცოტაოდენი თეთრი ღვინოც. ნასადილევს კვლავ მინდორ-მინდორ გაუყვნენ გზას, როგორც ორი გულითადი ამხანაგი. არავითარი უკეთური ფიქრი არ აღძვრიათ. არაფერზე არ ფიქრობდნენ გარდა სიარულის სიამეზე, მათ ამღერებულ სისხლზე, მსუსხავ ჰაერზე. ანას ენა გაეხსნა. უნდობლად აღარ ეკიდებოდა კრისტოფს; ამბობდა ყველაფერს, რაც თავში მოუვიდოდა.

ჯერ თავისი ბავშვობის ამბავი უამბო: ბებიაჩემს ერთ თავის მეგობართან დავყავდი, ტაძრის მახლობლადო: „სანამ მოხუცები საუბრობნენ, მე დიდ ბაღში მიშვებდნენ, რომელსაც Münster-ის ჩრდილი ეცემოდა. სადმე კუთხეში მივჯდებოდი და ადგილიდან არ ვიძვროდი, ყურს ვუგდებდი ფოთლების შრიალს, თვალს ვადევნებდი მწერების ფუსფუსს; მსიამოვნებდა და თან შიში მიპყრობდა“... — იმას კი არ უმხელდა კრისტოფს, რომ ეშმაკებისა ეშინოდა: წარმოსახვა სულ ეშმაკებს უხატავდა; მისთვის ეამბნათ, ეშმაკები და ავი სულები ეკლესიების ირგვლივ დაძრწიან, შიგ შესვლას ვერ ბედავენო; ეგონა კიდეც, ცხოველთა ტყავში გახვეულებს ვხედავო: ობობის, ხვლიკის, ჭიანჭველასი, იმ უსახურ არსებათა ტყავში, ფოთლების ქვეშ რომ ფუთფუთობდნენ, მიწაზე, ანდა კედლის ნაპრალებში. მერე იმ სახლზე ილაპარაკა, სადაც ცხოვრობდა, თავის უმზეო ოთახზე; სიამოვნებით იგონებდა; ბევრჯერ უძილოდ გამიტარებია ღამეები, თავს რაღაცეებს ვუყვებოდიო.

— მაინც რას?

— სულელურ რამეებს.

— მიამბეთ.

ანამ უარის ნიშნად თავი გაიქნია.

— რატომ?

ქალი გაწითლდა, მერე გაიცინა და დააყოლა:

— დღისითაც, როცა ვმუშაობდი ხოლმე. — ერთხანს ჩაფიქრდა, ისევ გაიცინა და თქვა: — გიჟური, ურიგო რამეები იყო.

---

[1] ბრძოლა სოფელ წმ. ჟაკთან, ბაზელის მახლობლად, სადაც 1444 წ. 26 აგვისტოს შვეიცარიელებმა სძლიეს მათ ქვეყანაში შემოჭრილ ფრანგთა ჯარს.

კრისტოფმა ხუმრობით ჰკითხა:

— მერედა არ გეშინოდათ?

— რისი?

— წაწყმედის.

ქალს სახე გაეყინა.

— ამაზე არ შეიძლება ლაპარაკი.

კრისტოფმა საუბრის თემა შეცვალა. შეუქო ანას ღონე, წელან, ბრძოლისას რომ გამოიჩინა. ქალმა კვლავ ნდობით დაუწყო ცქერა და თავისი პატარაობის საგმირო საქმეებზე უამბო (თვითონ „ბიჭურს“ ამბობდა, რადგან ბავშვობისას სულ ბიჭების თამაშობებსა და ბრძოლებში სურდა გარევა). „ერთხელ ერთ ბიჭთან დავრჩი მარტო, ბიჭი მთელი თავით მაღალი იყო ჩემზე; მოულოდნელად მკერდში ჩავცხე მუშტი იმ იმედით, თვითონაც ხელს შემომიბრუნებს-მეთქი; მაგრამ ბიჭმა უკანმოუხედავად მოჰკურცხლა, თან ღრიალებდა, ანამ გამლახაო. მეორედ სოფელში ერთ შავ ძროხას ავაცოცდი ზურგზე; შეშინებულმა პირუტყვმა ხეს მიმანარცხა და კინაღამ იქვე სული დავლიეო“. მეორე სართულის ფანჯრიდან გადმოხტომაც უცდია, რადგან თავს სიტყვა მისცა, გადმოვხტებიო. ბედად მარტო ფეხი ეღრძო და იმით გადარჩა. როცა შინ მარტო ტოვებდნენ, ახირებულსა და სახიფათო ვარჯიშებს იგონებდა; სხეულს ათასგვარ უცნაურ გამოცდას უწყობდა.

— ვინ წარმოიდგენს ამას, როცა ასეთ სერიოზულს გხედავთ?.. — უთხრა კრისტოფმა.

— ო! რომ მიყურებდეთ, ზოგჯერ ჩემს ოთახში ჩაკეტილი რაებს ჩავდივარ...

— როგორ?! ახლაც?

ანას გაეცინა. საუბრის თემა სწრაფად შეცვალა და ჰკითხა, თუ ნადირობთო. კრისტოფმა ხელები გაასავსავა, არაო. ანამ უთხრა, ერთხელ შაშვს ვესროლე თოფი და მოვახვედრეო. კრისტოფი გაწყრა.

— რა მოხდა ასეთი? — გაიკვირვა ქალმა.

— მაშ, გული არა გაქვთ?

— არ ვიცი.

— ნუთუ არ ფიქრობთ, რომ ცხოველებიც ჩვენისთანა სულდგმულები არიან?

— როგორ არა, — მიუგო ქალმა, — სწორედ ეს უნდა მეკითხა თქვენთვის: როგორა გგონიათ, ცხოველებსაც აქვთ სული?

— მე მგონი, კი.

— მღვდელი ამბობს, არაო. მე კი მგონია, აქვთ. ჯერ ერთი, — დასძინა დიდი სერიოზულობით, — დარწმუნებული ვარ, რომ უწინდელ ცხოვრებაში ცხოველი ვიყავი.

კრისტოფს გაეცინა.

— ტყუილად იცინით, — უთხრა ანამ (თვითონაც იცინოდა). — სწორედ ამ ამბებს ვუყვებოდი ჩემს თავს, როცა პატარა ვიყავი. წარმოვიდგენდი თავს კატად, ძაღლად, ჩიტად, კვიცად, უშობლად. მათ სურვილებს ვგრძნობდი. მინდოდა ერთი საათით მათ ტყავში შევმძვრალიყავ; მეჩვენებოდა, რომ კიდევაც ვახერხებდი ამას. თქვენ ჩემი არ გესმით, არა?

— უცნაური ცხოველი ყოფილხართ; მაგრამ თუ ასეთ თვისტომობას გრძნობთ ცხოველებთან, როგორღა შეგიძლიათ, ტკივილი მიაყენოთ?

— ტკივილს მუდამ ვაყენებთ ვისმე. სხვები მე მიშავებენ, მე სხვებს. ასეთია კანონი, ცხოვრებაში ასეთი აზიზი არ უნდა იყო! მე ჩემს თავსაც კი ვტანჯავ და მსიამოვნებს!

— თქვენს თავსაც?

— დიახ. უცქირეთ. აი, ამ ხელში ერთ დღეს ჩაქუჩით ლურსმანი ჩავიჭედე.

— რატომ?

— ისე, ტყუილად.

(ქალს არ გაუმხელია, საკუთარი თავის ჯვარზე გაკვრა რომ სურდა).

— მომეცით ხელი, — უთხრა კრისტოფს.

— რად გინდათ?

— მომეცით.

კრისტოფმა ხელი გაუწოდა. ქალი ჩააფრინდა და ისე მაგრად მოუჭირა, კრისტოფს ყვირილი აღმოხდა. მერე გლეხებივით დაიწყეს თავშექცევა, ვინ უფრო ატკენდა ხელს მეორეს. ორთავ ბედნიერი იყო, ურიგოს არაფერს ფიქრობდნენ. ქვეყნად ყველაფერი დანარჩენი, მათი ცხოვრების ჯაჭვები, წარსულის მწუხარება, მომავლის შიში, ქარიშხალი, მათ სულში რომ იბუდებდა, ყველაფერი გამქრალიყო.

რამდენიმე ლიე გაიარეს; დაღლას სულ არ გრძნობდნენ. უეცრად ანა გაჩერდა, მიწაზე დავარდა, ნაყანევზე გაიშოტა და გაყუჩდა. გულაღმა იწვა, ხელები თავქვეშ ამოედო და ცას აჰყურებდა. რა სიმშვიდე იყო! რა სინაზე!.. ყოველ ნაბიჯზე ფარული შადრევანი ჩუხჩუხებდა, ხან უფრო ძალუმად ჩქეფდა წყლის ჭავლი, ხან უფრო სუსტად, როგორც არტერია, ხან უფრო ძლიერად რომ ცემს და ხან უფრო ნელიად. ჰორიზონტი სადაფისფერად ელავდა. ნისლი მიმოირხეოდა გადალურჯებულ მიწაზე, საიდანაც ხეთა შავი და შიშველი ზროები წამომართულიყვნენ. თავს ზამთრის მიწურულის მზე ადგათ, ღია ყვითელი, ახალგაზრდა, საძილედ გამზადებული მზე. ჩიტები მბრწყინავი ისრებივით აპობდნენ ჰაერს. ისმოდა სოფლის სამრეკლოთა ზარების გადაძახილ-გადმოძახილი... კრისტოფი ანას უჯდა გვერდით და აკვირდებოდა. ქალი არ ფიქრობდა მასზე. ლამაზ ბაგეზე მდუმარე ღიმილი დასთამაშებდა.

— ნუთუ ეს თქვენა ხართ? ვეღარა გცნობთ, — ფიქრობდა კრისტოფი.

— თავი ვეღარც მე მიცვნია, მგონია, სულ სხვა ვარ. უკვე აღარ მეშინია; აღარ მეშინია მ ი ს ი... აჰ! როგორ მთრგუნავდა, როგორ გამტანჯა! მეგონა, საკუთარ კუბოში ვიყავ ჩაჭედილი... ახლა თავისუფლად ვსუნთქავ; ეს სხეული, ეს გული ჩემია. ჩემი სხეულია. ჩემი თავისუფალი სხეული: ჩემი თავისუფალი გული. ჩემი ძალა, ჩემი სილამაზე, ჩემი სიხარული! მე კი არ ვიცნობდი, ჩემს თავს არ ვიცნობდი! მაინც რა მიყავით?..

. კრისტოფს ეგონა, სიამისაგან ასე კვნესისო. მაგრამ ანა არაფერზე არ ფიქრობდა, მხოლოდ უსაზღვრო ბედნიერებას გრძნობდა და სწამდა, რომ ყველაფერი რიგზე იყო.

საღამოვდებოდა. ოთხი საათის შემდეგ ცხოვრებისაგან მოქანცული მზე ნისლის მოლურჯო-მონაცრისფერო ფარდის უკან უჩინარდებოდა. კრისტოფი წამოდგა და ანას მიუახლოვდა. გადაიხარა მისკენ. ანამაც მისკენ შემოაბრუნა ცისგან თავბრუდახვეული მზერა. რამდენიმე წამი გავიდა, სანამ იცნობდა კრისტოფს. მაშინ იდუმალი ღიმილით დაუწყო ცქერა, რამაც კრისტოფი ააღელვა. ამ მზერას რომ გაქცეოდა, წუთით თვალები დახუჭა. როცა გაახილა, ანა ისევ ისე შემოჰყურებდა; კრისტოფს მოეჩვენა, უკვე რამდენი დღეა, ასე ვუცქერით ერთმანეთსო. ერთიმეორის სულებში კითხულობდნენ. მაგრამ არ ინდომეს გაგება იმისა, რაც ამოიკითხეს...

კრისტოფმა ხელი გაუწოდა. ქალმა უსიტყვოდ შეაგება მარჯვენა. სოფელში დაბრუნდნენ, რომლის წვერწამახული, ქონგურებიანი კოშკებიც მკაფიოდ მოჩანდა დაცემულ ტაფობზე; ერთ-ერთს დახავსებული კრამიტის სახურავზე ქუდივით ეხურა ყარყატის ცარიელი ბუდე. ორი გზის გასაყართან, სოფლის თავში შადრევანს ჩაუარეს, რომელიც პატარა კათოლიკური წმიდანით, ხელებგაწვდილი, მოხდენილი, კეკლუცი ხის მადლენის ქანდაკებით იყო შემკული. ანამაც ინსტიქტურად ხელები გაიწვდინა მისკენ, შადრევნის კიდეზე შეძვრა და ლამაზ ქალღმერთს პეშვი ბაძგის ტოტებითა და წითელი ცირცელის მტევნებით აუვსო, ჩიტის ნისკარტსა და ყინვას რაღაც სასწაულით რომ გადარჩენოდა.

გზად საუქმოდ გამოწყობილ გლეხებს შეხვდნენ. ქალებს ქარდაკრული სახე და დაბრაწული ლოყები ჰქონდათ და თავზე მრგვლად შემოგრაგნილი სქელი ნაწნავები ამშვენებდათ. ღია ფერის კაბები ეცვათ, ყვავილებით მორთული ქუდები ეხურათ; თეთრ ხელთათმანებში წითელი მაჯები მოუჩანდათ. გამყინავი, რიხიანი ხმით მღეროდნენ წესიერ სიმღერებს, თუმცა მთლად სწორად არ გამოუდიოდათ. სადღაც, ბაგაში, ძროხა ბღაოდა. რომელიღაც სახლიდან ყივანახველიან ბალღის ხველება ისმოდა. ცოტა უფრო შორს კლარნეტსა და პისტონიან კორნეტს აჭყვიტინებდნენ. სოფლის მოედანზე, დუქანსა და სასაფლაოს შორის, ცეკვა იყო გამართული. მაგიდაზე შემომჯდარი ოთხი მუსიკოსი ხალისით უკრავდა. ანა და კრისტოფი დუქნის წინ ჩამოსხდნენ და მოცეკვა-

ვეებს დაუწყეს ცქერა. წყვილები ერთმანეთს ეჯახებოდნენ, ისმოდა ხმამაღალი გადაძახილ-გადმოძახილი. ქალიშვილები გაჰკიოდნენ, ისე, ტყუილუბრალოდ. მაგიდასთან მსხდარი გლეხები სუფრას მუშტს სცემდნენ და ტაქტს ხელს აყოლებდნენ. სხვა დროს ასეთი უხეში მხიარულება გულს აურევდა ანას; ამ საღამოს კი ტკბებოდა ნანახით; ქუდი მოიხადა და სახეგაბრწყინებული უცქეროდა მოცეკვავეებს. კრისტოფს გულიანად ეცინებოდა მუსიკისა და მუსიკოსების უცნაურ სერიოზულობაზე. ჯიბეები მოიქექა, ფანქარი ამოიღო და დუქნის ანგარიშის მეორე მხარეს ხაზებისა და წერტილების დასმა დაიწყო: საცეკვაო მუსიკას წერდა. ფურცელი მალე გაავსო; მეორე მოითხოვა, ისიც პირველივით ააკრელა თავისი მოუთმენელი და მოუხეშავი ხელით. ანას მის ლოყასთან მიეტანა თავი, მის მხარს ზემოდან კითხულობდა ნოტებს და ხმადაბლა ღიღინებდა; ცდილობდა გამოეცნო ფრაზის ბოლო და თუ გამოიცნობდა, ან თუ მისი გუმანი გამტყუნდებოდა და კრისტოფი მოულოდნელ, გონებამახვილურ აკორდს ჩასვამდა, სიხარულისგ ტაშს სცემდა ხოლმე. წერას რომ მორჩა, კრისტოფმა თავისი ჩანაწერი მემუსიკეებს მიუტანა. ყოჩაღი შვაბები იყვნენ, თავიანთი საქმის ჩინებული მცოდნენი: წარბიც არ შეუხრიათ, ისე გაარჩიეს. ჰანგს სანტიმენტალური და მხიარული იერი ახლდა, რიტმი მკაფიოდ იყო გამოკვეთილი, თითქოს სიცილის მოვარდნილი ტალღებით გახალისებული. შეუძლებელი გახლდათ არ აჰყოლოდით მის შმაგ მხიარულებას: ფეხები თავისით იწევდნენ საცეკვაოდ. ანაც წრეში შეიჭრა, ვიღაცას ალალბედზე ჩაავლო ხელი და გიჟივით დატრიალდა; კუს ფარის თმის სამაგრი გამოუვარდა თმიდან; კულულები ჩამოეშალა და ლოყებზე დაეფინა. კრისტოფი თვალს არ აცილებდა; აღტაცებული იყო ამ ლამაზი, ღონიერი ცხოველით, უმოწყალო დისციპლინას აქამდე გაქვავებული და პირზე კლიტედადებული რომ ჰყავდა. ანა ისეთი ეჩვენებოდა, როგორც ჯერ არავის ენახა, როგორიც იყო სინამდვილეში, მორგებულ ნიღაბს შიგნით: საკუთარი ძალით დამთვრალ ბაკხელ ქალად. ქალმა დაუძახა. კრისტოფი მიეჭრა და მკლავი მოხვია. მანამ იცეკვეს, სანამ ტრიალ-ტრიალში კედელს არ მიეხალნენ. მაშინ კი შეჩერდნენ თავბრუდახვეულები. მთლად დაღამებულიყო. ცოტა ხანს შეისვენეს, მერე გამოეთხოვნენ შეკრებილთ. ანამ, ჩვეულებრივ ასეთი გოროზი რომ იყო უბირ ხალხთან სიმორცხვისა თუ ზიზღის გამო, გულთბილად ჩამოართვა ხელი მუსიკოსებს, დუქნის მეპატრონესა და სოფლის ყმაწვილკაცებს, რომელთა გვერდითაც იცეკვა.

მარტონი დარჩნენ გაყინული და მოელვარე ცის ქვეშ; მინდორ-მინდორ მიუყვებოდნენ იმავ გზას, დილით, აქეთობისას რომ გამოიარეს. ანა კვლავ ატაცებული იყო. თანდათან ლაპარაკს უკლო, მერე მთლად დაჩუმდა, დაღლილობასა თუ ღამის მისტიურ განწყობილებას მინებდა. კრისტოფს ნაზად მიეყრდნო. როცა ის ციცაბო კალთა ჩაიარეს, ქალმა რამდენიმე საათის წინ რომ ამოირბინა, ანამ ამოიოხრა. სადგურს მიაღწიეს. პირველ სახლთან კრისტოფი

შედგა, რომ ქალისათვის შეეხედა. ქალმაც შემოხედა და ნაღვლიანად გაუღიმა.

მატარებელში ისევ ისეთი ჭედვა იყო, როგორც აქეთობისას. საუბარი ვერ მოახერხეს. კრისტოფი ანას წინ იჯდა და თვალს არ აცილებდა. ქალს თვალები დაეხარა; ერთი ამოხედა, მერე ისევ აარიდა მზერა და კრისტოფმა მეტი ვეღარ მოახერხა თავისკენ მიეხედებინა. ქალი გარეთ, ღამის წყვდიადში გაიცქირებოდა. იდუმალი ღიმილი დასთამაშებდა ბაგეზე. ტუჩის კუთხეში კი დაღლილობის კვალი აჩნდა. შემდეგ ღიმილი სადღაც გაჰქრა. გამომეტყველება კუშტი გაუხდა; კრისტოფმა იფიქრა, მატარებლის რყევამ თვლემა მოჰგვარაო და შეეცადა გამოლაპარაკებოდა. ქალმა მკვახედ მოუგდო ორიოდ სიტყვა, თავიც არ შემოუბრუნებია მისკენ. კრისტოფი შეეცადა თავი დაერწმუნებინა, დაღლილობააო ამ ცვლილების მიზეზი, მაგრამ კარგად უწყოდა, რომ მიზეზი სულ სხვა იყო. რაც უფრო უახლოვდებოდნენ ქალაქს, ანას სახე სულ უფრო უქვავდებოდა, სიცოცხლე ქრებოდა, გელური გრაციის მქონე სხეული კვლავ იკეტებოდა თავის ქვის ნაშუჭში. ვაგონიდან რომ გადმოვიდნენ, ანა აღარ დაყრდნობია კრისტოფის გაწვდილ ხელს. შინ ხმისამოუღებლივ დაბრუნდნენ.

რამდენიმე დღის შემდეგ, ნაშუადღევის ოთხ საათზე შინ მარტონი დარჩნენ. ბრაუნი სადღაც წასულიყო. ორი დღე იყო, რაც ქალაქს მქრქალი, მომწვანო ნისლი ჰბურავდა. ისმოდა შორეული მდინარის ხმა. ელექტროტრამვაიების შუქი ელვასავით ფლეთდა ბნელს. მიმცხრალი დღის სინათლე ქრებოდა, არც ერთი ჟამისას არ ჰგავდა: ერთი ისეთი საათი იდგა, საუკუნეთაგან, რომაა განაკიდი. წინა დღეების სუსხიანი ქარი ჩადგა; ჰაერს ნესტი გაუჯდა, უეცრად დატკბა, თბილი და ამო შეიქნა. თოვლს დაებერა ზეცა, სიმძიმის ქვეშ წელში მოხრილი თავანი.

მარტონი იყვნენ სასტუმრო ოთახში, რომელიც თავისი ცივი და პირქუში იერით დიასახლისს მოგაგონებდათ. არც ერთი არ არღვევდა მდუმარებას. კრისტოფი კითხულობდა. ანა კერავდა. კრისტოფი წამოდგა და ფანჯარასთან მივიდა; ფართო სახე ჩარჩოს მიაყრდნო და ოცნებას ზიეცა; ეს მკრთალი შუქი ჩამუქებული ციდან მოლურჯო მიწაზე რომ ირეკლებოდა, თავბრუს ახვევდა; ფიქრი წრიალებდა; კრისტოფი ამაოდ ცდილობდა მოეთოკა აზრი. საშინელმა კაეშანმა მოიცვა და ქვეშ დაიტნია. და მისი არსების სიცარიელეში, ჩამოშავებული ნანგრევებიდან მცხინვარე ქარბორბალა აღსდგა ტრიალით. ანასაკენ ზურგშექცევით იდგა. ქალი არ უცქეროდა, თავისი სამუშაოთი იყო გართული; მაგრამ ჟრჟოლამ დაუარა ტანში: რამდენჯერმე იჩხვლიტა ნემსი და არაფერი უგრძნია. ორთავ მოჯადოებული იყო საფრთხის მოახლოებით.

კრისტოფი გამოერკვა გარინდებიდან და რამდენიმე ნაბიჯი გადადგა ოთახში. პიანინო იზიდავდა და თან შიშის ზარს სცემდა. ცდილობდა არ შეეხედა მისთვის, მაგრამ გვერდით რომ ჩაუარა, ხელი მაინც წაუცდა, ფრთხი-

ლად შეეხო კლავიშებს. ბგერა ხმასავით დაირხა ოთახში. ანა შეკრთა და ხელიდან გაუვარდა საკერავი. კრისტოფი კი უკვე პიანინოს უჯდა და უკრავდა. არ დაუნახავს, მაგრამ იგრძნო, როგორ წამოდგა ანა, როგორ მოუახლოვდა, როგორ ამოუდგა გვერდში. სანამ გააცნობიერებდა რას შვრებოდა, კრისტოფმა, ისევ რელიგიური და ზეაღმტაცი სიმღერის დაკვრა დაიწყო, ანამ რომ იმღერა პირველად. როცა თავისი სახით ეჩვენა კრისტოფს; დაუკრა და მღელვარე ვარიაციებიც მოაყოლა. სიტყვა არ უთქვამს, ქალმა ისე დაიწყო სიმღერა. სულ დაავიწყდათ გარშემო ყველაფერი. მუსიკის წმინდათაწმინდა სიშმაგემ ჭანვები მოსდო ორთავესა და გაიტაცა.

ჰოი მუსიკავ, სულის უფსკრულებს რომ აღებ! შენ ანგრევ გონების ჩვეულ წონასწორობას. ჩვეულ ყოფაში ჩვეულებრივი სულები კარდახშულ ოთახებს გვანან. შიგ უსაგნოდ შთენილი ძალები ჭკნებიან — სათნოებანი და მანკიერებანი, რომელთა სამზაოზე გამოტანა გვეხამუშება; ბრძენ პრაქტიკულ ჭკუას, მხდალ საღ აზრს უპყრიათ იმ ოთახის კლიტენი. მხოლოდ თითო-ოროლა ბურჟუაზიულად დალაგებულ განჯინას აჩენენ. მაგრამ მუსიკას ხელთა აქვს ჯადოსნური კვერთხი, კლიტეს რომ აღებს. კარები ღება. გულის დემონები ჩნდებიან და სული თავის თავს შიშველს ხედავს. სანამ სირინოზი მღერის, მომთვინიერებელი ლაგმავს მტაცებელ ნადირთ. დიდი მუსიკოსის მძლე გონება აჯადოებს ვნებებს, რომელთაც ხელ-ფეხს უხსნის. მაგრამ როცა მუსიკა მიწყდება, როცა მომთვინიერებელიც მიეფარება თვალთაგან, მისგან გამოღვიძებული ვნებანი ღრიალით არყევენ გალიას და მსხვერპლს დაეძებენ...

მეღლოდია დასრულდა. სიჩუმემ დაისადგურა ირგვლივ... ანას სიმღერისას ხელი კრისტოფის მხარზე დაედო. განძრევას ვერ ბედავდნენ; ორთავე კანკალებდა... უეცრად — ეს წამისყოფით მოხდა — ქალი დაიხარა კრისტოფისაკენ, კრისტოფმაც წამოიწია და მათი ბაგეები ერთმანეთს შეეწებნენ; ქალის სუნთქვა შეიჭრა კრისტოფის სულში.

ანამ ხელი ჰკრა და გაიქცა. კრისტოფი ადგილზევე გაშეშდა, ჩრდილში. ბრაუნი დაბრუნდა. სუფრას შემოუსხდნენ. კრისტოფს არაფერზე ფიქრის თავი-აღარ ჰქონდა. ანა იქ მყოფს არც ჰგავდა, „სხვაგან“ გაიცქირებოდა. ნაეახშმევს თავის ოთახში შეიკეტა. კრისტოფს არ შეეძლო ბრაუნთან პირისპირ დარჩენა და ისიც გაიქცა სასტუმრო ოთახიდან.

შუაღამე მოტანებული იყო, როცა ექიმს ავადმყოფთან უხმეს. ბრაუნი უკვე იწვა, იძულებული გახდა, ჩაეცვა და წასულიყო. კრისტოფმა გაიგონა, როგორ ჩაიარა კიბე და როგორ გაიჯახუნა კარი. ექვსი საათის აქეთ თოვდა. სახლები და ქუჩები თოვლით იყო მინამქრული. ჰაერი ბამბით გეგონებოდათ გატენილი. გარედან არც ეკიპაჟის და არც შეგვიანებული მგზავრის ფეხის ხმა არ ისმოდა. ქალაქი მკვდარს დამსგავსებოდა. კრისტოფს არ ეძინა. შიშს დაებუდებინა მის სულში. შიში თანდათან იზრდებოდა. განძრევაც არ შეეძლო: იწვა ზურგზე, თავის საწოლზე მილურსმული, თვალებდაჭყეტილი. მიწიდან და

სახურავებიდან ასხლეტილი კრიალა შუქი ოთახის კედლებზე დარიალებდა... უმნიშვნელო ჩქამმა შეაკრთო. მასავით გადარაჯებული უნდა ჰქონოდა კაცს სმენა, ეს ხმა რომ გაერჩია. დერეფანში, იატაკზე, ვიღაც მოდიოდა თითის წვერებზე, ნიავივით მოირხეოდა. კრისტოფი საწოლში წამოიმართა. მსუბუქი ხმაური მოახლოვდა, მიწყდა, იატაკის ფიცარმა დაიჭრიალა. ვიღაც იდგა კარსუკან, ვიღაც იცდიდა... რამდენიმე წამს, იქნებ რამდენიმე წუთსაც არ განძრეულა... კრისტოფს სუნთქვა შეკვროდა, მთლად ოფლში იყო გაწურული. გარედან თოვლის ფანტელები ადნებოდნენ მინებს, ფრთეზივით ელამუნებოდნენ. ვიღაცამ ხელის ცეცებით გააღო კარი. ზღურბლზე რაღაც თეთრი გამოჩნდა, ნელა წამოვიდა კრისტოფისაკენ; საწოლიდან რამდენიმე ნაბიჯზე შედგა, შეისვენა. კრისტოფი ვერაფერს არჩევდა; მაგრამ ესმოდა მოსულის სუნთქვა და საკუთარი გულის ძგერა... ქალი საწოლთან მოვიდა. კიდევ შედგა. სახეები ისე ახლოს ჰქონდათ ერთიმეორისაგან, რომ მათი სუნთქვა ერთმანეთში აირია. მათი მზერა ბნელში ამაოდ დაეძებდა ერთმანეთს... ქალი ზედ დაემხო კრისტოფს. ჩუმად, უსიტყვოდ, გააფთრებით გადაეხვიენ ერთმანეთს...

ერთმა საათმა განვლო, ორმა საათმა თუ მთელმა საუკუნემ. სახლის კარმა გაიჭრიალა. ანა დაუსხლტა კრისტოფის მკლავებს, საწოლიდან გამოცურდა და კვლავ ხმისამოუღებლად წავიდა. კრისტოფმა გაიგონა შიშველი ფეხების ხმა როგორ შორდებოდა, როგორ მისრიალებდა პარკეტზე. ქალი თავის ოთახში შევარდა და ბრაუნს უკვე საწოლში დახვდა დაწოლილი. თავი მოიმძინარა. ასე თვალღიამ გაატარა მთელი ღამე; იწვა გაუნძრევლად, სულგანაბული, დაძინებული ბრაუნის გვერდით ვიწრო საწოლზე. რამდენი ღამე გაუტარებია ასე!

არც კრისტოფს მოუხუჭავს თვალი. სასოწარკვეთილი იყო. ეს კაცი სიყვარულსა და მეტარდე ქორწინებას ტრაგიკული სერიოზულობით უცქერდა. სძულდა იმ მწერლების სიმჩატე, რომელთაც ადულტერი თავიანთი ხელოვნების საკმაზად გაუხდიათ. ადულტერი ზიზღს გვრიდა. ამ ზიზღში გაცხოველებულიყო მისი მდაბიური უხეშობა და მორალური სიწმინდე. ერთსა და იმავე დროს რელიგიურ მოწიწებასა და ფიზიკურ ზიზღს აღუძრავდა ქალი, რომელიც სხვას ეკუთვნოდა. ძაღლების საკადრისი მრუშობა, ევროპული ელიტის ნაწილი რომ მისცემოდა, გულს ურევდა. თუ ცოლის ღალატი ქმრის თანხმობით ხდება, სიბინძურეა; თუ ქმრის უჩუმრად — მდაბალი სიცრუე ბილწი ლაქიისა, ფარულად რომ ცდილობს პატრონს უმუხთლოს და მის სახელს ჩირქი მოსცხოს. რანაირად ეჯავრებოდა ისინი, ვისაც ამ სიმდაბლეს შეამჩნევდა! იმათთან მეგობრობაზედაც კი აიღო ხელი, ვინც მის თვალში ასე შეირცხვინა სახელი... და აი, თვითონაც გაისვარა ამ სიმდაბლეში! დანაშაულიც ისეთ გარემოებაში მოუხდა, რომ მის ცოდვას უფრო საზარელს ხდიდა. ამ სახლს ავადმყოფი და დევნილი შემოეხიზნა. მეგობარმა მიიღო, დაეხმარა,

ნუგეში სცა. თავის დღეში სიკეთე არ მოუკლია მისთვის. ზედ ეგებოდა. მისი მადლიერი უნდა ყოფილიყო, ცოცხალი რომ დარჩა. მან კი მადლობის მაგივრად მოჰპარა ბედნიერება, ღირსება, უბრალო, შინაურული სიტკბო! მდაბლად უმუხთლა და მერე ვისთან? ქალთან, რომელსაც არ იცნობდა, რომლისაც არ ესმოდა და რომელიც არ უყვარდა... არ უყვარდაო? სისხლი აუჯანყდა ამის გაფიქრებაზე. სიყვარული ძალზე უფერული სიტყვა იყო ცეცხლის იმ ნიაღვართან შედარებით, მას რომ შემოეგზნებოდა, როცა კი ანაზე იწყებდა ფიქრს. ეს არ იყო სიყვარული, მაგრამ სიყვარულზე ათასჯერ ძლიერი კი გახლდათ... ღამე შფოთვაში გაატარა. დგებოდა, სახეს გაყინული წყლით იგრილებდა, სული ეხუთებოდა და ცახცახებდა. ბოლოს სიცხემ აუწია.

როცა ადგა გატანჯული, ფიქრობდა, ანა ჩემზე ბევრად უფრო დაზაფრული იქნებაო სირცხვილით. ფანჯარასთან მივიდა. მზე თვალისმომჭრელად ბრწყინავდა თოვლზე. ბაღში თოკზე ანა სარეცხს ფენდა. გულიანად ეკიდებოდა საქმეს, ეტყობოდა, არაფერზე ნაღვლობდა. მიხრა-მოხრასა და სიარულში უჩვეულო ღირსებას შეამჩნევდით, ქალს მისდაუნებურად ქანდაკებას რომ ამსგავსებდა.

შუადღის პურობაზე ერთად შეიყარნენ. ბრაუნი მთელი დღით იყო წასული. კრისტოფი ვერ აიტანდა მასთან შეხვედრას. ანასთან მოინდომა ლაპარაკი; მაგრამ მარტონი არ ყოფილან: მოახლე მიმოდიოდა ოთახში; თვალყური უნდა ედევნებინათ საკუთარი თავისათვის. კრისტოფი ამაოდ დაეძებდა ანას მზერას. ანა არ უყურებდა. მღელვარების ნიშანწყალიც კი არ ეტყობოდა, მის მიმოხრაში უჩვეულო თავდაჯერება და კეთილშობილება გამოსჭვიოდა. ნასადილევს კრისტოფს იმედი მიეცა, საუბარს შევძლებთო; მაგრამ მოახლე ქალი ვეღარ მორჩა სუფრის ალაგებას; მეზობელ ოთახში რომ გავიდნენ, იქაც შესდია; ხან რაღაც მიჰქონდა, ხან — შემოჰქონდა; დერეფანში იქექებოდა ღრიჭედ დატოვებულ კართან. რომლის დაკეტვასაც ანა არ ჩქარობდა; იტყოდით, მათ უთვალთვალებსო. ანა ფანჯარასთან მიმჯდარიყო თავისი გაუთავებელი ხელსაქმით. კრისტოფი საავარძელში ჩაესვენა, სინათლისაკენ ზურგშექცეული. მუხლებზე წიგნი ედო, მაგრამ არ კითხულობდა, კედლისთვის გაეშტერებინა მზერა. ანას შეეძლო მისი პროფილის დანახვა, თვალის ერთი შევლებით შენიშნა მისი გატანჯული სახე და გაეღიმა გულქვას. სახლის სახურავიდან, ბაღის ხეებიდან გამდნარი თოვლი ლიკლიკით ეცემოდა ქვიშაზე. შორიდან მოისმოდა ბავშვების სიცილი, გუნდებით ხელში ქუჩა-ქუჩა ერთიმეორეს რომ დასდევდნენ. ანას თითქოს თვლემა მორეოდა. სიჩუმე გულს უფლეთდა კრისტოფს; ცოტაც და, ტანჯვისაგან ყვირილს მორთავდა.

ბოლოს მსახურმა ქალმა ქვემო სართულისაკენ მიმავალი კიბე ჩაიარა და სახლიდან წავიდა. კრისტოფი წამოდგა, ანასკენ შებრუნდა, უნდოდა ეთქვა: ანა! ანა! ეს რა ჩავიდინეთო.

ანა შემოჰყურებდა; აქამდე ჯიუტად დახრილი თვალები გაეღო; კრის-

ტოფს ესროდა ცეცხლოვან, მწველ მზერას. კრისტოფს თვალებში ეცა დარტყმა, და დაბარბაცდა; ყველაფერი, რისი თქმაც სურდა, ერთბაშად განქარდა. ერთიმეორისაკენ წამოვიდნენ და ხელახლა დაეუფლნენ ერთმანეთს.

საღამოს ბინდი ჩამოწვა. სისხლი ისევ უჩქროლავდათ ძარღვებში. ანა საწოლზე იწვა კაბაშემოძარცული, მკლავებშიშველი, ხელიც არ გამოუღია, რომ სხეული დაეფარა. კრისტოფს სახე ბალიშში ჩაერგო და კვნესოდა. ქალი წამოჯდა, კრისტოფს თავი წამოუწია, თითებით მოეფერა თვალებზე, ტუჩებზე; სახე მიუახლოვა, თვალი თვალში გაუყარა. თვალები ჰქონდა ტბასავით უძირო; შიგ მწუხარების ნიშანწყალიც არ ჩანდა. თვალები უცინოდნენ. სინდისი დუმდა. კრისტოფიც გაყუჩდა. თრთოლას ისე აეტანა ორთავე, თითქოს დიდ-დიდი ტალღებიაო.

იმ ღამით, თავის ოთახში რომ დაბრუნდა, კრისტოფმა იფიქრა, თავს მოვიკლავო.

მეორე დღეს, ადგა თუ არა, მაშინვე ანას დაუწყო ძებნა. ახლა ქალს თავად არიდებდა მზერას. როგორც კი მათი თვალები შეხვდებოდნენ ერთმანეთს, კრისტოფს სათქმელი ეფანტებოდა. თავს ძალა დაატანა და ანას სიტყვა ჩამოუგდო მათი საქციელის სიმდაბლეზე. ქალი მიუხვდა თუ არა, მაშინვე ხელით მოუკუმა ბაგე. კრისტოფს განერიდა წარბშეკრული, ტუჩებმოკუმული, ავად გამომზირალი. კრისტოფი კვლავ თავისას გაიძახოდა. ქალმა ხელმეორედ გააგდო საკერავი და კარი გამოაღო, გასვლა დააპირა. კრისტოფი ხელებში სწვდა, კარი ისევ მიხურა და მწარედ უთხრა, ბედნიერი ყოფილხართ, ჩადენილ სიავეზე ფიქრს ასე ადვილად თუ იცილებთო. ქალი გააფთრდა და მრისხანედ მიახალა:

— გაჩუმდი!.. ლაჩარო! ნუთუ ვერა ხედავ, რომ ვიტანჯები!.. სიტყვაც აღარ გამაგონო. თავი დამანებე!

სახე დაგრძელებოდა; თვალებში ზიზღი და შიში ჩასდგომოდა, როგორც გალახულ ნადირს. მის თვალებს რომ შესძლებოდათ, დასტურ მოკლავდნენ კრისტოფს. კრისტოფმა ხელი უშვა. ანა გაიქცა ოთახის მეორე კუთხეში, რომ სამშვიდობოს დაეგულებინა თავი. კრისტოფი აღარ გაჰკიდებია. გული ეკუმშებოდა სიმწრითა და ძრწოლით. ბრაუნი დაბრუნდა. კრისტოფი და ანა გამოთაყვანებულები უმზერდნენ. საკუთარი ტანჯვის გარდა აღარაფერი არსებობდა მათთვის.

კრისტოფი შინიდან გავიდა. ბრაუნი და ანა სუფრას მიუსხდნენ. შუა სადილობისას ბრაუნი ფიცხლად წამოიჭრა ზეზე და ფანჯარა გამოაღო. ქალს გული შეჰღონებოდა.

კრისტოფმა რაღაც მოგზაურობა მოიგონა და ორი კვირით გადაიკარგა ქალაქიდან. ანა მთელ დღეებს თავის ოთახში ატარებდა ჩაკეტილი, მარტო საჭმელზე თუ ჩამოვიდოდა ძირს. კვლავ დაუბრუნდა ძველი ჩვეულებანი, წარსული ცხოვრების ნირი, თვალთახედვა, რომ ეგონა, თავიდან მოვიცილეო

და სინამდვილეში ვერასდროს იცილებს კაცი. ტყუილად ხუჭავდა თვალებს. დღეცისმარე დარდი სულ უფრო ღრღნიდა, სულ უფრო მეტად უფორიაქებდა გულს; ბოლოს შიგ დაიბუდა; მომდევნო კვირას კვლავ უარი თქვა ტაძარში წასვლაზე. მაგრამ ერთი კვირის შემდეგ ისევ წავიდა და იქ სიარული აღარც მოუშლია. არ დამორჩილებულა, მაგრამ იძლია. ღმერთი მტერი იყო — მტერი, რომელიც ვერ მოეშორებინა თავიდან. მისკენ მიდიოდა იძულების ძალით, მონის ყრუ ბრაზით ატანილი. ღვთისმსახურებისას სახეზე მხოლოდ მტრული სიცივე ეწერა; მაგრამ სულის სიღრმეში მდუმარე სასოწარკვეთით უმხედრდებოდა სასტიკ ბატონს, რომელიც საყვედურით ავსებდა. თავს იკატუნებდა, ვითომც არაფერი მესმისო. მაგრამ უ ნ დ ა გაეგონა; და ცხარედ ეკამათებოდა ღმერთს, კუშტად მომზირალი, ჯიუტად შუბლშეჭმუხნილი, კრიჭაშეკრული. კრისტოფზე სიძულვილით ფიქრობდა. ვერ ეპატიებინა მისთვის, რომ წამით მოჰგლიჯა სულის ციხეს და ხელახლა იქითკენ უბიძგა, ჯალათებს მიუგდო გასაწეწად. ძილი აღიკვეთა; დღისით და ღამით ერთსა და იმავე მქენჯნავ ფიქრს უტრიალებდა მისი გონება; როდი ჩიოდა; გაკერპებული ყველაფერს ადევნებდა თვალყურს ოჯახში; რაც რამ ევალა, ყველაფერს აკეთებდა, არაფრით შეუცვლია უხიაკი და ჯიუტი ხასიათი; ოჯახის საქმეებს უწინდებურად ბეჯითად უძღვებოდა. ოღონდ ეს იყო, ყოველივეს მანქანასავით ასრულებდა. გახდა, გაილია. იტყოდით, რაღაც სენი შესჩენია. და ღრღნისო. ბრაუნი შეშფოთებითა და სიყვარულით ეკითხებოდა, რა მოგდისო. გასინჯვაც დაუპირა. მაგრამ ანამ ბრაზით ჰკრა ხელი. რაც მეტ სინიდისის ქენჯნას გრძნობდა, მით უფრო უხეში ხდებოდა.

კრისტოფს გადაწყვეტილი ჰქონდა, აღარ დავბრუნდებიო. დაღლილობისაგან სიქას იცლიდა. შორ გზებზე დადიოდა, ძნელ ვარჯიშს ეტანებოდა: ნიჩბებს უსვამდა, დაეხეტებოდა, მთებზე ფოფხდებოდა. მაინც ვერაფერმა ჩაუქრო სახმილი.

ვნებას მაგრად ჰყავდა ჩაჭედილი. ვნება გენიოსთათვის ბუნების აუცილებლობაა. ყველაზე უბიწონიც კი, ბეთჰოვენი, ბრიუკერი, მუდამ სიყვარულის ტყვეობაში იმყოფებოდნენ; ყველა ადამიანური ძალა გაათკეცებული ჰქონდათ; და რაკი მათში ძალები წარმოსახვის ტყვეა, მათი გონებაც გამუდმებულ ვნებათა მსხვერპლად ქცეულა. უმეტეს შემთხვევაში ეს სწრაფწარმავალი ალია ხოლმე; ერთი მეორეს ანგრევს; და ყველანი შემოქმედი გონების ხანძარში დაინთქმებიან. მაგრამ როგორც კი სულს აღარ ავსებს გრდემლის მგზნებარება, დაუცველი სული ვნებათა სათამაშო ხდება, ურომლებოდაც არ ძალუძს გაძლება; სულს სწყურია ისინი, სული თავად წარმოშობს მათ; ვნებებმა უნდა დაფლითონ იგი... თან მძლავრ სურვილთან ერთად, ხორცს რომ გვიფორიაქებს, არსებობს სინაზის წყურვილიც, ცხოვრებისაგან გალახულსა და გაწბილებულ კაცს მანუგეშებლის მკლავებისაკენ რომ უბიძგებს. დიდი ადამიანი სხვაზე მეტადაა ბალღი; სხვაზე მეტად მას სჭირდება მიენდოს ქალს,

შუბლი მოასვენოს მის ნაზ ხელისგულებზე, მუხლებშუა ჩაღრმავებულ კაბის ნაოჭებში.

მაგრამ კრისტოფს ეს არ ესმოდა... არ სჯეროდა ვნების ფატალურობისა — რომანტიკოსების ამ მონაჭორის! მოვალეობის კაცი იყო და ფიქრობდა, ბრძოლის მოგებაც შეიძლებაო ნებისყოფის დაძაბვის ძალით... მისი ნებისყოფა! სად წასულიყო? კვალიც კი არ დარჩენილიყო მისგან. კრისტოფი შეპყრობილი იყო. დღისით და ღამით მოგონების ნესტარი გესლავდა. ანას სხეულის სუნი უღიტინებდა ნესტოებსა და ტუჩებში. მძიმე კატარღასავით იყო, ადგილს-მოწყვეტილს, უიალქნოს თავის ნებაზე რომ მიაქროლებს ქარი. ამაოდ ლამობდა გაქცევას: ერთსა და იმავე ადგილს უბრუნდებოდა ისევ და ისევ; და ქარში გაჰყვიროდა:

— დამლეწე, ქარო! რა გსურს, რას მერჩი?

რატომ მაინცდამაინც ეს ქალი შეხვდა?.. რატომ შეუყვარდა? გულისა და გონების სიკეთით მოხიბლა? განა სხვა ცოტა იყო უფრო ჭკვიანი და უკეთესი? ხორცის გულისთვის? კრისტოფს სხვა საყვარლებიც ჰყოლია, რომელთა ალერსიც უფრო საამურად ეჩვენებოდა. მაშ რატომ? რას დაემონებინა? „უყვართ იმიტომ, რომ უყვართ“. — დიახ, მაგრამ არსებობს ხოლმე მიზეზი, თუნდაც საყოველდღეო გონივრულობის საზღვრებს სცილდებოდეს! სიგიჟე? ესეც არაფერსა ხსნის. რამ გამოიწვია ეს სიგიჟე?

იმიტომ, რომ არსებობს სულის იდუმალებანი, ბრმა ვნებები, დემონები, რომლებსაც ყველა დაატარებს შიგანში გამომწყდეულთ. კაცის ყოველი ძალისხმევა, მას შემდგომ, რაც ადამის მოდგმა გაჩნდა ამქვეყნად, მიმართულ იყო იქით, რომ წინ აღდგომოდა ამ შინაგან ზღვას, დაეპირისპირებინა მისთვის თავისი გონებისა და რელიგიების კაშხალები: მაგრამ დაე, ამოვარდეს ქარიშხალი (ყველაზე უმდიდრეს სულებს უფრო ადვილად ერევათ იგი), დაიმსხვრეს კაშხალები, თავი აიწყვიტონ დემონებმა, შეეჯახონ სხვა, მსგავსი დემონებით შეძრულ სულებს... ისინი ერთიმეორეს ეკვეთებიან და მაგრად ეკონებიან. სიძულვილია ეს? სიყვარული? ურთიერთნგრევის სიშმაგე? ვნება მოსისხარი ნადირია.

ორი კვირა ამაოდ უძალიანდებოდა თავს; ბევრი ეცადა გაქცეულიყო, მაგრამ ვერა გააწყო რა. ისევ ანას სახლში დაბრუნდა. მისგან მოშორებით სიცოცხლე აღარ შეეძლო. სული ეხუთებოდა.

მაგრამ მაინც განაგრძობდა ბრძოლას. როცა დაბრუნდა, იმ საღამოს ორთავემ გამონახეს საბაბი, რომ ერთმანეთი არ ენახათ, არ ესადილათ ერთად; ღამით გასაღებით ჩაიკეტნენ ლაჩრულად, თვითეული თავის ოთახში. მაგრამ თავს მაინც ვერ მოერიენ. შუაღამისას ანამ ფეხშიშველამ მოირბინა, კარზე მოუკაკუნა; კრისტოფმა გაუღო; ქალი ლოგინში შეუწვა, ზედ მიეკრო გაყინული. ჩუმად ტიროდა. კრისტოფი გრძნობდა, ლოყაზე როგორ დასდიოდა

ქალის ცრემლები: ანა ცდილობდა დამშვიდებას; მაგრამ სატკივარმა სძლია და აქვითინდა. ბაგით კრისტოფის კისერს ეკვროდა. ამ მწუხარებით თავზარდაცემულ კაცს თავისი დარდი გადაავიწყდა; ცდილობდა დაემშვიდებინა საალერსო სიტყვებით. ანა კვნესოდა:

— რა უბედური ვარ, ნეტავი მოვკვდებოდე...

მისი ჩივილი გულს უფლეთდა კრისტოფს. კოცნა მოუნდომა. ქალმა ხელი ჰკრა.

— მეჯავრებით! რატომ მოხვედით?

თავი გაითავისუფლა მისი მკლავებიდან და ლოგინის მეორე მხარეს დაემხო. საწოლი ვიწრო იყო. თუმცა კი ორივე ცდილობდა არ მიჰკარებოდნენ ერთმანეთს, მაინც ეხებოდნენ. ანას ზურგი შეექცია კრისტოფისათვის და კანკალებდა ბრაზისა და მწუხარებისაგან. სასიკვდილოდაც კი ემეტებოდა კრისტოფი. კრისტოფი დუმდა კრიჭაშეკრული, დაზაფრული. სიჩუმეში ანას ყურს მისი ხვნეშა ჩაესმა, უეცრად შემობრუნდა, მკლავები შემოაჭდო კისერზე და უთხრა:

— საწყალო კრისტოფ! როგორ გაგტანჯე...

კრისტოფმა პირველად გაიგონა მისგან სიბრალულის სიტყვები.

— მაპატიე, — ჩურჩულებდა ქალი.

— ვაპატიოთ ერთმანეთს, — უთხრა კრისტოფმა.

ქალი წამოიწია ისე, თითქოს სულს ვეღარ ითქვამდა. ლოგინზე წამომჯდარმა, დარდით წელში მოხრილმა, თქვა:

— დავიღუპე... ასეთი ყოფილა ნება უფლისა. ღმერთმა მიმატოვა. მ ი ს წინააღმდეგ რა შემეძლო?

დიდხანს იჯდა ასე; მერე კვლავ დაწვა და აღარც განძრეულა. ცრიატმა შუქმა ამცნოთ ალიონის მოახლოება. დილაბნელში კრისტოფმა დაინახა მწუხარე სახე, მისას რომ ეკვროდა და გათენდაო, წაიჩურჩულა.

ქალი არ შერხეულა.

კრისტოფმა ჩაილაპარაკა:

— გათენდეს. განა სულერთი არაა?

ანამ თვალი გაახილა, საწოლიდან ნელა წამოიმართა; დაღლილობისაგან სიკვდილის პირას იყო მისული. საწოლის კიდეზე ჩამომჯდარი იატაკს დასჩერებოდა. ჩამქრალი ხმით უთხრა კრისტოფს:

— ამ ღამით მისი მოკვლაც გავიფიქრე.

კრისტოფი ელდანაკრავივით შეხტა.

— ანა! — უთხრა ქალს ყვედრებით.

ანა პირქუშად მისჩერებოდა ფანჯარას.

— ანა! — გაიმეორა კრისტოფმა, — ღვთის გულისათვის!.. იმას ნუ!.. ის ორთავეს გვჯობია.

— ჰო, იმას არა.

თვალი თვალში გაუყარეს ერთმანეთს.

უკვე დიდი ხანია, იცოდნენ, რა იყო ერთადერთი გამოსავალი. ასე სიცრუეში ჩაფლულებს ცხოვრება არ შეეძლოთ. არასოდეს მოსვლიათ აზრად, ერთად გავიქცეთო, რადგან გრძნობდნენ, რომ ეს არ იყო გამოსავალი: უარეს ტანჯვას გარეშე დაბრკოლებანი როდი უქადდათ; უარესი სატანჯველი თავად მათში, მათ განსხვავებულ სულებში იყო. ისინი ისევე ვერ შეძლებდნენ ერთად ცხოვრებას, როგორც უერთმანეთოდ. არავითარი გამოსავალი არ ჩანდა.

იმ წუთიდან აღარ მიალერსებიან ერთმანეთს. სიკვდილის ჩრდილი დასწოლოდათ და ერთიმეორისათვის წმიდათაწმიდანი გამხდარიყვნენ.

მაგრამ დღე არ დაუთქვამთ. გაურბოდნენ. ამბობდნენ, ხვალე, ხვალეო... და ამ ხვალეს თვალს არიდებდნენ. კრისტოფის ძლიერი სული ჯანყს მოეცვა. ვერ შეჰგუებოდა დამარცხებას; თვითმკვლელობა ზიზღს ჰგვრიდა, ვერ შერიგებოდა აზრს, რომ ასე უსახელოდ უნდა დაესრულებინა დიდი სიცოცხლე. ანაც, თუ არ იძულების ძალით, როგორ თანხმდებოდა სიკვდილზე, საუკუნო წაწყმედას რომ უქადდა? მაგრამ აუცილებლობის მსახვრალი ხელი მოხვდათ და წრეც თანდათანობით ვიწროვდებოდა მათ გარშემო.

იმ დილით, თავისი ღალატის შემდეგ კრისტოფი პირველად დარჩა ბრაუნთან მარტო. აქამდე ახერხებდა განრიდებას. ეს შეხვედრა მისთვის აუტანელი იყო. რაღაც მიზეზის გამოძებნა დასჭირდა, რომ მასპინძლისათვის ხელი არ ჩამოერთმია. მიზეზის გამოძებნა დასჭირდა იმისთვისაც, რომ სუფრაზე მასთან არ გაეტეხა პური: ლუკმა არ გადასდიოღა ყელში. ხელის ჩამორთმევა, მასთან პურობა იუდას ამბორს მოჰგავდა!.. ყველაზე საშინელი ის ზიზღი კი არ იყო, თავის თავის მიმართ რომ გრძნობდა, ეს ბრაუნის სატანჯველისადმი თანაგრძნობა გახლდათ. რომ გაიგოსო, ეს ფიქრი ჯვარს აცვამდა. კარგად იცოდა, რომ საბრალო ბრაუნი შურს თავის დღეში არ იძიებდა, იქნებ იმის ძალაც არ ჰყოფნოდა, შეეძულებინა მოღალატენი; მაგრამ რა თავზარი იქნებოდა მისთვის!.. რა თვალებით შემოხედავდა კრისტოფს! კრისტოფი გრძნობდა, რომ ვერ გაუძლებდა ამ მომდურავ თვალთა მზერას. თან ადრე თუ გვიან ქმარი უეჭველად შეიტყობდა. იქნებ უკვე უჭვობდა კიდეც? ორი კვირის უნახავი რომ ნახა, კრისტოფი გაოცდა, ისეთი გამოცვლილი ეჩვენა: ბრაუნი თავის თავს აღარ ჰგავდა. მისი სიმხიარულე სადღაც გაქრა, როგორღაც ნაძალადევი შეიქნა. სუფრასთან მალულად უჭვრეტდა ანას, რომელიც ხმას არ იღებდა, არ ჭამდა და ჭრაქივით ილეოდა. მორცხვად, გულისამაჩუყებელი მზრუნველობით სცადა ცოლის გული მოეგო; ქალმა მისი ზრუნვა ახლოსაც არ გაიკარა, უკმეხად მოიცილა თავიდან; მაშინ ქმარმა თეფშში ჩარგო ცხვირი და გაჩუმდა. შუა საუზმობაში რომ იყვნენ, ანამ მაგიდაზე დააგდო თავისი ხელსახოცი, სული ეხუთებოდა და ოთახიდან გავარდა. კაცებმა უსიტყვოდ დაასრულეს ჭამა, იქნებ თავს იკატუნებდნენ და არც კი ჭამდნენ; ვერც ერთი ვერ ბედავდა თვა-

ლების აწევას. ნასაუზმევს კრისტოფი წასასვლელად გაეჩქარა; უეცრად ბრაუნმა ორთავ ხელით დაუჭირა მკლავი:

— კრისტოფ!..

კრისტოფმა კრთომით შეხედა.

— კრისტოფ, — გაიმეორა ბრაუნმა (ხმა უკანკალებდა), — არ იცი, რა დაემართა?

კრისტოფს თითქოს მახვილი აძგერესო; ერთხანს პასუხი ვერ გასცა. ბრაუნი გაუბედავად უცქერდა; საჩქაროდ მოიხადა ბოდიში:

— შენ ხშირად ხედავ; გენდობა...

კრისტოფი მზად იყო ხელები დაეკოცნა მეგობრისათვის და პატიება ეთხოვა. ბრაუნმა დაინახა კრისტოფის შეძრწუნებული სახე და თავზარდაცემულმა მეტის დანახვა არ ისურვა; თვალებით ემუდარებოდა, ნურას მეტყვიო; ნაჩქარევად მოჰყვა ლუღლუღს, უჩურჩულა:

— შენც არაფერი იცი, ხომ?

— არა, — მწუხარედ მიუგო კრისტოფმა.

რა მწარეა თავის დადანაშაულება, თავის დამცირება რომ არ ძალგიძს. თორემ ვაი რომ გულს დაუფლეთ იმას, ვისაც უმუხთლე! მწარეა, რომ არ ძალგიძს თქვა სიმართლე, როცა შემომკითხველის თვალებში აშკარად ხედავ, რომ მას ბარ სურს, არ სურს იცოდეს ეს სიმართლე!..

— კეთილი, გმადლობთ; გმადლობთ, — უთხრა ბრაუნმა.

იდგა ასე, ხელებით კრისტოფის სახელოს ჩაფრენოდა, თითქოს კვლავ სურდა რაღაც ეკითხა, მაგრამ ვერ ბედავდა, თვალს არიდებდა. მერე ხელი უშვა, ამოიოხრა და ოთახიდან გავიდა.

კრისტოფი სულ გაანადგურა ამ თავისმა ახალმა ტყუილმა. ანასთან გაიქცა, მღელვარებისგან ენადაბმულმა უამბო, რაც შეემთხვა. ანამ პირქუშად მოუსმინა და თქვა:

— დაე, თუნდ იცოდეს! რას დავეძებ!

— მაგას როგორ ამბობ? — შეუწყრა კრისტოფი, — ქვეყნად არაფრის გულისათვის არ მინდა, რომ გაიტანჯოს!

ანა გაცეცხლდა:

— რომც გაიტანჯოს? განა მე კი არ ვიტანჯები? დე, ისიც გაიტანჯოს!

მწარე სიტყვები უთხრეს ერთმანეთს. კრისტოფი აყვედრიდა, შენი თავის მეტი არავინ გიყვარსო. ანა ჩიოდა, ჩემს ქმარზე უფრო მეტს ფიქრობ, ვიდრე ჩემზეო.

მაგრამ ორიოდ წუთის შემდეგ, როცა კრისტოფმა უთხრა, ასე სიცოცხლე აღარ შემიძლია, წავალ და ბრაუნს გავუმხელ ყველაფერსო, ახლა ქალმა აქეთ დაუძახა ეგოისტი, უყვიროდა, შენი სინდისის ქენჯნას მე არ დავეძებ, ბრაუნმა არაფერი არ უნდა შეიტყოსო.

მწარე სიტყვებს კი ამბობდა, მაგრამ ბრაუნზე იმდენსვე ფიქრობდა, რამ-

დენსაც კრისტოფი. თუმცა ქმარი ჭეშმარიტი სიყვარულით თავის დღეში არ ჰყვარებია, შეთვისებული იყო მასთან. რელიგიური მოწიწებით უცქეროდა სოციალურ კავშირებსა და წესებს, ისინი რომ აფუძნებდნენ. იქნებ არ სწამდა, რომ ცოლს ევალებოდა კეთილი და ქმრის მოყვარული ყოფილიყო; მაგრამ ფიქრობდა, ქალს ვალად აძევს გულმოდგინედ გააკეთოს საოჯახო საქმეები და ქმარს უერთგულოსო. ქმარს რომ უღალატა, თავს ამუნათებდა, უღირსი საქციელი ჩავიდინეო.

და კრისტოფზე უკეთ მას მოეხსენებოდა, რომ ბრაუნი სულ მალე შეიტყობდა ყველაფერს. საქებურიც კი იყო, ამას რომ უმალავდა საყვარელს, იქნებ არ სურდა მისთვის ზედმეტი სადარდებელი ეჩინა, იქნებ თავმოყვარეობა უკრძალავდა ბოლომდე განდობოდა კრისტოფს.

რა კარდახშულიც არ იყო ბრაუნის სახლი, რა საიდუმლოებით მოცულიც არ უნდა დარჩენილიყო ბურჟუაზიული დრამა, შიგ რომ გათამაშდა, რაღაცამ მაინც გამოჟონა გარეთ.

ამ ქალაქში არავის შეეძლო დაეკვეხნა, ჩემს ცხოვრებას სხვისი თვალი ვერ მოხვდებაო. უცნაური კია, ქუჩებში არავინ შემოგყურებთ; სახლების კარდარაბა დახშულია. მაგრამ ფანჯრების კუთხეში სარკეები ჰკიდია; და თუ ვინმემ გაიარა, ისმის შეღებული და მსწრაფლ მიხურული დარაბების ყრუ ხმაური. არავის ედარდება თქვენი თავი, თითქოს არც გიცნობენ; მაგრამ ერთი დღეც იქნება და დაინახავთ, რომ არც ერთი თქვენი სიტყვა, არც ერთი თქვენი ჟესტი არ გამოპარვიათ: იციან, რას აკეთებთ, რა გითქვამთ, რა გინახავთ, რა გიჭამიათ; ისიც კი იციან, რა გიფიქრიათ და მოჰკვეხენ კიდეც, საყოველთაო, ფარული ზედამხედველობა დაუწესებიათ თქვენზე. შინამოსამსახურენი, მიმტან-მომტანნი, ნათესავები, მეგობრები, მტერ-მოყვარეები, შემთხვევითი გამვლელები — ყველანი თანამშრომლობენ უსიტყვო თანხმობით ამ ქვეშეუცნობელ ჯაშუშობაში, რომლის განთესილი ნაწილაკებიც რაღაც მანქანებით გაერთიანდება ხოლმე. მარტო თქვენს ნამოქმედარს კი არ ადევნებენ თვალყურს, თქვენს გულშიაც იქექებიან. ამ ქალაქში არავის არა აქვს უფლება თავისი სინდისის საიდუმლო დაიმარხოს; ყველას შეუძლია თქვენს სულში ჩაიხედოს, ხელები აფათუროს შიგ და თუ რამ საზოგადოების შეურაცხმყოფელი შეხვდა, პასუხიც მოგთხოვოთ. კოლექტიური სულის უხილავი დესპოტიზმი მძიმედ დასწოლია პიროვნებას; იგი მთელი თავისი სიცოცხლე მეთვალყურეობის ქვეშ მყოფი ბალღია; არაფერი მისი მას არ ეკუთვნის: ის თვითონ ქალაქის კუთვნილებაა.

საკმარისი იყო ანა ორ კვირას ზედიზედ გამოკლებოდა წირვას, რომ ეპვი აღძროდათ. ჩვეულებრივ თითქოს ვერავინ ამჩნევდა მის ყოფნა-არყოფნას ღვთისმსახურებაზე: ანა გაკიდეგანებული იყო და ქალაქსაც, იტყოდით, არ

ახსოვსო მისი არსებობა. იმ პირველ კვირას, როცა ქალი არ მივიდა ეკლესიაში, მისი არყოფნა ყველამ შეიტყო, ყველამ შემოინახა მეხსიერების ბნელ კუნჭულში. მომდევნო კვირას არც ერთ ღვთისმოსავს, ბიბლიის წმიდა სიტყვებს რომ ადევნებდა თვალს ან მღვდლის ბაგეთაგან მომდინარეთ უპყრობდა ყურს, ყურადღება არ გაფანტვია, მაგრამ არც ერთს შეუნიშნავი არ დარჩენია შემოსვლისას და შეუმოწმებელი ეკლესიიდან გასვლისას, რომ ანას ადგილი ცარიელი იყო. მეორე დღიდან ანას ისეთი ვინმეები ეწვივნენ, რამდენიმე თვე რომ არ ენახა. რას არ იმიზეზებდნენ: ერთი იმას იტყოდა, შევშინდით, ავად ხომ არ გახდაო, მეორენი რატომღაც დაინტერესებულიყვნენ მისი საქმეებით, მისი ქმრით, მისი სახლ-კარით. ზოგმა საოცრად კარგად იცოდა, რა ხდებოდა ანას ოჯახში; არც ერთს არ გადაუკრავს სიტყვა (მოუხერხებელი ხერხიანობით), რომ ანა ორჯერ გამოაკლდა საკვირაო წირვას. ანამ თავი მოიავადმყოფა, რაღაც საქმეები მოიმიზეზა. სტუმრები ყურადღებით უსმენდნენ, კვერს უკრავდნენ: ანამ იცოდა, რომ ერთი სიტყვაც კი არ სჯეროდათ მისი. თვალებს აცეცებდნენ ირგვლივ, ჩხრეკდნენ, ინიშნავდნენ, გულის ფიცარზე იწერდნენ. თავიანთი ცივი გულკეთილობა არ მოუშლიათ, ხმამაღლა ეუბნებოდნენ საამებელ სიტყვებს, მაგრამ თვალებში ეტყობოდათ, უბოდიშო ცნობისმოყვარეობა რომ ღრღნიდათ. ორმა თუ სამმა გადამეტებულის განურჩევლობით იკითხა ბატონი კრაფტის ამბავი.

რამდენიმე დღის შემდეგ — (ეს კრისტოფის არყოფნაში მოხდა) — თვითონ მღვდელიც მოვიდა. ლამაზი კაცი იყო, გულკეთილი, საუცხოო ჯანის პატრონი, გულღია, თავის დღეში არაფერი უმღვრევდა სიმშვიდეს. ასე იმათ სჩვევიათ, ვინც დარწმუნებულია, რომ ჭეშმარიტება უპყრიათ ხელთ. ანას თანაგრძნობით გამოჰკითხა ჯანმრთელობის ამბავი, ზრდილობიანი დაფანტულობით დაუგდო ყური ქალის ბოდიშებს, სიამოვნებით დათანხმდა ფინჯან ჩაიზე, მოსწრებულად იხუმრა, ბიბლიაში რომ ღვინოა ნახსენები, უთუოდ უალკოჰოლო სასმელი იყოო; რამდენიმე ციტატი მოიხმო, ანეგდოტიც მოაყოლა და წასვლისას სასხვათაშორისოდ სიტყვა გადაუკრა: ცუდ ნაცნობობას, სეირნობას, ურწმუნოების სულისკვეთებას ბევრი ზიანი მოაქვსო; ელაპარაკა ცეკვის სიბილწეზე, ხორციელ ნდომებზედაც ჩაუარაკა, თითქოს სადღეისო ჭირს ეხებოდა და არა ანას. ერთხანს გაჩუმდა, ჩაახველა, წამოდგა, ბატონი ბრაუნისათვის ენამოქარგული ქათინაურები დააბარა დიასახლისს. ლათინურად წაიხუმრა, გამოეთხოვა და წავიდა. ანას სისხლი გაუყინა მისმა ნართაულად თქმულმა. ან კი ნართაული იყო? საიდან შეიტყო მღვდელმა კრისტოფის და ანას გასეირნების ამბავი? იქ ნაცნობი არავინ შეხვედრიათ. მაგრამ ამ ქალაქში განა რამე დაიმალება? დუქნის წინ მოცეკვავე შავკაბიანი ყმაწვილი ქალი და დასამახსოვრებელი გარეგნობის მქონე მუსიკოსი შეუნიშნავი არ დარჩენიათ; აღწერეს კიდეც; და რაკი ნათქვამი პირიდან პირში გადადის, ხმამ ქალაქშიაც ჩამოაღწია, სადაც მეჭორეთა გაღვიძებულმა

მტრობამ ანა შეიცნო. ცხადია, ეს ჯერ მხოლოდ ჭორი იყო, მაგრამ საოცრად მიმზიდველი; ამას ანას შინამოსამსახურის ნალაპარაკევიც ერთვოდა. საზოგადოებრივი ცნობისმოყვარეობა ახლა გადარაჯებული იყო, ელოდა, როდის გაიტეხდნენ სახელს, ათასი უხილავი თვალი უთვალთვალებდათ. მდუმარე თვალთმაქცი ჩასაფრებოდათ, როგორც გადარაჯებული კატა.

საფრთხის მიუხედავად ანა იქნებ არც დანებებულიყო; გააფთრებულს იქნებ მეტადაც გაეხელებინა ეს მხდალი მტრები, თვითონაც ამ საზოგადოების ფარისევლური მორალის ტყვეობაში რომ არ ყოფილიყო, მისი ავის მდომელი საზოგადოებისა. აღზრდამ მოდრიკა ყმაწვილი ქალის ბუნება. ტყუილად კილავდა მეჭორეთა აზრის სიკნინეს და ტირანიას: თავადაც პატივსა სცემდა; ხელს აწერდა მათ განაჩენს, მაშინაც კი, როცა ეს განაჩენი მის წინააღმდეგ იყო მიმართული; მათ სინიდისს რომ წინააღსდგომოდა, საკუთარ სინიდისს დასდებდა ბრალს. ქალაქი ეზიზღებოდა; და ქალაქის ზიზღს ვერასგზით ვერ აიტანდა.

ერთი სიტყვით, დგებოდა წუთი, როცა საერთო ავყიაობას შემთხვევა ეძლეოდა სამზეოზე გამოსულიყო. კარნავალი ახლოვდებოდა.

კარნავალმა ამ ქალაქში იმ დრომდე, როცა ზემოაღწერილი ამბები ხდებოდა, გარდასულ დროთა თავისუფლება და სიმძაფრე შეინარჩუნა (მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა). თავისი წყაროების ერთგულს, როცა იგი კაცთა ნებით თუ უნებლიეთ დამონებული და ხუნდდადებული გონებითი სიბილწის უეცარი გამონთება იყო, არსად იმდენი სითამამე არ ჰქონია, როგორც იმ დროებასა და იმ ქვეყნებში, სადაც ხალხი ზნეობითა და კანონებით, გონიერების ამ მცველებით მაგრად იყვნენ დაარტახებულნი; ამიტომ ანას ქალაქიც ერთ ასეთ რჩეულ მიწად უნდა დარჩენილიყო. რაც უფრო მეტად ბოჭავდა მორალური რიგორიზმი ადამიანებს, რაც უფრო მეტად სჩრიდა მოლაპარაკეთ პირში ალიკაპს, რამდენიმე დღის განმავლობაში ქალაქელთა მიხრა-მოხრა მით უფრო თამამი ხდებოდა და ხმაც უფრო თავისუფლად ჟღერდა. რაც კი სულის სიღრმეში ჰქონდათ დალექილი: ეჭვიანობა, შური, დაფარული სიძულვილი, ურცხვი ცნობისმოყვარეობა, სოციალური ცხოველის თანდაყოლილი ავისმოსურნეობა, სამზეოზე გამოდიოდა და ტკბებოდა შურისძიებით. ყველას უფლება ჰქონდა ქუჩაში გამოსულიყო და ფრთხილად შენიღბულს სამარცხვინო ბოძზე გაეკრა საჯაროდ ის, ვინც სძულდა, გამვლელებისათვის გადმოეფინა, რაც ერთი წლის რუდუნებითა და მოთმინებით ჰქონდა გაგებული, წვეთ-წვეთობით დაგროვილი მთელი განძი სკანდალური საიდუმლოებებისა. ზოგი ეტლიდან ქადაგებდა, ზოგი გამჭვირვალე ფრანგს დაატარებდა, რომლებშიაც სიტყვით თუ სურათებით მავანთა და მავანთა საიდუმლო იყო გამომზეურებული. ზოგი მტრის ნიღბის წამოცმასაც ბედავდა, და ისეთი ადვილი საცნობი იყო, რომ ქუჩის ონავრები სახელს მიჰკიოდნენ. ჭორების გაზეთიც კი გამოდიოდა ამ სა-

მი დღის მანძილზე. მაღალი წრის ხალხიც ფარულად ებმოდა ამ პასკვინოს[1] თამაშში. ხალხს არავინ უწევდა კონტროლს; ოღონდ პოლიტიკურ გამოხდომებს არ აპატიებდნენ, — ლაგამწაყრილი თავისუფლება რამდენჯერმე გამხდარა ქალაქის მმართველობასა და უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლებს შორის დავისა და ცილობის მიზეზი. მაგრამ მოქალაქეებს მოქალაქეებისაგან არაფერი იცავდა; და ეს გამუდმებით მოდარაჯე შიში ხალხში თავის მოჭრისა ცოტათი როდი უწყობდა ხელს, აქაურთა ზნეობა გარეგნულად უზადოდ სჩვენებოდა ყველას, რითაც ქალაქს დიდად მოჰქონდა თავი.

ანას, თუმც კი საშიშარი ბევრი არაფერი ჰქონდა, მოსვენება დაეკარგა. ძალიან მცირე ადგილი ეჭირა ქალაქელთა წარმოსახვაში, რომ ვინმეს აზრად მოსვლოდა შემოეტია. მაგრამ შიშს დიდი თვალები აქვს და სრულ სიმარტოვეში, დღეს რომ უსწრაფებდა, ქანცგაცლილს, მეტისმეტად ამღელვარებულსა და რამდენიმე კვირის უძილობით განაწამებს ყველგან საფრთხე და ხაფანგი ელანდებოდა. აზვიადებდა იმათ ღვარძლიანობას, ვისაც სიყვარულს ვერ ატყობდა. თავს ეუბნებოდა, ეჭვით მიცქერიან, კვალს მიაგნესო; მცირეოდენიც კი კმაროდა მის დასაღუპად; და ვინ დაარწმუნებდა, რომ უკვე ყველაფერი არ იღონეს მის ჩასაქოლად? მაშინ უმოწყალოდ გალანძღავდნენ, გაათრევდნენ, დაუნდობლად ტანთ შემოსძარცვავდნენ, გამვლელებს სასეიროდ გაუფენდნენ მის გულს; ასეთ სასტიკ შერცხვენას ანა ვერ აიტანდა, უმალ სირცხვილით მოვკვდებიო, ფიქრობდა. ამბობდნენ, რამდენიმე წლის წინ ერთმა ყმაწვილმა ქალმა ასეთ დევნას ვერ გაუძლო და თავისიანებთან ერთად ქალაქიდან გადაიხვეწაო... და ვერაფერს, ვერაფერს იღონებდა კაცი თავდასაცავად, ვერაფრით აღუდგებოდა წინ მტრებს, ვერც იმას შეიტყობდა, საქმე როგორ შეტრიალდებოდა. ეჭვი კიდევ უფრო გულისმომწყვლელი იყო, ვიდრე დაბეჯითებით ცოდნა. ანა დევნილი ნადირივით აცეცებდა თვალებს. იცოდა, რომ საკუთარ სახლშიაც მტერი ასჩენოდა.

ანას მოახლეს, ორმოც წელს გადაბიჯებულ ქალს, ბები ერქვა სახელად: დიდი, ღონიერი ქალი იყო, ვიწრო სახე ჰქონდა, ზემოთ წაწვეტებული, ქვემოთ კი — განზე გაზიდული და ჩამოგრძელებული, ყბებთან — გამხმარ მსხალივით ფუნთუშა; მუდამ ღიმილი დასთამაშებდა ბაგეზე; თვალები ბურღივით გამჭოლი ჰქონდა, ღრმად ჩამსხდარი, ჩავარდნილი, უჩინარ წამწამებიან, გაწითლებული ქუთუთოებიდან გამომზირალი. სულ აღტაცებული იყო მხიარულებით. მუდამ მოხიბლული ჩანდა ბატონებით, მუდამ ყველაფერში ემოწმებოდა; თუ უქეიფობას ამჩნევდა, გულისამაჩუყებელი ინტერესით კითხულობდა მათი ჯანმრთელობის ამბავს; სულ იღიმებოდა, როცა რაიმეს უბრძანებდნენ; იღიმებოდა მაშინაც, როცა საყვედურობდნენ რასმე. ბრაუნს კუბოს

[1] პასკვინო ხალხური სახელწოდებაა რომში მდგარი ერთი ანტიკური ქანდაკებისა, რომლის კვარცხლბეკზედაც შუა საუკუნეებში რომაელები საჯარბოროტო საკითხებზე დაწერილ ეპიგრამებს აკრავდნენ ხოლმე. სიტყვა „პასკვილიც“ სწორედ აქედან მომდინარეობს.

კარამდე ერთგული ეგონა იგი. მისი მლიქვნელური მზერა საოცრად არ ესადაგებოდა ანას ცივ გამოხედვას. მაგრამ ბევრ რამეში ჰგავდნენ ერთმანეთს: ბები ქალბატონივით ცოტას ლაპარაკობდა, მასავით ფაქიზად და მკაცრად ეცვა; მასავით ერთობ მორწმუნე იყო, წირვაზე სულ დაჰყვებოდა, ზედმიწევნით ასრულებდა, რასაც რწმენა ავალებდა, გაფაციცებით ცდილობდა შინაც რიგიან-პირიანად წაეყვანა საქმე: ფხეკდა, ასუფთავებდა, უზადოდ ეჭირა თავი, მზარეულობაშიც წუნს ვერ უპოვიდა კაცი, ყველაფერს დროულად აკეთებდა. ერთი სიტყვით, სანიმუშო მსახური იყო, სრულყოფილი ტიპი შინაური მტრისა. ანა ქალური ალღოთი გრძნობდა სხვა ქალთა იდუმალ ზრახვებს და თავის მსახურსაც მაინცდამაინც დიდის ნდობით არ ეკიდებოდა. ანას და ბების სძულდათ ერთმანეთი, იცოდნენ ესა და გარეგნულად არაფერს იმჩნევდნენ.

იმ ღამით, როცა კრისტოფი დაბრუნდა და მწუხარებით ქენჯნილი ანა მასთან მივიდა, თუმცა კი დაფიცებული ჰქონდა, ჩემს დღეში არ ვნახავო, ქურდულად რომ მიიპარებოდა ბნელ დერეფანში კედლებზე ხელების ცეცებით, როცა უკვე კრისტოფის ოთახში უნდა შესულიყო, შენიშნა, რომ ფეხქვეშ გლუვი და ცივი პარკეტის ნაცვლად თბილი მტვერი მოხვდა, რაღაცნაირად რომ იფშვნებოდა. დაიხარა, ხელი მოუთათუნა იატაკს და მიხვდა: ნაცრის თხელ ფენას დაეფარა დერეფანი ორი თუ სამი მეტრის მანძილზე. ბებიმ თვითონაც არ იცოდა, ისე მიაგნო ბრეტონულ ლეგენდროინდელ ძველ, ნაცად ეშმაკობას, ქონდრისკაცმა ფროსენმა რომ გამოიყენა ტრისტანისა და იზოლდას სამხელად[1]. აკი სიკეთეშიაც და სიავეშიაც ტიპების შეზღუდული რაოდენობა ემსახურება საუკუნეებს. ეს დიდი საბუთია სამყაროს ბრძნული ხელმომჭირნეობისა! ანა არ შეყოყმანებულა, გზა განაგრძო მტრის ჯინაზე. კრისტოფთან შევიდა, მისთვის არაფერი უთქვამს, თუმც კი ძალიან ეშინოდა; მაგრამ დაბრუნებისას აიღო ბუხრის ცოცხი და როცა გაიარა, გულმოდგინედ წაშალა ნაცარზე თავისი კვალი. ანა და ბები ერთად რომ შეიყარნენ დილით, ერთი ჩვეული სიცივით შეხვდა, მეორემ ჩვეული ღიმილი შეაგება.

ბების ხანდახან მასზე ცოტა ხნიერი ნათესავი ეწვეოდა ხოლმე; ეს კაცი ტაძრის მცველად მსახურობდა; Gottesdienst-ის (ღვთისმსახურების) დროს გუშაგად იდგა ეკლესიის კარებში, კომბალს დაყრდნობილი, ხელზე შავზოლიანი, თეთრი, ვერცხლის ზოლებიანი სამკლავურით; ხელობით მეკუბოვე იყო. სახელად სამი ვიჩი ერქვა. ძალიან მაღალი, გამხდარი კაცი იყო, თავჩაკიდებით სიარული იცოდა, გლეხური სახე მუდამ სუფთად ჰქონდა გაპარსული. ღვთისმოშიში გახლდათ და ყველაზე უკეთ მან უწყოდა, მრევლის თითოეულ წევრზე რა ხმები დადიოდა. ბებისა და სამის შეუღლება ეწადათ; ერთმანეთის სერიოზულობა მოსწონდათ, ღრმა რწმენა და საკუთარი სიბოროტე. მაგრამ

[1] XII საუკუნის ბრეტონულ ლეში, სადაც ტრისტანსა და იზოლდას სიყვარულის ამბავია მოთხრობილი, აღწერილია, როგორ გამოიყენა ქონდრისკაცმა იატაკზე მიმობნეული ფქვილი მიჯნურთა სამხელად.

არ ჩქარობდნენ; ფრთხილად უთვალთვალებდნენ ერთიმეორეს. უკანასკნელ ხანებში საშიშ სტუმრობას მოუხშირა. ისე მოდიოდა, რომ ვერავინ ტყობილობდა. ყოველთვის, როცა ანა სამზარეულოს წინ ჩაივლიდა, ფანჯრის მინაში ხედავდა ღუმლის წინ მიმჯდარ სამისა და რამდენიმე ნაბიჯს იქით საკერავით ხელში ჩამომჯდარ ბების. რამდენიც არ უნდა ელაპარაკათ, არაფერი ისმოდა. მოჩანდა ბების გაბრწყინებული სახე და მისი ტუჩების ცმაცუნი; სამის დიდრონ, მკაცრ პირს უხმო სიცილი მანჭავდა; ერთს არ გახსნიდა ბაგეს სიტყვის სათქმელად. სახლი თითქოს დამუნჯებულიყო. როცა ანა სამზარეულოში შევიდოდა, სამი მოწიწებით დგებოდა და უსიტყვოდ იდგა ფეხზე მანამ, სანამ დიასახლისი კარს არ გაიხურავდა. ბები კარის გაღების ხმას რომ მოჰკრავდა ყურს, საჩქაროდ სწყვეტდა უმნიშვნელო საგანზე საუბარს და ანას პირფერული ღიმილით მიაქერდებოდა მისი ბრძანების მომლოდინე. ანა ფიქრობდა, ჩემზე ლაპარაკობდნენო; მაგრამ ისე ეზიზღებოდა ორთავე, რომ თავს არ იმცირებდა მალული მიყურადებით.

ერთი დღის შემდეგ, რაც ანამ ოსტატურად ჩაუშალა ფერფლის ხაფანგი, სამზარეულოში შესულს პირველი, რაც თვალში მოხვდა, ცოცხი იყო, იმ ღამეს რომ იხმარა კვალის წასაშლელად; სამის ეჭირა ხელში. ანამ ეს ცოცხი კრისტოფის ოთახიდან წაიღო და ამ წუთამდე არც გახსენებია, რომ დაავიწყდა მისი უკან მიტანა; თავის ოთახში დარჩენოდა და ბების გამჭრიახმა თვალებმაც უმალვე შენიშნა. ჭორიკანებმა მომხდარი თავად აღადგინეს. ანას წარბიც არ შეუხრია. ბებიმ თვალი მიაყოლა მის მზერას და გადაჭარბებული ღიმილით უთხრა:

— ცოცხი გატყდა; სამის მივეცი შესაკეთებლად.

ანას თავი არ შეუწუხებია ამ უხეში სიცრუის გასაბათილებლად; თითქოს ვერც კი გაიგონა ნათქვამი; ბების ხელსაქმეს დახედა, მსახურ ქალს დარიგება მისცა და ზვიადად გამოვიდა. მაგრამ კარი მოხურა თუ არა, მთლად წაუხდა ნირი; თავი ვერ შეიკავა და დერეფნის კუთხეში მიყუჟულმა მიაყურადა (სულის სიღრმემდე დამცირებულად გრძნობდა თავს, ამ ხერხს რომ მიმართა...). რაღაც ხითხითი შემოესმა. ხითხითს ჩურჩული მოჰყვა, ისეთი ხმადაბალი, რომ ქალმა ვერაფერი გაარჩია. მაგრამ თავზარდაცემულს მოეჩვენა, გავიგონეო: წარმოიდგინა, მომავალ მასკარადზე და შარივარიზე ლაპარაკობენო. ეჭვი არ იყო: ფერფლის ამბავი სურდათ გამოეტანათ სამზეოზე... იქნებ ცდებოდა; მაგრამ იმ საშინელი მღელვარების ჟამს ორი კვირა აკვიატებული ფიქრი არ ასვენებდა, ხალხში სამუდამოდ თავი მომეჭრებაო. მოსალოდნელი უბედურება გარდუვალად ესახებოდა.

ჰოდა, გადაწყვეტილებაც მიიღო.

იმავე დღის საღამოს (ოთხშაბათი იყო, სახსნილო დღეებს რომ უსწრებს წინ, ის ოთხშაბათი,) ბრაუნს ავადმყოფთან უხმეს, ქალაქიდან ოცი კილო-

მეტრის მანძილზე: მეორე დილამდე არ დაბრუნდებოდა. ანა სადილად ძირს არ ჩამოსულა, თავის ოთახში შეიკეტა. ეს ღამე აირჩია იმ უსიტყვო აღთქმის აღსასრულებლად, ხელი რომ მოაწერა. მაგრამ გადაწყვიტა მარტოს მოეკლა თავი, კრისტოფთან კრინტიც არ დაეძრა. კრისტოფი ეზიზღებოდა; ფიქრობდა:

— შემპირდა, მაგრამ კაცია; ეგოისტი და მატყუარა; თავისი ხელოვნება აქვს, მალე დაივიწყებს ყველაფერს.

თან იქნებ ამ მშფოთვარე გულში, რომლისთვისაც თითქოს უცხო იყო ყოველგვარი სიკეთე, მეგობრისადმი სიბრალულის გრძნობას დაედო ბინა; მაგრამ ძალზე უხეში და ჟინიანი იყო, თავსაც რომ გამოსტყდომოდა.

ბებიმ უთხრა კრისტოფს, ქალბატონი ბოდიშს იხდის, ცოტა უქეიფოდაა და მოსვენება სწადიაო. კრისტოფმა მარტო ივახშმა ბების მეთვალყურეობის ქვეშ; მოახლემ დაღალა თავისი ენაწყლიანობით; უნდოდა კრისტოფისათვისაც ამოედგმევინებინა ენა; ისეთ გადამეტებულ მზრუნველობას იჩენდა ანას მიმართ, რომ თუმცა კრისტოფს სულ მიამიტად სჯეროდა ადამიანების სიკეთისა, უნდობლობა აღეძრა გულში. სწორედ ამ საღამოთი სურდა ესარგებლა, რომ გადამწყვეტი საუბარი გაემართა ანასთან. მასაც არ შეეძლო მეტი გადადება. როდი დავიწყებოდა ვალი, ერთად რომ იტვირთეს იმ მწუხარე დილით. მზად იყო აღესრულებინა მიცემული სიტყვა, თუ ანა მოითხოვდა. მაგრამ ხედავდა ამ ორი თვითმკვლელობის უაზრობას, არაფერს რომ არ სწყვეტდა, ბრაუნს კი მწუხარებასა და სამუდამო შერცხვენას უქადდა. ფიქრობდა, უმჯობესია ერთმანეთს განვერიდოთ, კიდევ ერთხელ ვეცადოო აქედან გადაკარგვას, თუ ქალთან მოშორებით ყოფნას გავძლებო. მაგრამ პირველი გაქცევით საწადელს ვერ ეწია და ახლაც ეშვობდა, ამ გზას რომ დავადგე, ვაი თუ ისევ ვერა გავაწყო რაო. თავს კი აჯერებდა, თუ უმისობას ვერ ავიტან, ყოველთვის შემიძლია მარტომ ვიკრა შუბლში ტყვიაო.

იმედი ჰქონდა, ნავახშმევს მოვახერხებ ცოტა ხნით ანას ოთახში ასვლასო. მაგრამ ბები წამითაც არ სცილდებოდა. ჩვეულებრივ ადრიანად ითავებდა საქმეს; იმ საღამოს კი ვერაფრით მორჩა სამზარეულოს ფხეკა-დასუფთავებას; და როცა კრისტოფმა იფიქრა, მეშველა, თავიდან მოვიცილეო, განჯინის დალაგება დაიწყო, რომელიც ანას ოთახისაკენ მიმავალ დერეფანში იდგა. კრისტოფს საფუძვლიანად გადამჯდარი დაუხვდა ტაბურეტზე, და კაცი მიხვდა, ამ საღამოს აქედან ფეხს არ მოიცვლისო. გაცოფებულს სურვილი კლავდა ძირს ჩამოეგდო თავის თეფშებიანა; მაგრამ თავი მოითოკა და სთხოვა, წადით, ნახეთ, ქალბატონი როგორ არის და ნებას თუ დამრთავს ძილი ნებისა ვუსურვორ. ბები წავიდა, დაბრუნდა, ცბიერი სიხარულით დააკვირდა და უთხრა, ქალბატონი უკეთაა, ეძინება და ითხოვს, აქ ნურავინ შემოვაო. გაღიზიანებულმა და აღელვებულმა კრისტოფმა კითხვა სცადა, ვერ შეძლო და თავის ოთახში ავიდა. ბები უთვალთვალებდა, სანამ შუქი არ ჩააქრო და თვითონაც ამოვიდა; გადაწყვეტილი ჰქონდა მთელ ღამეს ეფხიზლა, კარიც ოდნავ ღრიჭედ დაე-

ტოვებინა, მცირეოდენი ჩქამიც რომ არ გამოპარვოდა მის ყურს. მაგრამ მისდა საუბედურო მიდებდა თუ არა თავს, მაშინვე ეძინებოდა ხოლმე, თანაც ისე ღრმად, რომ მეხსა და თვით ცნობისმოყვარეობასაც კი არ შეეძლო მისი გამოღვიძება, სანამ არ გათენდებოდა. ეს ამბავი არავისთვის იყო საიდუმლო. მისი ხვრინვა ქვემო სართულშიაც ისმოდა.

როცა კრისტოფს ეს ნაცნობი ხმა ჩაესმა ყურში, ანას ოთახს მიაშურა, უნდა მოლაპარაკებოდა. უჩვეულო მღელვარებას შეეპყრო. კარებთან მივიდა, სახელური მოჰქაჩა: კარი დაკეტილი დახვდა. ფრთხილად დააკაკუნა: არავინ გამოპასუხებია... ბაგე ჭუჭრუტანას მიადო, ხმადაბლა შეემუდარა, ჩააცივდა: არავინ შერხეულა, არც ჩქამი რამ მისწვდომია მის ყურს. ამაოდ ირწმუნებდა თავს, ანას სძინავსო; კაეშანმა მოიცვა. მიყურადება უნდოდა და როცა ლოყა მიადო კარებს, რაღაც სუნმა გააოცა, რომელიც ბითქოს ზღრუბლიდან გამოდიოდა; დაიხარა და იცნო: გაზის სუნი იყო. სისხლი გაეყინა ძარღვებში. კარი შეარყია, აღარ უფიქრია, ბების გამოეღვიძებაო: კარი გაუძალიანდა, არ დაჰყვა მის ნებას... მაშინ კი მიხვდა: ანას თავისი ოთახის გვერდით, საპირფარეშოში პატარა გაზის ქურა ედგა; ეტყობა, გააღო. კარი უნდა შეემტვრია; მაგრამ თავდაკარგულსაც იმდენი გონება შერჩა, რომ გაახსენდა, ბებიმ არაფრის დიდებით არ უნდა შეიტყოსო. კარს მიაწვა რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ჩუმად, უხმაუროდ. ვეება, საგულდაგულოდ ჩაკეტილმა კარმა დაიჭრიალა თავის ანჯამებზე, მაგრამ გაღებით არ გაღებულა. კიდევ იყო ერთი კარი, ანას ოთახში ბრაუნის კაბინეტიდან რომ შედიოდა. კრისტოფი იქით ეცა. ისიც დაკეტილი დაუხვდა; მაგრამ საბედნიეროდ აქ საკეტი გარეთ იყო. კრისტოფმა მისი მოგლეჯა სცადა. ეს იოლი საქმე როდი გახლდათ. ხეში ჩაჭედილი ოთხი დიდი ჭანჭიკი უნდა ამოეძრო. ხელთ მარტო ერთი ჯაყვა ჰქონდა; თან ვერაფერს ხედავდა, რადგან სანთლის ანთება ვერ გაებედა; რომ აენთო, შეიძლებოდა სახლი აფეთქებულიყო. ხელის ცეცებით მოუნახა ერთ ჭანჭიკს თავი, დანა ჩაასო, მერე მეორეს მისწვდა, დანას ფხა დაუჩლუნგდა, ხელი გაიჭრა: ეჩვენებოდა, ეს ჭანჭიკები უსაშველოდ გრძელია, ჩემს დღეში ვერ მოვახერხებ მათ ამოძრობასო; და უეცრად, ამ ცხელებიან სიჩქარეში, ტანზე სიმწრის ოფლს რომ ასხამდა, ბავშვობის მოგონება ამოუტივტივდა მეხსიერებაში: მოაგონდა, ათი წლისა რომ დასაჯეს და ბნელ ოთახში გამოკეტეს; საკეტი მოამტვრია კარს და გაიქცა... უკანასკნელი ჭანჭიკიც დანებდა. საკეტი ამოვარდა ნახერხის შრიალით. კრისტოფი ოთახში შევარდა, ფანჯარა გამოაღო... ცივი ჰაერის ტალღა შემოიჭრა სახლში. კრისტოფი ავეჯს ეჯახებოდა, ბნელში ხელების ცეცებით მაინც მიაგნო საწოლს, ანას სხეულს დასწვდა აკანკალებული ხელებით, საბნისქვეშ უძრავი ფეხები მოუსინჯა, წელამდე ავიდა: ანა საწოლზე იჯდა და კანკალებდა. ჯერ არ მოწამლულიყო: ოთახს მაღალი ჭერი ჰქონდა, ჰაერი ატანდა ფანჯრის და კარის ღრიჭოებში. კრისტოფმა მკლავები მოხვია ქალს. ანა გააფთრებით უსხლტებოდა ხელიდან, ყვიროდა:

— წადი აქედან!.. ეს რა მიყავი?..

სილაც შემოჰკრა; მაგრამ მღელვარებისაგან ღონემიხდილი კვლავ სასთუმალზე დაემხო; ქვითინებდა:

— ვაიმე, ბედკრულს! ყველაფერი თავიდან მექნება დასაწყები!

კრისტოფმა ხელები დაუჭირა, ეხვეოდა, ტუქსავდა, ალერსიან და სალანძღავ სიტყვებს ეუბნებოდა:

— სიკვდილი ინებე და ისიც მარტომ! უჩემოდ!

— ეჰ, შენ! — თქვა მწარედ ქალმა, მისი კილო ცხადად ამბობდა, შენ სიცოცხლე გინდაო.

კრისტოფმა ლანძღვა დაიწყო; უნდოდა მისი ნებისყოფა გაეტეხა.

— სულელო! განა არ იცი, რომ შეიძლებოდა მთელი სახლი აგეფეთქებინა.

— მეც სწორედ ეგ მინდოდა, — ცოფმორევით უთხრა ქალმა.

კრისტოფი შეეცადა ღვთის შიში გაეღვიძებინა მის სულში: ზუსტ სიმს მიაგნო. შეახო თუ არა ხელი, ქალი აყვირდა, ემუდარებოდა, გაჩუმდიო. კრისტოფმა აღარ დაინდო, რაკი ფიქრობდა, ეს ერთადერთი გზაა, თვითმკვლელობაზე ხელი რომ ავაღებინოო. ანა აღარას ამბობდა, მარტო კონვულსიულად სლოკინებდა. როცა კრისტოფი სათქმელს მორჩა, წარმოუდგენელი სიძულვილით უთხრა:

— კმაყოფილი ხარ? ბევრს გამომრჩი? საბოლოოდ წარმიკვეთე სასო. ახლა რაღა უნდა ვქნა!?..

— იცოცხლო, — უთხრა კრისტოფმა.

— ვიცოცხლო? — შეჰყვირა ქალმა, — მაგრამ შენ ხომ არ იცი, რომ არ მეცოცხლება ამ ქვეყანაზე! შენ არაფერი არ იცი! შენ არაფერი არ იცი!

— რა მოხდა? — ჰკითხა კრისტოფმა.

ქალმა მხრები აიჩეჩა:

— მისმინე!

და ნაწყვეტ-ნაწყვეტი ფრაზებით, მოკლედ უამბო ყველაფერი, რაც აქამომდე დაუმალა: ბების ჯაშუშობა, ფერფლის ამბავი, სამის სტუმრობა, მომავალი კარნავალი, უცილობელი თავის მოჭრა. თხრობისას ველარ ამჩნევდა, რა შთააგონა შიშმა და მართლა რა ჰქონდა საშიშარი. კრისტოფი განცვიფრებული და დამწუხრებული უსმენდა და ანაზე ნაკლებ არჩევდა ნაამბობში რეალურსა და წარმოსახვით საფრთხეს. წარმოდგენაც კი არ ჰქონდა, თუ ასე ნადირივით უთვალთვალებდნენ. ცდილობდა გაეგო რამე; არაფრის თქმა არ შეეძლო, ან კი რა უნდა ეთქვა: ასეთი მტრების წინაშე უიარაღო იყო. ბრაზმორეულს მტერთან კვეთება სწყუროდა.

— რატომ არ დაითხოვე ბები? — ჰკითხა ანას.

ქალმა პასუხის გაცემაც არ ისურვა. რომ გაეგდო, ხომ უფრო მეტ გესლს გადმოანთხევდა, ვიდრე მის სახლში დარჩენილი; კრისტოფიც მიხვდა თავისი

კითხვის უაზრობას. ტვინი აერია; ცდილობდა გამოსავალი რამ ეპოვა, ახლავე, ამ წუთშივე. მუშტები შეკრა და თქვა:

— დავხოცავ.

— ვის? — ჩაილაპარაკა ანამ ზიზღით, ამ უსარგებლო სიტყვების გამგონემ.

კრისტოფს ძალი წაერთვა. მთლად დაკარგულად იგრძნო თავი ამ მრავალგზისი ღალატის ბნელ ბადეში, სადაც ვერაფერს დაინახავდი, სადაც ყველას შენს წინააღმდეგ შეეკრა პირი.

— ლაჩრები! — შესძახა სასოწარკვეთილმა.

მუხლებზე დაემხო საწოლის წინ, სახე ანას ტანს მიადო. ორთავე გაჩუმდა. ქალი ზიზღსა და თან სიბრალულს გრძნობდა ამ კაცისადმი, რომელსაც არც მისი დაცვა შეეძლო და არც საკუთარი თავისა. კრისტოფი ლოყით გრძნობდა, ანას სიცივისაგან როგორ უკანკალებდა მუხლები. ფანჯარა ისევ ღია იყო, გარეთ ყინავდა: სარკესავით გაკრიალებულ ცაზე გაყინული ვარსკვლავები კიაფობდნენ.

როცა ქალი დატკბა მასავით სასოწარკვეთილი კრისტოფის ცქერის მწარე სიხარულით, უხეშად, დაღლილი ხმით უთხრა:

— აანთეთ სანთელი.

კრისტოფი დამორჩილდა. ანა კბილს კბილზე აცემინებდა, სულ ერთიანად მოკუნტულიყო, ხელები მკერდზე მიეკრა, ნიკაპი მუხლებში ჩაერგო. კრისტოფმა ფანჯარა დახურა. ხელში ანას ყინულივით გათოშილი ფეხები აიღო, ხელები ტუჩებით გაუთბო. ქალს გული მოულბა:

— კრისტოფ!

საბრალობლად უმზერდა.

— ანა! — შეეხმიანა კრისტოფი.

— რა უნდა ვქნათ?

კრისტოფმა შეხედა და უთხრა:

— უნდა დავიხოცოთ.

ანამ სიხარულით შეჰყვირა:

— მაშ, შენც გინდა სიკვდილი? შენც... მაშ, მარტო აღარ ვიქნები?! — და გადაეხვია კრისტოფს.

— გეგონა, მარტო დაგტოვებდი?

— კი, — ხმადაბლა მიუგო ქალმა.

კრისტოფმა წარმოიდგინა, რა ჯოჯოხეთს გადაიტანდაო.

რამდენიმე წუთის შემდეგ თვალებით ჰკითხა; ქალი მიუხვდა:

— საწერ მაგიდაში დევს. მარჯვნივ, ქვედა უჯრაში.

კრისტოფი წავიდა მოსატანად. სულ ძირში რევოლვერი იპოვა. ბრაუნს სტუდენტობისას ეყიდა იგი. თავის დღეში არ უხმარია. გაქუცულ კოლოფში რამდენიმე ვაზნაც ეგდო. ლოგინთან მიიტანა ყველაფერი. ანამ შეხედა, მაშინ-

ვე თვალი აარიდა და კედლისკენ იბრუნა პირი. კრისტოფმა ერთხანს უცადა, მერე ჰკითხა:

— გადაიფიქრე?

ანა ფიცხლად შემობრუნდა:

—რას ამბობ!.. ჩქარა მოიტა!

ფიქრობდა, აწი ვეღარაფერი მიხსნის სამუდამო წაწყმედისაგან, ცოტათი მეტი იქნება, თუ ცოტათი ნაკლები, განა სულერთი არაა.

კრისტოფმა რის ვაივაგლახით დატენა რევოლვერი.

— ანა, — უთხრა აკანკალებული ხმით, — ერთ ჩვენგანს მეორის სიკვდილის ნახვა მოუწევს...

ქალმა ხელიდან გამოგლიჯა იარაღი, ეგოისტურად უთხრა:

— ჯერ მე!

კიდევ შეხედეს ერთმანეთს... ვაგლახ! ამ წუთშიაც, კი როცა ერთიმეორის გულისთვის უნდა დახოცილიყვნენ, თავს ისე შორს გრძნობდნენ ერთმანეთისაგან... ორთავე შიშით ფიქრობდა:

„რას ჩავდივართ? ამას რას ჩავდივარ?“

და თითოეული ამასვე კითხულობდა მეორის თვალებში. ამ საქმის უაზრობა უფრო კრისტოფს ზაფრავდა. მთელი მისი სიცოცხლე ფუჭად უნდა განქარებულიყო. ფუჭად ჩაუვლიდა ამდენი ბრძოლა, ამდენი ტანჯვა; ფუჭად წარხდებოდნენ მისი იმედებიც; ქარს გაჰყვებოდა ყველაფერი. ეს უსუსური ნაბიჯი ყველაფერს მოუღებდა ბოლოს... სხვა ვითარებაში ხელიდან გამოსტაცებდა ანას რევოლვერს, ფანჯრიდან გადააგდებდა და ეტყოდა:

— არა! მე არ მინდა.

მაგრამ რვა თვის ტანჯვამ, იჭვმა, მქენჯნავმა გლოვამ და ზედ დართულმა გიჟური ვნების ქარიშხალმა დაამხო მისი ძალა, დაულეწა ნებისყოფა; გრძნობდა, რომ ვეღარაფერს გახდებოდა, ბატონი თვითონ არ იყო... ეჰ, რა მნიშვნელობა აქვს ბოლოს და ბოლოს?

ანა დარწმუნებული იყო, რომ სამუდამოდ წაიწყმედდა სულს და სიცოცხლის ამ უკანასკნელ წუთს მთელი თავისი არსებით ებღაუჭებოდა: კრისტოფის დაღრეჯილ სახეს, სანთლის მკრთომარე შუქით განათებულს, კედელზე მორიალე ჩრდილებს, გამვლელის ფეხის ხმას, ფოლადის სიცივეს, ხელთ რომ ეპყრა... ებღაუჭებოდა ამ შეგრძნებებს, როგორც წყალწაღებული ხავსს, მასთან ერთად რომ იძირება. მეორე ტანჯვა ელოდა, ენით უთქმელი, უბოლოო ტანჯვა. მაშ, რად არ გაეგრძელებინა მოლოდინი? მაგრამ თავს გაუმეორა, საჭიროაო, გამოეთხოვა კრისტოფს, ნაჩქარევად, თითქოს მგზავრია და. მატარებელზე უგვიანდებაო; საკინძე ჩაიხსნა, გული მოისინჯა, ზედ რევოლვერის ლულა მიიდო. დაჩოქილი კრისტოფი სახეს ზეწარში მალავდა. გასროლისას ანამ მარცხენა ხელი მის ხელს დაადო. თითქოს ბალღია და ბნელში გადაბიჯებისა ეშინიაო...

რამდენიმე შემზარავმა წამმა განვლო... ანა არ ისროდა. კრისტოფს სურდა თავის აწევა, უნდოდა, ხელში სწვდომოდა ქალს, და ეშინოდა, ამ მოძრაობამ სროლა არ გადააწყვეტინოსო. მეტი აღარაფერი ესმოდა, გრძნობა მისდიოდა... კვნესა ჩაესმა ყურში... თავი აიღო. დაინახა შიშით სახეშეშლილი ანა; რევოლვერი მის წინ, ლოგინზე ეგდო. ანა საბრალობელი ხმით გაიძახოდა:

— არ გაისროლა, კრისტოფ!..

კრისტოფმა რევოლვერი აიღო; დიდხანს უხმარად გდებისაგან ჩაჟანგებულიყო, მაგრამ ჩახმახი კარგად უჭრიდა. იქნებ ვაზნები დანესტიანებულიყო? ანამ კვლავ იარაღისკენ გაიწვდინა ხელი.

— კმარა! — შეევედრა კრისტოფი.

— ვაზნები! — უბრძანა ქალმა.

კრისტოფმა მისცა. ანამ დაკვირვებით გასინჯა, ერთი ამოარჩია, აკანკალებულმა დატენა რევოლვერი, ხელახლა მიიდო მკერდზე და გაისროლა. რევოლვერი არც ახლა გავარდა.

ანამ იატაკზე მოისროლა იარაღი.

— ოჰ, ეს მეტისმეტია! ეს მეტისმეტია! — გაჰყვიროდა იგი, — ი მ ა ს არ სურს ჩემი სიკვდილი.

ლოგინში იკრუნჩხებოდა, გიჟს ჰგავდა. კრისტოფმა მიახლოება სცადა; ანამ ყვირილით ჰკრა ხელი. ისტერიკა დაემართა. კრისტოფი გვერდიდან არ მოსცილებია დილამდე. ბოლოს ქალი დამშვიდდა; მაგრამ სუნთქვა შეეკრა თვალდახუჭულს, შუბლსა და ყვრიმალის ძვლები ამოკუზვოდა განაცრებულ სახეზე და მკვდარს მოგაგონებდათ.

კრისტოფმა აწეწელი საწოლი გაასწორა, რევოლვერი აიღო, მოგლეჯილი საკეტი ისევ დაამაგრა, ოთახი მიალაგა და წავიდა: უკვე შვიდი საათი იყო და საცაა, ბებიც ადგებოდა.

როცა დილით ბრაუნი დაბრუნდა, ანა იმავ მდგომარეობაში დახვდა. ქმარი კარგად ხედავდა, რომ რაღაც უჩვეულო მომხდარიყო, მაგრამ ვერც ბებისაგან და ვერც კრისტოფისაგან ვერაფერი შეიტყო. ანა მთელ დღეს არ განძრეულა; თვალიც არ გაუხელია. მაჯა ისე სუსტად უცემდა, რომ ძლივს იგრძნობოდა; დროდადრო სულ უწყდებოდა და ბრაუნი სიმწრით ფიქრობდა, გული აღარ უცემსო. ისე იყო აღელვებული, თავს აღარ უნდობოდა, თავის კოლეგასთან გაიქცა და მოიყვანა. ორთავემ გასინჯეს ანა და ვერ გადაწყვიტეს, ხურვება სჭირდა, თუ ისტერიული ნერვოზი: ავადმყოფს მეთვალყურეობა სჭირდებოდა. ბრაუნი სულ სასთუმალთან უჯდა ცოლს. საჭმელსაც აღარ დააკარა პირი. საღამოსკენ ანას ხურვება არ გამოაჩნდა, მაგრამ მაჯა ძალიან სუსტად უცემდა. ბრაუნი შეეცადა ძალით დაელევინებინა რამდენიმე კოვზი რძე. ქალმა უკანვე გადმოანთხია. ქმრის მკლავებს ისე მინებებოდა, იტყოდით, დამსხვრეული

მანეკენიაო. ბრაუნი ღამითაც გვერდში უჯდა, ყოველ წამს დგებოდა და მის გულისძგერას უსმენდა. ბები მოვალეობის ქალი იყო და თუმცა ანას ავადმყოფობა აგრერიგად არ ანაღვლებდა, მაინც არ დაწოლილა, მთელ ღამეს ბრაუნთან ერთად ფხიზლობდა.

პარასკევს ანამ თვალები გაახილა. ბრაუნმა ლაპარკი დაუწყო; ანამ ვერც კი შეამჩნია მისი იქ ყოფნა. უძრავად იწვა, თვალები კედლის ერთი წერტილისათვის მიეშტერებინა. შუადღისას ბრაუნმა დაინახა, მსხვილი ცრემლები როგორ ღაპაღუპით ჩამოსდიოდა გამხდარ ლოყებზე; ნაზად შეუმშრალა; მაგრამ კურცხლები მაინც მოგორავდნენ თითო-თითოდ. ბრაუნმა ისევ სცადა რამე ეჭმია. ქალი განურჩევლად დაჰყვა მის სურვილს. საღამოს ენაც ამოიდგა: რაღაც უთავბოლო სიტყვებს გაიძახოდა, რაინს ახსენებდა, თავის დახრჩობა სურდა, მაგრამ თითქოს წყალი არ ჰყოფნიდა. ბოდვის დროსაც თავის მოკვლის აზრი აწვალებდა, ათასგვარ სიკვდილს სინჯავდა, მაგრამ სიკვდილი მუდამ გაურბოდა. ხან ვიღაცას ეკამათებოდა და სახეზე რისხვა და შიშის გრძნობა ეხატებოდა; ღმერთს ემზრახებოდა და უმტკიცებდა, ყველაფერი შენი ბრალიაო. ხან ვნების ნაპერწკალი უკრთოდა თვალებში; და უსირცხვილო სიტყვებს ამბობდა, რომლებიც თითქოს არც კი უნდა სცოდნოდა... წამით ბები შენიშნა და ჩვეული გულისყურით უბრძანა, ხვალ სარეცხიაო დასარეცხი. ღამით ძილმა წაართვა თავი. უეცრად ზე წამოიმართა; ბრაუნმა მყისვე მიირბინა მასთან. ქალმა უცნაურად შეხედა, მოუთმენლად რაღაც გაურკვეველი წაილუღლუღა. ქმარმა ჰკითხა:

— ანა, ძვირფასო, რა გინდა?

— წადი, მომიყვანე, — უთხრა ქალმა გაკაპასებით.

— ვინ? — ჰკითხა ქმარმა.

ანამ ისევ შეხედა, ისეთივე გამომეტყველებით; უეცრად სიცილი აუტყდა; მერე შუბლზე გადაისვა ხელი და დაიკვნესა:

— ო, ღმერთო ჩემო! ნეტა დამავიწყდებოდეს!..

კვლავ ძილმა წაართვა თავი. დილამდე მშვიდად იყო. განთიადისას ცოტა შეწრიალდა; ბრაუნმა თავი წამოუწია, წყალი მიაწოდა; ანამ მორჩილად შესვა რამდენიმე ყლუპი, მერე ბრაუნის ხელისაკენ დაიხარა და ზედ ეამბორა. ცოტა ხანში ისევ მილულა თვალი.

შაბათ დილით ცხრა საათისათვის გაეღვიძა. უსიტყვოდ ჩამოაცურა ფეხი საწოლიდან და ადგომა დააპირა. ბრაუნი მაშინვე მივარდა და დაწვენა მოუნდომა. ქალმა თავისი დაიჟინა. ქმარი ეკითხებოდა, რა გინდა, რატომ დგებიო.

— წირვაზე უნდა წავიდე, — მიუგო ქალმა.

ბრაუნმა მისი გონებაზე მოყვანა სცადა, გაახსენა, კვირა არაა, ტაძარი დაკეტილი იქნებაო. ანა დუმდა; ლოგინის ახლოს, სკამზე ჩამომჯდარი აკანკალებული ხელებით იცვამდა ტანსაცმელს. ბრაუნის შეგობარი ექიმი შემოესწროთ. ბრაუნის შეგონებას საკუთარიც ზედ დაურთო; მერე კი, რაკი ნახა, ანა

თავისას არ იშლიდა, გასინჯა და ბოლოს წასვლის ნება დართო. ბრაუნი ცალკე გაიხმო და უთხრა, თქვენი მეუღლის ავადმყოფობა უფრო მორალურია, ამხანობით ნუ შეეწინააღმდეგებით, სულაც არაა საშიში კარში რომ გავიდეს, ოღონდ თქვენ გვერდიდან ნუ მოსცილდებითო. ბრაუნმაც უთხრა ანას, მეც წამიყოლეო. ანამ შორს დაიჭირა; მარტო წასვლა დაიჭინა. მაგრამ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა თუ არა ოთახში, მუხლთ მოეკვეთა. მაშინ უსიტყვოდ მოჰკიდა ქმარს მკლავზე ხელი და ერთად გავიდნენ. ანა ისე იყო დასუსტებული, რომ ყოველ წუთს ჩერდებოდა. ბრაუნმა ბევრჯერ ჰკითხა, უკან ხომ არ დავბრუნდეთო. წასვლა მაინც ვერ გადაათქმევინა. ეკლესიაში რომ მივიდნენ, კარი დაკეტილი დახვდათ; ბრაუნის სიტყვა გამართლდა. ანა ძელსკამზე ჩამოჯდა შესასვლელის წინ აკანკალებული და მანამ არ განძრეულა, სანამ თორმეტმა საათმა არ ჩამოჰკრა. მერე კვლავ ხელი გამოსდო ქმარს და მდუმარედ დაბრუნდნენ შინ. მაგრამ საღამოს კვლავ მოინდომა ეკლესიაში წასვლა. ამაოდ ემუდარა ბრაუნი, ვერ იქნა და ვერ დააშლევინა.

კრისტოფმა მარტოდმარტომ გაატარა ის ორი დღე. ბრაუნი ძალზე შეშფოთებული იყო და მისი დარდი არა ჰქონდა. მხოლოდ ერთხელ, შაბათ დილით, როცა ანასთვის აკვიატებული აზრი სურდა მოეშლევინებინა, ჰკითხა, კრისტოფის ნახვა ხომ არ გინდაო. ქალს ისეთი შიში და ძლიერი ზიზღი აღებეჭდა სახეზე, რომ ბრაუნი გაოცებას მოვიდა და კრისტოფის სახელი მეტად აღარც უხსენებია.

კრისტოფი თავის ოთახში ჩაკეტილიყო. მღელვარება, სიყვარული, სინდისის ქენჯნა, სევდა-ვარამის მთელი ქაოსი ერთურთს ეჯახებოდა მის გულში. ყველაფერს თავის თავს აბრალებდა. თავი ისე შეზიზღებოდა, რომ სული კინაღამ დალია. ვინ მოთვლის, რამდენჯერ ადგა, რომ ყველაფერში გამოსტყდომოდა ბრაუნს, მაგრამ ყოველთვის აკავებდა ფიქრი იმისა, ამით კიდევ ერთ ადამიანს გავაუბედურებ და ცოდვას ცოდვაზე მივუსართავო. ვნების სახმილი არ უცხრებოდა; დერეფანში დაძრწოდა, ანას ოთახის წინ; და როგორც კი მოესმოდა ნაბიჯების ხმა და მიხვდებოდა, კარს შიგნიდან ვიღაც უახლოვდებაო, თავის ოთახისაკენ გარბოდა.

როცა ანა და ბრაუნი ნაშუადღევს შინიდან გავიდნენ, დაუდარაჯდა, თავისი ფანჯრის ფარდას ამოფარებული. დაინახა ანა. წინათ წელში გამართული და ამაყი ქალი ახლა წელში მოხრილიყო, თავი დაეღუნა, ფერი ჩატეტკოდა, ერთბაშად მობერებულიყო; პალტო მძიმედ დასწოლოდა მხრებზე, შალი, ქმარმა რომ მოახვია, აუშნოებდა. მაგრამ კრისტოფს მისი სიგონჯე არ შეუნიშნავს, მხოლოდ უბედურება შენიშნა; გული აუჩვილდა სიბრალულისა და სიყვარულისაგან. უნდოდა მიერბინა ქალთან, ტალახში გართხმულიყო მის წინაშე, ფეხები დაეკოცნა, ვნებით დამსხვრეული სხეული. პატიება ეთხოვა.

ეს ჩემი ნახელავიაო, მისი შემხედვარე ამას ფიქრობდა.

მაგრამ მისი მზერა უეცრად სარკეში საკუთარ გამოსახულებას წააწყდა;

თავის ნაკვთებზედაც იგივ გაჩანაგება ნახა; ნახა, სიკვდილი აღბეჭდოდა სახეზე, როგორც ანას და გაიფიქრა:

— ჩემი ნახელავი? ო, არა. ეს სასტიკი ბატონის საქმეა, მისი, ვინც აგიყებს და კლავს ადამიანს.

შინ არავინ დარჩა. ბები მეზობლებთან გადასულიყო, იმდღევანდელი ამბები რომ ჩაეკაკლა. დრო გადიოდა. ხუთმა საათმა დაჰკრა. შიშმა მოიცვა კრისტოფის სული იმის გაფიქრებაზე, რომ ანა დაბრუნდებოდა, დადგებოდა ღამე. იგრძნო, რომ ამაღამ ვეღარ გაძლებდა ამ ჭერქვეშ. გრძნობდა, ვნების სიმძიმის ქვეშ თავი რომ უსკდებოდა. არ იცოდა, რას იზამდა, რა სურდა, გარდა იმისა, რომ ანას სიახლოვე ეწადა, რადაც არ უნდა დასდჯომოდა. გაახსენდა ბედკრული სახე, წელან რომ დაინახა ფანჯრიდან და გაიფიქრა: უნდა ვიხსნა ჩემი თავისგანო.

ნებისყოფის ქარმა დაჰქროლა. ხელი დახვია დასტა-დასტა ქაღალდებს, მაგიდაზე რომ ეყარა, შეკრა, აიღო ქუდი, პალტო და ოთახიდან გავიდა. დერეფანში, ანას ოთახის წინ ნაბიჯს აუჩქარა შიშისაგან. ძირს ჩასულმა უკანასკნელი მზერა მოავლო უკაცურ ბაღს. ქურდივით გამოიპარა. გაყინული ნისლი ნემსებივით ჩხვლეტდა სახეზე. კრისტოფი კედელ-კედელ მიდიოდა, ეშინოდა, ნაცნობი არავინ შემხვდესო. სადგურს მიაღწია. ლუსერნს მიმავალ მატარებელში ჩაჯდა. პირველივე სადგურიდან წერილი მოსწერა ბრაუნს. სწერდა, სასწრაფო საქმის გამო რამდენიმე დღით ქალაქიდან მომიხდა წამოსვლა და ძალიან ვწუხვარ, ასეთ დღეში მყოფი რომ მიგატოვეთო; მისამართს აძლევდა და სთხოვდა, ანას ამბები შემატყობინეთო. ლუსერნში გოტარდს მიმავალ მატარებელში გადაჯდა. ღამით ერთ პატარა სადგურში ჩამოხტა ალტორფსა და გეშენენს შორის. სახელი არ იცოდა, არც მერე შეუტყვია. პირველსავე სასტუმროში შევიდა, სადგურის ახლოს. გზა წყალს დაეტბორა. კოკისპირულად წვიმდა; მთელ ღამეს არ გადაუღია; მეორე დღესაც ცა ფეხად ჩამოდიოდა ძირს. წვიმა ჩანჩქერივით მოჩხრიალებდა დამტვრეული სადინარებიდან. ცა და მიწა წალეკილიყო, მისი ფიქრივით არეული. ნესტიან ქვეშაგებში შეწვა, რკინიგზის ორთქლის სუნი რომ უდიოდა. ვერ მოისვენა ვერც დაწოლილმა. იმის ფიქრი, რომ ანას სიცოცხლე საფრთხეში იყო, ისე აწვალებდა, საკუთარ ტანჯვას ვეღარ გრძნობდა. შეცდომაში უნდა შეეყვანა ავის მდომელები, სხვა კვალზე შეეგდო მათი ავყიაობა. ცხელებაშეყრილს უცნაური აზრი მოუვიდა: გადაწყვიტა მიეწერა თიტო-ოროლა მუსიკოსისათვის, რომლებსაც ცოტათი დაუახლოვდა ქალაქში — კრებსისათვის, ორლანისტ კონდიტერისათვის. გადაკვრით ეუბნებოდა, სიყვარული იტალიაში მიხმობს, უკვე ამ ვნებით ვიყავ შეპყრობილი, როცა ბრაუნს ვეწვიეთ სტუმრად; დავიწყება მეწადა, მაგრამ თავს ვერ მოვერიეთ. ყველაფერი ეს საკმაოდ ნათლად იყო თქმული, კრებსი რომ მიმხვდარიყო და საკმაოდ შეფარვითაც, ადრესატს თავისიც რომ წაემატებინა. კრისტოფი სთხოვდა კრებსს, საიდუმლო შემინახეთო, მაგრამ იცოდა

მისი ენაჭარტალობის ამბავი და სწორედაც ვარაუდობდა, როგორც კი წაიკითხავს ამ წერილს, ჭორს მთელ ქალაქს მოჰფენსო. საზოგადოებრივი აზრისთვის კვალი რომ აერია, წერილის ბოლოს ორიოდ სიტყვას ცივად წერდა ბრაუნისა და ანას ავადმყოფობაზეც.

ღამის მეორე ნახევარი და მთელი მომდევნო დღე ანაზე ფიქრში გაატარა. აეკვიატა ეს ფიქრი, საშველი არ მისცა: თვალწინ დაუდგა მასთან გატარებული ეს რამდენიმე უკანასკნელი თვე, ყოველი დღე და საათი; სატრფოს თავისი ვნებათა მირაჟის შუქში ხედავდა. მუდამ თავისი წადილის სახედ აყალიბებდა, მორალური სიდიადით ავსებდა, ტრაგიკული თვითშეგნებით, რაიც სჭირდებოდა, მეტად რომ შეჰყვარებოდა. სიყვარულისგან ნაკარნახევი ეს სიცრუე მეტ დამაჯერებლობას იძენდა ახლა, როცა ანა მის გვერდით არ იყო. კრისტოფს იგი სად, თავისუფალი ბუნების ქალად წარმოესახებოდა; დაჩაგრულ არსებად, თავისი ჯაჭვების გაწყვეტას რომ ლამობს, თავისუფალ, ლაღ ცხოვრებას მიელტვის, მაგრამ შიში იპყრობს და თავის ინსტინქტებს ებრძვის, რადგან მისი ცხოვრების ნირს ვერ შეთანხმებიან, ათას სატკივარს უშლიან. ქალი უყვიროდა: „მიშველე!“ კრისტოფი მაგრად ხვევდა მკლავებს მის ლამაზ სხეულს. მოგონებები აწვალებდნენ: გულისმომწყვლელ სიამოვნებას გვრიდა საკუთარი იარების გაანახლება. რაც დრო გადიოდა, მით უფრო მწარედ გრძნობდა დანაკარგის სიდიდეს; ისე გაიტანჯა, რომ სული შეუგუბდა.

წამოდგა და არ კი იცოდა, რას იზამდა; გარეთ გამოვიდა, სასტუმროს ხარჯი გადაიხადა და პირველსავე მატარებელს კვლავ ანას ქალაქში გაჰყვა. ღამით ჩავიდა; პირდაპირ მის სახლს მიაშურა. ბრაუნის ბაღს მეზობლის - ბაღისაგან კედელი ჰყოფდა. კრისტოფი კედელზე აძვრა, სხვის ბაღში ჩახტა; აქედან ბრაუნის ბაღში გადაძვრა. უკვე სახლის წინ იდგა. ყველაფერი წყვდიადით იყო მოცული, მარტო ერთი ჭრაქი ანათებდა და მკრთალ ანარეკლს ჰფენდა ერთ ფანჯარას — ანას ფანჯარას. ანა იქ იტანჯებოდა. მარტო ერთი ნაბიჯიღა უნდა გადაედგა და შეეიდოდა. ხელიც კი გაიწვდინა კარის სახელურისაკენ. მერე დახედა თავის ხელს, კარებს, თვალი მოავლო ბაღს; საქციელს ჩაუფიქრდა, ჰალუცინაციისაგან გამოერკვა, შვიდი თუ რვა საათის მანძილზე რომ იყო მოცული; შეაკრთოლა, უეცარი ძალისხმევით მოსწყდა გარინდებას, მიწას რომ მიალურსმა, კედელთან მიირბინა, გადაძვრა ზედ და უკანმოუხედავად მოკურცხლა.

იმავ ღამეს წავიდა ქალაქიდან, ეს უკვე მეორედ; მეორე დღეს მთის ერთ სოფელს შეეხიზნა, თოვლის ნამქერში ჩაიჩუმქრა... სურდა დაემარხა თავისი გული, მიეძინებინა გონება, დავიწყებისათვის მიეცა ყველაფერი, ყველაფერი დაევიწყებინა!...

„E pero leva su, vinci l'ambascia
Con l'animo che vince ogni battaglia,
Se col suo grave corpo non s'accascia...“

Leva'mi allor, mostrandomi fornito
Meglio di lena ch'io non mi sentia;
E dissi: „Va, ch'io son forte ed ardito".
Inf. XXIV.[1]

ღმერთო ჩემო, რას მემართლები? აგრე რად მრისხანებ ჩემზე? სიყრმიდანვე სიღატაკე, ბრძოლა მარგუნე წილად. მიწყივ ვიბრძოდი და არ დამიჩივლია. მიყვარდა ჩემი სიღატაკე. შევეცადე წმინდად შემენახა სული, შენ რომ ჩამიდგი... მეუფეო, შენ, სწორედ შენ ანგრევ გაშმაგებით იმას, რაც თავად ააგე; შენ ჩააქრე ეს ცეცხლი გასვარე ეს სული, განმძარცვე ყველაფრისაგან, რაც მაცოცხლებდა. ქვეყნად მხოლოდ ორი საუნჯე მქონდა: მეგობარი და სული ჩემი. ახლა აღარაფერი შემრჩა, ყველაფერი წამგვარე. მარტო ერთი სულიერი მეგულვოდა ჩემად ამ ქვეყნის უდაბნოეთში; ისიც წამართვი. ჩვენი გულები ერთ გულად იყო შერწყმული, შენ დაგვწეწე, მხოლოდ იმიტომ გვაგემე ერთად ყოფნის სიტკბოება, რომ უფრო მწარედ მეგრძნო დანაკარგის თავზარი. ეს შენ გააჩინე ჩემს ირგვლივ სიცარიელე, ჩემშიაც შთაასახლე იგი. მე დამსხვრეული ვიყავ, სნეული, უნებისყოფო, უიარაღო, ღამეში მოტირალი ბალღივით. ეს დრო შემირჩიე და დამლახვრე. ფეხაკრეფით მომეპარე ზურგიდან, მაცდურივით და ხანჯალი ჩამეც; ვნება აუშვი ჩემზედ, შენი ავი ქოფაკი; მე უილაჯო ვიყავ, შენ ეს იცოდი, ბრძოლა არ შემეძლო, ვნებამ დამძალა, ყველაფერი წარმტაცა, ყველაფერი გასვარა, ყველაფერი დაანგრია... მე მძაგს ჩემი თავი. ჩემი მწუხარებისა და სირცხვილის ხმამაღლა გამოთქმა მაინც შემეძლოს! ანდა დამავიწყდებოდეს შემოქმედი ძალის ნიაღვარში! მაგრამ ძალა აღარ შემრჩა, შემოქმედების წყარო დამეხშო. ხე ვარ ხენეში... ეჰ, რად არ მოვკვდი! ჰოი, უფალო, მექმენ მოწყალედ; გათიშე სული და ხორცი, მომგლიჯე მიწას, ამომძირკვე სიცოცხლიდან, სულ ასე ორმოში რომ არ ვიფართხალო! შეწყალებას გთხოვ... მომკალ, მეუფეო!

ასე უხმობდა კრისტოფის სატანჯველი ღმერთს, რომელიც მის გონებას არ სწამდა.

განკერძოებით მდგარ ფერმას შეეხიზნა, შვეიცარიის იურაში. ტყისპირას

---

[1] აღსდექ, მოთენთვას მოერევა ძლიერი სული,
ყოველგვარ ბრძოლას ის მოიგებს გამარჯვებული
ვის მხნეობასაც ვერ დათრგუნავს ტვირთი ხორცისა.

ზე წამოვიჭერ, ვაჩვენებდი ოსტატს მეტ ძალას,
ვიდრემდის მქონდა მე იმ წუთას მუხლში და მკლავში;
ვარქვი: — „ოსტატო, მაშინ ვიაროთ, მოგყვები მხნედ".

[1] დანტე „ჯოჯოხეთი", XXVI (თარგმ. კ. ჭიჭინაძისა, კ. გამსახურდიას პწკარედიის მიხედვით).

მდგარ სახლში დაპინავდა, მაღლობი ზეგანის ერთ ნაპრალში რომ იყო შეყუჟული. უსწორმასწორო ზედაპირი იცავდა ამ სახლს ჩრდილოეთის ქარებისაგან. მის წინ ვრცელი ველები და გრძელი, ტყიანი ფერდობები გადაჭიმულიყო. კლდე ერთბაშად თავდებოდა უფსკრულით, უფსკრულის პირად წელში გადრეკილი ნაძვები ებღაუჭებოდნენ მიწას. ტოტებგაბარჯღული წიფლები თითქოს უკან დახევას ლამობენო. ცა იყო უფერული. მიდამო უკაცური. საგანთა მოხაზულობა სივრცეში განმქრეულიყო. ყველაფერი თოვლს ქვეშ იყო ჩამარხული. მხოლოდ მელიების ხავილი ისმოდა ღამ-ღამობით: ზამთარი ილეოდა, გვიანი ზამთარი; დაუსრულებელი ზამთარი. როცა ეგონათ, თავდებაო, თავიდან იწყებოდა ხოლმე.

მაგრამ ეს ერთი კვირა იყო, რაც გაფიჩხებული მიწა გრძნობდა, როგორ ცოცხლდებოდა მისი გული. პირველი მატყუარა გაზაფხული იპარებოდა ჰაერში და ხის გაყინულ ქერქში. წიფლების ფრთებივით გაშლილი ტოტებიდან გამდნარი თოვლი მოწვეთავდა. მდელოების თეთრი მოსასხამიდან აქა-იქ ღია მწვანე ბალახის ღეროებიც ამოწვერილიყო. მათი წვრილ-წვრილი ნემსების ირგვლივ, თოვლის პაწია ბაგეებით შავი და სველი მიწა სუნთქავდა. დღეში რამდენიმე საათს ყინულის კაბაში ჩაჭედილი წყალიც ჩურჩულებდა. აჩონჩხილ ტყეში თითო-ოროლა ჩიტი თავის ნათელ, უმწიფარ სიმღერას იწყებდა.

კრისტოფი ვერაფერს ამჩნევდა. მისთვის არაფერი იცვლებოდა. გამუდმებით დაწრიალებდა ოთახში. ანდა გარეთ დაეხეტებოდა. მოსვენება ვერ იქნა და ვერ იპოვა. მისი სული შინაგან დემონებს დაეგლიჯათ. ერთმანეთს ფლეთდნენ. გათელილი ენებით გააფთრებით აწყდებოდა კედლებს. მის მიმართ ზიზღი ნაკლებ როდი გაავებულიყო: ყელში სწვდომოდნენ ერთმანეთს და ამ ბრძოლაში გულს ნაკუწ-ნაკუწ აქცევდნენ. თან ოლივიეს ხსოვნა აწვალებდა, მისი სიკვდილით გამოწვეული სასოწარკვეთა. შემოქმედების ჟინი კი არ ცხრებოდა, სიამაყე ყალყზე დგებოდა არყოფნის უფსკრულის წინაშე. ყველა ეშმას მასში მოეყარა თავი. წამითაც არ ასვენებდნენ. ან თუ მაცდური სიმშვიდე ჩამოვარდებოდა, თუ აზვირთებული ტალღები წამით დაცხრებოდნენ, კვლავ მარტო რჩებოდა, მაგრამ თავისას ვეღარაფერს პოულობდა: ვერც ფიქრს, ვერც სიყვარულს, ვერც ნებისყოფას; ყველაფერი მომკვდარიყო.

შემოქმედებაღა შერჩენოდა ერთადერთ თავშესაფარად! ტალღებისათვის უნდა მიეგდო თავისი სიცოცხლის ნამუსრევი! ცურვით ეშველა თავისათვის ხელოვნებისეულ სიზმარში!.. სურდა შეექმნა რამე... მაგრამ ესეც რომ ალარ ძალუძდა?..

კრისტოფი მუდამ უსისტემოდ მუშაობდა, როცა ძლიერი და ჯან-ღონით სავსე იყო, საგონებელშიც კი აგდებდა თავისი უხვი ნაყოფიერება; შიში არ ჰქონდა, არ დავიწრიტოო; თავის გუნებას აყოლილი წერდა; როგორადაც მოეხასიათებოდა, როგორადაც მოუხერხდებოდა, არავითარ კანონს არ დაგიდევ-

დათ. სინამდვილეში ყველგან, ყოველთვის მუშაობდა; მისი ტვინი მუდამ შემოქმედებით იყო გართული. ნაკლებ ნიჭიერსა და უფრო გონიერ ოლივიეს ბევრჯერ გაუფრთხილებია:

— ფრთხილად იყავი. ძალიან ენდობი შენს ძალას. მთიდან მონადენი ნიაღვარივით დღეს მომქუხარებ, ხვალ კი შეიძლება დაშრე. ხელოვანმა უნდა დაიმორჩილოს თავისი ნიჭი, უთავბოლოდ კი არ უნდა ფლანგოს. შენვე უნდა წარმართო შენი ძალა. წესად დაუდე თავს ყოველდღე მუშაობა, გარკვეულ საათებში. ეს ისევე აუცილებელია ხელოვანისათვის, როგორც მეომრული ნაბიჯი ჯარისკაცისათვის, საბრძოლველად რომ ემზადება. დგება კრიტიკული წუთი (მუდამ დგება!) და ეს რკინის ბეგთარი სულს დაცემის ნებას არ აძლევს. მე ეს ჩემს თავზე გამომიცდია. თუ სული მიდგას, სწორედ ამ ჩვევამ გადამარჩინა.

კრისტოფი კი იცინოდა და ეუბნებოდა:

— შენთვის საჭიროა, ჩემო! მე კი ვერაფერი დამაკარგვინებს სიცოცხლის ხალისს! საუცხო მადა მაქვს.

ოლივიე მხრებს იჩეჩდა:

— მეტისმეტს მეტისმეტად ცოტა მოსდევს. მეტისმეტად ჯანმრთელ კაცზე უარესი ავადმყოფი არ არსებობს.

ახლა მართლდებოდა ოლივიეს ნაწინასწარმეტყველები. მეგობრის სიკვდილის შემდეგ შინაგანი წყარო ერთბაშად არ დამშრალა; მაგრამ უცნაური ზნე კი დასჩემდა: ხან უეცრად მოსკდებოდა ნიაღვრად, ხან მიწაში იკარგებოდა. კრისტოფი ყურადღებას არ აქცევდა ამ ამბავს, რას დაეძებდა? მწუხარებასა და ახლად გაჩენილ ვნებას მოეცვა მისი გონება. მაგრამ მას შემდეგ, რაც ქარიშხალმა გადაიარა, როცა ხელახლა დაუწყო ძებნა წყაროსთვალს და მოინდომა დასწაფებოდა, უდაბნოს მეტი აღარაფერი დახვდა. წვეთი წყალი არსად მოწანწკარებდა. სული დაწრეტოდა. ამაოდ თხრიდა ქვიშას, რომ მიწისქვეშეთიდან წყალი მოენადირებინა, ეწერა, რადაც უნდა დასჯდომოდა: გონების მანქანა არ ემორჩილებოდა. ვერც ჩვეულებას მოიშველებდა, ამ ერთგულ მეკავშირეს, რომელიც მაშინაც კი, როს სიცოცხლის ყველა საბაბი გაგვექცევა, მარტოდმარტო, ჯიუტად და ერთგულად გვიდგას მხარში, სიტყვას არ ამბობს, არც არას გვანიშნებს, თვალებგაშტერებულია, დამუნჯებულ-დადუმებული, მაგრამ მტკიცე ხელით წაგვიმართავს ნაბიჯს სახიფათო ადგილებში, მანამ, სანამ ისევ მზე არ გამობრწყინდება და სიცოცხლის ხალისს არ დაგვიბრუნებს. კრისტოფს შემწე არავინ ჰყავდა; მის ხელს სხვა ხელი არ ეშველებოდა წყვდიადში. აღარ შეეძლო დღის სინათლეზე გამოსულიყო.

ეს უზეშთაესი განსაცდელი გახლდათ. იგრძნო, სიგიჟის ზღვარს მივადექიო. ხან უაზროდ, თავგამეტებით ებრძოდა მანიაკალურად აკვიატებულ აზრებს: რიცხვები, რიცხვები მოსვენებას არ აძლევდნენ: ახირებულად თვლიდა იატაკის ფიცრებს, ხეებს ტყეში; ციფრებსა და აკორდებს, რომელთაგანაც

ვერც ერთს ვერ აძლევდა უპირატესობას, მის თავში ხელჩართული ბრძოლა ჰქონდათ გაჩაღებული. ხან ისე მოუძლურდებოდა, მკვდარს ემსგავსებოდა.

არავინ უგდებდა ყურს. სახლის ერთი ფრთა ეჭირა, განცალკევებული. თვითონ ილაგებდა ოთახს. თანაც ყოველდღე არა. საჭმელს ძირს უტოვებდნენ; ძე ხორციელს ვერ ნახულობდა. მისი მასპინძელი, მოხუცი გლეხი — თავკერძა და სიტყვაძუნწი კაცი, თავს არ იცხელებდა მისთვის. კრისტოფს უნდოდა ეჭამა, უნდოდა არა, არ დაგიდევდათ. იმასაც იშვიათად ადევნებდა თვალს, ღამით ბრუნდებოდა თუ არა. ერთხელ გზა დაებნა ტყეში კრისტოფს, ბარძაყებამდე თოვლში ჩაეფლო; ცოტაც და, სულ ვეღარ დაბრუნდებოდა. სიარულით სურდა სიქა გაეცალა, სიკვდილის პირს მისულიყო, რომ აღარ ეფიქრა. მაგრამ ვერაფერს გამხდარიყო. მხოლოდ ხანდახან, რამდენიმე საათი მოცელავდა ძილი.

მხოლოდ ერთადერთი სულიერი დარდობდა მასზე — ბებერი ძაღლი, სენბერნარი, თავის ვეება, თვალებჩასისხლიანებულ თავს რომ დაუდებდა ხოლმე მუხლებზე კრისტოფს, როცა იგი სახლის წინ ძელსკამზე ჩამოჯდებოდა. დიდხანს შესცქეროდნენ ერთმანეთს. კრისტოფი ხელს როდი ჰკრავდა; ავადმყოფ გოეთესავით არ აკრთობდნენ ეს თვალები. აზრად არ მოსვლიათ, დაეყვირა:

— წადი, გამშორდი!.. რაც უნდა ეცადო, ხელთ ვერ მიგდებ, ბოროტო სულო!

თავადაც იდუმალ სიხარულს გრძნობდა, როცა ამ მავედრებელ თვალებს უცქერდა, უნდოდა შემწეობა აღმოეჩინა პირუტყვისათვის; დატყვევებულ სულს ხედავდა ამ თვალებში, მუდარით რომ შემოჰყურებდა.

ამ წუთას, როცა წამებით იყო გვემული, ცოცხალი მოსწყვეტოდა სიცოცხლეს, კაცთ გაუტანლობით დაკოდილი ამჩნევდა ადამიანის მსხვერპლთ, თვალს ავლებდა ბრძოლის ველს, ადამიანი რომ გახდომოდა გამარჯვებულად; უცქერდა სხვა არსებათა ხოცვა-ჟლეტას და გული ელეოდა სიბრალულისა და ძრწოლისაგან. მაშინაც კი, როცა ბედნიერი იყო, მუდამ უყვარდა ცხოველები; ვერ იტანდა, როცა მათ სასტიკად ექცეოდნენ; ნადირობა ისე ზარავდა, რომ გამხელისაც კი ეშინოდა, სასაცილოდ ამიგდებენო; იქნებ თავსაც არ უტყდებოდა, მაგრამ ეს ზიზღი იდუმალი მიზეზი იყო, ზოგზოგებისაგან შორს რომ ეჭირა თავი: ვერასდროს გაიხდიდა მეგობრად კაცს, ვინც მხოლოდ სიამოვნების გულისათვის ხოცავდა ნადირს. სანტიმენტალურობა არ ეთქმოდა: სხვაზე კარგად სწორედ მან უწყოდა, რომ ცხოვრების საფუძველს დაუსრულებელი სისასტიკე და ტანჯვა შეადგენს; ვერ იცოცხლებ, თუ სხვა არ გატანჯე. თვალის დახუჭვა და სიტყვებით თავის დამშვიდება არ იქნება. მაგრამ არც იმას ამბობდა, საერთოდ უარი უნდა ვთქვათო სიცოცხლეზე და ბალღებივით მოვყვეთო ღნავილს. არა. თუ დღეს ცხოვრებისათვის სხვა გზა არა გაქვს, უნდა ვხოცოთ, თავი რომ დავირჩინოთ. მაგრამ ის, ვინც თავად კვლაში ჰპოვებს სიხარულს, გარეწარია. დე, თუნდაც შეუცნობლად ჩადიოდეს ამ სიგარეწარეს.

ადამიანი სულ იმის ცდაში უნდა იყოს, რაც შეიძლება შეამციროს ტანჯვა და სისასტიკე: ეს მისი უპირველესი ვალია.

ეს ფიქრები ჩვეულებრივ დროს კრისტოფს გულის სიღრმეში ჰქონდა დამარხული. არ სურდა ამეებზე თავი ემტვრია. რას გააწყობდა? ან კი რა საჭირო იყო? კრისტოფს კრისტოფობა მართებდა, უნდა ეთხზა, ეცხოვრა, რადაც უნდა დაჯდომოდა, უფრო სუსტების ხარჯზე ეცხოვრა... მას არ შეუქმნია ეს სამყარო... აღარც უნდა ეფიქრა, დიახ, აღარც უნდა ეფიქრა ამეებზე!..

მაგრამ მას შემდეგ, რაც უბედურება დაატყდა თავს და ისიც დამარცხებულთა ბანაკში გადაისროლა, უნდოდა თუ არა, მოუხდა დაფიქრება! წინათ ჰკიცხავდა ოლივიეს, უნაყოფო სინდისის ქენჯნას რომ მოეცვა და სულ ამაოდ თავში საცემად გაეხადა უბედურება, ადამიანები რომ იტანენ და სხვას ახვევენ თავს. ანდა მასზე უფრო შორს მიდიოდა, მისთვის დამახასიათებელი მგზნებარე გატაცებით: სამყაროს ტრაგედიის ძირებს სწვდებოდა; მთელი ქვეყნის სატკივარით ეწოდა გული, ტყავგამძვრალი, სისხლდაწრეტილი. ცხოველებზე ისე ვეღარ ფიქრობდა, მწუხარების თრთოლა რომ არ ავარდნოდა. ცხოველთა თვალებში მათ სულს ხედავდა, თავად რომ ედგა, ისეთ სულს, სულს, ლაპარაკი რომ. არ ძალუძდა; მაგრამ თვალები გაჰკიოდნენ მათ მაგივრად:.

— რადა მმტრობთ? რა დაგიშავეთ?

ბანალური სანახაობა, უწინ ასჯერ რომ უნახავს — აბღავლებული ხბო ხის ვეება გალიაში გამომწყვდეული, მისი დიდრონი, შავი თვალები, თეთრმორეული ცისფერი რომ გადაჰკრავს, ვარდისფერი ქუთუთოები, თეთრი წამწამები, იასამნისფერი დრუნჩი, შუბლზე თეთრი ნიშანი, მრუდე ფეხები — ძარღვებში სისხლს უყინავდა; ფეხებგაკოჭილი ბატკანი გლეხს ბაზარში მიჰქონდა გასაყიდად: საბრალო ცდილობდა წამოდგომას, ბალღივით კვნესოდა, ზმუოდა და ნაცრისფერ ენას ჰყოფდა; კალათაში ჩაჩურთულ ქათმებს ერთი კრიახი ედგათ; შორიდან დასაკლავი გოჭის ჭყვიტინი მოისმოდა; სამზარეულოს მაგიდაზე თევზს მუცელს უფატრავდნენ.. ამეების ატანა აღარ შეეძლო. უსახელო ტანჯვა, კაცი რომ ახვევს თავს ამ უცოდველ პირუტყვს, გულს უთუთქავდა, უწყლავდა. მიეცით ცხოველს გონების სხივი, წარმოიდგინეთ საზარელი სიზმარი, წუთისოფელი რომ ქცეულა მისთვის: გულქვა ადამიანები, ბრმები და ყრუები ყელს ღადრავენ, ფატრავენ, ბალთავენ, ასო-ასო ქნიან, ცოცხლად ხარშავენ, ერთობიან მათი სულთა ხდომით. განა რამე უფრო საზარელი ხდება აფრიკის კაციჭამიათა შორის? ცხოველთა ტანჯვა თავისუფალი სინდისის მქონე კაცისათვის ადამიანის ტანჯვაზე უფრო აუტანელია, რადგან კაცის ტანჯვა ბოროტებად მაინც ითვლება და მისი გამტანჯავი ბოროტმოქმედია. მაგრამ ათასობით ნადირი იქლიტება ყოველდღე, ტყუილუბრალოდ, სინდისის ქენჯნის გარეშე. სიტყვა თუ დასძრა ვინმემ ამაზე, სიცილს დააყრიან. — ეს კი მიუტევებელი დანაშაულია. მარტო ეს ამართლებს, თუკი რამ სასჯელი დასწოლია

ადამის მოდგმას. ის შურისძიებას ღაღადებს, კაცთათვის სამაგიეროს მიზღვას. თუ ღმერთი არსებობს და ითმენს ამეებს, შურის საძიებლად მოგვიწოდებს ღმერთზედაც. თუ კეთილი ღმერთი არსებობს, ცოცხალთა შორის უმდაბლესი სულები უნდა გადარჩნენ. თუ ღმერთი მხოლოდ ძლიერთათვის სთესს სიკეთეს, თუ ტვირთმძიმეთათვის სამართალი არ არსებობს, პირუტყვ სულთათვის, კაცობრიობის მსხვერპლი რომ გამხდარა, არც სიკეთე ყოფილა მაშინ და არც სამართალი...

ვაგლახ! კაცი რომ მკვლელობას ჩადის, ეს ისე ცოტა რამაა მსოფლიოს ხოცვა-ჟლეტასთან შედარებით. ცხოველები ერთურთს ჭამენ. მშვიდობიანი მცენარეები, მუნჯი ხეები ერთურთისათვის მოსისხარი ნადირნი არიან. ვინა თქვა ტყეთა უშფოთველობა, ლიტერატორთა საყვარელ თემად რომ ქცეულა, ლიტერატორებისა, ვინც ბუნებას მარტოოდენ თავიანთი წიგნებით იცნობენ!.. მახლობელ ტყეში, სახლიდან რამდენიმე ნაბიჯზე, საშინელი ბრძოლები წარმოებდა. მტაცებელი წიფლები ჰკვეთებოდნენ ლამაზ, ვარდისფერტანიან ნაძვებს, ანტიკური სვეტებივით აზიდულ მათ ტანს ეხვეოდნენ, ახრჩობდნენ. მუხებს ერკინებოდნენ, ამსხვრევდნენ, ყავარჯნებად ხმარობდნენ. ეს ასხელიანი ბრიარეევს-წიფლები, ერთ ხეში თავმოყრილი ათი ხე! ისინი სიკვდილს სთესდნენ ირგვლივ; და თუ მტრის ნაცვლად ერთიმეორეს გადაეყრებოდნენ, ბრაზით ეკვეთებოდნენ ერთმანეთსაც, ჩეხდნენ, შეეზრდებოდნენ ერთმანეთს, ეწმახნებოდნენ, რიგორც წარღვნამდელი ურჩხულები. უფრო ქვევით, ტყის პირიდან წამოსული აკაცია შემოკრილიყო და აქედან უტევდა ნაძვნარს, ახრჩობდა და ძირკვავდა მტრის ფესვებს, წამლავდა თავის გამონაბოლქვით. სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა იყო გამართული. გამარჯვებული ადგილსაც ეუფლებოდა და ძლეულის ნეშტსაც. მაშინ პატარა ურჩხულები ასრულებდნენ დიდთა ნამოქმედარს. ფესვებს შორის ამოსული სოკოები სისხლს სწოვდნენ სნეულ ხეს და ნელ-ნელა ფიტავდნენ. შავი ჭიანჭველები ხრავდნენ დამპალ ხეს: ათასრბით უხილავი მწერი ღრღნიდა, ანამცეცებდა, მტვრად აქცევდა იმას, რაც უწინ სიცოცხლე იყო... ახლა ამ ბრძოლის მდუმარებას აღარ იკითხავთ?!.. ჰოი, ბუნების მშვიდობავ, ტრაგიკულო ნიღაბო, ცხოვრების მწუხარე და სასტიკ სახეს რომ ფარავ!

კრისტოფი ძირს მიდიოდა ტყვიასავით. მაგრამ ის ისეთი კაცი არ იყო, უბრძოლველად მინებებოდა ხვედრს, ხელი არ გამოეღო. ტყუილად უნდოდა სიკვდილი, ყველაფერს აკეთებდა, რაც შეეძლო, რომ ცოცხალი დარჩენილიყო. ის ერთი იმათგანი იყო, რომელთაც, მოცარტის სიტყვებით რომ ვთქვათ, „სურთ იმოქმედონ მანამ, სანამ არ დაინახავენ, რომ მეტი აღარაფრის გაკეთება არ შეიძლება“. გრძნობდა, რომ უფსკრულში იხაფრებოდა და ხელების ცეცებით, მარჯვნივ, მარცხნივ ეძებდა საყრდენს, რომ დანდობოდა, მობღაუჭებოდა. ეგონა კიდევ, მივაგენიო ამ საყრდენს; ოლივიეს ბავშვი გაახსენდა;

მისი გულისთვის მმართებსო ცხოვრება. მაშინვე მოებღაუჭა ამ იმედს. დიახ, უნდა მოეძებნა ის ბავშვი, გამოეთხოვა, აღეზარდა, მამობა გაეწია, შეეყვარებინა, მის ვაჟში მკვდრეთით აღედგინა ოლივიე. თავის ეგოისტურ სატანჯველში დანთქმულს ან კი აქამდე როგორ არ გახსენებია? სესილს მისწერა, ვისთანაც ბიჭი ჰყავდათ გაბარებული. ცხელებიანივით ელოდა პასუხს. მთელი მისი არსება ამ საფიქრალით იყო მოცული. თავს ძალად იმშვიდებდა, ჯერ კიდევ არ ჩაქრობოდა იმედის სხივი. სესილის სიკეთე იცოდა, მისი ნდობა ჰქონდა.

პასუხი მოვიდა. სესილი სწერდა, ოლივიეს სიკვდილიდან სამი თვის შემდეგ შავით მოსილი ქალი მოვიდა ჩემთან და მითხრაო:

— დამიბრუნეთ ჩემი შვილი!

ის ქალი იყო, წინათ ოლივიე და შვილი რომ მიატოვა — ჟაკლინი, მაგრამ ისე შეცვლილიყო, რომ ჭირდა მისი ცნობა. სიყვარულის სიშმაგემ დიდხანს არ გასტანა. მანამ მობეზრდა საყვარელი, ვიდრე საყვარელს იგი. დამსხვრეული, იმედგაცრუებული, დაბერებული დაბრუნდა. მისი ამბავი სკანდალურად გახმაურდა და ბევრმა სახლის კარიც მიუკეტა. უფრო დამთმობებიც ნაკლებ მკაცრნი როდი აღმოჩნდნენ. მშობელი დედაც ისეთი შეურაცხმყოფელი ზიზღით უცქეროდა, რომ ჟაკლინი შინ ვეღარ დადგა. ბოლომდე ნახა ქვეყნის ფარისევლობა. ოლივიეს სიკვდილმა მთლად წარუკვეთა სასო. ისეთი განადგურებული ჩანდა, რომ სესილმა უარი ვეღარ უთხრა სათხოვარზე. ძნელი იყო შელეოდა ჩვილს, რომელსაც უკვე თავისად თვლიდა. მაგრამ როგორ მოექცე გულქვად იმას, ვისაც შენზე მეტი უფლება აქვს და შენზე უბედურია? უნდოდა მიეწერა კრისტოფისათვის, რჩევა ეკითხა. მაგრამ კრისტოფს არც ერთ მის წერილზე არ უპასუხია, სესილმა არ იცოდა მისი მისამართი, არც ის იცოდა, ცოცხალი იყო, თუ მკვდარი... სიხარული მოდის და მიდის. რა გაეწყობა? უნდა დავმორჩილდეთ ხვედრს. მთავარია, ბავშვი ბედნიერი იყოს და უყვარდეთ...

წერილი საღამოს მოვიდა. ზამთარმა ისევ შემოიბრუნა კეხი და კვლავ წამოთოვა. მთელ ღამეს ბარდნიდა. ტყეში, სადაც უკვე ახალი კვირტები გამოსულიყო, ხეები თოვლის სიმძიმისაგან ჭრიალებდნენ და ტყდებოდნენ. გეგონებოდათ, ზარბაზნებიდან ისვრიანო. თავის ოთახში უსინათლოდ დარჩენილი კრისტოფი ფოსფორისფრად მოციაგე სიბნელეში უსმენდა ტყის სატკივარს და ყოველ ჭახანზე ხტებოდა; თვითონაც ერთ იმ ხეს ჰგავდა, ტვირთის სიმძიმის ქვეშ რომ იღუნება და ჭრიალებს.

— ახლა ყველაფერი გათავდაო, — ამბობდა გულში.

ღამე მიილია, ინათლა; ხე არ გადამსხვრეულა. მეორე დღესაც და მეორე ღამესაც, მომდევნო დღეებშიც სულ იზნიქებოდა და ჭრიალი გაჰქონდა; მაგრამ მაინც არ გადამტყდარა. კრისტოფის სიცოცხლეს აღარავითარი აზრი აღარ ჰქონდა; მაინც ცოცხლობდა. აღარაფერი აქეზებდა საბრძოლველად; მაინც

იბრძოდა, ხელჩართული ებრძოდა, ერკინებოდა უხილავ მტერს, რომელიც ხერხემალს უმსხვრევდა. ასე ერკინებოდა იაკობი ანგელოზს[1]. ამ ბრძოლიდან არაფერს გამოელოდა, დასასრულს ელოდა მხოლოდ; და მაინც იბრძოდა. იბრძოდა და გაჰყვიროდა:

— დამსეტყვე, ჰეი, დამსეტყვე! რატომ არ დამცემ ძირს!

დღეები გავიდა. კრისტოფი ამ განსაცდელიდან სიცოცხლედაწრეტილი გამოვიდა. მაინც ჯიუტად ცდილობდა ფეხზე მდგარიყო, გამოდიოდა გარეთ, დაეხეტებოდა. ბედნიერია, ვისაც მაგარი ჯილაგი ეწევა ცხოვრების მიმწუხრისას! მამა-პაპის მძლე მუხლებს დააქვთ წასაქცევად მიწურული შვილის სხეული; ძლიერი წინაპრების ბიძგმა ფეხზე წამოაყენა დამსხვრეული სული, როგორც მკვდარ მხედარს მიაქროლებს ხოლმე თავისი ბედაური.

ის თხემზე მიაბიჯებდა, ორ ღრანტეს შორის; წვეტიანი ქვებით მოფენილ ვიწრო ბილიკს მიუყვებოდა, რომელთა შორისაც პაწია მუხების დაკორძილი ფესვები ამოჩრილიყო; არ იცოდა, სად მიდიოდა, მაგრამ ისე თამამად ადგამდა ნაბიჯს, თითქოს წინ ნათელმხილველი ნებისყოფა მიუძღოდა. უძილო იყო; ეს რამდენიმე დღე თითქმის ნაწილიც არ ჩასვლია პირში. თვალებში ბინდი ჩამოსწოლოდა. თავქვე მედიოდა, ბარისაკენ. აღდგომის კვირა იყო. შუქნაკლი, ცრიატი დღე იდგა. ზამთრის უკანასკნელი ზღუდეც დაიმსხვრა. თბილი გაზაფხული დგებოდა ქვემოთ, სოფლებიდან, ზარების ხმა ისმოდა. ჯერ იმ სოფელში ჩამოჰკრავდნენ, მთის ძირას, კლდის ნაპრალში ბუდესავით რომ შეყუჟულიყო თავისი შავ-ყვითელი, ხავერდივით სქელი ხავსით დაფარული ისლის ჭრელაჭრელა სახურავებით. შემდეგ მეორეშიც შემოჰკრავდნენ, მთის მეორე ფერდზე რომ იყო შეფენილი და აქედან არ ჩანდა; ბოლოს სხვებიც მისცემდნენ ბანს, ველებში რომ იყვნენ მიმოფანტულნი, მდინარის გაღმა მხარეს. შორეული ქალაქიდან ყურს დედაზარის გუგუნიც სწვდებოდა და ისევ ნისლში იკარგებოდა... კრისტოფი შედგა. გული წასვლაზე ჰქონდა. ეს ხმები თითქოს ეუბნებოდნენ:

— წამოდი ჩვენთან! აქ მშვიდობაა. აქ მწუხარება მკვდარია. ფიქრთან ერთად სამარეში სძინავს. აქ ისე ვუნანავებთ სულებს, რომ თავადაც ჩვენს მკლავებში იძინებენ. მოდი და განისვენე, აღარასოდეს გაიღვიძებ.

რა დაქანცული იყო! როგორ უნდოდა დაძინება! მაგრამ თავი გაიქნია და გულში თქვა:

—მე სიმშვიდეს როდი დავეძებ. მე სიცოცხლის პოვნა მწყურია!

---

[1] ბიბლიური თქმულების მიხედვით პატრიარქი იაკობი ერთხელ, ღამით ღმერთს შეერკინა; განთიადამდე იბრძოლეს. იაკობი ეუბნებოდა: „არა განგიტეო, უკუთუ არა მაკურთხო მე“... უფალმა ბარძაყებზე შეახო ხელი და დაუბუშა; ბოლოს აკურთხა მაინც და სახელად „ისრაელი“ უწოდა, რაც „ღმერთთან მებრძოლს“ ნიშნავს.

და გზა განაგრძო. რამდენიმე ლიე ისე განვლო, არც კი შეუნიშნავს. მეტისმეტად იყო დასუსტებული და ჰალუცინაციის ტყვეობაში მყოფ მის სულში უბრალო შეგრძნებებიც კი მოულოდნელ გამოძახილს პოულობდენ. მისი გონება ხმელსა და ჰაერს ფანტასტიკურ შუქსა ფენდა. წინ რომ ჩრდილმა გადაურბინა, მზით განათებულ უკაცურ გზაზე, შეაკრთო, თუმც კი რა იყო, ვერ მიხვდა.

ტყის პირას სოფელი დახვდა. უკან გამობრუნდა, ადამიანებისა ნახვა არ ეამებოდა. მაგრამ განცალკევებით, სოფლის ზემოთ მდგარ სახლს გვერდი ვერ აუარა; მთის თხემს იყო მიყრდნობილი ის სახლი; სანატორიუმს ჰგავდა; გარს დიდი, მზიანი ბაღი ერტყა; რამდენიმე კაცი დაფრატუნებდა ხრეშმოყრილ ხეივნებში. კრისტოფს ყურადღება არ მიუქცევია მათთვის; მაგრამ ბილიკის მოსახვევში პირისპირ შეეყარა ჩხიათვალებიან, მსუქანსა და სახეგაყვითლებულ კაცს, ორ ალვის ძირში მდგარ სკამზე ჩამომჯდარი შორეთში რომ გაიცქირებოდა; გვერდით მეორე კაცი უჯდა; ორთავ დუმდა. კრისტოფმა გვერდით ჩაუარა. მაგრამ ოთხი ნაბიჯიც არ ექნებოდა გადადგმული, რომ შედგა: ეს თვალები ეცნო. შემობრუნდა. კაცი არ შერხეულა, კვლავ რაღაც საგნისთვის გაეშტერებინა მზერა, მისმა თანამგზავრმა კი შეხედა კრისტოფს, ხელი დაუქნია. კრისტოფი მივიდა და იკითხა:

— ვინაა ეს კაცი?

— ამ საგიჟეთის ერთი პაციენტი, — მიუგო კაცმა და შენობაზე მიუთითა.

— მგონი, ვიცნობ, — თქვა კრისტოფმა.

— ადვილი შესაძლებელია. ერთ დროს გერმანიაში ძალიან ცნობილი მწერალი იყო.

კრისტოფმა გვარი უთხრა. მართლაც ის გვარი აღმოჩნდა. ოდესღაც ენახა, როცა მანჰაიმის გაზეთში თანამშრომლობდა, მაშინ მტრები იყვნენ; კრისტოფი მხოლოდ პირველ ნაბიჯებს დგამდა, მას კი უკვე სახელი ჰქონდა მოხვეჭილი. ძლიერი, თავის თავში დარწმუნებული კაცი იყო, თავის თავის მეტი ყველა სძულდა: ცნობილი რომანისტი გახლდათ, რომლის გრძნობასა და რეალისტურ ხელოვნებას იმდროინდელთა უღიმღამო ნაწარმოებები დაეჩრდილა. კრისტოფს სძულდა იგი, მაგრამ არ შეეძლო ამ მატერიალური, გულწრფელი და შეზღუდული ხელოვნების სრულყოფილებას არ მოეხიბლა.

— ერთი წელია, რაც ამ დღეშია, — უთხრა მომვლელმა, — უმკურნალეს, ეგონათ, მორჩაო; შინაც დაბრუნდა, მაგრამ სენი კვლავ მოერია. ერთ საღამოს ფანჯრიდან გადმოხტა. პირველ ხანებში აქაც შფოთავდა და ყვიროდა. ახლა წყნარადაა. მთელ დღეებს ასე დამჯდარი ატარებს ხოლმე.

— რას უყურებს? — ჰკითხა კრისტოფმა და სკამს მიუახლოვდა.

სიბრალულით დააცქერდა მკვდრისფერ სახეს, მსხვილ ქუთუთოებს, თვალებს რომ დასწოლოდნენ; ცალი თვალი თითქმის დახუჭული ჰქონდა. გიჟი თითქოს ვერც ამჩნევდა კრისტოფის იქ ყოფნას. კრისტოფმა სახელი დაუძახა,

ხელი მოჰკიდა: ხელი ოფლიანი და უსიცოცხლო ზრამ ნივთივით მომჩვარული ჰქონდა. კრისტოფს სიმამაცე არ ეყო დიდხანს სჭეროდა იგი ხელში: კაცმა წამით მიაპყრო კრისტოფს უაზრო მზერა, მერე გამოთაყვანებული ღიმილით კვლავ ამოჩემებულ წერტილს მიაშტერდა:

— რას უყურებთ? — ჰკითხა კრისტოფმა.

კაცი არ შერხეულა, პასუხით კი უპასუხა, ყრუდ, ხმადაბლა:

— ვუცდი.

— რას?

— მკვდრეთით აღდგომას.

კრისტოფი შეძრწუნდა. საჩქაროდ გაეცალა იქაურობას. სიტყვა ცეცხლოვანი ისარივით ეტაკა გულში.

ტყეში ღრმად შევიდა, კვლავ აიარა სახლისკენ მიმავალი ფერდობი. მღელვარებისგან გზა აებნა; დაბურულ ნაძვნარში ამოჰყო თავი. ჩრდილი და სიჩუმე გამეფებულიყო ირგვლივ. მზის რამდენიმე წითელი ლაქა საიდანღაც შემოპარულიყო ამ შენივთებულ ბინდში. კრისტოფი მოჯადოებულივით უცქეროდა სინათლის ამ ფირფიტებს. ირგვლივ ყველაფერი თითქოს წყვდიადში დანთქმულიყო. წიწვების ხალიჩაზე მიაბიჯებდა, ფეხს ჰკრავდა ფესვებს, რომლებიც დაბერილი ძარღვებივით გამოშვერილიყვნენ. ხეთა ძირას ერთი მცენარეც კი არ ჩანდა, არც ხავსი იყო სადმე. ტოტებში ერთი ჩიტიც არ გალობდა. ნაძვებს ქვედა ტოტები შეხმობოდათ. მთელი სიცოცხლე ზემოთკენ წასულიყო, სადაც მზე ანათებდა. მალე ეს სიცოცხლეც ჩაქრა. კრისტოფი ტყის იმ უბანში შევიდა, რაღაც იდუმალი სენი რომ ღრღნიდა. გრძელი და თხელი ლიქენი ობობას ქსელივით მოსდებოდა წითელი ნაძვის ტოტებს, თავით ფეხებამდე გაებაწრა, ერთი ხიდან მეორეზე გადასულიყო, ტყეს ახრჩობდა. იტყოდით, წყალმცენარეებია მუხთალი საცეცებითო. მართლაც ოკეანეთა წიაღის სიჩუმე იდგა. ზევით მზე მკრთალდებოდა. ნისლის ფთილები, ვერაგულად რომ შემოპარულიყვნენ მკვდარ ტყეში, გარს შემოადგნენ კრისტოფს. ყველაფერი გაქრა; აღარაფერი მოჩანდა ირგვლივ. ნახევარი საათი კრისტოფი ალალბედზე მიიკვლევდა გზას — რძისფერი ნისლით გარემოცული. ნისლი თანდათან სქელდებოდა, შავდებოდა, სუნთქვას უშლიდა; ეგონა, პირდაპირ მივდივარო და დაუსრულებლივ ტრიალებდა ობობას ვეება ქსელში, დამხრჩვალი ნაძვებიდან რომ ჩამოშვავებულიყო; ნისლი მათზე მოკიაფე ცვარს სტოვებდა. ბოლოს თვლები ჩაიშალა, ბადე ჩაიხა და კრისტოფმა როგორც იქნა, დააღწია თავი ამ წყალქვეშა ტყეს. კვლავ ნახა ცოცხალი ტყე და ნაძვებისა და წიფლების უტყვი ბრძოლა. მაგრამ აქაც გაქვავებულიყო ყველაფერი. ეს ხანგრძლივი დუმილი გულს უღონებდა. კრისტოფი შედგა, რომ ყური დაეგდო მისთვის...

უეცრად შორიდან რაღაც ჩქამი გაისმა. ტყის სიღრმიდან ფრთა დაარხია მაცნე ქარმა. ცხენივით, თქარათქურით მიეჭრა ხეთა კენწეროებს, ქოჩორი შეურხია; ისე ეკვეთა, როგორც მიქელანჯელოს ღმერთი ქარიშხალში. კრის-

ტოფსაც თავზე გადაუქროლა. ტყისა არ იყოს, კრისტოფის გულსაც ჟრჟოლა შეუდგა. ეს მახარობელი იყო...

კვლავ სიჩუმე ჩამოვარდა ირგვლივ. ღვთაებრივი შიშით ატანილი კრისტოფი საჩქაროდ დაბრუნდა ქოხში, მუხლთ ეჭრებოდა. სახლის ზღურბლზე უკან მოიხედა დევნილი კაცივით. ბუნება მკვდარს ჰგავდა. მთის კალთებზე შეფენილ ტყეებს ეძინათ, მძიმე მწუხარებით დამუნჯებულებს. უძრავი ჰაერი ჯადოსნურად გაშეშვირვალე ჩანდა. ჩამიჩუმი არ ისმოდა ირგვლივ. მარტო ნაკადულის სამგლოვიარო მუსიკა რეკდა მიწის სულთაბრძოლის სიმღერას — ხმა წყლისა, კლდეს რომ აღნობს. კრისტოფი ლოგინში ჩაწვა სიცხით გათანგული. მეზობელ ბაგაში მასავით დამფრთხალი პირუტყვი წრიალებდა...

დაღამდა. კრისტოფს ჩასთვლიმა. სიჩუმეში სადღაც შორს კვლავ ატყდა ქარი. ქარი ახლოვდებოდა, გრიგალად მოდიოდა, გაზაფხულის foehn-ად[1], თავისი ცხელი სუნთქვით რომ ათბობს ჯერ კიდევ მძინარე, დამზრალ მიწას; foehn-ი მოდიოდა, ყინულეთს რომ ადნობს და ნაყოფიერი წვიმები მოაქვს, მეხივით გრგვინავდა ხევის მეორე მხარეს, ტყეში. მერე მოახლოვდა, გადიდდა, ზარით და ზათქით ფერდობები ამოიარა. მთელმა მთამ დაიქუხა. საჩიხეში ცხენმა დაიჭიხვინა და ძროხებმა ზმუილი მორთეს. კრისტოფი საწოლზე წამოიმართა; თმა ყალყზე ჰქონდა დამდგარი. მიაყურადა. გრიგალი მოვარდა ჭახანით, აფქიო ააკრიალა, სახურავიდან კრამიტი ჩამოჰყარა, მთელი სახლი შეარყია. ყვავილის ქოთანი გადააგდო და დაამსხვრია. კრისტოფის ფანჯარა ცუდად ყოფილიყო დაკეტილი და ერთბაშად მოღიავდა ხმაურით. თბილი ქარი შემოიჭრა ოთახში. კრისტოფს დაეძგერა სახესა და შიშველ მკერდზე. კრისტოფი საწოლიდან წამოხტა პირდაღებული, სუნთქვაშეკრული. თითქოს მის ცარიელ სულში შემოიჭრა ღმერთი ცხოველი. მკვდრეთით აღდგომა!.. ჰაერი ჩასდიოდა პირში, ახალი ცხოვრების ტალღა ჯიგრამდე უწევდა. ეგონა გავსკდებიო; უნდოდა დაეყვირა, დაეყვირა მწუხარებისა და სიხარულისაგან; მაგრამ პირიდან ხრიალის მეტი არაფერი ამოსდიოდა. კრისტოფი აქეთ-იქით აწყდებოდა ბორძიკით, მუშტებს უბრაგუნებდა კედლებს, ქარი კი ოთახში ქაღალდებს აფრიალებდა. მერე მუხლებზე დავარდა ყვირილით:

— დიდება შენდა! როგორც იქნა, დამიბრუნდი!

— შენ დამიბრუნდი! შენ დამიბრუნდი! ჰოი, შენ, ვისაც დაკარგულად გთვლიდი!.. რად მიმატოვე?

—შენგან მიტოვებული ჩემი ვალი რომ აღმესრულებინა.

— რა ვალი?

— ბრძოლა.

— რა გაქვს საბრძოლველი? განა ყველაფრის მეუფე არა ხარ?

---

[1] გერმ. — მშრალი, ხორშაკი და ქარიშხლიანი ქარი, ალპებში რომ ქრის ხოლმე.

— მე არა ვარ მეუფე.

— განა შენ არა ხარ ყოველი, რაიც არს?

— მე არა ვარ ყოველი, რაიც არს. მე ვარ სიცოცხლე, არ-ყოფნას რომ ებრძვის. მე არა ვარ არყოფნა. მე ცეცხლი ვარ წყვდიადში დაგზნებული. მე არა ვარ წყვდიადი. მე მარადიული ბრძოლა ვარ; და ვერც ერთი მარადიული ბედი ვერ გაექცევა ბრძოლას. მე თავისუფალი ნება ვარ, მარად რომ იბრძვის. იბრძოლე და დაიწვი ჩემთან ერთად!

— მე დამარცხებული ვარ აწი აღარაფერში გამოვდგები.

— დამარცხებულიო? გგონია, ყველაფერი დაიკარგა? სხვები გაიმარჯვებენ. შენს თავზე ნუღარ ფიქრობ; შენს ლაშქარზე იფიქრე.

— მე მარტო ვარ, ჩემი თავის მეტი არვინა მყავს; ლაშქარი ვინ მომაქვავა...

— მარტო არა ხარ და არც თავს ეკუთვნი. შენ ჩემი ერთი ხელთაგანი ხარ, ერთი ხმათაგანი. ჩემს მაგივრად დასცხე და ილაპარაკე. ხელი თუ მოტყდა, ხმა თუ დამუნჯდა, მე მაინც მყარად ვდგავარ ფეხზე. ახლა უკვე სხვა ხმებითა და სხვა ხელებით ვიბრძვი. დამარცხებულიც იმ ლაშქრის ნაწილი ხარ, თავის დღეში რომ არ მარცხდება. გახსოვდეს და სიკვდილამდე გამარჯვებული იქნები.

— უფალო, მე ისე ვიტანჯები!

— გგონია, მე კი არ ვიტანჯები? საუკუნეთა დასაბამიდან სიკვდილი დამდევს და არყოფნა ჩამსაფრებია. მხოლოდ გამარჯვებებით ვიკვალავ გზას. სიცოცხლის მდინარე წითლადაა შეღებილი ჩემი სისხლით.

— სულ, სულ უნდა ვიბრძოლო?

— სულ უნდა იბრძოლო. ღმერთიც იბრძვის. ღმერთი დამპყრობელია. ის მძინვარე ლომია. არყოფნა ეძალება და ღმერთი მას მიწაზე ანარცხებს. ამ ბრძოლის რიგში ჰქმნის უმაღლეს ჰარმონიას. ამ ჰარმონიას შენებრ მოკვდავის ყური ვერ მისწვდება. შენთვის ისიც კმარა, იცოდე მისი არსებობა. მშვიდად აღასრულე შენი ვალი და ღმერთებს მიენდე.

— ძალა რომ აღარ შემრჩა?..

— უმღერე ძლიერთ

— ხმა ჩამიწყდა.

— ილოცე.

— გული ჩემი წარყვნილია.

— ამოიგლიჯე და ჩემი ჩაიდგი საგულეს.

— უფალო, თავის დავიწყება, მკვდარი სულის ამოგლეჯა არაფერია; მაგრამ განა შემიძლია ჩემი მკვდრები გადავყარო, დავივიწყო, ვინც მიყვარს?

— მკვდრები შენს მკვდარ სულს მიანებე. ისევ ჰპოვებ გაცოცხლებულებს ჩემს უკვდავ სულში.

— შენგან ერთხელ მიტოვებულს კიდევ მიმატოვებ?

— კიდევ მიგატოვებ. ნუ ეჭვობ ამაზე. შენ უნდა ეცადო, არ მიმატოვო.
— მაგრამ სიცოცხლე თუ ჩამიქრა?
— სხვებისა აანთე.
— თუ სიკვდილმა დაისადგურა ჩემში?
— სხვაგან სიცოცხლეა. წადი, გაუღე შენი კარები. უგუნურო, მაგ შენს ჩამოქცეულ სახლში რას ჩაკეტილხარ! გამოდი შენი თავიდან. სხვა საცხოვრებელიც არსებობს.
— ჰოი სიცოცხლევ!.. მე ვხედავ... მე ჩემს თავში დავეძებდი, ჩემს ცარიელსა და დახშულ სულში. სული დამემსხვრა; ჩემი ჭრილობების ღია კარებიდან ჰაერი მაწვება; ვსუნთქავ, ხელახლა გპოვებ, ჰოი სიცოცხლევ!..
— ხელახლა გპოვე... დაჩუმდი და ყური დამიგდე.

და კრისტოფს ნაკადულის ჩურჩულივით სიცოცხლის სიმღერა შემოესმა, მასში რომ იღვიძებდა. ფანჯრის რაფაზე დაყრდნობილმა ტყეს გახედა, გუშინ მკვდარი რომ იყო და ახლა ქარსა და მზეში ზღვასავით ღელავდა. ქარის ტალღები — თრთოლვა სიხარულისა გადიოდა ხეთა კენწეროებზე და გადახრილი ტოტები მეწამული ცისკენ გზნებით იწვდიდნენ ხელებს. ნაკადულის ხმა ზარივით რეკდა. გუშინ მკვდარი მიდამო დღეს მკვდრეთით აღმსდგარიყო; სიცოცხლე იმავ დროს დაუბრუნდა, როცა სიყვარული კრისტოფის გულს. სასწაული სულისა, მადლმა რომ შეახო ხელი! სიცოცხლისათვის გაიღვიძა! და ყველაფერი გაცოცხლდა მის ირგვლივ. გულმა ისევ დაუწყო ძგერა. დამშრალმა წყაროებმა კვლავ იწყეს დენა.

კრისტოფიც დაუბრუნდა ღვთაებრივ ბრძოლას... მისი ბრძოლები, ადამის ძეთა ბრძოლები როგორ იკარგება იმ დიდ ბრძოლაში, სადაც მზეები ქარაშოტით დევნილი თოვლის ფანტელებივით მიმოიტაცებიან!.. სული განიძარცვა. როგორც სიზმარში, ჰაერში გამოკიდებული დაჰქროდა ზემოთ, ზემოდან თვალწინ გაისიგრძეგანა ყოფა თავისი და მეყვსეულად ჩასწვდა თავისი ტანჯვის აზრს. მისი ბრძოლები სამყაროთა დიდი ბრძოლების ნაწილი იყო. მის დროებით შარცხს სხვა გამარჯვებები აბათილებდა. ის ყველასათვის იბრძოდა, ყველა მისთვის იბრძოდა. ერთმეორის სატკივარსა და ჭირს იყოფდნენ, ერთმეორის დიდებას ინაწილებდნენ.

„ამხანაგებო, მტრებო, ფეხით გადამქელეთ! დე, ვიგრძნო, სხეულზე როგორ გადამივლიან ზარბაზნის ბორბლები, ზარბაზნებისა, რომლებიც გაიმარჯვებენ! მე არ ვფიქრობ რკინაზე, ხორცს რომ მიფლეთს, არ ვფიქრობ ფეხზე, თავს რომ მისრისავს, მე ჩეშს შ უ რ ი ს მ ა ძ ი ე ბ ე ლ ზ ე ვფიქრობ, მ ე უ ფ ე ზ ე, ამ უთვალავი ლაშქრის წ ი ნ ა მ ძ ღ ო ლ ზ ე. ჩ ე მ ი ს ი ს ხ ლ ი მისი მომავალი გამარჯვების დუღაბია“...

ღმერთი მისთვის უგრძნობი შ ე მ ო მ ქ მ ე დ ი როდი იყო,. ნერონი, თავის ბრინჯაოს კოშკიდან რომ გადმოჰყურებს ხანძარს, რომელიც თვითონ დააგზნო. ღმერთი იტანჯება. ღმერთი იბრძვის. იმათთან ერთად, ვინც იბრძვის და ყველა იმათ გულისათვის, ვინც იტანჯება, რადგან იგია ს ი ც ო ც ხ ლ ე, სინათლის წვეთი, წყვდიადში განფენილი რომ იზრდება და სვამს სიბნელეს. მაგრამ ღამე უსაზღვროა და ღვთაებრივი ბრძოლაც თავის დღეში არ წყდება; არავინ უწყის, როგორი ექნება ბოლო. გმირული სიმფონია, რომელშიაც დისონანსები ერთმანეთს ეჯახებიან და ერწყმიან, ნათელ კონცერტს ქმნის! როგორც წიფლნარი, ჩუმად რომ ეწევა სასტიკ ბრძოლას ს ი ც ო ც ხ ლ ე ც ისე ომობს მარადიულ მშვიდობაში.

ეს ბრძოლები, ეს მშვიდობა კრისტოფში ხმიანებდა. თავად ნიჟარას ჰგავდა, ოკეანე რომ ხმაურობს შიგნით. საყვირების ხმა, ბგერათა გრიგალი, ეპოპეათა ძახილი მეფური რიტმების ფრთებით დაჰქროდნენ მის თავს ზემოთ. რადგან ყველაფერი ბგერებად გადადნებოდა ამ აბგერებულ სულში. სინათლის სიმღერას მღეროდა. ღამეს უმღეროდა. და სიცოცხლეს; და სიკვდილს. მათთვის, ვინც გამარჯვება მოიპოვა და თავისთვისაც, დამარცხებულისათვის... მღეროდა სული. ყველაფერი მღეროდა. სული სიმღერად იყო შენივთებული.

მუსიკის ნიაღვრები გაზაფხულის წვიმებივით ზამთრისაგან გაფიჩხებულ მიწაში იკვლევდნენ გზას. შერცხვენა, მწუხარება, სიმწარე ახლაღა ამჟღავნებდა თავის საიდუმლო დანიშნულებას: მათ გახრწნეს მიწა, მაგრამ გაანაყოფიერეს კიდეც, ტანჯვის სახნისმა გული გაფატრა, მაგრამ სიცოცხლის ახალ წყაროებს კი მიაგნო. ველი კვლავ ყვავილობდა. ოღონდ გასული გაზაფხულის ყვავილები როდი ხარობდნენ. სხვა სული იშვა.

იგი ყოველ წუთს იბადებოდა, რადგან ჯერ ძვლები არ გამაგრებოდა, როგორც ზრდადასრულებულ სულებს, სასიკვდილოდ მიწურვილ სულებს. ქანდაკება როდი ეთქმოდა — გამდნარი ლითონი გახლდათ. ყოველი წამი ახალ სამყაროდ აქცევდა. კრისტოფი არ ცდილობდა მის საზღვართა დასაზღვრას. მთელი არსებით ეძლეოდა სიხარულს, როგორც კაცი, წარსულის მთელ სიმძიმეს უკან რომ მოისვრის და ხანგრძლივ მოგზაურობაში მიდის ახალგაზრდული სისხლით, თავისუფალი გულით, ისუნთქავს ზღვის ჰაერს და ფიქრობს, მოგზაურობა არასოდეს დასრულდებაო. კვლავ აიტაცა ქვეყნად განბნეულმა შემოქმედებითმა ძალამ; და ქვეყნის სიმდიდრეს აღტაცებაში მოჰყავდა. უყვარდა, მ ო ყ ვ ა ს ი იყო, სხვაც ძმად მიაჩნდა. მისთვის ყველაფერი „მოყვასი“ იყო, ბალახიც, ფეხით რომ ქელავდა და სხვისი მარჯვენაც, ხეც, მთაზე გაწოლილი ღრუბლის ჩრდილიც, ველების სუნთქვაც, მზეთა დას-დასით აფუფუთებული ღამეული ცის საფუტკრეთიც... ეს სისხლის ქარბორბალა იყო... არც საუბარს, არც ფიქრს არ დაეძებდა...უნდოდა ეცინა, ეტირა, დანთქმულიყო ამ ცოცხალ სასწაულში!.. ეწერა? რისთვის ეწერა? განა გამოუთქმელის გამოთქმა შეიძლება?.. მაგრამ შესაძლებელი იყო თუ არა, მაინც უნდა დაეწერა. ასეთი იყო მი-

სი კანონი. აზრები უელავდნენ თავში, სადაც არ უნდა ყოფილიყო. მოცდა არ ეგებოდა. მაშინ კრისტოფი წერდა იმით, რაც ხელში მოხვდებოდა, სულ ერთია, რაზე; ხშირად თვითონაც არ შეეძლო ეთქვა, რას გამოხატავდნენ ფრაზები, გულიდან რომ მოსჩქეფდა; სანამ წერდა, სხვა აზრებიც ეჯარებოდნენ და კრისტოფიც იწერდა, იწერდა პერანგის სახელოს მანჟეტებზე, ქუდის სარჩულზე; თუმცა კი გამალებით იწერდა, მაგრამ აზრი უფრო გამალებით მიქროდა წინ და იძულებული გახდა, რაღაც სტენოგრაფიული ნიშნებიც კი შემოეღო.

ეს ჯერ უფორმო ჩანაწერები იყო. სიძნელე მაშინ დაიწყო, როცა თავისი აზრებისათვის ჩვეულებრივი მუსიკალური ფორმის მინიჭება განიზრახა; აღმოაჩინა, რომ არც ერთი ძველი ყალიბი მათ არ მოერგებოდა; თუ ზუსტად სურდა ჩაეწერა თავისი ხილვები, ყველაფერი უნდა დაევიწყებინა, რაც აქამომდე გაეგონა თუ დაეწერა; სანაგვეზე უნდა გადაეგდო მთელი ნასწავლი ფორმალიზმი, ტრადიციული ტექნიკა. უარი ეთქვა უძლური გონების ყავარჯნებზე, მზამზარეულ საწოლად რომ უჩანს იმათ სიზარმაცეს, ვისაც დამოუკიდებლად ფიქრისა ეშინია და სხვათა ნაზრევში მოკალათებულა. დღეიდან, რაკი ფიქრობდა ცხოვრებისა და ხელოვნების მოწიფულობის ხანას მივაღწიეო (სინამდვილეში მხოლოდ ერთი სიცოცხლეთაგანი მიეწურა), მეტყველებდა იმ ენით, მის აზრს წინ რომ უსწრებდა; მისი გონება განვითარების წინასწარდასახულ კანონს მორჩილებდა, წინასწარ რომ კარნახობდა ფრაზების ნაწილს და მორჩილად მიჰყავდა გაკვალული გზებით იმ ჩვეულ მიჯნამდე, სადაც მსმენელი საზოგადოება ელოდა. ახლა გზა აღარ ჩანდა, გრძნობას უნდოდა გაეკვალა სავალი; გონება უკან უნდა ასდევნებოდა. მას აღარ მოეთხოვებოდა ვნების აღწერა; ამ ვნებას უნდა შერწყმოდა და ცდილიყო მის შინაგან კანონს შეუღლებოდა.

მასთან ერთად ძველი წინააღმდეგობანიც იშლებოდა, რომელთა შორისაც დიდხანს ფართხალებდა კრისტოფი, თუმც კი თავს არ უტყდებოდა; რადგან თუმცა წმინდა ხელოვანი იყო, ხშირად თავის ხელოვნებას უცხო საქმის სამსახურში ჩაუყენებია: სოციალური მისია დაუკისრებია. და ვერ ამჩნევდა, რომ თავად მასშიც ორი კაცი ჩაბუდებულიყო: ხელოვანი, რომელიც ქმნიდა და არ დაეძებდა მისი ნაწარმოები მორალური გამოსულიყო და ქმედების კაცი, რეზონიორი, რომელსაც სურდა, რომ მისი ხელოვნება მორალური და სოციალური ყოფილიყო. ზოგჯერ ერთმანეთს მეტად უხერხულ დღეში აგდებდნენ. ახლა, როცა ყოველი შემოქმედებითი აზრი თავისი ორგანული კანონის მქონე უმაღლეს რეალობად ესახებოდა, თავი გაითავისუფლა პრაქტიკული გონების მონობისაგან. ცხადია, წინანდებურად სძაგდა დროის უნიათო იმორალიზმი; კვლავაც ფიქრობდა, რომ უწმინდური ხელოვნება ყველაზე დაბალი ჯურის ხელოვნებაა, რადგან მისი სენია, სოკოა, ხის სნეულ ტანზე ამოსული; მაგრამ მარტო სიამოვნებისათვის შექმნილი ხელოვნება ბარდელში გამოკეტილი ხელოვნებაა; კრისტოფი მას არ უპირისპირებდა მორალური ხელოვნების უშნო უტილიტარიზმს, ამ ჯაგლაგ პეგასს, საზიდარს რომ მიათრევს.

ყველაზე მაღალი ხელოვნება, ჭეშმარიტად ღირსი ამ სახელისა, ერთი დღის კანონებზე მაღლა მდგომია! ის უსასრულობაში მსრბოლი კომეტაა. სასარგებლოა, თუ უსარგებლო ჩანს პრაქტიკული თვალსაზრისით, მაინც ძალაა, მაინც ცეცხლია; ცით მონატეხი ელვაა მაინც: ამიტომაცაა წმიდათაწმიდა, ამიტომაცაა კეთილისმყოფელი. მისი სიკეთე ბედად შეიძლება პრაქტიკული თვალსაზრისითაც სიკეთე იყოს; მაგრამ მისი ნამდვილი, ღვთაებრივი სიკეთე რწმენასავით ზებუნებრივთა რიგს განეკუთვნება. იგი მზის დარია, რომლისაგანაცაა შობილი. მზე არც მორალურია, არც იმორალური. ის მ ა რ ა დ მ ყ ო ფ ი ა. იგი ღამესთან მორკინალია. ასევე ხელოვნებაც...

კრისტოფიც მიჰყვა მას და გაოცებით დაინახა, რომ მის გულში უცხო ძალებს დაებუდებინათ, რომელთა არსებობაზე ეჭვიც არ ეპარებოდა: მის ვნებათაგან, მის მწუხარებათაგან სრულიად განსხვავებული შეგნებული სული იშვა... უცხო სული, რომელიც არ დაეძებდა, რა უყვარდა კრისტოფს, რა გადაეტანა; არ ანაღველებდა მისი შინაგანი სამყარო, არ დარდობდა მხიარული იყო იგი, უცნაური, ველური თუ საიდუმლოებით მოცული... ეს სული ამხედრებულიყო მასზე, გამალებული დეზს ჰკრავდა გვერდებში. და იმ იშვიათ წუთებში, როცა სულის მოთქმას აცლიდა, კრისტოფი დაწერილს გადაიკითხავდა და თავს ეკითხებოდა:

— ნეტა ეს როგორღა გამოდნა ჩემი გვამიდანღ.

კრისტოფი გონების იმ სიშმაგეს შეეპყრო, ყველა გენიოსისათვის რომაა ცნობილი, გენიისათვის — ნებისყოფისაგან დამოუკიდებელი ამ ნებელობისათვის — „სამყაროსა და ცხოვრების ამ გამოუთქმელი გამოცანისათვის“, რომელსაც გოეთე „დემონურს“ ეძახდა; რომელთან საბრძოლველადაც იარაღს ისხამდა, მაგრამ ბოლოს ფარ-ხმალს ყრიდა ხოლმე ძლეული.

და კრისტოფიც წერდა და წერდა. მთელი დღეების, კვირების განმავლობაში. დგება დრო, როცა განაყოფიერებულ გონებას შეუძლია მარტო თავის თავით იკვებებოდეს და ქმნიდეს დაუსრულებლად. ერთი მიკარება, ქარით მოტანილი ბილილის მტვერიც კმარა შინაგან ველთა, მირიად ველთა ასაბრიალებლად... კრისტოფს ფიქრის დრო არ ჰქონდა, არც ცხოვრების დრო ჰქონდა. ცხოვრების ნანგრევებზე შემოქმედი სული გამეფებულიყო.

მერე კი შეწყდა ყველაფერი. კრისტოფი გამოვიდა ამ განსაცდელიდან დამსხვრეული, დანაცრებული, ათი წლით დაბერებული, მაგრამ გადარჩენილი. კრისტოფმა მიატოვა კრისტოფი და ღმერთთან დაიდო ბინა.

ჭაღარა კულულები ერთბაშად გაერია თმაში, როგორც შემოდგომის ყვავილები ამოხეთქს ხოლმე ველად სექტემბრის ღამით. ახალმა ნაოჭებმა დაუღარა სახე, მაგრამ თვალებში კვლავ სიმშვიდე ჩაუდგა, ბაგე შეურიგდა თავის ხვედრს. კრისტოფი დამშვიდდა. ახლა ესმოდა. ესმოდა თავისი სიამაყის ამაოება, კაცთ მზვაობრობის ამაოება ძ ა ლ ი ს საშინელი მუშტის წინაშე, სამ-

ყაროს რომ ამოძრავებს. არავის ძალუძს დაიკვეხოს, ჩემი თავის ბატონი ვარო. ყველას სიფხიზლე გვმართებს, თორემ თუ ჩაგვთვლიმა, ძ ა ლ ა დაგვაცხრება და გაგვიტაცებს... ან უფსკრულში გადაგვხაფრავს, ან ნიაღვარი უკუიქცევა და თავის ამომშრალ სადინარში დაგვაგდებს. საბრძოლველად მარტო სურვილიც არა კმარა. თავი უნდა დაიმცირო უცნაური ღმერთის წინაშე, რომელიც flat ubi vult[1], საცა მოინდომებს და როცა მოინდომებს მოჰბერავს სიყვარულს, სიკვდილს ან სიცოცხლეს. კაცის ნებისყოფას არაფერი ძალუძს უმისოდ. წამიც ეყოფა, წლების შრომა და ნაღვაწი რომ გაუცამტვეროს. და თუ მოისურვა, შეუძლია, მარადიული შვას ჭუჭყისაგან. შემოქმედ ხელოვანზე მეტად არავინ გრძნობს თავს მის ტყვედ, რადგან თუ მართლა დიდია, მხოლოდ იმას ამბობს, რასაც ს უ ლ ი უკარნახებს.

კრისტოფიც ჩასწვდა მოხუცებული ჰაიდნის სიბრძნეს, ყოველ დილით სალოცავად მუხლს რომ იყრიდა, სანამ კალამს აიღებდა ხელში... Vigila et Ora[2]. — იფხიზლეთ და ილოცეთ ღმერთი, რათა შემწედ გექმნეთ. ც ხ ო ვ რ ე ბ ი ს ს უ ლ ს სიყვარულითა და მოწიწებით ესვიდეთ!

ზაფხულის მიწურულს ერთმა პარიზელმა მეგობარმა, გავლით რომ იყო შვეიცარიაში, მიაკვლია კრისტოფის ადგილ-სამყოფელს. მივიდა და ინახულა. ეს მუსიკალური კრიტიკოსი გახლდათ, რომელიც მისი ნაწარმოების საუკეთესო მსაჯული იყო. თან ერთი ცნობილი მხატვარიც ახლდა, მელომანობას რომ ჩემულობდა და კრისტოფის ნაწარმოებთა ტრფიალად მოჰქონდა თავი, კრისტოფს მისი ნაწარმოების წარმატება ამცნეს: მთელს ევროპაში შენს ნაწერებს ასრულებენო. განდეგილს დიდი ინტერესი არ გამოუჩენია ამის გაგონებაზე: წარსული მისთვის მკვდარი იყო, ძველ ნაწარმოებებს სათვალავში არ აგდებდა. ბოლოს დაჰყვა სტუმრების თხოვნას და ახალი დაწერილი უჩვენა. სტუმარმა ვერაფერი გაუგო; ეგონა, კრისტოფი ჭკუიდან შეიშალაო.

— არც მელოდიაა, არც ტაქტი, არც თემატური დამუშავება; თხიერი ბირთვია, გამდნარი და ჯერ გაუცივებელი მატერია, რომელიც ყველა ფორმას იღებს და არც ერთი კი არა აქვს; ეს არაფერს არ ჰგავს: ქაოსში გაელვებული სხივებია.

კრისტოფს გაეღიმა:

— დაახლოებით მასე გახლავთო, — უთხრა.

— „წესრიგის საბურველიდან მომზირალი ქაოსის თვალნი...“

მაგრამ მოსულმა ვერ გაიგო ნოვალისის სიტყვები და საწყალი, გამოფიტულაო, გაივლო გულში.

კრისტოფი არც ცდილობდა, რომ გაეგოთ მისთვის. როცა სტუმრები მიდიოდნენ, ცოტაზე გააცილა, რომ თავისი დიდებული მთები ეჩვენებინა, მაგრამ

[1] სადაცა სურს, ჰგიებს (ლათ.).

[2] იფხიზლეთ და ილოცეთ (ლათ.).

ძალზე შორს არ გაჰყოლია; ერთი მინდვრის შემხედვარე კრიტიკოსს პარიზული თეატრების დეკორაციები გაახსენდა; მხატვარი დაუზოგავად კილავდა ფერთა უგემურ შეხამებას, შვეიცარელთა საყვარელ, რევანდით შეკშაზულ, მომ-ყავო და ბრტყელ ტორტებსა და ჰოლდერის[1] ნახატებს მაგონებსო. ბუნების მიმართ ისეთ აშკარა გულგრილობას იჩენდა, მთლად მოგონილი არ უნდა ყოფილიყო. მოჰკვეხდა კიდეც, სულ არ ვიცნობო:

— ბუნება! რა არის ბუნება? არ ვიცი! სინათლე? ფერი? კეთილი და პატიოსანი. თქვენი ბუნება ფეხებზე მკიდია...

კრისტოფმა ხელი ჩამოართვა და დაემშვიდობა. ყოველივე ეს აღარ აღელვებდა. ისინი ხევის მეორე მხარეს იყვნენ დარჩენილნი. მადლობა ღმერთს. კრისტოფი არავის ეტყოდა:

— ჩემამდე რომ ამოაღწიოთ, იმავე გზას ამოჰყევითო.

შემოქმედებითი ცეცხლი, თვეების მანძილზე რომ სწვავდა, მინელდა. მაგრამ კრისტოფი ახლაც გულით დაატარებდა მის კეთილმყოფელ სითბოს. იცოდა რომ ცეცხლი კვლავ აღიგზნებოდა: მასში თუ არა, სხვაში მაინც. სადაც არ უნდა ეგიზგიზა ამ ალს, ასევე ეყვარებოდა, იგივე ცეცხლი იქნებოდა. სექტემბრის ამ საღამოს გრძნობდა, რომ იგი მთელს ბუნებაში ნაწილ-ნაწილ ჩაღვრილიყო.

სახლისაკენ მიმავალ აღმართს შეუყვა. ქარიშხალმა გადაიარა. ახლა მზე დაჰნათოდა თავზე. ველებს ოხშივარი ასდიოდათ. ვაშლის ხეებიდან სველ ბალახში მწიფე ნაყოფი ცვიოდა. ნაძვის ტოტებზე გაბმული, წვიმის ცვარშემშრალი ობობას ქსელები ძველთაძველი მიკენური ეტლების ბორბლებს ჰგვანდნენ. გალუმპული ტყის პირას ხეკაკუნას ძახილი ისმოდა. მირიადობით პაწია კრაზანას მზის სხივებში ფერხული ჩაება და თავისი გაბმული წუილით ავსებდა ტყის თაღებს.

კრისტოფი პატარა მინდორში აღმოჩნდა, პატარა ტაფობში, სწორი ოვალის ფორმა რომ ჰქონდა და ჩამავალი მზით იყო გაჩახჩახებული აყალო მიწა, შუაში ნაგვიანევი თავთავთა წყებით მოოქროვილი და ყანგისფერი ლელქაში. ირგვლივ ტყე შემოსდგომოდა, შემოდგომის ტყე. სპილენძისფერი, წითელი წიფლები და ქერა წაბლის ხეები, მარჯნისმტევნება ცირცელი, ალუბლის ხეთა პაწაწკინტელა ცეცხლის ჭიაკოკონები, ნარინჯისფერფოთლება მოცვის ბუჩქები, ყავისფერი ბადრანგი, დამწვარი აბედი—უწვი მაყვლოვანის მსგავსი. და ამ ალმოდებული ბუჩქის წვერიდან მზითა და ხორბლით დამთვრალი ტოროლა ამოფრინდა.

კრისტოფის სულიც ამ ტოროლას ჰგავდა. იცოდა, რომ ახლავე დაეცემოდა მიწაზე, დაეცემოდა ვინ მოსთვლის, კიდევ რამდენჯერ. მაგრამ ისიც იცოდა, რომ თავის დღეში არ დაცხრებოდა, კვლავ ავარდებოდა ცეცხლში წკრიალა სიმღერით, რომელიც ძირს დარჩენილებს ცათა სინათლეზე მოუთხრობს.

[1] ფერდინანდ ჰოლდერი (1853—1918) — შვეიცარიელი მხატვარი-პეიზაჟისტი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ცხოვრება იწურება. სული და სხეული ფშანივით იშრიტება. სიბერეშეპარულ ხის ტანზე წელთა სიმრავლე აღინიშნება. ყოველი კვდება ამქვეყნად და კვლავ აღდგება ხოლმე. მხოლოდ შენ არ ხარ წარმავალი, უკვდავო მუსიკავ. შინაგანი ზღვა ხარ. სულივით უძირო. მკაცრი ხატი წუთისოფლისა შენს ნათელ გუგებში არ ირეკლება. ღრუბელთა ქარავანივით შენგან შორს ჩაიქროლებს ხოლმე შფოთვით აღძრული, სწრაფადმდინარი დღეების წყება, თაკარა, სუსხიანი, ცხარე დღეებისა. მხოლოდ შენა ხარ წარუვალი. საწუთროს კიდეგან სუფევ. შენი საკუთარი სამყარო გაქვს. შენი კანონები, შენივე მზე, რომელიც წარმართავს ცდომილთა მიმოქცევას, შენივე მიზიდულობა. შენ ფლობ ვარსკვლავთა მდუმარებას, ღამეულ სივრცეში მნათ ხნულებს ავლებენ ის ვარსკვლავები, — იტყვი, უჩინარი მხვნელი ვერცხვლოვან გუთანს თუ მართავსო მტკიცე ხელით.

მუსიკავ, სხივმოსილო მეგობარო, რარიგ ესალბუნება მიწიერი მზის სიკაშკაშით დაღლილ თვალებს შენეული მთვარის შუქი! ყველანი, ვისაც ზურგი უქცევია საერთო სარწყულებლისთვის, სადაც ადამიანები ფეხით ლიას ზელენ წყლის დალევის მოსურნენი, ისწრაფვიან მკერდს დაგეკონონ და ზმანების ცინცხალ წყაროსთვალს ეწაფებიან. მუსიკავ, უმანკო დედავ, შენ, ვინც უბიწო წიაღში ატარებ ყველა ვნებას, ვინც კეთილსა და ბოროტს იტევ ლერწმისფერ, ყინვარის ნაეურივით მქრქალ ზურმუხტისფერ თვალების ტბაში, შენ სიკეთისა და ბოროტების ზე ხარ. ვინც შენს წიაღში დავანებულა, საუკუნეთა მიღმა ცხოვრობს.

გრძელი რიგი დღეებისა მას მხოლოდ ერთ დღედ მოეჩვენება, ყოვლისგამანადგურებელ სიკვდილს კი კბილები დააცვდება მასთან შერკინებისას.

მუსიკავ, ჩემს ტანჯულ სულს რომ უნანავებ, მუსიკავ, ეგ ჩემი სული ძლიერი, მშვიდი და მხიარული რომ გახადე, სიყვარულო ჩემო და საუნჯევ ჩემო, სპეტაკ ბაგეზე გეამბორები, სახეს ჩაგიმალავ თაფლისფერ თმაში, ცხელ ქუთუთოებს ლბილ ხელისგულზე მოგანდობ. გავირინდებით, თვალები დახუჭული გვაქვს, მაგრამ მე ვხედავ ენით აუწერელ შუქს თვალთა შენთა, ვიწოვ შენს მდუმარ ბაგეებზე დაჩნეულ ღიმილს და, შენს მკერდს მონდობილი, ყურს ვუგდებ მარადი სიცოცხლის ფეთქვას.

[1] საყვარელო ხელოვნებავ, რარიგ ხშირად მჭმუნვარების ჟამს...

ნაწილი პირველი

კრისტოფი აღარ ითვლის მიმსრბოლ წლებს. მისხალ-მისხალ ილევა ცხოვრება. მაგრამ ცხოვრება მ ი ს ი სხვაგან სუფევს. უკვე. აღარ აქვს საკუთარი ისტორია. ქმნის და ის ქმნილებებია სწორედ მისი ცხოვრების ისტორია. დაუდუმებელი ჰანგები ჩუმად მოხმიანე მუსიკისა აღუვსებს სულს და განარიდებს წუთისოფლის ორომტრიალს.

გაიმარჯვა კრისტოფმა. სახელი მოიხვეჭა, აღიარეს. გაჭაღარავდა ამასობაში. ხანი მოემატა. მაგრამ ოდნავადაც არ წუხს. გული ისევ ჭაბუკურად უძგერს, არ უმტყუნია ძალას, არც რწმენისათვის უღალატია. კვლავ დაეუფლა სიმშვიდე, ოღონდ სხვაგვარი, ვიდრე უწვი მაყვლოვანის გამოვლამდე დაუფლებოდა. გულის სიღრმეში ჯერ ისევ ჩარჩენია ჭექა-ქუხილის ნახმევი და ღურღური მორევისა, აბორგებულმა ზღვამ რომ გააჩინა მის წინაშე. კრისტოფმა იცის, თუ არ ნება-სურვილი არსთა გამრიგესი, ვინაც ბრძოლებს წარმართავს, ისე ვერავინ დაიკვეხნის, ჩემი ბედის გამგებელი ვარო. სულში ორი სული უზის. ერთია — ზეგანი მაღალი, ქარ-წვიმით ნალახი. მეორე კი — პირველზე რომ ბატონობს — თოვლიანი მწვერვალია მზის სხივებდაფრქვეული. იქ ვერ გაძლებ; მაგრამ როდესაც დაბლიდან დაძრული ბურუსი გაგთოშავს, მზისკენ მიმავალ გზას დაადგები. ჯანღით სულმოცული კრისტოფი მარტო როდია; გრძნობს, გვერდითა ჰყავს ურყევი მეგობარი, წმიდა ცეციილია[1], დიდრონი თვალები ზეცად რომ აღუპყრია; და ისევე, როგორც პავლე მოციქული, რაფაელის სურათზე გამოსახული[2], დადუმებულა და მახვილს დაყრდნობილი ფიქრს მისცემია, აღარც კრისტოფი შფოთავს, ბრძოლისთვის აღარ ფიქრობს; ოცნებობს და ხორცს ასხამს ოცნებას.

საიმდროოდ საფორტეპიანო ქმნილებებსა და კამერულ მუსიკას წერდა. აქ მეტი გასაქანია გაბედულების გამოსავლენად; ნაკლები შუამავალი ჩამდგარა აზრსა და განსახოვნებას შორის: ვერ ასწრებს აზრი გზადაგზა დაკნინებას. ფრესკობალდიმ[3], კუპერენმა, შუბერტმა და შოპენმა თავიანთი გაბედულებით, გამომსახველობითა და სტილით ნახევარი საუკუნით გაუსწრეს საორკესტრო მუსიკის განმაახლებელთ. არეული ბგერებისაგან კრისტოფი ძალოვანი ხელით ჩამოქნიდა მრავალფერ უჩვეულო ჰარმონიას, ბრუდამხვევ აკორდთა ჩქერალებს, აკორდებისას, ოდენ შორეული ნათესაობა რომ აკავშირებდათ თანამედროვე-

---

[1] მუსიკის მფარველი კათოლიკეთა რწმენით.

[2] იგულისხმება „კამათი საიდუმლო წმიდა ზიარების გამო".

[3] ფრესკობალდი, ჯიროლამო (1583—1743) — იტალიელი ვირტუოზი ორგანისტი და კომპოზიტორი.

თათვის მისაწვდომ ხმოვანებასთან. მსმენელს გონება იდუმალი თილისმით ებანგებოდა. მაგრამ ხალხს დრო სჭირდება, რათა შეეჩვიოს იმ მონაპოვარს, დიდი ხელოვანი რომ რკეანის ფსკერზე ჩაყვინთვით ამოეზიდავს. ცოტა ვინმე თუ სწვდებოდა კრისტოფის ბოლოდროინდელ გაბედულებით აღსავსე ქმნილებებს. სახელის მოხვეჭას კრისტოფი ადრინდელ ნაწარმოებებს უმადლოდა. ვერავინ რომ ვერ უგებდა, ეს გრძნობა გაცილებით უფრო მეტად უმძიმებდა გულს ახლა, წარმატების ჟამს, ვიდრე წარუმატებლობისას, რადგან მაშინ ყველაფერი ისედაც უსაშველოდ ეჩვენებოდა. მას შემდეგ, რაც ერთადერთი მეგობარი ხელიდან გამოეცალა, კიდევ უფრო გაუმძაფრდა ავადმყოფური მიდრეკილება მარტოობისადმი.

საამდროდ გერმანია კვლავ უხსნის კარს კრისტოფს. ტრაგიკული შეტაკება საფრანგეთში დავიწყებას მიეცა. საითაც უნდოდა, იქით გასწევდა. მაგრამ შიშს ჰგვრიდა ის მოგონებები, პარიზთან რომ იყო დაკავშირებული. და თუმცა გერმანიაში რამდენიმე თვე გაატარა და დროდადრო კვლავაც ჩადიოდა ხოლმე იქ, რათა თავისი ქმნილებებისათვის ედირიჟორა, მაინც გულმა არ გაუწია, სამშობლოში დასახლებულიყო. ბევრი რამისგან გახლდათ გულდაკოდილი. მართალია, მარტო გერმანიისათვის როდი იყო ,ნიშნეული ეს ყველაფერი, სხვა ქვეყნებშიც შესწრებია ამგვარ რამეებს. ოღონდ ესაა, შენი სამშობლოსაგან უფრო მეტს მოითხოვ კაცი და უფრო მეტადაც განიცდი მის ნაკლს. მართლაცდა, ევროპის ცოდვათა ყველაზე დიდი ტვირთი გერმანიას აწვა კისერზე. აკი გამარჯვებული პასუხისმგებლობასაც თავს იდებს ამ გამარჯვების გამო; ვალში ვარდება დამარცხებულთა მიმართ. ჩუმ ვალდებულებას იღებს, წარუძღვეს, გზა უჩვენოს მათ. გამარჯვებულმა ლუი XIV ფრანგული ჭკუის ბრწყინვალეობას აზიარა ევროპა. რა შუქი მოაფინა მსოფლიოს გერმანიამ სედანის[1] შემდეგ? ხიშტების ელვარება? ფრთაშეჭრილი აზრი, სიქველეს მოკლებული ქმედება, უხეში რეალიზმი, რაიც, მაპატიეთ და, შეუძლია იყოს ჯანსაღი. ძალადობა და ,ანგარება, კომივოიაჟორ მარსს რომ სჩვევია. ორმოც წელიწადს ბნელში დაფათურობდა ევროპა, შიშით იყო მოცული. მძლეველის მუზარადი აჰფარებოდა მზეს. და თუკი ძლეული, მეტისმეტად სუსტი საიმისოდ, იმ ფარს სწვდენოდა და გადაეგდო, მხოლოდ ზიზღნარევ სიბრალულს იწვევდა, თვით იმ მუზარადიანს რა გრძნობაღა უნდა აღეძრა?

მაგრამ, ეს ერთი ხანია, კვლავ ძალას იკრებდა დღე, შუქი . სვრეტებშიც ატანდა. ერთ-ერთ პირველს რომ ეხილა მზე, კრისტოფი მუზარადის ჩრდილს განერიდა. ხალისით უბრუნდებოდა იმ ქვეყანას, სადაც იძულებითი სტუმარი იყო ოდესღაც. შვეიცარია გახლდათ ეს ქვეყანა. მრავალი იმჟამინდელი ჭკვიანი, თავისუფლებას დანატრული ადამიანის დარად, სული რომ ეხუთებოდათ გადამტერებულ ერთა ვიწრო სალტეში მომწყვდეულთ, კრისტოფი ეძიებ-

[1] 1870 წლის 2 სექტემბერს სედანთან განადგურებულ იქნა ნაპოლეონ III არმია, რასაც მოჰყვა საფრანგეთის დამარცხება საფრანგეთ-პრუსიის ომში.

და იმგვარ კუთხეს ქვეყნად, სადაც ლაღად ისუნთქავდა ევროპის ზეთავზე მოქცეული. წინათ, გოეთეს დროს, თავისუფალი პაპების რომი წარმოადგენდა იმ კუნძულს, სადაც, ქარიშხალს გამორიდებული ფრინველებივით, თავს აფარებდა ყველა ხალხის აზრი. ახლა კი სად ჰპოვო თავშესაფარი? ის კუნძული ზღვას დაუფარავს. აღარ არის რომი, გადაფრენილან ფრინველნი შვიდი ბორცვიდან[1]. ალპებს შეუხიზნავთ ისინი. აქ, ამ ხარბი ევროპის შუაგულში შემორჩენილა (დიდი ხნით კი?) პატარა კუნძული, ოცდაოთხ კანტონს რომ მოიცავს[2]. მართალია, იგი არ გგვრის მარადიული ქალაქის[3] პოეტურ ზმანებას; აქ არ ტრიალებს ჰაერში ღმერთებისა და გმირების სურნელი. მაგრამ ამ ტიტველა მიწიდან აღმოისმის მძლავრი მუსიკა. მთათა მოხაზულობაში იგრძნობა გმირული რიტმები. ყველაზე მეტად აქ, ვიდრე სხვაგან, შეიგრძნობ კავშირს ბუნების პირველქმნილ ძალებთან. რომანტიკულ შთაბეჭდილებებს როდი ეძიებდა კრისტოფი, აქეთ რომ მოეშურებოდა. მდელო, რამდენიმე ხე, ნაკადული და ცის თაღი — ამასაც სავსებით იკმარებდა. მშობლიური ქვეყნის წყნარი პეიზაჟი უფრო მიესალბუნებოდა მის გულს, ვიდრე ალპური გიგანტომახია[4], მაგრამ კრისტოფს კარგად ახსოვდა, აქ რომ შეიგრძნო ხელახლა თავისი ძალა; დიახ, აქ, უწვ მაყვლოვანში გამოეცხადა უფალი ღმერთი. და მუდამ ჟამს, აქ დაბრუნებისას, მადლიერებით უთრთოდა გული, რწმენით აღივსებოდა. განა მარტო მას ემართებოდა ასე. წუთისოფლისაგან ნაწამებ რამდენ მებრძოლს ამ მიწაზე ხელახლა მოუკრებია ძალ-ღონე, რათა კვლავ რწმენით აღვსილიყო და ბრძოლა განეგრძო!

ცხოვრობდა ამ ქვეყანაში და თან მისი გაგება ისწავლა. იმათ უმრავლესობას, ვინც გავლით არის აქ, მხოლოდ ნაკლი ხვდება თვალში: სასტუმროთა უკეთურება, რაიც ბღალავს ამ მძლავრი მიწის მშვენიერ თვისებებს; უცხოელებით გატენილი ქალაქები, ეს უზარმაზარი საქულბაქნები, საითაც მთელი ქვეყნის ჯიბესქელნი მოეშურებიან ჯანმრთელობის საყიდლად; ავმუცლობა ტაბლდოტთან მსხდომარეთა — სანსვლა, თქვლეფა, თითქოს ხაროში ჩამწყვდეულ მხეცებს ხორცს უყრიანო: კაზინოს ყურის წამღები მუსიკა, რასაც ერთვის მემორინეთა გნიასი; იტალიელი ტაკიმასხარები, საზიზღარი ყვირილ-ჭყივილით აღტაცებაში რომ მოჰყავთ მოწყენილობით გათანგული ფულიანი ყეყეჩნი; მაღაზიებში გამოფენილი სულელური საქონელი: ხის დათვები, სახლაკები, უმაქნისი სამშვენისები, და სულ ერთი და იგივე, ახალს ვერარას წააწყდება თვალი; თავაზიანი წიგნის გამყიდველნი, პორნოგრაფიული ბროშურებით რომ ვაჭრობენ, — ერთი სიტყვით, თვალში მოგხვდება მთელი ის მორალური სიმდაბლე, რაიც ნიშნეულია ამ მხარისათვის, სადაც ყოველ წელი-

---

[1] იგულისხმება რომი, რომელიც შვიდ ბორცვზეა გაშენებული.

[2] იგულისხმება შვეიცარია, რომელიც 24 კანტონისაგან შედგება.

[3] „მარადიული ქალაქი" — რომის პოეტური სახელწოდებაა.

[4] გიგანტომახია (ბერძ.) — გიგანტთა ომი.

წადს თავს იყრიან მილიონობით უსაქმურები, რომელთ არ ძალუძთ იმაზე უფრო რიგიანი ან თუნდაც უფრო მხიარული გასართობი იპოვონ, რითაც ბრბო ერთობა ხოლმე.

მათ არაფერი იციან იმ ხალხის ცხოვრებისა, ვისთანაც სტუმრად ჩამოსულან. არა იციან რა იმ ზნეობრივი ძალის მარაგის და სამოქალაქო თავისუფლებისადმი სწრაფვისა, საუკუნეთა მანძილზე რომ დაუნჯებულა ამ ხალხში, იმ ნაკვერცხლებისა, ცეცხლად რომ ააბრიალეს კალვინმა და ცვინგლიმ[1] და ჯერ ისევ ღვივის ნაცარწაყრილი, იმ მძლავრი დემოკრატიული სულისკვეთებისა, რასაც მუდამ უარყოფდა ნაპოლეონის რესპუბლიკა; არც აქაურ დაწესებულებათა სიმარტივისა და საზოგადოებრივი მოღვაწეობის გაქანების, არც იმ მაგალითისა, რასაც მსოფლიოს უჩვენებს დასავლეთის სამი მთავარი რასის ეს შეერთებული შტატები[2] — მომავალი ევროპა მინიატურული სახით. მით უმეტეს, წარმოდგენა არა აქვთ დაფნეზე, მკვრივ ნაჭუჭში რომ შემალულა, ბიოკლინის ელვარე და თავაწყვეტილ ოცნებაზე; გოტფრიდ კელერის გულსხივოსნობასა და სიხალისეზე, დიდი ადის — სპიტლერის ოლიმპურ ლამპარზე, ტიტანურ ეპოპეაზე, სახალხო დღესასწაულთა ცოცხალ ტრადიციასა და გაზაფხულის წვენით გაჯერებულ ბერმუხაზე. ეს ყოველივე ჯერ კიდევ ახალგაზრდა ხელოვნებაა, ხან უმწიფარი ხილივით, პანტასავით მწკლარტე გემოს რომ გიტოვებს ენაზე, ხანაც დამტკბარ-დაშაქრულია მეტისმეტად მწიფე მოცვივით. სამაგიეროდ მიწის სუნი ასდის. იგი შექმნეს თვითნასწავლმა ადამიანებმა. მათ არ მიჯნავს ხალხისაგან არქაული კულტურა, ხალხთან ერთად კითხულობენ ცხოვრების ერთსა და იმავე წიგნს.

კრისტოფს ესიმპათიურებოდნენ ეს ადამიანები, რომლებიც ცდილობდნენ, თავი კი არ მოეჩვენებინათ რადმე, არამედ თავისთავადნი ყოფილიყვნენ. ახლადაღზევებული გერმანულ-ამერიკული ინდუსტრიალიზმის გარეგნული ბრწყინვალების მიღმა ჯერ კიდევ შემოენახათ ძველებური სოფლური და ბურჟუაზიული ევროპის ზოგიერთი სათნო თვისება. ორი თუ სამი კარგი, ერთგული, ჭკუადამჯდარი მეგობარი აიჩინა მათ შორის. წარსულის გამო მწარე ნაღველს მიცემულნი, ისინი განმარტოებულად და კარჩაკეტილად ცხოვრობდნენ; რაღაცნაირი რელიგიური ფატალიზმითა და კალვინისებური პესიმიზმით შეპყრობილნი ჭვრეტდნენ ძველი შვეიცარიის ნელინელ ქრობას. კრისტოფი იშვიათად თუ ინახულებდა მათ. ძველი ჭრილობები თითქოს შეხორცებოდა გარეგნულად, მაგრამ ღრმა იარა იყო, აგრე იოლად ვერ მოუშუშდებოდა. უფრთხოდა ადამიანებთან ხელახალი კავშირის გაბმას. ეშინოდა, კვლავ არ დაემონებინა სატკივარსა და ჭმუნვას. ნაწილობრივ ამიტომაც გრძნობდა თავს კარგად იმ ქვეყანაში, სადაც ადვილი იყო, უცხოელს განცალ-

[1] ლაპარაკია შვეიცარიაში განხორციელებულ რეფორმაციაზე. ამ მოძრაობის მესვეურნი იყვნენ: ჟენევაში — ჟან კალვინი (1509—1564), ციურიხში — ულრიხ ცვინგლი (1484—1531).

[2] შვეიცარია, სადაც სამი სახელმწიფოებრივი ენაა: გერმანული, ფრანგული და იტალიური.

კევებულად გეცხოვრა უცხოელთა შორის. თუმცაღა, იშვიათად თუ დაჰყოფდა ხოლმე დიდხანს ერთს ალაგს; ხშირ-ხშირად იცვლიდა სამყოფელს: იმ ბებერ მძლევარს ჰგავდა, სივრცე რომ სჭირდება და სამშობლოდ ჰაერი ეგულვის... „Mein Reich ist in der Luft"...[1]

ზაფხულის საღამო იყო.

კრისტოფი მთაში სეირნობდა, სოფლის ზემოთ. ხელში ქუდი ეჭირა და მიხვეულ-მოხვეულ ბილიკს მაღლა-მაღლა მიუყვებოდა. მოსახვევს რომ მიუახლოვდა, ბილიკი ორ ფერდობს შუა, ჩრდილში მიიკარგა. კიდე-კიდე ნაძვის ხეები და თხილის ბუჩქები ჩარიგებულიყო. ეს ადგილი პატარა, კარჩაკეტილ სამყაროს მოგაგონებდა. უცებ გზაწვრილი გაწყდა, თითქოს ყალუზე შედგაო ხრამის პირას. აქედან მოცისფროდ მოლივლივე სივრცე გამოჩნდა. მიმწუხრის მყუდროება ისე უმჩნევად ისადგურებდა, წყლის ნაკადი რომ მიწანწკარებს ხოლმე ხავსის ქვეშ...

უეცრივ ქალი გამოჩნდა გზის მეორე მოსახვევში. შავებით მოსილი გამოიკვეთა დაისის შუქზე; მის უკან მოთამაშობდა და ყვავილებს კრეფდა ორი ბავშვი — ექვსიოდე წლის ბიჭუნა და რვა წლის გოგონა. რამდენიმე ნაბიჯზე რომ დაახლოვდნენ, ერთმანეთი იცნეს. მხოლოდ თვალებმა გაამხილა მათი აღელვება. არ წამოუძახიათ! ოღონდ ეს იყო, ძლივს შესამჩნევი გაკვირვება გამოეხატათ. კრისტოფი ფრიად ღელავდა. გრაციას კი... ტუჩები უთრთოდა ოდნავ. შედგნენ. კრისტოფმა თითქმის ჩურჩულით წარმოთქვა:

— გრაცია!

— თქვენ აქ ხართ!

ხელი ჩამოართვეს ერთმანეთს და კვლავ უხმოდ იდგნენ ერთხანს. პირველმა გრაციამ დაატანა თავს ძალა, დუმილი დაარღვია. უთხრა, აქა და აქ ვცხოვრობო; მერმე ჰკითხა, თქვენ სად გაჩერდითო. ანგარიშმიუცემლად უსვამდნენ კითხვას ერთმანეთს, პასუხი თითქმის არც ესმოდათ. შემდგომღა მოიგონებენ ამ პასუხს, როცა დასცილდებიან; ერთმანეთის ჭვრეტით გართულიყვნენ. მოირბინეს ბავშვებმა. გრაციამ კრისტოფს გააცნო ისინი. კრისტოფს მტრული გრძნობა აღეძრა ბავშვების მიმართ, ქუშად გადახედა მათ, არა უთქვამს რა: ამ ქალს დაეპყრო მისი გული, დაკვირვებით აცქერდებოთა მშვენიერ, გატანჯულ, მობერებულ სახეზე. ქალს აცბუნებდა ამგვარი მზერა.

— ხომ არ შემოივლიდით ამ საღამოს? — უთხრა ქალმა და სასტუმრო დაუსახელა.

კრისტოფმა ჰკითხა, ქმარი სად გყავთო. ქალმა ძაძაზე ანიშნა. კრისტოფი მეტად აღელდა; საუბრის გაგრძელება ვეღარ მოახერხა. უხერხულად გამოემშვიდობა. მაგრამ ორი ნაბიჯიც არ გადაუდგამს, ბავშვებთან მიბრუნდა, რომლებიც მარწყვს კრეფდნენ, უცბად ხელი მოხვია მათ, აკოცა და გაუჩინარდა.

[1] საუფლო ჩემი ჰაერშია (გერმ.).

საღამოს კრისტოფი სასტუმროში მივიდა. გრაცია შემინულ ვერანდაზე დაუხვდა. იქვე კუთხეში მისხდნენ. ხალხი ცოტა იყო: ორი თუ სამი ხნიერი მანდილოსანი. კრისტოფს, ცოტა არ იყოს, აღიზიანებდა მათი იქ ყოფნა. გრაცია კრისტოფს უმზერდა. კრისტოფი შესცქეროდა ქალს და თან ჩურჩულით იმეორებდა მის სახელს.

— ძალიან შევიცვალე, არა? — ჰკითხა გრაციამ.

კრისტოფს გული შეეძრა.

— გატანჯულხართ, — წარმოთქვა მან.

— თქვენც, — თანაგრძნობით მიუგო გრაციამ, თან სახეზე აკვირდებოდა; სახეზე ტანჯვისა და ვნებათაღელვის კვალი დასჩნეოდა კრისტოფს.

ერთხანს ხმას არ იღებდნენ.

— თქვენი ჭირიმე, სხვაგან წავიდეთ სადმე! — თქვა კრისტოფმა ცოტა ხნის შემდეგ. — ნუთუ არ შეიძლება, მყუდრო ადგილი მოვნახოთ სალაპარაკოდ?

— არა, ჩემო კარგო, აქ ვიყოთ, კარგია აქა. ვინ გვაქცევს ყურადღებას?

— თავისუფლად ვერ ვლაპარაკობ.

— მით უკეთესი.

მით უკეთესიო? ვითომ რატომ? შემდგომლა მიხვდა კრისტოფი, როცა ეს საუბარი გაიხსენა, რომ გრაცია არ ენდობოდა. რაღაცნაირად ინსტინქტურად უფრთხოდა გრძნობამომრევ სცენას; ვაითუ მოულოდნელად გული გადავუშალოთო ერთმანეთს. მოსწონდა კიდეც, სასტუმროს ეს გარემოცვა ხელს რომ უშლიდა ინტიმურობას, ასე უფრო ახერხებდა იდუმალი შეშფოთების დაფარვას.

თავ-თავიანთი ცხოვრების უმთავრეს ამბებს მოუთხრობდნენ ერთმანეთს, მოუთხრობდნენ ხმადაბლა, სვენებ-სვენებით. გრაფი ბერენი დუელში მოეკლათ რამდენიმე თვის წინათ; კრისტოფი მიხვდა: გრაცია არცთუ ისე ბედნიერი უნდა ყოფილიყო ქმრის ხელში. პირმშოც დაღუპვოდა. მაგრამ ჩივილი არ სჩვეოდა. ადგა და საუბარი კრისტოფზე გადაიტანა, გამოჰკითხავდა ცხოვრების ამბავს, დიდი თანაგრძნობით ისმენდა მის თავს გადანახულს.

რეკავდა ზარები. კვირა საღამო იდგა. სიცოცხლე თითქოს ჩამკვდარიყო...

გრაციამ სთხოვა, ზეგ შემოიარეთო. კრისტოფი დაღონდა, რადგან ქალი არ ჩქარობდა მასთან ხელახლა შეხვედრას. ჭმუნვა და ბედნიერება ერთად მოეძალა გულში.

მეორე დღეს გრაციამ რაღაც მოისაბაბა და შემოუთვალა, მინახულეთო. ამგვარმა ბანალურმა მიწვევამ კრისტოფს აღტაცება მოჰგვარა. ამჯერად გრაციამ სასტუმრო ოთახში მიიღო იგი. ბავშვებიც იქვე იყვნენ. კრისტოფი ჯერაც შიშნეულად, მაგრამ იმავე დროს ალერსიანად შესცქეროდა მათ. უფროსი, გოგონა დედას მიამსგავსა; ბიჭი ვის ჰგავსო, არ უკითხავს. ბაასობდნენ შვეიცარიაზე, ამინდზე, იმ წიგნებზე; მაგიდაზე რომ ელაგა; მათ თვალებს კი სხვა

რამეზე გაებათ საუბარი, კრისტოფს იმედი ჰქონდა, უფრო გულახდილ ლაპარაკს მოახერხებდა. მაგრამ შემოვიდა ქალი, სასტუმროში რომ გაეცნო გრაციას. გრაციამ ფრიად თავაზიანად და გულთბილად მიიღო ეს უცხო მანდილოსანი. ორივე სტუმარს ერთნაირად ეპყრობოდა მასპინძელი, თითქოს არც გამოარჩევსო ერთმანეთისაგან. გული დასწყვიტა ამ ამბავმა კრისტოფს, ოღონდ არ გაბრაზებულა. გრაციამ შესთავაზათ, ერთად გავისეირნოთო. კრისტოფი დაეთანხმა; მაგრამ ნირი წამხდარი ჰქონდა, არადა ის ქალი ახალგაზრდა და მიმზიდველი გახლდათ. გაუფუჭეს ეს დღე.

გრაცია მხოლოდ ორი დღის შემდეგ ინახულა. მანამდე ამ შეხვედრის მოლოდინითღა ცოცხლობდა. ოღონდ ამჯერადაც ვერ მოახერხა, გულგახსნით ელაპარაკა. გრაცია ალერსიანად ეპყრობოდა, მაგრამ კვლავინდებურად თავშეკავებული იყო. კრისტოფი კი მისდათავად გერმანულ სანტიმენტალობას იჩენდა. და ამით კიდევ უფრო აცბუნებდა ქალს, სიფრთხილეს ჩააგონებდა.

კრისტოფმა წერილი მისწერა. გრაცია ააღელვა ბარათმა. წუთისოფელი ხანმოკლეაო, — სწერდა კრისტოფი, ჩვენი დღეც ილევაო უკვე! ეგებ ცოტა დროღა დაგვრჩენოდეს შეხვედრებისათვის; დასანანია, ლამის დანაშაულიცაა, გულახდილი ლაპარაკისთვის ვერ მოვიცალოთო.

გრაციამაც გულთბილი პასუხი შეუთვალა: ბოდიშს უხდიდა უნებური უნდობლობის გამო; მას შემდეგ დამჩემდა ეს უნდობლობა, რაც ცხოვრებამ გული დამიკოდაო; მიჭირს თავი დავაღწიო ამ თავშეკავებულობას; ყოველგვარი გრძნობის მკვეთრი გამოვლენა, თუნდაც ნამდვილი იყოს ის გრძნობა, მაფრთხობსო. მაგრამ ხელახლა გაღვიძებული ამ მეგობრობის ფასს ვხვდები და მეც თქვენებრ ბედნიერი ვარო. სთხოვდა, საღამოხანს სადილად სწვეოდა.

კრისტოფს მადლიერებით აღევსო გული. თავის ოთახში იყო ამ დროს; ჰოდა, ბალიშში ჩაემხო და სიხარულისაგან აქვითინდა. ათ წელიწადს ნაგემებ მარტოობის მერე შვება იგრძნო. აკი ოლივიეს სიკვდილის შემდეგ მარტოდმარტო დარჩა. ამ ბარათმა გაუცოცხლა ალერსს დანატრებული გული. ალერსი!.. კრისტოფს ეგონა, სამუდამოდ განმერიდაო ეს მადლი — ისე დიდხანს ძლებდა უმისოდ! ახლა კი გრძნობს, რარიგ ჰკლებია ალერსი და რარიგ მოზღვავებია გულში სიყვარული...

ტკბილი, სანეტარო საღამო გაატარეს. თუმცა განზრახული ჰქონდათ არაფერი დაემალათ ერთმანეთისთვის, მაინც აქეთურ-იქითურზე ლაპარაკობდნენ. მაგრამ რამდენი საამო, იდუმალი რამ ამცნო კრისტოფმა ქალს, როცა ფორტეპიანოს მიუჯდა. მზერით მიიწვია გრაციამ ფორტეპიანოსკენ, რათა იმის საშუალება მიეცა, გალახდილად ამეტყველებულიყო! გრაცია განაცვიფრა კრისტოფის მორჩილებამ. აკი ამაყ და თავდაუჭერელ პიროვნებად იცნობდა. დამშვიდობებისას, ხელი ხელს რომ მოუჭირეს ჩუმად, ორთავემ იგრძნო, ვლავ ეპოვათ ერთიმეორე და აღარასოდეს დაჰკარგავდნენ. წყნარი, უქარო ამინდი იდგა, ჟინკლავდა. კრისტოფს გული უგალობდა.

გრაცია კიდევ რამდენიმე დღეს უნდა დარჩენილიყო აქ. გამგზავრება ერთი საათითაც არ გადაუდვია. კრისტოფს კი ვერც თხოვნა გაებედა, ვერც უკმაყოფილება გამოეთქვა. ბოლო დღეს ბავშვებთან ერთად სეირნობდნენ. იყო წუთი, როცა კრისტოფმა ისეთი სიყვარული და ბედნიერება იგრძნო, გულისნადების გამხელა დააპირა. მაგრამ გრაციამ ნაზი, ალერსიანი ღიმილით შეაჩერა:

— ჩუ! ვიცი, რაც უნდა მითხრათ.

გზის იმ მოსახვევთან ჩამოსხდნენ, სადაც პირველად შეხვდნენ ერთმანეთს. გრაციას კვლავ უღიმოდა სახე, დაბლა გაშლილ ველს გაჰყურებდა, მაგრამ ვერ ამჩნევდა მას. კრისტოფი კი ნაზ, საამო პირისახეზე აცქერდებოდა ქალს; წინანდელ ტანჯვას დაღი დაესვა ქალის სახეზე, შავ თმაში ჭაღარა გამორეოდა. სიბრალულნარევ თაყვანისცემასა და ვნებათაღელვას აღუძრავდა ეს სხეული, სულიერი სალმობით რომ გაჯერებულიყო... სული გამოჩანდა დროის მიერ გაჩენილ ყოველ იარაში... და კრისტოფმა ჩუმი, ათრთოლებული ხმით შესთხოვა, ისე როგორც უდიდეს მოწყალებას შესთხოვენ ხოლმე... ერთი ღერი თეთრი თმა მაჩუქეო.

გრაცია გაემგზავრა. კრისტოფი ვერ მიმხვდარიყო, რად არ გააცილებინა თავი გრაციამ. მეგობრად მიგულებსო, ეჭვი არ ეპარებოდა, მაგრამ ამგვარი თავშეკავებულობა თავგზას უბნევდა. ორ დღესაც აღარ დაუდგა გული აქ; ადგა და სხვა მხარეს მიაშურა. ცდილობდა, მოგზაურობითა და მუშაობით გართულიყო. გრაციას წერილი მისწერა. ორი თუ სამი კვირის შემდეგ პასუხი მიიღო. ქალის მოკლე ბარათში მშვიდი, მეგობრული გრძნობა იხატებოდა, მოუთმენლობა და წუხილი არ იგრძნობოდა. ტანჯვას განაცდევინებდა ეს ბარათები, მაგრამ უყვარდა კიდეც ისინი. იმის ნებას არ აძლევდა თავის თავს, ესაყვედურებინა ქალისთვის; მათი გრძნობა ხომ ახლად ჩასახულიყო, ესესაა ხელახლა გაღვიძებულიყო! იმის გაფიქრება, ვაითუ გრაცია დავკარგოო, ზაფრას ჰგვრიდა. ამავე დროს, ქალის ყოველი წერილი გამსჭვალული იყო მშვიდი ერთგულებით, რასაც გული უნდა გაემხნევებინა კრისტოფისთვის. მაგრამ რაოდენ სხვადასხვა ყაიდისა იყო ეს ორი ადამიანი!..

შემოდგომის ბოლოს შეთანხმდნენ, რომში შეხვედროდნენ ერთმანეთს. გრაციასთან შეხვედრის ფიქრი რომ არა, ეს მოგზაურობა ნაკლებად მიმზიდველი იქნებოდა. ხანგრძლივ მარტოობას შინაყუდად ექცია კრისტოფი. აღარ უყვარდა აქეთ-იქით უსაზმნოდ ხეტიალი, რაშიც სიამოვნებას ჰპოვებდნენ იმქამინდელი ატროვებული უსაქმურები. კრისტოფი ერიდებოდა, ეღალატა თავისი ჩვეულებისათვის, საფრთხე შეექმნა გონების გამუდმებული მუშაობისათვის. თანაც იტალია ოდნავადაც არ იზიდავდა. აკი მას „ვერისტების“[1] იმ

[1] „ვერისტები“ (იტალ. სიტყვისაგან vero — ჭეშმარიტება, სიმართლე) — იტალიური მუსიკის ახალი სკოლის წარმომადგენელნი XIX საუკუნის ბოლოს: ლეონკავალო, პუჩინი, მასკანი და სხვანი.. მათ საოპერო პირობითობათა საპირისპიროდ წამოაყენეს ცხოვრების სიმართლით გამოხატვის ლოზუნგი.

საძაგელი მუსიკითა და ტენორთა იმ არიებით იცნობდა მხოლოდ, რითაც ვერგილიუსის სამშობლო ქამიდან ქამზე შთაგონებით აღაგზნებს მოგზაურ ლიტერატორებს. ამ ქვეყნის მიმართ იგი გრძნობდა მტრობასა და უნდობლობას მოწინავე ხელოვანისას, ვისთვისაც რომის ხსენებით ყური გამოეჭედათ აკადემიური რუტინის ყველაზე მდარე ქომაგთ. ეგეც არ იყოს, გულის სიღრმეში უღვიოდა ანტიპათიურობის ძველი ინსტინქტური გრძნობა ჩრდილოელისა სამხრეთელისადმი, ანდა, ყოველ შემთხვევაში, იმ ყბედი მკვეხარას საარაკო ტიპისადმი, როგორადაც წარმოიდგენს ხოლმე ჩრდილოელი სამხრეთის მკვიდრს. მათი გახსენებისას კრისტოფი ტუჩს იბზუებდა... არა, იოტისოდენი სურვილიც არა ჰქონია, გასცნობოდა ამ ხალხს, მუსიკა რომ არ გააჩნდა. — (ჩვეულებრივ, გაუზვიადებლად დასძენდა ხოლმე: „განა თანადროული ევროპული მუსიკის ფონზე რამედ ჩასაგდებია იმათი მანდოლინის ჩხაკუნი და მოთქმა-კვნესა ლაყბობადქცეულ მელოდრამებში?") — მაგრამ გრაციაა ხომ ამ ხალხის შვილია. სად არ წავიდოდა, რა გზით არ ივლიდა კრისტოფი, ოღონდაც კვლავ ეპოვა იგი! თვალს დახუჭავს და არას დაინახავს, ვიდრე გრაციას შეხვდებოდეს.

თვალის დახუჭვას დიდი ხანია შესჩვეოდა. წლების მანძილზე კარჩაკეტილში ჰქონდა მოქცეული შინაგანი ცხოვრება! ეს კი ამ შემოდგომის მიწურულს ფრიად საჭირო იყო. სამი კვირის განმავლობაში გადაუღებლივ წვიმდა. სქელი ყომრალი ღრუბელი დასწოლოდა დამბალ, სიცივისაგან აკანკალებულ შვეიცარიის ველებს. კრისტოფის თვალებს დავიწყებოდათ მზის სხივთაგან მონიჭებული სიამე. ენერგია კვლავ რომ მოეკრიბა, უნდა შეექმნა სრული წყვდიადი, უნდა დაეხუჭა თვალი და ჩასულიყო მაღაროს სიღრმეში, ოცნებათა მიწისქვეშა გვირაბებში. იქ, ქვანახშირის ფენებში, ეძინა გარდასულ დღეთა მზეს. მაგრამ ვინც თავისი დღე და წუთისოფელი აგრე მოკუნტული ქვესკნელში ქვანახშირსა ფხრის, იქიდან ამოდის ალმურმოდებული, ხერხემალი და მეხლები გაშეშებია, ხელ-ფეხი დაჰგრეხია, ნახევრად გახევებულს ღამის ფრინველივით უსიცოცხლო მზერა აქვს. რამდენჯერ ამოუტანია კრისტოფს ამ მაღაროდან წვითა და დაგვით მოპოვებული ცეცხლი, რათა დამზრალი გულები გაეთბო. ოღონდ ჩრდილოური ოცნებანი ღუმელისა და დახშული ოთახის სიმხურვალეს გამოსცემენ. ეს ფიქრადაც არ მოგდის, როცა იქ, იმ სიღრმეში ცხოვრობ; გიყვარს ეს ჩახუთული ჰაერი, ეს ბინდბუნდი, გამაბრუებელი ოცნებები. გიყვარს ის, რაც გაქვს. ჰოდა, უნდა დასჯერდე კიდეც ყოველსავე ამას.

როცა მატარებელი ალპურ კარიბჭეს გასცდა და ვაგონის კუთხეში მთვლემარე კრისტოფმა თვალი ჰკიდა კრიალა ცარგვალს, იხილა მთის ფერდობებზე დაფენილი მზე, თავი სიზმარში ეგონა. უკან, მთის მიღმა, ეს-ეს იყო დაეტოვებინა ჩამქრალი ზეცა, ბინდიანი დღე. ისეთი უეცარი იყო ამგვარი ცვლილება, თავდაპირველად გაოცებას უფრო გრძნობდა, ვიდრე სიხარულს. ასე იჯდა ერთხანს, სანამ გულგახევებულს მოეფონებოდა, სულისშემბოჭველი ქერქი

შემოეცლებოდა, წარსულის ბურუსს თავს დააღწევდა. მზე საშუადღეოსკენ მიიწევდა, ნაზი სინათლე ელამუნებოდა კრისტოფს; ყველაფერი დავიწყებოდა მას, ხარბად ტკბებოდა მიდამოს ცქერით.

მილანის ვაკე გადაშლილიყო თვალწინ. დღის ციალს ირეკლავდა ცისფერი არხები. მათს ვენებს დაესერა ბუსუსით შემოსილი ბრინჯის ყანები. აშოლ-ტილიყვნენ შემოდგომის მოქნილი, ტანკენარი ხეები, ალაგ-ალაგ წითელი ხვიფლით დაფარულნი. და-ვინჩის მთები, ნაზად მოციაგე თოვლიანი ალპები, მკაფიოდ გამოირჩეოდა თვალსაწიერზე, გეგონებოდათ, ნარინჯისფერი, მომ-წვანო-მოყვითალო და ბაცი ლურჯი ფერის ქობა შემოვლებიაო ჰორიზონტის ხაზს. ბინდი ეპარება აპენინის მთებს, მთათა ფერდობები გველივით დაკლაკ-ნილა, ერთურთს მისდევს, იტყვი, ფერხულის რიტმში ჩაბმულანო. და უცებ, ფერდობის ძირას, თითქოს გკოცნისო, მოგელამუნება ზღვის სუნთქვა, რასაც შერევია ფორთოხლის ხეების სურნელი. ზღვა, ლათინური ზღვა! მის ოპალის-ფერ არილში ძილმორეული გაყუჟულა წყება ნავებისა, ფრთები რომ დაუ-კეცავთ...

ზღვის პირას, მეთევზეთა სოფელთან მატარებელი გაჩერდა. მგზავრებს აუწყეს, კოკისპირული წვიმის გამო ზვავი ჩამოწოლილა გენუასა და პიზას შორის მოქცეულ გვირაბში და მგზავრობა რამდენიმე საათით შეფერხდებაო. კრისტოფი, ვისაც რომის პირდაპირი ბილეთი აეღო, გაახარა ამ შეფერხებამ; დანარჩენი მგზავრები გულისწყრომამ მოიცვა. კრისტოფი ბაქანზე ჩამოხტა, დრო იხელთა და მიეჭრა ზღვას, ასერიგად რომ იზიდავდა. ისე გაიტაცა ზღვამ, ერთი-ორი საათის შემდეგ, როცა მატარებელმა დაიკივლა და აიძრა, ნავში მჯდომმა კრისტოფმა „გზა მშვიდობისაო“ — მიაძახა. ამ მოციაგე ღამეში ნავით მიირწეოდა მოლიცლიცე ზღვაზე, ნორჩი კვიპაროსებით შემორგული მაღალი კონცხის გასწვრივ. ბინა ერთ სოფელში დაიდო და, ნეტარებას თავმიცემულ-მა, იქ ხუთი დღე დაჰყო. დიდი ხნის ნამარხულევ კაცს მოგაგონებდათ, საჭ-მელს რომ დასცხრომია, მთელი არსებით მოწყურებული ისრუტავდა ჩახჩახა მზის სხივებს... სინათლევ, სისხლო სამყაროისა, სიცოცხლის მდინარევ, ჩვენი თვალებით, ტუჩებით, ნესტოებით, ჩვენი კანის ყოველი სვრეტით რომ შეგი-წოვთ. სინათლევ, შენ უფრო მიუცილებელი ხარ არსობისათვის, ვიდრე პური. ვინც შენ გიხილავს ჩრდილოურ პირბადეჩამოცლილს, გიხილავს ცინცხალს, ჭვირვალსა და მცხუნვარეს, თავის თავს ეკითხება, როგორ შეეძლო ეცხოვრა წინათ, როს არ გიცნობდა და რაკი შეგიცნო, ვეღარ წარმოუდგენია უშენოდ გაძლება...

ხუთ დღეს მზით თრობას მისცემოდა კრისტოფი. იმ ხუთი დღის მანძილ-ზე პირველად დავიწყებოდა თავის სიცოცხლეში, მუსიკოსი რომ იყო. მუსიკა მისი არსებისა ქცეულიყო სინათლედ. ჰაერი, ზღვა და მიწა — აი, სიმფონია მზისა! და როგორი ხელოვნებით იცის იტალიამ ამ ორკესტრის გამოყენება! სხვა ხალხი ნატურიდან ხატავს. იტალიელი კი ბუნებასთან ერთად ქმნის, მზით

ხატავს. იქმნება ფერთა მუსიკა. ყველაფერი სახიობაა აქ, ყველაფერი მღერის. გზისპირს კედელი გასდევს — წითელი, ოქროსფერბზარებიანი; მას დაჰყურებს ორი ვარჯოვანი კვიპაროსი. ირგვლივ გაშლილა უკიდეგანო ცალაჟვარდი. თეთრი მარმარილოს ამრეცი კიბე ვარდისფერ კედლებშუა მიუყვება ტაძრის ცისფერი ფასადისკენ. ნაირფერი სახლები — ჰერმის, ლიმნის, ციტრონის დარად რომ გამოკრთის ზეთისხილის ხეებს შორის — საუცხოო მწიფე ნაყოფი გეგონება ფოთლოვანში გამომზირალი. იტალიური სანახები გრძნობას აღგიძრავს; თვალს აამებს ფერთა ხილვა, ისე ვით ენას — სურნელოვანი, წვნიანი ხილი. სულმოუთქმელად დაეწაფა კრისტოფი ამ ახალ სიამეს; იხარებდა მით უფრო გულსავსედ, რომ აქამდე წილად რგებოდა უღიმღამო, მწირი სანახების ცქერა. მდიდარი, მაგრამ სვეებედისაგან დათრგუნული ბუნების პატრონმა უეცრივ შეიცნო, ჯერეთ განუცდელი სიამით ტკბობა რომ შესძლებოდა. თითქოს ნადავლი ყოფილიყოს, ისე დაიპყრეს მისი არსება მრავალნაირმა სურნელებამ, ფერებმა, მუსიკამ ხმების, ზარებისა და ზღვისა, ჰაერსა და სინათლეს რომ ეალერსებიან. აღარაფერზე ფიქრობდა. ნეტარებას მოეცვა ერთიანად. ხანდახან თუ გამოერკვეოდა, ისიც მხოლოდ იმიტომ, ეს თავისი სიხარული ვინმე შემხვდურთაგანისთვის გაეზიარებინა: მენავისთვის — ძველი მეთევზისათვის, მკვირცხლი თვალები რომ ჰქონდა ნარჭებით შემოქსელილი და თავზე ვენეციელი სენატორის წითელი ქუდი ეხურა; ერთადერთი თანამეინახისთვის — აპათიური მილანელისთვის, მაკარონს რომ შეექცეოდა და თანაც ოტელოსნაირ შავ-შავ, სიძულვილისაგან მრისხანედ მომზირალ თვალებს აბრიალებდა; რესტორნის მიმტანისათვის, რომელიც კერძების მორთმევისას კისერს ჰიმავდა, ხელებსა და ტანს ბერნინის[1] ანგელოზივით ხრიდა; პატარა იოანე ნათლისმცემლისთვის, გამვლელ-გამომვლელს რომ შესციცინებდა და მოწყალებას სთხოვდა, მწვანეშტოიან ფორთოხალს სთავაზობდა. კრისტოფი მეეტლეებს შეეხმიანებოდა ხრლმე, გულაღმა რომ გაშხლართულიყვნენ თავიანთ ოთხთვალებში და დუდღუნა ხმით გაებათ რაღაც უთავბოლო სიმღერა. თავადაც იგულისყურა, თურმე „Cavalleria rusticana"[2]-ს ვღიღინებო. მგზავრობის მიზანი გულიდან გადავარდნოდა. დავიწყებოდა, რარიგ ეშურებოდა გრაციასთან შესაყრელად.

ასე გრძელდებოდა იმ დღემდე, ვიდრე საყვარელი არსების ხატება გაცოცხლდებოდა მასში. ვერ მიმხვდარიყო, რამ წამოაგონა იგი, გზადშეხვედრილთაგან ვინმეს გამოხედვამ თუ დაბალი, მღერადი ხმის სინარნარემ? დადგა ჟამი, როცა ყველაფრიდან, რაც ირგვლივ ერტყა, ზეთისხილის ხეებით დაფარული გარსმომდგარი გორაკებიდან, აპენინის მაღალი მთების გლუვი თხემებიდან, მკაფიოდ რომ გამოჩანდა მრუმე ღამეშიც და მზის კაშკაშა ნათელშიც,

[1] ბერნინი, ლორენცო (1598—1680) იტალიური ბაროკოს უსაჩინოესი ხუროთმოძღვარი და მოქანდაკე.

[2] „სოფლის პატიოსნება" (იტალ.) — მასკანის ოპერა.

ფორთოხლის წარაფებიდან თუ ზღვის ღრმა სუნთქვიდან, შემოსცქეროდა ნანდაურის მოღიმარი სახე. ათასი თვალით დამზერდა ცარგვლიდან გრაციას თვალები. ისე იფურჩქნებოდა გრაცია ამ მიწაზე, ვით ვარდი — ვარდის ბუჩქზე.

უმალ კვლავ ჩაჯდა. რომისაკენ მიმავალ მატარებელში, აღარსად გაჩერებულა. აღარც არაფერი აინტერესებდა, არც იტალიური ძეგლები, არც ძველებური ქალაქები, არცთუ ხელოვნების განთქმული ნიმუშები. არ უნახავს და სურვილიც არ გასჩენია, მოეხილა რომი. იმან, რისი შემჩნევაც გზად გავლისას მოასწრო, — ახალმა, ყოველგვარ სტილს მოკლებულმა კვარტალებმა, კვადრატულმა შენობებმა, — ხალისი დაუკარგა, დაეთვალიერებინა ქალაქი.

ჩამოსვლის უმალ გრაციას სანახავად გაეშურა. ქალმა ჰკითხა:

— რომელი გზით ჩამოხვედით? არ ჩამომხტარხართ მილანში, ფლორენციაში?

— არა, — მიუგო, — რა მინდოდა იქ?

გრაცია იცინის.

— საუცხოო პასუხია! როგორ მოგწონთ რომი?

— რა ვიცი, — თქვა კრისტოფმა, — ნახვით არაფერი მინახავს.

— მაინც, მაინც?

— რა გითხრათ. ერთი ძეგლი არ მინახავს. სასტუმროდან პირდაპირ თქვენთან მოვედი.

— ათი ნაბიჯის გადადგმაც საკმარისია, რომ იხილოთ რომი. შეხედეთ იმ კედელს, აი იქ, პირდაპირ... ხედავთ, როგორაა განათებული!

— მე მხოლოდ თქვენ გხედავთ, — უთხრა კრისტოფმა.

— ბარბაროსი ხართ, მხოლოდ იმას ხედავთ, რაც თქვენს წარმოდგენას შეუქმნია. როდის გამოემგზავრეთ შვეიცარიიდან?

— რვა დღის წინათ.

— რას აკეთებდით ამდენ ხანს?

— თავადაც არ ვიცი. სრულიად შემთხვევით გავჩერდი ერთ ზღვისპირა სოფელში. არც კი ვიცი, რა ჰქვია იმ სოფელს. ეს რვა დღე სულ მეძინა. მეძინა თვალღიას. არ ვიცი, რას ვხედავდი, არ ვიცი, რაზე ვოცნებობდი. მგონი თქვენ მეზმანებოდით. მეტად მშვენიერი რამ იყო, ისე მშვენიერი, ყველაფერი გადამავიწყდა ამქვეყნად...

— გმადლობთ, — თქვა ქალმა.

(კრისტოფი არც უსმენდა).

— ყველაფერი, — განაგრძობდა იგი, — ყველაფერი, რაც იყო მაშინ, რაც იყო იმის წინათ. ასე მგონია, ახლად დავიბადე, ახლად ვიწყებ-მეთქი ცხოვრებას.

— მართლაც ასეა, — თქვა ქალმა, თან მოღიმარი თვალებით უმზერდა. — გამოცვლილხართ ჩვენი ბოლო შეხვედრის შემდეგ.

კრისტოფიც შეჰყურებდა გრაციას და მასაც არანაკლებ შეცვლილი ეჩვე-

ნებოდა ქალი. სრულიად სხვაგვარი თვალით უყურებდა და ეს იყო, თორემ შეცვლით არ შეცვლილა გრაცია ამ ორი თვის მანძილზე. იქ, შვეიცარიაში, თვალწინ ედგა გარდასულ დღეთა ხატება, მსუბუქი აჩრდილი გრაციასი, ედგა და მეგობრის აწინდელ სახეს უჩრდილავდა. აწ კი, იტალიის მზის ქვეშ, გამქრალიყვნენ ჩრდილოური ოცნებანი; ამ კაშკაშა დღის შუქზე იგი ხედავდა სატრფოს ჭეშმარიტ სულსა და სხეულს. სულ აღარ ჰგავდა ეს სატრფო იმჟამინდელ პარიზში დატყვევებულ ქურციკს, იმ ყმაწვილ ქალს, წმიდა იოანეს ღიმილი რომ ჰქონდა და ხელახლა რომ იპოვა ერთ საღამოს, გათხოვებიდან ცოტა ხნის შემდგომ; იპოვა და აკი უცებ ისევ დაჰკარგა! უმბრიელი პატარა მადონა გაფურჩქვნილიყო, მშვენიერ რომაელ ქალად ქცეულიყო.

Color verus, corpus solidum et succi plenum[1].

მის ნაკვთებს ჰარმონიული სისავსე შესძენოდა; სხეულს აღბეჭდოდა კეთილშობილური მინაზების იერი. სიმშვიდე დიოდა ამ ქალისაგან. იგი განასახიერებდა მზით გაჯერებულ მყუდროებას, მდუმარე ჭვრეტას, მშვიდი ცხოვრებით ტკბობას, — ყველაფერ იმას, რასაც მთლიანად ვერასდროს იგემებენ ჩრდილოელნი. წარსულისაგან უმთავრესად შემორჩენოდა ის დიდი სიკეთე, რაიც მსჭვალავდა ყველა მის გრძნობას, მაგრამ მისი ნათელი ღიმილი სხვა რამესაც ამხელდა: სევდიან შემწყნარებლობას, ცრტაოდენ მოქანცულობას, ადამიანთა გარჩევის უნარს, მსუბუქ ირონიას, მშვიდ წინდახედულობას. წლებს თითქოს თოშით შეესუდრა გრაცია, რაიც გულის ცდომილებათაგან იცავდა; იშვიათად თუ გახსნიდა იგი გულს; მისი სინაზე, ნათელი ღიმილი წინ აღუდგებოდა იმ ვნებათაღელვას, კრისტოფი ძლივს რომ იოკებდა. ამავე დროს ჰქონდა სუსტი მხარეებიც, სჩვეოდა უმწეობა ცხოვრებისეული განსაცდელის ჟამს, კეკლუცობა, რასაც თავადვე დასცინოდა, მაგრამ არ კი ებრძოდა. ვერ აუჯანყდებოდა ვერც რაიმე ვითარებას, ვერც საკუთარ თავს: ერთობ მშვიდი ფატალიზმი მოსდგამდა ამ უაღრესად კეთილსა და ოდნავ მოქანცულ არსებას.

სტუმრებს მრავლად იღებდა გრაცია და დიდად არც არჩევდა მათ, — ყოველ შემთხვევაში, ასე მოეჩვენებოდა კაცს ერთი შეხედვით; მაგრამ ეს იყო იგივე წრის ხალხი, გრაცია რომ ეკუთვნოდა; ერთი და იგივე ჰაერით სუნთქავდნენ, ერთნაირი ჩვევები ჰქონდათ; ეს საზოგადოება წარმოადგენდა საკმაოდ ჰარმონიულ მთლიანობას, მკვეთრად განხვავებულს იმისგან, რასაც კრისტოფი გერმანიასა და საფრანგეთში დაჰკვირვებოდა. უმეტესობა განეკუთვნებოდა ძველებურ იტალიურ გვარიშვილთ, აქა-იქ რომ გაჯანსაღებულიყვნენ უცხოელებთან ქორწინებით; მათ შორის გამეფებულიყო გარეგნული კოსმოპოლიტიზმი — ერთურთს ძალდაუტანებლად იყო შერეული ოთხი მთავარი ენა და გონებრივი ავლადიდება დასავლეთის ოთხი დიდი ერისა. ყოველი ხალხის წარმომადგენელთა თავისებურება მეღავნდებოდა აქ: ებრაელებისა — უსვენ-

[1] (ლათ.) ყირმიზი, ჯანმაგარი, სასიცოცხლო წვენით სავსე ადამიანი.

რობა, ანგლო-საქსებისა—ფლეგმატურობა; ოღონდ ეს ყოველივე უმალ ლღვებოდა ხოლმე იტალიურ ქურაში. როცა მძარცველ ბარონთა ბატონობის საუკუნენი რასაში გამოკვეთენ ამგვარ ზვიად, ხარბ პროფილს მტაცებელი ფრინველისას, ლითონი თუნდაც შეიცვალოს, ანაბეჭდი უცვლელი რჩება. ამათგან ზოგნი, პირწმინდა იტალიელი რომ გეგონებოდათ, — მათ ჰქონდათ ლუინისეული[1] ღიმილი, ტიციანისეული ავხორცული, მშვიდი გამოხედვა და ჰგვანდნენ ადრიატიკისა თუ ლომბარდიის დაბლობის ყვავილებს, — გაფურჩქვნილიყვნენ ჩრდილოურ ბუჩქებზე, ძველ ლათინურ მიწაზე რომ გადმოერგათ. რაგინდარა საღებავიც უნდა გაქნან რომის პალიტრაზე, ცინცხალი ფერი მუდამ რომაული იქნება.

თუმცა კრისტოფი ვერ გარკვეულიყო შთაბეჭდილებებში, აღტაცებული გახლდათ საუკუნოვანი კულტურით, ძველი ცივილიზაციით, რისი ბეჭედიც ესვათ ამ ადამიანებს, ხშირად ფრიად გონებაშეზღუდულნი რომ იყვნენ, ზოგჯერ კი[1] სულაც უღიმღამონი. აქ სუფევდა ოდნავ საგრძნობი სურნელი, უბრალო რამეშიც რომ ვლინდება, მომხიბლავი თავაზიანობა, მოხდენილი ქცევა, კეთილმოსურნეობა, ოღონდ დაცინვაგარეული, საკუთარი ღირსების შეგნება, გამჭრიახი მზერა, ღიმილი, სხარტი და უზრუნველი გონება, სკეპტიკური, მრავალმხრივი და ძალდაუტანებელი. არაფერი უხეში, მზვაობრული. არაფერი მწიგნობრული. აქ გული საგულეს გექნებოდა, რომ არ შესწრებოდი პარიზული სალონის რომელიმე ფსიქოლოგს, პენსნეს მინის უკან რომ დაგდარაჯებოდა, ან რომელიმე გერმანელი დოქტორის კაპრალისებურ ქცევას. ესენი სწორედ რომ ადამიანები იყვნენ, მეტად ადამიანური ადამიანები, ტერენციუსისა და სციპიონ ემილიანეს მეგობართა მსგავსნი![2]

Homo sum...[3].

ლამაზი ფასადის ცხოვრება რეალური კი არა, უფრო მოჩვენებითი გახლდათ. ამ ფასადის მიღმა იმალებოდა გამოუსწორებელი ქარაფშუტობა, რაიც ყველა ქვეყნის მაღალ საზოგადოებას მოსდგამს. ოღონდ აქაური საზოგადოების ეროვნული თავისებურება გახლდათ სიზანტე. ფრანგულ ქარაფშუტობას თან ახლავს ნერვული აგზნებულობა, ტვინის მიწყივი მუშაობა, მაშინაც, როცა იგი ფუჭად ირჯება. იტალიურ ტვინს დასვენება სჩვევია, დიახაც ხშირი დასვენება. ტკბილია მირულვა მცხუნვარე ჩეროში, ეპიკურელობისა და ირონიული გონების ლბილ სასთუმალზე, ირონიული გონებისა, მეტად მოქნილი, ფრიად ცნობისმოყვარე და თანვე საოცრად გულგრილი რომ არის.

---

[1] ლუინი, ბერნარდინო — იტალიელი მხატვარი (დაიბ. 1480—1490 წლებს შუა, გარდ. 1532 წლის ახლო ხანს).

[2] იგულისხმება განათლებულ, ლიტერატურისა და ხელოვნების ყადრის მცოდნე რომაელთა წრე (II ს. ჩვ. ერამდე), შემოკრებილი მხედართმთავარ სციპონ ემელიანესა და დრამატურგ ტერენციუსის ირგელივ.

[3] Homo sum... (ლათ.) — ასე იწყება ტერენციუსის ცნობილი გამონათქვამი: „ადამიანი ვარ და ადამიანური არა მეუცხოება რა“.

ამ ადამიანებს არ გააჩნდათ მყარი შეხედულებანი. ერთნაირი დილეტანტურობით ეკიდებოდნენ პოლიტიკასაც და ხელოვნებასაც. მათ შორის ნახავდით მომხიბვლელ არსებებს, მშვენიერი გარეგნობის მქონე ნატიფნაკვთიან იტალიელ პატრიციებს, რომელთაც ჰქონდათ ჭკვიანი და ლბილი გამოხედვა, მშვიდი მიხრა-მოხრა, გულმხურვალედ უყვარდათ ბუნება, ძველი მხატვრობა, ყვავილები, ქალები, წიგნები, კარგი სუფრა, თავიანთი სამშობლო, მუსიკა... ყველაფერი უყვარდათ, ოღონდ უპირატესობას არაფერს ანიჭებდნენ. ზოგჯერ გეგონებოდათ, არც არაფერი უყვართო. თუმცა სიყვარულს დიდი ადგილი ეჭირა მათს ცხოვრებაში, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ მყუდროებას არ დაურღვევდათ. სიყვარულიც მათებრ აპათიური და დუნე გახლდათ, ვნებაშიც კი ადვილად იძენდა ცოლქმრული ურთიერთობის ხასიათს. მათი კარგად განვითარებული და ჰარმონიული ჭკუა-გონება ინერტულობას შეჰგუებოდა, ამის წყალობით ურთიერთსაპირისპირო აზრები კი არ შეეჯახებოდა ერთიმეორეს, მშვიდად განილტვოდა, მიცხრებოდა და მიჩლუნგდებოდა, უწყინარი შეიქნებოდა. ეშინოდათ ყოველგვარი მტკიცე შეხედულების, უკიდურესი პარტიებისა; ერჩივნათ სანახევრო გადაწყვეტილება, უსრული აზრი. გონებით კონსერვატორ-ლიბერალები იყვნენ. მათ სჭირდებოდათ იმგვარი პოლიტიკა და ხელოვნება, სადღაც შუაში რომ იქნებოდა იმ კეთილჰავიანი კურორტის მსგავსად, სადაც არც ქოშინი შეგაწუხებს და არც გულის აჩქარება. თავიანთ თავს ისინი ცნობდნენ გოლდონის[1] ზარმაც პერსონაჟებში ან მანძონის[2] თანაბრად გაბნეულ სინათლეში. ოღონდ ეს ხელს არ უშლიდათ საამო უზრუნველობაში. თავიანთი დიდი წინაპრებივით ვერ იტყოდნენ: „Primum vivere"[3], უფრო ამას ამბობდნენ: „Dapprima, quieto vivere"[4]. გეცხოვრა მშვიდად. ეს იყო იდუმალი სურვილი, ნდომა ყველასი, ასე განსაჯეთ, იმათიც, უფრო ენერგიულნი რომ იყვნენ და იმათიც კი, პოლიტიკას ვინც ხელმძღვანელობდა. თითოეული ამ პატარა მაკიაველთაგანი[5], თავის თავისა და სხვათა მბრძანებელი, გამჭრიახი და მოწყენილი ჭკუის პატრონი, რომელთაც გულიც ისეთივე ცივი ჰქონდათ, როგორიც — გონება, მიზნის მისაღწევად რაგინდარა ხერხის გამოყენებას რომ არ ერიდებოდნენ, შეგობრებს თავის პატივმოყვარეობას რომ ანაცვალებდნენ, ამ პატივმოყვარეობას მხოლოდ ერთ რამეს შესწირავდნენ: წმიდათაწმიდა quieto vivere-ს. ნდომა უჩნდებოდათ, პროსტრაციის გრძელ ჟამს მინებებოდნენ. როცა ეს მდგომარეობა გაუვლიდათ, თავს გრძნობდნენ კარგად გამოძინებულივით ხალასად და ცქვიტად; ამ დარბაისელ მამაკაცებსა და

---

[1] გოლდონი, კარლო (1707—1793) — გამოჩენილი იტალიელი კომედიოგრაფი.

[2] მანძონი, ალესანდრო (1785—1873) — გამოჩენილი იტალიელი პოეტი, რომანისტი.

[3] უპირველეს ყოვლისა, ცხოვრება (ლათ.).

[4] უპირველეს ყოვლისა, მშვიდი ცხოვრება (იტალ.).

[5] მაკიაველი, ნიკოლო (1469—1587) — გამოჩენილი პოლიტიკური მოაზროვნე და მწერალი იტალიური აღორძინების ხანისა.

აუღელვებელ მადონებს უცებ სურვილი დარეოდათ ხელს, ელაპარაკათ, ემხიარულათ, დაეწყოთ გაცხარებული საქმიანობა. სიტყვამრავალნი შეიქნებოდნენ, მკვირცხლი მიხრა-მოხრა სჩვეოდათ ამ დროს, საოცარი ენამახვილობა, ხალისიანი ხუმრობა: l'opera buffa[1]-ს განასახიერებდნენ. იტალიურ პორტრეტთა ამ გალერეიაში იშვიათად თუ ნახავდით გონებაგადაღლილ ადამიანებს, გუგები ლითონისებრ რომ უელვარებთ და სახე კიდევ დაძაბული გონებრივი მუშაობის გამო მოსთენთვიათ, ჩრდილოეთში რომ ემართებათ ხოლმე, ისე. ოღონდ აქაც შენიშნავდით იმგვარ ხალხს, ვინაც იტანჯებოდა და ინდიფერენტულობით ინიღბავდა ჭირ-ვარამს, მისწრაფებას, სურვილს, სიამით ეძლეოდა გარინდებას. აღარას ვამბობთ იმათ გამო, ვისი უცნაური, ახირებული, გაუგებარი საქციელი ადასტურებდა ძველისძველი რასებისათვის ნიშანდობლივ ერთგვარ უმდგრადობას, მსგავსად იმ ნაბზარებისა, რითაც დაღარულია რომის კამპანის მიწა.

რაღაცნაირი ხიბლი ჰქონდა მათი სულის იდუმალებას, მათს მშვიდსა და დამცინავ თვალებს, სადაც ჩაბუდებულიყო უჩუმარი ტრაგიზმი. მაგრამ კრისტოფს არ სურდა ამის შემჩნევა. გაშმაგება ეუფლებოდა, რაკი ხედავდა, გრაციას ასეთი ხალხი ეხვია გარს. მათაც უბრაზდებოდა და გრაციაზეც-მოსდიოდა გული. ისე ვით რომს, გრაციასაც მოემდურა. დაუძვირა ნახვა, უკან გამგზავრებას აპირებდა.

კრისტოფი არ გამგზავრებულა. მისდაუნებურად გრძნობდა, იზიდავდა იტალიელთა საზოგადოება, ის საზოგადოება, თავდაპირველად აგრერიგად რომ აგულისებდა.

იგი განმარტოვდა. დაეხეტებოდა რომსა და მის შემოგარენში. რომის ზეცა, დაკიდებული ბალები, კამპანი, მზის შუქდაფენილი ზღვა, ოქროსფერ მერდინად რომ შემოვლებოდა კამპანის, თანდათან უმეღავნებდა ამ ჯადოსნური მიწის საიდუმლოს. გულში დაიფიცა, ბიჯს არ გადადგამდა იმ მკვდარი ძეგლების მოსახილავად, არ აინტერესებდა მათი ნახვა; ბუზღუნით ამბობდა, დაველოდები, ვიდრე თავად მომეახლებოდნენო. მოეახლნენ კიდეც; უცაბედად შეეყარა მათ ბორცვებიან ქალაქში სეირნობისას. არ უძებნია, ისე იხილა მზის დაწურვისას წითურ მღვივანი ფორუმი[2], პალატინის[3] ნახევრადჩამოქცეული თაღები, რომელთა მიღმა კამკამებს უძირო ცის ლაჟვარდი. ეხეტებოდა თვალუწვდენელ კამპანიში, შლამმოდებული და ჭანჭრობს დამსგავსებული მოწითანო ტიბრის ნაპირას, — მინგრეული აკვედუკების გასწვრივ, უზარმაზარ მალებს რომ მოგაგონებდათ წარღვნამდელი რამ ურჩხულისას. შავი ღრუბლე-

[1] l'opera buffa — კომიკური ოპერა.

[2] ფორუმი — ძველი რომის ცენტრალური მოედნის ნგრეული ნაშთი, მოედნისა, სადაც ოდესღაც დიდებული შენობები მდგარა.

[3] პალატინი — რომის იმპერატორთა სასახლის ნანგრევები.

ბის სქელი ქულები მიცურავდა ბაც ლურჯ ცაზე. ცხენებზე შემსხდარი გლეხები უშენი ადგილის გავლით სამხრეთისაკენ მიერეკებოდნენ ვეებერთელა, გრძელრქიანი, ლეგა ხარების ჯოგს; ძველ გზაზე კი, სწორ, მტვრიან, ტიტველა გზაზე, ტანმომცრო ხრდალი ვირებისა და ჩოჩრების მწკრივს მდუმარედ მიჰყვებოდნენ სატირის მსგავსი მწყემსები, თეძოზე ბალნიანი ტყავები რომ შემოეკრათ. შორით, თვალსაწიერზე, საბინის მთაგრეხილის[1] ოლიმპიური ხაზი მოჩანდა; ცის თაღის მეორე მხარეს კი გამოკვეთილიყო ქალაქის უძველესი კედელი და თალხი სილუეტები მროკავ ქანდაკთა, რანიც ამშვენებდნენ წმიდა იოანეს ტაძრის ფასადს... სიწყნარე...

თაკარა მზე... ქარი დაქროდა ტაშირზე... უთავო, მოსასხამმოგდებულ, აქა-იქ ბალახამოზრდილ ქანდაკზე ხვლიკი გაწოლილიყო; თანაბრად სუნთქავდა კაშკაშა სინათლეზე გარინდული. და კრისტოფი, თავი რომ უეუოდა მზისგან (ზოგჯერაც კასტელიური ღვინისაგან), იღიმოდა, შავ მიწაზე იჯდა გატეხილ მარმარილოსთან, თვლემდა თავდავიწყებას მიცემული, ითრობოდა რომის მშვიდი და მორჭმული ძალით. ასე იყო ხოლმე შეღამებამდე. მაშინ გულს ნაღველი შემოაწვებოდა და განელტვოდა მარტოობის პირქუშ უდაბნოს, სადაც ინავლებოდა ტრაგიკული ნათელი... ჰოი, დედამიწავ, ვარვარა დედამიწავ, ვნებიანო, მდუმარე დედამიწავ! შენს შფოთიან სიჩუმეში მომესმის ლეგიონთა საყვირის ხმა. რა გაშმაგებით ბობოქრობს სიცოცხლე შენს მკერდში. რარიგ გწადია გამოღვიძება!

კრისტოფმა მონახა ისეთი ხალხი, ვის გულშიც ჯერაც ბეუტავდა საუკუნის ცეცხლი. სამარეთა ფერფლქვეშ შემონახულიყო იგი. გეგონებოდა, ეს ცეცხლი მაძინის[2] თვალთა ელვარებასთან ერთად ჩამქრალიყო. აწ კვლავ ღვივდებოდა ისევ ისეთი. ცოტა ვინმეს თუ სურდა მისი დანახვა, აკი მყუდროებას ურღვევდა მძინართ. მკვეთრი, ელვარე იყო ეს სინათლე. ახალგაზრდებს, ვისაც იგი მოჰქონდა (მათგან ყველაზე უფროსს ჯერ ოცდათხუთმეტიც არ შესრულებოდა) — მსოფლიოს ყველა კუთხიდან მოსულ რჩეულთ, თავისუფლად რომ აზროვნებდნენ და განირჩეოდნენ ტემპერამენტის, აღზრდის, შეხედულებებისა და რწმენის მიხედვით, აერთიანებდათ ახალი ცხოვრების ამ ცეცხლის კულტი. პარტიულ იარლიყს, მსოფლმხედველობრივ განსხვავებას არად აგდებდნენ, — მთავარი იყო, „გაბედულად გეაზროვნა“. ყოფილიყავ წრფელი, გამოგეჩინა შემართება! მაგრად ანჯღრევდნენ თავიანთ ხალხს, რათა ძილი განეფრთხოთ მისთვის. მას შემდეგ, რაც გმირთა ძახილზე მკვდრეთით აღმდგარი იტალია პოლიტიკურად აღზევდა, სულ ახლახან კი ეკონომიკურადაც აღორძინდა, მათ გადაწყვიტეს, სამარიდან ამოეტაცებინათ იტალიური

[1] დაბალი ქედი რომის აღმოსავლეთით.

[2] მაძინი, ჯუზეპე (1805—1872) — იტალიელი პოლიტიკური მოღვაწე; იბრძოდა იტალიის გაერთიანებისა და ავსტრიის მბრივ ჩაგვრისაგან მისი განთავისუფლებისათვის.

აზრი. ტანჯავდათ და შეურაცხყოფდათ. რჩეული საზოგადოების შიშნეული და სიზარმაცენარევი მოდუნებულობა, მისი გონისმიერი სილაჩრე და ლაყბობა. ხმა იმ ახალგაზრდებისა გაისმა რიტორიკის ბუნდოვანებისა და მორალური მონობის მეუფებისას, რაიც საუკუნეთა მანძილზე დამკვიდრებულიყო სამშობლოს სულში. ამ სულს მათ შთააგონეს ულმობელი რეალიზმი და ურყევი პატიოსნება. მხურვალედ მიესწრაფოდნენ ნათელ გაგებას, რასაც უნდა მოჰყოლოდა ენერგიული მოქმედება. უნარი შესწევდათ, საჭიროების ჟამს პირადი მისწრაფება ენაცვალებინათ მოვალეობისათვის, დისციპლინისათვის, რასაც თითოეულ ადამიანს ერის ინტერესები აკისრებს. იმავ დროს ინარჩუნებდნენ მაღალ იდეალს და უწმინდეს სწრაფვას ჭეშმარიტებისაკენ, რაიც მგზნებარე და კრძალული სიყვარულით უყვარდათ. ამ ახალგაზრდების ერთმა მეთაურთა-განმა[1] დიადი სიმშვიდით მიუგო თავის მტრებს, როცა იმათ შეურაცხყოფა მოაყენეს, ცილი დასწამეს და განსაცდელში ჩააგდეს:

„პატივი ეცით ჭეშმარიტებას! ალალად გელაპარაკებით, გულღვარძლიანი როდი ვარ. რაც ჩემთვის ზიანი მოგიყენებიათ, დავივიწყე; ისიც, რაც, შესაძლოა, თქვენთვის მომეყენებინოს. იყავით გულმართალნი! არც სინდისიერება, არც ცხოვრების ზეობა, არც თავგანწირვის ნიჭი, არც კეთილშობილება არ არის იქ, სადაც წმიდად, მტკიცედ და უსიტყვოდ არ იცავენ ჭეშმარიტებას. აღასრულეთ ეს ძნელი ვალი. სიყალბე, ვიდრე იგი გაჭრიდეს, უმალ ყალბის მოქმედსა რყვნის; რის მაქნისია, სწრაფ წარმატებას თუ მიაღწევთ ამ გზით? თქვენი სულის ფესვები გამოეკიდება სიცარიელეში, სიცრუით გამოჭმულ ნიადაგში. მტრულად როდი გელაპარაკებით. იმგვარი საკითხი წამოვჭერით, რაიც ჩვენს უთანხმოებებზე მაღლა დგას, თუნდაც რომ თქვენი ვნებები სამშობლოს სახელს ამოაფაროთ. ერთი რამ სამშობლოზე უფრო დიდია — ადამიანის სინდისი. არის კანონები, რომელთა დარღვევა არ უნდა გაბედოთ, თუ არ გინდათ, ცუდი იტალიელები შეიქმნეთ. თქვენს წინ ის კაცია, ჭეშმარიტებას რომ ეძიებს; უნდა გაიგონოთ მისი ძახილი. თქვენს წინაა კაცი, ვისაც მხურვალედ სწადია, გიხილოთ დიდსულოვანნი და სპეტაკნი, სწადია, იმუშაოს თქვენთან ერთად. გსურთ თუ არა გსურთ, სულ ერთია, ყველანი ერთად ვიშრომებთ იმათ მხარდამხარ, ვინც შრომობს ჭეშმარიტების თანახმად. ყველაფერი, რასაც შევქმნით (და რასაც ვერც კი განვჭვრეტთ), აღბეჭდილი იქნება ჩვენი საერთო ტვიფრით, თუ ჭეშმარიტების მიხედვით ვიმოქმედებთ; ადამიანის არსიც ესაა— ეს შესანიშნავი უნარი, ეძიებდე ჭეშმარიტებას, გიყვარდეს, ხედავდე მას, თავი შესწირო. ჭეშმარიტებავ, ჯადოსნური სუნთქვა შენი მორჭმულობისა სწვდება ყველას, ვინც შენ გფლობს!..“

როცა კრისტოფმა პირველად მოისმინა ეს სიტყვები, საკუთარი სულის ღალადისი ეგონა; გრძნობდა, ეს ადამიანები მისი ძმები იყვნენ. შესაძლოა,

[1] ჯუზეპე პრეცოლინი, რომელიც ჯოვანი პაპინისთან ერთად იმჟამად ხელმძღვანელობდა „ლა ვოჩეს“ („ხმა“) ჯგუფს.

ხალხთა ბრძოლის ახირებულობამ და იდეების განსხვავებულობამ ერთმანეთს დანასისხლად გადაჰკიდოს ისინი; მაგრამ მტერმოყვრობის მიუხედავად, ერთ ადამიანურ ოჯახს ეკუთვნიან, ერთი ოჯახისანი დარჩებიან მარადის! ეგ ამბავი იმათაც იცოდნენ. ის კი არა, მასზე უწინ იცოდნენ. კრისტოფს წინათვე იცნობდნენ, რადგან ოლივიეს მეგობრები იყვნენ. კრისტოფმა ნახა, რომ მისი მეგობრის ქმნილებანი (ლექსების რამდენიმე ტომი და კრიტიკული ესსეები), რომელთაც პარიზში ცოტა ვინმე თუ იცნობდა, ამ იტალიელთ ეთარგმნათ და გაეთავისებინათ. მოგვიანებით მან ძალაუნებურად ისიც შეამჩნია, რა უფსკრული მიჯნავდა ამ ხალხს ოლივიესაგან. სხვებზე მსჯელობისას ისინი მხოლოდ იტალიელებად რჩებოდნენ, არ შეეძლოთ თავი დაეღწიათ თავიანთი ხალხის აზროვნების შემზღუდველი ჩარჩოებისათვის. გულახდილად რომ ვთქვათ, უცხოელთა ქმნილებებში მხოლოდ იმას ეძიებდნენ, რაც მათს ეროვნულ ინსტინქტს უნდოდა ეპოვა; ხშირად იმასღა წარმოაჩენდნენ, რაც თავადვე დაეგულებინათ ქვეშეცნეულად. მდარე კრიტიკოსები და უხეირო ფსიქოლოგები, ისინი მეტისმეტად გართულნი იყვნენ თავიანთი თავით და თავიანთი ვნებებით, მაშინაც კი, როცა ჭეშმარიტებას ეძიებდნენ. იტალიურ იდეალიზმს არ ეხერხება თავდავიწყება; ჩრდილოური უსაზღვრო ოცნებები სულაც არ იზიდავს მას; ყველაფერს თავის თავს უსადაგებს, თავის სურვილებს, თავისი რასის სიამაყეს, სწრაფვას ერის დიდების აღორძინებისადმი. შეგნებით თუ შეუგნებლად, ნიადაგ terza Roma[1]-ს გულისათვის ირჯება. უნდა გამოვტყდეთ, საუკუნეთა მანძილზე თავი დიდად არ შეუწუხებია ამის განსახორციელებლად. ლამაზ იტალიელებს, მოქმედებისათვის გაჩენილთ, მხოლოდ ვნებათაღელვა ამოქმედებთ, დაღლით კი მალე იღლებიან. მაგრამ როცა ვნებათაღელვა ააბობოქრებთ, სხვა ხალხებზე მეტად აღზევდებიან: ამას ადასტურებს, მაგალითად, მათი Risorgimento[2]. ეს იყო ქარტეხილი, იტალიის ყველა პარტიის ახალგაზრდობა რომ აიყოლია: ნაციონალისტები, სოციალისტები, ნეოკათოლიკეები, თავისუფალი იდეალისტები, ყველა მოუდრეკელი იტალიელი, ვინც იმის მოიმედე და მოწადინეა, იყოს მოქალაქე იმპერატორის რომისა, ქვეყნიერების მბრძანებლისა.

თავდაპირველად კრისტოფი ამჩნევდა მხოლოდ მათს კეთილშობილურ მგზნებარებას და იმ საერთო ანტიპათიას, რაც მათთან აერთიანებდა. ერთსულოვანნი იყვნენ, როცა საქმე ეხებოდა სიძულვილს მაღალი საზოგადოებისას, რომლის მიმართაც გულში ჯავრი ედო კრისტოფს, რაკიღა გრაცია იმ საზოგადოებას ანიჭებდა უპირატესობას. კრისტოფზე უფრო მეტად ეჯავრებოდათ იმათ ეს კეთილგონიერება, ეს აპათია, ეს კომპრომისობანა და მასხარაობა, ეს

---

[1] La terza Roma (იტალ.) — მესამე რომი, ანუ ლათინთა რასის მესამე დიდი სახელმწიფო, რომელიც თითქოს უნდა წარმოიშვას რომისა და ბიზანტიის სანაცვლოდ.

[2] რისორჯიმენტო (იტალ.) — იტალიის გაერთიანების ხანა XIX საუკუნეში.

ნახევრადთქმა, ეს ორპირობა, ეს წაჯექ-უკუჯექობა, რაიმე გადაწყვეტილებისათვის თავის პრიდება. მტკიცე ხასიათისანი, თვითნასწავლნი, ყველაფრისთვის საკუთარი ძალის ამარა რომ მიეღწიათ, არც საიმისო საშუალება, არც საიმისო დრო რომ არ გააჩნდათ, თავიანთი თავი საბოლოოდ დაეხვეწათ, ისინი ნებსითვე გადამეტებით ამჟღავნებდნენ გაუთლელი contadini-ს[1] ბუნებითს უხეშობასა და, ცოტა არ იყოს, მკვახე ტონს. სურდათ, მათი ხმა გაეგონათ, უნდოდათ მათთან ებრძოლათ, რასაც გინდა აიტანდნენ, მხოლოდ გულგრილობას ვერა. ოღონდ კი გაეღვივებინათ თავიანთი რასის ენერგია და, სიხარულით დასთანხმდებოდნენ, უმალ ზვარაკად მიეტანათ თავიანთი თავი. ჯერჯერობით კი ისინი არ უყვარდათ, და არც რამ გაეკეთებინათ საიმისო, რათა შეეყვარებინათ. კრისტოფი თითქმის ამაოდ გაისარჯა, როცა დააპირა გრაციასთვის ეამბნა ამ თავისი ახალი მეგობრების ამბავი. წყნარი, აუმღვრეველი ბუნების ქალს გულზე არ ეხატებოდა ის ხალხი. ძალაუნებურად უნდა დასთანხმებოდა კრისტოფი გრაციას, როცა ამ უკანასკნელმა თავისი აზრი გაუზიარა, იმგვარ ყაიდაზე იციანო ყველაზე უფრო კეთილშობილური იდეების დაცვა, ზოგჯერ მტრულ დამოკიდებულებას იწვევენო. ირონიულნი და აგრესიულნი იყვნენ, მათი მკაცრი კრიტიკა ლამის შეურაცხყოფდა კაცს. იმათაც კი, ვისი წყენინებაც სრულებით არ უნდოდათ. მეტისმეტი თავდაჯერება მოსდგამდათ, მეტად სწრაფად იცოდნენ დასკვნის გამოტანა, ერთბაშად მოჰყვებოდნენ ხოლმე თავგადაკლულ მტკიცებას. საზოგადო საქმიანობას რომ მოჰკიდეს ხელი, ჯერაც დაუდეგელნი იყვნენ, მიტომაც ხან ერთი რამ გაიტაცებდათ, ხან — მეორე; და მუდამ ერთნაირ მოუთმენლობას ამჟღავნებდნენ. ალალი გზნებით, ძალ-ღონის დაუშურველად იხარჯებოდნენ და მომეტებული ინტელექტუალიზმი, ნაადრევი და მშფოთვარე სამუშაო ჰფიტავდათ. ჩვილ, ახლადშობილ აზრს ვნებს მცხუნვარე მზე. ის მზე სულსა წვავს. ყოველსავე ჭეშმარიტსა და მარგს დრო და სიწყნარე სჭირდება. იმათ კიდევ დროც აკლდათ და სიწყნარეც. ეგ არის კიდეც მრავალი ნიჭმიმადლებული იტალიელის ბედნავსობა. გაფაციცებულ-ბობოქარი საქმიანობა ბანგივითაა. გემოს რა გაუსინჯავს გონება, მერმე ძნელად თუ გადაეჩვევა, ნორმალურ განვითარებასაც სამუდამო გამრუდებისა და დამახინჯების ხიფათი ელის.

კრისტოფს მოსწონდა ეს ხალასი გულმართლობა, მეტადრე იმ უხამსობას რომ უდარებდა, რაიც მოსდგამს მაღალი წრის ადამიანებს, vie di mezzo[2]-ს მიმდევართ, ნიადაგ შიში რომ აქვთ, თავი არ გავიბიაბრუოთო და — აქაოდა, არც მწვადი დავწვათ, არც შამფურიო — ეშმაკურ უნარს ამჟღავნებენ, არც ჰო გითხრან, არც არა. ოღონდ მალე დარწმუნდა, იმ მაღალი წრის ხალხის წყნარ გონებასა და თავაზიანობას თავისებური სიკეთეც ახლავსო. მუდმივი ბრძოლის ვითარება, რაშიაც მისი მეგობრები ცხოვრობდნენ, ქანცავდა კაცს.

[1] გლეხების (იტალ.).

[2] Vie di mezzo — ოქროს შუალედი.

კრისტოფი მოვალეობად მიიჩნევდა, ევლო გრაციასთან, რათა დაეცვა ისინი. ზოგჯერ კი იმიტომ შეუვლიდა, რა არის, დაევიწყებინა ის ხალხი. თქმა არ უნდა, ისინი მოჰგავდნენ მას, ის კი არა, ძლიერ მოჰგავდნენ. ოცი წლისა რომ იყო თავად კრისტოფი, იმგვარნი იყვნენ ახლა. მაგრამ ცხოვრების მდინარება როდი ბრუნდება. გულის სიღრმეში კრისტოფმა კარგად იცოდა, რომ მისდა-თავად უკვე გამომშვიდობებოდა ამ ჭაბუკურ დაუდგრომლობას, მიესწრაფოდა სიმშვიდეს, რის საიდუმლოსაც თითქოს გრაციას თვალები ინახავდა. რაღას ერჩოდა ამის გამო გრაციას?.. ოჰ! სიყვარულის ეგოიზმით ემართებოდა ასე. სურდა, თავად დამტკბარიყო მხოლოდ. ძალაუნებურად იტანჯებოდა, რაკი გრაცია გულთბილობას იჩენდა ყოველი მომსვლელის მიმართ, რაკი მომხიბვლელი გულღიაობით ეგებებოდა ყველას.

•

გრაცია ადვილად გამოიცნობდა ხოლმე კრისტოფის გულისნადებს; ერთხელ ჩვეული სათნო გულახდილობით უთხრა კრისტოფს:

— გწყინთ, ასეთი/რომ ვარ? ნუ გამაიდეალურებთ, ჩემო მეგობარო. ქალი ვარ, ისეთივე, როგორიც სხვები არიან. საზოგადოებას იქით არ ვეძებ; მაგრამ, გამოგიტყდები, იგი სიამოვნებას მანიჭებს, ისევე, როგორც ზოგჯერ სიამოვნებას მგვრის არცთუ მაინცდამაინც კარგი სპექტაკლის ნახვა, არცთუ მაინცდამაინც საყურადღებო წიგნის წაკითხვა, ყოველივე ის, რასაც თქვენ არად აგდებთ; მე კი ვერთობი ამ დროს და ვისვენებ. ასეთ რამეებზე ვერ ვიტყვი უარს.

— როგორ იტანთ მაგ ჭკუათხელებს?

— ცხოვრებამ მასწავლა, ლმობიერი ვიყო. კაცმა მეტისმეტი მოთხოვნები არ უნდა წაუყენო ცხოვრებას. მერწმუნეთ, ისიც დიდი რამეა, როცა საშუალება გაქვს ხვდებოდე რიგიან ხალხს, სიავეს რომ ვერ შესწამებ, ისეთს, ასე თუ ისე გულკეთილს... (რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში, თუ მათგან არაფერს გამოელი! ვიცი, თუ დამჭირდებოდა და დახმარებისათვის მივმართავდი მათ, ღმერთმა იცის, ვინ შემრჩებოდა გვერდით). და მაინც ისინი შეთვისებულნი არიან ჩემთან; ხოლო როდესაც ვხედავ თუნდაც ცოტაოდენ გულითადობას, მეტს აღარაფერს დავეძებ. გული მოგდით ჩემზე, არა? მაპატიეთ ეს ჩემი სიმდარე. ოღონდ იმის გარჩევა კი შემიძლია, რა არის ჩემში კარგი, და რა არის მდარე. ის, რაც თქვენთან მაკავშირებს, ვიცი, კარგია.

— მე ვისურვებდი ყველაფერს, — განაწყენებული კაცის კილოთი თქვა კრისტოფმა.

თუმცა მშვენივრად ესმოდა, გრაცია სიმართლეს ამბობსო. ისე სჯეროდა ამ ქალის ერთგულებისა, რამდენიმე კვირის ჭოჭანის შემდეგ ადგა და ჰკითხა:

— ნუთუ არასდროს ისურვებდით...?

— რას?

— იყოთ ჩემი.

კრისტოფი უმალვე გონს მოეგო:

— ... რომ თქვენი ვიყო?

ქალს გაეღიმა.

— განა ისედაც ჩემი არა ხართ, ძვირფასო.

— კარგად იცით, რისი თქმაც მინდა.

ქალი, ცოტა არ იყოს შეცბა, მაგრამ ხელზე ხელი მოჰკიდა კრისტოფს და თვალი თვალში გაუყარა:

— არა, ჩემო კარგო, — უთხრა ალერსიანად.

კრისტოფს ხმა ვერ გაეღო. გრაცია ხედავდა, რომ გული ძლიერ დაწყვიტა.

— მაპატიეთ, თუ გული გატკინეთ. ვიცოდი, ამაზე ჩამომიგდებდით სიტყვას. გულახდილად უნდა ველაპარაკოთ ერთმანეთს, ისე როგორც კარგ მეგობრებს შეეფერებათ.

— ისე როგორც კარგ მეგობრებსო, — დაღონებით თქვა კრისტოფმა. — მეტი არაფერი?

— უმადურო! რაღა გინდათ მეტი? დავქორწინდეთ?.. ხომ გახსოვთ, ერთ დროს თვალი გრჩებოდათ ჩემს მომხიბლავ ბიძაშვილზე? იმხანად ვდარდობდი, გულისთქმას რად ვერ მიმიხვდება-მეთქი. მაშინ ჩვენი ცხოვრება ვინძლო სხვაგვარად წარმართულიყო. ახლა კი მგონია, ასე უკეთესია. სჯობს ჩვენს მეგობრობას ნუ გამოვცდით ერთად ცხოვრებით, იმ ყოველდღიური ყოფით, რაც აუხამსებს ყველაფერს წმინდას...

— ამას იმიტომ მეუბნებით, რომ ახლა ნაკლებად გიყვარვართ.

— არა, კვლავინდებურად მიყვარხართ.

— ოჰ! ეს კი პირველად მესმის თქვენგან.

— რაღა დაგიმალოთ. იცით რა, ბევრი არაფერი მჯერა ქორწინებისა. ესეც კია, ჩემი პირადი გამოცდილება მაგალითად არ გამოდგება. მაგრამ მიმომიხედავს გარშემო და გულში ამიწონ-დამიწონია. იღბლიანი ქორწინება იშვიათი გახლავთ. ეს, ცოტა არ იყოს, არაბუნებრივიც კია. ორი არსების ნება-სურვილს ისე ვერ შეახამებ, რომ არ დაამახინჯო ერთ-ერთის ნება-სურვილი, ან, შესაძლოა, ორივესიც. თანაც ეს იმგვარი სატანჯველი როდია, სულს რომ აწრთობს.

— ეჰ! — თქვა კრისტოფმა, — მე კი მგონია, პირიქით, მშვენიერია ამისთანა მსხვერპლი, როცა სული სულს ერწყმის!

— მშვენიერია ოცნებაში. სინამდვილეში სხვაზე მეტად ეწამებოდით.

— რაო! თქვენ გგონიათ, არასდროს მეყოლება ცოლ-შვილი, არ მექნება ოჯახი?.. ნუ მეტყვით ამას! მე ისე მეყვარებოდა ოჯახი! თქვენი აზრით, ვერ ვეღირსები ამ ბედნიერებას?

— აბა, რა ვიცი, რა გითხრათ... შესაძლებელია, ოღონდაც თუ კეთილი ქალი იქნება, არც მაინცდამაინც ჭკვიანი, არც მაინცდამაინც ლამაზი, თავს რომ შემოგწირავთ, იმისთანა, მაგრამ გაგებით რომ ვერ გაგიგებთ.

— რა ცუდი ყოფილხართ!.. ტყუილად კი დამცინით. კარგ ცოლს, გინდაც ძალიან ჭკვიანი არ იყოს, რა სჯობს.

— მაშ! გინდათ მოგიძებნოთ ასეთი ქალი?

— თქვენი ჭირიმე, გაჩუმდით. გულს ნუ მიკლავთ. ეგ რამ გათქმევინათ?

— რა გითხარით ისეთი?

— რა და, სრულებით არ გყვარებივართ, რაკი გუნებაში ის გაგივლიათ, სხვაზე დამაქორწინოთ.

— პირიქით, მიყვარხართ და ამიტომ მოხარული ვიქნებოდი, გამებედნიერებინეთ.

— მაშ, თუ ეგრეა...

— არა, არა, ნუღარ გამიმეორებთ. აკი გითხარით, გაგაუბედურებდითმეთქი.

— ჩემი ფიქრი ნუ გექნებათ. გეფიცებით, ბედნიერი ვიქნებოდი. ოღონდ ერთი გულახდილად მითხარით: გგონიათ, თქვენ თვითონ ჩემთან უბედური იქნებოდით?

— უბედურიო? ოჰ, არა ჩემო კარგო. თქვენით მოხიბლული ვარ და ისეთ პატივსა გცემთ, უბედური რას მიქვია... ესეც არ იყოს, დარწმუნებული ვარ, აწი ვეღარაფერი გამხდიდა უბედურს. მეტად ბევრი რამ გამოვცადე, ჰოდა, ფილოსოფოსი შევიქენი... ოღონდ გულახდილად რომ ვთქვა (ამას არა მთხრვთ? ხომ არ გამიბრაზდებით?...) ვიცი ჩემი სუსტი მხარეები, ჰოდა იქნებ რამდენიმე თვის შემდეგ ისეთი სულელი გამოვმდგარიყავ, მთლად ბედნიერად არ მეგრძნო თავი თქვენს ხელში. ეს კი არა მსურს, სწორედ იმიტომ, რომ თქვენს მიმართ წმინდაზე წმინდა გრძნობა მიდევს გულში და არ მინდა, რამემ შემიბღალოს ეს გრძნობა.

კრისტოფმა დაღვრემით თქვა:

— ასე იმიტომ ლაპარაკობთ, მეტისმეტად არ მატკინოთ გული, განა არა. გეჯავრებით. ალბათ, არის რაღაც ჩემში გულმიუსავალი.

— ოჰ, არა, მერწმუნეთ! ნუ დაღონდით. კარგი ადამიანი ხართ, ჩემთვის ძვირფასი ადამიანი.

— აბა, ვერაფერი გამიგია. რატომ არა ვართ ერთმანეთის საფერი?

— იმიტომ, რომ მეტად სხვადასხვანაირები ვართ, ხასიათით გამორჩეულები, განსაკუთრებულნი.

— მეც მაგიტომ მიყვარხართ.

— მეც. მაგრამ სწორედ ამის გამო კონფლიქტი არ აგვცდებოდა.

— ოჰ, არა!

— როგორ არა! ხომ ვიცი თქვენი ფასი, ჰოდა, ვაითუ შეგბოჭოთ ჩემი სიახლოვით, ჩემი პატარა არსებით; მაშინ კი უნდა ჩავკვდე, ჩუმად ვიტანჯო.

კრისტოფს ცრემლი ჩამოუგორდა.

— ოჰ! ამას არ ვისურვებდი. არასოდეს! რაგინდარა უბედურებას ვირ-

ჩევდი, ოღონდ თქვენ არ დატანჯულიყავით ჩემი მიზეზით, ჩემი გულისთვის.

— ნუ დანაღვლიანდებით, ჩემო კეთილო მეგობარო... ასე რომ ვლაპარაკობ, იქნებ თავმოთნეობით მემართებოდეს, გავყოყოჩდი ალბათ. იქნებ არც ვიყო ისეთი, შემეძლოს თავი შემოგწიროთ.

— მით უკეთესი!

— მაშინ თქვენ შემომეწირვინებით და უნდა გავიტანჯო... აი, ხომ ხედავთ, რამდენიც გინდა ვუტრიალოთ, საშველი არ არის. ვიყოთ ისე, როგორცა ვართ. რა იქნება იმაზე უკეთესი, ვიდრე ჩვენი მეგობრობაა?

კრისტოფმა თავი გაიქნია და სიმწრით გაიღიმა.

— ჰო, ასე იმიტომ მეუბნებით, რომ გულის სიღრმეში არცთუ მაინცდამაინც გიყვარვართ.

გრაციასაც სევდიანად გაეღიმა, ამოიოხრა და დასძინა:

— შესაძლოა. მართალი ხართ. აღარც ისე ახალგაზრდა ვარ, ჩემო მეგობარო, მოვიღალე. ცხოვრება ქანცს გაცლის, განა ყველა თქვენსავით მაგარია... ოჰ! თქვენ რომ გიცქერით, ზოგჯერ ასე მგონია, თვრამეტი წლის ბიჭი ხართ-მეთქი.

— ოჰო, ამ ჩემი ჭაღარა თავით, ამ ჩემი ნაოჭებით, მობერებული სახით!

— ვიცი კარგად, ჩემოდენი ტანჯვა გადაგიტანიათ, თუ მეტი არა. განა ვერა ვხედავ. მაგრამ ზოგჯერ ისეთი ჭაბუკური თვალებით შემომხედავთ, ვგრძნობ, რარიგ ჩქეფს თქვენში სიცოცხლე. მე კი, მე ჩამქრალი ვარ. ღმერთო ჩემო, რომ გავიფიქრებ, რა მგზნებარე ვიყავი უწინ! კარგი დრო იყო, სხვების თქმისა არ იყოს, ის დრო, თუმცა ჩემდათავად მეტად უბედური გახლდით იმხანობას! ახლა იმის ძალაც არ შემწევს, უბედურად ვიგრძნო თავი! სიცოცხლე ძლივს ფეთქავს ჩემში. რაღა გამაბედვინებს, ქორწინება გამოვცადო. უწინ კი, უწინ! ერთ ვინმე ნაცნობს ოღონდაც ენიშნებინა.

— ჰო, თქვით, თქვით...

— არა, არა ღირს...

— მაშ, მე რომ იმხანად... ო, ღმერთო ჩემო!

— თქვენ რა? განა რა ვთქვი.

— მესმის. მეტად ულმობელი ყოფილხართ.

— კეთილი, გეტყვით. მაშინ სულელი ვიყავი, ხომ გაიგეთ.

— რა სამძიმოა, ამას რომ ამბობთ.

— საბრალო კრისტოფ! ხმა ვერ ამომიღია, გული არ გატკინოთ-მეთქი. სულ გავჩუმდები.

— არა, არა! თქვით... მითხარით რამე.

— რა?

— რაიმე კარგი.

გრაციას გაეცინა.

— ნუ იცინით.

— თქვენ კი ნუ ხართ ეგრე დაძმარებული.

— დაძმარებული ვიქნები, აბა რა?

— არა გაქვთ საამისო მიზეზი, დამიჯერეთ.

— რატომ?

— იმიტომ, რომ გყავთ მეგობარი ქალი, რომელსაც ძალიან უყვარხართ.

— მართლა?

— რახან გეუბნებით, უნდა დამიჯეროთ.

— აბა, გაიმეორეთ!

— მაშინ გახსნით შუბლს? აღარ იქნებით გაუმაძღარი? დასჯერდებით ჩვენს სათუთ მეგობრობას?

— სხვა რა გზა დამრჩენია!

— უმადურო, უმადურო! თანაც მეუბნებით, მიყვარხართო. გულის სიღრმეში მაინც ასე მგონია, მე უფრო მეტად მიყვარხართ..

— ნეტამც ასე იყოს!

ეს ისე გზნებით წარმოთქვა, ისეთი ეგოიზმი გამოამჟღავნა სიყვარულისმიერი, გრაციას გაეცინა. გაეცინა თვითონაც. კვლავ ჩააცივდა ქალს:

— თქვით!...

ერთხანს გრაცია უხმოდ შესცქეროდა კრისტოფს, მერმე უცებ სახე სახესთან მიუახლოვა და აკოცა. ეს ისეთი მოულოდნელი რამ იყო! კრისტოფს სუნთქვა შეეკრა. უნდოდა ხელი მოეხვია. მაგრამ ქალი გაუსხლტა. სასტუმრო ოთახის კარს რომ მიატანა, მოჰხედა, თითი ტუჩებზე მიიდო, „ჩუ!“ — უთხრა და გაუჩინარდა.

ამ დღის შემდეგ კრისტოფს სიტყვა აღარ წამოსცდენია სიყვარულის თაობაზე, მისი ურთიერთობა გრაციასთან უფრო ძალდაუტანებელი შეიქმნა. ადრინდელი დაძაბული დუმილი, როცა შიგადაშიგ ძლივს იოკებდა გაცხარებას, შეცვალა მარტივმა და თავშეკავებულმა მეგობრობამ. ამგვარი კეთილი ნაყოფი გამოაქვს გულახდილობას. აღარც რაიმე გადაკრული სიტყვა, ან რაიმე ილუზია, აღარც რისიმე შიში. ორივემ იცოდა ერთიმეორის იდუმალი ფიქრები. როცა კრისტოფი გრაციასთან ერთად იყო უცხო საზოგადოებაში, რომელიც სძაგდა, და მოთმინება ეკარგებოდა, რაკი ხედავდა, რარიგ გართულიყო მისი მეგობარი ქალი სალონური ლაყბობით, გრაცია მაშინვე შენიშნავდა ამ ამბავს; გამოხედავდა ხრლმე და გაუღიმებდა. ეს საკმარისი იყო — კრისტოფმა იცოდა, გრაცია ჩემთან ერთად არისო, და სიმშვიდე ისადგურებდა მის გულში.

როცა საყვარელ ქალს გვერდით იგულებ, წარმოდგენიდან ამოგეცლება შხამიანი ნესტარი; ვნებათაღელვის ციებ-ცხელება დაგიცხრება; სული ნებდება იმ სათაყვანო არსების უმანკო ფლობას. თანაც გრაცია თავისი ჰარმონიული ბუნების მშვიდ მიმზიდველობას აგრძნობინებდა იმათ, ვინც გარს ეხვია. ყო-

ველგვარი, თუნდაც უნებური გადაჭარბება, გამოხატული ჟესტითა თუ კილოთი, გულს უკოდავდა მას, როგორც ნაწვალები და ულაზათო რამ. ასე, თანდათან, ზეგავლენას ახდენდა კრისტოფზე. ჯერ ცეცხლი ეკიდებოდა კრისტოფს და გაფიცხებისაგან თავს ძლივს იკავებდა, მერმე ნელ-ნელა შეიძლო თავს მორეოდა, იმდენად შეიძლო, ძალის დახარჯვა აღარ უხდებოდა ამაო სიფიცხის გამო.

მათი სულები ერთმანეთს შეერწყა. ნახევრად თვლემას მიცემული გრაცია, მღიმარი რომ იგემებდა წუთისოფლის სიტკბოებას, იღვიძებდა კრისტოფის ზნეობრივ ენერგიასთან ზიარების წყალობით. იგი სულ უფრო ცხოველსა და ხალას ინტერესს იჩენდა სულიერ ფასეულობათა მიმართ. აქამდე თითქმის მინებებული ჰქონდა თავი კითხვისათვის, მხოლოდ ეგ იყო, კვლავ და კვლავ დუნე სიყვარულით თუ მიუბრუნდებოდა ერთსა და იმავე ძველ წიგნებს, ახლა კი ცნობისწადილი აღუძრა, მალე მიიზიდა კიდეც ახალ-ახალმა აზრებმა. ახალი იდეებით მდიდარი სამყარო, რომლის არსებობა იცოდა, ხოლო მისი გემოსხილვა მარტოს არც ეხალისებოდა და ვერც გაებედა, აღარ აფრთხობდა, რაკიღა მეგზურად მეგობარი დაეგულებინა. თავისდა შეუმჩნევლად უგებდა ახალგაზრდა იტალიას, რომლის ფიცხი ხატთმებრძოლები ადრე დიდხანს ეჯავრებოდა.

სულთა ეს თანაზიარობა მეტადრე კრისტოფისათვის გამოდგა სასიკეთო. ხშირად მოხდება, რომ სიყვარულში ის უფრო სუსტი აღმოჩნდება ორთა შორის, ვინც მეტს გაიღებს, განა იმის გამო, იმ მეორეს ნაკლებად ჰყვარებოდეს, უფრო ძლიერს უბრალოდ მეტი მოთხოვნილებანი აქვს და იმიტომ. ასე უკვე გამდიდრდა კრისტოფი ოლივიეს გონებით. ოღონდ, ეს ახალი მისი მისტიკური ქორწინება კიდევ უფრო ნაყოფიერი გახლდა, რადგან გრაციამ უმზითვა იშვიათზე იშვიათი განძი, რასაც არასოდეს ფლობდა ოლივიე — სიხარული. სიხარული სულსა და თვალებში. მზის ნათელი. ეს ღიმილი ლათინური ზეცისა, ყველაზე უგვანი საგნების სიმახინჯეს რომ წაშლის, ძველი კედლების ქვებს ააყვავებს და თვით ნაღველსაც გააცისკროვნებს.

ახლადმოწევნილი გაზაფხული გრაციას მოსაგრე იყო. ახალი ცხოვრების ნატვრა ღვივდებოდა უძრავ, მომთენთავ ჰაერში. ხასხასა სიმწვანე ერწყმოდა ვერცხლისფერ-ნაცარა ზეთისხილის ხეებს. ჩამოქცეულ აკვედუკთა მუქწითელ თაღებქვეშ ყვაოდა თეთრად გადაპენტილი ნუში. გამოღვიძებულ კამპანიში ნანაობდა ბალახი და მოზეიმე ყაყაჩოების ალი. ვილების წინ გაშლილ მდელოებზე მიედინებოდა ქარისების ნაკადულები და ეფინა იების ხალიჩა. გლიციანიები შესცოცებოდნენ ზღვისპირეთის ფიჭვების ტანს; და ნიავქარი, ქალაქს რომ გადაუქროლებდა, მიმოაკმევდა პალატინის ვარდების სურნელებას.

ერთად დასეირნობდნენ. როცა გრაცია გამოერკვეოდა ჩვეული აღმოსავლური გაშეშებისაგან, რასაც საათობით მინებებოდა, სულ სხვაგვარი შეიქმნებოდა ხოლმე; უყვარდა სიარული; ტანადი, წვივმაღალი, მკვრივი და მოქნი-

ლი, იგი დიანას ჰგავდა პრიმატიჩეს[1] ნაქანდაკევს. ხშირად მიემართებოდნენ რომელიმე ვილასაკენ, რომელიც მოგაგონებდათ დაღუპული ხომალდის ნამუსრევს — ნაშთს ბრწყინვალე settecento-ს[2] ჟამინდელი რომისას, პიემონტური ბარბაროსობის ტალღებში რომ დანთქმულიყო. ნამეტნავად მატეის[3] ვილას გამოარჩევდნენ, რომლის ძირში ტალღების დარად მთავრდებოდა უკაცრიელი კამპანის ბორცვები. მიუყვებოდნენ მუხების ხეივანს. ხეივნის მაღალი თაღი გარს ევლებოდა საამოდ სახილველ, მფეთქავი გულის დარად ოდნავ აბურცულ, ლურჯად დაბინდულ ალბანეთის[4] მთებს. ფოთლოვანში გამოკრთოდა გზისპირ ჩარიგებული ლუსკუმები რომაელ ცოლ-ქმართა, იმათი ნაღვლიანი სახეები და ერთურთს ერთგულად ჩაჭდობილი ხელები. კრისტოფი და გრაცია ხეივნის ბოლოში ჩამოსხდებოდნენ, ხვიარა ვარდების ფანჩატურში, ზურგით თეთრ სარკოფაგს მიეყრდნობოდნენ. ირგვლივ ძეხორციელი არ ჩანდა. სუფევდა სრული სიმყუდროვე. მხოლოდ შადრევანი ეღურტულებდა, ისე ზანტად ისროდა ჭავლს, გეგონებოდა, განცხრომით მილუშვილაო. ხმადაბლა საუბრობდნენ. გრაცია ნდობის გამომხატველ მზერას აგებებდა მეგობრის გამოხედვას. კრისტოფი ყვებოდა თავისი ცხოვრების, ბრძოლის, გადატანილი ტანჯვა-წვალების ამბებს; თხრობას აღარ ახლდა სევდა. გრაციას გვერდით, მისი მზერის წყალობით ყოველივე მარტივი ჩანდა, ყველაფერი ისეთი იყო, როგორიც ჯერ არს... ქალიც უთხრობდა თავის ამბავს. კრისტოფი ძლივს უგდებდა ყურს, ოღონდ ყოველი მისი აზრი ხსოვნაში ებეჭდებოდა. სულს დაეწინდა მისას. მისი თვალით უცქეროდა ყველაფერს. ყველგან გრაციას თვალებს მზერდა — მშვიდ თვალებს, ღრმა ცეცხლით მოკიაფეს; მზერდა ნახევრად შემუსვრილ ანტიკურ ქანდაკთა მშვენიერ ნაკვთებში, მათს უტყვ, იდუმალ გამოხედვაში; მზერდა რომის ცა-მყარში, სიყვარულით რომ უღიმოდა ფაფუკ კვიპაროსებს, lecci-ს[5] ფოთოლთა შორისაც, სიშავეს რომ დაიკრავდნენ და ბრწყინავდნენ, თითქოს მზის ისრებს განუმსჭვალავთო.

გრაციას თვალით აღიქვა კრისტოფმა ლათინური ხელოვნება, აღიქვა და გული მიუვიდა. აქამდე მის გულს არ ეკარებოდა იტალიელთა შემოქმედება. ამ ბარბაროს-იდეალისტს, დიდ დათვს, გერმანიის ტყეებიდან შემოხეტებულს, ჯერაც ვერ გაესინჯა გემო ფიჭისებრ ოქროსფრად დაფერილ მარმარილოს ქან-

---

[1] პრიმატიჩე, ფრანჩესკო (1504—1570) — იტალიელი მოქანდაკე, ხუროთმოძღვარი, ფერმწერი, გაამშვენა ფრანგ მეფეთა სასახლე ფონტენბლოში.

[2] Settecento (იტალ.) — მეთვრამეტე საუკუნე. რომენ როლანი აქ გადაკვრით ლაპარაკობს იმ ფაქტზე, რომ პაპის რომი მე-19 საუკუნის ბოლოს გადაიქცა გაერთიანებული იტალიის დედაქალაქად, რაც განხორციელდა სავოიის (პიემონტის) დინასტიიდან წარმოშდგარი მეფეების — ვიქტორ-ემანუელ მეორისა და ჰუმბერტო პირველის დროს და რასაც თან ახლდა ქალაქის გაშენება ბურჟუაზიული ხუროთმოძღვრების ყაიდის შენობებით.

[3] მატეის ვილა — ვილა და პარკი რომის სამხრეთ მხარეს.

[4] ალბანეთის მთები — დაბალი მთის ქედი რომის სამხრეთ-აღმოსავლეთით.

[5] ჭვის მუხები (იტალ.).

დაკთა მშვენებისათვის. ვატიკანის სიძველენი აშკარად ათვალწუნებული ჰქონდა.. ზიზღსა ჰგვრიდა ეს სულელური სახეები, დიაცურ-განაზებული ანდა ძორძოხა ფიგურები, ერთფეროვანი, მომრგვალებული ფორმები, ეს გიტონები[1] და გლადიატორები. ძლივს რამდენიმე პორტრეტული ქანდაკება მოუვიდა თვალში, მაგრამ ეს ჟანრი არ აინტერესებდა. ასევე მაინცდამაინც ვერ მიიზიდეს მკვდრისებრ ფერმკრთალმა, სახემანჭია ფლორენციელებმა, ტანჯულმა, სუსტმა მადონებმა, პრერაფაელიტთა[2] სისხლნაკლულმა, ჭლექიანმა, დამჭლეულებულმა და სისადავეს მოკლებულმა ვენერებმა. ხოლო პირუტყვულ-უაზრო იერის მქონე მეომრებისა და აწითლებულ, ოფლგადამდინარ ათლეტთა ქანდაკებანი, მთელ მსოფლიოში რომ მოეფინნენ სიქსტეს კაპელის ფრესკებიდან, საზარბაზნე ხორცად ეჩვენებოდა. მხოლოდ მიქელანჯელოს ეთაყვანებოდა იდუმალ, მისთა ტრაგიკულ სალმობათათვის, მისი ღვთაებრივი ზიზღისა და ვნებათა მკაცრი უმანკოების გამო. თავადაც, ამ დიდოსტატის დარადვე, წმინდა და ბარბაროსული სიყვარულით უყვარდა უბიწო სიშიშვლე მისეული ჭაბუკებისა, ველური და მფრთხალი ქალწულებისა, დევნილ ნადირს რომ გაგონებდნენ, უყვარდა მჭმუნვარე ავრორა, შმაგად მომზირალი მადონა ძუძუს ჩაფრენილ ყრმითურთ და პირმშვენიერი ლია, ვისაც დიახაც ისურვებდა ცოლად. მაგრამ წამებული გმირის სულში მხოლოდ თავისივე სულის ანარეკლს ხედავდა.

გრაციამ ახალი ხელოვნების სამყაროს კარი გაუხსნა. რაფაელისა და ტიციანის დიადი სიმშვიდე შეიცნო კრისტოფმა. იხილა მეფური ბრწყინვალება კლასიკური გენიისა, ლომის მსგავსად რომ მბრძანებლობს დაძლეულ-დამორჩილებულ ფორმათა საუფლოზე. საოცარი ხატება დიდი ვენეციისა, გულისგულს რომ სწვდება და თავისი ბრწყინვით ფანტავს წუთისოფლის მღვრიე ჯანღს, ყოვლისმძლე ძალა ლათინური გონებისა, რომელს სჩვევია, კი არ გაიმარჯვოს მხოლოდ, დაიოკოს კიდეც თავისივე თავი, გამარჯვების შემდეგ მკაცრ დისციპლინას დაემორჩილოს, გამოარჩიოს და ხელთ იგდოს ბრძოლის ველზე ყველაზე უფრო ფასეული იმ ნადავლს შორის, ძლეულ მტერს რომ მიუტოვებია. ოლიმპიელთა ქანდაკებებმა და რაფაელის stanze-ბმა[3] ვაგნერის ქმნილებებზე უმშვენიერესი მუსიკით აღავსეს კრისტოფის გული. აღავსეს მშვიდი ხაზების, კეთილშობილური არქიტექტურის, ჰარმონიული ჯგუფების მუსიკით. მუსიკით, რასაც გამოსცემდა სილამაზე სახისა თუ ხელის, კოხტა ფეხების, სამოსისა თუ ჟესტის. ჭკუა-გონება, სიყვარული. სიყვარულის ჩქერები მოჩქეფს ამ ახალგაზრდა სულისა და სხეულისაგან. გონისა და ტკბობის ძლევამოსილება. ნაზი ალერსიანობა, ირონიული ჭკუა, მოუშორებელი ცხარე სურნელი შეყვარებულის სხეულისა, ნათელი ღიმილი, ბნელს რომ ფანტავს და ვნებათაღელვას

[1] Gitons — აქ: გარყვნილი ბიჭები.

[2] პრერაფაელიტები — აქ: რაფაელის წინამორბედი იტალიელი მხატვრები.

[3] აქ: ვატიკანის დარბაზები, მოხატული რაფაელის მიერ.

აოკებს. ყალყზე შემართული სიცოცხლის მთრთოლარე ძალები, და მათ, როგორც მზის ეტლში შებმულ რაშებს, იურვებს პატრონის მტკიცე ხელი...

თავის თავს ეკითხებოდა კრისტოფი:

„ნუთუ ვერ შეაერთებ, როგორც იმათ ქნეს, რომაელთა ძალასა და სიმშვიდეს? ყველაზე უფრო ნიჭიერნიც კი ამჟამად ქსწრაფვიან ერთ რასმე, საზარალოდ მეორე რამისა. ვგონებ, იტალიელებმა სხვებზე მეტად დაკარგეს იმ ჰარმონიის გრძნობა, რასაც პუსენი, ლორენი და გოეთე იცნობდნენ. ნუთუ უცხოელთ მოუხდებათ ხელახლა ასწავლონ რომაელებს მისი ფასი?.. ჩვენს მუსიკოსებს ვინღა ასწავლის ამას? მუსიკას ჯერ არ ჰყოლია თავისი რაფაელი. მოკარტი ბალღია მხოლოდ, პატარა გერმანელი ბურჟუა, მთრთოლარე ხელები და სანტიმენტალური გული რომ აქვს; ყბედია იგი, გაცხარებით იქნევს ხელებს და ლაპარაკობს, ტირის, იცინის უმნიშვნელო რამეების გამო. არც გოთურ ბახს, არც არწივთან მორკინალ ბონელ პრომეთეს[1], არც მის შთამომავალ ტიტანთ, პელიონი რომ ოსაზე შეადგეს[2] და ზეცას გაუკადნიერდნენ, თვალი აროდეს მოუკრავთ ღვთაების ღიმილისათვის...

მას შემდეგ, რაც ეს ღიმილი იხილა, კრისტოფს სიწითლეს ჰგვრიდა თავისივე მუსიკა: ამაო ღელვა, გაბერილი ვნება, თამამი ჩივილი, საკუთარი თავის წინ წამოწევა, თავშეკავებულობის ნაკლებობა — ეს ყოველივე უბადრუკობად, სამარცხვინო რამედ ეჩვენებოდა. ფარა უმწყემსოდ, სამეფო უმეფოდ. ძალა უნდა შეგწევდეს, იყო ბობოქარი სულის მეუფე...

ამ თვეების განმავლობაში კრისტოფს თითქოს დაავიწყდა კიდეც მუსიკა. თითქმის არ წერდა, არ გრძნობდა საამისო მოთხოვნილებას. რომისაგან განაყოფიერებულ მის გონებას ჩასახვის ჟამი უდგა. დღეებს ატარებდა ნახევრად მთვლემარე, ნახევრად თრობამორეული. გაზაფხულის პირი იყო და ბუნებაშიც იგივე ხდებოდა, რაც მის არსებაში: გამოღვიძების ხანის მოთენთილობას გარეოდა ბრუდამხვევი ავხორცობის გრძნობა. იგი და ბუნება ერთურთს შერწყმოდნენ და ზმანებას მისცემოდნენ ძილში ჩახუტებულ მიჯნურთა დარად. კამპანის ამაღელვებელი იდუმალება აღარც მტრულ გრძნობას აღუძრავდა, აღარც შეშფოთებისას: კრისტოფი დაუფლებოდა მის ტრაგიკულ სილამაზეს; მკლავებში მოემწყვდია მძინარე დემეტრე[3].

აპრილში კრისტოფმა მიწვევა მიიღო პარიზიდან, სთავაზობდნენ, კონცერტთა ციკლისათვის ედირიჟორა. არც დაფიქრებულა, ისე უარყო ეს წინადადება; ოღონდ თავი ვალდებულად მიიჩნია, გრაციასათვის ეამბნა ეს ამბავი. ეამებოდა მისი რჩევის მოსმენა. ასე ეგონა, ჩემი ცხოვრების თანაზიარს ვხდიო:

---

[1] ბონელი პრომეთე — იგულისხმება ბეთჰოვენი, რომელიც დაბადებულია ბონში.

[2] ბერძნული თქმულების თანახმაღ, ღმერთის წინააღმდეგ ამხედრებულმა ტიტანებმა დაპირეს ზეცაზე ასულიყვნენ ღა ამ მიზნით პელიონის მთა მთას შეადგეს.

[3] დემეტრე — ბერძენთა ღმერთქალი ნაყოფიერების და მიწათმოქმედებისა.

ამჯერად გული გაუტეხა გრაციამ. დაწვრილებით აამბობინა პირობები, მერმე კი ურჩია, დათანხმებულიყო. კრისტოფი დაღონდა: გულგრილობის დასტურად ენიშნა ქალის ამგვარი რჩევა.

შესაძლოა, გრაციას სინანულიც ეგრძნოს, ასე რომ ურჩია. მაგრამ რისთვის შეეკითხა კრისტოფი? რაც უფრო მეტად ენდობოდა კრისტოფი და თავის მაგივრად აღებინებდა ხოლმე გადაწყვეტილებას, მით უფრო მეტ პასუხისმგებლობას გრძნობდა გრაცია მეგობრის საქციელის გამო. აზრთა ურთიერთგაზიარების შედეგად მეგობრის ნებისყოფასაც ეზიარა ნაწილობრივ; კრისტოფის წყალობით შეიცნო, რომ ადამიანის მოვალეობა ქმედებაა; გაიგო კიდეც სილამაზე ამ მოვალეობისა. ყოველ შემთხვევაში, აუცილებლად მიაჩნდა, მეგობარს შეესრულებინა თავისი მოვალეობა, თავი არ აერიდებინა. კრისტოფზე უკეთესად იცოდა, რა მომთენთავ ზეგავლენას ფარავდა იტალიური მიწის სუნთქვა, სისხლში რომ აღწევს თბილი სიროკოს მზაკვრული შხამის მსგავსად და ნებისყოფას გიდუნებს. რამდენჯერ თავად განუცდია მისი დამღუპველი ხიბლი, ძალა არ ჰყოფნიდა წინააღმდეგობის გასაწევად! ყველა მისი გარშემომყოფი მეტნაკლებად დაავადებულიყო სულის ამ მალარიით. ერთ დროს მასზე და კრისტოფზედაც უფრო ძლიერი იყო ეს ხალხი, მაგრამ ამ სენის მსხვერპლი შექმნილიყო. მანვე გამოღრღნა რომაული ძუ მგელის ბრინჯაო[1]. რომი სიკვდილით სუნთქავს; აქ უამრავი აკლდამაა. ჯანმრთელობისათვის უმჯობესია მცირეხანს დაჰყო აქ, მუდმივად არ იცხოვრო. აქ ერთობ მალე ჩამორჩებიან ხოლმე საუკუნეს; აქაური ჰაერი სახიფათოა ახალგაზრდულ ძალთათვის, ცხოვრების გრძელი გზა რომ აქვთ გასავლელი. გრაციას მშვენივრად ესმოდა, რომ ის საზოგადოება, რომელიც თავად ეხვია გარს, მაცოცხლებელი გარემო ვერ იქნებოდა ხელოვანისათვის. და თუმცა კრისტოფს უფრო მეგობრულად ეპყრობოდა, ვიდრე სხვა ვინმეს... (გაბედავდა კი, თავის თავს გამოსტყდომოდა ამაში?), გულის სიღრმეში არ სწყინდა, განმშორდებაო. ვაი რომ ყველაფერი, რაც კრისტოფს უყვარდა, ღლიდა გრაციას — ღლიდა მისი გონებრივი სიმდიდრე, სიცოცხლის ძალთა სიჭარბე, წლების მანძილზე რომ დაჰგროვებოდა და ნაპირს გადმოდიოდა; ეს ყოველივე სიმშვიდეს ურღვევდა. ღლიდა, ალბაფ, ისიც, რომ მუდამ ეგრძნობდა ამ მშვენიერი, გულის ამაჩუყებელი, მაგრამ შეუპოვარი სიყვარულის საფრთხეს; ამიტომ სულ მუდამ ფხიზლად უნდა ყოფილიყო. წინდახედულება უკარნახებდა, მოშორებით ჰგულებოდა იგი. მაგრამ ამის გამხელას თავის თავსაც ვერ უბედავდა. აგრე ეგონა, მხოლოდ კრისტოფის ინტერესებს ვიცავო.

საამისო საბუთი აკლდაო, ვერ იტყოდით. მუსიკოსებს ამჟამად იტალიაში ძლივს თუ გაეძლებოდათ, გასაქანი არ ჰქონდათ. მუსიკალური ცხოვრება

---

[1] ე. ი. ჰაეის მომთენთავმა გავლენამ გააქარწყლა რომის ენერგია. რომის სიმბოლოდ კი მიჩნეული იყო ბრინჯაოს ქანდაკება ძუ მგელისა, რომელიც კაპიტოლიუმზე იდგა.

ჩაკლული იყო. თეატრის ფაბრიკა მსხვილი ჭვარტლითა და სულისშემხუთველი კვამლით ბურავდა ამ მიწას, სადაც ერთ დროს ყვაოდა მუსიკალური ყვავილები, სურნელებას მთელ ევროპაში რომ აფრქვევდა. ვინც უარს იტყოდა, ზიმხრობოდა მყვირალათა ხროს, ვისაც არ შეეძლო, არც სურდა ფაბრიკაში ემუშავა, წილად ხვდებოდა განდევნა ანდა ხელ-ფეხის შეკვრა. შემოქმედებით გენიას ვერ დაშრეტ, მაგრამ უმოქმედობით დაღუპავ. კრისტოფი შეხვედროდა მრავალ ახალგაზრდა მუსიკოსს, რომელთა შორის აღორძინებულიყო მათივე რასის ოსტატთა მელოდიური სული და მშვენიერების გრძნობა, რითაც წარსულის სადა და ბრძნული ხელოვნება იყო გამსჭვალული. მაგრამ ვის აწუხებდა მათი დარდი? ვერც შეესრულებინათ თავიანთი ქმნილებები, ვერც გამოეცათ. წმინდა სიმფონია არავის აინტერესებდა. კაცს არ სურდა მოესმინა ისეთი მუსიკა, სახეშეთხიპნილი რომ არ იყო! მაშინ ისინი თავიანთთვისვე წამოიწყებდნენ სიმღერას ნაღვლიანი, უსასოო ხმით, ბოლოს ის ხმაც მიჩუმდებოდა. რას აქნევდნენ სიმღერას? ძილი სჯობდა! კრისტოფს სულითა და გულით უნდოდა, დახმარებოდა მათ. მაგრამ ისეთი უნდონი და თავმოყვარენი იყვნენ, თუნდაც შესძლებოდა დახმარება, აშკარად იუცხოებდნენ. რაგინდ ღირსსაცნობი ვინმე უნდა ყოფილიყო კრისტოფი, მაინც გადამთიელად გამოიყურებოდა იმათ თვალში; ხოლო იტალიელებს, ძველი ამაყი რასის ჩამომავალთ, ყოველი უცხოელი, კაცმა რომ თქვას, ბარბაროსად მიაჩნიათ, თუმცა გულითადი მიღება იციან. აგრე თვლიდნენ. ჩვენი ხელოვნების უმწეობა ჩვენივე მოსაგვარებელი ოჯახური საქმეაო. კრისტოფი მეგობრული ყურადღებით ჰყავდათ გარემოსილი, ოღონდ ოჯახში არ იღებდნენ. რა უნდა ექნა? მეტოქეობას ხომ არ გაუწევდა და შეეცილებოდა საცოდავ ადგილს მზის ქვეშ!..

ესეც არ იყოს, გენიოსიც ვერ გაძლებს უსაზრდოოდ. მუსიკოსს სჭირდება მუსიკა, უნდა ისმენდეს მას, უნდა ასრულებდეს. დროებით განმარტოება რგებს გონებას, გაიძულებს ფიქრს ჩაუღრმავდე. ოღონდ დიდხანს არ უნდა გაგრძელდეს ასე. სიმარტოვე კეთილშობილური რამაა, მაგრამ შესაძლოა მომაკვდინებელი შეიქმნეს ხელოვანისათვის, თუ ძალა არ ეყოფა, თავი დააღწიოს მას. უნდა იცხოვრო შენი დროების ცხოვრებით, თუნდაც აურზაურიანი და ბინძური იყოს იგი; უნდა მიწყივ გასცემდე და იღებდე, გასცემდე მოუწყინებლივ და კვლავ მიიღებდე. იტალია კრისტოფისსობას აღარ იყო ხელოვნების დიდი ბაზარი, როგორიც გახლდათ ოდესღაც და როგორიც შესაძლოა ისევ გახდეს. აზრის ადებ-მიცემობას, იმ ადგილს, სადაც სულიერ ფასეულობათა გაცვლა-გამოცვლა ხდება ხალხებს შორის, ჩრდილოეთით გადაენაცვლებინა. ვისაც ცხოვრება ეწადა, იქ უნდა მიემართა.

კრისტოფი თავისი ნებით არამც და არამც არ დაუბრუნდებოდა ამ რიარიას. მაგრამ გრაციას უფრო ნათლად ესმოდა კრისტოფის მოვალეობა, ვიდრე თავად კრისტოფს. და უფრო დიდ მოთხოვნებსაც უყენებდა მეგობარს, ვიდრე თავისსავე თავს. რაღა თქმა უნდა, თავის თავზე მაღლა აყენებდა და

იმიტომ. მაგრამ იმის გამოც, რომ ეს ხელს აძლევდა. თავის ენერგიას გადასცემდა მეგობარს, თვით კი სიმშვიდეს ინარჩუნებდა. კრისტოფი ვერ უბედავდა, გაბრაზებოდა ამის გამო. მარიამს მიემსგავსებოდა გრაცია — უფრო იოლი მოვალეობა რგებოდა[1]. ყოველ ადამიანს თავისი როლი აქვს განკუთვნილი წუთისოფელში. კრისტოფისათვის დაწესებული იყო, ემოქმედა. გრაციას წილად ისიც კმაროდა, ეცოცხლა ამქვეყნად. მეტს არც რას მოითხოვდა მისგან კრისტოფი, ოღონდ ვუყვარდეო, თანაც, უფრორე თავისთვისვე, განა მხოლოდ ჩემთვისო. იმიტომ რომ, არცთუ მაინცდამაინც ემადლიერებოდა გრაციას ამგვარი მეგობრობის გამო; აკი ეს მეგობრობა იმდენად მოკლებული იყო ეგოიზმს, ქალი მხოლოდ მეგობრის ინტერესებზე ფიქრობდა; კრისტოფს კი ის უნდოდა, ქალს ამაზე ნაკლებად ეფიქრა.

კრისტოფი გაემგზავრა. დაშორდა გრაციას. მაგრამ როდი მიატოვა. ერთი ძველი ტრუვერის თქმისა არ იყოს, „ნანდაურს მხოლოდ მაშინ შორდები, ოდეს მიიღებ დასტურს სულისას“.

---

[1] სახარების იგავის თანახმად, ქრისტე ერთხელ შინ ეწვეევა ორ დას — მართასა და მარიამს. მართა გამასპინძლების სამზადისს შეუდგება, მარიამი კი ფეხთით დაუჯდება ქრისტეს და ისმენს მის მოძღვრებას.

ნაწილი მეორე

პარიზს მიახლოებულ კრისტოფს გულს სევდა შემოაწვა. ოლივიეს სიკვდილის შემდეგ პირველად ბრუნდებოდა აქ. აღარ უნდოდა, ისევ ეხილა ეს ქალაქი. ძლივს ბედავდა, ეცქირა ფიაკრის ფარდიდან, როცა სადგურიდან სასტუმროსაკენ მიეშურებოდა. პირველი დღეები თავის ნომერში გაატარა, ვერ გადაეწყვიტა გარეთ გამოსულიყო. იმ მოგონებებისა ეშინოდა, კარებთან რომ დასდარაჯებოდა. მაინც რა ჰგვრიდა შეშფოთებას? აძლევდა კი. თავის თავს ამის ანგარიშს? ეგების ის მაშინებსო, ასე ირწმუნებდა თავს კრისტოფი, წარსულის აჩრდილნი ცოცხალივით კვლავაც თვალწინ რომ დამიდგნენო? ან იქნებ იმის ფიქრი ზარავდა — ეს ხომ კიდევ უფრო გულის მომწყვლელი იყო — ვაითუ წარსულს უკვე მკვდრის სუდარა გადაჰფარებოდესო? ხელახლა რომ არ მოსწყვლოდა გული, მისი ინსტინქტი ათასგვარ ეშმაკობას მიმართავდა ქვეშეცნეულად. ამიტომ იყო, იმ უბნიდან დაშორებული სასტუმრო რომ ირჩია, სადაც უწინ თავად ცხოვრობდა (თუმცა თვითონ ეჭვადაც არ უაზრია, ალბათ, ეს ამბავი). და როცა პირველად გაიარა ქუჩაში საკონცერტო დარბაზისაკენ მიმავალმა, სადაც რეპეტიციას უტარებდა ორკესტრს, როცა კვლავ შეეხო პარიზულ ცხოვრებას, კიდევ კარგა ხანს ხუჭავდა თვალს, რა არის არ დაენახა ის, რასაც ხედავდა. ამავე დროს ჯიუტად ლამობდა იმისავე დანახვას, რაც ოდესღაც ეხილა. წინასწარ იმეორებდა გუნებაში:

— „ჩემთვის ნაცნობია ყოველივე ეს, ჩემთვის ნაცნობია...“

ხელოვნებაში, ისევე როგორც პოლიტიკაში, შეუწყნარებლობა და ანარქია მეფობდა კვლავინდებურად. მოედანზე ისევ ის ბაზრობა იყო გამართული. ოღონდ მსახიობებს გაეცვალათ როლები. ის, ვინც რევოლუციონერი იყო მისსობას, ბურჟუა შექმნილიყო; ზეკაცნი სახელგანთქმული პირები გამხდარიყვნენ. წინანდელნი დამოუკიდებელნი ამჟამინდელ დამოუკიდებელთა მოსპობას ცდილობდნენ. ვინც ამ ოციოდე წლის წინათ ახალგაზრდობის წარმომადგენელი გახლდათ, ახლა უფრო დიდი კონსერვატორი შექმნილიყო, ვიდრე ის ბერიკაცები იყვნენ, ვისაც ცოტა ხნის წინათ თავადვე ებრძოდნენ. თავს ესხმოდნენ ახალგაზრდობას და სიცოცხლის უფლებას ართმევდნენ. გარეგნულად ყველაფერი ძველებურად გამოიყურებოდა.

ყველაფერი კი შეცვლილიყო...

„ჩემო მეგობარო, მაპატიეთ! რარიგ კეთილი ხართ, რომ არ მიწყრებით ჩემი დუმილის გამო. თქვენმა წერილმა გულს მომიფონა. რანდენიმე კვირას ერთიანად თავგზააბნეული ვიყავ. ყველაფერი მაკლდა. დაგკარგეთ აკი. აქ საშინელი სიცარიელეა იმ დანაკლისის შემდგომ, მე რომ განვიცადე. აღარავინ

დარჩენილა ძველ მეგობართაგან, ვის შესახებაც თქვენ გიამბობდით. ფილომელმა (გახსოვთ ქალის ხმა, იმ ნაღვლიანსა და იმავე დროს საუცხოო საღამოს რომ მღეროდა, როცა მოზეიმე ხალხში მოყიალემ სარკეში დავინახე ჩემკენ მოპყრობილი თქვენი თვალები), — ფილომელმა აღისრულა დიდი ხნის კეთილგონივრული ოცნება; პატარა მემკვიდრეობა მიუღია, ნორმანდიაში დასახლებულა; ფერმა შეუძენია და მეურნეობას განაგებს. მ. არნო სამსახურიდან გადამდგარა, მშობლიურ კუთხეს დაბრუნებია, პატარა ქალაქ ანეეს[1] მახლობლად.

ჩემი დროის ბევრი სახელგანთქმული ხალხი გარდაცვლილა, ან დაკნინებულა და დაცემულა. რამდენიმე ბებერი მანეკენიღა შემორჩენილა, ჯერ კიდევ ოცი წლის წინათ რომ ასრულებდნენ მთავარი გმირის როლს ხელოვნებასა და პოლიტიკაში და აქამომდე თამაშობენ ამ როლს ისევ ისე ყალბად. ამ ნიღბების გარდა ვერავინ ვიცანი. აგრე მეჩვენებოდა, საფლავზე მდგარნი მემანჭებიან-მეთქი. ამაზრზენი გრძნობა იყო. უფრო მეტიც, პირველხანად ფიზიკურად ვიტანჯებოდი გარემოს სიმახინჯით, ჩრდილოური გვიმსი სინათლისაგან თქვენებური ოქროვანი მზისა წილ, უღიმღამო სახლების ხორასაგან, ზოგიერთი ტაძრის, ზოგი ძეგლის ტლანქი ხაზისაგან, — აქამდე ვერც ვამჩნევდი მათ, ახლა კი თვალში მესობოდა. მორალური ატმოსფეროც არაფრად მეჭაშნიკებოდა.

და მაინც პარიზელთა სამდურავს ვერ ვიტყვი. სულ სხვაგვარად მიმიღეს, ვიდრე ოდესღაც შემხვდნენ. ეტყობა, ჩემს აქ არყოფნაში ცნობილი პიროვნების მაგვარი ვინმე გავხდი. არა ღირს სიტყვა გაგიგრძელოთ ამის თაობაზე, ვიცი ყოველივე ამისი ფასი. რა თქმა უნდა, როცა ეს ხალხი მაქებს, სიამოვნებასა მგვრის. ფრიად მადლობელი ვარ მათი. ოღონდ, იცით რა, ვინც თავს მესხმოდა ოდესღაც, ის გაცილებით უფრო ახლობელი იყო ჩემთვის, ვიდრე ესენი არიან, ახლა რომ ხოტბას მასხამენ... ეს თავად ჩემი ბრალია, ვიცი. ნუ გამკიცხავთ! ერთი ხანობა შფოთით ვიყავ მოცული. ახლა ყველაფერმა გამიარა. მიეხვდი, თქვენ მართალი იყავით, ხალხში რომ გამრიეთ. მარტოობა მფიტავდა უკვე. მავნებელია, ასრულებდე ზარათუშტრას[2] როლს. სიცოცხლის ნაკადი თანდათან იშრიტება, ქრება. დგება ჟამი, როცა უდაბნოს პირისპირ აღმოჩნდები. ხოლო ქვიშნარში ახალი არხი რომ გათხარო მდინარემდე, მრავალი დღის განმავლობაში ოფლი უნდა იწურო მცხუნვარე მზეზე. მორჩა ეს საქმე. აღარ მეხვევა თავბრუ. დინებას შევერთე. ვიცქირები და ვხედავ.

ჩემო მეგობარო, რა უცნაური ხალხია ეს ფრანგები! ამ ოციოდე წლის წინათ მეგონა, ამათი ანდერძი აგებულია-მეთქი. ესენი კი თავიდან იწყებენ. ჩემი ძვირფასი მეგობარი ჟანენი წინასწარმეტყველებდა კიდეც ამას. ოღონდ ილუზიით იტყუებს-მეთქი თავს, აგრე ვფიქრობდი. ვინ დაიჯერებდა მაშინ ამ

[1] ანეე — ლუარის ნაპირას მდებარე ქალაქი ცენტრალურ საფრანგეთში.

[2] ზარათუშტრა — ძველი ირანული რელიგიის — ზოროასტრიზმის — ლეგენდარული დამაარსებელი; აქ: მარტოსული წინასწარმეტყველი, ზეკაცი, ახალი გზების გამკვალავი, როგორიცაა გმირი ნიცშეს წიგნისა — „აგრე იტყოდა ზარათუშტრა" (1883—1885).

ამბავს? საფრანგეთი, ისევე როგორც მათი პარიზი, ერთიანად ნანგრევებით, ნამუსრევითა და ნახანძრალით იყო სავსე. ვამბობდი: „ამათ ყველაფერი გაანადგურეს... გამანადგურებელთა ჯილაგისანი არიან". ოღონდ თახვის ჯიშისაც. როცა გეჩვენებათ, ნგრევის გააფთრებულ ჟინს მისცემიანო, იმავ ნანგრევებზე ფუძეს ადებენ ახალ ქალაქს. ახლა ვხედავ, ყოველი მხრით ხარაჩოები აღმართულა.

Wenn ein Ding geschehen,
Selbst die Narren es verstehen[1].

გულახდილად რომ ვთქვა, საფრანგეთში ისევ ის არეულ-დარეულობაა გამეფებული. უნდა შეეჩვიო აქაურობას, რომ ამ გაბმულ ორომტრიალში გაარჩიო სამუშაოზე მიმავალ მუშაკთა ჯგუფები. ეს ხალხი, თქვენც იცით, ისე ვერაფერს აკეთებს, თუ ამის თაობაზე ყოველ გზაჯვარედინზე არ გაპყვირის. ვერც ისე აკეთებს რამეს, თუ მეზობლის ნამოქმედარი არ აძაგა. აქ ჭკუადამჯდარ კაცსაც დაებნევა გონება. მაგრამ თუ იმათ შორის ათიოდე წელიწადს იცხოვრებ ჩემსავით, ის მათი ყვირილი ვეღარ შეგაცდენს. ვამჩნევ, ჩვეულებად ჰქონიათ ამგვარად აღეგზნონ მუშაობით. ლაზღანდარობენ და თან ირჯებიან; მშენებელთა ყოველი ჯგუფი თავის სახლს ავებს; გაიხედავ და, ამასობაში ქალაქისთვისაც სახე უცვლიათ. ყველაზე მეტად კი ის გაგაოცებს, რომ შენობათა კომპლექსი ერთიანი იერისა გამოსვლიათ. რაგინდ ურთიერთსაპირისპირო შეხედულებები უნდა ჰქონდეთ, ტვინი ყველას ერთ თარგზე აქვს გამოჭრილი. ასე რომ, მათ ანარქიულობის მიღმა იფარება საერთო ინსტინქტები, მთელი ერისათვის ნიშნეული ერთგვარი ლოგიკა, დისციპლინის მაგივრობას რომ სწევს, რაიც, ეგების, უფრო მყარიც კია, ვიდრე დისციპლინა პრუსიული პოლკისა.

ყველგან იგრძნობა ერთი და იგივე სწრაფვა, შენების ერთი და იგივე ციებ-ცხელება: სოციალისტები და ნაციონალისტები გაფაციცებულნი მუშაობენ, რა არის მოამაგრონ ხელისუფლების მორყეული მექანიზმი; ხელოვნებაში ზოგს უნდა აღადგინოს ძველებური სასტუმრო ოთახი პრივილეგირებულთათვის, სხვებს — ააშენოს დიდი, ხალხისათვის კარღია დარბაზი, სადაც იმღერებს კოლექტივის სული; ესენი არიან წარსულის რესტავრატორები და მომავლის მშენებელნი. თუმცაღა, რასაც უნდა აკეთებდნენ ეს ინჟინერი ცხოველნი, მუდამ ერთსა და იმავე უჯრედებს ქმნიან. თახვისა თუ ფუტკრის ჩვეული ინსტინქტით საუკუნეთა მანძილზე იმეორებენ ერთსა და იმავე მოძრაობას. პოულობენ ერთსა და იმავე ფორმას. ყველაზე უფრო რევოლუციურად განწყობილნი, შესაძლოა, ქვეშეცნეულადაც, იზიარებენ უძველეს ტრადიციას. სინდიკალისტთა და უგამოჩინებულეს ახალგაზრდა მწერალთა შორის მე შემხვედრია შუა საუკუნეთა ყაიდის ადამიანები.

[1] მას შემდეგ, როცა რამე მოვლენა მოხდება, იგი ყველაზისთვისაც კი გასაგები შეიქმნება.

ახლა, როცა კვლავ შევეჩვიე მათს ზწესა და გნიასს, სიამით ვადევნებ თვალს, როგორ მუშაობენ. გულწრფელად ვილაპარაკოთ. ძლიერ ბებერი დათვი ვარ და ვერც ერთი იმათგანის სახლში თავს ვერასოდეს კარგად ვერ ვიგრძნობ — სუფთა ჰაერი მჭირდება. მაგრამ რა საუცხოო მუშაკნი არიან! ეს მათი უმაღლესი სათნოებაა. ესაა, მათ შორის ყველაზე მდარესა და ზნეწამხდარს რომ აკეთილშობილებს. ან რარიგ გრძნობენ სილამაზეს მათი ხელოვანნი! წინათ მაინცდამაინც ვერ ვამჩნევდი ამას. თქვენ მასწავლეთ დანახვა. რომის, სინათლემ თვალი ამიხილა. აღორძინების ხანისეული თქვენი ადამიანები დამეხმარნენ, გამეგო ფრანგებისათვის. დებიუსის ერთი გვერდი, როდენის ნაქანდაკევი სხეული, სიუარესის ფრაზა — ეს ყოველივე თქვენი cinquecentisti-ების[1] შთამომავლობაა.

იმის თქმა სულაც არ მინდა, თითქოს აქ ყველაფერი მომწონდეს. კვლავ შემხვდნენ ძველი ნაცნობები მოედანზე გამართული ბაზრობიდან, ვინაც ოდესღაც ესოდენ წმიდათაწმიდა რისხვას აღმიძრავდა. ისინი ოდნავადაც არ შეცვლილან. მე კი, ვაი რომ, შევიცვალე. აღარ ძალმიძს ვიყო ულმობელი. როცა სურვილი აღმეძვრის, რომელიმე მათგანი მკაცრად განვიკითხო, ჩემს თავს ვეუბნები: „არა გაქვს ამისი უფლება. შენ უფრო ცუდად მოიქეცი, ვიდრე ეს ხალხი მოიქცა. არადა, შენი თავი ძლიერი გეგონა...“ ის აზრიც შევითვისე, რომ არა არის რა უსარგებლო. ყველაზე ფლიდ ხალხსაც თავისი როლი აქვს ნარგუნები ტრაგედიის გათამაშებაში. წარყვნილმა დილეტანტებმა, გახრწნილმა ამორალისტებმა შეასრულეს თავიანთი ტერმიტისებური სამუშაო: უნდა დაენგრიათ ძველი ხუხულები, სანამ ხელახლა შენებას დაიწყებდნენ. ებრაელები დაემორჩილნენ თავიანთ წმიდა მისიას, რაიც შეინარჩუნეს სხვა რასის, უცხო ხალხის გვერდით: მსოფლიოს ერთი კიდიდან მეორემდე ქსოვენ კაცობრიობის ერთობის ბადეს. ისინი ებრძვიან ერთა გამთიშველ ინტელექტუალურ ბარიერებს, რათა თავისუფალი ასპარეზი მოუპოვონ ღვთაებრივ გონებას. გაქნილი ცინიკოსები და გამქიაქებელნი, გამანადგურებელი ირონიით ძირს რომ უთხრიან წარსულისაგან ნაანდერძევ ჩვენს რწმენას და გვისპობენ ძვირფას მიცვალებულთა ხსოვნას, ისინი შეუგნებლად იღვწიან წმინდა საქმისათვის, ახალი ცხოვრების შექმნისათვის. სწორედ ასევე კოსმოპოლიტი ბანკირებიც, ამდენი ვაი-უბედურების ფასად რომ იკმაყოფილებენ უზომო ანგარებისმოყვარეობას, ნებსით თუ უნებლიეთ მომავალ ერთიან სამყაროს აშენებენ რევოლუციონერთა გვერდით, რევოლუციონერებისა, რომელნიც ებრძვიან ბანკირებს, თანაც გაცილებით უფრო წარმატებით, ვიდრე მიამიტი პაციფისტები.

ხომ ხედავთ, ვბერდები. აღარ ვიკბინები. კბილები მომეცვითა. ვაგლახ, აღარ ვეკუთვნი იმ გულუბრყვილო მაყურებელთა რიცხვს, თეატრში მყოფნი მკვახე სიტყვას რომ მიახლიან მსახიობს და სცენაზევე უსტვენენ მოღალატეს.

---

[1] მეთექვსმეტე საუკუნის იტალიელები.

მშვიდო გრაციავ! მხოლოდ ჩემს თავზე გელაპარაკებით, ფიქრით კი მარტოოდენ თქვენზე ვფიქრობ. ოჰ, რომ იცოდეთ, როგორ მომბეზრდა ჩემი თავი! მტანჯავს და მნთქავს ჩემივე „მე“. ეს არის ტვირთი, უფალმა რომ კისრად მაღებინა. როგორ მინდა, ფეხთით დაგიგდოთ იგი! ოღონდ ეგაა, სევდისმომგვრელი საჩუქარია... თქვენი ფეხები ლბილ მიწასა და ხრაშუნა ხვინჭას უნდა თელავდეს. ვხედავ მაგ თქვენს საყვარელ ფეფებს, ზანტად რომ მირონინებენ ქარისებდთ მოჩითულ მდელოებზე (აღარ მოგინახულებიათ დორიას ვილა?)... აგე, დაგეღალათ მუხლი! ახლა გხედავთ წამოწოლილს თქვენი სასტუმრო ოთახის კუთხეში; თავი დაგიხრიათ წიგნზე, მაგრამ არ კითხულობთ. კეთილგანწყობით მისმენთ, თუმცა გულისყურს არ აპყრობთ, რასაც გეუბნებით: აკი მაბეზარა ვარ, ჰოდა, მოთმინება რომ იქონიოთ, ჟამ-ჟამად საკუთარ ფიქრებს მიეცემით ხოლმე; მაგრამ ზრდილობიანი ბრძანდებით და ცდილობთ გული არ დამწყვიტოთ, დაბნეული მზერით საჩქაროდ გამოხატოთ ცნობისწადილი, როცა რომელიმე სიტყვა უცაბედად შორეთიდან ცხადში მოგაბრუნებთ. მე კი... მეც შორს დავფრენ ამ დროს, მეც ძლივს მწვდება ჩემივე ნათქვამი და როცა თვალს ვადევნებ, როგორ აირეკლავს ჩემს საუბარს თქვენი მშვენიერი სახე, გულის სიღრმეში მომესმის სულ სხვაგვარი სიტყვები, რაც თქვენთვის ვერ მითქვამს. ეს სიტყვები, ზეპირ თქმულისაგან განსხვავებით, თქვენ კარგად გესმით, ოღონდ თავს იკატუნებთ და ეგ არის.

ნახვამდის. ვინძლო, მალე გნახოთ. გული გადამელია აქ. კონცერტები დამიმთავრდა და რაღა უნდა ვაკეთო.

ვეხვევი თქვენს ბავშვებს, ვუკოცნი პაწია ლოყებს. ისინი თქვენი წილაკია. უნდა დავსჯერდე ამას!..

კრისტოფი“.

„მშვიდი გრაცია“ უპასუხებდა:

„ჩემო მეგობარო, მივიღე თქვენი წერილი სასტუმრო ოთახის იმ პატარა კუთხეში, ასე კარგად რომ გხსომებიათ; ვკითხულობდი, როგორც მჩვევია — სვენებ-სვენებით. ნუ გეცინებათ! მინდოდა გამეხანგრძლივებინა სიამოვნება. საღამომდე ასე ვიყავი. ბავშვებმა მკითხეს, სულ ერთთავად რას კითხულობო. ვუთხარი, რომ თქვენი წერილი იყო. ავრორამ დახედა ქაღალდის ფურცლებს და თანაგრძნობით თქვა: „ალბათ, რა მოსაწყენია ასეთი გრძელი წერილის წერა!“ ვცადე ამეხსნა, ეს იძულება როდია, როდია გაკვეთილი, რაც თქვენთვის მომიცია, ასე ერთმანეთს ვესაუბრებით-მეთქი. უხმოდ მომისმინა და გვერდით ოთახში გაიქცა ძმასთან ერთად სათამაშოდ. ცოტა ხნის შემდეგ, როცა ლიონელო ყვირილს მოჰყვა, გავიგონე, ავრორამ როგორ უთხრა: „ნუ ვიხმაურებთ: დედა სინიორ კრისტოფს ელაპარაკება“.

რასაც ფრანგებზე მეუბნებით, საინტერესოა, ოღონდ არ მაკვირვებს. გახსოვთ, ხშირად გისაყვედურებდით, უსამართლო რადა ხართ-მეთქი. იმათ მიმართ.

შესაძლოა, არ გიყვარდეს ისინი. ოღონდ რა გონიერი ხალხია! არის ზოგი უფერული ერი, რომელთა ხსნა გულკეთილობა და ფიზიკური ძალაა. ფრანგებს შველის გონება. იგი აბათილებს ყველა მათს სუსტ მხარეს. ააღორძინებს მათ. როცა ყველას ჰგონია, ეგაა დაკნინდნენ, გაიხრწნენო, კვლავ სიჭაბუკეს ეზიარებიან გონების დაუშრეტელი წყაროს მადლით.

იძულებული ვარ ცოტათი დაგტუქსოთ. მებოდიშებით, მხოლოდ ჩემს თავზე გელაპარაკებითო. თქვენ — ingannatore[1] ხართ. არაფერს თქვენზე არ მატყობინებთ. არც იმისას, რა გააკეთეთ, არც იმისას, რა ნახეთ. თქვენი წარმატების ამბავი რომ შეეტყობინებინა, ჩემმა ბიძაშვილმა კოლეტმა (ჰო, მართლა, რატომ არ შეივლით ხოლმე მასთან?) აიღო და გამომიგზავნა გაზეთების ამონაჭრები, სადაც შეფასებულია თქვენი კონცერტები. თქვენ მხოლოდ გაკვრით ახსენებთ ამ ამბავს. ნუთუ ასეთი გულგრილი ხართ ყველაფრის მიმართ? არა მჯერა. მითხარით, რომ წარმატება სიამოვნებასა გგვრით!.. უნდა გგვრიდეთ თუნდაც იმიტომ, რომ ეს სიამოვნებას მანიჭებს მე. არ მომწონს, როცა დამწუხრებული სახე გაქვთ. ტონი თქვენი წერილისა სევდიანია. ნუ ხართ ეგრე... კარგია, რომ უფრო სამართლიანი შეიქენით გარშემომყოფთა მიმართ. ოღონდ ამის გამო თვითგვემას ნუ მიეცემით, ნუ ფიქრობთ, სხვებზე უდარესი ვარო. ჭეშმარიტი ქრისტიანი შეგაქებდათ, მე კი გეტყვით, რომ ეს არ ვარგა. უხეირო ქრისტიანი გახლავართ. სამაგიეროდ კარგი იტალიელი ვარ და არ მიყვარს, წარსულის გამო ეწამებოდნენ. თავსატეხად აწმყოც გვეყოფა. ხეირიანად არც კი ვიცი ყველაფერი, რაც ოდესღაც ჩაგიდენიათ. რამდენიმე სიტყვით გადასწვდით ამ ამბავს. დანარჩენს კი, ვგონებ, მე თვითონ მივხვდი. მაინცდამაინც ლამაზი როდია ეს, მაგრამ ამის გამო ნაკლებად ძვირფასი არ შექმნილხართ ჩემთვის. საბრალო კრისტოფ, ჩემი ხნის ქალი უეჭველად რწმუნდება, რომ წესიერზე წესიერი ადამიანი ხშირად სუსტია. და ამ სისუსტისათვის ის კიდევ უფრო მეტად უყვარს. ნუღა ფიქრობთ იმაზე, რაც გაგიკეთებიათ. იმაზე იფიქრეთ, რას გააკეთებთ. სინანული რა საჭიროა. სინანული უკან დაბრუნებას ნიშნავს. სიკეთეს იქმ თუ ბოროტებას, მუდამ წინ უნდა იარო. Sempre avanti, Savoia![2] ნუთუ გგონიათ, რომში ჩამობრუნების ნებას დაგრთავთ! აქ არაფერი გესაქმებათ. დარჩით პარიზში, შეჰქმენით, იმოქმედეთ. ჩაებით არტისტულ ცხოვრებაში. არ მინდა ქვეყნიერებას განუდგეთ. მსურს, ქმნიდეთ მშვენიერ ქმნილებებს. მსურს, მათ ერგუნოს წარმატება. მინდა ძლიერი იყოთ და ეხმარებოდეთ ახალგაზრდებს, ახალ კრისტოფებს, ვინც იმავე ბრძოლას ეწევა და იმავე განსაცდელს გამოივლის, რაც თქვენ გამოიარეთ. იპოვეთ ისინი, მხარი დაუჭირეთ, იმაზე უკეთესად მოეპყარით თქვენს უმცროს თანამოძმეთ, ვიდრე ოდესღაც უფროსნი მოგეპყრნენ თქვენ. ბოლოსდაბოლოს ის მინდა, ძლიე-

---

[1] მატყუარა (იტალ.).

[2] მუდამ წინ, სავოია! (იტალ.).

რი იყოთ, ვიცოდე, ძლიერია-მეთქი. ვერ წარმოიდგენთ, რა ძალას მანიჭებს ეს თავად მე.

თითქმის ყოველდღე დავდივარ ბორგეზეს ვილაში[1]. გუშინწინ ეტლით გავემგზავრეთ პონტე-მოლესაკენ და ფეხით დავიარეთ მონტე-მარიოს კოშკი[2]. თქვენ ცილს სწამებთ ჩემს ფეხებს. ისინი გემდურიან. „ნეტა რას როშავს ეგ ვაჟბატონი, თითქოს მაშინვე ვიღლებოდეთ, როგორც კი ათიოდე ნაბიჯს გავივლით ბორგეზეს ვილაში? არ გვიცნობს. თუ მაინცდამაინც არ გვიყვარს თავის შეწუხება, ეგ სიზანტის ბრალია. განა ძალა არ გვყოფნის...“ ნუ დაგავიწყდებათ, ჩემო მეგობარო, მე ხომ გლეხის ქალი ვარ.

ეწვიეთ ჩემს ბიძაშვილ. კოლეტს. ნუთუ კიდევ უწყრებით? ის ხომ კეთილი ქალია. თქვენი სახელი აბოდებს. როგორც ჩანს, პარიზელი ქალები გიჟდებიან თქვენი მუსიკისათვის. ოღონდაც მოისურვოს ჩემმა ბერნელმა დათვმა და პარიზელ ლომად იქცევა. გწერენ თუ არა ბარათებს? გიმხელენ თუ არა სიყვარულს? ერთ ქალსაც არ ახსენებთ. ხომ არ შეგიყვარდათ ვინმე? მიამბეთ. ეჭვიანი არა ვარ.

თქვენი მეგობარი გ“.

„არ გეგონოთ, მადლიერი ვიყო თქვენი ბოლო ფრაზის გამო! ზეცას მადლობას შევწირავდი, თქვენ რომ ეჭვიანი იყოთ, დამცინავო გრაციელ! მაგრამ ნუ გექნებათ იმის იმედი, ეჭვიანობა გასწავლოთ. სულაც არ მეპიტნავება მაგ გიჟი პარიზელი ქალების შეყვარება, როგორც თქვენ უწოდებთ. გიჟებიო? ოღონდაც გაგიჟდებოდნენ. მაგრამ ასე არ არის. ნუ იმედოვნებთ, რომ ჭკუას დამაკარგვინებენ. იქნებ მოეხერხებინათ კიდეც, უფრო გულგრილნი რომ იყვნენ ჩემი მუსიკის მიმართ. მაგრამ უყვართ იგი, ერთობ აშკარაა ეს. ჰოდა, რაღა ილუზია უნდა შეგრჩეს ამის შემდეგ? თუ ვინმე გეუბნება, გიგებთო, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ: ვერასოდეს გაგიგებთ.

ძალიან სერიოზულად ნუ მიიღებთ ამ ჩემს ბუზღუნს. ის გრძნობა, რითაც თქვენდამი ვარ გამსჭვალული, უსამართლოს. როდი მხდის ყველა დანარჩენი ქალის მიმართ. ისე გულწრფელად არასოდეს მომწონდნენ ისინი, როგორც მომწონან მას შემდეგ, რაც შეყვარებულის თვალით აღარ ვუცქერი მათ. ჩვენი ეპოქის ერთ-ერთ უდიდეს გმირობად მიმაჩნია ის მამაცური ბრძოლა, ოცდაათი წლის მანძილზე რომ ეწევიან ნახევრადმხევალთა დამამცირებელი და უგვანი ყოფის წინააღმდეგ, ყოფისა, რაშიაც, ურთიერთსაუბედურო, უგუნურ მამაკაცურ ეგოიზმს ჩაუყენებია ისინი. პარიზისნაირ ქალაქში ისწავლი აღტაცებას ყმაწვილქალთა ამ ახალი თაობით, არავითარ დაბრკოლებას რომ არ ეპუება და მიამიტური გზნებით ისწრაფვის დაეუფლოს მეცნიერებასა და დიპლომებს, იმ მეცნიერებასა და იმ დიპლომებს, რამაც — აგრე მიაჩნიათ თავად — უნდა

[1] ვილა და პარკი რომის ჩრდილოეთ ნაწილში.

[2] პონტე-მოლე და მონტე-მარიო რომის სასეირნო ადგილებია.

ააზატოს ისინი, გაუხსნას უცნობი სამყაროს იდუმალებანი, გაუთანასწოროს მამაკაცებს...

რა თქმა უნდა, ეს რწმენა ფუჭი და, ცოტა არ იყოს, სასაცილოა, მაგრამ პროგრესი არასოდეს ხორციელდება მოლოდინისამებრ, სულ სხვაგვარად იკაფავს ხოლმე გზას. ქალთა ეს ძალისხმევა ტყუილად არ ჩაივლის. ქალი უფრო სრულქმნილი, უფრო ჰუმანური შეიქმნება, იმგვარი, დიადი ეპოქებისას რომ იყო. გულგრილად აღარ მოეკიდება მსოფლიოს საჭირბოროტო საკითხებს, — სამარცხვინო და საზარი იყო ამგვარი მათი ქცევა. დაუშვებელია, რომ თანადროულ სახელმწიფოში ქალს, თუნდაც ის ერთობ დატვირთული იყოს ოჯახური მოვალეობით, მიაჩნდეს, თავისუფალი ვარო მოქალაქეობრივი ვალის შესრულებისაგან. ჟანა დარკისა და ეკატერინე სფორცას[1] დროინდელი მისი დიდედის დედა სხვაგვარად ფიქრობდა. ქალი ჩაჭკნა. ჰაერი და მზე აღვუკვეთეთ. აღვუკვეთეთ და ისიც ძალით გვართმევს. ჰოი, დიდებულო ქალიშვილებო! თქმა არ უნდა, ბევრი მათგანი, ვინც ბრძოლაში ჩაბმულა, დაიღუპება, ზიანს მისცემს თავის თავს. ეს გარდამავალი ხანაა. მეტისმეტად დიდია დაძაბულობა ამ ერთობ აზიზ არსებათათვის. როცა მცენარე დიდხანს მოკლებულია ტენს, ანაზდად წამოსული წვიმა დაღუპვას უქადის. რა გაეწყობა! ამგვარია ყოველგვარი პროგრესის საზღაური. სამაგიეროდ ისინი, ვინც შემდგომ მოვა, იხარებენ იმ ტანჯულთა წყალობით. საბრალო მეომარ ქალწულთა უმეტესობას გათხოვება არ უწერია, მაგრამ უფრო ნაყოფიერნი გამოდგებიან მომავლისათვის, ვიდრე თაობანი მატრონებისა, რომელთაც მანამდე შვილები დაუჩენიათ. იმათი მსხვერპლის ფასად წარმოიშობა თაობა ახალი კლასიკური საუკუნის ქალებისა.

რასაკვირველია, თქვენი ბიძაშვილის კოლეტის სალონში ტყუილად ეცდებოდი ამგვარ შრომისმოყვარე ფუტკართა პოვნას. აგრე დაეინებით რატომ მგზავნით მაგ ქალთან? მართალია, დაგემორჩილეთ, მაგრამ ვერ მოგიწონებთ განზრახვას. ბოროტად იყენებთ თქვენს ძალაუფლებას. სამგზის მიპატიჟებაზე უარი შევუთვალე, ორ ბარათზე პასუხი არ გამიცია. საშველს არ მაძლევს. ერთ-ერთ რეპეტიციაზე გამომეცხადა (ვასრულებდი ჩემს მეექვსე სიმფონიას ორკესტრთან ერთად), ანტრაქტისას მომაკითხა, ცხვირი აბზიკა, ჰაერი მოყნოსა და შესძახა: ოჰ! ამას სიყვარულის სუნი უდის! როგორ მომწონს ამისთანა მუსიკა!"

გარეგნულად გადასხვაფერებულა: წინანდელი ეერისა დაკარკლული, კატისებრი თვალები შერჩენია და ჟინიანი, მუდამ დმეჭია ცხვირი. ოღონდ პირისახე უფრო ფართო, ყვრიმალებდაჩნეული გაუხდა, ღაჟღაჟა ფერი დაჰკრავს. სპორტმა გარდაქმნა. თავდავიწყებით მისდევს სპორტს. მისი ქმარი, მო-

---

[1] ეკატერინე სფორცა (1463—1509), იტალიელი მთავრის ცოლი; სახელი გაითქვა მამაცობით ჩეზარე ბორჯიას ლაშქრისაგან ფორლის ციხე-სიმაგრის დაცვისას.

გეხსენებათ, ერთ-ერთი საპატიო წევრი გახლავდ საავტომობილო კლუბის და აეროკლუბისა. უიმათოდ არც ერთი საავიაციო გადაფრენა არ მოხდება, არც ერთი შეჯიბრი არ გაიმართება ჰაერში, ხმელეთსა თუ წყალზე. ცოლ-ქმარი სტივენს-დელესტრადი თავის მოვალეობად რაცხს, ყველაფერ ამას დაესწროს. ისინი მუდამ მოგზაურობენ. საუბარს ვერ გაუბამ: შეუძლიათ გითხრან მხოლოდ Racing, Rowing, Rugby, Derby[1]. ეს არის მაღალი საზოგადოების ხალხი ახალი ჯურისა. პელიასის დრომ ქალებისათვის განვლო. სული ამჟამად მოდური არ გახლავთ. ყმაწვილ ქალებს თავი მოსწონთ ღაჟღაჟა, მზედაკრული პირისახით, ქარისაგან რომ აქერცლიათ სუფთა ჰაერზე გამართული შეჯიბრისას ან კიდევ მზის გულზე გაჩაღებული თამაშის დროს, მამაკაცურად გიცქერენ და ერთობ ხმამაღლა იცინიან. ახლა უფრო მკვეთრი და ლაღი ტონი გახლავთ მიღებული. თქვენი ბიძაშვილი ზოგჯერ საოცარი სიმშვიდით წარმოთქვამს საშინელ რამეს. ღორმუცელა შეიქნა, წინათ კი თითქმის პირს არ აკარებდა საჭმელს. ჩვეულებისამებრ უჩივის საჭმლის ცუდ მონელებას, თუმცა შემთხვევა თუ ჩაუვარდა, მაძღრისად გეახლებათ. კითხვით არაფერს კითხულობს. მათ წრეში კითხვა მიღებული აღარ გახლავთ. მხოლოდ მუსიკას სწყალობენ ჯერ კიდევ. წაადგა კიდეც თქვენს ბიძაშვილს ლიტერატურის კრახი. როცა ეს ხალხი გადაქანცულია, მუსიკა ევლინებათ თურქული აბანოს, ორთქლის აბანოს, მასაჟის, ნარგილეს მაგვარ რამედ. ფიქრს არ უნდა აჰყვე. ეს არის გარდამავალი საფეხური სპორტსა და მიჯნურობას შორის. ეგეც თავისებური სპორტი გახლავთ. ოღონდ ყველაზე უფრო მოდური სახეობა სპორტისა ესთეტიკურ გასართობთა შორის ცეკვაა. რუსული, ბერძნული, შვეიცარიული, ამერიკული ცეკვები. პარიზში სწორედ რომ სულ ყველაფერს ცეკვავენ: ბეთჰოვენის სიმფონიებს, ესქილეს ტრაგედიებს, „კარგად ტემპერირებულ კლავირს“[2], ვატიკანის ანტიკურ ქანდაკთ, ორფეევსს, ტრისტანს, „ქრისტეს ვნებებსა“ და ტანვარჯიშს. ეს ხალხი ჭკუაზე შეიშალა.

თავშესაქცევი სანახავია, თქვენი ბიძაშვილი ერთიმეორეს როგორ უთავსებს ყოველივე ამას: ესთეტიზმს, სპორტს, პრაქტიკულ ჭკუას (რამეთუ დედისაგან დაჰყვა სარისტა და ოჯახური დესპოტიზმი). ყველაფერი ერთად საოცარ დომხალს ქმნის. მაგრამ კოლეტი თავს საუცხოოდ გრძნობს. თუმცა ექსცენტრული და თავგუნებაა, გონების სინათლეს არ კარგავს, არცთუ თვალის და ხელის სიმარჯვე ღალატობს როდისმე, თავდაჯერებით მართავს მანქანას თვით თავბრუდამხვევი რბოლისას. ყაჩაღანა ქალია, ყველას რომ მბრძანებლობს: ქმარს, სტუმრებს, მოახლეებს. პოლიტიკასაც მისდევს და თავგამოდებით უპერს მხარს „მის უმაღლესობას“[3], განა როიალისტობის გამო, უბრალოდ

---

[1] რბენა, ნიჩბოსნობა, რეგბი, დოღი (ინგლ.).

[2] ი.-ს. ბახის პრელუდიებისა და ფუგების კრებული (1722).

[3] იგულისხმება საფრანგეთის ტახტის პრეტენდენტი ლუი-ფილიპე, ორლეანის ჰერცოგი (1869—1926).

ზედმეტი საბაბი ეძლევა ფუსფუსისათვის და იმიტომ. თუმცა, რაგინდარა წიგნი იყოს, ათიოდე გვერდის წამკითხველიც არ არის, ზეგავლენას ახდენს აკადემიის არჩევნებზე... სცადა, ჩემთვის მფარველობის კალთა გადაეფარებინა. ხომ ხედებით, ვერაფრად მეჭაშნიკებოდა ეს ამბავი! მაგრამ ყველაზე უფრო ის მხეთქავს გულზე, რომ თქვენს ნებასურვილს დავყევი და იმიტომ ვეახელი, თვითონ კი ჩემს მეუფედ წარმოუდგენია თავი... სამაგიეროს იმით ვზღავ, რომ მწარე ჭეშმარიტებას პირშივე ვეუბნები, მაგრამ იცინის და ეგ არი, პასუხის გაცემა როდი უჭირს. „ის ხომ კეთილი ქალიაო“.... კი, ოღონდ მაშინ, როცა რითიმე გართულია. თავადაც არ მალავს ამას; ხოლო თუ მანქანას საკეპი შემოაკლდება, არაფერს დაერიდება. სრულებით არაფერს, რათა საკვები მასალა მოუპოვოს. ორჯერ გახლდით მისას. მეტს ფეხს ვეღარ მიმადგმევინებს ვერავინ. ესეც კმარა თქვენდამი ჩემი მორჩილების დასტურად. ხომ არა გსურთ ბოლო მომიღოთ? მისგან ვბრუნდები გათანგული, დაღლილ-გასავათებული. ბოლო ვიზიტის შემდეგ, ღამით, უემური დამაწვა: მესიზმრა, თითქოს მისი ქმარი ვიყავი და ამ ცოცხალ ქარაშოტს სამისდღეშიოდ ხელში ჩავვარდნოდი. უხიაგი სიზმარია, რამაც, ცხადია, მისი ქმარი არ უნდა შეაშფოთოს; ქმარი, ალბათ, ცოლის გვერდით ყველაზე ნაკლებ დროს ატარებს იმათგან, ვინც სტუმრად დადის მათს სახლში. მარტო რომ რჩებიან, მხოლოდ სპორტზე ლაპარაკობენ. შეხმატკბილებულნი ბრძანდებიან.

როგორ უნდა შეეწყოთ ხელი ამ ადამიანებს ჩემი მუსიკის წარმატებისათვის? ვერაფრისდიდებით ვერ მივმხვდარვარ. ვგონებ, ამ მუსიკამ რაღაც ახლებურად შეანჯღრია ისინი. არ ეგოდიშება იმათ და ამიტომ თუ ეჭაშნიკებათ. იმგვარი ხელოვნება იზიდავთ ამჟამად, ხორციელობას რომ შეგაგრძნობინებს. ოღონდ ფიქრადაც არ მოსდით, ამ ხორცს რომ სული აქვს; დღეს იტაცებთ ჩემი მუსიკა, ხვალ გულს აიყრიან, ზეგ კი გაქიაქებას დაუწყებენ, ჩაწვდომით კი ვერასდროს ჩასწვდებიან. ამგვარია ყველა ხელოვანის ხვედრი. თავს ილუზიით როდი ვინუგეშებ ჩემი წარმატების გამო, ეს წარმატება ხანმოკლეა — ის კი არა, სამაგიეროს ზღვევა მომიწევს. ჯერჯერობით კი სასეირო სანახაობათა მოწმე ვარ. ერთ-ერთი ჩემი აღფრთოვანებული თაყვანისმცემელია ... გამოიცანით ვინ (ჩამოვდივარ ათასს ერთის წინააღმდეგ) — ჩვენი მეგობარი ლევიკერი. გახსოვთ ლამაზი ყმაწვილი კაცი, ვისთანაც სულელური დუელი მქონდა ოდესღაც? ახლა ის ჭკუას არიგებს იმათ, ვინც წინათ ვერ მიგებდა. თანაც საკმაოდ კარგად ახერხებს ამას. მე მგონი, ვინც ჩემზე წერს, ყველაზე ჭკვიანი იმათ შორის ეგ არის. სხვებს რა ფასი ექნებათ, თავადვე წარმოიდგენთ. გარწმუნებთ, თავმოსაწონი არა მაქვს რა.

ბრცთუ საამისო სურვილი აღმეძვრის. თავს შეურაცხყოფილად ვგრძნობ. იმ ნაწარმოებთა მოსმენისას, რომელთა გამოც ქებას მასხამენ. იმ ნაწარმოებებში ჩემს თავსა ვცნობ და არ მომწონს ჩემი თავი. რარიგ ულმობელი სარკეა მუსიკალური ქმნილება იმისათვის, ვისაც ძალუძს შიგ ჩაიხედოს! საბედ-

ნიეროდ, მსმენელი ყრუა და ბრმა. იმდენი საკუთარი შფოთი და სუსტი მხარე გამოვხატე ჩემს მუსიკაში, ზოგჯერ აგრე მგონია, ცუდად მოვიქეცი-მეთქი, დემონების ეს ხროვა რომ გამოვუშვი... მაგრამ, რაკი მსმენელთა უშფოთველობას ვხედავ, ვწყნარდები. სამმაგი ჯავშანი ჰფარავთ, ვერაფერს დააკლებ,— აგრე რომ არ იყოს, სამუდამო წამება არ ამცდებოდა. მისაყვედურებთ, რომ მე ძლიერ მკაცრი ვარ ჩემი თავის მიმართ. ეგ იმის ბრალია, რომ მე უფრო კარგად ვიცნობ ჩემს თავს, ვიდრე თქვენ იცნობთ. გარშემომყოფნი ისეთს გვხედავენ, როგორნიც ვართ. ვერ ჭვრეტენ, რაგვარნი შეიძლებოდა ვყოფილ-ვიყავით და გვადიდებენ იმისათვის, რაიც ჩვენი დამსახურება კი არა, გარემოებათა იღბლიანი დამთხვევისა და წარმმართველ ძალთა წყალობაა უპირატესად. ნება მიბოძეთ, ერთი ამბავი გიამბოთ.

ერთხელ საღამოს ერთ იმგვარ კაფეში შევედი, სადაც შეიძლება მოისმინოთ გვარიანი კარგი მუსიკა, თუმცა შესრულებით, ცოტა არ იყოს, უცნაურად ასრულებენ. ხუთი-ექვსი საკრავის მეშვეობით, როიალთან ერთად, აქ უკრავენ რაგინდარა სიმფონიას, მესას, ორატორიას. მსგავსად იმისა, როგორც რომში მემარმარილოენი ბუხრის დასამშვენებლად ჰყიდიან მედიჩის სტილის მიხედვით ნაკეთებ სამლოცველოს. ეს ხელოვნების პროპაგანდას უწყობსო ხელს, ეგრე მიაჩნიათ. ადამიანთა შორის მიმოქცევაში რომ ჩართო ხელოვნება, უნდა დაახურდავო იგი და ეგ არის. თუმცაღა, ამ კონცერტებზე ანგარიშში არ გატყუებენ. მრავალფეროვანი პროგრამა აქვთ, შემსრულებელნი კეთილსინდისიერნი არიან. იქ შევხვდი ერთ ვიოლონჩელისტს და დავუმეგობრდი; მისი თვალები საოცრად მომაგონებდა მამაჩემის თვალებს. მიამბო თავისი ცხოვრების ამბავი. გლეხკაცის ბადიში ყოფილა, შვილი ჩრდილო საფრანგეთის ერთი სოფლის მერიის წვრილფეხა მოხელისა. უნდოდათ, იგი ბატონკაცი, ვექილი გამოსულიყო. მიუბარებიათ მეზობელი ქალაქის კოლეჯში. ჯანიანი, ცოტა არ იყოს, მოტლანქო ბიჭუკელა გულს ვერ უდებდა პროვინციელი ნოტარიუსის თავმოსაბეზრებელ სამუშაოს, გალიაში ვერ ძლებდა: ღობეზე ძვრებოდა, ველ-მინდვრად დახეტიალობდა, დასდევდა გოგოებს, ჩხუბში ხარჯავდა შესაშურ ძალ-ღონეს. დანარჩენ დროს უსაქმოდ დაყიალობდა, ფუჭ ოცნებას ეძლეოდა. ერთი რამ იზიდავდა მხოლოდ — მუსიკა. ოღონდ ღმერთმა უწყის, რატომ იზიდავდა! თავისიანებში არავინ ჰყოლია მუსიკოსი, ნახევრად შერეკილი პაპის ძმის გარდა. ერთი იმ პროვინციელ უხიაგთაგანი ყოფილა ის პაპის ძმა, ამაყი მარტოობით გულჩათხრობილნი სულელურ გამოგონებათა გამო რომ ხარჯავენ ხშირად მათთვის მომადლებულ განსაკუთრებულ უნარსა და ნიჭს, ხარჯავენ მანიაკთათვის ნიშნეულ გამოგონებებზე. ახალი სანტოტ სისტემა გამოეგონებინა (კიდევ ერთი!), რასაც რევოლუცია უნდა მოეხდინა მუსიკაში; იმასაც ამტკიცებდა, გამოვიგონეო სტენოგრაფიული მეთოდი, რაც საშუალებას მოგვცემს, ერთდროულად ჩავიწეროთო სიტყვა, სიმღერა და აკომპანემენტი; თუმცა საიმისოდ არც არასოდეს გარჯილა, ნაწერი გაერკვია.

ოჯახში დასცინოდნენ ამ უხიაგს, ოღონდ იმავ დროს ამაყობდნენ კიდეც მისით. ახლობლები ფიქრობდნენ: „ბებერი გიჟია, მაგრამ ვინ იცის, ეგების გენიოსია...“. თქმა არ უნდა, მუსიკის მანია პაპისაგან გამოჰყოლოდა. ალბათ, წარმოგიდგენიათ, რაგვარი მუსიკის მოსმენას შეძლებდა იმ თავის პატარა ქალაქში. მაგრამ უხეირო მუსიკასაც ხომ ისეთივე წმინდა სიყვარულის ჩანერგვა ძალუძს, როგორიც კარგს.

უბედურება ის იყო, რომ ამდაგვარი გატაცება შეუწყნარებელ რასმედ ითვლებოდა იმ წრეში, ხოლო შლეგური უჯიათობა პაპის ძმისა ბავშვს არ გაეჩინდა. მალულად კითხულობდა ბებერი მანიაკის შემოქმედებითი ხელოვნების ნაყოფს, რაიც საფუძვლად დაედო მის უცნაურ მუსიკალურ განათლებას. ბუნებით დიდების მოყვარულს, მამისა და საზოგადოებრივი აზრისა ეშინოდა, არ უნდოდა რაიმე ეთქვა თავისი პატივმოყვარული განზრახვის გამო, ვიდრე წარმატებას არ მიაღწევდა. ოჯახური დესპოტიზმით დათრგუნული ბიჭუნა ისევე მოიქცა, როგორც იქცევა ბევრი კარგი ბურჟუა: რაკი სისულელისა თუ გულკეთილობის გამო ვერ ბედავენ, ახლობელთა ნებას წინ აღუდგნენ, თავს ისე აჩვენებენ, თითქოს ემორჩილებიანო, სინამდვილეში კი სხვა, გარეშე თვალისათვის ფარული ცხოვრებით ცხოვრობენ. იმის მაგიერ, თავის მიდრეკილებას მიჰყოლოდა, ბიჭუნა ცდილობდა მისთვის საძულველი საქმე ეკეთებინა, მაგრამ არც წარმატების მიღწევის უნარი ჰქონდა, არც იმისი შნო, ბარემ აშკარად ჩაფლავებულიყო. ძლივსძლივობით მოახერხა გამოცდების ჩაბარება. ამის წყალობით კი თავს აღწევდა ორმაგ მეურვეობას: პროვინციული საზოგადოებისას და საკუთარი მამისას. იურიდიული მეცნიერება ეჯავრებოდა და გადაეწყვიტა, ამ პროფესიას არ გაჰყოლოდა. ოღონდ, ვიდრე მამა ცოცხალი ჰყავდა, ვერ ბედავდა ამის აშკარად განცხადებას. შესაძლოა, დიდად არც ადარდებდა ის ამბავი, რომ, ვიდრე საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებდა, ერთხანს ლოდინი მოუხდებოდა. იმ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნოდა, თავიანთი დღე და მოსწრება იმედს რომ ულოლიავებენ გულში, — როდისმე ამასა და ამას ვიზამთ, როდისმე ამისა და ამის გაკეთებას შევძლებთო. ჯერჯერობით კი არაფერს აკეთებდა. კალაპოტიდან ამოგდებული, ახალი პარიზული ცხოვრებით გაბრუებული, იგი ჯეელი გლეხის ალალი სიხარბით მისცემოდა ვნებებს — ქალებსა და მუსიკას, კონცერტებითაც და სამიჯნურო ლაღობითაც ერთნაირად იყო გატაცებული. გადიოდა წლები, მას კი არც უცდია, გამოეყენებინა შესაძლებლობა თავისი მუსიკალური განათლების შესავსებად. უსაშველო სიამაყე, უხეირო, ჯიუტი და უნდო ხასიათი ხელს უშლიდა ესწავლა სადმე, ანდა რჩევა ეკითხა ვინმესათვის.

როცა მამა გარდაეცვალა, თემიდი და იუსტინიანე[1] თავიდან მოიცილა,

---

[1] თემიდი — ბერძენთა მართლმსაჯულების ღმერთქალი. იუსტინიანე (527—565) — ბიზანტიის იმპერატორი, ვის დროსაც მოხდა რომაული სამართლის კოდიფიკაცია.

მუსიკალური კომპოზიციის შესწავლას მოჰკიდა ხელი, თუმც სავალდებულო ტექნიკას რომ დაუფლებოდა თავდაპირველად, საამისოდ არც მოთმინება გაჩნდა, არც მხნეობა. ასე დაეჩვია უსაქმობას და ისე გაუტკბა გართობა, რაიმე სერიოზული შრომისათვის უნარი აღარ შესწევდა. ღრმად გრძნობდა მუსიკას, ოღონდ აზრი და მისი გამოხატვის ფორმა ვერ დაემორჩილებინა, ასე რომ მხოლოდ ბანალურ რამეებს თხზავდა. მაგრამ ყველაზე უფრო საშინელი ისაა, რომ ამ საშუალო ადამიანში მართლაც არის რაღაც დიადი. მისი ორი ძველი ნაწარმოები წავიკითხე. მათში ნახავ განსაცვიფრებელ აზრებს, უკეთ რომ ვთქვა, ოდენ მონახაზს, ფორმადაუსრულებელი რომ დარჩენილა. ტორფიან ჭაობზე მოციმციმე სინათლესავითაა... და რა საოცარი გონების პატრონია! თვალცრემლიანი ლაპარაკობს ბეთჰოვენზე. მზად არის თავი დასდოს იმის გულისათვის, ვინც უყვარს. გულის ამაჩუყებელი და სასაცილო ვინმეა. ზოგჯერ მინდა სიცილი დავაყარო და იქვე სურვილი წამომივლის, ხელი მოვხვიო. ერთობ წესიერია. უაღრესად სძაგს პარიზული წრეების შარლატანობა, ყალბი დიდება, და მაინც კიდევ ვერ უკუუგდია წვრილი ბურჟუისათვის ნიშნეული თაყვანისცემა სახელგანთქმული პირებისა...

მცირედი მემკვიდრეობა ერგო და რამდენიმე თვეში წირვა გამოუყვანა. უსახსროდ რომ დარჩა, სხვა მრავალთა მსგავსად კეთილშობილური და მიუტევებელი საქციელი ჩაიდინა, შეირთო მისგან შეცდენილი ღარიბი ქალიშვილი. იმ ქალიშვილს კარგი ხმა ჰქონდა, მუსიკას მისდევდა, თუმცა ყვარებით არ ჰყვარებია. ცხოვრების სახსარი რომ მოეპოვებინა, ქალი მღეროდა, კაცი ვიოლონჩელზე უკრავდა, უკრავდა. ფრიად უფერულად, ცხადია, მალე ორივემ აშკარად დაინახა ერთმანეთის უნიჭობა და ურთიერთსიძულვილით განიმსჭვალნენ. ქალიშვილი შეეძინათ. მამამ მთელი თავისი იმედები ბავშვზე დაამყარა. ეგონა, მე თუ არ გამიღიმა ბედმა, ჩემს შვილს გაუმართლებსო. გოგონა დედას დაემსგავსა: პიანინოს უტყაპუნებდა, ნიჭის ნატამალს არ ამჟღავნებდა. მამას აღმერთებდა და მისი გულის მოსაგებად მუყაითად მეცადინეობდა. რამდენიმე წლის განმავლობაში აგარაკიდან აგარაკზე გადადიოდნენ, ფულზე მეტად შეურაცხყოფას იღებდნენ. ისედაც სუსტი ბავშვი გადაექანცათ და მოუკვდათ. დარდ-ნაღველისაგან დედა სულ უფრო ანჩხლი ხდებოდა. საშინელ, აუწერელ სიღატაკეში ჩაცვივდნენ, საშველი არსაით ჩანდა და ამ უსაშველობას კიდევ უფრო აძლიერებდა შეუძლებლობა იმ იდეალის მიღწევისა, რისკენაც ისწრაფოდნენ...

როცა, ჩემო მეგობარო, ამ ბედდაცარულ საწყალ კაცს ვუცქერდი, ვისი ცხოვრებაც ერთი გაუთავებელი ვაი-ვაგლახია, გუნებაში ვფიქრობდი: „ხომ შეიძლებოდა, მეც იგივე ბედი გამეზიარებინა“. ჩვენს ბავშვურ გულებში რაღაც საერთო იპოვებოდა, ხოლო ჩვენი ცხოვრების ზოგიერთი ეპიზოდი ძლიერ ჰგავს ერთიმეორეს. ასე გასინჯეთ, რაღაცნაირი სიახლოვე აღმოვაჩინე ჩვენს მუსიკალურ იდეებს შორის; ოღონდ ეგაა, გზაზევე შეჩერდა იგი. მე კი

რას უნდა ვუმადლოდე, მიყებრ რომ არ დავიღუპე? თქმა არ უნდა, ჩემს ნებისყოფას. საწუთროს ალალბედობასაც. მაგრამ თუნდაც ჩემი ნებისყოფა იყოს თავიდათავი, განა ეს პირად დამსახურებად ჩამეთვლება? ეგებ, ყოვლის უწინარეს, ამას უნდა ვუმადლოდე ჩემს ერს, მეგობრებს, ჩემს მეოხ ღმერთს? ამგვარი ფიქრი სიმშვიდეს მგვრის. გრძნობ შენს ნათესაობას ყველასთან, ვისაც უყვარს ხელოვნება და მის გამო იტანჯება.

ძირიდან ზედეთამდე მანძილი არც ისე დიდია. ვფიქრობდი იმის თაობაზეც, რასაც წერილში მწერდით. მართალი ბრძანდებით: ხელოვანს არა აქვს განზე განდგომის უფლება, თუ შეუძლია სხვას შემწედ მოევლინოს. ასე რომ, პარიზში დავრჩები; თავს ძალას დავატან, წელიწადში რამდენიმე თვე გავატარო ან აქ, ან ვენაში, ან კიდევ ბერლინში, თუმცა გამიჭირდება, ხელახლა შევეგუო ამ ქალაქებს; მაგრამ ცხოვრებას ხომ არ უარყოფ კაცი. თუ იმას ვერ მოვახერხებ, დიდი სარგებლობა მოვუტანო სხვებს, რაც მეეკვება, ამ ქალაქში ყოფნამ ვინძლო მე მაინც მარგოს. ნუგეშად მექნება, რომ ეს თქვენ გეწადათ. თანაც (არ მინდა მოგატყუოთ)... სიამოვნებას ვპოულობ ამაში. ნახვამდის, მტარვალო. თქვენ გაიმარჯვეთ. არამცთუ ვაკეთებ იმას, რაც გსურთ, ასე გასინჯეთ, გულმხურვალებასაც ვამჟღავნებ.

კრისტოფი".

ასე რომ, კრისტოფი დარჩა — ჯერ ერთი, ხათრი ვერ გაუტეხა გრაციას, მეორეც კიდევ, შემოქმედის ცნობისწადილით აღძრული, იგი კვლავ გაიტაცა განახლებული ხელოვნების ხილვამ. ყველაფერს, რასაც ხედავდა თუ აკეთებდა, ფიქრით გრაციას უზიარებდა, წერილით ატყობინებდა. მშვენივრად ეხმოდა, თავს რომ იტყუებდა, როცა წარმოედგინა, ეს ყოველივე შეიძლება გრაციას აინტერესებდესო; ცოტა არ იყოს, გულგრილიარ, თავის თავს უტყდებოდა; ოღონდ იმისიც მადლიერი გახლდათ, მეტისმეტად რომ არ ავლენდა ამ გულგრილობას.

გრაცია წესიერად უგზავნიდა პასუხს თვეში ორჯერ. გულთბილ წერილებს სწერდა, მეგობრულსა და ისეთსავე სიმშვიდით სავსეს, როგორიც მისივე გრძნობა იყო. თავისი ცხოვრების ამბის თხრობისას კვლავინდებურად ინარჩუნებდა ფაქიზსა და ამაყ თავშეკავებას. იცოდა, რა ღრმად აღიბეჭდებოდა ხოლმე მისი სიტყვა კრისტოფის გულში. ამიტომაც ფიქრობდა, სჯობს გულცივი ვეჩვენო, ოღონდ კი იმედი არ აღვუძრა, რახან იმ იმედის გაზიარებას არ ვაპირებო. მაგრამ ქალის ბუნების კვალობაზე იმ საიდუმლოსაც ფლობდა, მეტისმეტად არ გაეწბილებინა მეგობრის სიყვარული და უმალ გულთბილი სიტყვით დაეამებინა ის მწვავე ტკივილი, რასაც გულგრილობით აყენებდა. კრისტოფმა ხელად გამოიცნო ქალის ტაქტიკა და მისდათავად მიჯნურთა ხერხს მიმართა — ლამობდა, პოტკინება დაეოკებინა და ცოტა უფრო მშვიდი წერილები მიეწერა, რათა ამით გრაციას სიფხიზლე მიეძინებინა.

რაც უფრო დიდხანს უხდებოდა ქრისტოფს პარიზში ყოფნა, მით უფრო მეტად ინტერესდებოდა იმ ახალი საქმიანობით, რასაც ეს უზარმაზარი ჭიანჭველების ბუდე აეშალა. ეს ინტერესი მით უფრო უცხოველდებოდა, რაც უფრო ნაკლებ სიმპათიას იჩენდნენ მის მიმართ ახალგაზრდა კომპოზიტორები. არ შემცდარა: მისი წარმატება პიროსისეული გამარჯვება[1] გამოდგა. ათი წლის შემდეგ კვლავ გამოჩენით სენსაცია გამოიწვია პარიზელთა საზოგადოებაში. მაგრამ ბედის ირონიის გამო, რასაც არცთუ იშვიათად ვაწყდებით ცხოვრებაში, ამჯერად მფარველობას უწევდნენ წინანდელი მტრები — მოდის ამყოლი სნობები; არტისტული სამყარო კი ან ფარული მტრობით ეკიდებოდა, ანდა ულმობლად ეპყრობოდა. აღიარებას იმის წყალობით მიაღწია, რომ სახელი განთქმოდა, სახელი, ნაწილობრივ წარსულს რომ ეკუთვნოდა უკვე, იმის წყალობით, რომ იყო ფრიად მნიშვნელოვანი შემოქმედი, მხურვალე რწმენის მქონე, უაღრესად გულწრფელი. და თუმცა ძალაუნებურად ანგარიშს უწევდნენ, თუმც აღტაცებას ან პატივისცემას გამოხატავდნენ, გაგებით მაინც ცუდად ესმოდათ მისი, სიყვარულითაც არ უყვარდათ. იგი იდგა მისი დროის ხელოვნების კიდეგან, საოცარი ვინმე, ცოცხალი ანაქრონიზმი. მუდამაც ამგვარი იყო. მარტოობაში გატარებულმა იმ ათმა წელიწადმა კიდევ უფრო საჩინო გახადა ეს კონტრასტი. მისი არყოფნისას, როგორც თავად დარწმუნდა, ყველაფერი გარდაქმნილიყო ევროპაში, მეტადრე — პარიზში. ფეხს იკიდებდა ახალი წესრიგი. მოდიოდა თაობა, უფრო მოქმედებას რომ ესწრაფოდა, ვიდრე წვდომას, უფრო მეტად ბედნიერება რომ სწყუროდა, ვიდრე ჭეშმარიტება. ცხოვრება ეწადა ამ თაობის ხალხს, სიცრუის ფასადაც ეზიარებოდა ცხოვრებას. ათასგვარი ყალბი ქედმაღლობა მოსდგამდათ: ქედმაღლობდნენ რასით, ქედმაღლობდნენ კასტით, ქედმაღლობდნენ რელიგიით, ქედმაღლობდნენ კულტურითა და ხელოვნებით. ყველაფერი გამოადგებოდა ხოლმე ამ თაობას, რაც ჯავშნით შეჭედავდა, ფარითა და მახვილით აღჭურავდა და გამარჯვებას მოუტანდა. აი, რატომ არ ეჭაშნიკებოდა ახალგაზრდობას მაღალი, მკაცრი ხმა, რაიც მოგაგონებდა იმ ნაღველს, ეჭვებს, წინაღამით რომ გიწეწავდა სულს და კვლავაც ემუქრებოდა კაცობრიობას, თუმცა ეს უკანასკნელი ახლა უკუაგდებდა ყოველსავე ამას და ცდილობდა დავიწყებისათვის მიეცა.

მაგრამ ეს ხმა უსათუოდ ჩაგესმოდა; ჯერაც ცოცხლად შემოენახა ხსოვნას. მაშინ ახალგაზრდები წყრომით მიაბრუნებდნენ პირს და მთელი ხმით გაჰყვიროდნენ, რათა თავიანთივე თავი გაეყრუებინათ. მაგრამ ის ხმა კიდევ უფრო ძლიერად ყღერდა და ეს აგულისებდათ.

კრისტოფი კი, პირიქით, მეგობრულად ეპყრობოდა მათ. იგი მიესალმებოდა საყოველთაო სწრაფვას, რადაც უნდა დასჯდომოდათ, მიეღწიათ წესრი-

[1] პიროსისეული გამარჯვება — პიროსი (318—272 ჩვ. ერამდე), ეპირის მეფე. იტალიაში შეიჭრა და რომაელები დაამარცხა, მაგრამ იმოდენა ზარალი ნახა, ლაშქარი სავსებით დაუძლურდა.

გისა და გულდაჯერებულობის დამკვიდრებისათვის. ის ამბავი, რომ ამ სწრაფვისას ვლინდებოდა განგებისი შეზღუდულობა, ოდნავადაც არ აკრთობდა. თუ გინდა, მიზანს უეჭველად მიაღწიო, სულ პირდაპირ უნდა იცქირო. გზის ასაქცევთან მდგარი კრისტოფი ტკბებოდა, რაკი ჭვრეტდა განვლილი ღამის ტრაგიკულ დიდებულებას, ახალჩასახულ, ცისკროვან იმედს, — შორით აციაგებული აისის მოლანდებულ სილამაზეს. კრისტოფი ქანქარის ღერძის უძრავ წერტილში იმყოფებოდა, ქანქარისა, ის-ის იყო ხელახლა ზევით რომ მიიწევდა. კრისტოფი არ მიჰყვებოდა მას, მაგრამ ცხოვრების მაჯისცემას სიხარულით უგდებდა ყურს. იმათ იმედებს იზიარებდა, ვინც არ სცნობდა თვით კრისტოფისვე წინანდელ ტანჯვას. აღუსრულდა, რაიც ეოცნებებოდა. ათი წლის წინათ, ვარამისა და წყედიადის ქამს, ოლივიემ — ბედშავმა გალურმა ყვინჩილამ, სუსტი ხმით აუწყა ყველას შორეული ალიონი. მგოსანი აღარ არის, მაგრამ ის, რასაც უმღეროდა, აღსრულდა. ფრინველნი იღვიძებდნენ საფრანგეთის ბაღნარში, ხოლო იმათ ჟივჟივს ახშობდა და კრისტოფის ყურთასმენას სწვდებოდა გაცოცხლებულ ოლივიეს უფრო მკაფიო, უფრო მორჭმული ხმა.

კრისტოფი წიგნის დახლთან იდგა და უგულისყუროდ ფურცლავდა ლექსების კრებულს. ავტორის გვარს არ იცნობდა, მაგრამ ზოგმა სიტყვამ განაცვიფრა იგი, გულისყური მოსტაცა. კითხვას განაგრძობდა, თვალს ავლებდა ჯერაც გაუჭრელ გვერდებს და ნაცნობი ხმა მისწვდა. მეგობრის იერი ეცნაურა. ვერ გარკვეულიყო, რა ხდებოდა მის გულში. იმ წიგნს ვერ შეელია და იყიდა. შინმბრუნებული კვლავ კითხვას შეუდგა და უმალ გრძნებამ შეკრა. პოემის მგზნებარე სუნთქვისაგან თვალნათლივ იშვოდნენ, ვით ზმანებისას, დიადი, საუკუნოვანი სულნი — ეს გიგანტური ხენი, სამშობლოს რომ განასახიერებენ, რომელთა ფოთოლი და ნაყოფი იგივე ადამიანები არიან. წიგნის ფურცლებზე ცოცხლდებოდა დედის ზეადამიანური სახება, იმ დედისა, ვინაც ჩვენამდე იყო, ვინაც ჩვენს შემდეგ იქნება, ვინაც ყოველივეზე მეუფებს, ვით ბიზანტიური მადონები, მთებივით მაღალნი რომ არიან, ხოლო იმ მთათა ძირში ლოცულობენ ადამიანები — ჭიანჭველანი. პოეტი განადიდებდა ჰომეროსის აღწერილ დიად ღმერთქალთა ორთაბრძოლებს[1], ღმერთქალებისას, რომლებიც ლახვარს უგმერენ ერთმანეთს დასაბამიდან მოყოლებული, განადიდებდა მარადიულ ილიადას, ტროის ომთან შედარებით რომ იგივეა, რაც ალპის მთაგრეხილი საბერძნეთის ბორცვებთან შედარებით.

სიამაყისა და მეომრული სულისკვეთების ეს ეპოპეა ეუცხოებოდა კრისტოფისნაირი ევროპელის თვალსაზრისს. და მაინც, კითხვისას გონებაგაცისკროვნებულს, კრისტოფს ენიშნა ის მზერა და ის ღიმილი, ოდესღაც რომ იც-

[1] ჰომეროსის „ილიადაში“ ღმერთქალები მონაწილეობენ ბერძენ-ტროელთა შორის გამართულ ბრძოლებში.

ნობდა და აგრერიგად უყვარდა, ენიშნა ფრანგული სულის ამ განსახოვნებაში — ამ მადლით აღსავსე, მრავლისმფარველ ქალწულში, მრუმეში თვალმოციალე ცისფერთვალა ათენაში, შრომის ამ ღმერთქალში, სწორუპოვარ ხელოვანში, ვინაც გონების მეუფეა და ვისი მოელვარე შუბიც გმირავს ბარბაროსთა აგნიასებულ ურდოებს. ოღონდ იმ წამს, როცა ის იყო, უნდა მოეხელთებინა, დაუსხლტა და გაქრა. ამაოდ ეძიებდა გამწარებული, მალიმალ ფურცლავდა კრებულს და უეცრივ წააწყდა ამბავს, რაიც ოლივიესაგან მოესმინა გარდაცვალებამდე რამდენიმე დღის წინ.

კრისტოფი გაოგნდა. ხელად გამომცემელს მიაშურა და სთხოვა, ავტორის მისამართი გამაგებინეთო. როგორც ჩვეულებრივ ხდება ხოლმე, უარი უთხრეს. კრისტოფი გაცხარდა, მაგრამ ვერაფერს გახდა. ბოლოს მოისაზრა, ცნობას ადრეს-კალენდარში ვიპოვიო. იქ მართლაც მიაგნო საჭირო მისამართს და ავტორთან გაემართა. თუ კრისტოფს რაიმე სწადდა, დაყოვნება არ იცოდა.

ბატინიოლის[1] უბანი, სულ ზედა სართული. რამდენიმე კარი საერთო დერეფანში გამოდის. კრისტოფმა იმ კარს მიუკაკუნა, რომელზეც მიუთითეს. მაგრამ გამოიღო გვერდითი ოთახის კარი. გამოიხედა შუბლზე თმაჩამოშლილმა ახალგაზრდა ულამაზო ქალმა, მზემოკიდებული დანაოჭებული სახე და მკვირცხლი თვალები რომ ჰქონდა. რა გნებავთო, ჰკითხა, თან უნდოდ ახედ-დახედა. კრისტოფმა აუხსნა, რისთვისაც იყო მოსული, და როცა ქალმა ვინაობა ჰკითხა, ამანაც თავისი გვარი დაუსახელა. ქალი გამოვიდა დერეფანში, გასაღები ამოიღო და გვერდითი ოთახის კარი გააღო. ოღონდ კრისტოფი მაშინვე არ შეუშვია, დაცდა სთხოვა. თვითონ შიგ შევიდა და კრისტოფს ზედ ცხვირწინ მიუჯახუნა კარი. ბოლოს სტუმარს ნება დართეს, შესულიყო ბინაში, რომელსაც აგრე საგულდაგულოდ იცავდნენ. კრისტოფმა გაიარა ნახევრად ცარიელი ოთახი, სასადილოდ რომ იყენებდნენ და უხეიროდ იყო გაწყობილი ძველი ავეჯით; უფარდო ფანჯარასთან დადგმულ დიდ გალიაში თორმეტიოდე ჩიტი ჟღურტულებდა. მეზობელ ოთახში გაქექილ დივანზე ვიღაც მამაკაცი იწვა. იგი ოდნავ წამოიწია კრისტოფის შესახვედრად. გამხდარი, ზეშთაგონებული სახე, მშვენიერი ხავერდოვანი, გზნებით მოელვარე თვალები, წვრილი გრძელი ხელები, გონებრივი შრომის ადამიანს რომ ამხელს, მახინჯი ტანი, ცივი, ხრინწგარეული ხმა... კრისტოფმა უმალვე იცნო იგი... ემანუელი იყო! პატარა სნეული ქარგალი, ვინაც შეიქნა უნებლიე მიზეზი... ემანუელი უცებ წამოხტა: მანაც იცნო კრისტოფი.

მდუმარედ იდგნენ. ორივენი ოლივიეს ხედავდნენ იმ წუთს... ხელის ჩამორთმევა ვერ გაებედათ. ემანუელმა ოდნავ უკან დაიწია. ახლა, ათი წლის შემდეგ, მისი გულის ბნელი სიღრმიდან კვლავ ამოტივტივდა მიჩქმალული მტრობა, ძველი იჭვნეული გრძნობა, რასაც კრისტოფი აღუძრავდა ოდესღაც-

[1] ბატინიოლი — უბანი პარიზის ჩრდილო ნაწილში.

მაგრამ როცა კრისტოფის მღელვარება შენიშნა, როცა მის ბაგეზე ამოიკითხა იმისი სახელი, ვისზეც ორივენი ფიქრობდნენ, სახელი ოლივიესი, — გულმა ვეღარ მოუთმინა და მოეხვია.

ემანუელმა თქვა:

— ვიცოდი, პარიზში რომ იყავით. ოღონდ ერთი ეს მითხარით, როგორ მიპოვეთ, რანაირად მომძებნეთ?

კრისტოფმა მიუგო:

— თქვენი ბოლო წიგნი წავიკითხე; იმ წიგნში მ ი ს ი ხმა გავიგონე.

— მართლა? — თქვა ემანუელმა. — იცანით იგი? ყველაფერს, რასაც მივაღწიე, მხოლოდ მას უნდა ვუმადლოდე. (იგი ერიდებოდა მისი სახელის ხსენებას).

ცოტა ხნის შემდეგ ოდნავ მოიღუშა და განაგრძო:

— თქვენ უფრო მეტად უყვარდით, ვიდრე მე..

კრისტოფს გაეღიმა:

— ვისაც უყვარს, მან არ იცის მეტი და ნაკლები; მთლიანად მიენდობა ხოლმე იმას, ვინც უყვარს.

ემანუელმა კრისტოფს შეხედა. ტრაგიკული, მკაცრი და მბრძანებლური თვალები უეცრივ საოცარი სინაზით გაუბრწყინდა. კრისტოფს ხელი მოჰკიდა ხელზე და დივანზე გვერდით მოისვა.

ერთმანეთის ამბის მოყოლა დაიწყეს. თოთხმეტიდან ოცდახუთ წლამდე ემანუელს მრავალგვარი პროფესია გამოეცადა. ემუშავა ასოთამწყობად, მეშპალერედ, მოხეტიალე მეწვრილმანედ, წიგნის გამყიდველად, მწერლად ვექილთან, პოლიტიკური მოღვაწის მდივნად, ჟურნალისტად... თან, როცა მოახერხებდა, გაფაციცებით სწავლობდა; ზოგჯერ კეთილი ადამიანები უწევდნენ დახმარებას — აოცებდათ ამ პატარა კაცუნას ენერგია; უფრო ხშირად კი ხელში უვარდებოდა არამზადებს, მის ნიჭსა და სიღარიბეს ექსპლოატაციას რომ უწევდნენ; ოღონდ ახერხებდა, მძიმეზე მძიმე განსაცდელის გამოვლისას შინაგანად გამდიდრებულიყო, გულში სიმწარეს მაინცდამაინც არ ჩაირჩენდა. მხოლოდ ეს იყო, ისედაც სუსტი ჯანის პატრონს უკანასკნელი ძალ-ღონე ელეოდა. მისმა იშვიათმა უნარმა, დაუფლებოდა ძველ ენებს (უნარმა, რაიც ჰუმანისტური ტრადიციებით ერთიან გამსჭვალული რასის წარმომადგენლებს უფრო ხშირად გამოაჩნდებათ ხოლმე, ვიდრე ჰგონიათ) მიიპყრო ერთი მოხუცი ელინისტი მღვდლის ყურადღება, და იმ მღვდელმა დახმარება გაუწია. მეცადინეობამ, რის შედეგადაც დიდ წარმატებას ვერ მიაღწია მოუცლელობის გამო, გონება გაუწვრთნა და ხელი შეუწყო, საკუთარი სტილი გამოემუშავებინა. ხალხის წიაღიდან გამოსულმა ამ ახალგაზრდა კაცმა, აქა-იქ შეძენილი ფრიად ნაკლულოვანი ცოდნის პატრონმა, ყველაფერს თავისით მიაღწია და ისე ბრწყინვალედ დაიურვა სიტყვა, ისერიგად ემარჯვებოდა ფორმის შეხა-

მება შინაარსთან, რომ დიდად გაუსწრო ათათწლობით უნივერსიტეტში ტვინ-ნანთხევ ბურჟუების ნაშიერთ. ყოველსავე ამას ოლივიეს კეთილისმყოფელ ზეგავლენას უმადლოდა? მართალია, სხვები გაცილებით უფრო მნიშვნელოვან დახმარებას უწევდნენ, მაგრამ ოლივიემ პირველმა გაუღვივა ის ნაპერწკალი, მისი სულის წყვდიადში უქრობი ლამპარი რომ აანთო. სხვები ოდენ ზეთს უმატებდნენ ხოლმე იმ ლამპარს.

ემანუელმა თქვა:

— რომ დავკარგეთ, მერმეღა გავუგე მას... ხოლო ყველაფერი, რასაც მეუბნებოდა, გულში ჩამწვდა. მისგან ანთებული ლამპარი აღარ ჩამქრობია.

ყვებოდა თავისი შემოქმედებისას, იმ საქმისას, რაც მისთვის ეანდერძებინა — ასე ირწმუნებოდა თავად — ოლივიეს, ფრანგების გამოღვიძებული ენერგიისას, იმ გმირული იდეალიზმის ელვარე გამოვლინების ამბავს, რასაც ოლივიე წინასწარმეტყველებდა. ემანუელს ეწადა, შექმნილიყო მისი მესაყვირე, შეტაკებას მაღლით რომ დასცქერის და მომავალ გამარჯვებას იუწყება. იგი უმღეროდა თვისი აღორძინებული ერის ეპოპეას.

მისი პოემები მართლაც რომ ნაშობი იყო ამ საოცარი ერისა, რომელსაც საუკუნეთა წიაღ გამოეტარებინა ოდინდელი კელტური სულისკვეთება, იმავ დროს კვლავინდებურად ჯიუტად კაზმავდა თავის აზრს ძველებური საჭურვლით და პატივს სცემდა რომაელი დამპყრობლის კანონებს. აქ პირველქმნილი სიწმინდით გაცოცხლებულიყო შემართება, შმაგი გონების სულისკვეთება, ირონია, ტრაბახთან შერწყმული თავაწყვეტილი გამბედაობა — ესოდენ ნიშნეული რომ არის ამ ხალხისათვის, რომელმაც გაბედა რომაელ სენატორთა წვერების ხელყოფა, გაძარცვა დელფოს[1] ტაძარი და თავის ისრებს კისკასით სტყორცნიდა ზეცას. მაგრამ პატარა პარიზელ ხელოსანს მოუხდა თავისი ვნებებისათვის ხორცი შეესხა ორი ათასი წლის წინათ მკვდარი ბერძენი გმირებისა და ღმერთების სახით; ისევე, როგორც ამას იქმოდნენ პარიკით მორთული მისი პაპები და უეჭველად იზამენ მისივე შვილთაშვილები. საოცარია ამ ხალხის ალღო, შეთანაწყობილი აბსოლუტის მოთხოვნილებასთან: თავის აზრს რომ საუკუნეების მანძილზე მიაკვლევინებს გზას, ჰგონია, ამ აზრს სამუდამოდ ამკვიდრებს. კლასიკური ფორმის არტახები კიდევ უფრო მეტი სიშმაგით აჩენდა ემანუელის ვნებათაღელვას. ოლივიეს მშვიდი გულდაჯერება საფრანგეთის ბედ-იღბლის გამო მის პატარა შეგირდს ექცა საქმიანობის მძაფრ წადილად, თვისი გამარჯვების მტკიცე რწმენად. იგი მიესწრაფოდა. ხედავდა, ითხოვდა ამას. ეგზალტირებული რწმენით, ოპტიმიზმით ფრანგებს გული აუჩქროლა. მისი წიგნი ისეთსავე ცხოველმყოფელ ზეგავლენას ახდენდა, როგორსაც მოგებული ბრძოლა ახდენს. ამ წიგნმა სკეპტიციზმისა და შიშის კედელი გაანგრია. ახალთაობა მის კვალდაკვალ დაიძრა მომავლის შესაგებებლად...

---

[1] იგულისხმებიან ძველი გალები, რომლებმაც 390 წელს ჩვ. ერამდე აიღეს რომი, ხოლო 279 წ. ჩვ. ერამდე გაძარცვეს დელფოს ტაძარი საბერძნეთში.

ლაპარაკისას ემანუელი გამოცოცხლდა, თვალები აენთო, ფერმკრთალი სახე წითლად აუფორეჯდა, ხმა გამყივანი გაუხდა. კრისტოფმა უნებურად შენიშნა კონტრასტი ამ ყოვლისმშთანთქმელ ცეცხლის ალსა და უძლურ სხეულს შორის, რაშიც ის ცეცხლი ბრიალებდა. ბედის ტრაგიკულ ირონიად მიიჩნია ეს ამბავი. მღერალი ძალისა, მგოსანი, ვინაც ხოტბას ასხამდა გაბედულ სპორტსმენთა მოდგმას, ქმედებას, ბრძოლას, ბიჯს ვერ გადადგამდა, სული არ შეჰხუთვოდა, ერთობ დამთმენი იყო ყოველმხრივ, იცავდა მკაცრ რეჟიმს, სვამდა მხოლოდ წყალს, თამბაქოს არ სწევდა, საყვარელს არ იჩენდა, ვნებებს გულშივე ფარავდა და ჯანმრთელობის გამო ასკეტურ ცხოვრებას ეწეოდა.

ემანუელის შემყურე კრისტოფი აღტაცებასთან ერთად ძმურ თანაგრძნობასაც შეეპყრო. არ უნდოდა, ეს შეემჩნევინებინა, მაგრამ, ეტყობა, მზერით გაამჟღავნა რაღაცა, ანდა, შესაძლოა, ამაყ ემანუელს, ვისი იარაც მუდამ პირღია იყო, მოსჩვენებოდეს, კრისტოფს სიბრალულის გამომეტყველებას ვამჩნევო თვალებში. ეს კია, მგზნებარება ერთბაშად ჩაუქრა. დადუმდა. კრისტოფი ეცადა, მაგრამ ვეღარ განაწყო ნდობით. ემანუელმა გული დაიხურა. კრისტოფი მიხვდა, მოვიმდურეო.

უსიამო დუმილი გრძელდებოდა. სტუმარი წამოდგა. ემანუელმა კოჭლობ-კოჭლობით მიაცილა კარამდე. სიარულისას უფრო აშკარად ჩანდა მისი სიგონჯე, — თავადაც უწყოდა ეს, მაგრამ თავმოყვარეობის გამო ისე გაჩვენებდა, თითქოს არ ედარდებოდა; გრძნობდა, კრისტოფი მაკვირდებაო, და ამის გამფიქრებელს უფრო მეტად ეძალებოდა მტრული გრძნობა.

სწორედ იმ დროს, როცა ემანუელი გულცივად ემშვიდობებოდა თავის სტუმარს, ახალგაზრდა ელეგანტურმა მანდილოსანმა მის კარზე ზარი დარეკა. მას ახლდა ვიღაც კოხტაპრუწა. კრისტოფმა იცნო ეს კაცი: არაერთგზის ენახა თეატრალურ პრემიერებზე, სადაც წამდაუწუმ უღიმოდა ყველას, გაუჩერებლივ ლაქლაქებდა, მისალმების ნიშნად ხელს იქნევდა, თითებს უკოცნიდა მანდილოსანთ და, პარტერის პირველ რიგში რომ მოიკალათებდა, მიტრიალდებოდა ხოლმე, ღიმილს არ იშურებდა დარბაზის შორეულ კუთხეში მიმსხდარი მაყურებლებისათვის. კრისტოფმა არ იცოდა მისი სახელი და „შვლად“ მონათლა. ემანუელი რა დაინახეს, შველი და მისი თანმხლები ქალი „ძვირფას მასწავლებელს“ მისცვივდნენ, აბეზრად და ფამილარულად უშლიდნენ გულს. კრისტოფმა გაიგონა, ემანუელმა ცივად რომ უთხრა მათ, ვერ მიგიღებთ, არა მცალიაო. კრისტოფს უკვირდა, როგორ ეხერხებოდა ამ კაცს, უცხვირპირო გჩვენებოდა. არ იცოდა, რა მიზეზის გამო ხვდებოდა ემანუელი ასე გულცივად მდიდარ სნობებს, რომლებიც სწყალობდნენ თავიანთი მოურიდებელი ვიზიტით. ისინი არ იშურებდნენ ლამაზ ფრაზებსა და ქებას, მაგრამ არ ცდილობდნენ, რითიმე შეემსუბუქებინათ მისი გაჭირვება, ისევე როგორც ცეზარ ფრანკის ყბადაღებულ მეგობრებს ვერ მოესაზრებინათ, მუსიკის გაკვეთილე-

ბისაგან განეტვირთათ იგი, არადა, რომ ეარსება, იძულებული იყო კერძოდ ესწავლებინა სიცოცხლის ბოლომდე.

კრისტოფმა კიდევ რამდენჯერმე შეუარა ემანუელს. მაგრამ ვერა და ვერ მოახვრხა იმ პირველი შეხვედრის გულითადი ტონი განეახლებინა. კრისტოფის დანახვისას ემანუელი ერთი ბეწო სიხარულს არ გამოხატავდა, დადარაჯებული და თავდაჭერილი იყო. ხანდახან თუ აჰყვებოდა გულის გადახსნის დაუოკებელ მოთხოვნილებას, როცა კრისტოფის რაიმე სიტყვა უნებურად შესძრავდა სულის სიღრმემდე. მაშინ გულახდილობით აღძრულ აღტკინებას მინებდებოდა და მისთვის ჩვეული იდეალიზმი გულს გაუნათებდა თვალისმომჭრელი პოეზიის გამობრწყინებით. მერმე უეცრადვე გაუნელდებოდა აღტყინება, მოღუშული დუმდა, და კრისტოფი კვლავ მტერს ხედავდა თავის წინაშე.

ბევრი რამ აშორიშორებდათ. ასაკობრივ განსხვავებასაც მცირე მნიშვნელობა როდი ჰქონდა. კრისტოფი უკვე სრულ თვითშეცნობასა და თავის თავზე ბატონობას მიესწრაფოდა. ემანუელი ჯერ ისევ ფორმირების პერიოდში იყო და ეს მისი ფორმირების პერიოდი გაცილებით უფრო არეულად მიმდინარეობდა, ვიდრე ოდესმე კრისტოფისა. ამ ორიგინალურ არსებაში თავსდებოდა მუდამ ერთურთს შეჭიდებული საპირისპირო ელემენტები: მძლავრი სტოიციზმი, რაიც ესწრაფოდა მემკვიდრეობითი, ატავისტური სურვილების დათრგუნვას (იგი ლოთისა და მეძავის შვილი იყო); გახელებული წარმოსახვა, ყალუზე რომ დგებოდა რკინისებრი ნებით ლაგამამოდებული; უსაზღვრო ეგოიზმი და უსაზღვრო სიყვარული მოყვასისა (თანაც ვეროდეს იტყოდი, რა გადასძლევდა); გმირული იდეალიზმი და ავადმყოფური წადილი დიდებისა, რაიც წამებას განაცდევინებდა სხვათა უპირატესობის გამო. მართალია, ოლივიეს აზრი, მისი დამოუკიდებლობა, უანგარობა ემანუელში გაცოცხლებულიყო, ემანუელი თავის მასწავლებელს სჯობნიდა პოეტური ნიჭით, პლებეური სიცოცხლისუნარიანობით, რამაც არ იცის ზიზღი საქმიანობისადმი, სჯობნიდა გამძლეობით, ყოველგვარი გულაცრუებისაგან რომ იცავდა მას, მაგრამ, სამაგიეროდ, ბევრი ვერ დაიკვეხნიდა იმ უშფოთველობას, რაიც სჩვეოდა ანტუანეტას ძმას, — ერთობ პატივმოყვარე და დაუდგრომელი ბუნებისა გახლდათ ემანუელი, ხოლო გარშემომყოფთა შფოთი და მღელვარება უარესად აფორიაქებდა.

მღელვარე კავშირი ჰქონდა ახალგაზრდა ქალთან: სწორედ იმ მეზობელთან, ვინაც კრისტოფს გამოეგება პირველი სტუმრობისას. ამ ქალს ერთგულად უყვარდა ემანუელი და გულმოდგინედ ზრუნავდა მისთვის, მეოჯახეობდა, ნაწერს უთეთრებდა, კარნახით უწერდა. შესახედავად ულამაზოს, საუბედუროდ, მგზნებარე სული ჰქონდა. ღარიბ ოჯახში დაბადებულიყო. დიდხანს წიგნის საკაზმავ სახელოსნოში ემუშავა, მერმე ფოსტაში ემსახურა. ბავშვობა გაეტარებინა პარიზელი ღარიბი მუშახალხისათვის ეგზომ ჩვეულ, გულის შემაღონებელ გარემოში: სივიწროვეში, გამასავათებელ ჯაფაში; ნიადაგ ხალხის

თვალწინ უნდა ეტრიალა სუფთა ჰაერისა და სიმყუდროვის ნატრულს, საიმისო საშუალებაც არ ჰქონდა, თავის ფიქრებს მისცემოდა, დაეცვა ,ის, რაც გულს წმიდათაწმიდად მიაჩნდა. ამაყი ბუნებისას კრძალული ლტოლვა ჰქონდა სამართლიანობის ბუნდოვანი იდეალისადმი, ლამის თვალები დაითხარა ჰიუგოს „განწირულნის“ გადმოწერით, ღამღამობით იწერდა, ხშირად — უსინათლოდ, ოდენ მთვარის შუქზე. ემანუელს იმ დროს შეხვდა, როცა ის კიდევ უფრო უბედური იყო, ვიდრე თვითონ — სნეულებაც დაჰბედებოდა და უსახსრობაც ზედ დართვოდა. შეხვდა და მთელი არსებით მიენდო. პირველი და ერთადერთი სიყვარული ცხოვრებაში მაშინ იგემა. მიტომაც მომშეული ადამიანის ენინიანი სიხარბით ებღაუჭებოდა ამ კავშირს. ერთობ აწუხებდა ემანუელს ეგ სიყვარული, — უფრორე ითმენდა მას, ვიდრე იზიარებდა. გულს ხვდებოდა ქალის ერთგულება, ესმოდა, იგია ჩემი საუკეთესო მეგობარი, ერთადერთი არსება, ვისთვისაც ყველაზე ძვირფასი ვარ ამქვეყნად, ვინაც უჩემოდ ვერ გაძლებსო. ოღონდ სწორედ ეს იყო, გულს რომ უმძიმებდა. ემანუელს თავისუფლება სჭირდებოდა, სჭირდებოდა მარტოობა. ამ ქალის თვალები კი ხარბად გამოსთხოვდნენ ალერსს, გასაქანს არ აძლევდნენ. ემანუელი მკაცრად ეპყრობოდა ქალს, ხშირად სურვილი. აიტანდა, „მომშორდიო“! — დაეყვირა. ისიც აღიზიანებდა, ულამაზო და უხეში რომ იყო ქალი. თავად თუმცა ცუდად იცნობდა მაღალ საზოგადოებას და ზიზღს ამჟღავნებდა მის მიმართ (რამეთუ იტანჯებოდა, რაკი იქ კიდევ უფრო გონჯად და სასაცილოდ გრძნობდა თავს), სიყვარულით სიტურფე უყვარდა. იზიდავდნენ ბანოვანნი, რომელნიც იმგვარივე გრძნობით ეპყრობოდნენ (ეს არ ეეჭვებოდა), როგორიც თავად ჰქონდა მეგობარი ქალის მიმართ. ცდილობდა ტრფიალება გამოეხატა ამ ქალისადმი, თუმცა ტრფიალება გულს არ ეკარებოდა, ან, ყოველ შემთხვევაში, არ დაეღონებინა მძულვარების უნებური გამომჟღავნებით. მაგრამ ამასაც ვერ ახერხებდა — მკერდქვეშ ჩაჰბუდებოდა სიკეთის ქმნის მწყურვალი, სულდიდი ქმნილების გული და სასტიკი, სიავის ჩადენის შემძლე დემონი. ეს შინაგანი ჭიდილი და იმის შეგნება, არ ძალმიძს ძლევა მოვიპოვოო, ყრუ გულისჯავრს აღუძრავდა. ამ ჯავრს კრისტოფზე იყრიდა.

ემანუელს ორკეცად არ ეპიტნავებოდა კრისტოფი და ვერც რამე მოეხერხებინა თავის თავისათვის. ერთი იმიტომ არ ეპიტნავებოდა, რომ ძველი ეჭვიანობის გრძნობა მოჰყვებოდა, ის ბავშვური მტრული გრძნობა, რაც მას შემდეგაც არ ნელდება, როცა მიზეზი უკვე დავიწყებას მისცემია. მეორეც კიდევ ის იყო, რომ თავგამოდებული შოვინისტი გახლდათ. ემანუელის თვალში საფრანგეთი განასახიერებდა იმ ოცნებებს, რასაც წარსული ეპოქის საუკეთესო ადამიანები ეძლეოდნენ სამართლიანობის, კეთილმოწყალების, კაცობრიობის ძმობის შესახებ. დანარჩენ ევროპას როდი უპირისპირდებოდა, ვითარცა მტერს, რომლის კეთილდღეობა სხვა ხალხთა აკლების შედეგად იქმნება; კანონიერ მბრძანებლად უყენებდა ხალხებს სათავეში, მბრძანებლად, ყველას

სასიკეთოდ რომ ხელმწიფებს იდეალით შეიარაღებული და წინ რომ მიუძღვის კაცობრიობას. უმალ იმას ამჯობინებდა, დასამარებული ენახა საფრანგეთი, ვიდრე დაეშვა აზრი, ჩემს სამშობლოს შეუძლია უსამართლო ქმედება ჩაიდინოსო. წრფელად სჯეროდა მისი. წმინდა წყლის ფრანგი იყო კულტურით, აღქმით, აღზრდილი მთლიანად ფრანგულ ტრადიციებზე, რომელთა დიდად საღი აზრი ინსტინქტურად შეეცნო. ემანუელი გულწრფელად არა ცნობდა უცხოქვეყნელთა შეხედულებებს, შემწყნარედ აიბზუებდა ცხვირს ან არადა გაწიწმატდებოდა, თუ გერმანელნი შეედავებოდნენ, აგრე დამამცირებელ როლს რად გვაკუთვნებთო.

კრისტოფი ხედავდა ყოველივე ამას, მაგრამ ემანუელზე უხნესი და გამოცდილი იყო და ამიტომ სულაც არ სწყინდა მისგან. რაღა თქმა უნდა, ეს რასობრივი ქედმაღლობა, ცოტა არ იყოს, შეურაცხყოფდა კაცს, მაგრამ კრისტოფს გულთან ახლოს არ მიჰქონდა ეს ამბავი: ხვდებოდა, შვილის სიყვარულისმიერი ილუზია არისო და არ აპირებდა გაეკიცხა ამ წმიდათაწმიდა გრძნობით გამოწვეული მიკერძოება. თანაც კაცობრიობას მთლიანად სასარგებლოდ უჩანს, როცა ხალხებს პატივმოყვარული რწმენა აქვთ თავიანთი მისიისა. მთავარი და, ალბათ, ყველაზე საგულისხმო მიზეზი კი, რაც კრისტოფს აშორებდა ემანუელისაგან, ამ უკანასკნელის ხმა იყო. ეს ხმა ზოგჯერ ცივი, მკივანა ხდებოდა და კრისტოფს სასტიკად სჭრიდა ყურს — ამ დროს სახეც კი დაემანჭებოდა. ცდილობდა, არაფერი შეემჩნევინებინა ემანუელისათვის, ყური მიეგდო ინსტრუმენტისათვის კი არა, მუსიკისათვის. ხეიბარ მგოსანს აღმტაცი გმირობის შარავანდი მოჰფენოდა, როცა უბნობდა გამარჯვებათა მაუწყებელ გონების ძლევამოსილებაზე, ცის დაპყრობაზე, „მფრინავ ღმერთზე“, ხელს რომ სტაცებს აღტყინებულ ბრბოს და, ბეთლემის შუქურვარსკვლავის დარად, მიიყოლებს უცნობი შორი სივრცეებისაკენ, მომავალი ნაცვალგებისაკენ! ძალმოსილებით აღბეჭდილ ამ ხილვათა დიდმშვენიერებას ხელი არ შეუშლია კრისტოფისთვის, შეეგრძნო საფრთხე, განეჭვრიტა, რა შედეგი შეეძლო გამოეღო საბრძოლო მოწოდებებს და ამ ახალი მარსელიეზას სულ უფრო მზარდ გუგუნს. ცოტა არ იყოს, ირონიულად ფიქრობდა (ისე, რომ არ ენანებოდა წარსული, არც ეშინოდა მყოფადისა), ამ სიმღერას მოჰყვება იმგვარი გამოძახილი, რაც მოულოდნელი იქნება თვით პოეტისათვის, და დადგება დღე, როცა ადამიანები ინაღვლებენ მოედანზე გამართული ბაზრობის გარდასულ დროებასო. რა თავისუფლება იყო იმჟამად! ოქროს ხანა თავისუფლებისა! აღარასოდეს განმეორდება იგი. მსოფლიო მიესწრაფვის ძალის, სიჯანსაღის, ვაჟკაცური საქმიანობისა და, შესაძლოა, დიდების ხანას, ოღონდ იმავ დროს მკაცრი ხელისუფლებისა და სასტიკი დისციპლინის ხანასაც. განა არ მოგვიხმია ამ რკინის საუკუნისათვის, კლასიკური ხანისთვის! დიადი კლასიკური ეპოქები — ლუი მეთოთხმეტის და ნაპოლეონისა — კაცობრიობის მწვერვალებად გვეჩვენება შორიდან. შესაძლოა, ყველაზე დიდი წარმატებებით ხალხს

სწორედ იმ ეპოქებში განეხორციელებინოს თვისი იდეალი სახელმწიფური წყობისა. მაგრამ ერთი ჰკითხეთ იმ დროის გმირებს, რას ფიქრობდნენ თავად ამის თაობაზე. თქვენი ნიკოლა პუნესი წავიდა რომს, საცა სიკვდილამდე ცხოვრობდა: თქვენთან სული ეხუთებოდა. თქვენი პასკალი და თქვენი რასინი განერიდნენ მაღალ საზოგადოებას. კიდევ რამდენი დიდი ადამიანი ცხოვრობდა განმარტოებით — შერისხული, დაჩაგრული! მოლიერიც კი ბევრ სიმწარეს მალავდა გულში. რაც შეეხება თქვენს ნაპოლეონს, ვის გამოც ესოდენ სინანულს განიცდით, როგორცა ჩანს, მის თანამედროვეთ ფიქრადაც არ მოსვლიათ თავიანთი ბედნიერების ამბავი, არც თავად მას ჰქონია ამ მხრივ მცდარი წარმოდგენა. იცოდა, როს აღარ ვიქნები, კაცობრიობა შვებით ამოისუნთქავსო: უჰ!.. ხოლო აზრის რა უდაბნოა „იმპერატორის“ ირგვლივ! უკიდეგანო ქვიშნარს აფრიკის მზე აცხუნებს...

კრისტოფი ხმამაღლა როდი გამოთქვამდა ამ თავის აზრებს. რამდენიმე გადაკრული სიტყვა საკმარისი აღმოჩნდა, ემანუელი გაცეცხლებულიყო, და კრისტოფსაც აღარ ჩამოუგდია ამაზე ლაპარაკი. ენას კბილს კი აჭერდა, მაგრამ ემანუელმა იცოდა, გულში რასაც ფიქრობდა კრისტოფი. მეტიც, ბუნდოვნად გრძნობდა, კრისტოფი ჩემზე შორსმჭვრეტელიაო. ეს კიდევ უფრო აგულისებდა. ახალგაზრდა კაცი ვერ აპატიებს ხოლმე უფროსს, როცა ის უფროსი დაანახვებს, ოციოდე წლის შემდეგ ასეთი და ასეთი შეიქნებიო.

კრისტოფი უგებდა გულისნადებს და გუნებაში ფიქრობდა:

„მართალია იგი. ყველას თავისი რწმენა აქვს. რაცა გწამს, იმისი ერთგული უნდა იყო. ღმერთმა ნუ მომიყვანოს აქ მისი რწმენის შესარყევად!“

ოღონდ ემანუელს უკვე ისიც აცბუნებდა, კრისტოფი რომ აქ გახლდათ. როცა ორი ადამიანი ერთად იმყოფება, რაგინდ უნდა იმეცადინოს თითოეულმა, აქაოდა უჩინრად ვიყოო, ერთი ყოველთვის დაჯაბნის მეორეს, ხოლო ის მეორე, დამცირებული, წყენას ჩაიხვევს გულში. ამაყ ემანუელს ტანჯავდა კრისტოფის უპირატესობა, ტანჯავდა, კრისტოფი რომ უკეთ იცნობდა ცხოვრებას. ოღონდ ისიც შესაძლოა, კრისტოფის სიყვარული მოსძალებოდეს ემანუელს და თავდაცვას ცდილიყოს...

სულ უფრო კუშტი და გულჩათხრობილი ხდებოდა ემანუელი. კრისტოფს აღარ იღებდა. წერილებზე არ უპასუხებდა. კრისტოფსაც რაღა უნდა ექნა, ძალაუნებურად ფეხი ამოიკვეთა.

დადგა ივლისი. კრისტოფმა შეაჯამა პარიზში გატარებული ამ რამდენიმე თვის შედეგი: ბევრი ახალი იდეა და ცოტა მეგობარი. ბრწყინვალე და თანვე უბადრუკი წარმატება — რა სასიხარულო კია იხილო შენი სახე, შენი ქმნილება დაკნინებული და გაკარიკატურებული გონებაშეზღუდულ ადამიანებში. კრისტოფს იმათი თანაგრძნობა აკლდა, ვისაც მისი ნამდვილი გაგება შეეძლო. გადადგა კიდეც პირველი ნაბიჯი მათთან დასაახლოებლად, მაგრამ არ გამოეპასუხნენ. ვერ შეერთებოდა იმათ, თუმცაღა გულით უნდოდა იმ ხალხის იმე-

დები გაეზიარებინა, მოკავშირეობა გაეწია. იფიქრებდით, სათუთი თავმოყვარეობის გამო ირიდებდნენ მის მეგობრობას, ურჩევნიათ, მტრად იგულებდნენო. მოკლედ რომ ვთქვათ, მისივე თაობის ნაკადმა ისე ჩაიარა, არ შერთვია იმ ნაკადს, მომდევნო თაობისა კი არ იღებდა. მარტოკა იყო და არცთუ აკვირვებდა ეს ამბავი, შესჩვეოდა მარტოსულობას ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე. ოღონდ მიაჩნდა, რომ ახლა, ამ ახალი ცდის შემდგომ, უფლება მოიპოვა მიჰბრუნებოდა თავის შვეიცარიულ სავანეს და იქ ეცხოვრა, ვიდრე განახორციელებდა გეგმას, რომელიც სულ უფრო კონკრეტულ ფორმას იღებდა. რაც უფრო ხანში შედიოდა კრისტოფი, მით უფრო ძლიერ ეუფლებოდა სამშობლოში დაბრუნების სურვილი. იქ არავის იცნობდა და, ალბათ, ამჟამად კიდევ უფრო ცოტას შეხვდებოდა მონათესავე სულის ადამიანს, ვიდრე აქ, ამ უცხო ქალაქში ხვდებოდა. მაგრამ ის ხომ სამშობლო იყო. განა მოითხოვთ, სისხლით ნათესავები ისევე ფიქრობდნენ, როგორც თქვენ ფიქრობთ, უამისოდაც ათასნაირი იდუმალი კავშირი გკრავთ: თქვენი გრძნობები იწურთოდნენ ცისა და მიწის ერთი და იგივე წიგნის წასაკითხავად, თქვენი გულები მეტყველებენ ერთსა და იმავე ენაზე.

კრისტოფმა ლაღობით მიუმცნო გრაციას თავის იმედგაცრუებათა ამბავი და შვეიცარიაში დაბრუნების განზრახვაც შეატყობინა; ხუმრობით სთხოვდა პარიზის დატოვების ნებას და სწერდა, იმ კვირას გავემგზავრებიო. მაგრამ წერილს ბოლოში მინაწერი ჰქონდა:

„გადავიფიქრე. ჩემი გამგზავრება გადაიდო“.

კრისტოფი სავსებით ენდობოდა გრაციას. რა და რა გულისნადებს არ უმხელდა, მაგრამ იყო ერთი საიდუმლო, რასაც არავის ანდობდა: ეს გახლდათ მოგონებები, რაიც ეკუთვნოდა მარტო მას კი არა, იმათაც, ვინც უყვარდა. ასე დუმდა ყოველივე იმის თაობაზე, რაც ოლივიეს შეეხებოდა. განათუ განზრახ იკავებდა თავს. არა. ეს იყო, სიტყვები ვერ ეპოვა, როცა დააპირებდა, ოლივიეს ამბავს ვუამბობო გრაციას. აკი გრაცია არ იცნობდა ოლივიეს.

და, აი, ერთ დილას, როცა მეგობარს წერილსა სწერდა, კარზე დააკაკუნეს. წამოდგა და კარისკენ გაემართა, თან ბუზღუნებდა, განა მოგასვენებენო ადამიანს. ვიღაც თოთხმეტ-თხუთმეტი წლის ბიჭი ბატონ კრისტოფს კითხულობდა. კრისტოფმა ცივად მიიღო იგი. ცისფერთვალა, ქერა ბიჭუნა იყო. ტანმორჩილს, გამხდარს და წელგამართულს სახის ფაქიზი ნაკვთები ჰქონდა. ხმას არ იღებდა და, ცოტა არ იყოს, დაბნეული იდგა კრისტოფის წინაშე. ოღონდ მალევე დაეუფლა თავს, კრიალა თვალები შეანათა კრისტოფს და ცნობისმოყვარედ შეაშტერდა. კრისტოფს ღიმი მოერია მისი მშვენიერი პირისახის შემყურეს. გაეღიმა ბიჭუნასაც.

— მაშ ასე, — თქვა კრისტოფმა, — რა გნებავთ?

— მე მოვედი... — მიუგო ბიჭუნამ.

(კვლავ დაირცხვინა, წამოწითლდა და გაჩუმდა).

— მშვენივრად ვხედავ, რომ მოხვედით, — სიცილით უთხრა კრისტოფმა. — მაგრამ ამიხსენით, რამ მოგიყვანათ? ნუთუ ჩემი გეშინიათ?

ბიჭუნამ ისევ გაიღიმა, თავი გაიქნია და მიუგო:

— არა.

— ძალიან კარგი! მაშ მითხარით, ვინა ხართ.

— მე... — დაიწყო ბიჭმა.

კვლავ დაება ენა. ცნობისმოყვარეედ ათვალიერებდა კრისტოფის ოთახს, უცებ, თვალი ჰკიდა ბუხრის თავზე შემოდგმულ ოლივიეს ფოტოსურათს. კრისტოფმა ძალაუნებურად გააყოლა თვალი მის მზერას.

— აბა! — გაამხნევა კრისტოფმა. — გაბედულად!

ბიჭუნამ თქვა:

— მე მისი შვილი ვარ.

კრისტოფი შეკრთა; ზეზე წამოიჭრა, ხელი მხრებზე მოჰხვია, მიიხუტა; მერმე მოწყვეტით დაეშვა სკამზე, მაგრად იკრავდა ბიჭს, ისე რომ, სახით თითქმის ეხებოდა სახეს. თვალს არ აცილებდა, თან იმეორებდა:

— ბიჭუნი... საბრალო ბიჭუნი...

უეცრივ თავზე შემოხვია ხელები, უკოცნიდა შუბლს, ღაწვებს, ცხვირს, თმას. ბიჭი გაოგნდა და დაფრთხა, რამ გადარიაო, ცდილობდა გასხლტომოდა. კრისტოფმა ხელი უშვა. თან სახეზე აიფარა ხელები, შუბლით კედელს მიეყრდნო და ცოტა ხანს ასე იდგა. ბიჭუნამ შუაგულ ოთახისაკენ დაიხია. კრისტოფმა თავი აიღო. სახე მშვიდი ჰქონდა. შეხედა ბიჭს და ალერსიანად გაუღიმა.

— დაგაფრთხე, — უთხრა. — მაპატიე... იცი რა, ძალიან მიყვარდა იგი და ამისი ბრალია.

ბიჭი ჯერაც ვერ მოსულიყო გონს, ხმას არ იღებდა.

— როგორა ჰგავხარ! — თქვა კრისტოფმა. — და მაინც ვერ გიცნობდი. რით განსხვავდებით?

მერმე ჰკითხა:

— რა გქვია?

— ჟორჟი.

— ჰო, მართლა. მაგონდება. კრისტოფი — ოლივიე — ჟორჟი... რამდენი წლისა ხარ?

— თოთხმეტისა.

— თოთხმეტი წელი! ნუთუ ამდენი დრო გასულა უკვე? ასე მგონია, გუშინ იყო-მეთქი, — თუ საუკუნეთა წყვდიადში... როგორა ჰგავხარ! იგივე ნაკვთები სახის. იგივე — და მაინც განსხვავებული. თვალის ფერიც იგივე, მაგრამ თვალები — სხვაგვარი; იგივე ღიმილი, იგივე ტუჩები, ხმა კი სხვანაირი. შენ უფრო მაგარი ხარ, უფრო გამართულად გიჭირავს ტანი. პირისახე

უფრო მომრგვალო გაქვს, გაწითლებით კი სულ მასავით წითლდები. აქეთ მოიწი, დაჯექი, ვილაპარაკოთ. ჩემთან ვინ გამოგგზავნა?

— არავის გამოვუგზავნივარ.

— შენივე სურვილით მოხვედი? კი, მაგრამ საიდან მიცნობ?

— მიამბობდნენ თქვენზე.

— ვინ?

— დედაჩემი.

— აჰ! — თქვა კრისტოფმა. — მერე იცის, ჩემთან რომ წამოხვედი?

— არა.

ერთხანს იყუჩა კრისტოფმა, მერმე ჰკითხა:

— სად ცხოვრობთ?

— მონსოს პარკის ახლოს.

— ნუთუ ფეხით მოხვედი? კარგა ბევრი გივლია. დაიღლებოდი.

— მე არასდროს ვიღლები.

— აი, ეგ მომწონს! აბა, მაჩვენე შენი კუნთები. (ხელით მოუსინჯა).

— მაგარი ბიჭი ყოფილხარ... კი მაგრამ, რამ მოგაფიქრა ჩემი მონახულება?

— აკი მამაჩემს ყველაზე მეტად თქვენ უყვარდით.

— ეგ შენ იმან გითხრა? (შეასწორა). დედაშენმა გითხრა?

— დიახ.

კრისტოფს ჩაეცინა. გუნებაში გაივლო: „იმასაც... იმათ ყველას როგორ ჰყვარებიათ ოლივიე! მერედა რატომ არ ამქღავნებდნენ ამას?“

კვლავ ბიჭს მიუბრუნდა:

— აქამდე რაღას უყურებდი?

— წინათაც მინდოდა მოსვლა. მაგრამ მეგონა, არ ისურვებდით ჩემს მიღებას.

— მე-ე?!

— ამ რამდენიმე კვირის წინ, შევილიარის კონცერტზე, უცაბედად მოგკარით თვალი. დედასთან ერთად ვიჯექი, თქვენგან სულ რამდენიმე სავარძელი გვაშორებდა; თავი დაგიკარით. თქვენ ერთი ალმაცერად გამომხედეთ, წარბი შეიჭმუხნეთ და სალამზე არ მიპასუხეთ.

— გამოგხედეო? საბრალო ბიჭუნა. ეგ რამ გაფიქრებინა? უბრალოდ ვერ შეგნიშნე. მხედველობა არ მივარგა. ამიტომ ვიჭმუხნი ხოლმე წარბს... მაშ, შენი აზრით, ავგული ვყოფილვარ?

— მე მგონია, როცა მოისურვებთ, შეგიძლიათ ავგული იყოთ.

— მართლა? — თქვა კრისტოფმა. — კი მაგრამ, რაკი გეგონა, არ მიგიღებდი, რაღამ გაგაბედვინა ჩემთან მოსვლა?

— მინდოდა მენახეთ.

— თუკი უკანვე გაგისტუმრებდი?

— არ დავუშვებდი ამას.

რიხიანად თქვა, დარცხვენით და იმავ დროს გამომწვევადაც.

კრისტოფმა გადაიხარხარა, ჟორჟსაც სიცილი აუტყდა.

— ეგ კი არა, მე თვითონ მიმაბრძანებდი კარში! ერთი უყურე, რა თამამია! არა, სულაც არა ჰგავხარ მამაშენს.

ბიჭს ცოცხალი სახე მოეღუშა.

— თქვენი აზრით, არა ვგავარ? აკი ეს-ეს არის ამბობდით... თქვენ გგონიათ, არ ვეყვარებოდი? მაშ, არც თქვენ გიყვარვართ?

— რაში გენაღვლება, მიყვარხარ თუ არა?

— ძალიანაც მენაღვლება.

— რატომ?

— მიყვარხართ და იმიტომ.

იმ წუთს კრისტოფის სახეზე — თვალებში თუ ტუჩის კუთხეებში — ათნაირი სულ სხვადასხვა გამომეტყველება შეიცვალა, იმისდაგვარად, როგორც აპრილის დღეს ველ-მინდვრებს გადაურბენს ხოლმე ჩრდილები ღრუბლებისა, გაზაფხულის ქარი რომ მიერეკება. ამ ბიჭს რომ უცქეროდა და უსმენდა, კრისტოფი სიხარულსა და სიამეს განიცდიდა. აგრე ეგონა, ადრინდელ ზრუნვათა ტვირთი ჩამოხსნოდეს. დავიწყებას მიეცა მძიმე გასაჭირი, სალმობა მისიც და ოლივიესიც — კვლავ ორძინდებოდა კრისტოფი ოლივიეს ამ ახალგაზრდა შთამომავალში.

ბაასი გააბეს. ჟორჟი ბოლო ხანამდე სრულებით არ იცნობდა კრისტოფის მუსიკას. მაგრამ მას შემდეგ, რაც კრისტოფი პარიზს დაბრუნდა, არ გაუცდენია არც ერთი კონცერტი, სადაც მისი ნაწარმოებები სრულდებოდა. როცა ამ ამბავზე ჩამოაგდო სიტყვა, სახე გამოუცოცხლდა, თვალები გაუბრწყინდა, იცინოდა და თან ლამის ტირილი მორეოდა, შეყვარებულს ემსგავსებოდა. კრისტოფს გამოუტყდა, ვაღმერთებ მუსიკას და მეც მინდა კომპოზიტორი გავხდეო. კრისტოფმა რამდენიმე შეკითხვა დაუსვა და დარწმუნდა, მუსიკის ანაბანა არ სცოდნიაო. მერმე სწავლის ამბავი გამოჰკითხა. ახალგაზრდა ჟანენი ლიცეუმში დადიოდა თურმე. უდარდელად განაცხადა, წარჩინებულ მოსწავლეთა რიცხვს სულაც არ ვეკუთვნიო.

— რა უფრო გემარჯვება — ჰუმანიტარული თუ ზუსტი მეცნიერებანი?

—მგონი, არც ერთი და არც მეორე.

— მაინც რატომ? რა მიზეზია? ხომ არ ზარმაცობ?

ჟორჟმა გულიანად გადაიკისკისა და თქვა:

— ეტყობა, ასეა! — მერმე ნდობის კილოთი დასძინა: — თუმცა მშვენივრად ვიცი, რომ ასე არ არის.

კრისტოფს ძალაუნებურად სიცილი წასკდა:

— აბა, რა გიშლის ხელს, რატომ არ მეცადინეობ? განა არაფერი გაინტერესებს?

— როგორ არა! ყველაფერიც მაინტერესებს!

— აბა, რა გჭირს?

— ყველაფერი მაინტერესებს, დრო კი არა მყოფნის...

— დრო არა მყოფნისო? კი, მაგრამ რითი ხარ დატვირთული, ეშმაკმა დალახვროს?

ჟორჟმა გაურკვეველი ჟესტი გამოხატა:

— ათასი რამით. მუსიკას ვსწავლობ, სპორტს მივსდევ, გამოფენებზე დავდივარ, ვკითხულობ...

— ყველაფერს გიჯობდა, სახელმძღვანელოები გეკითხა.

— სახელმძღვანელოებში რას ნახავ საინტერესოს... კიდე ვმოგზაურობთ. წინა თვეს ინგლისში ვიყავი, დავესწარი ოქსფორდისა და კემბრიჯის მატჩს[1].

— ალბათ, ძალიან გამოგადგებოდა მეცადინეობაში!

— კი! ასე უფრო მეტს გაიგებ, ვიდრე ლიცეუმში ჯდომით.

— მერე დედაშენი რას გეუბნება?

— დედაჩემიო? ოჰ, ძალიან გონიერია, რაც მინდა, ყველაფერს მიკეთებს.

— აჰ, შე საძაგელო! ბედი შენი, მამაშენი არა ვარ.

— ეგ ბედი კი არა, უბედობაა თქვენი...

ისეთი მომხიბლავი იყო, ამ მის ხიბლს უნებურად დაემორჩილებოდი.

— ერთი ეს მითხარი, დიდო მოგზაურო, — შეეკითხა კრისტოფი, — ჩემს სამშობლოს თუ იცნობ?

— კი.

— დარწმუნებული ვარ, ერთი ღერი გერმანული არ გეცოდინება.

— როგორ არა, კარგად ვიცი ეგ ენა.

— აბა, ვნახოთ.

გერმანულად დაიწყეს ლაპარაკი. ბიჭუნა ენას ამტვრევდა, ჩიქორთულად ლაპარაკობდა, ოღონდ კომიკური რიხით; ერთობ საზრიანი იყო, ცოცხალი გონების პატრონი, და უმალ იგუმანებდა, ვიდრე მიხვდებოდა ხოლმე, შეცდომა დავუშვიო; თვითვე პირველი მოჰყვებოდა სიცილს იმ თავისი შეცდომის გამო. გატაცებით უამბობდა თავის მოგზაურობებზე, წაკითხულ წიგნებზე. კითხვით ბევრს კითხულობდა, ოღონდაც ნაჩქარევად და ზერელედ, გვერდს ნახევრად თუ წაიკითხავდა, დანარჩენს წარმოსახვით შეავსებდა; ეს კია, მუდამ ცინცხალი ცნობისწადილით იყო აღძრული, ახერხებდა ყველგან ეპოვა აღტაცების საბაბი. ჟორჟი ხან ერთ საგანს გადასწვდებოდა საუბრისას, ხან — მეორეს. სახე აეგზნებოდა ხოლმე, როცა ალაპარაკდებოდა იმ სპექტაკლებზე ან ნაწარმოებზე, მას რომ აღელვებდა. არეულ-დარეული ცოდნა ჰქონდა. გასა-

[1] სპორტული შეჯიბრი ინგლისის ორი უნივერსიტეტის — ოქსფორდისა და კემბრიჯის — გუნდებს შორის.

კვირი იყო, როგორ შეეძლო ამდენი ბულვარული რომანი გადაეკითხა და წარმოდგენა არა ჰქონდა კლასიკურ ქმნილებებზე.

— ეგ ყველაფერი კარგია, — უთხრა კრისტოფმა. — მაგრამ, თუ გინდა, კაცი დადგე, უნდა იშრომო.

— ოჰ! მაგის დარდი სულ არა მაქვს. ჩვენ მდიდრები ვართ.

— დალახვროს ეშმაკმა! აბა, სახუმაროდ აღარ ყოფილა საქმე. გინდა, არაფრის მაქნისი, უქნარა იყო?

— კი, აბა; მინდა ყველაფერს ვაკეთებდე. სულელურია, შენი დღე და მოსწრება ერთსა და იმავე პროფესიას გადააკვდე.

— კი, მაგრამ ეგ ერთადერთი საშუალებაა, ჯეროვნად დაეუფლო მას.

— ასე ამბობენ.

— როგორ თუ „ამბობენო"? მე გეუბნები აგერ. აი, უკვე ორმოცი წელიწადია, რაც ჩემს ხელობას ვსწავლობ და მხოლოდ ახლა ვახერხებ დაუფლებას.

— ორმოცი წელი ხელობის შესასწავლადო! მერე როდისღა უნდა იმუშაო?

კრისტოფს გაეცინა.

— პატარა ფრანგო—ჭკუის კოლოფო.

— მინდა მუსიკოსი გამოვიდე.

— კეთილი, ნაადრევად როდი ჰკიდებ ამ საქმეს ხელს. გინდა გამეცადინო?

— ოჰ, ჩემს ბედს ძაღლი არ დაჰყეფდა!

— ხვალვე მოდი. ვნახავ, რა შეგიძლია. თუ ბედოვლათი გამოდგები, იცოდე, პიანინოს არ მიგაკარებ. უნარი თუ გამოგაჩნდება, ვეცდებით რამე გისაშველოთ. ოღონდ გაფრთხილებ; შრომას გასწავლი.

— ვიშრომებ, — აღტაცებით მიუგო ჟორჟმა.

შეხვედრა სახვალიოდ დათქვეს. მაგრამ წასვლისას ჟორჟს უცებ მოაგონდა, რომ ხვალაც და ზეგაც უკვე დანიშნული ჰქონდა სხვა შეხვედრები. აგრეა, კვირის ბოლოსღა ეცლება. დღე და საათი დათქვეს.

მაგრამ იმ დათქმულ დღესა და საათს კრისტოფი ამაოდ ელოდა ჟორჟს. გული გაუცრუვდა. ბალღური სიხარულით ნატრობდა ჟორჟთან შეხვედრას. იმ მოულოდნელმა სტუმრობამ ცხოვრება გაუცისკროვნა. ისეთი ბედნიერი და აღელვებული იყო, იმ ღამეს თვალი არ მოუხუჭავს. სინაზითა და მადლიერებით ფიქრობდა ნორჩ მეგობარზე, ძმობილის სახელით რომ ეწვია; გულში უღიმოდა ამ მშვენიერ ხატებას. მისი სიხალისე, მომხიბვლელობა, ეშმაკურობა და ამავე დროს ალალი სიწრფელე აღტაცებას ჰგვრიდა. ერთიანად მისცემოდა იმ ჩუმი ბედნიერებით თრობას, რისგანაც გალობა ედგა ყურებში და უგალობდა გული ოლივიესთან მეგობრობის იმ პირველ ჟამს. ახლა ამას ემატებოდა უფრო საგულისხმო და ლამის მოწიწების მომგვრელი გრძნობა. ცოცხალთა სახეზე იმათ ღიმილს ეკრეტდა, ვინც სამუდამოდ წასულიყო. ერთ

დღეს უცადა კრისტოფმა, მეორე დღეს უცადა. ბაიბური არ ისმოდა. ბარათიც კი არ გამოუგზავნია ბოდიშის მოსახდელად. დანაღვლიანებული კრისტოფი ცდილობდა ბიჭის გამამართლებელი მიზეზები დაეძებნა. თვითონ მისამართი არ იცოდა და ვერ მისწერდა. გინდაც სცოდნოდა, საეჭვოა მიეწერა. როცა ხნიერი კაცი გულითადი გრძნობით შეიტრფობს ახალგაზრდა არსებას, რცხვენია გამოუტყდეს, რარიგ სჭირდება მისი თავი, რადგან მშვენივრად იცის, რომ იმას, ვინც ახალგაზრდაა, არა აქვს ამგვარი მოთხოვნილება, — მხარეები თანასწორი როდია; ფრიად უსიამოა, აბეზარი ეჩვენო იმას, ვისაც შენ სრულებით არ აინტერესებ.

დუმილი გრძელდებოდა. თუმცა კრისტოფი იტანჯებოდა, თავს ძალა დაატანა, არაფერი ეღონა ჟანენების მოსაძებნად. ეს კია, ყოველდღე ელოდებოდა ნანატრი სტუმრის გამოჩენას. შვეიცარიას აღარ წასულა. ზაფხული პარიზში გაატარა. სულელურად ვიქცევიო, ფიქრობდა. მაგრამ მოგზაურობაც აღარ იზიდავდა. მხოლოდ სექტემბერში გადაწყვიტა, რამდენიმე დღე ფონტენბოლში გაეტარებინა.

დაახლოებით ოქტომბრის ბოლოს ჟორჟ ჟანენი ისევ გამოეცხადა. გულმშვიდად, სრულიად შეუცბუნებლად მოუხადა ბოდიში, სიტყვა გავტეხეო.

— ვერ მოვახერხე მაშინ მოსვლა, — თქვა — მერმე კი გავემგზავრეთ; ბრეტანში ვიყავით.

— წერილი მაინც მოგეწერა, — უთხრა კრისტოფმა.

— ჰო, სულ ვაპირებდი. მაგრამ დრო არასოდეს მყოფნის... მერმე კი — გაიცინა და ისე თქვა, — გულიდან გადამვარდა, ყველაფერი მავიწყდება ხოლმე.

— როდის დაბრუნდი?

— ოქტომბრის დამდეგს!

— მერე სამი კვირაა, ჩემთან მოსვლას ეპირები? ერთი გულახდილად მითხარი: დედაშენი ხომ არაა წინააღმდეგი? არ უნდა ჩემთან დადიოდე?

— სულაც არა. პირიქით. ეგ მან მითხრა დღეს, წადი, ინახულეო.

— წესიერად ამიხსენი.

— წინაზე, არდადეგებამდე ცოტათი ადრე, თქვენსა რომ ვიყავ და შინ დავბრუნდი, დედაჩემს ყველაფერი მოვუყევი. შემაქო, დაწვრილებით გამომკითხა თქვენი ამბავი, შეკითხვები დამაყარა. ბრეტანიდან რომ ჩამოვბრუნდით ამ სამიოდე კვირის წინ, მირჩია, მომენახულებინეთ. წინა კვირას ისევ შემახსენა. ამ დილით კი, შეიტყო თუ არა, კიდევ არ ყოფილაო, გამიჯავრდა და გამაფრთხილა, ნასაუზმევსვე ადექი და წადიო.

— მერე არა გრცხვენია, ამას რომ მიამბობ? ძალით გდენიან ჩემთან, არა?

— არა, არა, მასე ნუ იფიქრებთ... ო, გული გატკინეთ! მაპატიეთ... თავქარიანი ვარ და რა ვუყო... გამთათხეთ, ოღონდ ნუ გაბრაზდებით. მე მიყვარხართ. რომ არ მიყვარდეთ, არც მოვიდოდი. კაციშვილი ვერ მაიძულებდა. თუ რამეს მაიძულებს კაცი, ისევ იმას, რაც თვითონ მინდა.

— ჰა, შე საძაგელო, — თქვა კრისტოფმა და უნებლიეთ გაეცინა. — მუსიკას შევისწავლიო, გეგმა რომ გქონდა, იმისას რას აპირებ? ხომ არ დაივიწყე?

— ოჰ, სულ მაგაზე ვფიქრობ.

— ფიქრი რას უშველის.

— ახლა ნამდვილად შევუდგები. ეს თვეები არ მეცალა, აუარება საქმე მქონდა. აწი კი ნახავთ, როგორ ვიშრომებ, თუ თქვენ კვლავინდებურად თანახმა ხართ...

(შესცინებდა კრისტოფს).

— ცუღლუტი ხარ, — უთხრა კრისტოფმა.

— არასერიოზული გგონივართ?

— რასაკვირველია.

— რა მეშველება! ყველანი არასერიოზულად მთვლიან. აღარ ვიცი, რა წყალში ჩავვარდე.

— სერიოზულ კაცად მაშინ ჩაგთვლი, როცა ვნახავ, როგორ შრომობ.

— მაშინ ბარემ დავიწყოთ!

— დღეს არა მცალია, ხვალ.

— ხვალამდე რა ამბავია. როგორ ავიტანო, რომ მთელი დღევანდელი დღე უნდა გძაგდეთ.

— ერთი ამას დამიხედეთ.

— გეხვეწებით!

კრისტოფმა, თავის სისუსტეზე რომ ეცინებოდა, ფორტეპიანოსთან დასვა იგი და მუსიკის თაობაზე გაუმართა საუბარი. შეკითხვებს უსვამდა, პატარ-პატარა იოლ ამოცანებს ახსნევინებდა ჰარმონიაში. ჟორჟს მცირედი ცოდნა ჰქონდა, მაგრამ მუსიკალური ალღო ეხმარებოდა. კრისტოფის მოთხოვნით იმ აკორდებს პოულობდა, რომელთა სახელი არ იცოდა; მაშინაც კი, როცა უხეში შეცდომები მოსდიოდა, ცნობისწადილს, გემოვნებასა და აღქმის განსაკუთრებულ სიმახვილეს ავლენდა. ეკამათებოდა კიდეც კრისტოფს ამა თუ იმ შენიშვნის გამო, ხოლო თავად ისეთ გონივრულ შეკითხვებს აძლევდა, რაიც მის შინაგან სიწრფოებას ადასტურებდა: არ სურდა, ხელოვნების მნიშვნელობა დაუმტკიცებლად დაეჯერებინა, ვითარცა გაზეპირებული ლოცვა, ანგარიშმიუცემლად რომ წარმოთქვამენ; უნდოდა დამოუკიდებლად გაეგო იგი. მარტოოდენ მუსიკის შესახებ როდი საუბრობდნენ. როცა ჰარმონიას შეეხნენ, ჟორჟი იხსენებდა სურათებს, პეიზაჟებს, ადამიანებს. ძნელი იყო, აღვირამოდებული გყოლოდა, ხშირ-ხშირად უნდა მოგებრუნებინა მთავარი თემისაკენ, ოღონდ კრისტოფს ყოველთვის როდი ჰყოფნიდა საამისო მამაცობა. ახალისებდა ამ მჩქეფარე, გონებამკვირცხლი ახალგაზრდა არსების მხიარული ტიკტიკი. რარიგ განსხვავდებოდნენ ხასიათით ისა და ოლივიე! ერთში სიცოცხლე დიოდა ლუბრმა, წყნარ მდინარედ; მეორეში კი ყველაფერი ზედაპირზე ამოზიდულიყო მზეზე მოციმციმე გიჟმაჟი ნაკადულის მსგავსად. მაგ-

რამ წყალი მდინარისაც და ნაკადულისაც ერთნაირად გამჭვირვალე და კამკამა იყო მათივე თვალებივით. კრისტოფს ღიმი მოერია, როცა ჟორჟს შენიშნა აგრე საცნაური, თანდაყოლილი ზრძნობა ზოგი რამის სიყვარულის და ზოგი რამის სიძულვილისა, მიამიტური შეურიგებლობა და დიდსულოვნებით აღბეჭდილი გული, რომელმაც ხალასი სიყვარული იცის. მაგრამ ჟორჟს იმდენი სხვადასხვა რამ იტაცებდა, უბრალოდ არ შეეძლო ერთი და იგივე რამე დიდხანს ჰყვარებოდა.

ჟორჟი მეორე დღესაც ესტუმრა და კიდევ მრავალ დღეს აკითხავდა. წარმტაცი ჭაბუკური სიყვარულით აღეგზნო კრისტოფისადმი, აღფრთოვანებით მეცადინეობდა. მერმე ის აღფრთოვანება გაუნელდა, იშვიათადღა მოდიოდა. ბოლოს სულ ამოიკვეთა ფეხი. მრავალი კვირის მანძილზე აღარ გამოჩენილა.

ჟორჟი თავქარიანი, გულმავიწყი და მიამიტურად ეგოისტური გახლდათ. ოღონდ ადამიანებისადმი კეთილად იყო განწყობილი; სათნო გული და ცოცხალი გონება ჰქონდა. თუმცა ამ სიკეთეს წვრილმან რამეებზე ახურდავებდა ისე მოგხიბლავდათ, ყველაფერს აპატიებდით. ქუდბედიანი იყო.

არც კრისტოფს სურდა, გაეკიცხა იგი. არც რამეს შესჩივლებდა. ჟაკლინს წერილი მისწერა და მადლობა გადაუხადა იმის გამო, რომ შვილს უგზავნიდა. ჟაკლინმა მოკლე, თავშეკავებული ტონით დაწერილი ბარათი გამოუგზავნა: სურვილს გამოთქვამდა, კრისტოფს მონაწილეობა მიეღო ჟორჟის აღზრდაში, ხელმძღვანელობა გაეწია მისთვის. თვით კრისტოფთან შეხვედრის შესაძლებლობის თაობაზე სიტყვა არ გადაუკრავს. სირცხვილისა და სიამაყის გრძნობის გამო ვერ გაებედა ხელახლა შეხვედროდა. კრისტოფს კი მიუპატიჟებლად მისვლა ეუხერხულებოდა. ასე, ერთმანეთისაგან შორიშორ ცხოვრობდნენ, კონცერტზე თუ შეხვდებოდნენ ზოგჯერ: ჟორჟის კანტიკუნტი მისვლა-მოსვლა აკავშირებდათ მხოლოდ.

გავიდა ზამთარი. გრაცია იშვიათადღა სწერდა. კვლავინდებურად ერთგულ მეგობრად რჩებოდა. მაგრამ, ვით ჭეშმარიტ იტალიელს, ვისაც სანტიმენტალურობა აგრერიგად არ სჩვევია, სიწამდვილე ეძვირფასებოდა; ადამიანებთან შეხვედრის მოთხოვნილება ჰქონდა; ეგების მათზე ფიქრი არც აწუხებდა, სამაგიეროდ მასლაათი ეამებოდა. მოგონებანი გულში რომ შეენახა, ჟამ-ჟამად მხედველობითი მეხსიერებით უნდა გაეცოცხლებინა ისინი. ასე რომ, მისი წერილები სულ უფრო მოკლე-მოკლე და შორეული შეიქნა. კრისტოფის ერთგულება არ აეჭვებდა, ისევე როგორც კრისტოფსაც სჯეროდა მისი. მაგრამ ამ ურთიერთრწმენას ნათელი უფრო ახლდა, ვიდრე სითბო.

კრისტოფს არცთუ ძალიან ტანჯავდა ეს ახალ-ახალი იმედგაცრუება. მუსიკალურ საქმიანობას ერთიანად შეეპყრო. როცა განსაზღვრულ ასაკს მიაღწევს, ყოველი ძალმოსილი ხელოვანი უფრო თავისი ხელოვნებით ცხოვრობს, ვიდრე რეალური ცხოვრებით: ცხოვრება ოცნებად გადაექცევა, ხელოვნება კი რეალობად. პარიზმა შემოქმედებითი აზრი გაუღვიძა კრისტოფს. ქვეყნად ისე

არაფერი შეგაგულიანებს, ვით ცქერა შრომის ამ ქალაქისა. ფლეგმატურზე ფლეგმატური ადამიანებიც კი ჩაუთრევია მის გაცხარებულ საქმიანობას. კრისტოფს რამდენიმე წელი დაეყო სასიკეთო განმარტოებაში, დაესვენებინა, დიდი ძალა მოეკრიბა და აწ კვლავ შეეძლო დახარჯულიყო. იმ ახალი მონაპოვრით გამდიდრებული, რაიც გაბედულსა და მაძიებელ ფრანგულ აზრს ეკუთვნოდა მუსიკალური ტექნიკის დარგში, თავადაც თამამად შეუდგა ძიებას; სხვებზე უფრო დაუცხრომელი და ხალასი, გაცილებით უფრო მეტადაც დაწინაურდა. ოღონდ ამ თამამი სწრაფვისას თავნება ინსტინქტს აღარ იყო დანდობილი. სინათლის, სიმწყობრის მოთხოვნილება დაუფლებოდა. მთელი ცხოვრების მანძილზე ცვლადი დენის რიტმს ემორჩილებოდა მისი გენია. მოძრაობდა პოლუსიდან პოლუსისაკენ, ავსებდა მათშუა განფენილ სივრცეს. თუ წინარე პერიოდში გაფაციცებით ჭვრეტდა **„ქაოსის თვალებს, წესრიგის საბურვლის წიაღ რომ კრთოდა“**, თუ მაშინ ლამის იყო ჩამოეგლიჯა ის საბურველი იმა თვალთა უკეთ დასანახავად, ახლა ლამობდა, განრიდებოდა დამღუპველ გრძნობას, კვლავ გადაეფარებინა სფინქსის სახეზე ჯადოსნური რიდე გონების მეუფისა. რომის ძალუმი სუნთქვა შეეხებოდა. მსგავსად პარიზული ხელოვნებისა, რისი გავლენაც განიცადა, წესრიგისაკენ ისწრაფოდა. ოღონდ ნიათგამოცლილ რეაქციონერთ როდი ჰგავდა, თავიანთი ძილის დაცვას რომ ახმარენ იმ ძალას, რაც კიდევ შერჩენიათ, იმგვარი წესრიგი როდი უნდოდა, როგორიც ვარშავაში შეექმნათ![1]

სიმშვიდემოწყურებული ეს საუცხოო ადამიანები კვლავ ბრამსს უბრუნდებოდნენ — ბრამსს ხელოვნების ყველა დარგში, ოსტატებს თემატური მუსიკისას, უგვან ნეოკლასიკოსთ! ასე იტყოდით, ვნებებმა იმათ ძალ-ღონე გამოულიესო! რა მალე გამოიფიტეთ, ჩემო მეგობრებო! არა, თქვენებურ წესრიგზე როდი ვლაპარაკობ. ჩემი წესრიგი სხვანაირია. ეს არის წესრიგი ჰარმონიის, ლაღი ვნებების და ნებისა... კრისტოფი ცდილობდა სიცოცხლის ძალთა თანაფარდობა შეენარჩუნებინა თავის შემოქმედებაში. ახალი აკორდები, მოგუგუნე უფსკრულიდან გამოხმობილი ეს მუსიკალური ეშმაკუნები საშუალებას აძლევდა, შეექმნა ნათელი სიმფონიები, დიდი, მზეგადაფრქვეული ნაგებობანი, მსგავსნი იტალიურგუმბათებიანი ტაძრებისა.

ამ შრომასა და ჭიდილში მიილია ზამთარი. მიილია სწრაფად, თუმცა ზოგჯერ საღამოობით, როცა კრისტოფი მუშაობას მორჩებოდა, და უკან მოიხედავდა, გონების თვალს გადაავლებდა განვლილ გზას, ვერ გეტყოდით, გრძელი იყო ის გზა თუ მოკლე, ისევ ახალგაზრდა ეთქმოდა თავად თუ უკვე დაბერებულიყო.

---

[1] მინიშნებულია საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მარშალ სებასტიანის ცნობილი ფრაზა: „ვარშავაში წესრიგი სუფევს“. ასე აუწყა მარშალმა სებასტიანიმ 1831 წლის 16 ოქტომბერს დეპუტატთა პალატას მეფის რუსეთის ჯარების მიერ რევოლუციური ვარშავის აღების ამბავი.

ამ დროს ადამიანისეული მზის ახალმა სხივმა გაფანტა ოცნების ბურუსი, კვლავ დადგა გაზაფხული. კრისტოფმა წერილი მიიღო გრაციასაგან. გრაცია ატყობინებდა, პარიზს მოვემგზავრებიო ორივე ბავშვითურთ. დიდი ხანია, ეს განზრახვა ჰქონოდა. ბიძაშვილ კოლეტსაც მრავალგზის მიეპატიჟებინა. ოღონდ ეზარებოდა, თავისი ჩვეულებანი დაერღვია, დაეთმო საყვარელი home[1]-ის სანუკვარი მყუდროება და პარიზული ცხოვრების ნაცნობ ორომტრიალში ჩაბმულიყო, ეზარებოდა და წლიდან წლამდე დებდა რომიდან გამგზავრებას. ამ გაზაფხულს ნაღველმა შეაწუხა, შესაძლოა, რაიმე ფარული გულგაცრუების ბრალიც ყოფილიყოს, რომის მიტოვების სურვილი რომ გასჩენოდა (ვინ იცის, რამდენ უსიტყვო რომანს მალავს ქალის გული, გარშემომყოფნი გუმანითაც ვერ მიუხვდებიან ამას, ის კი არა, თავის თავსაც არ გამოუტყდება ხოლმე!). ეპიდემიის საფრთხემ, იმის შიშმა, ბავშვებს არაფერი დაემართოსო, დააჩქარებინა წამოსვლა. წერილის გამოგზავნიდან რამდენიმე დღის შემდეგ გამოემგზავრა კიდევაც.

შეიტყო თუ არა, კოლეტთან გაჩერებულაო, კრისტოფი სანახავად გაეშურა. გრაცია ფიქრიანი და რაღაცნაირი შორეული ეჩვენა. გული დასწყვიტა ამ ამბავმა, ოღონდ არაფერი დაიმჩნია. თითქმის მთლიანად დაეძლია თავისი ეგოიზმი და ამის წყალობით გულთმისნის ალღო მინიჭებოდა. მიხვდა, რაღაცას დაუდარდიანებია, გამხელა კი არა სურსო, ჰოდა, არ ჩასციებია. მხოლოდ იმას ცდილობდა, გაერთო იგი. მხიარულად უყვებოდა თავის ჭირსა და ლხინზე, სამუშაოზე, ეგმებზე და შეუმჩნევლად ჰხვევდა თავისი სიყვარულის სათუთ ქსელში. ქალი გრძნობდა, რარიგ მოიცავდა მთელს მის არსებას კრისტოფისგან დაძრული საოცარი სინაზე, რარიგ ფრთხილად ეპყრობოდა კაცი, აბეზარი არ ვეჩვენოო; ხვდება, რაც განვიცადეო, ფიქრობდა გრაცია და გული უჩუყდებოდა. მისი დასევდიანული გული შვებას გრძნობდა მეგობრის გვერდით, რომელიც ათას ამბავს უყვებოდა, იმას კი, რასაც ორივენი ფიქრით უტრიალებდნენ, ფაქიზად გვერდს უვლიდა. თანდათან შენიშნა, როგორ ეფანტებოდა მეგობარ ქალს თვალებში ჩაწოლილი სევდის ბინდი, მისი მზერა უფრო და უფრო ახლობელი ხდებოდა... ბოლოს, საუბრით გართული, უცებ შედგა და უსიტყვოდ მიაჩერდა.

— რა მოხდა? — ჰკითხა ქალმა.

— დღეს, — უთხრა კრისტოფმა, — მთლიანად გამობრუნდით.

გრაციას გაეღიმა და ჩურჩულით მიუგო:

— ჰო.

ყოველთვის ვერ ახერხებდნენ მყუდრო საუბარს. იშვიათად თუ დარჩებოდნენ მარტონი. კოლეტი გაცილებით უფრო ხშირად ანიჭებდათ სიამოვნებას მათთან შემოსვლით, ვიდრე თავად ისურვებდნენ. ნაკლი კი ჰქონდა, მაგრამ

---

[1] სახლი (ინგლ.).

მაინც რიგიანი ქალი იყო კოლეტი, კრისტოფისა და გრაციას ერთგული, ოღონდ ფიქრადაც არ მოსდიოდა, შეიძლება ამათ ხელს ვუშლიდეო. კრისტოფისა და გრაციას დამოკიდებულებაში ის შეამჩნია (მის თვალს არაფერი გამოეპარებოდა), რასაც „ფლირტს“ უწოდებდა. ფლირტი მისი სტიქია გახლდათ. ამ ამბავმა აღტაცება მოჰგვარა, ცდილობდა ყოველნაირად ხელი შეეწყო მისთვის. მაგრამ არამკითხესავით ემართებოდა. კრისტოფსა და გრაციას ერთი რამ უნდოდათ მხოლოდ: ნეტა ეს ქალი ცხვირს არ ყოფდეს ჩვენს საქმეშიო. როცა გამოეცხადებოდათ და რომელიმე მათგანს ქარაგმულად ან აშკარად სიტყვას გადაუკრავდა მათი მეგობრობის თაობაზე, ორივენი გაქვავებულ იერს მიიღებდნენ და საუბარს სხვა რამეზე გადაიტანდნენ. კოლეტი სხვადასხვაგვარი მიზეზით ხსნიდა მათს თავშეკავებულობას. ნამდვილი მიზეზისა კი არა უწყოდა. რა. მათდა საბედნიეროდ, ერთ ადგილზე დიდხანს ვერ ჩერდებოდა. აქეთ-იქით დაქროდა, მიდიოდა და მოდიოდა. მთელ სახლს ის განაგებდა, ერთბაშად ათნაირი საქმით იყო გართული. როცა კოლეტი ოთახიდან გავიდოდა და თავს ბავშვების ამარა დაიგულებდნენ, კრისტოფი და გრაცია კვლავ განაახლებდნენ ხოლმე უმანკო საუბრის გაწყვეტილ ძაფს. არასდროს ლაპარაკობდნენ იმ გრძნობაზე, რაც ერთმანეთთან აკავშირებდათ. თავიანთი ყოველდღიური ცხოვრების პატარ-პატარა ამბებს უზიარებდნენ ერთიმეორეს. გრაცია წმინდა ქალურ ცნობისწადილს იჩენდა, კრისტოფის ყოფა-ცხრვრების ამბავს იძიებდა. ყველაფერი ცუდად მისდიოდა კრისტოფს. გაუთავებელი შეხლა-შემოხლა მოსდიოდა მნე ქალებთან; მოახლე მუდამ აცურებდა და ქურდავდა. გრაცია გულიანად დასცინოდა, როცა ამას ისმენდა, თანაც დედური თანაგრძნობით ეპყრობოდა ამ სრულიად არაპრაქტიკულ დიდ ბავშვს. ერთხელ, როცა სულთამხუთავი კოლეტი როგორც იქნა ოთახიდან გავიდა, გრაციამ ამოიოხრა და თქვა:

— საბრალო კოლეტი! ძალიან მიყვარს... მაგრამ როგორ მომაბეზრა თავი!

— მეც მიყვარს, — მიუგო კრისტოფმა, — თუ ამით იმის თქმა გინდათ, რომ გული შეგვიწუხა.

გრაციას გაეცინა:

— მისმინეთ... ნებას მომცემთ (აქ მართლაც ვერ მოახერხებ დაჯდე და გუნებიერად ისაუბრო ადამიანმა)... ნებას მომცემთ, თქვენთან მოვიდე?

კრისტოფი გაშტერდა.

— ჩემთანო? ჩემთან მოხვალთ!

— ხომ არ შეგაწუხებთ?

— შემაწუხებთო? მე-ე? ღმერთო დიდებულო!

— მაშ, თუ წინააღმდეგი არა ხართ, — სამშაბათს იყოს?

— სამშაბათს იყოს, ოთხშაბათს იყოს, ხუთშაბათს, რა დღესაც გინდათ, როცა გინდათ, მაშინ იყოს.

— მაშ, სამშაბათს, ოთხ საათზე. შევთანხმდით?

— რა კეთილი ხართ, რა კეთილი.

— მოიცათ. მხოლოდ ერთი პირობა.

— პირობაო! რა საჭიროა? ყველაფერზე თანახმა ვარ. თქვენც ხომ მშვენივრად იცით, პირობით იქნება თუ უპირობოდ, ყველაფერზე ყაბულსა ვარ.

— პირობა მირჩევნია.

— კეთილი და პატიოსანი.

— თქვენ არ იცით, რას ეხება საქმე.

— სულ ერთია. ყველაფერზე თანახმა ვარ, რაც კი გინდათ.

— ჯერ მომისმინეთ, რა უცნაური ხართ.

— მითხარით.

— არაფერი არ უნდა შეცვალოთ თქვენს ბინაში, არაფერი-მეთქი, ხომ გესმით. ყველაფერი სწორედ ისე უნდა იყოს, როგორც ამჟამადაა.

კრისტოფი სახტად დარჩა. გუნება წაუხდა.

— აბა, ეგ სადაურია.

გრაციას გაეცინა.

— მაშ, რა გეგონათ, ისე საჩქაროდ რომ დამეთანხმეთ! პირობა უკვე მომეცით.

— მაინც რამ მოგაფიქრათ ეს?

— მინდა, ისეთი განახოთ შინ, როგორიც ყოველდღე ხართ, როცა მე არ მელით.

— მაინც ნება დამრთეთ...

— არა. არაფრის ნებას არ დაგრთავთ.

— ყოველ შემთხვევაში...

— არა და არა. ტყუილად ნუ მეხვეწებით. თორემ სულ არ მოვალ, თუ ეს გირჩევნიათ...

— თქვენ მშვენივრად იცით, რომ ყველაფერს დავყაბულდები, ოღონდაც მოხვიდეთ.

— მაშ, შევთანხმდით?

— შევთანხმდით.

— სიტყვას მაძლევთ?

— გაძლევთ, ტირანო.

— კეთილია ის ტირანი?

— კეთილი ტირანი ვის უნახავს; ზოგი ტირანი უყვართ, ზოგიც კიდევ სძულთ. ესაა და ეს.

— მე ერთიცა ვარ და მეორეც, არა?

— ოჰ, არა, თქვენ პირველთა რიგს განეკუთვნებით.

დათქმულ დღეს მართლაც მოვიდა გრაცია. კრისტოფს ვერ გაებედა, ხელი ეხლო თუნდაც ქაღალდის ნაგლეჯისათვის თავის ბინაში, თუმცა ირგვლივ უწესრიგობა სუფევდა. ვერ გაებედა მისთვის ჩვეული მეტისმეტი წესიერების

გამო; წინააღმდეგ შემთხვევაში აგრე ჩათვლიდა, უნამუსოდ მოვიქეცი. ეს კია, ჯოჯოხეთურ წამებას განიცდიდა. რცხვენოდა: რას იფიქრებსო გრაცია. გულგადალეული ელოდებოდა. ქალი ზუსტად დანიშნულ დროს მივიდა — რაღაც ოთხი თუ ხუთი წუთით დააგვიანა. დინჯი, აუჩქარებელი ნაბიჯით მოუყვებოდა კიბეს. კრისტოფი მიყურადებული იყო და მაშინვე გაუღო კარი. გრაციას სადად და ელეგანტურად ეცვა. პირბადის მიღმა მოჩანდა მისი მშვიდი თვალები. ხელი ჩამოართვეს ერთმანეთს და ხმადაბლა მიესალმნენ. გრაცია ჩვეულებრივზე უფრო მდუმარე იყო. კრისტოფიც ხმას არ იღებდა — შემცბარსა და აღელვებულს ამ თავისი შეცბუნების გამჟღავნებისა ეშინოდა. შემობრძანდითო, ქალსა სთხოვა, ის კი დაავიწყდა, წინასწარ გაზეპირებული ფრაზა ეთქვა, ბოდიში მოეხადა იმ უწესრიგობის გამო, ოთახში რომ სუფევდა. გრაცია საუკეთესო სკამზე დაჯდა, კრისტოფი გვერდით მოუჯდა.

— აი, ჩემი სამუშაო კაბინეტი.

ამის თქმაღა მოახერხა.

დუმილი ჩამოვარდა. გრაციამ ნება-ნება მიათვალიერ-მოათვალიერა იქაურობა, პირზე კეთილი ღიმილი გამოესახა. თავადაც, ცოტა არ იყოს, უხერხულობას გრძნობდა, თუმცაღა ამის დაფარვას ცდილობდა. (შემდგომ კრისტოფს უამბო, ჯერ ისევ გოგონა ვიყავ, ერთხელ შენთან მოსვლა მომეგუნება, კარებამდე მოველ, ზარის დარეკვა კი ვეღარ გავბედეო). მოუწყობელი ბინის სევდისმომგვრელმა იერმა გააოცა გრაცია: წინკარი ვიწრო და ჩაბნელებული იყო, არავითარი კომფორტი, თვალში გეცემოდა ღარიბული ავეჯი. გული შეეკუმშა. სინაზითა და თანაგრძნობით განიმსჭვალა თავისი ძველი მეგობრისადმი, რომელსაც ამდენი ჭირ-ვარამი გადაეტანა, სახელმოხვეჭილი პიროვნება გამხდარიყო, კვლავ თავდაუზოგავად მუშაობდა, ნივთიერი საზრუნავისათვის კი თავი ვერ დაეღწია. ეუცნაურებოდა, კრისტოფი რომ სრულებით არად აგდებდა კომფორტს. არსად ხალიჩა, არც სურათი, არც რაიმე სამშვენისი, არც საკარძელი სადმე — არავითარი ავეჯი, გარდა მაგიდისა, სამი მაგარი სკამისა და ფორტეპიანოსი. სამაგიეროდ ყველგან, საცა კი გაიხედავდი, ერთმანეთში არეულად ეყარა წიგნები და ხელნაწერი ფურცლები — ეყარა მაგიდაზე, მაგიდის ქვეშ, პარკეტზე, სკამებზე (გრაციას გაეღიმა, რაკი ნახა, ნამუსიანად შეუსრულებიაო სიტყვა).

ცოტა ხნის შემდეგ გრაციამ ჰკითხა:

— აქ მუშაობთ? (იმ ადგილს მიპითითა, სადაც თავად იჯდა).

— არა, — მიუგო კრისტოფმა, — აგერა, იქა.

ოთახის ჩაბნელებულ კუთხეს მიაშვირა ჯოთი, სადაც სინათლისაკენ პირშექცევით იდგა დაბალი მაგიდა.

გრაცია უხმოდ გაემართა იქით და კეკლუცად ჩამოჯდა სკამზე. ერთხანს ჩუმად იყვნენ, არ იცოდნენ, რა ეთქვათ. კრისტოფი წამოდგა და ფორტეპიანოსთან მივიდა. ნახევარი საათის მანძილზე უკრავდა. იმპროვიზაციებს ასრუ-

ლებდა; მეგობარი ქალის სიახლოვეს გრძნობდა და გული უსაზღვრო ბედნიერებით ევსებოდა. თვალმილულული საუცხოო რამეებს უკრავდა. და მაშინ გრაცია ჩასწვდა სილამაზეს ღვთაებრივი ჰარმონიით მოცული ამ ოთახისას; უსმენდა ხმას ამ მოსიყვარულე, ტანჯული გულისას და აგრე ეგონა, ჩემსავე მკერდში თუ ძგერსო ის გული.

როცა უკანასკნელი ბგერები მიწყდა, კრისტოფი კიდევ ერთხანს უძრავად უჯდა ფორტეპიანოს.

უცებ შემოტრიალდა, ქალის სულთქმის ხმა შეესმა, — გრაციას ცრემლი სდიოდა. მერმე ადგა და კრისტოფს მიეახლა.

— გმადლობთ, — უთხრა ჩურჩულით და ხელზე ხელი მოუჭირა.

ბაგეები ოდნავ უთრთოდა. თვალები მოხუჭა. კრისტოფმაც იგივე ქნა. რამდენიმე წამს აგრე იდგნენ ხელიხელჩაკიდებულნი, დრო თითქოს შეჩერდა...

ქალმა თვალი აახილა და, დარცხვენის გრძნობისაგან რომ განთავისუფლებულიყო, კრისტოფს ჰკითხა:

— მეორე ოთახს არ მაჩვენებთ?

კრისტოფსაც გაუხარდა, მღელვარების დაფარვის საშუალება რომ მიეცა, ვაღო გვერდითი ოთახის კარი და უმალვე შერცხვა. იქ ერთი ვიწრო, რკინის მაგარი საწოლი იდგა.

(შემდგომ, როცა გრაციას უთხრა, საყვარლები არასდროს მომიყვანიაო სახლში, ქალმა დაცინვით შენიშნა:

— ეჭვი არ მეპარება, ვინ იქნებოდა ამისთანა გაბედული.

— რატომ?

— ამ საწოლზე დაძინება არ გინდა).

ოთახში იდგა ხის კამოდი, კედელზე ეკიდა ბეთჰოვენის ნიღაბი, საწოლის თავზე კი — იაფფასიან ჩარჩოებში ჩასმული სურათები კრისტოფის დედის და მეგობარ ოლივიესი. კამოდზე იდგა გრაციას ფოტოსურათი, მაშინ გრაცია თხუთმეტი წლის გოგონა იყო. რომში ენახა ეს სურათი და ალბომიდან ამოეცოცებინა. გამოუტყდა გრაციას და პატიება სთხოვა. ქალმა თვალი შეავლო ფოტოსურათს და კრისტოფს მიუბრუნდა:

— მცნობთ ამ სურათზე?

— გცნობთ და ასევე მახსოვხართ.

— მერე რომელი უფრო გიყვართ ამ ორში?

— თქვენ იგივე ხართ მუდამ. ყოველთვის ერთნაირად მიყვარხართ. სულ **ყველგან** გცნობთ. იმ სურათზეც კი, სადაც მთლად პატარა ხართ. ვერ წარმოიდგენთ, რა მღელვარებას განვიცდი, როცა ამნაირ გარსში ვხედავ მაგ თქვენს სულს. ეს საუკეთესო დასტურია იმისა, რომ მარადიული ხართ. ვიდრე ამქვეყნად გაჩნდებოდით, მანამდეც მიყვარდით და მეყვარებით იმის შემდეგაც კი...

გაჩუმდა. გრაციასაც არაფერი უპასუხია, დიდად აღელვებული ჩანდა.

სამუშაო ოთახში რომ შემობრუნდნენ და კრისტოფმა თავისი მეგობარი დაანახვა — ფანჯრის წინ ამოწვდილი ნორჩი ხე, რომელზედაც ბეღურებს ქივ-ქივი გაჰქონდათ, — გრაციამ უთხრა:

— იცით, ახლა რა ვქნათ? მოდი, წავიხემსოთ. ჩაი და ნამცხვარი მოვიტანე, ვიცოდი, აქ არაფერი გექნებოდათ. კიდევ რაღაცა წამოვიძღვანე. აბა, ერთი თქვენი პალტო მომეცით.

— ჩემი პალტო?

— ჰო, ჰო, მოიტათ.

ჩანთიდან ნემსი და ძაფი ამოიღო.

— რად გინდათ?

— ამას წინათ ორ ღილს მოვკარი თვალი, რაღაც საეჭვოდ მოფამფალებულიყვნენ. მაჩვენეთ ერთი.

— ჰოო, ჯერ ვერ მოვიცალე დასაკერებლად, ნეტა რაში გეხალისებათ!

— საბრალო ბიჭი. მოიტათ ბარემ.

— მრცხვენია.

— წადით, ჩაი აადუღეთ.

კრისტოფმა პატარა ჩაიდანი და სპირტქურა ოთახში შემოიტანა, რომ მეგობარ ქალს წუთით არ განშორებოდა. გრაცია აკერებდა, თან ცალი თვალით დამცინავად აკვირდებოდა კრისტოფს, როგორ ცოდვილობდა იგი. ჩაის ფრთხილად შეექცეოდნენ კიდეებმოტეხილი ფინჯნებით; რა საშინელი ფინჯნებიაო, გრაცია ამბობდა. კრისტოფი კი გულფიცხად ეკამათებოდა, ეს ფინჯნები ხომ იმ დროს მოაგონებდა, როცა ოლივიესთან ერთად ცხოვრობდა.

როცა გრაციამ წასვლა დააპირა, კრისტოფმა ჰკითხა:

— ხომ არ მიჯავრდებით?

— რისთვის?

— უწესრიგობისათვის.

გრაციას გაეცინა.

— მე მოვარჯულებ აქაურობას.

იგი უკვე ზღურბლთან იდგა და ის იყო, კარი უნდა გაეღო, კრისტოფმა დაიჩოქა მის წინაშე და ფეხზე ეამბორა.

— რას შვრებით? — შესძახა ქალმა. — გიჟო, ჩემო გიჟო! ნახვამდის!

შეთანხმდნენ, რომ გრაცია კვირაში ერთხელ მოაკითხავდა განსაზღვრულ დღეს. კრისტოფს პირობა მოაცემინა, მეტად აღარ მოქცეულიყო ისე ახირებულად, აღარ გაებედა დაჩოქება და ფეხების დაკოცნა. საკვირველ სიმშვიდეს განფენდა გრაცია. იმ დღეებშიც კი, როცა კრისტოფი შმაგობდა, ეს სიმშვიდე დაიმორჩილებდა ხოლმე სიშმაგემოძალებულს. როცა კრისტოფი მარტო იყო, გრაციაზე ფიქრისას, ხშირად ავხორცული გულისთქმა შეიპყრობდა, ოღონდ ერთად რომ შეიყრებოდნენ, მუდამ კეთილი მეგობრებივით იქცეოდნენ. კრის-

ტოფი არამც და არამც თავს ნებას არ აძლევდა, რაიმე სიტყვით ან ჟესტით შეეცბუნებინა მეგობარი ქალი.

კრისტოფის დაბადების დღეს გრაციამ ისე მორთო თავისი პატარა გოგონა, როგორც თავად იყო გამოწყობილი იმ შორეულ დროს, როცა ის და კრისტოფი პირველად შეხვდნენ ერთიმეორეს და ის პიესა დააკვრევინა, რასაც კრისტოფი ასწავლიდა იმხანად.

მაგრამ მომხიბვლელობას, მოსიყვარულეობას, გულითადობას სულ სხვა თვისებები ერწყმოდა მის არსებაში. თავქარიანი იყო, უყვარდა საზოგადოება, სიამოვნებდა, როცა მამაკაცები ეაშიკებოდნენ, თუნდაც ის მამაკაცები ყეყეჩნი ყოფილიყვნენ; ეკეკლუცებოდა ყველას, გარდა კრისტოფისა, ზოგჯერ — კრისტოფსაც. როცა კრისტოფი მომეტებულის სინაზით ეპყრობოდა, თავი განგებისად ცივად ეჭირა. ხოლო თუ კრისტოფი თავშეკავებასა და გულცივობას იჩენდა, მაშინ ალერსიანად ეკეკლეოდა და იქით აღიზიანებდა. წესიერზე წესიერი ქალი გახლდათ. მაგრამ ზოგჯერ თვით ყველაზე წესიერი ქალიც გოგუცანასავით იქცევა ხოლმე. გრაცია ანგარიშს უწევდა საზოგადოებრივ აზრს და ემორჩილებოდა ათასგვარ პირობითობას. დიდი მუსიკალური უნარით დაჯილდოებულს, ესმოდა კრისტოფის ქმნილებები, ოღონდ არცთუ ძალიან დიდ ინტერესს იჩენდა მათ მიმართ (კრისტოფმა მშვენივრად უწყოდა ეს). ნამდვილი რომაელი ქალის თვალში ხელოვნებას იმდენად აქვს ფასი, რამდენადაც იგი გულისხმობს ცხოვრებას, ცხოვრება კი — სიყვარულს... სიყვარულს, რაიც ჩაბუდებულა ავხორცული, დათენთილი სხეულის სიღრმეში... რაში სჭირდება ტრაგიკული ფიქრები, ტანჯვისგან შექმნილი სიმფონიები, გულისმიერი ვნებები ჩრდილოეთისა? იმგვარი მუსიკა სჭირდება, სადაც ძალდაუტანებლად ფრთას გაშლიდნენ მისი იდუმალი გულისთქმანი, სჭირდება ოპერა, ბობოქარი ვნებათაღელვით გართულებული კი არა, ნათელი, ნამდვილი ცხოვრების გამომხატველი — სამტიმენტალური, გრძნობიერი, გამასათუთებელი ხელოვნება.

გრაცია სუსტი ხასიათისა და ცვალებადი გუნების ქალი იყო: სერიოზულ რაიმეზე დიდხანს ვერ იქნებოდა გადალეული, უეჭველად გართობა მოუნდებოდა. იშვიათად თუ გააკეთებდა დღეს იმას, რაც გუშინ განეზრახა. რა ბალღური ქცევა იცოდა, რანაირი ხუსტური არ წამოუვლიდა! ვერ ისვენებდა, აიხირებდა რასმე, ხანდახან ჭირვეულობასაც იჩენდა. იცოდა თავისი თავის ამბავი და ცდილობდა, ამ დროს განმარტოებულიყო. იმუნათებდა თავს, ჯეროვნად რომ ვერ ებრძოდა საკუთარი ხასიათის სისუსტეს, — აკი ეს სისუსტე გულსა სტკენდა მის მეგობარს. ზოგჯერ სწორედ რომ მსხვერპლს გაიღებდა კრისტოფის გულისათვის, თუმცა კრისტოფს ვერც კი ეაზრებინა რამე; მაგრამ ბუნება ბოლოს და ბოლოს თავისას შვრებოდა. თანაც გრაცია იმის ფიქრსაც ვერ იტანდა, აქაოდა, კრისტოფი არ მბრძანებლობდესო ჩემზე. და, თავისი დამოუკიდებლობა რომ დაემტკიცებინა, ერთი-ორჯერ ჯიბრზე მოექცა. მერმე ნანობდა ამ თავისი საქციელის გამო, ღამით სინდისის ქენჯნა აწვალებდა,

წუხდა, კრისტოფს რომ უფრო მეტ ბედნიერებას ვერ ანიჭებდა. ის ზომ გაცილებით მეტად უყვარდა, ვიდრე ამას გარეგნულად ამჟღავნებდა; ესმოდა, ამ მეგობრობის ფასი რომ სხვა არა გააჩნდა რა ცხოვრებაში. როგორც ორ ურთიერთმოსიყვარულესა და განსხვავებული ყაიდის ადამიანს სჩვევია, ყველაზე მეტად მაშინ გრძნობდნენ თავიანთ სულიერ ნათესაობას, როცა ცალ-ცალკე იმყოფებოდნენ. მართლაცდა, თუ გაუგებრობის გამო ბედი მათი გაიყარა, ეს მხოლოდ კრისტოფის ბრალი როდი იყო, როგორც თავად კრისტოფს ეგონა გულუბრყვილოდ. წინათაც კი, როცა გრაციას მგზნებარედ უყვარდა კრისტოფი, ვერავინ იტყოდა, გაჰყვებოდა თუ არა ცოლად. შესაძლოა, ქალს მისთვის თავი ენაცვალებინა, ოღონდ საეჭვოა, სამუდამოდ მასთან ერთად ეცხოვრა. გრაციამ იცოდა (თუმცა ერიდებოდა კრისტოფისათვის გაემხილა), რომ უყვარდა თავისი ქმარი. იმ სიმწარის შემდეგაც კი, რაც მისგან ენახა, კვლავინდებურად უყვარდა იგი, თანაც ისე, როგორც არასოდეს ჰყვარებია კრისტოფი. გულის ხვაშიადით, სხეულის საიდუმლოთი თავი როდი მოაქვთ. მათ უმალავენ იმ ადამიანებს, ვინც ეძვირფასებათ, უმალავენ მარტოოდენ რიდის გამო კი არა, თავისი თავისადმი ლმობიერების, სიბრალულის გამოც. კრისტოფში ერთობ ძლიერი იყო მამაკაცური დვრიტა, რომ ეს ეგუმანა. მაგრამ ზოგჯერ, თითქოს ელვამ გაანათაო, უეცრივ შეამჩნევდა: იმას, ვისაც ყველაზე მეტად ვუყვარვარ, ვუყვარვარ ნამდვილი სიყვარულით, არცთუ მაინცდამაინც დიდად ვუღირვარო. ასე რომ ვერავის, ვერავის დავეყრდნობიო. ამ ამბავს არ არ უმოქმედია მისი სიყვარულის გრძნობაზე. ნაღველიც კი ხრ განუცდია. გრაციას სიმშვიდე მასაც გულზე ესალბუნებოდა. ყველაფერს გულმშვიდად იღებდა. ჰოი, ცხოვრებავ, რად უნდა გისაყვედუროს კაცმა იმის გამო, რისი ბოძებაც არ შეგიძლია? განა ისეთს, როგორიცა ხარ, მშვენიერი და წმიდათაწმიდა არ გეთქმის? ხამს სიყვარული შენი ღიმილისა, ჯოკონდა...

კრისტოფი ხანგრძლივად უჭვრეტდა ხოლმე მეგობარი ქალის მშვენიერ სახეს; მრავალ რასმე კითხულობდა ამ სახეზე: წარსულსაც და მომავალსაც. იმის წყალობით, რომ წლების მანძილზე ყარიბის ცხოვრებას ეწეოდა და ნაირნაირ ხალხს აკვირდებოდა, თუმცა კი ნაცნობობას არ აბამდა, თითქმის უნებურად ისწავლა ადამიანთა სახის ამოცნობა, დაეუფლა საუკუნეობით ჩამოყალიბებულ ამ მდიდარსა და რთულ ენას, ათასჯერ უფრო მდიდარსა და რთულს, ვიდრე სასაუბრო ენაა. იგი გვიმხელს ერის ნიშან-თვისებებს. კრისტოფს ნიადაგ აოცებდა კონტრასტი სახის ნაკვთებსა და იმ სიტყვებს შორის, რასაც ადამიანი წარმოთქვამდა. აი, ყმაწვილი ქალის პროფილი, კვეთილი მკაფიოდ, ოდნავ ცივი, ბიორნ-ჯონსის[1] ყაიდაზე, ტრაგიკული იერისა. იტყვი, ფარული რამ ვნება, ეჭვიანობა, შექსპირისებური ჭმუნვა თუ უღრღნისო გულს... მაგრამ დაძრავს ენას და, თქვენს წინაშეა ერთი პაწია მეშჩანი, ქერქეტა, პრანჭია,

[1] ედვარდ ბიორნ-ჯონსი (1833—1898) — ინგლისელი მხატვარი.

თავკერძა, გონებაშეზღუდული, წარმოდგენა რომ არა აქვს იმ მრისხანე ძალაზე, რაც სხეულში ჩაჰბუდებია. არადა, სწორედ ეს ვნება, ეს ბორგნეულობა ჩასთესლია. რა სახით გამომჟღავნდება ეს ყოველივე ოდესმე? ხვეჭის წყურვილად, ცოლქმრულ ეჭვიანობად, ბობოქარ ენერგიად, ავადმყოფურ გულბოროტებად? ვინ იცის? ისიც შესაძლოა, მანამდე გადასცეს მემკვიდრეობით, ვიდრე ეს ძალა თავს იჩენდეს. მთელს შთამომავლობას მისი ტვიფარი დაესმის.

გრაციასაც აწვა მძიმე მემკვიდრეობითობის ტვირთი — ძველთა გვართა ის ერთადერთი ავლადიდება, რასაც გზადაგზა განიავების ხიფათი არ ელის. ეგეცაა, თავადვე უწყოდა ეს ამბავი. დიდი ძალაა, შეცნობილი გქონდეს შენივე სუსტი მხარეები, შეგეძლოს, მბრძანებლად თუ არა, მესაჭედ მაინც ჰყავდე სულს გვარისას, რომელსაც შერწყმიხარ და რომელიც ხომალდივით მიგაქანებს, — შეგეძლოს, მორჩილ იარაღად აქციო ბედისწერა, იალქანივით იყენებდე მას, ხან აღმართავდე იმ იალქანს, ხან კიდევ დაუშვებდე, იმისდაკვალობაზე, ქარი საიდან უბერავს. როცა გრაცია თვალს დახუჭავდა, მრავალი მშფოთვარე ხმა ესმოდა, თავისსავე არსებაში ეცნაურებოდა ეს ხმები. ოღონდ ეს დისონანსი ჰარმონიული გონების წყალობით ქარწყლდებოდა მის ჯანსაღ სულში. ქარწყლდებოდა და გარდაექმნებოდა ლბილ, გულშიჩამწვდომ მუსიკად.

სამწუხაროდ, ჩვენს ნებაზე როდი ჰკიდია, ჩვენივე სისხლის საუკეთესო ნაწილს გადავცემდეთ შთამომავლობას.

გრაციას შვილთაგან დედას დაემსგავსა მხოლოდ ქალიშვილი, თერთმეტი წლის ავრორა. დედას ვერ შეედრებოდა სილამაზით — უფრო ტლანქი იყო და ოდნავ კელობდა. კეთილი, გულთბილი, მხიარული გოგონა იყო, ჯანღონით სავსე, დამჯერე, ოღონდ განსაკუთრებული ნიჭი არ გამოარჩევდა, თუ სათვალავში არ ჩავაგდებდით ერთ მის მიდრეკილებას: ფრიად იტაცებდა უქნარობა. კრისტოფს გაგიჟებით უყვარდა იგი. მას რომ გრაციას გვერდით დაინახავდა, საოცრად მოიხიბლებოდა, თითქოს ეხილოს ერთი და იგივე არსება, ორი სხვადასხვა ასაკისა რომ იყო და ორ სხვადასხვა თაობას ეკუთვნოდა. ორი ყვავილი, ერთ ღეროზე აღმოცენებული: ლეონარდოს წმინდა ოჯახი — ქალწული მარიამ და წმიდა ანა[1], ერთი და იგივე ღიმილის სხვადასხვაგვარი ელფერი. ერთი შეხედვითვე მოიცავ ქალის სულის ყვავილობის მთელ დროს; საუცხოოა ეს და იმავე დროს სევდის მომგვრელიცაა: აკი ხედავ, როგორ იწურება სიცოცხლე... მგზნებარე გულს ძალუძს წმინდა და ძლიერი სიყვარულით უყვარდეს ორი დაი ან დედა და ქალიშვილი და ეს სრულიად ბუნებრივია. კრისტოფს უყვარდა, სწადდა ჰყვარებოდა გრაცია მთელი მისი შთამომავლობიანად. განა გრაციას ყოველი ღიმილი, ცრემლი, მის საყვარელ სახეზე დაჩნეული ნაოჭი, განა ეს ყოველივე ყოფიერება არ არის, არ მოგაგონებს ვიღაცის სიცოცხ-

[1] იგულისხმება ლეონარდო და ვინჩის სურათი „ღვთისმშობელი და წმიდა ანა" (ლუვრი).

ლეს, ვინც უფრო ადრე წასულა, ვიდრე თავად გრაციას თვალი აეხილებოდა და ქვეყნიერებას იხილავდა; განა ეგეგე არაა იმის მაუწყებელიც, რომ უნდა სხვა ვინმე მოვიდეს შემდგომ, როცა ის მშვენიერი თვალები დაეხუჭება?

ბიჭს, ლიონელოს, ცხრა წელი შეუსრულდა. დაზე გაცილებით უფრო ლამაზი იყო, უფრო დახვეწილი ჯიშისა, ალბათ, მეტისმეტად დახვეწილისაც, სისხლისაგან დაცლილის და დაძაბუნებულის; მამამისს ჰგავდა: ჭკვიანი იყო, უხვად დაჯილდოებული ცუდი ინსტინქტებით, ალერსიანი და გულჩახვეული. დიდრონი ცისფერი თვალები ჰქონდა, გოგონასებრ გრძელი ქერა თმა, ფერმკრთალი სახე და სუსტი ფილტვები. გამოარჩევდა ავადმყოფური ნერვიულობა, რასაც კიდევაც იყენებდა საჭიროებისას, მით უმეტეს, რომ ბუნებით მსახიობი იყო. თანაც საოცრად ეხერხებოდა, შენი გულის სუსტი სიმები მოესინჯა. გრაციას იგი უფრო მეტად უყვარდა იმ უნებური. უპირატესობის გამო, რასაც დედა ანიჭებს ნაკლებად ჯანმრთელ შვილს, აგრეთვე იმის გამოც, რომ კეთილ და წესიერ ქალებს ხშირად გული მიუწევთ ვაჟიშვილებისადმი, რომლებიც არ გამოირჩევიან არც სიკეთით, არც წესიერებით. თითქოს ლაგამი წაეყაროთო გრძნობათათვის, რომელთაც აქამდე იხშობდნენ. ამას ერთვის ქმრის გამო აღძრული მოგონებანი, ქმრისა, ვისგანაც მრავალი ტანჯვა განუცდიათ, ვინაც, შესაძლოა, ეზიზღებოდათ კიდეც, ოღონდ ყვარებით კი უყვარდათ. ერთი სიტყვით, ეს არის სულის უცნაური ფლორა, ქვეცნობიერის ბნელსა და თბილ სათბურში რომ აღმოცენებულა.

თუმცა გრაცია ძლიერ ცდილობდა, ორივე ბავშვთან ერთნაირი, თანაბრად ალერსიანი ყოფილიყო, ავრორა მაინც გრძნობდა განსხვავებას და, ცოტა არ-იყოს, გული სტკიოდა. კრისტოფს ესმოდა მისი, გოგონასაც ესმოდა კრისტოფისა. ინსტინქტურად დაუახლოვდნენ ერთმანეთს. იმავე დროს კრისტოფისა და ლიონელოს შორის ანტიპათიის გრძნობა სუფევდა; ბავშვი ამას განგებისი და გადაჭარბებული თავაზიანობით ნიღბავდა, კრისტოფი კი სამარცხვინო რამ გრძნობასავით ითრგუნავდა. ძალას ატანდა თავის თავს, ლამობდა ისე შეეყვარებინა ეს უცხო ბავშვი, თითქოს მისი ღვიძლი შვილი ყოფილიყოს, თითქოს გაახარებდა ამგვარი ვაჟის ყოლა საყვარელი ქალისაგან. თვალს არიდებდა ლიონელოს უხეირო ხასიათს, ყოველივეს, რაც იმ „მეორეს" გაახსენებდა; იმასღა ესწრაფვოდა, მარტოოდენ გრაციას სული ეპოვა ბიჭუნაში. გრაცია უფრო გამჭრიახი გამოდგა: თავს როდი იტყუებდა ვაჟიშვილის გამო. ოღონდ ეს უფრო უძლიერებდა სიყვარულის გრძნობას.

ამასობაში იფეთქა წლების მანძილზე ბავშვში მიჩქმალულმა სნეულებამ. ჭლექი გამოაჩნდა. გრაციამ გადაწყვიტა, ალპის მთებს მივაშურებ, იქ სადმე სანატორიუმში დავიდებო ბინას. კრისტოფს უნდოდა თან გაჰყოლოდა. ქალმა გადაათქმევინა, საზოგადოებრივი აზრისა მოერიდა. კრისტოფს აღონებდა, მისი მეგობარი მეტისმეტ მნიშვნელობას რომ ანიჭებდა ათასგვარ. პირობითობას.

გრაცია გაემგზავრა, ქალიშვილი კოლეტს მიაბარა. მაგრამ მალე საშინელი მარტოობა იგრძნო. ირგვლივ ეხვია ავადმყოფები, სულ ერთთავად თავიანთ სატკივარზე რომ ლაპარაკობდნენ; ცივი, მიუკარებელი იყო ბუნება, გულგრილად და ზვიადად რომ გადმოსცქეროდა ადამიანთა ამ აჩრდილებს. საფურთხებლებით აღჭურვილი სნეულნი ერთიმეორეს ჯაშუშობდნენ, უთვალთვალებდნენ, როგორ დასდარაჯებოდა სიკვდილი თითოეულ მათგანს. და ამ ბედშავთა გულისდამამძიმებელ სანახაობას რომ გარიდებოდა, გრაციამ დატოვა სანატორიუმი „პალასი“, იქირავა პატარა სახლი და ავადმყოფ ბიჭთან ერთად იქ დაბინავდა. მაგრამ მთებში ავადმყოფს მდგომარეობა არამცთუ არ გაუმჯობესებია, გაუუარესდა კიდეც. სიცხემ აუწია. ღამღამობით გრაცია ერთ გულისხეთქვაში იყო. კრისტოფმა მახვილი ინტუიციის წყალობით შორიდანვე იგუშანა მისი ყოფა, თუმცა მეგობარი ქალი არაფერს იწერებოდა. სიამაყე არ აძლევდა ამის ნებას. უნდოდა, კრისტოფი იქვე გვერდით ჰყოლოდა, მაგრამ აკი თავიდანვე დაუშალა, ნუ გამომყვებიო. ახლა კი ვეღარ გამოსტყდომოდა: „ძალიან გამიჭირდა და ნუგეშს თქვენგან ველიო“...

ერთ საღამოს გრაცია ვერანდაზე იდგა. შებინდების ჟამი კიდევ უფრო უნაღვლიანებდა ისედაც დამძიმებულ გულს. უცებ თვალი მოჰკრა... მოეჩვენა, რომ ფუნიკულიორის გაჩერებიდან გამოკვალულ ბილიკზე ხედავდა... ვიღაც კაცი გაჩქარებული მოაბიჯებდა; დროდადრო შედგებოდა, მხრებს ოდნავ აიწურავდა, თითქოს რაღაცას ჭოჭმანობსო. ცოტა ხანიც გამოხდა, თავი ასწია და სახლს გამოხედა იმ კაცმა. გრაცია ოთახში შევარდა, თვალი არ მომკრასო; ორივე ხელი მკერდზე მიეჭირებინა და მღელვარებისაგან უნებურად იცინოდა. თუმცა მორწმუნე არასოდეს ყოფილა, მუხლი მოიდრიკა და სახეზე ხელები აიფარა — ვისმე მადლობა შევწიროო... ამასობაში სტუმარი ეზოს მოადგა. გრაცია სარკმელთან მივიდა და, ფარდას ამოფარებულმა, გადაიხედა. კრისტოფი შემოსასვლელთან იდგა, ღობეს მიყრდნობოდა. ვერ ბედავდა შემოსვლას. ოღონდ მასზე უფრო მეტად გრაციამ დაირცხვინა, გაიღიმა და ჩუმად, ჩუმად წარმოთქვა:

— მოდი... მოდი...

როგორც იქნა, გაბედა კრისტოფმა და ზარი დარეკა. ქალმა უმალ კარს მიაშურა. გაუღო. ისეთი თვალები ჰქონდა კრისტოფს, კარგ ერთგულ ძაღლს რომ აქვს, როცა ეშინია, ვაითუ მცემონო.

— ჩამოგაკითხეთ... მაპატიეთ...

გრაციამ მიუგო:

— გმადლობთ.

გამოუტყდა, რარიგ ელოდა მას.

კრისტოფი ბიჭის მოვლას შეელოდა, სულით და გულით ეხმარებოდა. ბავშვი კი, რომლის მდგომარეობაც გაუარესებულიყო, მტრულად და ბრაზიანად ეპყრობოდა. აღარც ცდილობდა ამის დაფარვას, მკვახე-მკვახე სიტყვებს

აკადრებდა ხოლმე. კრისტოფი ყველაფერს სნეულებას აბრალებდა. მისთვის უჩვეულო მოთმინებას ამჟღავნებდა. ბავშვს გრაციასთან ერთად სასთუმალთან უჯდა, მრავალი მძიმე დღე ასე გაატარა. მეტადრე დიდი შიში გადაიტანეს კრიზისის ღამეს, რის შემდეგაც თითქოსდა სასიკვდილოდ გადადებული ლიონელო გადარჩა. ორივენი ხელიხელჩაკიდებულნი უსხდნენ იმ ღამით ავადმყოფს საწოლთან, და როცა ბავშვმა ბოლოს წყნარად ჩაიძინა, ისეთი წმინდა ბედნიერების გრძნობა დაეუფლათ, რომ გრაცია ზეზე წამოიჭრა, კაპიუშონიანი ლაბადა მოისხა და კრისტოფი გაიყოლა. ჰაერზე გავიდნენ, გზას გაჰყვნენ. ირგვლივ თოვლი იდო, იყო სიწყნარე, ღამე, ცაზე ვარსკვლავები ციმციმებდნენ. გრაცია მკლავზე დანდობოდა კრისტოფს, ნეტარებას ჰგვრიდა ამ ყინულის სამეფოს მყუდროება. სულ რამდენიმე სიტყვა თუ უთხრეს ერთიმეორეს. კრინტი არ დაუძრავთ ერთმანეთის სიყვარულზე. მხოლოდ დაბრუნებისას, უკვე სახლის კარებთან რომ იდგნენ, გრაციამ უთხრა:

— ჩემო კარგო, ჩემო ძვირფასო მეგობარო!

თვალები ბედნიერებით უბრწყინავდა, ბავშვი გადამირჩაო.

სულ ეს იყო. მაგრამ გრძნობდნენ, ამ ჩვენს მეგობრობას აწი ვეღარაფერი დაარღვევსო.

პარიზს რომ დაბრუნდა ვაჟიშვილის ნელ-ნელა გამომჯობინების შემდეგ, გრაციამ პასიში იქირავა სახლი. სრულებით აღარ „ერიდებოდა საზოგადოებრივი აზრისა“, თავს გაბედულად გრძნობდა საიმისოდ, რომ ეს აზრი არად ჩაეგდო მეგობრის გულისათვის. მისი ცხოვრება ისე გადაენასკვა კრისტოფისას, არამზადობად ჩათვლიდა ამ მათი მეგობრობის დამალვას, თუმცა ავყიებს ამით ჭორიკანობის საბაბს მისცემდა. დღის ყოველ დროს იღებდა კრისტოფს, მასთან ერთად გამოჩნდებოდა ხოლმე ყველგან — სასეირნო ადგილას, თეატრში, შინაურულად ელაპარაკებოდა ხალხში. არავის ეეჭვობდა, შეყვარებულნი არიანო. კოლეტსაც კი მიაჩნდა, მეტისმეტად სააშკარაოზე გამოაქვთო თავიანთი ურთიერთობა. გრაცია ღიმილით გააწყვეტინებდა ხოლმე ვინმე ავყიათაგანს ყოველგვარ გადაკრულ სიტყვას და კვლავ თავის ნებისად იქცეოდა.

ოღონდ კრისტოფს არავითარ იმედს არ აძლევდა. მხოლოდ და მხოლოდ მეგობრები იყვნენ. კრისტოფი ისევ ისე მოკრძალებულ-ალერსიანი კილოთი ელაპარაკებოდა. ეს კია, დამალვით არაფერს უმალავდნენ, ხშირად ეთათბირებოდნენ ერთმანეთს. ასე რომ, კრისტოფი ამ სახლში შეუმჩნევლად იქცა ოჯახის ავტორიტეტის მაგვარ ვინმედ. გრაცია უჯერებდა და მისი რჩევის მიხედვით იქცეოდა. სანატორიუმში გატარებულმა ზამთარმა იგი შეცვალა: აქამდე ჯანმაგარს, მღელვარებამ და დაქანცულობამ აშკარა კვალი დაატყო. სულსაც ტვიფარი დაასვა. წინანდებური ხუსტურიანობა კვლავაც თავს იჩენდა ხოლმე, მაგრამ რაღაცნაირი სერიოზული, გულისყურიანი შეიქნა, უფრო ხშირად მოუნდებოდა კეთილი, მორჩილი ყოფილიყო, ტანჯვა არავისთვის მიეყე-

ნებინა. გულს უჩვილებდა კრისტოფის სიყვარული, მისი უანგარობა, სიწმინდე. ფიქრად მოსდიოდა, როდისმე ის დიდი ბედნიერება მიენიჭებინა კრისტოფისათვის, რაზე ოცნებასაც თავად კრისტოფი ვეღარ ბედავდა: ცოლად გაჰყოლოდა მას.

იმის შემდეგ, რაც უარი მიიღო, კრისტოფს აღარასდროს ჩამოუგდია მასთან ლაპარაკი ამის თაობაზე: საამისოდ უფლებამოსილად აღარ თვლიდა თავს, ოღონდ ეს კია, კვლავინდებურად მწარე სინანულს განიცდიდა აუსრულებელი იმედის გამო. მართალია, ფრიად დიდი პატივისცემით ეკიდებოდა ყველაფერს, რასაც მისი მეგობარი ქალი ამბობდა, მაგრამ ქორწინების თაობაზე გამოთქმული სკეპტიკური აზრი ვერ ირწმუნა: კვლავ ჯიუტად სჯეროდა, კავშირი ორი არსებისა, რომელთაც დიდი და კრძალული სიყვარულით უყვართ ერთმანეთი, ადამიანური ბედნიერების მწვერვალიაო. ეს გულისტკივილი კვლავ განუახლდა, როცა მოხუც ცოლ-ქმარ არნოებს შეხვდა.

ქალბატონი არნო ორმოცდაათს გადასცილებოდა. ქმარი სამოცდახუთის თუ სამოცდაექვსისა იქნებოდა. ორივენი გაცილებით უფრო ხნიერები ჩანდნენ. კაცი ჩასქელებულიყო, ქალი კი სულ მთლად მოშმუჭნულიყო. წინათ თუ სუსტი იყო, ახლა ბალახის ღერო გეგონებოდა. როცა არნო პენსიაზე გავიდა, პროვინციაში გადასახლდნენ, იქ საკუთარი სახლი ჰქონდათ. აღარაფერი აკავშირებდათ თანადროულობასთან, არაფერი, გარდა გაზეთებისა, უცვლელი მყუდროებით მოცულ ამ პატარა ქალაქში რომ მოსდიოდათ და მათ, ვისი ცხოვრებაც უკვე მილეულიყო, აწოდებდათ შფოთიანი მსოფლიოს ნაგვიანევ გამოძახილს. ერთხელ გაზეთში კრისტოფის სახელს წააწყდნენ. ქ-ნმა არნომ რამდენიმე გულთბილი, ოდნავ გაპრანჭული სტრიქონი მოსწერა, ამცნობდა, ძალიან გვახარებს თქვენი წარმატებაო. კრისტოფიც ხელად მატარებელში ჩაჯდა და ისე, რომ არაფერი შეუტყობინებია, მათ სანახავად გაეშურა.

ზაფხულის მცხუნვარე შუადღე იდგა, ცოლ-ქმარი ბაღში ნახა: იფნის ტოტების მრგვალ თაღქვეშ თვლემდნენ. ბიოკლინის ბებრებს მიაგავდნენ, ფანჩატურში რომ ჩასძინებიათ ხელიხელჩახვეულნ. მზე, თვლემა, სიბერე მისძალებიათ — ნელ-ნელა იფერფლებიან, ნახევარზე მეტად მარადიულ ძილს მისცემიან უკვე. ოღონდ ბოლომდე გრძელდება, მზის უკანასკნელ სხივივით, მათი სიყვარული — ეს სიყვარული ჭვივის მათ გადაჭდობილ ხელებში, სითბოში, რასაც გამოსცემს მათი დაძაბუნებული სხეულები... კრისტოფის სტუმრობამ დიდად გაახარა ბებრები; მოაგონდათ წარსული. ლაპარაკი ჩამოაგდეს გარდასულ დღეებზე, აგრე მხიბლავი რომ ეჩვენებოდათ შორიდან. არნოს უყვარდა მუსაიფი, მაგრამ სახელები ავიწყდებოდა. ქ-ნი არნო შეახსენებდა ხოლმე. თავად ქ-ნი არნო დუმილს ამჯობინებდა. სხვისი ყურისგდება ერჩივნა, თუმცა წარსულის სურათები კვლავ ცინცხლად შემონახულიყო ამ სიტყვაძუნწი ქალის გულში, შემონახულიყო და ჟამ-ჟამად ისევე გამოილანდებოდა,

როგორც ბრჭყვიალა კენჭები ილანდება ნაკადულის ფსკერზე. იმ მოგონებათაგან იყო ერთი, რომლის ანარეკლი კრისტოფმა არაერთგზის შენიშნა ქ-ნ არნოს სათუთი თანაგრძნობით სავსე თვალებში; ოღონდ სახელი მისი, სახელი ოლივიესი, არ უხსენებიათ! მოხუცი არნო მომეტებულსა და გულის ამაჩუყებელ ყურადღებას იჩენდა ცოლის მიმართ: ღელავდა, არ გამიცივდესო, ვაითუ მზემ დასიცხოსო; მოსიყვარულე და მზრუნველი კაცის თვალებით მისჩერებოდა მჭკნარ ძვირფას სახეს, ქალი კი დაღლილის ღიმილით ცდილობდა, დაემშვიდებინა. გრძნობამორეული კრისტოფი, ცოტა არ იყოს, შურით ადევნებდა მათ თვალს. ერთად ხვდებოდეთ სიბერეს, გიყვარდეს შენს ცოლში ის ნაკვალევიც კი, დროს რომ აღუბეჭდავს. ამბობდე გულში: „ვიცი ეგ ნაოჭები, თვალებქვეშ და ცხვირთან რომ დაგმჩნევია; ვხედავდი, როგორ გიღარავდა სახეს; ვიცი, როდის გაგიჩნდა. ეგ საყვარელი ჭაღარა თმა დღეყოველ გითეთრდებოდა ჩემს თმასთან ერთად, ნაწილობრივ ჩემივე მიზეზით! ეგ ფაქიზი სახე, ზრუნვითა და წვალებით აღსავსე ცხოვრების ბრძმედში გამოვლილს, შეგიშუბდა და დაგიწითლდა. ძვირფასო, კიდევ მეტად მიყვარხარ იმის გამო, ჩემთან ერთად რომ იტანჯებოდი და ბერდებოდი! შენს ყოველ ნაოჭში მომესმის წარსულის მუსიკა“... გრძნობის აღმძვრელი მოხუცები; ხანგრძლივი და გრძელი ერთობლივი ცხოვრების შემდეგ ხელიხელჩაკიდებულნი ვლიან, ერთადვე რომ მიენდონ მარადისი უკუნის სიმშვიდეს. იმათ ხილვამ კრისტოფზე სასიკეთოდაც იმოქმედა და იმავ დროს გულიც დაუმძიმა. ოჰ, რა კარგი იქნებოდა, ასე გეცხოვრა და ასევე დაგხუჭვოდა თვალი!

როცა კვლავ შეხვდა გრაციას, გულმა აღარ მოუთმინა და იმ თავისი სტუმრობის ამბავი მოუთხრო. ოღონდ არ გაუმხელია, რა ფიქრები აღუძრა იმ ცოლ-ქმარმა. ეს ფიქრები გრაციამ თავისით ამოიკითხა მის გულში. კრისტოფი გატაცებით უყვებოდა, შიგადაშიგ თვალს აარიდებდა, ზოგჯერ სიტყვასაც გაწყვეტდა. გრაცია ღიმილით მისჩერებოდა, კრისტოფის მღელვარება მასაც გულს უჩქროლებდა.

იმ საღამოს, მარტო რომ დარჩა თავის ოთახში, გრაცია ოცნებას მიეცა. გუნებაში კრისტოფის ნაამბობს იმეორებდა, ოღონდ თვალწინ იფნის ქვეშ მთვლემარე ის მოხუცი ცოლ-ქმარი კი არ დაუდგებოდა, თავისივე მეგობრის გაუბედავი და მგზნებარე ოცნება აეკვიატებოდა. გული სიყვარულით აღევსო: ლოგინში შეწვა, სანთელი ჩააქრო და ფიქრს აჰყვა:

„ჰო, მართლაც უგუნურებაა, უგუნურება და დანაშაული, ამგვარი ბედნიერება ხელიდან გაუშვა. განა რა უნდა იყოს ამქვეყნად იმაზე უფრო სასიხარულო, ვიდრე ის, რომ გააბედნიერო, ვინც გიყვარს? რაო? განა მიყვარს იგი?..“

გაინაბა, მღელვარედ მიუგდო ყური თავისივე გულის ხმას და ამ ხმამ უპასუხა:

„მიყვარს“.

ამ დროს გვერდით ოთახში, სადაც ბავშვებს ეძინათ, გაისმა მშრალი, ხრინწიანი ხველა, თითქოს ამ ხველას გული უნდა ამოაყოლონო. გრაცია გაფაციცდა. მას შემდეგ, რაც ბიჭი ავად გაუხდა, ერთთავად შეშფოთებული იყო. ბავშვს გასძახა. ბიჭს ისევ ახველებდა, არ გამოპასუხებია. მაშინ ლოგინიდან წამოიჭრა და იმ ოთახს მიაშურა. ბიჭი აღგზნებული იყო, კვნესოდა, ცუდად ვარო ამბობდა; ხველება უვარდებოდა და სიტყვა უწყდებოდა.

— სად გტკივა?

პასუხს არ იძლეოდა. მტკივაო, მხოლოდ ამას ამბობდა.

— დედა გენაცვალოს, გემუდარები, მითხარი, სად გტკივა?

— არ ვიცი.

— აქა გტკივა?

— ჰო. არა. არ ვიცი. ყველაფერიც მტკივა.

უცებ ძლიერი, თითქოს განზრახ გამოწვეული, ხველება აუტყდა. გრაცია შეშინდა, თუმცა ეგონა, ძალად ახველებსო. მაინც მაშინვე უსაყვედურა თავის თავს: აკი ხედავდა, ბავშვი ოფლად გაღვრილიყო და ძლივს სუნთქავდა. ხელი მოხვია, დაუყვავა, თითქოს დააწყნარა კიდეც. ოღონდ წასვლას დააპირებდა თუ არა, ბავშვს კვლავ ხველა აუტყდებოდა. რაღას იზამდა, მთლად შემციოვნული უჯდა სასთუმალთან. იმის ნებაც არ ჰქონდა, გასულიყო და ჩაეცვა, ბიჭის ხელი ხელში უნდა სჭეროდა. მაშინღა გაუშვა ბიჭმა ხელი, როცა ძილმა თავი წაართვა. ადგა და თვითონაც ლოგინში ჩაწვა. გაფიჩხებული იყო, შფოთით მოცული და გაწამებული. აღარ შეეძლო, იმ თავის ოცნებებს მიჰბრუნებოდა.

ბავშვს ჰქონდა საოცარი უნარი, გამოეცნო დედამისის ფიქრები. ერთი სისხლის ადამიანები საკმაოდ ხშირად ამჟღავნებენ ამ თანდაყოლილ ალღოს, თუმცა აგრე გამახვილებული როდი აქვთ იგი. თვალის ერთი შევლება და უკვე იციან, რას ფიქრობს მეორე: ათასნაირი ძლივს შესამჩნევი ნიშნით ხვდებიან ამას. ამ უნარს, რასაც ავითარებს ერთად ცხოვრება, ლიონელოს უმახვილებდა ნიადაგ ყელზე მომდგარი ბრაზი. სიავისადმი მისწრაფებას გამჭრიახი გაეხადა იგი. კრისტოფი დასანახავად ეჯავრებოდა. რატომ? რატომ გრძნობს ხოლმე ბავშვი ზიზღს მავანი ადამიანისადმი, ვისაც ცუდი არაფერი უყვია მისთვის? ხშირად ეს შემთხვევითი ამბავია. თუ ბავშვს ერთხელაცაა აეკვიატა ესა და ეს კაცი მეჯავრებაო, მერმე ეს აზრი ძვალ-რბილში გაუჯდება; რაც უფრო მეტად დატუქსავთ, მით უფრო გაგიჯიუტდებათ; თავდაპირველად თავს ისე აჩვენებს, ვითომც მძულსო, ბოლოს კი მართლაც სიძულვილით განიმსჭვალება. მაგრამ ზოგჯერ ეს არის უფრო ღრმა მიზეზების შედეგი, რაც აღემატება ბავშვის მიხვედრას; მას ეჭვიც კი არაფრისა აქვს. დაინახა თუ არა გრაფ ბერენის ვაჟიშვილმა კრისტოფი, პირველი დღეებიდანვე მტრული გრძნობა გაუჩნდა ამ კაცის მიმართ, ვინაც დედამისს უყვარდა. და იმ ჟამს, როცა გრაციამ გაიფიქრა, ცოლად გავყვებიო კრისტოფს, თითქოს გუმანით იგრძნო

ეს. ამ წუთიდან მოყოლებული ორივეს გამუდმებით უთვალთვალებდა. ნიადაგ მათ სიახლოვეს ტრიალებდა. კრისტოფს რომ მოსულს ნახავდა, მისაღებ ოთახში დაერჯობოდა და ფეხს აღარ მოიცვლიდა, ან არადა შეეცდებოდა, უეცრივ შეჭრილიყო იმ ოთახში, სადაც ორივენი ისხდნენ. კიდევ მეტი, როცა მარტო დარჩენილი დედამისი კრისტოფზე ფიქრობდა, თითქოს ალღოთი ხვდებოდა ამას. გვერდით მოუჯდებოდა და თვალს არ აცილებდა. ეს მზერა ისე შეაწუხებდა გრაციას, ლამის იყო სახე ალანძვოდა. წამოდგებოდა, დარცხვენა არ შემამჩნიოსო. ლიონელოს სიამოვნებას ჰგვრიდა, როცა დედის გასაგონად შეურაცხმყოფელ რასმე იტყოდა კრისტოფის მისამართით. დედა გაჩუმებას სთხოვდა. ბიჭი თავისას არ იშლიდა. თუ დასჯას დაუპირებდა დედამისი, ადგებოდა და დაემუქრებოდა, ავად გავხდებიო. ამ ფანდს პატარაობიდანვე წარმატებით იყენებდა. პატარაობისას რაღაცის გამო დატუქსეს. ისიც ადგა და შურისგების საშუალება მოიგონა: ტანთ გაიხადა და ტიტლიკანა გაწვა ციცა იატაკზე, დაე გავცივდეო. ერთხელ კრისტოფმა მუსიკალური ნაწარმოები მოიტანა, გრაციას დაბადების დღის აღსანიშნავად დაეწერა, — ბიჭმა უმალვე ხელთ იგდო ხელნაწერი და სადღაც გააქრო. მერმე ნაკუწებად ქცეული იპოვეს შეშის ჩასაწყობ ყუთში. გრაციას მოთმინების ძაფი გაუწყდა და მკაცრად გაკიცხა ბავშვი. მაშინ ბავშვმა ტირილი მორთო, ყვიროდა, ფეხებს აბაკუნებდა, იატაკზე გორაობდა, ნერვული შეტევა დაემართა. გრაციას შიშის ზარი დაეცა, დაწყნარდიო, ემუდარებოდა, რასაც ისურვებ, ყველაფერს შეგისრულებო.

იმ დღიდან მოყოლებული იგი ვითარების ბატონ-პატრონი შეიქნა. მშვენივრად ესმოდა ეს ამბავი და არაერთგზის მიმართა კიდევ ნაცად საშუალებას. ვერასოდეს იტყოდი, მართლა შეტევა ჰქონდა თუ თვალთმაქცობდა. სიანჩხლე მარტო მაშინ კი არ მოუვლიდა, როცა ეურჩებოდნენ და ამის გამო სამაგიეროს გადახდას ცდილობდა, ამ ხერხს უბრალოდ ჯავრის საყრელადაც იყენებდა, თუ დედამისი და კრისტოფი საღამოს ერთად გატარებას დააპირებდნენ. გაუტკბა ეს მზაკვრული თამაში და ზოგჯერ ისე, ტყუილუბრალოდაც თამაშობდა, პრანჭიობის ეშხით, რა არის შეეტყო, რაოდენ დიდია ჩემი ძალაუფლებაო. რა უცნაურს ნერვულ შეტევას არ მოიგონებდა, რაგვარ გამომგონებლობას არ იჩენდა: ხან სადილობისას კრუნჩხვა მოუვლიდა, ჭიქა გადმოუვარდებოდა და თეფში გაუტყდებოდა; ხან კიდევ, კიბეზე რომ ადიოდა, უეცრივ მოაჯირს მიებღაუჭებოდა, თითები დაეკრუნჩხებოდა, ვერაფრით გამიშლიაო, ირწმუნებოდა; ხანაც უცებ ფერდის ტკივილი გაამწარებდა, ყვირილით გორაობდა იატაკზე: ან არადა სული ეხუთებოდა. რაღა თქმა უნდა, ბოლოს და ბოლოს მართლაც ნერვული სენი გაიჩინა. ოღონდ შრომამაც ფუჭად როდი ჩაუარა. კრისტოფი და გრაციანა საშინლად შეშფოთდნენ. მათი მშვიდი შეხვედრები — წყნარი ბაასი, კითხვა, მუსიკა, ყოველივე, რითაც ხარობდნენ — მთელი ეს ბედნიერება ამიერიდან მოწამლული ჰქონდათ.

თუმცაღა დროდადრო სულის მოთქმის საშუალებასაც აძლევდათ ეს პატარა გაიძვერა: ეგების ღლიდა თავისი როლი, ან იქნებ ბალღური ბუნება ძლევდა და სხვა რამ მიიზიდავდა (ახლა უკვე სჯეროდა თავისი გამარჯვებისა).

მაშინ გრაცია და კრისტოფი დროს იხელთებდნენ ხოლმე. ასე მოხელებული ყოველი საათი მეტად ძვირფასად ეჩვენებოდათ, რაკი დარწმუნებულნი არ იყვნენ, ეს სანეტარო ჟამი დიდხანს თუ გაგრძელდებოდა. რარიგ გძნობდნენ მაშინ ერთმანეთის სიახლოვეს! რატომ არ შეიძლება, მუდამ გაგრძელდეს ეს სიახლოვე? ერთხელ გრაციამ სინანულიც კი გამოთქვა ამის გამო.

— მართლადა, რატომ? — ჰკითხა კრისტოფმა.

— მშვენივრად იცით ეს, ჩემო მეგობარო, — მიუგო გრაციამ და სევდიანად გაიღიმა.

კრისტოფმა იცოდა მიზეზი. იცოდა, ვაჟიშვილის გულისთვის მსხვერპლად რომ იღებდა გრაცია მათს ბედნიერებას; იცოდა, ლიონელოს თვალთმაქცობით სულაც არ ტყუვდებოდა იგი და მაინც იმ ბიჭზე რომ ამოსდიოდა მზე და მთვარე; უწყოდა, ეგრე სჩვევიაო ოჯახური სიყვარულისთვის ნიშნეულ ამ ბრმა ეგოიზმს; საუკეთესო ხალხს რომ აიძულებს, სისხლით ახლობელ უღირს და უხეირო ადამიანს შეალიონ თავგანწირვის უნარი, ასე რომ, სანაცვლოს ველარ მიაგებენ უფრო ღირსეულს, იმას, ვინც ყველაზე მეტად უყვართ, მაგრამ სისხლით სხვა არის. და თუმცა კრისტოფს აღაშფოთებდა ეს ამბავი, ზოგჯერ სურვილიც წამოუვლიდა, მოესპო ეს პატარა საზარელი არსება, ამათ რომ სიცოცხლეს უწამლავდა, მაინც უსიტყვოდ ემორჩილებოდა ბედს, ესმოდა, გრაციას სხვაგვარად მოქცევა არ შეუძლიაო.

მეტისმეტ ჩივილს არ მოჰყოლიან, ორივენი თავგანწირვის გზას დაადგნენ. თუ წილხვედრი ბედნიერება მოჰპარეს, სამაგიეროდ ვერაფერი მოუშლიდათ გულების კავშირს. თვითაღკვეთა, ეს ორმხრივი მსხვერპლი, უფრო მტკიცედ აერთებდათ, ვიდრე სხეულისმიერი კავშირი შეაკავშირებდათ. თავთავიანთ დარდს ერთიმეორეს უზიარებდნენ. ერთი თავის სადარდებელს მეორეს ატვირთვინებდა, მეორისას კი თავს იდებდა, — ასე რომ, მწუხარებაც კი სიხარულით შეეცვლებოდათ. კრისტოფი გრაციას „თავის სულიერ მამას“ უწოდებდა. გრაციას თავის სუსტ მხარეებსაც არ უმალავდა. დიდი წუხილით ინანიებდა მათ, გრაცია კი ღიმილით უმშვიდებდა სინდისს ამ ბებერ ბალღს. კრისტოფმა თავისი ნივთიერი გაჭირვების ამბავიც კი გაუმხილა. ესეც კია, მას შემდეგლა გაბედა ამის გამხელა, როცა მტკიცედ შეთანხმდნენ, გრაცია არაფერს შემოსთავაზებდა, კრისტოფი კი არაფერს აიღებდა მისგან. ეს იყო სიამაყის უკანასკნელი ზღუდე, რაც კრისტოფს შეენარჩუნებინა და რის გადალახვასაც გრაცია არ ცდილა. გრაციამ, რაკიღა აუკრძალეს, ეზრუნა მეგობრის ნივთიერი შეძლებისათვის, სამაგიეროდ მოახერხა, კრისტოფის მიმართ გამოეჩინა ის, რაც ამ უკანასკნელისათვის ათასჯერ უფრო მნიშვნელოვანი იყო, — გამოეჩინა თავისი მოსიყვარულეობა. ყოველ წუთს გრძნობდა კრისტოფი ამ სა-

თუთ მოპყრობას; დილდილობით, თვალის გახელისას, თუ ძილის წინ, უსიტყვო ლოცვას წარმოთქვამდა სიყვარულისას და თაყვანებისას. გრაცია კი, როცა დილით გამოიღვიძებდა ან კიდევ ღამით ძილი გაუფრთხებოდა, ჩურჩულებდა ხოლმე: „ჩემი მეგობარი ფიქრობს ჩემზე“.

და საოცარი სიმშვიდე დაეუფლებოდა ორივეს.

ამავე დროს გრაციას სულ უფრო მეტად ღალატობდა ჯანმრთელობა. ხშირად ლოგინში იწვა ანდა მთელ დღეებს ტახტზე წამოწოლილი ატარებდა. კრისტოფი ყოველდღე ნახულობდა, ბაასობდნენ, ერთად კითხულობდნენ. კრისტოფი თავის ნაწარმოებებს უჩვენებდა ხოლმე. მაშინ გრაცია წამოდგებოდა და ფორტეპიანოს მიუჯდებოდა. ახალმოტანილ ნაწარმოებს დაუკრავდა. ამაზე მეტ სიხარულს რაღა მიანიჭებდა კრისტოფს. გრაცია და სესილი ყველაზე ნიჭიერნი იყვნენ მის მოწაფეებს შორის. ოღონდ სესილი თუ ინსტინქტურად გრძნობდა მუსიკას, ისე, რომ თითქმის არ ესმოდა, გრაცია მშვენიერ, გააზრებულ ჰარმონიულ ენად აღიქვამდა მას. დემონურობა, ცხოვრებასა თუ ხელოვნებაში თავჩენილი, მთლიანად ეპარებოდა მხედველობიდან; მუსიკაში თავისი სათუთი სულის სინათლე შეჰქონდა და ეს სინათლე კრისტოფის შემოქმედებაშიც ატანდა. გრაციას დაკვრა კრისტოფს ხელს უწყობდა, უკეთ გაეცნობიერებინა მის მიერვე გამოხატული ბნელი ვნებები. თვალებმიხუჭული უსმენდა, და თითქოს ხელი ხელში ჩაუვლიაო გრაციასათვის, მიჰყვებოდა მას საკუთარი აზრისავე ლაბირინთიანი გზით. საკუთარ მუსიკას გრაციას სულის მეშვეობით რომ შეიგრძნობდა, ერწყმოდა კიდეც ამ სულს, ეუფლებოდა მას. ეს იდუმალი კავშირი წარმოშობდა მუსიკალურ ქმნილებებს, თითქოსდა მათი სიახლოვის ნაყოფს რომ წარმოადგენდა. ერთხელ, როცა გრაციას მიართვა თავის ნაწარმოებთა კრებული — ნაყოფი მათივე სულიერი სიახლოვისა — კრისტოფმა დასძინა:

— აი, ჩვენი შვილები.

გულისთქმათა ერთიანობა, როცა ერთად იყვნენ და გინდაც დაშორებულნი ყოფილიყვნენ; სიამე ძველებური სახლის სიწყნარეში გატარებული საღამოებისა; სახლი, შექმნილი თითქოსდა გრაციას ხატად და მსგავსად, სადაც ორ ჩუმს, მუყაითსა და ერთგულ მსახურს ლამის კრისტოფისათვის მიეგო ნაწილი იმ პატივისცემისა და სიყვარულისა, რითაც გამსჭვალულნი იყვნენ თავიანთი ქალბატონის მიმართ. საამურია, ერთად უსმენდე საათის რეკას და თვალს მიადევნებდე ცხოვრების დენას. გრაციას უქეიფობა ბზარავდა ამ ბედნიერებას. მიუხედავად სისუსტისა, გრაცია ისეთი სხივმომფინარე ჩანდა, ფარული ტანჯვა მხოლოდ მომხიბლაობას ჰმატებდა. კრისტოფი მას უწოდებდა „თავის წამებულ, სახეცისკროვან სათუთ მეგობარს“. ზოგჯერ საღამოს, როცა გრაციასგან შინმობრუნებულს ვეღარ გაეძლო, დაჯდებოდა და მისწერდა, რათა მიემცნო:

„Liebe, liebe, liebe, liebe, liebe Grazia...[1]“.

ეს უდრტვინველი სიმშვიდე რამდენიმე თვეს გრძელდებოდა. ეგონათ კი, მუდამ ასე გაგრძელდებაო. ბიჭს თითქოს დავიწყებოდა ესენი — სხვა რამით იყო გართული. მაგრამ შესვენების შემდეგ ძველებური ოინები გაიხსენა და საშველს აღარ აძლევდა ამათ. ამ პატარა ეშმაკუნამ განიზრახა, დაეცილებინა დედამისი და კრისტოფი. კვლავინდებურად ოინბაზობდა. განათუ წინასწარ მოფიქრებული გეგმით მოქმედებდა, ყოველდღე ახალ-ახალ ეშმაკობას იგონებდა, რასაც სიავე ჩააგონებდა. აზრადაც არ მოსდიოდა, რა ბოროტებას ჩადიოდა: სიცოცხლეს გიმწარებდა და ამით ერთობოდა. მაშინღა მოისვენა, როცა დედამისს ბოლოს და ბოლოს პირობა ჩამოართვა, პარიზს დატოვებდნენ და შორეულ ქვეყნებში სამოგზაუროდ წავიდოდნენ. გრაციას არ ჰქონდა წინააღმდეგობის გაწევის ფავი. თანაც ექიმები ურჩევდნენ, რამდენიმე თვე ეგვიპტეში გაეტარებინა, ჩრდილოური ზამთრისათვის თავი გაერიდებინა. ბევრი რამ იყო იმის მიზეზი, გრაციას რომ ჯანმრთელობა შეერყა: ბოლო წლებში განცდილი ელდა, მუდმივი მღელვარება შვილის ჯანმრთელობის გამო, გაურკვევლობა, შინაგანი ჭიდილი, სინდისის ქენჯნა იმ ტანჯვის გამო, რასაც მეგობარს აყენებდა. კრისტოფი ხედავდა, როგორ ახლოვდებოდა განშორების დღე, მაგრამ ტკივილს არ ამხელდა, რადგან გრძნობდა, რა ხდებოდა გრაციას გულში და არ უნდოდა, კიდევ მეტად გაეწამებინა. არაფერი უღონებია, რათა გამგზავრების ვადა გადაეწევინებინა. ორივეს ისე ეჭირა თავი, გეგონებოდა, მშვიდად არიანო, თუმცა სიმშვიდეს სულაც არ გრძნობდნენ; ოღონდ ეს იყო, ერთმანეთს არ ამჩნევინებდნენ არაფერს.

დადგა განშორების დღეც. სექტემბრის დილა იყო. ჯერ კიდევ შუა ივლისში ერთად წავიდნენ პარიზიდან, უნდოდათ, გამგზავრებამდე დარჩენილი ბოლო რამდენიმე კვირა შვეიცარიაში გაეტარებინათ, მაღალმთიან სასტუმროში, იმ ადგილის მახლობლად, სადაც ერთმანეთს შეხვდნენ ექვსი წლის წინათ.

ხუთი დღის განმავლობაში გარეთ ფეხი ვერ გამოედგათ. გადაუღებლივ წვიმდა, თითქმის მარტონი დარჩნენ სასტუმროში, — დამსვენებელთა უმრავლესობა წავიდ-წამოვიდა. იმ ბოლო დღეს წვიმამ როგორც იქნა გადაიღო, ოღონდ მთები ისევ ღრუბლებში იყო გახვეული. ბავშვები მოსამსახურესთან ერთად უფრო ადრე გაემგზავრნენ პირველი ეკიპაჟით. მალე გრაციაც გაემზადა. კრისტოფი იმ ალაგამდე გაჰყვა, საიდანაც გზა კლაკნილად ეშვებოდა იტალიის ბარისაკენ. ნესტისაგან გათოშილნი ისხდნენ თავახდილ ეკიპაჟში, მჭიდროდ მიჰკვროდნენ ერთმანეთს, ხმას არ იღებდნენ, თითქმის არც იცქირებოდნენ ერთიმეორისკენ; გარს ეკრათ ბინდიანი სინათლე — გაგიჭირდებოდა გეთქვა, დღე იყო თუ ღამე. გრაციას პირბადე დაენამა სუნთქვისაგან. კრის-

[1] საყვარელო, საყვარელო, საყვარელო, საყვარელო, საყვარელო გრაცია (გერმანული).

ტოფი ხელს უჭერდა. პატარა ხელზე, გათოშილი ხელთათმანის წიაღ შეიგრძნობდა ქალის სითბოს. ერთმანეთს შეხედეს. კრისტოფმა სანუკვარ ტუჩებზე აკოცა დანამული პირბადის მიღმა.

გზის საქცევს მიაღწიეს. კრისტოფი ჩამოხტა. ეტლი ჯანღს შეერია. მალე თვალთაგან გაქრა. ჯერ ისევ მოისმოდა ბორბლების ხმაური და ცხენების ფლოქვთა ხმა. სქელი თეთრი ნისლი ებურა მდელოებს. ძლივს გამოკრთოდა გაშეშებული ხეები, რტოებიდან წვეთები წკუმპლავდა. ჩქამი არ ისმოდა. ჯანღს მოეცვა ცხოვრება. კრისტოფი შედგა, სუნთქვა ეკვროდა... არარა სუფევდა. დასრულებულიყო ყოველივე...

კრისტოფმა ღრმად შეისუნთქა ნისლი და გზა განაგრძო. არცრა დასრულებულა იმისთვის, ვისაც სული უდგას.

ნაწილი მესამე

განშორება მხოლოდ აძლიერებს იმათ მეუფებას, ვინც გვიყვარს. გულს შემოუნახავს ოდენ ყველაზე ძვირფას, ყველაზე უკეთეს მოგონებათა ხსოვნა. ნახმევი ყოველი სიტყვისა, სივრცეთა წიაღ რომ მოღწეულა შორეული მოყვასისაგან, კრძალულ თრთოლასა გგვრის ირგვლივ გამეფებულ სიჩუმეში.

კრისტოფისა და გრაციას მიწერ-მოწერაში გაბატონდა მშვიდი და თავშეკავებული კილო მეგობრებისა, რომელთა სიყვარულს აღარ ემუქრებოდა საშიში განსაცდელი, — ეს ყოველივე წარსულს ჩაჰბარებოდა და ახლა ისინი ხელიხელჩაკიდებულნი თავდაჯერებით მიუყვებოდნენ თავიანთ გზასავალს. თითოეული მათგანი საკმაოდ ძლიერი იყო საიმისოდ, , დახმარება და წინამძღვრობა გაეწია მეორისათვის, იმავე დროს კი საკმაოდ სუსტი გახლდათ, რათა ნება მიეცა მეორისთვის, დამეხმაროს და მიწინამძღვროსო.

კრისტოფი პარიზს დაბრუნდა. აღარ მივბრუნდებიო იქ, გულში პირობა ჰქონდა დადებული. მაგრამ რა დიდი ბედენაა ამგვარი პირობა? იცოდა, ჯერ ისევ იპოვიდა იქ გრაციას აჩრდილს. გარემოება კი წინ აღუდგა მის ფარულ საწადელს და პარიზში განუმზადა ახალი ვალი, რაიც უცილოდ უნდა აღესრულებინა. კოლეტმა, ვინაც იცოდა მაღალი საზოგადოების ჭორები, კრისტოფს ამცნო, შენი ნორჩი მეგობარი ჟანენი სისულელეთა ჩადენას აპირებსო. ჟაკლინი მუდამ დიდ გულჩვილობას იჩენდა ვაჟიშვილის მიმართ და უკვე აღარც ცდილობდა მის მოთოკვას. თავადვე მძიმე კრიზისს განიცდიდა, მხოლოდ თავის თავზე ფიქრობდა, ჟორჟის მისახედავად არ ეცალა.

ჟაკლინი ფრიად სადად და განმარტოებულად ცხოვრობდა იმ სამწუხარო ამბის შემდეგ, რამაც მას ქორწინება გაუცამტვერა და ოლივიეს ცხოვრება აუწეწა. პარიზელი საზოგადოებისაგან თავი განზე ეჭირა. საზოგადოებამ ჯერ იყო, კარანტინის მაგვარი რამ მოუწყო თვალთმაქცურად, მერმე კი კვლავ მოუშლელი თავაზიანობით ეპყრობოდა. ჟაკლინი ამ ადამიანებისადმი სულაც სირცხვილს არ გრძნობდა თავისი საქციელის გამო. აგრე მიაჩნდა, ვალდებული არა ვარ, იმათ ანგარიში ჩავაბარო, რამეთუ ჩემზე უდარესნი არიანო. რაც თვითონ აშკარად ჩაედინა, იმას ნაცნობი ქალების ნახევარი მალულად, ოჯახურ კერას ამოფარებული ჩადიოდა. მხოლოდ ის უდაგავდა გულს, მწუხარება რომ დაატეხა თავის საუკეთესო მეგობარს, ერთადერთ მამაკაცს, რომელიც უყვარდა. ვერ ეპატიებინა თავისი თავისათვის, ამგვარი გრძნობა რომ ასე დაასამარა ამ უბადრუკ ქვეყანაზე.

თანდათან ეს სინანული, ეს გულისტკივილი გაუნელდა, — შემორჩა მხოლოდ ჩუმი ტანჯვის გრძნობა, უსაზღვრო ზიზღი საკუთარი თავისა და სხვების

მიმართ და ვაჟიშვილის სიყვარული. ამ სიყვარულით სულდგმულობდა და მიტომაც ფიანდაზად ეგებოდა ჟორჟს. არ შეეძლო, მისი ხუსტურისათვის წინააღმდეგობა გაეწია. ამ სისუსტის გასამართლებლად თავს ირწმუნებდა, ოლივიეს წინაშე რომ დანაშაული მიმიძღვის, ამგვარად გამოვისყიდიო. ეგზალტირებული მოსიყვარულების პერიოდს მოჰყვებოდა დაქანცულობისა და გულგრილობის ჟამი. ხან თავს აბეზრებდა ჟორჟს მომთხოვნელობითა და ფეთიანი სიყვარულით, ხან კი თითქოს გაუჭირდებოდა ამ ტვირთის ზიდვა და სრული თავისუფლების ნებას აძლევდა. ეწამებოდა, რადგან მშვენივრად ესმოდა, ცუდი აღმზრდელი ვარო, ოღონდაც ვერაფერი გაეწყო. ერთი-ორჯერ სცადა, აღზრდის საკუთარი პრინციპები ოლივიეს იდეებისათვის მიესადაგებინა, მაგრამ სამწუხარო შედეგი მიიღო: ეს მორალური პესიმიზმი ვერც თვითონ იგუა, ვერც მისმა შვილმა. კაცმა რომ თქვას, მხოლოდ ერთი რამ ეწადა: ვაჟიშვილს ჰყვარებოდა. არც გაემტყუნებოდა, რადგან ამ ორ ადამიანს, თუმცა დიდად ჰგვანდნენ ერთმანეთს, მხოლოდ გულისმიერი კავშირი აერთებდა. ჟორჟ ჟანენი დედის ფიზიკურ მომხიბვლელობას ემორჩილებოდა: მოსწონდა მისი ხმა, მისი ჟესტი, მისი მიხრა-მოხრა, მისი ალერსი, მოსიყვარულება. ოღონდ გრძნობდა, სული რომ ეუცხოებოდა დედამისის. ჟაკლინმა მხოლოდ მაშინ შენიშნა ეს, როცა ჟორჟი შეღერდა და დაშორდა მას. შენიშნა და გაკვირდა, სხვა ქალის გავლენას დააბრალა ეს გაუცხოება. მოუქნელად ცდილობდა დაეძლევინებინა ეს ზეგავლენა, ოღონდ ამით კიდევ უფრო დაიშორა ვაჟი. სინამდვილეში, ნიადაგ გვერდიგვერდ რომ ცხოვრობდნენ, თავთავიანთი საქმით რომ იყვნენ გართულნი, ილუზიას იქმნიდნენ და ვერ ამჩნევდნენ, რა თიშავდათ, ვერ ამჩნევდნენ, რამეთუ ერთი ჰქონდათ ფრიად ზერელე სიმპათიისა თუ ანტიპათიის გრძნობები, რომელთაგან კვალიც არ დარჩენილა, როცა ბავშვი (ეს გაურკვეველი არსება, ჯერ ისევ მთლად გაღენთილი ქალის სუნით) დაუბუკდა. ჟაკლინმა გულისტკივილით უთხრა ვაჟს:

— ნეტა ვის დაემსგავსე. არც მამაშენს ჰგავხარ, არც მე.

ამრიგად, კიდევ უფრო მეტად აგრძნობინებდა, რარიგ უცხონი იყვნენ ერთიმეორისათვის; ჟორჟი იდუმალ ამაყობდა ამით და იმავე დროს გაურკვეველ შეშფოთებასაც განიცდიდა.

მომდევნო თაობა მუდამ უფრო ძლიერად გრძნობს ხოლმე იმას, რაც წინასაგან მიჯნავს, ვიდრე იმას, რაც მასთან აერთებს. აგრე სჭირდებათ თვითდამკვიდრებისათვის, გინდაც ამას უსამართლობის ანდა თავის მოტყუების ფასად აღწევდნენ. ეს გრძნობა, ეპოქისდა კვალობაზე, მეტ-ნაკლებად გამძაფრებულია. კლასიკურ ხანაში, როცა დროებით წონასწორობა მყარდებოდა ერთი რომელიმე ცივილიზაციის ძალებს შორის, ისეთ ხანაში, მაღალი მთის ზეგანს რომ მოგვაგონებს ციცაბოფერდობიანს, განსხვავება თაობებს შორის არც ისე საჩინოა. მგრამ აღორძინებისა და დაქვეითების ხანაში ის ახალგაზრდები, აღმა რომ მიუყვებიან ბრუდამხვევ ციცაბო ფერდობს, ან კიდევ თავქვე

ჩამოსდევენ დამრეცს, დიდად ჩამოიტოვებენ ხოლმე თავიანთ წინამორბედთ. ჟორჟი და მისი ტოლები აღმა მიუყვებოდნენ მთას.

ჭკუით ან ხასიათით გამორჩეულიაო, ჟორჟზე ვერ იტყოდით: ერთნაირი უნარი ჰქონდა ყველაფრისა, ვერა მხრივ ვერ ასცილებოდა ნატიფი საშუალოობის დონეს. და მაინც პირველი ნაბიჯების გადადგმისთანავე მამამისზე რამდენიმე საფეხურით მაღლა მდგარი აღმოჩნდა ისე, რომ განსაკუთრებული ძალისხმევა არ დასჭირვებია საამისოდ. მამამისს ხომ უზღვავი სულიერი და ფიზიკური ენერგია დაეხარჯა ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე.

აეხილა თუ არა გონების თვალი, ირგვლივ შენიშნა ეს სიბნელე, თვალისმომჭრელი სინათლე რომ გაკვეთდა ხოლმე, ეს უღრანი საცნაურისა თუ იდუმალისა, მტრული ჭეშმარიტებებისა, წინააღმდეგობრივი ცდომილებებისა, რომელთა შორის ციებცხელებიანივით ეხეტებოდა მამამისი. ოღონდ ჟორჟმა უმალვე შეიგნო, ოლივიესათვის უცნობი ერთი იარაღი რომ ჰქონდა ხელთ, — თვისივე ძალა...

მერედა, საიდან გამოაჩნდა? ესაა გვარის აღორძინების საიდუმლო, გვარისა, გამოფიტული რომ არის და დაშრეტის პირამდე მისულა, მაგრამ უეცრივ სიცოცხლის ძალას მოიცემს და პირთამდე აივსება გაზაფხულის მთის ნაკადივით! რას მოახმარს ამ ძალას? ხელს მოჰკიდებს თუ არა თანადროული აზრის უღრანების კვლევას? არა, ამგვარი საქმიანობა სრულებით არ იზიდავდა, გრძნობდა, იქ ბევრი ხიფათი უდარაჯებდა. აკი ამან დაღუპა მამამისი. უმალ ცეცხლს მისცემდა ამ უსიერ ტევრს, ვიდრე შეეცდებოდა კვლავ შეეღწია მის ტრაგიკულ სიღრმეში. ჰაიჰარად ჩახედა სიბრძნისა და წმიდათაწმიდა სიგიჟის წიგნებს, იმათ, ოლივიე რომ ეწაფებოდა ოდესღაც: ტოლსტოის ნიჰილისტურ გულმოწყალებას, იბსენის პირქუშ, გამაცამტვერებელ მზვაობრობას, სიშმაგეს ნიცშესი, ვაგნერის გმირულსა და გრძნობისმიერ პესიმიზმს. ჟორჟმა რისხვითა და შიშისზარით აქცია მათ ზურგი. სძულდა თაობა რეალისტური მწერლებისა, რომლებმაც ბოლო ნახევარი საუკუნის მანძილზე ჩაკლეს წმინდა ხელოვნების სიხარული. თუმცაღა მთლად ვერ განეშორებინა ნაღვლიანი ოცნების ბუნდოვანი აჩრდილები, ოცნებისა, მის ბავშვობას რომ უნანავებდა. არ უნდოდა უკან მიხედვა, ოღონდ იცოდა, უკან რომ აჩრდილი ედგა. ერთობ ჯანსაღი იყო საიმისოდ, თავისი დაუდგრომლობისათვის გამოსავლად დაეგულებინა წინა ეპოქის დუნე სკეპტიციზმი; ზიზღს ჰგვრიდა რენარისა და ანატოლ ფრანსის დილეტანტურობა, თავისუფალი გონების წარყვნილობა, უსიხარულო სიცილი, სიდიადეს მოკლებული ირონია, — ყველა ეს სამარცხვინო საშუალება, მხოლოდ მონებს რომ გამოადგებოდათ, იმ მონებს, რომლებიც ბორკილებს დააყღარუნებენ, ბორკილთა მოშორება კი არ ძალუძთ.

მეტისმეტად ძლიერი იყო, დაეჭვებას რომ დასჯერებოდა, ოღონდ მეტისმეტად სუსტი, რათა სათავისოდ რწმენა შეექმნა, — ისწრაფოდა კია რწმენისკენ, სწყუროდა იგი! გული მისი იაჯდა, იმუდარებოდა, მოითხოვდა. და მუდამ

პოპულარობისათვის დაქიჩმაჩებულნი — ყალბად განდიდებული მწერლები, ყალბად განდიდებული მოაზროვნენი, უდარაჯებდნენ და ექსპლუატაციას უწევდნენ ამ დაუოკებელსა და მტანჯველ წადილს, დაფდაფების გრიალში ცამდე აჰყავდათ თავიანთი თაღლითური წამალი. თითოეული ამ ჰიპოკრატეთაგანი[1] თავისი ფარდულის მაღალ ფიცარნაგზე შესკუპებული გაჰყვიროდა, ჩემი ელექსირი არისო საუკეთესო, უებარი, ყველა დანარჩენს კი აძაგებდა. მაგრამ ის საიდუმლო საშუალებები გახვრეტილ ფარადაც არ ღირდა. არც ერთი ეს ვაჭრუკანა არ გარჯილა საიმისოდ, ახალი რეცეპტი ეპოვა. ნაყარ-ნუყარს შორის გამოექექათ ძალადაკარგულ წამლებიანი შუშები. ერთი უებარ საშუალებად აცხადებდა კათოლიკურ ეკლესიას, მეორე — კანონიერ მონარქიას, მესამე — კლასიკურ ტრადიციას. მათ შორის მოიძევებოდნენ ისეთი ხუმარებიც, რომლებიც ამტკიცებდნენ, ლათინურთან მიბრუნება ყველა ბოროტებისაგან გვიხსნისო. ზოგნი კი ხმელთაშუაზღვისეული სულის ბატონობას ქადაგებდნენ სერიოზული იერითა და გადაჭარბებული ენამზეობით, რაც ნღობას უნერგავდა ბუზიყლაპიებს (სხვაგვარ ვითარებაში ასეთივე დამაჯერებლობით გააბამდნენ ლაპარაკს ატლანტური სულის თაობაზე!) ჩრდილოელ და აღმოსავლელ ბარბაროსთა საპირისპიროდ, ისინი საზეიმოდ აცხადებდნენ თავიანთ თავს ახალი რომის იმპერიის მემკვიდრეებად. სიტყვები, სიტყვები, თანაც ნასესხები სიტყვები: ღია ცისქვეშ სხაპასხუპით გადმოგილაგებდნენ ბიბლიოთეკებში დაუნჯებულ დიდ სიბრძნეს. ახალგაზრდა ჟანენი მისი ამხანაგებივით ხან ერთ ვაჭრუკანას მიეახლებოდა, ხან მეორეს, ყურს უგდებდა, როგორ ეპატიჟებოდნენ ისინი მუშტრებს ძახილით: ზოგჯერ ცდუნება გადასძლევდა, ფარდულში შევიდოდა, იქიდან კი იმედგაცრუებული და, ცოტა არ იყოს, სირცხვილნაჭამი გამოდიოდა: ამაოდ დაეხარჯა ფული და დრო. იქ მხოლოდ ძველი ჯამბაზები ეხილა გაცვეთილი ტრიკოთი მოსილი. და მაინც ისერიგად ძლიერი იყო ჭაბუკური ილუზიები, ისერიგად სჯეროდა, რწმენას ვპოვებო, რომ გაიგონებდა თუ არა იმედებით მოვაჭრეთა ყოველ ახალ დაპირებას, უმალ ანკესზე წამოეგებოდა. ჟორჟი ნამდვილი ფრანგი გახლდათ: მეამბოხური განწყობილება და წესრიგის თანდაყოლილი სიყვარული მოსდგამდა. ბელადი სჭირდებოდა, ვერ იტანდა ვერავითარ მეუფროსეებს: დაუნდობელი ირონიით ნესტრავდა მათ.

ელოდა, ვინ შესთავაზებდა გამოცანის ამოხსნას... ოღონდ ლოდინისათვის არ ეცალა. იმ ადამიანთა გვარს როდი ეკუთვნოდა, მამამისის დარად მთელი სიცოცხლის მანძილზე რომ შეეძლოთ, ჭეშმარიტების ძიებას დასჯერებოდნენ. მისი ჭაბუკური, მჩქეფარე ძალა სადინარს ეძებდა. უნდოდა, რამე გაეკეთებინა, სულ ერთია, ექნებოდა საამისო საბაბი თუ არ ექნებოდა. ემოქმედა, გამოეყენებინა თვისი ენერგია, დაეხარჯა იგი. მოგზაურობა, ტკბობა ხელოვნებით, მეტადრე — მუსიკით, რასაც მოყირჭებამდე ეხარბებოდა, დროებით სულს

[1] აქ ირონ. მკურნალი. ჰიპოკრატე (460—377 ჩვენს ერამდე) — ბერძენი ექიმი, ითვლება მეცნიერული მედიცინის მამამთავრად.

ათქმევინებდა, უცხრობდა ვნებათაღელვას. თვალტანადმა, ნაადრევად მომწიფებულმა, ცდუნების იოლად ამყოლმა, ადრე იხილა სიყვარულის სამყაროს გემო, გარეგნულად ეგზომ მომხიბლავი სამყაროსი; იხილა და პოეტური სიხარულით ატაცებული მადიანად მიეძალა. ოღონდ ამ მიამიტსა და თავხედურად უძღომელ ქერუბინოს მალევე მობეზრდა ქალები, საქმიანობა სჭირდებოდა. მაშინ გაშმაგებით მიეცა სპორტს. ყველაფერი მოსინჯა, სპორტის რა სახეობით არ იყო გატაცებული. მოფარიკავეთა ასპარეზობის, მოკრივეთა მატჩების მუდმივი სტუმარი შეიქნა, რბენასა და სიმაღლეზე ხტომაში საფრანგეთის ჩემპიონის წოდება მოიპოვა, იყო ფეხბურთელთა გუნდის კაპიტანი. გამბედაობაში ეტოქებოდა მასავით გიჟმაჟ, თავზეხელაღებულ ჭაბუკთ, მდიდარ ოჯახის შვილთ: უგუნურ, გიჟურ ავტოგარბენას მართავდნენ, სწორედ სამკვდროსასიცოცხლო გარბენად რომ ითქმოდა, ისეთს. ბოლოს ყოველივე ახალ გასართობს ანაცვალა. იგი იზიარებდა ბრბოს შლეგურ აღფრთოვანებას თვითმფრინავით. სამას ათას მაყურებელთან ერთად ღრიალებდა, ტიროდა სიხარულისაგან ავიაციის დღესასწაულისას, რეიმსში რომ იმართებოდა. გრძნობდა ერთობას აღტაცებულ და სასოებით აფოფინებულ ხალხთან: ადამიანნი-ფრინველნი, თავს რომ გადაუფრენდნენ, თავიანთი ფრთებით ამათაც მიაქროლებდნენ. პირველად იყო მას აქეთ, რაც დიდი რევოლუციის დაფიონი აენთო, მჭიდროდ შეკავშირებულმა ხალხმა ცის თაღს მიაპყრო თვალი, და ცა გადაეხსნა. დედას ელდა ეცა, როცა ჭაბუკმა ჟანენმა განაცხადა, მინდა ცის დამპყრობთა გუნდს შევუერთდეო. ჟაკლინი ემუდარებოდა, მაგ სახიფათო განზრახვაზე ხელი აიღეო. უბრძანებდა კიდეც. ჭაბუკმა თავისი გაიტანა. ჟაკლინს კრისტოფი ეგულებოდა მოკავშირედ, მაგრამ კრისტოფი იმით შემოიფარგლა, რომ რამდენიმე გონივრული რჩევა მისცა ჟორეს, თუმცა დარწმუნებული იყო, ჩემს რჩევას ყურს არ ათხოვებსო (მიტომ, რომ მის ადგილას ვიყო, მეც ასევე მოვიქცეოდი). კრისტოფს, თუნდაც საამისო ძალა ჰქონოდა, უფლებამოსილად მაინც არ მიაჩნდა თავისი თავი, შეეზღუდა ჭაბუკურ ძალთა ჯანსაღი და ნორმალური სილაღე: უნებური უმოქმედობა იმ ძალებს საკუთარი თავის განადგურებისაკენ მიმართავდა.

ჟაკლინი ვერ შეჰგუებოდა იმ ამბავს, რომ შვილი ხელიდან უსხლტებოდა. ტყუილად ეგონა, საბოლოოდ უარვყავიო სიყვარული, — უამილუზიოდ ვერ ძლებდა; ყველა მისი გრძნობა, ყველა მისი მოქმედება სიყვარულით იყო ნაფერი. ბევრ დედას ვაჟიშვილებზე გადააქვს ფარული გზნება იმ ვნებებისა, ქორწინებაში და ქორწინების გარეშე რომ ვერ დაუხარჯავს! მერმე კი, როცა ხედავენ, უიმათოდ რა იოლად გადიან ვაჟიშვილები, როცა მოულოდნელად აღმოაჩენენ, აღარ ვუნდივართო, ისეთსავე მძიმე კრიზისს განიცდიან, განდაც მიჯნურს ეღალატოს, სიყვარულში გაეწბილებინოთ. ამ ამბავმა ხელახალი ელდა დასცა ჟაკლინს. ჟორჟი ვერაფერს ამჩნევდა. ყმაწვილ კაცებს ფიქრადაც არ მოსდით, რა ტრაგედია ტრიალებს გარშემომყოფთა გულში: არ სცალიათ,

შედგნენ და თვალი მოგაპყრონ; თანაც არ სურთ თვალის მოპყრობა — ეგოისტური ინსტინქტი უკარნახებთ, იარონ პირდაპირ, აქეთ-იქით არ გაიხედონ.

ჟაკლინი მარტოობაში იტანდა ამ ახალ სადარდებელს. მაშინღა მოეგო გონს, როცა ტკივილი გაუნელდა. გაუნელდა სიყვარულთან ერთად. კვლავ უყვარდა ვაჟი, ოღონდ ეს გრძნობა შორეული შეიქნა და ახლა საღად უყურებდა ამ ამბავს; იცოდა, არ ვჭირდებიო შვილს, ჰოდა თავის თავსაც გულგრილად ეკიდებოდა და ვაჟსაც. მთელი წლის მანძილზე უხალისოდ და საცოდავად აჩანჩალებდა სიცოცხლეს, ჟორჟი კი ვერც ამჩნევდა ამას. ამგვარი უბედური გულის პატრონმა, არც სიკვდილი რომ არ შეეძლო, არც სიცოცხლე — უსიყვარულოდ, შემდეგ ჰპოვა სიყვარულის ახალი საგანი. იმ ვნების მსხვერპლი აღმოჩნდა, ხშირად რომ დაეუფლება ხოლმე ქალის სულს, მეტადრე, როგორც ამბობენ, ყველაზე კეთილშობილი, ყველაზე მიუკარებელი ქალისას, როცა მას სიმწიფის ხანა დაუდგება, მშვენიერი ნაყოფი ცხოვრებისა კი თავის დროზე ვერ მოუწყვეტია. ერთ ქალს გაეცნო, რომელმაც პირველი შეხვედრისთანავე დაიმორჩილა იდუმალი მიმზიდველი ძალით.

მონაზონი იყო ის ქალი, ასე, მისივე ხნისა. ქველმოქმედებას მისდევდა. მაღალს, ძალოვანს, შავგვრემანს, ფრიად ტანსავსეს, ჰქონდა ლამაზი, მკვეთრად გამოყვანილი სახის ნაკვთები, მკვირცხლი თვალები, დიდი პირი, წვრილი, ნიადაგ ღიმდაჩნეული ტუჩები და მბრძანებლობის, ნებისყოფის გამომხატველი ნიკაპი. იშვიათი ჭკუის პატრონს, არცთუ სანტიმენტალურს, გლეხური ეშმაკობა მოსდგამდა. გერგილიანობა მასში ერწყმოდა სამხრეთელის მგზნებარე წარმოსახვას, ფართო გაქანების სიყვარულს, ოღონდ იმავ დროს თავისი თავის მოთოკვაც იცოდა, როცა ეს აუცილებელი იყო, — რაღაცნაირი პიკანტური ნარევი გახლდათ ამაღლებული მისტიციზმის და ძველი ნოტარიუსის თაღლითობისა. მბრძანებლობას იყო ჩვეული და ეხერხებოდა კიდეც მბრძანებლობა. ჟაკლინი ხელადვე წამოეგო ანკესს. ქველმოქმედებამ გაიტაცა. ყოველ შემთხვევაში, თავად აგრე ეგონა. დამ ანჟელმა მშვენივრად იცოდა, ვისაც გაეტაცებინა ჟაკლინი: აკი ჩვეული იყო, ამგვარი გრძნობები აღეძრა სხვებში. და თუმცა თავს ისე გაჩვენებდა, ვერაფერს ვამჩნევო, სხვათა მონადირების ამ თავის უნარს გულცივად და ანგარიშიანად იყენებდა კეთილ საქმისათვის და ღვთის სადიდებლად. მას მიანდო ჟაკლინმა თავისი ფული, თავისი ნება, თავისი გული. გულმოწყალე შეიქნა, იწამა, რამეთუ უყვარდა.

მალე ყველა გარშემომყოფმა შენიშნა, რა სიბრმავე სჭირდა ჟაკლინს. მარტოოდენ თვით ჟაკლინი ვერ ხედავდა რაიმე საჩოთიროს. ჟორჟის მეურვე შეშფოთდა. ჟორჟი მეტისმეტად გულუხვი და თავქარიანი იყო საიმისოდ, ფულის საკითხისათვის მიეხედა, მაგრამ იმანაც შეამჩნია, დედაჩემს მახეში აბამენო. შენიშნა და უსიამოდ გაოცდა. შეეცადა — თუმცა გვიანღა იყო — წინანდელი სიახლოვე აღედგინა, მაგრამ დაინახა, რომ მათ შორის კედელი აღმართულიყო. ამ ამბავს ფარულ ზეგავლენას აბრალებდა და გაგულისებას არ

მალავდა იმ ქალისადმი, ვისაც ინტრიგანს უწოდებდა. არ მალავდა გულისწყრომას თვით ჟაკლინის მიმართაც. ვერ დაუშვებდა, უცხოს ის ადგილი დაეკავებინა დედის გულში, რაიც თავის კუთვნილებად მიაჩნდა. მევე უგულებელვყავ ეს ადგილი და სხვამ იმიტომ დაიკავაო, ამაში თავის თავს არ უტყდებოდა. იმის მაგიერ, მოთმინებით ცდილიყო ხელიდან გაშვებულს კვლავ დაუფლებოდა, მოუქნელად და შეურაცხმყოფელად იქცეოდა. დედა-შვილი ფიცხნი და მოუთმინარნი იყვნენ, მკვახე-მკვახე სიტყვები უთხრეს ერთმანეთს; განხეთქილება კიდევ უფრო გაღრმავდა. დამ ანჟელმა საბოლოოდ ჩაიგდო ხელში ჟაკლინი. ჟორჟი კი დაშორდა დედას; დაშორდა და სრული თავისუფლება მიეცა. უთავბოლო და თავაწყვეტილ ცხოვრებას ეწეოდა. თამაშობდა ბანქოს, აგებდა მსხვილ-მსხვილ თანხას; თავი მოჰქონდა ექსტრავაგანტურობით, სიამეს ჰგვრიდა ეს ამბავი და ნაწილობრივ იმიტომაც მოჰქონდა; თანაც ამით სამაგიეროს უხდიდა დედამისს მისი გიჟური ქცევის გამო. ჟორჟი იცნობდა სტივენს-დელესტრადს. კოლეტმა ხელადვე მიაპყრო ყურადღება ლამაზ ყმაწვილკაცს და თვისი თილისმის ზემოქმედება მასზე. გამოცადა. თილისმას კი ჯერაც იყენებდა იარაღად. იცოდა ჟორჟის სამიჯნურო ამბების ასავალ-დასავალი და თავს ირთობდა ამით. ოღონდ მისთვის ჩვეული საღი აზრისა და თანდაყოლილი გულკეთილობის წყალობით მიხვდა, რა ხიფათი ემუქრებოდა გიჟმაჟ ჭაბუკს. და რაკი არ ეეპვებოდა, ვერ შევძლებ ჭკუაზე მოვიყვანოო, ადგა და კრისტოფს შეატყობინა ეს ამბავი. ისიც მაშინვე გამოცხადდა.

მხოლოდ კრისტოფს შეეძლო ჯერ კიდევ ერთგვარი ზეგავლენა მოეხდინა ახალგაზრდა ჟანენზე. მართალია, ფრიად შეზღუდული და არამყარი იყო ეს ზეგავლენა, მაინც გაკვირვებდა, რამეთუ მიზეზი ვერ ამოგეცნო. კრისტოფი იმ თაობას ეკუთვნოდა, რომელსაც მომეტებული ქედფიცხელობით ამხედრებოდნენ ჟორჟი და მისი ამხანაგები. ერთ-ერთი უსაჩინოესი წარმომადგენელი გახლდათ იმ მშფოთვარე ეპოქისა, რომლის ხელოვნება და იდეები ამათ ეჭვსა და მტრულ გრძნობას აღუძრავდა. კრისტოფი არ ცნობდა ახალ სახარებებსა და ავგაროზებს, იმას. რასაც ცრუწინასწარმეტყველნი და ძველი ექიმბაშები გულუბრყვილო ყმაწვილკაცთ სთავაზობდნენ უტყუარ საშუალებად ქვეყნიერების, რომისა და საფრანგეთის ხსნისათვის. იგი ერთგულობდა თავისუფალ შეხედულებებს, რასაც ვერ ზღუდავდა ვერც რაიმე რელიგია, ვერცა რომელი პარტია, ვერც ვერარა სამშობლო; ამგვარი ჩვეულება კი მოდაგასული გახლდათ ანდა ჯერაც არ ქცეულიყო მოდურად. ეგეც არ იყოს, თუმცა თვით კრისტოფის თვალში ეროვნულობის საკითხს არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა, ის მაინც უცხოელი იყო პარიზში იმხანად, როცა უცხოელები ბარბაროსებად ესახებოდნენ ყველა ქვეყნის მკვიდრთ.

და მაინც ახალგაზრდა ჟანენი, ეს მხიარული, თავქარიანი ყმაწვილი კაცი, ვინაც ინსტინქტურად მტრობდა ყველაფერს, რასაც შეეძლო მისი დანაღვლია-

ნება ან შეშფოთება, ვინაც ვნებიანად ეძლეოდა ამა სოფლის სიამეთ, მისდევდა აზარტულ თამაშს, ადვილად ცდუნდებოდა მისი დროის მშვერმეტყველებით, ვინაც თავისი მკვრივი კუნთებისა და გონებრივი სიზანტის წყალობით მიდრეკილებას იჩენდა „აკსიონ ფრანსეზის“ უხეში დოქტრინისადმი — შოვინიზმის, რუაიალიზმის, იმპერიალიზმის მიმართ (მაინცდამაინც კარგად ვერ ერკვეოდა ყოველსავე ამაში), — ეს ყმაწვილი კაცი, არსებითად რომ ვთქვათ, პატივს სცემდა მხოლოდ ერთ ადამიანს — კრისტოფს. ნაადრევად შეძენილმა ცხოვრების გამოცდილებამ და დედისაგან დაყოლილმა მეტად მახვილმა ალღომ ხელი შეუწყვეს სწორად შეეფასებინა (რა თქმა უნდა, ეს არ დასტყობია მის კარგ განწყობილებას) არარაობა იმ საზოგადოებისა, ურომლისოდაც ვერ ძლებდა თვითონ, და ზნეობრივი უპირატესობა კრისტოფისა. ტყუილად იბრუებდა თავს ფუსფუსით და საქმიანობით. მამამისის მემკვიდრეობას ვერ გაემიჯნებოდა. ოლივიესავით სჩვეოდა: ანაზდად და ხანმოკლედ მოეძალებოდა ბუნდოვანი უსვენრობა. ხელს დარევდა სურვილი ეპოვა, გაერკვია თვისი საქმიანობის მიზანი. შესაძლოა, მისგანვე გამოჰყოლოდეს იდუმალი, ინსტინქტური ლტოლვა იმ ადამიანებისადმი, ვინაც მამამისს უყვარდა.

ჟორჟი დაიარებოდა კრისტოფისას. ექსპანსიურმა და, ცოტა არ იყოს, ლაქლაქამ გულის გადმოშლა იცოდა. იმას არ დაეძებდა, ეცალა თუ არა კრისტოფს მოსასმენად. კრისტოფი მუდამ უსმენდა ჟორჟს, მოუთმენლობას ოდნავადაც არ იჩენდა. მხოლოდ ზოგჯერ, როცა სტუმარი მუშაობისას შემოესწრებოდა, გონებაგაფანტული იყო. ოღონდ სულ რამდენიმე წუთს გრძელდებოდა ეს, ფიქრით იმ სამუშაოს დასტრიალებდა, მის არსებაში რომ ისხამდა ხორცს, და ერთ შტრიხსაც, ერთ მონასმსაც წაუმატებდა. მერმე ისევ დაუბრუნდებოდა ჟორჟს, თუმცა სტუმარი ვერც ამჩნევდა მასპინძლის ყურადღების გაფანტულობას. კრისტოფი ისევე ერთობოდა ამ თავისი განრინებით, ვით ის კაცი, ოთახიდან უჩუმრად რომ გასულა და ასევე უხმოდ შემობრუნებულა. ოღონდ ერთი-ორჯერ ჟორჟმა იგრძნო ეს მისი უგულისყურობა და წყრომით შესძახა:

— შენ არც კი მისმენ!

მაშინ კრისტოფს შერცხვებოდა; აქაოდა, პატიება დავიმსახუროო, მორჩილად, გაორკეცებული ყურადღებით უსმენდა სულსწრაფ მთხრობელს. ჟორჟის ნაამბობში ბევრი კომიკური რამ ერია; ხანდახან კრისტოფი სიცილს ვერ იკავებდა, როცა მოისმენდა ყმაწვილის რაიმე ოინბაზობის ამბავს. არადა ჟორჟმა არაფრის დამალვა არ იცოდა, — გულახდილობით მოგინადირებდა.

ოღონდ მუდამ სიცილის გუნებაზე როდი დგებოდა კრისტოფი. ჟორჟის საქციელი ხშირად აღონებდა. კრისტოფი თავადაც არ ყოფილა წმინდანი და უფლებამოსილადაც არ მიიჩნევდა თავის თავს, ვინმესთვის შეგონებანი ეჩიჩინებინა. ყველაზე მეტად გულისწყრომას ჟორჟის სატრფიალო თავგადასავალი კი არ ჰგვრიდა, არც ის, თავის ქონებას აღმაშფოთებლად რომ ანიავებ-

და სულელურ რამეებში. უფრო იმის პატიება ეძნელებოდა, ქარაფშუტულად რომ ეკიდებოდა თავისსავე შეცოდებებს: იტყოდი, საძრახისს ვერაფერს ხედავს მასში, ეს ყოველივე სავსებით ბუნებრივ რამედ მიაჩნიაო. ცოტა სხვაგვარი წარმოდგენა ჰქონდა ზნეობაზე, ვიდრე კრისტოფს. იმ ჯურის ყმაწვილკაცთ ეკუთვნოდა, რომელთაც სქესთა ურთიერთდამოკიდებულება მხოლოდ თავისუფალ თამაშად ესახებათ, რაიმე ზნეობრივ ვალდებულებებს მოკლებულ თამაშად. გარკვეული სიწრფელე და უზრუნველი გულკეთილობა — სულ ეს გახლავთ ის ავლადიდება, რაც წესიერ კაცს სჭირდება იმათ თვალში. ოდნავადაც არ ეუხერხულებოდა, კრისტოფს რომ სათაკილოდ მიაჩნდა ეს ამბავი. არადა, კრისტოფი გულისწყრომას ვერ მალავდა. ამაოდ ცდილობდა სხვებისათვის თავს არ მოეხვია საკუთარი შეხედულებანი — დაუთმენელი იყო და ვერარა გაეწყო; ადრინდელი სიშმაგე მხოლოდ სანახევროდ დაეოკებინა. ზოგჯერ სიფიცხე რომ მოერეოდა, თავს ვერ იკავებდა და, რადგან ზოგიერთი ხრიკი ჟორჟისა ბიწიერად მიაჩნდა, პირშივე ეუბნებოდა ამას. არც ჟორჟს ეთქმოდა დიდი მომთმენი. ფრიად ცხარე შეხლა-შემოხლა მოსდიოდათ. ამის შემდგომ რამდენიმე კვირის მანძილზე ერთმანეთს აღარ ხვდებოდნენ. კრისტოფს ესმოდა, ეს ჩემი გაცხარება გავლენას ვერ მოახდენსო ჟორჟზე, ქცევას ვერ შეაცვლევინებსო, უმართებულოა ეცადო ერთი ეპოქის ზნეობა მეორე თაობის მორალურ შეხედულებებს დაუმორჩილოო. ოღონდ თავს ვერ მორეოდა და პირველი შემთხვევისთანავე ყველაფერი კვლავინდებურად მეორდებოდა. როგორ უნდა შეგეპაროს ეჭვი იმ შეხედულებათა გამო, რისთვისაც მთელი შენი სიცოცხლე შეგიწირავს? გიჯობს, მაშინ სულ მთლად უარყო ცხოვრება! ღირს განა თავს ძალა დაატანო და, როგორც აზროვნებ, ისე კი არა, სხვაგვარად იაზროვნო მხოლოდ იმისთვის, მოყვასს მიემსგავსო ანდა იპატივო იგი? ადამიანის უპირველესი ვალია, იყოს ისეთი, როგორიც არის, ეყოს საიმისო ვაჟკაცობა, თქვას: „ეს კარგია; აი, ის კი ცუდია“. ძალმოსილი თუ დარჩები, გაცილებით მეტად არგებ სუსტებს, ვიდრე იმ შემთხვევაში არგებდი, მათსავით ძაბუნი რომ გამხდარიყავ. შემწყნარებლის თვალით შეხედეთ, თუ აგრე გნებავთ, უკვე ჩადენილ არამზადობას, ოღონდ ნურასდროს შეურიგდებით იმ არამზადობას, რის ჩადენასაც აპირებენ.

რა თქმა უნდა, ჟორჟი თავს არიდებდა კრისტოფთან ბჭობას საკუთარ გეგმათა თუ განზრახვათა გამო (ან კი იცოდა თავად, რა გეგმა და განზრახვა ჰქონდა?). მხოლოდ იმას უამბობდა კრისტოფს, რაც უკვე წარსულს ეკუთვნოდა. ამგვარ შემთხვევაში კი... ამგვარ შემთხვევაში კრისტოფს ისღა დარჩენოდა, უსიტყვო საყვედურით შეეხედა ყურუმსაღისათვის, გაღიმებულიყო და მხრები აეჩეჩა, იმ მოხუცი ძიის დარად, ვინაც იცის, სულ ერთია, ჩემს ნათქვამს ყურს არ ათხოვებენო.

ამის შემდეგ რამდენიმე წამს დუმილი გრძელდებოდა. ჟორჟი პირისპირ უცქერდა კრისტოფს, ვისი თვალებიც თითქოს შორიდან უმზერდნენ. თავს

ბიჭუკელად გრძნობდა კრისტოფის წინაშე. მისი გამჭოლი მზერის სარკეში, მზერისა, რაშიც ეშმაკური ნაპერწკლები აკიაფდებოდა ხოლმე, თავის თავს იმგვარს ხედავდა, როგორიც ნამდვილად იყო. და ეს ანარეკლი მაინცდამაინც როდი ეამაყებოდა. კრისტოფი ძალზე იშვიათად თუ დაიხვევდა ხელზე ჟორჟის რაიმე აღიარებას და მისსავე საწინააღმდეგოდ გამოიყენებდა. იფიქრებდით, ის აღიარება არც გაუგონიაო . მათი თვალების მუნჯი დიალოგის შემდეგ კრისტოფი დამცინავად გაიქნევდა თავს. მერმე იწყებდა თხრობას რაიმე ამბისას, რასაც ფითქოს არავითარი კავშირი არ ჰქონდა მთელს წინა გარემოებასთან; საკუთარი ან სხვისი ცხოვრების ამბავს ყვებოდა, ოღონდ გაგიჭირდებოდა მიხვედრა, მართალი იყო ის ამბავი თუ მოგონილი. ჟორჟს კი თვალწინ თანდათან გამოეკვეთებოდა ახალი, ულაზათო და სასაცილო თარგზე გამოჭრილი ხატი თავისივე ორეულისა (ეცნაურებოდა იგი), რომელიც ისეთსავე შეცდომებს ჩადიოდა, თავადვე რომ სჩვეოდა. როგორ არ უნდა გაგცინებოდა შენსავე თავზე, შენი ულაზათო იერის გამო! კრისტოფი არაფერს განმარტავდა. ოღონდ თვით ამბავზე უფრო დიდ შთაბეჭდილებას მთხრობელის უსაშველო გულკეთილობა ახდენდა. თავის თავზე ისე ლაპარაკობდა, როგორც სხვებზე, ერთნაირად მიუკერძებელი იყო, ლაპარაკობდა ხალისიანი და მშვიდი იუმორით. ეს სიმშვიდე მოსწონდა ჟორჟს. ეძიებდა კიდეც ამგვარ სიმშვიდეს. როცა იგი სიტყვამრავალი აღსარების ტვირთს ჩამოიხსნიდა, ისეთი გრძნობა გაუჩნდებოდა, თითქოს ზაფხულის შუადღეზე დიდი ხის ჩეროში წამოწოლილა და გრილდებაო. ხვატიანი დღის ალმური ცხრებოდა. გრძნობდა, როგორ ენიავებოდა მაღლიდან მისთა მცველ ფრთათაგან. ამ კაცის გვერდით, ვინაც დაჯერებულად და უბრალოდ ეზიდებოდა მძიმე ცხოვრების ტვირთს, იგი დაცული იყო თავისსავე მღელვარებათაგან. კრისტოფის მსმენელი სიმშვიდით ტკბებოდა. მუდამ გულისყურით არც ჟორჟი უსმენდა კრისტოფს: მისი ფიქრი შორს რიალებდა. ოღონდ, საცა უნდა გაჰყოლოდა ფიქრს, სიცილი კრისტოფისა ნიადაგ ყურში უჟღერდა.

ამავე დროს, ძველი მეგობრის შეხედულებები კვლავინდებურად ეუცხოვებოდა. გუნებაში კითხვას სვამდა, როგორ შეეძლო კრისტოფს თავის სულიერ მარტოობას შერიგებოდა, უარი ეთქვა ყოველგვარ კავშირზე მხატვრულ, პოლიტიკურ, რელიგიურ პარტიებთან, რომელსამე საზოგადოებრივ დაჯგუფებასთან. ჰკითხა კიდეც ერთხელ, ნუთუ ზოგჯერ არ გიჩნდებათ მოთხოვნილება, რომელიმე ბანაკში ჩაიკეტოთო.

— ჩავიკეტოო! — სიცილით თქვა კრისტოფმა. — განა თავისუფლად ყოფნა ცუდია? მერე შენ მეუბნები ჩაიკეტეო, შენ, დიდი სივრცეების მოყვარული?

— ოჰ! სულისა და სხეულისათვის ერთი და იგივე როდია ეგ ამბავი, — მიუგო ჟორჟმა. — სულს მტკიცე რწმენა სჭირდება; სხვებთან ერთად უნდა

იაზროვნო, ერთი ეპოქის ხალხს რომ პრინციპები ჰქონდა, ის პრინციპები უნდა გაიზიარო. მშურს წინანდელი ხალხისა, იმათი, ვინაც კლასიკურ ხანაში ცხოვრობდა. მართალი არიან ჩემი მეგობრები, წარსულის მშვენიერი წესრიგი რომ სურთ აღადგინონ!

— გაწუწულო ქათამო! — უთხრა კრისტოფმა. — მაინც საიდან ჩნდებიან ამისთანა ბედოვლათები?

— ბედოვლათი რადა ვარ, — აპილპილდა ჟორჟი. — არცერთ ჩვენთაგანზე ეგ არ ითქმის.

— მაინც ლაჩრები ხართ, რაკი თქვენივე თავისა გეშინიათ, — უთხრა კრისტოფმა. — რაო! წესრიგი გინდათ და თქვენ თვითონვე ვერ შეგიქმნიათ? მაინცდამაინც ბებიის კაბის კალთას უნდა მოებღაუჭოთ? ღმერთო ჩემო! მარტოდმარტო იარეთ!

— ჯერ ფესვები უნდა გაიდგა, — ამაყად წარმოთქვა ჟორჟმა, იმ დროის ეს მოარული გამოთქმა გაიმეორა.

— იმისათვის, ფესვები გაიდგასო, ერთი მითხარი, ხე ყუთში უნდა ჩარგო? აგერა მიწა, იგი ყველასია. ჩაეზარდე ფესვებით. იპოვე შენი წესები. შენშივე ეძიე.

— სადა მაქვს დრო, — მიუგო ჟორჟმა.

— გეშინია და ეგ არის, — გაუმეორა კრისტოფმა.

ჟორჟი ახტა-დახტა, მაგრამ ბოლოს და ბოლოს გამოტყდა, ოდნავი სურვილიც არა მაქვს, საკუთარი არსების სიღრმეში ვიხედებოდეო. არ ესმოდა, რა სიამოვნება უნდა მოგგვაროსო ამ ამბავმა: შავ უფსკრულში რომ გადაიხედავ, ვაითუ შიგვე ჩაიჩეხოო.

— ხელი მომეცი, — ეტყოდა კრისტოფი.

ართობდა, სარკმელს რომ შეაღებდა, და ახილვინებდა ცხოვრების რეალურსა და ტრაგიკულ სანახაობას. ჟორჟი უკან დაიხევდა. კრისტოფს გაეცინებოდა და კვლავ ხურავდა სარკმელს.

— როგორ შეგიძლიათ ასე ცხოვრობდეთ? — ეკითხებოდა ჟორჟი.

— ვცხოვრობ და ბედნიერი ვარ, — მიუგებდა კრისტოფი.

— მე კი გავთავდებოდი, სულ მუდამ ამის ნახვა რომ მიხდებოდეს.

კრისტოფი მხარზე ხელს დაჰკრავდა:

— აი, როგორი არიან ჩვენი განთქმული დევგმირები! რა გაეწყობა, ნუ გაიხედავ იქით, თუ შენი თავის იმედი მაინცდამაინც არა გაქვს. გენა ვინ გაიძულებს. წინ გასწი, ჩემო ბიჭუნი! ნუთუ ამისთვის მბრძანებელი გჭირდება, პირუტყვივით რომ მიგერეკებოდეს? რა ბრძანებასღა ელი? რა ხანია უკვე, ნიშანი მისცეს. დაჰკრა ნაღარამ, ამხედრდითო, და ცხენოსანი ჯარი დაიძრა. შენს ტაიჭზეღა იფიქრე. მწკრივში ჩადექ! და გაქუსლე!

— კი, მაგრამ საით? — ეკითხებოდა ჟორჟი.

— საით მიქრის შენი ესკადრონი? მსოფლიო უნდა დაიპყროს. დაეუფლეთ

ცას, დაიმორჩილეთ სტიქიონი, გადალახეთ უკანასკნელი ზღუდეები ბუნებისა, უკან დაახევინეთ სივრცეს, უკან დაახევინეთ სიკვდილს...

Expertus vacuum Daedalus aëra...[1].

...ლათინურის მოჭირნახულევ, გეცნო თუ არა, მითხარი? შეგიძლია თუ არა ამიხსნა, რას ნიშნავს ეს სტრიქონი?

Perrupit Acheronta...[2].

...აჰა, თქვენი ხვედრი. სვესვიანო კონკვისტადორებო!

ისე ნათლად მიუთითებდა, რა იყო ახალგაზრდა თაობის მოვალეობა, რა გმირული საქმიანობა ხვდომოდა ამ თაობას წილად, რომ განცვიფრებული ჟორჟი შეეკითხა:

— კი მაგრამ, თუ ყველაფერს ამას ასე გრძნობთ, რატომ ჩვენთან არა ხართ?

— იმიტომ, რომ მე სხვა ამოცანა მაქვს. მოდი, ჩემო ბიჭუნი, საშენო საქმე აკეთე. გამისწარი, თუ შეგიძლია. მე კი აქ ვრჩები და თვალყურს გადევნებთ... წაგიკითხავს „ათას ერთი ღამის“ ის ზღაპარი, სადაც მოთხრობილია, როგორ ჩაამწყვდიეს მთასავით მაღალი ჯინი სოლომონის ბეჭდით დალუქულ ქილაში?.. ეგ ჯინი აქ არის, ჩვენი სულის სიღრმეში, იმ სულისა, რომელში ჩახედვაც გაშინებს. მე და ჩემი თანამედროვენი მთელი სიცოცხლე მას ვებრძოდით; ვერ დავამარცხეთ. ოღონდ ვერც მან გვძლია. ახლა ჩვენ და ის ვისვენებთ და ერთმანეთს სიძულვილისა და შიშის გარეშე ვუყურებთ, გვეამაყება გადახდილი ბრძოლები და დაზავების დამთავრებას ველით. ისარგებლეთ ამ შესვენებით, რათა ძალა მოიკრიბოთ და ქვეყნიერების სილამაზეს დაეუფლოთ. იყავით ბედნიერნი. დატკბით ჩამოვარდნილი მყუდროებით. ოღონდაც გახსოვდეთ, რომ როდისმე თქვენ ან თქვენს ვაჟიშვილებს, გამარჯვებათა მოპოვების შემდეგ, მოგიხდებათ დაბრუნდეთ აქ, ჩემთან და ახალი ძალით შეებრძოლოთ იმას, ვინც აქ ამწყვდევია და ვისაც მე ვდარაჯობ. და ეს ბრძოლა, რასაც შიგადაშიგ დაზავება მოჰყვება ხოლმე, მანამდე გაგრძელდება, ვიდრე ორთაგან ერთი იძლეოდეს... იყავით ჩვენზე მორჭმულნი!.. ახლა კი მიჰყევ სპორტს, თუ გინდა, გაიკაჟო კუნთები და გული, ოღონდ უგნურებას თავი ანებე და ტყუილ-უბრალოდ ნუ დახარჯავ მაგ შენს ბობოქარ ძალღონეს: ისეთ დროს ცხოვრობ, როცა ეგ ძალღონე (ფიქრი ნუ გექნება!) ასპარეზს იპოვის.

ჟორჟი ცოტა რამეს მაინც ითვისებდა იმისგან, რასაც კრისტოფი ეუბნებოდა. საკმაოდ გონებაგახსნილი იყო, ხელად ჩასწვდებოდა კრისტოფის აზრებს, ოღონდ უმალვე განუქარდებოდა ის აზრები. კიბეზე ჩამოსვლას ვერ მო-

---

[1] დედალუსი, შემცნობი ცის თაღის სიცარიელისა... (ლათ.). სტრიქონი ჰორაციუსის „ოდებიდან“.

[2] აქერონტი გადალახა... (ჰორაციუსი, „ოდები“). აქერონტი (ბერძ. მით.). მიწისქვეშა სამეფოს (ჰადესის) მდინარე, რომელიც უნდა გადაეცურათ მიცვალებულთა სულებს.

ასწრებდა, უკვე დავიწყებული ჰქონდა. და მაინც შეგრძნება დაშოშმინებულობისა მაშინაც თან ახლდა, როცა დიდი ხანია არ ახსოვდა, რას გამოეწვია ეს შეგრძნება. ჟორჟი დიდად პატივს სცემდა კრისტოფს, თუმც მის შეხედულებებს არ იზიარებდა. (აცმა რომ თქვას, რაც კრისტოფს სწამდა, ყველაფერს სასაცილოდ იგდებდა). ოღონდ, ვინმეს რომ აუგად ეხსენებინა მისი ძველი მეგობარი, ადგებოდა და თავს გაუპობდა, ვინც გინდა ყოფილიყო.

კიდევ კარგი, ამგვარ რასმე არავინ ჩადიოდა, თორემ დავიდარაბა მოჰყვებოდა უთუოდ.

კრისტოფმა წინასწარ განჭვრიტა, სიო მალე სხვა მხარეს დაჰბერავსო. ახალი იდეალი ახალგაზრდა ფრანგული მუსიკისა ფრიად განსხვავდებოდა მისეული იდეალისაგან. და თუმცა ამის გამო კიდევ მეტად ესიმპათიურებოდა ის ახალი მუსიკა, ახალგაზრდობა მაინც ალმაცერად უყურებდა. კრისტოფის პოპულარობა მხოლოდ აფთრებდა იმ ახალგაზრდათაგან ყველაზე მომშეულთ; რაკი კუჭი საკმარისად გამომძღარი არ ჰქონდათ, დიდ-დიდი ღოჯები მოეზარდათ და მწარედ იკბინებოდნენ. მაგრამ კრისტოფს აინუნშიაც არ მოსდიოდა მათი გამოხდომა.

— რა გულფიცხობას იჩენენ! — ამბობდა გუნებაში. — მაგ ლეკვებს კბილები ამოსდით.

ლამის ესენი ემჯობინებინა იმ მურიკელებისათვის, რომლებიც, აქაოდა, წარმატებას აღწევსო, ელაქუცებოდნენ კრისტოფს. მათ გამოა, დ'ობინიე[1] რომ ამბობს: „როცა ქოფაკმა თავი ჩაყო ერბოიან ქილაში, მიუცოცდნენ მას, ლოკავდნენ და ულოცავდნენ“.

კრისტოფის ერთ-ერთი ნაწარმოები ოპერაში დასადგმელად მიიღეს. მაშინვე შეუდგნენ რეპეტიციას. კრისტოფმა შემთხვევით შეიტყო იმ გაზეთების მეშვეობით, რომლებშიც მას აქიაქებდნენ, რომ მისი ნაწარმოების გულისთვის გადაედოთ დადგმა ახალგაზრდა კომპოზიტორის ოპერისა, უკვე მიღებული რომ ჰქონოდათ. ჟურნალისტი აღშფოთებას გამოთქვამდა ძალაუფლების ასე ბოროტად გამოყენების გამო და ყველაფერს კრისტოფს აბრალებდა.

კრისტოფი თეატრის დირექტორთან გაეშურა და უთხრა:

— ამის თაობაზე არ გაგიფრთხილებივართ. აგრე არ იქცევიან. კეთილინებეთ, დადგით ოპერა, რომელიც ჩემსაზე ადრე მიგიღიათ.

დირექტორმა შორს დაიჭირა, გაიცინა და ცივი უარი სტკიცა. თან ქებადიდებას ასხამდა პირადად კრისტოფს, მის ქმნილებებს, მის გენიას, ხოლო ახალგაზრდა ავტორის ნაწარმოების ხსენებისას ტუჩი აპრუწა, უხეირო რამაა, გროშის შემოსავალს არ მოგვცემსო.

— რაღას იღებდით?

---

[1] დ'ობინიე, აგრიპა (1552—1630) — ფრანგი პოლიტიკური მოღვაწე, პუბლიცისტი და პოეტი.

— რაც გინდა, იმას ვერ აკეთებ კაცი ყოველთვის. დროდადრო გიხდება საზოგადოებრივ აზრს დაუთმო. წინათ ამ ახალგაზრდებს შეეძლოთ, რამდენიც მოეგუნებებოდათ, იმდენი ეყვირათ, კაცი ყურს არ ათხოვებდა. ახლა კი ახერხებენ, მთელი ნაციონალისტური პრესა მოგვისიონ; ატყდება ღრიანცელი, ღალატიაო, თანაც ცუდ ფრანგებად მოგვნათლავენ, ვინიცობაა წინდახედულება ვერ გამოვიჩინეთ და აღტაცება არ გამოვთქვით მაგ ახალგაზრდა სკოლის გამო! ახალგაზრდა სკოლაო! როგორ არა! გინდათ, სიმართლე გითხრათ? აგერ ყელში ამომივიდა ეგ სკოლა! მაყურებლებსაც ამოუვიდათ. თავი შეგვაჯავრა თავისი „Oremus"-ით...[1] მაგათ სისხლი კი არ უდით ძარღვებში, წყალი უდგათ; საცოდავი მნათენი არიან, წირვას რომ ასრულებენ; მაგათი სატრფიალო დუეტები უფრო „De profundis"-ს[2] გაგონებს. თუ იმისთანა უგუნური ვიქნებოდი, ის ოპერები დამედგა, ძალად რომ მაღებინებენ, ჩემი თეატრი უთუოდ გაკოტრდებოდა. მაგრამ, მოდით, სერიოზულ ამბებზე ვილაპარაკოთ. თქვენ სრული შემოსავალი მოგაქვთ.

და კვლავ ქათინაურს ქათინაური მიაყოლა.

კრისტოფმა უხეშად შეაწყვეტინა, გულმოსულმა უთხრა:

— ვერ გამაცურებთ. ახლა, როცა უკვე მოვხუცდი და „ბედი მიღიმის", გინდათ ახალგაზრდების გასანადგურებლად გამომიყენოთ. მე რომ ვიყო ახალგაზრდა, იმათსავით გამანადგურებდით. დადგით იმ ახალგაზრდა კაცის ოპერა, არადა ჩემსას უკან წავიღებ.

დირექტორმა ზეაღაპყრო ხელები:

— ნუთუ არ გესმით, თუ ისე მოვიქცევით, როგორც თქვენ გინდათ, აგრე ეგონებათ, თითქოს იმათი პრესის ფართიფურთს დაეშინებინოთ და დათმობაზე წასვლა ეიძულებინოთ!

— რაში მენაღვლება ეგ ამბავი! — უთხრა კრისტოფმა.

— ნება თქვენია! თქვენვე შეიქმნებით მათი პირველი მსხვერპლი.

ორკესტრმა იწყო ახალგაზრდა კომპოზიტორის ნაწარმოების შესწავლა, თან კრისტოფის ოპერის რეპეტიციასაც განაგრძობდნენ. ერთი ოპერა სამმოქმედებიანი იყო, მეორე — ორმოქმედებიანი. გადაწყვიტეს, ორივე ერთ წარმოდგენად ეჩვენებინათ. კრისტოფი თავის პროტეჟესთან გაემართა. უნდოდა, პირველს მიეხარებინა ეს ამბავი. ახალგაზრდა კომპოზიტორს მადლიერების სიტყვები არ დაუშურებია კრისტოფისათვის.

ცხადია, კრისტოფი ვერ დაუშლიდა დირექტორს, ჩემს ოპერას მეტ ყურადღებას ნუ აქცევო. მეორე ნაწარმოების დადგმასა და შესრულებას ფრიად უგულოდ მოეკიდნენ. კრისტოფმა არაფერი იცოდა ამის თაობაზე. მან ნება ითხოვა, დასწრებოდა ახალგაზრდა კომპოზიტორის ნაწარმოების რეპეტიციას

---

[1] ვილოცოთ (ლათ.).

[2] სიღრმიდან, უფსკრულიდან (ლათ.) — დასაწყისი ლოცვისა — „უფსკრულით მოგიწოდე შენ...".

და დარწმუნდა, მართალს მეუბნებოდნენ, მდარე ნაწარმოები ყოფილაო. ორი-სამი რჩევის მიცემა გაბედა, მაგრამ გაგონებაც არ ისურვეს; მეტად აღარც გამოუდვია თავი. დირექტორმა მისდათავად დებიუტანტს აუწყა, ზოგიერთი ადგილი უნდა შეკვეცოთ, თუ გინდათ, ოპერის დადგმა არ შეფერხდესო. თავ-დაპირველად ავტორი იოლად დაყაბულდა ამ მსხვერპლის გაღებას, მაგრამ მალე თავი ვეღარ გაართვა.

დადგა წარმოდგენის დღე. დებიუტანტის ოპერას წარმატება სრულებით არ ჰქონია, კრისტოფის ოპერას კი აურზაური მოჰყვა. ზოგიერთი გაზეთი კრის-ტოფს თათხავდა, ირწმუნებოდა, ყველაფერი წინდაწინ მოაწყვეს, ახალგაზრ-და დიდი ფრანგი კომპოზიტორის გასაცამტვერებლად შეითქვნენო... ამტკი-ცებდნენ, გერმანელი კომპოზიტორის საამებლად ნაწარმოები დაუმახინჯესო. იმ გერმანელ კომპოზიტორს კი ერთ სულმდაბალ ვინმედ წარმოადგენდნენ, ვისაც ყოველი ახალი ნიჭიერი შემოქმედისა შურდა. კრისტოფმა მხრები აიჩეჩა და გაიფიქრა:

„ის უპასუხებს“.

„ის“ პასუხს არ სცემდა. მაშინ კრისტოფი ადგა და ერთ-ერთი გაზეთის შენიშვნა გაუგზავნა. შენიშვნას მიაწერა:

„წაიკითხეთ?“

მან უპასუხა:

„რა დასანანია! ეს ჟურნალისტი მუდამ ფრიად თავაზიანი გახლდათ ჩემ-დამი! ძლიერ დამწყდა გული. ყველაფერს აჯობებს, ყურადღება არ მიაქციოთ“.

კრისტოფს გაეცინა და გაიფიქრა:

„ეგ ქალაჩუნა მართალს მეუბნება!“

და ეს მოგონება იქ მოისროლა, რასაც „ბნელეთს“ უწოდებდნენ[1].

მაგრამ შემთხვევის ნებით ჟორჟი გაზეთში წააწყდა უხეშზე უხეშ გამო-ხდომას კრისტოფის წინააღმდეგ, თუმცა გაზეთებს იშვიათად კითხულობდა და ისიც ზერელედ გადაათვალიერებდა ხოლმე, მხოლოდ სპორტზე დაწერილ სტა-ტიებს თუ მიაქცევდა ყურადღებას. ჟორჟი იცნობდა იმ ჟურნალისტს. ადგა და იმ კაფესკენ გასწია, სადაც მას ნიადაგ ნახავდა კაცი. მართლაც იქ დაუხვდა. ჟორჟმა სილა გააწნა, დუელში შეებრძოლა და თავისი დაშნით მხარი გვარია-ნად გაუკაწრა.

მეორე დღეს, საუზმისას, კრისტოფმა ერთი ნაცნობის მიერ გამოგზავ-ნილი ბარათით შეიტყო ეს ამბავი. კინაღამ გადაირია, საუზმე იმწამსვე მიატო-ვა და ჟორჟისაკენ გაქანდა. ჟორჟმა თავად გაუღო კარი. კრისტოფი გრიგალი-ვით შეიჭრა, ჟორჟს მხრებში სწვდა და ბრაზით ატანილმა ნჯღრევა დაუწყო, თან ლანძღვითა და საყვედურით იკლებდა:

---

[1] დედნისეული სიტყვა ნიშნავს შუა საუკუნეთა ციხე-სიმაგრეში მოწყობილ მიწისქვეშა საპატიმროს, სადაც აგდებდნენ ფეოდალისათვის არასასურველ პირთ.

— ნადირო! — ყვიროდა იგი. — ჩემი გულისათვის გიჩხუბია! ვინ მოგცა ამის ნება! ლაწირაკო, ვერ მივხედავ ჩემს საქმეს თუ რა? მიპასუხე!.. რას მიაღწიე! ეჩხუბე და ამით პატივი მიაგე იმ სალახანას. სწორედ ეს უნდოდა იმას. გმირად აქციე და ეგ არი. სულელო! ვთქვათ და შემთხვევას არ გაემართლებინა (დარწმუნებული ვარ, უგუნურად იქცეოდი, როგორც გჩვევია)... ვთქვათ და, დაეჭერი, ანდა, ვინ იცის, მოეკალი! უნამუსოვ! ჩემს დღეში არ გაპატიებდი ამას.

ჟორჟი ისედაც გიჟივით იცინოდა. ამ ბოლო მუქარის გამგონეს კი ისეთი ხარხარი აუტყდა, ლამის ცრემლები მოერია:

— ეჰ, ძველო მეგობარო, რა უცნაური ვინმე ხარ! სიცილით მოკლავ კაცს! რატომ დამიცავიო, ამის გამო მლანძღავ! კეთილი, სხვა დროს შენ დაგესხმი თავს. მაშინ, ალბათ, გადამკოცნი.

კრისტოფი გაჩუმდა. მოეხვია-ჟორჟს, ერთხელ აკოცა ორივე ლოყაზე, მეორედაც აკოცა და უთხრა:

— ბიჭუნი! მაპატიე, დიდი ოხერი ვინმე ვარ... მაგრამ გამიგე, ამ ამბავმა ისე ამაფორიაქა, ან რამ მოგაფიქრა ჩხუბი? განა ამისთანა ვინმეებს თავს უყადრებენ? ახლავე პირობა მომეცი, რომ ეს ამბავი აღარასოდეს განმეორდება.

— პირობას არასოდეს ვიძლევი, — უთხრა ჟორჟმა. — რაც მომეგუნებება, იმას ვაკეთებ.

— მე კი გიკრძალავ, გესმის? თუ ამდაგვარი რამ განმეორდება, ახლოს აღარ გამეკარო, მე შენ უარგყოფ და ამას გაზეთებში გამოვაცხადებ, მე შენ...

— მემკვიდრეობის უფლებას ჩამომართმევ, ამას წყალი არ გაუვა.

— მისმინე, ჟორჟ, შენი ჭირიმე... რა საჭიროა ეს ყველაფერი?

— ძვირფასო მოხუცო, შენ ჩემზე ათასჯერ უკეთესი ხარ და ჩემზე გაციცლებით უფრო მეტიც იცი; ოღონდ მაგ სალახანებს რაც შეეხება, შენზე ბევრად უკეთესად ვიცნობ. ნუ გენაღვლება, უპრიანია მაგათზე; აწი ცხრაჯერ მიატრიალ-მოატრიალებენ პირში იმ თავიანთ შხამიან ნესტარს, ვიდრე გალანძღვას გაგიბედავდნენ.

— რა მესაქმება მაგ ბრიყვებთან? რაც უნდათ, ისა თქვან, მიმიფურთხებია ერთი.

— მე კი ვერ მივაფურთხებ! და ეს ამბავი შენ არ გეხება.

მას აქეთ კრისტოფს ნიადაგ შიში ჰქონდა, ვაითუ ვისმეს ახალმა სტატიამ ჟორჟი ისევ გააღეზოსო. სასეირო სანახავი იყო, როგორ იჯდა ხოლმე მომდევნო დღეებში კაფეში და გაფაციცებით ჩხრეკდა გაზეთებს, თუმცა პრესას არასდროს კითხულობდა. მზად იყო ვინიცობაა შეურაცხმყოფელ სტატიას წასწყდომოდა, რაგინდარა მოემოქმედებინა (თუ საჭირო შეიქნებოდა, ხიმანკლობასაც არ მოერიდებოდა), ოღონდაც ის სტრიქონები ჟორჟს თვალში არ მოხვედროდა. ერთი კვირის შემდეგ დაშოშმინდა. ბიჭი მართალი გამოდგა. მისმა საქციელმა იმ დაგეშილ მეძებრებს კუდი ამოაძუებინა. კრისტოფი კვლა-

ვინდებურად თათხავდა გიჟ ჭაბუკს, ვისი გამოისობითაც ერთი კვირის განმავლობაში სამუშაოს ვერ გაჰკარებოდა, მაგრამ გუნებაში ფიქრობდა, კაცმა რომ თქვას, რაღა უფლება მაქვს ჭკუა დავარიგოო. ერთი შემთხვევა გაახსენდა — არცთუ ისე დიდიხნის წინანდელი შემთხვევა — როცა თვითონაც თავი გამოიდო ოლივიეს გულისათვის. მოეჩვენა, თითქოს ესმოდა, როგორ ეუბნებოდა ოლივიე:

„მაცალე, კრისტოფ, მხოლოდ ვალს გიბრუნებ ჩემსას!“

თუ კრისტოფი იოლად იტანდა თავდასხმას, სამაგიეროდ მეორე ადამიანი შორს იდგა ამგვარი ირონიული გულგრილობისაგან. ეს ადამიანი ემანუელი გახლდათ.

ევროპული აზრის ევოლუცია სწრაფად მიმდინარეობდა. ახალი ძრავებისა და მანქანების გამოგონება თითქოს აჩქარებდა მას. ცრურწმენებისა და იმედების მარაგი, წინათ ბარე ოცი წლის მანძილზე რომ ეყოფოდა კაცობრიობას, ხუთ წელიწადში ამოიწურა: სხვადასხვა თაობათა იდეები წარმოუდგენელი სისწრაფით ცვლიდნენ ერთიმეორეს, ქროლით მისდევდნენ ერთიერთმანეთს, ხან ერთი გაუსწრებდა, ხან — მეორე: დარეკა შეტევის ჟამმა. ემანუელს გაუსწრეს.

მეხოტბე ფრანგული ძალმოსილებისა აროდეს გამიჯვნია თავისი მასწავლებლის, ოლივიეს, იდეალიზმს. მისი მგზნებარე ნაციონალიზმი მუდამ ერწყმოდა ზნეობრივი ზეობის კულტს. თუ თავის ლექსებში იგი მჭექარე ხმით იუწყებოდა საფრანგეთის გამარჯვებას, ეს იმიტომ, რომ თავის შეხედულებათა კვალობაზე ეთაყვანებოდა მას, იგი მიაჩნდა საუკეთესო გამომხატველად თანადროული ევროპული აზრისა, მიაჩნდა ათენა ნიკედ[1], ძლევამოსილ **სამართალად**, რაიც იმარჯვებს **ძალაზე**. ახლა კი **ძალას** გაჰღვიძებოდა **სამართალი**-**სავე** წიაღში და კვლავ წარმომდგარიყო პირველყოფილი სიშიშვლით. ახალი, ჯანსაღი, კუნთმაგარი და მეომრული თაობა ბრძოლისკენ მიიწევდა და, თუმცა ჯერ არ ეგემა გამარჯვება, თავს უკვე მძლეველად გრძნობდა. თავი მოსწონდა თავისი კუნთებით, განიერი მკერდით, ძლიერი და სიამეს დახარბებული გრძნობებით, თავისი ფრთებით ტაფობის თავზე მობობინე მტაცებელი ფრინველისა; ერთი სული ჰქონდა, საკბილოს სძგერებოდა და თავისი ბრჭყალების ძალა გამოეცადა. ფრანგი ერის გმირულმა საქმეებმა, გიეურმა ფრენამ ალპის მთებისა და ზღვების თავზე, დიდმა რბევამ ცხენებით აფრიკის სილნარში, ახალმა ჯვაროსნულმა ლაშქრობამ, არანაკლებ მისტიკურმა და არაუმეტეს უანგარომ, ვიდრე ფილიპე-ავგუსტოსა და ვილჰარდუენის[2] ლაშქრობები იყო, ბოლოს და ბოლოს თავბრუ დაახვიეს ხალხს. ამ ბალღებს, ომს რომ წიგნებით იცნობდნენ

[1] ათენა ძლევამოსილი (ბერძ.).

[2] ჟოფრუა დე ვილჰარდუენი (1148/1150—1218) — ფრანგი მხედართმთავარი, მემატიანე, მონაწილეობას იღებდა ჯვაროსნულ ლაშქრობაში კონსტანინოპოლის წინააღმდეგ.

მხოლოდ, არად უღირდათ, შარავანდით შეემოსათ ომი. ისინი აგრესიულნი შეიქნენ. მშვიდობითა და განყენებული იდეებით გულასუყებულნი ხოტბას ასხამდნენ „ბრძოლათა გრდემლს“, ზედ რომ სისხლიანი მუშტით უნდა გამოეჭედათ ოდესმე ფრანგული მორწმულობა. პასუხად ყოველგვარი იდეოლოგიის მოძალებისა, რითაც თავი ჰქონდათ გაბეზრებული, პრინციპად გაიხადეს იდეალის ზიზღი. ასე გასინჯეთ, ერთგვარი ტრაბახით აქებდნენ შეზღუდულობასა და საღ აზრს, უხეშ რეალიზმს, ურცხვ შოვინიზმს, ფეხქვეშ რომ თელავს სხვათა უფლებებსა და სხვა ხალხებს რომ თრგუნავს, თუ ეს სახეიროა სამშობლოს დიდებისათვის. სძულდათ უცხოელები, დემოკრატია; ათეისტებიც კი კათოლიციზმისაკენ დაბრუნებას ქადაგებდნენ — პრაქტიკული საჭიროება უკარნახებდათ: „დაემკვიდრებინათ აბსოლუტური“ და შეეზღუდათ უსასრულობა, მიენდოთ მისი დაცვა წესრიგისა და ძალაუფლებისათვის. არამცთუ სძაგდათ, საზოგადოების მტრებადაც მიაჩნდათ გუშინდელი უვნებელი მოლაყბეები, მეოცნებე იდეალისტები, მოაზროვნე ჰუმანისტები. უკანასკნელთა რიგს, ამ ჭაბუკთა თვალსაზრისით, ემანუელი ეკუთვნოდა. ამის გამო იგი საშინლად იტანჯებოდა და აღშფოთებული იყო.

იმის შეგნებამ, კრისტოფიც უსამართლო დევნის მსხვერპლი შექმნილა ჩემსავითო, — ის კი არა, ჩემზე მეტადაცო, — ემანუელს სიმპათიის გრძნობა აღუძრა კრისტოფის მიმართ. გაბოროტებულობით ხელი ჰკრა კრისტოფს და მას შემდეგ იგი აღარც მოჰკარებია. ემანუელი მეტისმეტად ამაყი იყო, სინანული გამოემეღავნებინა და კრისტოფის ძებნა დაეწყო. მაგრამ თითქმის შემთხვევით მოახერხა მასთან შეხვედრა, თანაც ისე მოახერხა, პირველი ნაბიჯი თვითონ არ გადაედგა. ამის შემდეგ დაუცხრა უნდობლობის შავბნელი გრძნობა და აღარ ფარავდა, კრისტოფის სტუმრობა რომ სიამოვნებას ჰგვრიდა. მას აქეთ ხშირად ხვდებოდნენ ხან ერთისას, ხან — მეორისას. ემანუელმა გაანდო, რა წყენას განიცდიდა. ზოგი კრიტიკოსი უკიდურესად აბოროტებდა, და რაკი ხედავდა, კრისტოფს გულზე ეს ამბავი მაინცდამაინც არ ეკარებოდა, ძალას ატანდა, ის საგაზეთო რეცენზიები წაეკითხა, თავად კრისტოფზე რომ დაეწერათ. კრისტოფს ბრალსა სდებდნენ, თავისი ხელოვნების ანაბანა არ ესმისო, ჰარმონია არ იცისო, ამტკიცებდნენ: თანამოძმენი გაძარცვა და მუსიკა ლაფში ამოსვარაო. „ეგ ბორგვნეული მოხუციო“, აგრე უწოდებდნენ. „თავი მოგვაბეზრესო ამ შეშლილებმა. ჩვენ მომხრენი ვართ კლასიკოსთა ზომიერებისა, ვონებისა, სიდინჯისა“... — წერდნენ მის გამო.

კრისტოფს მხოლოდ ართობდა ეს ამბავი.

— ასეთია ბუნების კანონი, — ამბობდა იგი. — ახალგაზრდები მოხუცებს სანაგვე ყუთში მოისვრიან ხოლმე. თუმცა ჩემსობას აგრე იყო: კაცი რომ სამოცს გადასცილდებოდა, მერმეღა უწოდებდნენ მოხუცს. ახლა ყველაფერი აჩქარებული ტემპით მიდის... უმავთულო ტელეგრაფიო, თვითმფრინავიო... თაობა მალევე იფიტება... საბრალონი! დიდხანს ვერ გაძლებენ! რარიგ ჩქარობენ, ზიზღი გამოხატონ ჩვენდამი და თავი მოიწონონ მზისქვეშეთში!

მაგრამ ემანუელი არ გამოირჩეოდა ამგვარი შეურყეველი ჯანმრთელობით. მისი გაბედული აზრი ავადმყოფური ნერვების ტყვე იყო; მგზნებარე სული რაქიტულ სხეულში ემწყვდია; ბრძოლისაკენ მიიწევდა, მაგრამ ბრძოლისთვის გაჩენილი არ ყოფილა. ზოგიერთი კრიტიკოსის მკვახე ტონი მას სულის სიღრმემდე შეურაცხყოფდა.

— ეჰ, — ამბობდა იგი, — კრიტიკოსებმა რომ იცოდნენ, რა ვნებას აყენებენ ხელოვანს ერთი უმართებულო, როყიო სიტყვით, დიახაც შერცხვებოდათ თავიანთი საქმიანობისა.

— მშვენივრად იციან ეგ ამბავი, ძვირფასო მეგობარო. ეს მათი ცხოვრების ხერხია. ყველამ ხომ თავისებურად უნდა გაიტანოს თავი.

— ჯალათები არიან. წუთისოფელი სისხლიან იარებს გვიჩენს, წელში გვწყვეტს ბრძოლა, რასაც ხელოვნებისათვის ვეწევით. იმის ნაცვლად, ხელი გამოგვიწოდონ და თანაგრძნობით მოეკიდონ ჩვენს სუსტ მხარეებს, ძმურად დაგვეხმარონ მათს დაძლევაში, გამომდგარან და ჯიბეში ხელჩაწყობილნი გვიმზერენ, როგორ ვეზიდებით აღმართში ჩვენს ტვირთს, თანაც მოგვყვირიან: „ვერ დაძლევსო!“ ხოლო, როცა დავძლევთ აღმართს და ბოლოს და ბოლოს მწვერვალს მივაღწევთ, ერთნი ღრიალს ატეხენ — წესებს არ იცავდა, ისე ადიოდაო! სხვანი კიდევ დაჟინებით ამტკიცებენ, ვერ დაძლიაო! კიდევ კარგი, ქვებს არ გვესვრიან ფეხებში, რა არის წაგვაქციონ!

— არც მთლად ეგრეა! მათშიაც გვხვდებიან კარგი ადამიანები! მერე რამხელა სიკეთის მოტანა შეუძლიათ! დაბოღმილი რეგვენები ყველგან გამოერევიან, რაგინდარა პროფესია იყოს. ერთი მითხარი, თუ იქნება იმაზე უფრო საზარელი რამე, ვიდრე გაბოროტებული და პატივმოყვარე ხელოვანია, რომელიც ქვეყნიერებას თავის ნადავლად იგულებს და ცოფდება, რაკი იგი ვერ დაუპყრია? მოთმინებით აღიჭურვე! ზოგი ჭირი მარგებელია. ყველაზე ბოროტი კრიტიკოსიც კი სარგებლობას გვძენს, მწვრთნელად გვევლინება, საშუალებას არ გვაძლევს, გზად შევჩერდეთ. ყოველთვის, როცა გვგონია, მიზანს მივატანეთო, ძაღლების ხროვა კანჭებში გვებდღვნება. წინ! ახალი მიჯნისკენ! ახალი სიმაღლისკენ! უმალ ისინი დაიქანცებიან ჩემი დევნით, ვიდრე მე დავიღლებოდე წინსვლით. აბა, გაიხსენე არაბული ანდაზა: „უნაყოფო ხეს არავინ ერჩის. ქვას მხოლოდ იმ ხეს უშენენ, ოქროს ნაყოფი რომ ამშვენებს...“. შებრალების ღირსია ის ხელოვანი, ვისაც დაინდობენ. სიზანტე დაძლევს და გზად შეჩერდება. ხოლო წამოდგომას რომ მოინდომებს, გაშეშებული ფეხები აღარ დაემორჩილება. გაუმარჯოს ჩემს მოყვარე მტერს! მან მეტი სიკეთე მიყო ცხოვრებაში, ვიდრე ჩემმა მტერმა მოყვარემ!

ემანუელმა ღიმილი ვერ შეიკავა. მერმე თქვა:

— და მაინც, ნუთუ გული არ გეტკინებათ, როცა თქვენისთანა ვეტერანს ჭკუის სწავლებას დაუწყებენ ახალწვეულნი, ჯერ ერთხელაც რომ თოფის წამლის სუნი არ უყნოსიათ?

— მართობენ, — მიუგო კრისტოფმა. — ეს ქედმაღლობა ნიშანია ჭაბუკური ჩუხჩუხა სისხლისა, ძარღვებში რომ ვერ დატეულა. ერთ დროს მეც ასეთი ვიყავი. ესაა გაზაფხული! თავსხმა წვიმები, გაცოცხლებულ დედამიწას რომ მოევლინება... დაე, გვასწავლონ. ბოლოს და ბოლოს ისინი მართალნი არიან. ბებრებმა უნდა გაიარონ ახალგაზრდების სკოლა! მართალია, იმათ გაგვძარცვეს, უმადურნიც არიან, მაგრამ ეს ასეც უნდა იყოს. ჩვენი ნამუშაკევით გამდიდრებულნი ჩვენზე შორს წავლენ, რასაც ვესწრაფოდით, იმას განახორციელებენ. თუ სიჭაბუკის ნატამალი შემოგვრჩენია, უნდა ვისწავლოთ ჩვენდათავად, თანაც ვეცადოთ, გავახალგაზრდავდეთ. თუ ეს არ ძალგიძს, თუ ძლიერ მოვბერებულვართ, მაშინ მათ შევხაროდეთ. საამოა, ჭვრეტდე ადამიანის სულის განუწყვეტელ აყვავებას, სულისა, რაიც დაშრეტილი გეგონა, ჭვრეტდე ამ ახალგაზრდობის ძალუმ ოპტიმიზმს, მის შემართებას, საქმიანობით გატაცებას—ესაა ადამიანთა მოდგმა, ქვეყნიერების დასაპყრობად რომ აღზევებულა.

— რანი იქნებოდნენ ისინი უჩვენოდ? ჩვენი ცრემლი მათი სიხარულის წყაროა. ამ ამაყ ძალას ფრთა გააშლევინა მთელი თაობის ტანჯვამ... Sic vos non vobis...[1]

— ეგ ძველი გამონათქვამი მცდარია. ჩვენი თავისთვის ვმუშაობდით და ვქმნიდით ადამიანთა ახალ თაობას, ჩვენ რომ გვაჯობებს. შევუნახეთ მისი სიმდიდრე და ვუცავდით უბადრუკ ფარღალალა სახლაკში, სადაც ყოველი ხვრელიდან ქარი სისინებდა. კარს მხრებით ვაწვებოდით, სიკვდილი არ შემოვიდესო. ჩვენი ხელით გავიყვანეთ ტრიუმფალური გზა, რომლითაც ივლიან ჩვენივე ძენი. ჩვენი მუშაკობით გადავარჩინეთ მომავალი. კიდობანი[2] აღთქმული მიწის მიჯნასთან მოვიტანეთ. იგი შეაღწევს იქ მათთან ერთად და ჩვენივე წყალობით.

— გაიხსენებენ თუ არა ისინი ოდესმე იმათ, ვინც უდაბნოს გზებით ვიდოდა, მოჰქონდა წმიდა ცეცხლი, ახლდა ღმერთები და თვით ისინი, ის ბალღები, ახლა რომ მოწიფული ხალხი შექმნილა? ჩვენ წილად გვერგო მხოლოდ განსაცდელი და უმადურობა.

— განა ნანობ ამას?

— არა. თრობაცაა იმის შეგნება, ტრაგიკული სიდიადე ჩვენი მძლავრი ეპოქისა მსხვერპლად რომ მივიტანეთ, რაფა გვეშვა ეს ახალი ეპოქა. თანამედროვე ადამიანებს აღარ უწერიათ, შეიცნონ თვითგანწირვის დიადი სიხარული.

— ჩვენ მათზე ბედნიერები ვიყავით, ნებოს[3] მთის წვერამდე ავაღწიეთ,

---

[1] ამრიგად, თქვენი თავისთვისვე როდი (მუშაობთ) (ლათ.).

[2] სკივრი, სადაც ინახებოდა, ბიბლიური გადმოცემის თანახმად, ქვის ფიქალები, რომლებზედაც ეწერა მოსეს სჯული.

[3] ბიბლიური ლეგენდის თანახმად, წინასწარმეტყველმა მოსემ სინას ნახევარკუნძულზე აღმართული ნებოს მთიდან იხილა აღთქმული მიწა, საითაც ებრაელები მიჰყავდა, ოღონდ ისე მოკვდა, არ დასცალდა, ფეხი დაედგა იმ მიწაზე.

ძირს კი გაშლილა მიწა, ზედ ფეხის დადგმა რომ აღარ გვიწერია. მაგრამ გახარებით იმათზე მეტად გვახარებს ეს მიწა, ვინც იქამდე მიაღწევს: ბარად რომ ეშვები, აკი თვალს ეფარება უსაზღვრო სივრცე და შორეული ჰორიზონტი.

ემანუელი და ჟორჟი კრისტოფის გვერდით სიმშვიდეს გრძნობდნენ. ამ-გვარ სიმშვიდეს თვით კრისტოფი გრაციას სიყვარულში პოვებდა. ამ სიყვა-რულის წყალობით იყო, ცინცხალსა და გაუნელებელ ინტერესს რომ გრძნობდა ახალი ცხოვრების ყოველი გამოვლინებისადმი. როგორიც უნ-და ყოფილიყო მიწის განმაახლებელი ძალები, მუდამ მათ მხარეს იყო, თუნდაც იმ ძალებს მისსავ წინააღმდეგ გამოელაშქრათ. არ აშინებდა, იმ დემოკრატიის სუფევა რომ მოახლოებულიყო, რის საწინააღმდეგოდაც ერთი მუჭა პრივილიგირებული ეგოისტები საომარ ყიჟინას სტეხდნენ, მოძ-ველებული ხელოვნების სჯულის ფიცართ როდი ებღაუჭებოდა სასოწარკვე-თილი; გულდაჯერებული ელოდა, ზღაპრული ხილვებისაგან, მეცნიერებისა და პრაქტიკის ხორცშესხმულ ოცნებათაგან იშვისო ახალი, წინანდელზე უფრო მძლავრი ხელოვნება; მიესალმებოდა მსოფლიოს ახალი განთიადის დადგომას, თუნდაც ამ ამბავს ძველი სამყაროს სილამაზე შეეწირა.

გრაციამ იცოდა, მისი სიყვარული კეთილისმყოფელ გავლენას რომ ახ-დენდა კრისტოფზე. საკუთარ თვალში ამაღლებდა ამ თავისი ძალის შეგრძნობა. წერილების მეშვეობით ხელმძღვანელობას უწევდა მეგობარს. რა თქმა უნდა, სულელურ პრეტენზიას როდი უყენებდა, როდი ცდილობდა, რაიმე მიეთითე-ბინა მისთვის ხელოვნების დარგში, ფრიად ტაქტიანი გახლდათ ამ მხრივ, იცო-და თავის შესაძლებლობათა ფარგლები. ოღონდ მისი კრიალა, ურიოშო ხმა ის კამერტონი გახლდათ, რის მიხედვითაც კრისტოფის სული მოიმართებოდა ხოლმე. საკმარისი იყო, კრისტოფს გულში წარმოედგინა, როგორ იმეორებდა ეს ხმა მისეულ აზრს, და ის მისი აზრი მყისვე ხდებოდა მართებული, წმინდა და ღირსი განმეორებისა. ხმა მშვენიერი საკრავისა მუსიკოსისათვის იგივეა, რაც მშვენიერი სხეული, რომელშიც უმალვე ხორცს ისხამს მისი ოცნება. იდუ-მალი ურთიერთშერწყმა ორი მოსიყვარულე სულისა; თითოეული მათგანი მეორისაგან იღებს საუკეთესოს, ოღონდ იღებს იმისათვის, ის შენაძენი თავი-სი სიყვარულით გამდიდრებული დაუბრუნოს. გრაციას არ ეშინოდა, კრის-ტოფს გამოსტყდომოდა, მიყვარხარო. რაკი მანძილი აშორებდა და თანაც დარწმუნებული იყო, მისი აღარასოდეს შევიქნებიო, გაცილებით უფრო თავი-სუფლად გამოთქვამდა გულისნადებს. ეს სიყვარული, რომლის წმიდათაწმიდა გზნება კრისტოფს გადაედო, ძალისა და სიმშვიდის წყაროდ ექცა ამ უკანასკ-ნელს.

ამ ძალასა და სიმშვიდეს გრაცია იმაზე გაცილებით მეტს ანიჭებდა გარ-შემომყოფთ, ვიდრე თავად გააჩნდა. ჯანი შერყეული ჰქონდა, სულიერი წო-ნასწორობის შენარჩუნება უჭირდა. ვაჟის ჯანმრთელობას გაუმჯობესება არ

ეტყობოდა. ორი წლის განმავლობაში გრაციამ ნიადაგ შიშით იყო მოცული, რასაც აძლიერებდა ლიონელოს საოცარი უნარი, თავის ნებაზე ეთამაშებინა დედამისი. ბავშვმა სწორედ ვირტუოზობას მიაღწია იმის ხელოვნებაში, გაემძაფრებინა მოყვასთა მღელვარება. უსაქმური ბავშვის გონება გაიწაფა, ათასგვარი ფანდი მოეგონებინა, რა არის თანაგრძნობა, გამოეწვია, გაეწვალებინა ადამიანები და ეს ჩვეულება ნამდვილ მანიად გადაექცა. უბედურება ის იყო, რომ ვიდრე მანჭიაობდა, ავადმყოფობას იგონებდა, სნეულებამ მართლა დარია ხელი, სიკვდილის აჩრდილი თავს წამოადგა. მაშინ სწორედ ის მოხდა, რაც მოსალოდნელი იყო: წლების მანძილზე ბიჭი მოჩვენებითი ავადმყოფობით აწამებდა დედამისს, და როცა მართლა მოერია სნეულება, დედას აღარ სჯეროდა ეს ამბავი. თანაგრძნობასაც საზღვარი აქვს. მთელი თავისი თანაგრძნობა გრაციამ სიცრუეს გადააგო. ახლა კი, როცა ლიონელო სიმართლეს ეუბნებოდა, აგრე ეგონა, მეთვალთმაქცებაო. შემდგომ, როცა სიმართლე გამოირკვა, დარჩენილი დღეები სინდისის ქენჯნამ მოუწამლა.

მაგრამ ლიონელოს გაბოროტება ვერაფერს დაეცხრო. არც არავინ უყვარდა და ვერც იმას იტანდა, გარშემომყოფთაგან ვინმეს სხვა ჰყვარებოდა მის გარდა. ეჭვიანობა სისხლ-ხორცში გასჯდომოდა. იმას არ დასჯერებია, რომ მოახერხა და დედამისი კრისტოფს დააშორა. უნდოდა, მათი დიდი ხნის მეგობრობაზეც ხელი აეღებინებინა. ნაცადი ხერხი გამოიყენა — ავადმყოფობა. გრაციას აღთქმა დაადებინა, აღარასოდეს გათხოვილიყო. ეს აღთქმაც ეცოტავა. წერილებს ნუღარ მისწერო კრისტოფს, მოსთხოვა. მაშინ კი აღშფოთდა გრაცია. ძალაუფლების ამ ბოროტად გამოყენებამ ის ნაყოფი გამოიღო, რომ შვილის მბრძანებლობას თავი დააღწია. მკაცრად, დაუნდობლად გაკიცხა, მატყუარა ხარო, შემდგომ კი მწარედ ნანობდა, ეს რა დანაშაული ჩავიდინეო. დედის მკაცრმა სიტყვებმა ლიონელო ისე გააცოფა და გადარია, მართლაც ავად შეიქნა, და ეს მით უფრო სახათაბალო იყო, რომ დედას არ უნდოდა მისთვის დაეჯერებინა. მაშინ ბიჭმა გააფთრებისაგან სიკვდილი მოიწადინა, რა არის შური ეძია დედამისზე. ფიქრადაც არ მოსვლია, თუ სურვილი აუსრულდებოდა.

როცა ექიმმა გრაცია მიახვედრა, თქვენი შვილი უიმედო დღეშიაო, ქალი გაქვავდა, თითქოს მეხი დაეცაო. არადა, უნუგეშობასაც ვერ გამოამჟღავნებდა, ხომ უნდა აეხვია თვალი ბავშვისათვის, რომელიც ასე ხშირად ატყუებდა. ლიონელო ხვდებოდა, ამჯერად სახუმაროდ არა მაქვსო საქმე, მაგრამ არ სურდა ამის დაჯერება. მისი მზერა დედის თვალებში ეძიებდა სწორედ იმ სამდურავს სიცრუის გამო, რაც აგრე ააფთრებდა ხოლმე წინათ, როცა მართლა ცრუობდა. დადგა ჟამი, როცა იმედის ნასახიც აღარ შერჩათ. აუტანელი მდგომარეობა შეექმნათ მომაკვდავსა და მის ახლობლებს: ბავშვს არ უნდოდა სიკვდილი.

როცა ბოლოს საუკუნოდ დახუჭა თვალი, გრაციას ერთი არ წამოუყვირია,

ერთი ჩივილის სიტყვა არ დასცდენია. თავისი სიმშვიდით განაცვიფრა შინაურები. ძალა აღარ ჰყოფნიდა ტანჯვისათვის. ერთი რამ ეწადა მხოლოდ — თავადაც განესვენა. იმავე დროს გართული იყო ჩვეულებრივი ყოველდღიური საზრუნავით. გარეგნულად სრულ უშფოთველობას ინარჩუნებდა. რამდენიმე კვირის შემდეგ ღიმი კვლავ დაემჩნია ტუჩებზე, ოღონდ ეს იყო, კიდევ უფრო სიტყვაძვირი შეიქნა. ვერავინ ხვდებოდა მის სასოწარკვეთილებას. კრისტოფი — კიდევ უფრო ნაკლებად. გრაცია იმით შემოიფარგლა, რომ მომხდარი ამბავი აცნობა მას, ხოლო თავის თავზე კრინტი არ დაუძრავს. კრისტოფს სიყვარულითა და შეშფოთებით აღსავსე წერილებზე პასუხს არ უთვლიდა. კრისტოფს უნდოდა ჩამოსულიყო, გრაცია სთხოვდა, ნუ იზამო ამას. ორი-სამი თვის შემდეგ კვლავ დაჯდა წერილის დასაწერად, წერდა წინანდებურად მშვიდი, აუღელვებელი ტონით. დანაშაულად მიაჩნდა, თავისი სიმძიმილი მისთვის ეტვირთებინა. იცოდა, რა თავგამეტებით გამოეპასუხებოდა ხოლმე კრისტოფი ყოველ მის გულისთქმას და რარიგ სჭირდებოდა თავადვე კრისტოფს საყრდენად. თავშეკავება მტკივნეულ იძულებად კი არა, დისციპლინად, იგივე ხსნად უჩანდა. ცხოვრებისაგან დაღლილიყო და თუ რამ აკავებდა ამ წუთისოფელში, ისევ კრისტოფის სიყვარული და ის ფატალიზმი, რაიც ჭირსა თუ ლხინში მისი იტალიურ ბუნების საფუძველს შეადგენდა. გონებას ხელი არ ჰქონდა იმ ფატალიზმთან, ეს იყო ცხოველის ინსტინქტი, ნიათგამოცლილ ნადირს რომ აიძულებს, მოძრაობდეს; მიბანდალებს იგი და დაღლას არა გრძნობს, თითქოს სიზმარეულიაო. მზერა გაშეშებია, ვერც გზაზე დაყრილ ქვებს ამჩნევს, არც თავისი გაწამებული სხეული ახსოვს, ვიდრე წაიქცეოდეს. ფატალიზმით ცოცხლობდა მისი სხეული. სიყვარულით ცოცხლობდა მისი გული. ახლა, როცა წუთისოფელი მოჭამა, იგი სულდგმულობდა კრისტოფის წყალობით. და მაინც უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, ერიდებოდა მისდამი სიყვარული გამოეხატა წერილებში. ალბათ, ეს სიყვარული უფრო ძლიერი შექნილიყო და იმიტომ, მაგრამ იმის გამოც, რომ თან სდევდა veto[1] გარდაცვლილი ბავშვისა, რომელსაც დანაშაულად მიაჩნდა ეს გრძნობა. ხანდახან დუმილს იცავდა გრაცია, თავს ძალას ატანდა, წერილი არ მიეწერა კრისტოფისათვის.

კრისტოფს ვერ გაეგო ამ დუმილის მიზეზი. ზოგჯერ წერილის მშვიდი და თავშეკავებული ტონის წიაღ ენიშნებოდა ახალი, მოულოდნელი ინტონაცია, გულის ჩქროლა. თვითონაც აუჩქროლდებოდა გული, ოღონდ თქმით ვერაფერი ეთქვა; რაც ენიშნებოდა, იმის შემჩნევასაც ძლივს ბედავდა; იმ ადამიანს ჰგავდა, სუნთქვის რომ ეშინია, ვაითუ ჩვენება დავაფრთხოო. იცოდა, იმ ინტონაციას მომდევნო წერილში თითქმის უეჭველად გამოისყიდდნენ განგებისი გულცივობით... მერმე კი კვლავ ჩამოდგებოდა სიმშვიდე... Meeresstille[2].

---

[1] აღკვეთა (ლათ.).

[2] სიწყნარე ზღვაზე (გერმ.) გოეთეს ერთ-ერთი ლექსის სახელწოდებაა.

ერთ დღეს ჟორჟი და ემანუელი კრისტოფისას იყვნენ. ორივეს თავთავისი საწუხარი ალაპარაკებდა: ემანუელს — ლიტერატურული შუღლი, ჟორჟს კი — უიღბლო სპორტული შეჯიბრი. კრისტოფი გულკეთილად უსმენდა მათ და ორივეზე მეგობრულად ეცინებოდა. გაისმა ზარის ხმა. ჟორჟი კარის გასაღებად გაემართა. კოლეტის მსახურს წერილი მოეტანა. კრისტოფი ფანჯრისაკენ მიდგა და კითხვა დაიწყო.

ორივე მეგობარმა კამათი გააგრძელა; კრისტოფი ზურგით ედგათ და მის სახეს ვერ ხედავდნენ. კრისტოფი მეორე ოთახში გავიდა, მაგრამ ამ ამბისათვის ყურადღება არ მიუქცევიათ. არ გაჰკვირვებიათ, როცა ოთახიდან გასული ნახეს. დიდხანს არ დაბრუნებულა და ჟორჟმა გვერდითი ოთახის კარზე მიუკაკუნა. პასუხი არავის გაუცია. ჟორჟიც აღარ მისძალებია, იცოდა თავისი მოხუცი მეგობრის ახირებულობის ამბავი. რამდენიმე წუთის შემდეგ კრისტოფი დაბრუნდა. ძლიერ მშვიდი, ძლიერ დაქანცული და მეტად მორჩილი ჩანდა. მიგატოვეთო, მოიბოდიშა და შეწყვეტილი საუბარი განაგრძო. უნდოდა, ენუგეშებინა ისინი და ისეთი თანაგრძნობით ელაპარაკებოდა მათი უსიამოვნების გამო, ჟორჟსა და ემანუელს გულს მოეფონათ. კიდო მისი ხმისა უცნაურად აღელვებდა ორივეს, თუმცა რატომ აღელვებდათ, ვერ მიმხვდარიყვნენ.

მალე დაემშვიდობდნენ მასპინძელს და წავიდნენ. გზად ჟორჟმა კოლეტთან შეიარა. ნახა, ქალი ცრემლად იღვრებოდა. დაინახა თუ არა კოლეტმა ჟორჟი, მივარდა და ჰკითხა:

— ერთი მითხარი, როგორ გადაიტანა ეს ელდა ჩვენმა საბრალო მეგობარმა? რა საშინელებაა!

ჟორჟს არაფერი ესმოდა. კოლეტმა უთხრა, წეღან კრისტოფს მსახური გავუგზავნე და გრაციას სიკვდილის ამბავი შევატყობინეო.

ისე მომკვდარიყო, გამოთხოვებაც კი ვერავისთან მოესწრო. ბოლო რამდენიმე თვის მანძილზე სიცოცხლის ფესვები ისერიგად მოსუსტებოდა, ერთმა მსუბუქმა დაბერვამ მოცელა. წინადღეს, ვიღრე ავადმყოფობა შეუბრუნდებოდა და ხელს მოუთავებდა, კრისტოფისაგან გულითადი წერილი მიიღო. ამ წერილმა გული აუჩვილა გრაციას. უნდოდა ეხმო კრისტოფი, უკვე ხვდებოდა, რომ ყველაფერი დანარჩენი, ყველაფერი, რაც ერთმანეთს აშორებდათ, სიყალბე და დანაშაული იყო. ოღონდ მეტისმეტად დაღლილად გრძნობდა თავს და პასუხის გაცემა სახვალიოდ გადადო. მეორე დღეს კი ის იყო, ჩაწვა. დაიწყო წერილის წერა, მაგრამ ვეღარ დაამთავრა. თავბრუ ეხვეოდა, გრძნობას კარგავდა, თანაც ვერ გადაეწყვიტა, მეგობრისათვის შეეტყობინებინა თავისი ავადმყოფობის ამბავი; შეშფოთდებაო, შიშობდა. კრისტოფი იმ დროს სიმფონიური ქორალის რეპეტიციით იყო გართული. ის ქორალი ემანუელის პოემის ტექსტის მიხედვით დაეწერა. სიუჟეტმა ორივენი გაიტაცა: თავიანთი ბედის სიმბოლოდ ესახებოდათ. პოემას „აღთქმული მიწა“ ეწოდებოდა. კრისტოფი ხშირად სწერდა ხოლმე ამ პოემის შესახებ გრაციას. პრემიერა შემდეგ

კვირას უნდა შემდგარიყო. არა, არ შეიძლება მისი აფორიაქება. გრაციამ მხოლოდ გაკვრით აღნიშნა, ცოტა გაციებული ვარო. მერმე გადაწყვიტა, ან ამის მიწერაც რა საჭიროაო, დახია ბარათი, ხელახლა დაწერის თავი კი აღარ ჰქონდა. საღამოხანს დავწერო, იფიქრა, მაგრამ საღამოს გვიანღა იყო. მეტისმეტად გვიან, რათა ეხმო იგი, მეტისმეტად გვიან, რათა მიეწერა... გრაციამ ძლივს მოასწრო თითზე ბეჭედი წაეძრო და მიეცა ქალიშვილისათვის, თან ეთხოვა, ჩემს მეგობარს კრისტოფს გადაეციო. აქამდე მაინცდამაინც ახლოს არ ყოფილა ავრორასთან გრაცია, ახლა კი, აღსასრულისას, თვალაღგზნებული მისციებოდა სახეზე მას, ვინც ამ ქვეყნად რჩებოდა; ხელს უჭერდა ხელზე. ეს ხელი გადასცემდა მეგობარს სალამს, თან სიხარულით ფიქრობდა: „მთლად როდი მივდივარ“.

„Quid? hic, inquam, quis est qui complet aures meas tantus et tam dulcis sonus!..“

(„სციპიონის სიზმარი“)[1]

კოლეტისაგან რომ წამოვიდა, თანაგრძნობით ატანილი ჟორჟი კვლავ კრისტოფთან მიბრუნდა. ენაჭარტალა ბიძაშვილის წყალობით ჟორჟმა დიდი ხანია უკვე იცოდა, რა ადგილი ეკავა გრაციას მოხუცი მეგობრის გულში; იცოდა და, ასე გასინჯეთ (ახალგაზრდობას მაინცდამაინც არ სჩვევია კრძალვა), ზოგჯერ აქილიკებდა კიდეც ამის გამო. ოღონდ ახლა საოცარი სიცხადით წარმოიდგინა, რა მწუხარება უნდა დასტყდომოდა თავს კრისტოფს; მოუნდა, მივარდნილიყო მასთან, მოხვეოდა, მიესამძიმრებინა. იცოდა მისი შმაგი ბუნების ამბავი, და იმ უცნაურმა სიმშვიდემ, წელან რომ შეამჩნია მეგობარს, გული შეუშფოთა. დარეკა. სიჩუმე. კიდევ დარეკა და დათქმული წესისამებრ მიუკაკუნა. გაიგონა, როგორ გასწიეს სავარძელი; ნელი, მძიმე ნაბიჯის ხმა კარს უახლოვდებოდა. კრისტოფმა კარი გააღო. ისეთი მშვიდი სახე ჰქონდა, რომ ჟორჟი, რომელიც ის-ის იყო უნდა გადახვეოდა, უნებურად შედგა. არ იცოდა, რა ეთქვა. კრისტოფმა წყნარი ხმით ჰკითხა:

— შენა ხარ, ჩემო ბიჭო? დაგრჩა რამე?

შეცბუნებულმა ჟორჟმა წაიბუტბუტა:

— ჰო.

— შემოდი.

კრისტოფი კვლავ ჩაესვენა ფანჯარასთან მიმდგარ სავარძელში, იქ, სადაც ჟორჟის მოსვლამდე იჯდა. საზურგეზე თავმიყრდნობილი გასცქეროდა სახლის სახურავებსა და მეწამულ დაისს. ჟორჟს ყურადღებას არ აქცევდა. ყმაწვილი კაცი ვითომ რაღაცას ეძებდა მაგიდაზე, თან კრისტოფისაკენ გააპარებდა ხოლმე მზერას. მოხუცი მეგობარს უდრტვინველი იერი ჰქონდა; ჩამავალი მზის არილი შუბლსა და ღაწვებზე მისდგომოდა. ჟორჟი ანგარიშმიუცემლად გავიდა გვერდითს ოთახში, საძინებელში, ვითომც იქ განაგრძობდა ძებნას. აქ იყო, კრისტოფი წერილითურთ რომ ჩაიკეტა. წერილი ჯერაც ლოგინის საფარველზე იდო, ლოგინს ადამიანის სხეულის კვალი დამჩნეოდა. ძირს, ხალიჩაზე, გაშლილი წიგნი ეგდო. ჟორჟმა აიღო ეს წიგნი და წაიკითხა: სახარება ყოფილიყო, მარიამ მაგდალინელის შეხვედრა მებაღესთან[2].

---

[1] „რა არის ეს? — ვამბობ მე. — რა ხმებია, ესდენ ძალოვანი და საამო, სმენა რომ წარმტაცა?“ (ლათ.). — ციცერონი, „სციპიონის სიზმარი“.

[2] მებაღე ქრისტეს ერთ-ერთი ქარაგმული სახელწოდებაა სახარებაში.

თავს რომ დაუფლებოდა, ჟორჟი პირველსავე ოთახში შებრუნდა, რაღაც გადადგ-გადმოდგა მაგიდაზე ყასიდად, კვლავ გადახედა კრისტოფს. იგი არც შერხეულა. ჟორჟს უნდოდა ეთქვა, რარიგ თანაუგრძნობდა მას. მაგრამ კრისტოფი თითქოს გასხივოსნებულიყო ერთიან და ჟორჟი მიხვდა: ყოველგვარი სიტყვა უადგილო იქნებოდა. უმალ ჟორჟსავე სჭირდებოდა ნუგეშისცემა. მორიდებით ჩაილაპარაკა:

— მივდივარ.

კრისტოფს თავი არ მოუბრუნებია, ისე უთხრა:

— ნახვამდის, ჩემო ბიჭო.

ჟორჟი წავიდა და უხმაუროდ გაიხურა კარი.

კრისტოფი ისევ ისე იჯდა დიდხანს. ჩამოდგა ღამე. არც ტანჯვას გრძნობდა, არცთუ რაიმეზე ფიქრობდა, გამოკვეთილად არც ერთი სახე არ წარმოუდგებოდა თვალწინ. იმ ერთობ დაქანცულ ადამიანს ჰგავდა, შორით მონადენ მუსიკას რომ უსმენს, ოღონდ, ჩავწვდეო, არ ცდილობს. უკვე გვიანი ღამე იყო, როცა დათენთილი წამოდგა, პირქვე მიეგდო ლოგინზე და ძილს მიეცა. სიმფონია კვლავინდებურად ჟღერდა...

და იხილა იგი, სატრფო თვისი...ხელები გამოეწოდებინა სატრფოს, გაღიმებული ეუბნებოდა:

„აჰა, გამოაღწიე ცეცხლოვან წრეს“.

და გულმა შვება იგრძნო. ენით უთქმელ სიწყნარეს მოეცვა ვარსკვლავეთი, სადაც მშვიდ და ლუბრმა მდინარედ მოედინებოდა ზეციური მუსიკა.

როცა გამოეღვიძა, უკვე გათენებულიყო; გული კვლავ აღვსილი ჰქონდა უჩვეულო ბედნიერებით, ჯერაც მოესმოდა სიტყვების შორეული ნახმევი. ლოგინიდან წამოდგა. ჩუმმა და წმიდათაწმიდა აღტაცებამ მოიცვა მისი არსება.

...Or vedi, figlio,
tra Beatrice e te è questo muro[1].

მასსა და ბეატრიჩეს შორის აღმართული კედელი დაინგრა.

უკვე დიდი ხანია, მომეტებული წილი მისი სულისა იმ კედლის მიღმა სუფევდა. როცა ცხოვრობ, ქმნი, გიყვარს და კარგავ საყვარელ ადამიანებს, უფრო და უფრო უსხლტები სიკვდილს. ყოველი ახალი ელდის შემდეგ, თავს რომ დაგატყდება, ყოველი ახალი ნაწარმოების შემდეგ, რასაც შენ შექმნი, სულ უფრო მეტად გასცილდები საკუთარ თავს, შეეფარვი ქმნილებას შენგანვე ხორცშესხმულს, სულს, რომელიც გიყვარდა და რომელსაც მიუტოვებიხარ. ბოლოს და ბოლოს, რომი აღმოჩნდება რომისავე კიდეგან; უკეთესი წილი შენი არსებისა უკვე შენსავე მიღმაა... ერთადერთი გრაცია იყო, ჯერ კიდევ რომ აკავებდა კედლის გადმოღმა. და, აი, მანაც... ახლა უკვე კარი დაეხშო ჭმუნვის სამყაროს...

[1] „... შვილო, ეს კედელიღა დაშთენილია ბეატრიჩეს და შენსა შორის“. (იტალ.). — დანტე, „ღვთაებრივი კომედია“, „სალხინებელი“, ქება XXVII. თარგმ. კ. გამსახურდიასი.

კრისტოფი ფარული ეგზალტაციის პერიოდს განიცდიდა. აღარ გრძნობდა ბორკილის სიმძიმეს. აღარც რამეს ელოდა. აღარაფერზე იყო დამოკიდებული. თავისუფალი გახლდათ. ბრძოლა დასრულდა. გამოსცდენოდა ბრძოლათა არეს, იმ წრეს, სადაც მეუფებდა გმირულ შეტაკებათა ღმერთი, Dominus Deus Sabaoth[1], და მზერდა, როგორ ინავლებოდა მის ფეხთით გაწოლილ ბინდში უწვი მაყვლოვანის ცეცხლი. რარიგ შორს იყო უკვე ის მაყვლოვანი! როცა ამ ცეცხლმა გზა გაუნათა, კრისტოფს ეგონა, ეგაა, თითქმის მივაღწიეო მწვერვალს. მაგრამ რა დიდი გზა გამოიარა მას აქეთ. და მაინც, ჯერ ისევ შორია მწვერვალამდე. ვეროდეს მიატანდა იქამდე (ახლა უკვე ესმოდა ეს), გინდაც მარადის ევლო და ევლო. ოღონდ, როცა სინათლის წრეში შეხვალ და იცი, უკან არ დამრჩენიანო სიყვარული თუ ახლობელი არსებანი, მაშინ მარადისობაც წამად მოგეჩვენება, თუ იმ არსებათა გვერდით მიაბიჯებ.

კრისტოფი არავის იღებდა. არც არავინ მოდიოდა მის სანახავად. ჟორჟმა ხელადვე ამოწურა, რა თანაგრძნობის უნარიც ჰქონდა: შინ რომ მიბრუნდა, დაწყნარდა და მეორე დღეს უკვე აღარ ფიქრობდა კრისტოფზე. კოლეტი რომს გაემგზავრა. ემანუელმა არაფერი იცოდა მთელი ამ ამბისა და, ჩვეულებისამებრ, განაწყენებული, ბრაზდებოდა და დუმდა, აქაოდა, რატომ კრისტოფი საპასუხოდ არ მესტუმრაო. არაფერი არღვევდა უსიტყვო საუბარს, რასაც კრისტოფი მრავალი დღის მანძილზე უმართავდა იმას, ვისაც აწ თავის არსებაში ატარებდა, ისე ვით ორსული ქალი ატარებს თავის ძვირფას ტვირთს. გულის აღმძვრელი იყო ის საუბრები, ვერავითარი სიტყვებით რომ ვერ გადმოსცემდი, ისეთი. თვით მუსიკაც გაჭირვებით თუ შეძლებდა იმ განცდების გამოხატვას. როს გული ავსილი ჰქონდა, პირთამდე ავსილი, კრისტოფი იჯდა გაუნძრევლად, თვალმოხუჭული და ყურს მიაპყრობდა გულში გახმიანებულ გალობას. ანდა საათობით უჯდა ფორტეპიანოს, აამეტყველებდა კლავიშებზე მოსრიალე თითებს. თავის დღეში ასე ხშირად არ მიუმართავს იმპროვიზაციისათვის; ოღონდ არ იწერდა თავის აზრებს. რა საჭირო იყო?

როცა რამდენიმე კვირის შემდეგ კვლავ გამოვიდა გარეთ და შეხვდა ხალხს, თანაც მეგობართაგან ჟორჟის გარდა არავინ იცოდა, რა ამბავიც დამართოდა, ის სულისკვეთება იმპროვიზაციისა კიდევ ერთხანს თან ახლდა. ყველაზე ნაკლებად რომ მოელოდა, იმ დროს ეწვეოდა ხოლმე. ერთხელ, საღამოს, კოლეტისას კრისტოფი ფორტეპიანოს მიუჯდა და, ასე, ერთ საათს უკრავდა, მთლიანად მინებდა მუსიკას, გადაავიწყდა, სასტუმრო ოთახი გულგრილი ხალხით რომ იყო სავსე. ოღონდ ის ხალხი სიცილის იშტაზე არ მოსულა. ამ მგზნებარე იმპროვიზაციამ დაიმორჩილა და შეძრა ისინი. იმათაც კი, ვისაც არ ესმოდა იმპროვიზაციის აზრი, გული ეკუმშებოდათ; კოლეტს კი ცრემლი მოერია. დაკვრა რომ დაამთავრა, კრისტოფი უეცრივ მოტრიალდა; აღელვებულ ადამიანთა სახეები რა დაინახა, მხრები აიჩეჩა და გაიცინა.

[1] უფალი ღმერთი საბაოთი (ლათ.).

იმ მიჯნას მიაღწია, როცა მწუხარება ძალად გარდაიქმნება, იმ ძალად, რასაც შენს ნებაზე განაგებ. მწუხარება კი არ ფლობდა, თავად იყო მისი მეუფე; რამდენიც უნდოდა, მისწყდომოდა ის ჭმუნვა აქეთ-იქით, დასჯაჯგურებოდა მანებს; ყაფაზაში ჰყავდა გამომწყვდეული და ის იყო.

ამ პერიოდში შექმნა კრისტოფმა თავისი საუკეთესო, ყველაზე უფრო ღრმა ნაწარმოებები — სახარების სცენა, რაიც ხელადვე იცნო ჟორჟმა:

„Mulier, quid ploras?“ — „Quia tulerunt Dominum meum, et nescio ubi posuerunt eum“.

Et cum haec dixisset, conversa est retrorsum, et vidit jesum stantem: et non sciebat quia jesus est;[1]

შექმნა ტრაგიკული Lieder-ები ესპანური ხალხური cantares-ების[2] ტექსტზე, მათ შორის, სევდის მომგვრელი სატრფიალო-სამგლოვიარო სიმღერა, შავი ალის ავარდნას რომ ჰგავდა, ისეთი:

Quisiera ser el sepulcro
Donde a ti te han de enterrar,
Para tenerte en mis brazos
Por toda la eternidad...

(ნეტავი მქნა ის ლუსკუმა, სად შენ უნდა განისვენო,
რომ მკლავები მოგხვიო და გულს ჩაგიკრა საუკუნოდ...);

ორი სიმფონია, ერთს „სიმშვიდის კუნძული“ ერქვა, მეორეს — „სციპიონის სიზმარი“; ჟან-კრისტოფ კრაფტის სხვა ნაწარმოებებთან შედარებით, მათში ყველაზე უფრო ღრმადაა გამოხატული და ურთიერთშერწყმული მისი დროინდელი მუსიკალური შემოქმედების უკეთესი მხარეები: სათუთი და ბრძნული, ჩრდილიანი ხვეულებით აღბეჭდილი, აზრი გერმანიისა; ენებიანი მელოდიურობა იტალიისა; ფაქიზი რიტმებითა და ჰარმონიული ნიუანსებით მდიდარი, სხარტი გონება საფრანგეთისა.

ეს „აღმაფრენა, დიდი დანაკლისის ჟამს სასოწარკვეთილებით შობილი“, ერთ-ორ თვეს გრძელდებოდა, მერმე კრისტოფმა კვლავ პოვა თავისი ადგილი, ცხოვრებას მიუბრუნდა ნაბიჯმტკიცე, სულით ძლიერი. სიკვდილის სუნთქვამ გაუფანტა პესიმიზმის უკანასკნელი ბურუსი, სტოიკური სულის ბინდი და მისტიკური ჩრდილ-ნათელის ფანტასმაგორია. დაფანტულ ღრუბელთ შორის ცისარტყელა გამობრწყინდა. თვალი ზეცისა, კრიალა, თითქოს ცრემლით განბანილი, იმ ღრუბელთ შუა იღიმოდა. ეს იყო წყნარი მიმწუხრი მთაში.

---

[1] „დედაკაცო, რაისა სტირ? ხოლო მან პრქეა მათ, რამეთუ: აღიღეს უფალი ჩემი საფლავით და არა უწყი, სადა დადვეს იგი“.

ესე რაჲ თქუა, მიიქცა გარე და იხილნა იესო მდგომარე. არა უწყოა, რამეთუ იესო არს.
(სახარების ციტატა)

[2] სიმღერები (ესპ.).

ნაწილი მეოთხე

—

, იმ ცეცხლისაგან, ევროპის ტყეში რომ ღვივდებოდა, უკვე ჩაღდებოდა ხანძარი. ამაოდ ცდილობდნენ, ჩაექროთ იგი ერთს ალაგს, უმალვე მეორეგან ავარდებოდა ალი; კვამლის ბოლქვებსა და ბურჯღლების რიალში ცეცხლი ახალ-ახალი ადგილისკენ მიისწრაფოდა, ბრიალით ეკიდებოდა ხმელ ბუჩქნარს. აღმოსავლეთით უკვე გამართულიყო ავანგარდული ბრძოლები[1] — მაუწყებელი ხალხთა დიდი ომისა[2]. მთელი ევროპა, ჯერ კიდევ გუშინ სკეპტიკური და აპათიური რომ იყო, ჩამკვდარ ტყეს რომ მოგაგონებდა, ცეცხლის ნადავლად იქცა. ბრძოლის ყინმა შეიპყრო ადამიანთა გონება. ყოველ წუთს შეიძლებოდა ომი გაჩაღებულიყო. აქრობდნენ, მაგრამ ხელახლა იფეთქებდა. სულ უბრალო საბაბი კმაროდა საამისოდ. მსოფლიო გრძნობდა, მის ბედს შემთხვევა განაგებდა, შემთხვევას შეეძლო. საყოველთაო შეტაკების გამოწვევა. მსოფლიო მოლოდინში განაბულიყო. ყველაზე მშვიდობისმოყვარე ადამიანებსაც აჰკვიატებოდათ ფიქრი, ომი გარდაუვალიაო. ხოლო იდეოლოგნი ომისა, ციკლოპ პრუდონის ფართო ზურგს ამოფარებულნი, ხოტბას ასხამდნენ მას, ვითარცა ადამიანის ყველაზე კეთილშობილურ მოქმედებას.

აი, რა ნაყოფი უნდა გამოეღო დასავლეთის რასათა ფიზიკურსა და მორალურ აღორძინებას! სასაკლაოსკენ მიმართულიყო ხალხების მგზნებარე რწმენა და გაცხარებული საქმიანობა. მხოლოდ ნაპოლეონისეულ გენიას შეეძლო, გარკვეული და მკაფიო მიზნისკენ წარემართა ეს ბრმა დინება. მაგრამ მთელს ევროპაში არსად იყო ამგვარი გენიოსი მოქმედებისა. იტყოდი, ხალხებს ყველაზე გონებაშეზღუდული ადამიანები აურჩევიათო თავიანთ ხელმძღვანელებად. გონებას ძალა დაჰკარგოდა. ისღა დაგრჩენოდა, მდინარებისათვის მიგენდო თავი. აგრე იქცეოდნენ მმართველებიცა და ხალხებიც. ევროპა მოგაგონებდა უზარმაზარ სამხედრო ბანაკს ომის წინადღეს.

კრისტოფმა გაიხსენა ამგვარივე მშფოთვარე მოლოდინი; მაშინ გვერდით ოლივიეს შეფიქრიანებულ სახეს ჰვრეტდა. იმხანად ომის აჩრდილმა საავდრო ღრუბელივით გადაიარა. ახლა კი მთელს ევროპას ზედ დასწოლოდა. მაგრამ კრისტოფის გულსაც ცვლილება განეცადა. ვეღარ დაიდებდა წილს ხალხთა ამ ურთიერთსიძულვილში. იმგვარსავე სულიერ განწყობას მოეცვა, როგორიც

---

[1] იგულისხმება ბალკანეთის პირველი ომი 1912—1913 წლებისა — ომი ბალკანეთის კავშირისა თურქეთის წინააღმდეგ.

[2] ეს ნაწილი გამოქვეყნდა 1912 წ.

გოეთეს დაუფლებოდა 1813 წელს[1]. განა შეიძლება იბრძოდე, თუ სიძულვილს არა გრძნობ? განა შეიძლება გძულდეს, თუ ახალგაზრდა არა ხარ? სიძულვილი განვლილი ეტაპია უკვე. რომელი ეძვირფასება ნაკლებად ამ დიდ მეტოქე ხალხთაგან? ისწავლა, ჯეროვან პატივს მიაგებდეს თითოეულ მათგანს, იცოდა, მსოფლიო რას უნდა უმადლოდეს იმათ. როცა ადამიანი გარკვეულ მიჯნას მიაღწევს, „აღარ განასხვავებს ერებს, მეზობელი ხალხების ბედნიერება თუ უბედურება ისევე მიაქვს გულთან, როგორც საკუთარი ბედი თუ უბედობა". საავდრო ღრუბლები მის ფეხთით განრთხმულა. ირგვლივ კი მხოლოდ ცაა — „უკიდეგანო ცა, სადაც არწივნი ბოინობენ".

და მაინც ზოგჯერ კრისტოფი გულისტკენას იგრძნობდა, გარშემო მყოფ ხალხს თვალში არ მოვდივარო. პარიზში ფრიად აშკარად აგრძნობინებდნენ, მოსისხლე ხალხის შვილი ხარო; მისი საყვარელი ჟორჟიც კი ვერ შეელია სიამოვნებას და დაუფარავად გადმოულაგა, როგორ უყურებდა გერმანიას; ამ ამბავმა ძლიერ ატკინა გული კრისტოფს. მაშინ გაცლა ამჯობინა; მოისაბაბა, გრაციას ქალიშვილს უნდა შეეხვდეო; რამდენიმე ხნით რომს გაემგზავრა. მაგრამ უფრო მშვიდი ვითარება რომშიც არ დახვედრია. ეროვნული ყინჩობის საშინელ ჭირს აქაც მოეკიდებინა ფეხი. მოეკიდებინა და იტალიელთა ხასიათი გადაესხვაფერებინა. წინანდელ გულგრილსა და უზრუნველ ადამიანებს ახლა საოცნებოდ გახდომოდათ მარტოოდენ მხედრული დიდება, ბრძოლები, გამარჯვებანი, რომაული არწივები, ლიბიის ქვიშნარის თავზე ირაოს რომ აკეთებდნენ[2]; აგრე ეგონათ, ეგ არის, იმპერატორთა რომის დროება ახლოვდებაო. ყველაზე უფრო უცნაური ის იყო, რომ ოპოზიციური პარტიები — სოციალისტები და კლერიკალები, ისევე როგორც მონარქისტები, ალალად იზიარებდნენ ამ სიგიჟეს, აზრადაც არ მოსდიოდათ, ჩვენ-ჩვენს საქმეს ვღალატობთო. აქედან ცხადია, რარიგ უმნიშვნელოა პოლიტიკისა და ადამიანის გონების როლი, როცა ხალხს მძვინვარე ეპიდემიური ვნებები გაუჯდება. ამ ვნებებს არც უხდებათ პირად მიდრეკილებათა დათრგუნვა: აქეთ იყენებენ იმ მიდრეკილებებს, ყველაფერი ერთი მიზნისკენ მიისწრაფის. აქტიურ მოქმედებათა ხანას მუდამ ასე სჩვეოდა. ანრი მეოთხის ჯარი, ისევე როგორც საბჭო ლუი მეთოთხმეტისა, ვინაც საფრანგეთის დიდება გამოჭედა, იმდენსავე გონიერ, რწმენის მქონე ადამიანს ითვლიდა, რამდენსაც — პატივმოყვარე, ანგარ, მდაბალ ეპიკურელს. იანსენისტები და თავისუფლად მოაზროვნენი, პურიტანები და სასახლის ლოველასები, თავიანთ ინსტინქტებს აყოლილნი, საზიარო ბედს მსახურებდნენ. მომავალ ომებში, უეჭველია, ერთმანეთის გვერდით იბრ-

---

[1] ე. ი. ეკავა ჭვრეტითი პოზიცია, აქტიურ მონაწილეობას არ იღებდა პოლიტიკურ ამბებში. გოეთემ დუმილით აუარა გვერდი ავსტრია-პრუსიის ჯარების გალაშქრებას ნაპოლეონის წინააღმდეგ 1813 წელს.

[2] იგულისხმება იტალია-თურქეთის ომი 1911—1912 წლებისა. ეს ომი იტალიის მიერ ლიბიის დაპყრობით დამთავრდა.

ძოლებენ ინტერნაციონალისტები და პაციფისტები. ისინი, კონტინენტისდროინდელ მათ წინაპართა მსგავსად, დარწმუნებულნი იქნებიან, ხალხის კეთილდღეობისა და მშვიდობის გამარჯვებისათვის ვომობთო!

ოდნავ ირონიულად მოღიმარი კრისტოფი იანიკულის[1] ბორცვის ტერასიდან გადასცქეროდა ნაირსახოვანსა და იმავ დროს ჰარმონიულ ქალაქს — ამ სიმბოლოს ქვეყნიერებისა, რომელზედაც იგი ბატონობდა: დაბუგულ ნანგრევებს, ბაროკოს სტილის ფასადებს, თანადროულ ნაგებობებს, ვარდებით გაბარდულ კვიპაროსებს, — ყველა საუკუნეს, ყველა სტილს, ერთ მძლავრსა და მწყობრ მთლიანობად შერწყმულს გონების შუქით. ასე უნდა მიაფენდეს გონება ბრძოლით მოცულ ქვეყნიერებას სინათლესა და წესრიგს.

კრისტოფმა ცოტა ხანი დაჰყო რომში. ძველი ქალაქი მეტისმეტად ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენდა მასზე. შიში ჰქონდა ამ ქალაქისა. უკეთ რომ გამსჭვალულიყო მისეული ჰარმონიით, შორიდან უნდა ესმინა იგი; გრძნობდა, აქ თუ დავყოვნდი, ეს ქალაქი ისევე შემისრუტავს, როგორც ჩემი რასის მრავალი ადამიანი შეუსრუტავსო. დროდადრო გერმანიაში ჩადიოდა. მაგრამ ბოლ-ბოლო, მიუხედავად საფრანგეთ-გერმანიის კონფლიქტის გარდუვალობისა, ყველაზე მეტად მუდამ პარიზი იზიდავდა. იქ ხომ ჟორჟი ეგულებოდა, თვისი შვილობილი. მაგრამ მარტო გრძნობის ბრალი არ იყო ეს. არანაკლებ საგულისხმო გახლდათ წმინდა ინტელექტუალური ყაიდის მოსაზრებანიც. იმ ხელოვანისთვის, ვინაც მიჩვეულიყო ეცხოვრა სისხლსავსე სულიერი ცხოვრებით და გამოხმაურებოდა ყველა ვნებათაღელვას, რაც ხალხთა დიდ ოჯახს აფორიაქებდა, საძნელო იყო, ხელახლა შეჰგუებოდა გერმანიაში ცხოვრებას. იქაც ცოტანი როდი იყვნენ ხელოვანნი. მაგრამ იმათ ჰაერი არ ჰყოფნიდათ. თავიანთ ხალხს მოწყვეტილნი იყვნენ. ხალხს არ აინტერესებდა მათი ასავალ-დასავალი: საზოგადოებრივი აზრი სხვა საზრუნავს დასტრიალებდა — ყოფითსა თუ სოციალურს. ზიზღით სავსე, ბოღმამორეული პოეტები თავიანთი ხელოვნების ჩარჩოში იკეტებოდნენ, ხალხი კი მათ ხელოვნებას უგულებელყოფდა. სიამაყის გამო ეს პოეტები იმ უკანასკნელ ძაფებსაც წყვეტდნენ, მასის ცხოვრებასთან რომ აკავშირებდათ და წერდნენ მხოლოდ რჩეულთათვის. ისინი იქცნენ გადაშენების გზაზე მდგარ არისტოკრატთა ჯგუფად, ნიჭიერ, ფაქიზ, ოღონდ უნაყოფო არისტოკრატთა. ეს ჯგუფი თავის მხრივ დაქუცმაცებული იყო ურთიერთმეტოქე პატარ-პატარა წრეებად, რომლებსაც ხელოვნების უგვანი ქურუმნი შეადგენდნენ; სული ეხუთებოდათ იმ თავიანთ ვიწრო საჩეხში, და რაკი ძალა არ შესწევდათ მისი გაფართოებისა, მიმდგარიყვნენ და გამწარებულნი თხრიდნენ სიღრმეში, ჩიჩქნიდნენ და ჩხრეკდნენ ნათხარს, ვიდრე იმ მიწას მთლად გამოფიტავდნენ. მაშინ კი ანარქისტულ ოცნებებს მიეცნენ, საიმისოდ

[1] იანიკული (ჯანიკოლო) — ერთ-ერთი იმ შვიდ ბორცვთაგან, რომლებზედაც გაშენებულია რომი.

არც გარჯილან, ერთმანეთისათვის მიესადაგებინათ ის ოცნებები. ერთ ადგილს ტკეპნიდნენ ჯანღში და ის იყო. ზიარი ლამპარი არ ჰქონიათ. ყოველ მათგანს თავის თავშივე უნდა მოეძია სინათლე.

იქ კი, რაინს გაღმა, დასავლელი მეზობლებისას, პირიქით იყო, ხელოვნებას ჟამ-ჟამად გადაუქროლებდა ხოლმე ძლიერი ქარაშოტი კოლექტიური ენებების და სახალხო მღელვარებისა. შორით კი, დაბლობის ზემოთ, თითქოს ეიფელის კოშკი ატყორცნილაო მათივე პარიზის თავზე, ანათებდა მარად უქრობი ლამპარი ხელიხელ გადასაცემი კლასიკური ტრადიციისა, საუკუნეთა მანძილზე შრომითა და დიდებით რომ იყო მოპოვებული; და ეს ტრადიცია გონების დაუთრგუნავ-დაუმონავებლად უჩვენებდა საუკუნეებით გაკვალულ გზას, სინათლის წყალობით აერთიანებდა მთელს ხალხს. არაერთი გერმანელი, თითქოს ბნელ ღამეში გზაარეული ფრინველებიაო, იმ შუქურასაკენ მიილტვოდა. მოსდით კი ფიქრად საფრანგეთში, რა დიდი სიმპათია იზიდავს მისკენ მეზობელი ხალხის ამდენ კეთილშობილ ადამიანთა გულებს! რამდენი პატიოსანი ადამიანი უწვდის ხელებს, ხელებს, რომლებიც დანაშაულებრივ პოლიტიკაში არ გაუსვრიათ!.. თქვენც, გერმანელო ძმებო, თქვენც ვერ გვხედავთ და არ გესმით ჩვენი. გეუბნებით: „აჰა, ჩვენი ხელები. სიცრუისა და სიძულვილის ჯიბრზე ვეროდეს გაგვიშონ. ორივენი ერთმანეთს ვეჭირდებით, რათა დავიცვათ სიდიადე ჩვენი აზრების და ჩვენი ხალხებისა. ორი ფრთა ვართ დასავლეთის. ვინც ერთ ფრთას მოტეხს, ხელს შეუშლის მეორის ფრენას. დაე თუნდ ატყდეს ომი! ვერ გაგვაშვებინონ ერთურთს ჩაჭიდებული ხელები, ვერ შეაჩერონ ჩვენი ძმური გენიის აღმაფრენა“.

აგრე ფიქრობდა კრისტოფი. შეგნებული ჰქონდა, რაოდენ ავსებდა ერთიმეორეს ეს ორი ხალხი; მათი ჭკუა, მათი ხელოვნება, მათი გარჯა დაკნინდებოდა და გაცუდდებოდა მხარიმხარს მიუცემლად. მკვიდრი რაინის მხარისა, სადაც ერთიან ნაკადად შეირწყმის ორივე ცივილიზაცია, იგი ბავშვობიდანვე გრძნობდა ამ კავშირის აუცილებლობას. მთელი სიცოცხლის მანძილზე მისი გენია გაუცნობიერებლად მიესწრაფოდა, დაეცვა წონასწორობა იმ ორი მძლავრი ფრთისა. რაც უფრო მდიდარი იყო მისი გერმანული ფანტაზია, მით უფრო ძლიერ სჭირდებოდა ლათინური გონების სიცხადე. აი, რატომ ეძვირფასებოდა აგრე საფრანგეთი. აქ იგემა თვითშემეცნების სიხარული და ისწავლა თავისი თავის მოთოკვა. მხოლოდ აქ იყო ნამდვილად თავისთავადი.

შეურიგდა იმათ, ვინც ცდილობდა, მისთვის ევნოთ. ითვისებდა მისთვის უცხო ენერგიას და თავისას უსადაგებდა. ძლიერი, ჯანსაღი სული ინელებს ყველა ძალას, მტრულსაც კი, და საკუთარ სისხლხორცად გარდაქმნის. მერე და მერე დგება ჟამი, როცა ადამიანს ყველაზე მეტად ის იზიდავს, რაც ყველაზე ნაკლებად მიაგავს თვით მას, რადგან ეს უფრო უხვ საზრდოს აწვდის.

მართალი რომ ითქვას, კრისტოფს უფრო დიდ სიამოვნებას ანიჭებდა თავის მეტოქე კომპოზიტორთა ნაწარმოებები, ვიდრე თავისივე მიმბაძველების

შემოქმედება. დიახ, მიმბაძველებიც ჰყავდა, მის მოწაფეებად რომ მოჰქონდათ თავი, რაც კრისტოფს უსაშველო სასოწარკვეთას ჰგვრიდა. საუცხოო ყმაწვილები იყვნენ, მოწიწებით გამსჭვალულნი მასწავლებლის მიმართ, შრომისმოყვარენი, ღირსეულნი, დაჯილდოებულნი ყოველგვარი სათნოებით. რას არ გაიღებდა კრისტოფი, ოღონდაც მათი მუსიკა შეეყვარებინა, მაგრამ (ამგვარი იყო მისი ხვედრი!) ვერ ახერხებდა ამას: ყურადღების ღირსადაც არ მიაჩნდა იგი. ათასჯერ უფრო მეტად ხიბლავდა იმ მუსიკოსთა შემოქმედება, ვინც პირადად არ ეპიტნავებოდა და ხელოვნებაში მტრულ მიმართულებას ქმნიდა... ეჰ! რა გაეწყობა! ისინი, რაც უნდა იყოს, ცხოვრობდნენ! ცხოვრება კი თავისთავად ისეთი მადლია; ვინც ამ მადლსაა მოკლებული, ნამდვილი ადამიანი ვერასოდეს იქნება, რადგან არ ეთქმის მთლად ადამიანი, გინდაც სხვაფრივ სათნოებით იყოს შემკული. კრისტოფმა ხუმრობით განაცხადა, ჩემს შეგირდებად მხოლოდ იმათ ვთვლი, ვინც მეევ მებრძვისო. როცა რომელიმე ახალგაზრდა კომპოზიტორი სიტყვას ჩამოუგდებდა თავისი მუსიკალური მოწოდების თაობაზე და თანაც გულის მოსაგებად ნიჭს შეუქებდა, კრისტოფი შეეკითხებოდა ხოლმე:

— მაშ, გაკმაყოფილებთ ჩემი მუსიკა? სწორედ ამნაირად აპირებთ გამოხატოთ თქვენი სიყვარული თუ სიძულვილი?

— დიახ, ოსტატო.

— მაშინ უმჯობესია, დუმდეთ. ეტყობა, სათქმელი არაფერი გქონიათ.

ეს ზიზღი თვინიერთადმი, მორჩილებისათვის დაბადებულთა მიმართ, ეს მოთხოვნილება ახალ-ახალი აზრების შეთვისებისა, კრისტოფს უმთავრესად იმ წრეებისაკენ იზიდავდა, სადაც სრულიად საწინააღმდეგო შეხედულებებს იზიარებდნენ, ვიდრე თავად მას ჰქონდა. იმათ შორის ჰყავდა მეგობრები, ვის თვალშიც მისი ხელოვნება, მისი იდეალისტური შეხედულებანი, მისი მორალური პრინციპები მკვდარი ასო იყო; ისინი სხვაგვარად უყურებდნენ ცხოვრებას, სიყვარულს, ქორწინებას, ოჯახს, საზოგადოებრივ ურთიერთობას; კარგი ადამიანები იყვნენ, ოღონდ, იტყოდი, სხვა მორალური მრწამსის ეპოქას ეკუთვნიანო: ტანჯვა და ეჭვები, რასაც კრისტოფმა სიცოცხლის ნაწილი შეალია, ვერ გაეგოთ. მით უკეთესი მათთვის! კრისტოფი არც აპირებდა რაიმეს ახსნას. არ მოითხოვდა, გარშემომყოფთ მისი შეხედულებები გაეზიარებინათ და ამით ეს მისი შეხედულებანი განემტკიცებინათ. თავის შეხედულებებში უამისოდაც დარწმუნებული გახლდათ. უნდოდა, სხვაგვარი თვალსაზრი' გაეცნო, სხვა ყაიდის ადამიანები შეეყვარებინა. გიყვარდეს და შეიცნობდე უფრო და უფრო. აკვირდებოდე და სწავლობდე დანახვას. ახლა არამცთუ შესაწყნარებლად მიაჩნდა მისთვის უცხო თვალსაზრისი, ახარებდა კიდეც ეს ამბავი, რადგან სამყაროს სიმდიდრეს ამრავლებსო, აგრე თვლიდა. კრისტოფს განსაკუთრებით იმიტომ უყვარდა ჟორჟი, რომ ცხოვრებას იგი ისე ტრაგიკულად არ აღიქვამდა, როგორც თვითონ. კაცობრიობა მეტად ღარიბული,

მეტად უფერული იქნებოდა, ყველას რომ ისეთივე მკაცრი მორალისა და გმირული ვალის ფორმა მოერგო, როგორითაც კრისტოფი აღჭურვილიყო. კაცობრიობას სჭირდება ხალისი, უზრუნველობა, თამამი უკრძალველობა ყოველგვარ კერპთა მიმართ, თვით წმიდათაწმიდათა მიმართაც. გაუმარჯოს „დედამიწის განმაცხოველებელ გალურ ჭკუამახვილობას!“ სკეპტიციზმი და რწმენა ერთნაირად საჭიროა. სკეპტიციზმი ძირს უთხრის გუშინდელ რწმენას და გზას უხსნის ხვალინდელს. ყველაფერი ნათელი შეექმნება კაცს იმისდა კვალობაზე, რაც უფრო სცილდება ცხოვრებას: სწორედ აგრე ხდება, თუ მშვენიერ სურათს შორიდან ვუცქერით, ნაირგვარი ფერები მაშინ საუცხოო ჰარმონიად შეირწყმის, ახლოდან კი ის ფერები თვალს გვჭრის.

კრისტოფს თვალი აეხილა როგორც მატერიალური, ისე სულიერი სამყაროს უსასრულო მრავალფეროვნების სახილველად. ეს ერთ-ერთი მთავარი მისი გამარჯვება იყო იტალიაში პირველი მოგზაურობის შემდგომ. პარიზში მეტწილად მხატვრებსა და მოქანდაკეებს დაუახლოვდა. აგრე მიაჩნდა, ისინი ყველაზე უკეთ გამოხატავენო ფრანგულ გენიას. რა ძლევამოსილი სითამამით მოიხელებენ და აღბეჭდავენ ხოლმე თვალშეუვლებ მოძრაობასა თუ ძლივს შესამჩნევ ფერს! საბურველს ააცლიან ცხოვრებას და გულს აღტაცებით აგიტრთოლებენ. რა ულევ სიმდიდრეს ფარავს სინათლის ერთი წინწკალი, სიცოცხლის ერთი წამი იმის თვალში, ვისაც დანახვა ეხერხება. ამ უმაღლეს გონისეულ ნეტარებას განა შეედრება დავის აურზაური და ომის ბათქი! მაგრამ ეგ დავა და თვით ომიც დიდებული სანახაობის ნაწილიცაა. ყოველივე უნდა მოიცვა და შენი გულის ანთებულ ქურაში მამაცურად, ხალისიანად უნდა გადაისროლო — ძალნი დამამკვიდრებელნიც და ძალნი უარმყოფელნიც, მტრებიცა და მეგობრებიც, მთელი ლითონი ცხოვრებისა. ბოლოს და ბოლოს, ჩვენში ჩამოისხმის ქანდაკი, ღვთაებრივი ნაყოფი ჩვენივე სულისა, და ყოველივე, რაც ხელს უწყობს, განამშვენოს იგი, საუცხოოა, გინდაც მსხვერპლის ფასად გვიჯდებოდეს. განა აგრე მნიშვნელოვანია, ვინ არის შემოქმედი? ნაღდია მხოლოდ ქმნილება... მტრებო, ჩვენდა ვნებად აღძრულნო, ვერას დაგვაკლებთ! ვერ მოგვწვდება თქვენი მახვილი... ამაოდ ირჯებით. დიდი ხანია იქ აღარა ვარ, სადაც გეგულებით!

კრისტოფის მუსიკამ უფრო მშვიდი ფორმა შეიძინა. ეს აღარ იყო გაზაფხულის ჰეჟა-ქეხილი, ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ რომ გადაიქუხებდა და მიწუნარდებოდა. ზაფხულის ქათქათა ღრუბლები იყო, თოვლიანი და ოქროსფერი მთები, ვეება შუქმოსილი ფრინველები, ზანტად რომ ლივლივებდნენ და ცის თაღს ფარავდნენ... შემოქმედება. ყანობირი, აგვისტოს მშვიდი მზის ქვეშ რომ მწიფს...

ჯერ ბუნდოვანი და ღრმა გარინდება, იდუმალი სიხარული ყურძნის სავსე მტევნის, დაყურსული თავთავის, ორსული ქალისა, მწიფე ნაყოფს რომ და-

ატარებს. ორღანის გუგუნი; ფუტკრის ზუზუნი სკის გულში... ამ მღელვარე მუსიკას, ოქროსფრად რომ ლივლივებს შემოდგომის თაფლის ფიჭის დარად, გამოერჩევა წამყვანი რიტმი; ისახვის ცთომილთა ფერხული; ცთომილნი ბრუნავენ...

მაშინ თავს იჩენს ნება. იგი ზურგზე მოეკვლება ოცნებას, ჭიხვინით რომ გამოიქროლებს, და მუხლებს უჭერს ფერდებზე. რიტმს მიყოლილი გონება სწვდება რიტმის კანონებს; იმორჩილებს ბობოქარ ძალებს, უჩვენებს მათ იმ გზასა და მიზანს, საითაც თავად მიისწრაფის. იქმნება სიმფონია გონებისა და ინსტინქტის. ბინდი იფანტება. გრძელ ზოლად გაკლაკნილი გზის გაყოლებით შიგადაშიგ გამოკრთის სინათლის კერები; ისინი, თავის მხრივ, ამ ახალ ქმნილებაში იქცევა ბირთვებად პატარ-პატარა ცთომილთა სამყაროებისა, რომლებიც სარტყლად მოერტყმის მათსავე მზის სისტემას.

სურათის ძირითადი კონტურები უკვე საჩინოა. ახლა სურათი მთლიანად ილანდება ბუნდიან ალიონზე. უფრო და უფრო მკაფიოდ იკვეთება ფერების ჰარმონია, სხეულთა სილუეტები. ნაწარმოების გასრულებისათვის მთელი შენი არსება ძაბავს ძალებს. მეხსიერების სასაკმევლე თავღიაა და კეთილსურნელებას აკმევს. გონება ნებაზე მიუშვებს გრძნობებს, თავს ააწყვეტინებს, თავად კი იყურებს; ოღონდ გვერდით ჩასაფრებულა და დასდარაჯებია მათ, ნადავლს უთვალთვალებს.

ყველაფერი მზადაა; მშენებელთა ჯგუფი გრძნობებისგან მიტაცებული მასალით აგებს შენობას, გონს რომ მოუხაზავს. დიდ არქიტექტორს გაწაფული, თავიანთი ხელობის მცოდნე მუშები სჭირდება, ძალას რომ არ ზოგავენ, ისეთები. ტაძრის შენება დამთავრების პირზეა.

„გადმოხედა უფალმა ნაქმარს თვისსა. და ნახა, ჯერაც არ იყო იგი განსრულებულ“.

ოსტატი მზერას მოავლებს მთელ შენობას, და ხელი მისი განასრულებს ჰარმონიას...

ოცნებას ხორცი შესხმია. Te Deum...[1].

ზაფხულის ქათქათა ღრუბლები — ვეებერთელა შუქმოსილი ფრინველები — ზანტად ლივლივებენ ცაში, გაშლილი ფრთებით ტატნობს ფარავენ.

და მაინც კრისტოფი ჯერ სულაც არ აპირებდა, მხოლოდ ხელოვნებით შემოეზღუდა თავისი ცხოვრება. ამგვარი ყაიდის ადამიანები ვერ ძლებენ უსიყვარულოდ; მარტო უიმსიყვარულოდ კი არა, რასაც სული ხელოვანისა თანაბრად მიაგებს ყოველსავე არსებულს; არა, უეჭველად უნდა გამოარჩიოს

[1] შენ, ღმერთს [გადიდებთ] (ლათ.).

ვინმე. უეჭველად უნდა მინებდეს იმ მის მიერ გამორჩეულ არსებებს. ეს არის ხის ფესვები. ამ ფესვების წყალობით განუახლდება გულის სისხლი.

სისხლი კრისტოფს ჯერ სრულებითაც არ დაწრეტოდა. იმ სისხლს უსაზრდოებდა სიყვარული, რითაც ყველაზე მეტად ხარობდა. სიყვარული ორწილი — გრაციას ქალიშვილისა და ოლივიეს ვაჟისადმი. ფიქრში აწყვილებდა მათ. ნეტავი, ცხოვრებაში შემაერთებინაო, ოცნებობდა.

ჟორჟი და ავრორა კოლეტისას შეხვდნენ ერთმანეთს. ავრორა ამ თავისი ნათესავის სახლში ცხოვრობდა. წელიწადის ერთ ნაწილს რომში ატარებდა, დანარჩენ დროს — პარიზში. თვრამეტი წლისა იყო. ჟორჟზე ხუთი წლით უმცროსი. ტანადი, მოხდენილი ქალიშვილი გახლდათ, პატარა ქერათმიანი თავი ჰქონდა, ფართო შავგვრემანი პირისახე, ღინღლით ოდნავ შემოსილი ბაგე, ნათელი, მუდამ მოცინარე თვალები, რომელთა შემხედვარე ვერ იტყოდი, ფიქრით მაინცდამაინც თავს იწუხებსო. ყოველივე ამასთან ერთად, ცოტა არ იყოს, მძიმე ნიკაპი, ხორცსავსე და ღონიერი მზედაკრული მკლავები, მაღალი მკერდი მას მხიარულ, ჯანმაგარ და ამაყ ქალწულად წარმოგიდგენდათ. გონებრივად არცთუ მაინცდამაინც განვითარებულს, არცთუ ძალიან სანტიმენტალურს, დედის უზრუნველი სიზანტე დაჰყოლოდა. შეეძლო, დღეღამეში წაბმით თორმეტ საათს სძინებოდა. დანარჩენ დროს ნახევრად მთვლემარე დაბორიალებდა და უზრუნველად კისკისებდა. კრისტოფი Dornröschen-ს — მძინარე მზეთუნახავს უწოდებდა. პატარა საბინას მოაგონებდა. მღეროდა დაწოლისას, მღეროდა გამოღვიძებისას და იცინოდა სრულიად უმიზეზოდ, სასიამოვნო ბავშვური კისკისი იცოდა, ზოგჯერ ჩაკუჭკუჭდებოდა კიდეც. კაცი ვერ იტყოდა, რას აკეთებდა მთელი დღეების განმავლობაში. კოლეტის მთელი მონდომება, მიენიჭებინა მისთვის გარეგანი პეწი, რაიც აგრე იოლად, ლაქის მსგავსად, მიეკვრის ხოლმე ყმაწვილ ქალებს, ფუჭი გამოდგა: ლაქი არ ჩერდებოდა. არაფერს ითვისებდა; თვეებს ანდომებდა თუნდაც უაღრესად საინტერესო წიგნის წაკითხვას, ერთი კვირის შემდეგ კი აღარც სათაური ახსოვდა, აღარც შინაარსი. ორთოგრაფიული შეცდომები მოსდიოდა და ამის გამო ოდნავადაც არ შეცბუნდებოდა, ასევე ერთობ სასაცილო შეცდომები მოსდიოდა სერიოზულ საგნებზე საუბრისას. ეს კია, გამოგაცოცხლებდა თავისი ახალგაზრდობით, სიხალისით, თავისი ნაკლოვანებითაც კი, გონებრივი ინტერესების უქონლობით, თავქარიანობით, რაიც გულგრილობას ესაზღვრებოდა ზოგჯერ, თავისი მიამიტური ეგოიზმით. მუდამ საოცრად გულწრფელი, უშუალო იყო. ოღონდ ამ მიამიტსა და ზანტ ქალიშვილს ხანდახან გულუბრყვილო კეკლუცობის გამოჩენაც ეხერხებოდა, მაშინ ანკეესზე წამოაგებდა ხოლმე პირტიტველა ჭაბუკთ: ნატურიდან ხატავდა, უკრავდა შოპენის ნოქტიურნებს, მსჯელობდა იმ ლექსებზე, რომლებიც . აროდეს წაეკითხა, მართავდა რომანტიკულ საუბრებს და ატარებდა არანაკლებ რომანტიკულ ქუდებს.

კრისტოფს ჩუმჩუმად ეცინებოდა მის მაცქერალს. ავრორას მიმართ მამობრივ სინაზეს იჩენდა, შემწყნარებლურსა და დამცინავს. ოღონდ იდუმალს და კრძალულ სიყვარულსაც გრძნობდა მისდამი. სიყვარულს იმის მიმართ, ვისაც ერთ დროს ეტრფოდა და ვინც ამჟამად ახალგაზრდული იერით მოსილი მოვლინებოდა, რათა ამისი კი არა, სხვისი ტრფობის წილხვედრი შექმნილიყო. არვინ უწყოდა, რარიგ ღრმა იყო ეს მისი გრძნობა. მარტოდმარტო ავრორა ხვდებოდა ამას გუმანით. ბავშვობიდანვე მიჩვეულიყო, კრისტოფი გვერდით ეხილა, თითქმის ოჯახის წევრად იგულებდა. იმხანად, როცა ეჭვიანობისაგან ეწამებოდა, ჩემი ძმა ჩემზე მეტად უყვართო, ინსტინქტურად კრისტოფისაკენ მიილტვოდა. ხვდებოდა, რასაც განიცდიდა იგი, უგებდა და თანაუგრძნობდა. კრისტოფიც ხედავდა, რა სწყინდა მას; და ერთმანეთს ნუგეშს სცემდნენ ისე, რომ დაჩივლება არ იცოდნენ. შემდგომ ავრორამ შეიტყო, დედაჩემსა და კრისტოფს ერთმანეთი ჰყვარებიათო; აგრე ეგონა, მათს საიდუმლოში განდობილი ვარო, თუმცა იმათ არასდროს გაუხდიათ იგი თავიანთ მესაიდუმლედ. ესმოდა იმისი აზრი, რაც მომაკვდავმა გრაციამ დაავალა, და იმ ბეჭდის მნიშვნელობაც, ახლა რომ კრისტოფი ატარებდა. ასე რომ, მასსა და კრისტოფს შორის იდუმალი ურთიერთკავშირი გაბმულიყო. ამ ურთიერთკავშირის სირთულეს ავრორა საგანგებო ჩაკირკიტების გარეშეც გრძნობდა. გულწრფელად შეთვისებოდა თავის მოხუც მეგობარს, თუმცა ვერასოდეს თავს ძალას ვერ ატანდა, რა არის დაეკრა ან წაეკითხა რომელიმე მისი ნაწარმოები. გვარიანი კარგი პიანისტი გახლდათ, ოღონდ ცნობისწადილიც კი არ აღძვრია, გაეჭრა კრისტოფის მიერ მოძღვნილი პარტიტურა. მოსწონდა, შეევლო მისას და შინაურულად ემუსაიფა.

სტუმრობას უხშირა, როცა შეიტყო, შეიძლება იქ ჟორჟ ჟანენს შევხვდეო.

ჟორჟსაც მისდათავად არასდროს გამოუჩენია ამგვარი ინტერესი კრისტოფის საზოგადოების მიმართ.

ოღონდ ახალგაზრდებს ფრიად დიდხანს ვერ ეაზრათ თავიანთი ნამდვილი გრძნობები. თავდაპირველად დამცინავადაც უცქერდნენ ერთიმეორეს. აკი ისეთი სხვადასხვაგვარნი იყვნენ. ერთს ვერცხლისწყალი ეთქმოდა, მეორეს კი — დუბელა წყალი. მაგრამ ვერცხლისწყალი მალე სულ უფრო წყნარი ჩანდა, დუბელა წყალმა კი გამოცოცხლება იწყო. ჟორჟი აკრიტიკებდა ავრორას ჩაცმულობის მანერას, მის იტალიურ გემოვნებას, ფერთა შეხამება არ იცის, უფრო მეტად ჭყეტელა ფერებს ეტანებაო. ავრორას მოსწონდა, როცა ჟორჟს ააპილპილებდა, როცა სასაცილოდ გამოაჯავრებდა ხოლმე, ცოტა არ იყოს, ღვლარჭნილად და სხაპასხუპით ლაპარაკის მისეულ მანერას; ამნაირად დასცინოდნენ ერთიმეორეს და თითოეული მათგანი სიამოვნებას განიცდიდა... ეგებ ხუმრობისაგან, ან ეგებ საუბრისაგან. კრისტოფსაც ჩაითრევდნენ ხოლმე კამათში, ოღონდ კრისტოფი არ შეედავებოდა იმათ, ეშმაკურად იქცეოდა და პა-

ტაო-პატარა ისრებს ტყორცნიდა ერთისაგან მეორისკენ. თავს ისე აჩვენებდნენ ერთიმეორეს, დაცინვას არად ვაგდებთო, მაგრამ მალე გამომჟღავნდა, რომ ამ მხრივ სულაც არ ყოფილიყვნენ გულგრილნი. რაკი ვერ ახერხებდნენ, წყენა დაეფარათ, პირველი შეხვედრისთანავე ორივენი, მეტადრე ჟორჟი, გაცხარებულ კამათს წამოიწყებდნენ. ოღონდ მსუბუქად თუ გაკენწლავდნენ ერთიმეორეს, უფრთხოდნენ, ტკივილი არ მიეყენებინათ ერთურთისათვის, გამკენწლავის ხელი კი ისე ესათუთებოდათ, უფრო მეტ სიამოვნებას ის ანიჭებდათ, გაკენწლილიყვნენ, ვიდრე იქით გაეკენწლათ. ყურადღებით ადევნებდნენ ერთმანეთს თვალყურს, აბა, ვინ რა ნაკლს გამოამჟღავნებსო, მაგრამ მხოლოდ ღირსებებს პოულობდნენ. ოღონდ არც ერთ მათგანს არ სურდა, ეს ეღიარებინა. კრისტოფის პირისპირ დარჩენილი, თითოეული ირწმუნებოდა, მეორეს ვერ ვიტანო. და მაინც ყოველგვარ საბაბს იყენებდნენ, რათა შეხვედრილიყვნენ.

ერთხელ, როცა ავრორა მოხუცი მეგობრისას იყო და შეჰპირდა, მომდევნო კვირადილას მოვალო, ჩვეულებისამებრ, ქარტეხილივით შემოიჭრა ჟორჟი და კრისტოფს უთხრა, კვირას დღისით გინახულებო. კვირადილას კრისტოფი ამაოდ ელოდა ავრორას. იგი გამოცხადდა ჟორჟის მიერ დათქმულ დროს და თავი იმართლა, უფრო ადრე მოსვლა ვერ მოვახერხეო. პატარა ამბავიც კი მოეგონებინა ნათქვამის დასტურად. კრისტოფს ართობდა ეს გულუბრყვილო ტყუილი. მან უთხრა: — დასანანია, ჟორჟს ვერ მოუსწარი; ჩემთან იყო, ერთად ვისაუზმეთ. დღისით მოსასვლელად აღარ მეცლებაო.

ავრორას გუნება წაუხდა და აღარ უსმენდა კრისტოფს. კრისტოფი კი, თითქოს ჯიბრზე, საუცხოო გუნებაზე გახლდათ და დაუდუმებლივ ლაპარაკობდა. ავრორა გონებაგაფანტულად გაეპასუხებოდა და ლამის იყო გაბუტვოდა. გაისმა ზარის ხმა. შემოვიდა ჟორჟი. ავრორა სახტად დარჩა. კრისტოფმა გაუღიმა და თვალი ჩაუკრა. ქალიშვილი მიხვდა, გამაპამპულესო, გაიცინა და სიწითლემ გადაჰკრა. კრისტოფმა ეშმაკურად დაუქნია თითი. ავრორა უცებ გაქანდა კრისტოფისაკენ და ყელზე მოეხვია. კრისტოფმა ყურში ჩასჩურჩულა:

— Biricchina, ladroncella, furbetta...[1].

ქალიშვილმა პირზე ხელი დააფარა, როგორმე გავაჩუმოო.

ჟორჟი ვერ მიმხვდარიყო, რა უნდა ყოფილიყო ამ სიცილისა და ხვევნის მიზეზი. გაოცებული და, ცოტა არ იყოს, გულმოსულიც მისჩერებოდა ორივეს. და ეს მისი იერი კიდევ უფრო მხიარულ გუნებაზე აყენებდა კრისტოფსა და ავრორას.

ასე უწყობდა კრისტოფი ხელს ამ ბალღების დაახლოებას. ხოლო, როცა ეს მოახერხა, ლამის თავისივე თავისთვის ესაყვედურებინა. თუმცა ორივე მათგანი ერთნაირად უყვარდა, ჟორჟს უფრო მკაცრად განსჯიდა, რამეთუ მისი სუსტი მხარეები უწყოდა, ავრორას კი აიდეალურებდა. კრისტოფი ქალიშვი-

---

[1] ეშმაკო, ყაჩაღანავ, ალქაჯო (იტალ.).

ლის ბედნიერების გამო მეტ პასუხისმგებლობას გრძნობდა, ვიდრე. ჟორჟის ბედნიერების გამო, რადგან ჟორჟი, ასე თუ ისე, თავის ვაჟიშვილად მიაჩნდა. თავისივე თავის ნაწილად. დანაშაულს ხომ არ ჩავდივარო, გულში ფიქრობდა, უმანკო ავრორას რომ არცთუ მაინცდამაინც უმანკო თანამგზავრი შევურჩიეო.

მაგრამ ერთხელ კრისტოფმა შემთხვევით ჩაუარა იმ ფანჩატურს, სადაც ახალგაზრდები დამსხდარიყვნენ (ეს იყო მალე მათი ნიშნობის შემდეგ), და გული შეეკუმშა, როცა ყური მოჰკრა, ავრორა რომ ხუმრობით გამოჰკითხავდა ჟორჟს ერთ-ერთ მის სამიჯნურო თავგადასავალს; ჟორჟი კი ხალისიანად უამბობდა ამ ამბავს. სხვა საუბრების ნაწყვეტებსაც მოჰკრა კრისტოფმა ყური, საუბრით კი დაუფარავად საუბრობდნენ, ჰოდა, ცხადი შეიქნა. რომ ავრორა გაცილებით უფრო შემწყნარედ ეკიდებოდა ჟორჟის მორალურ შეხედულებებს, ვიდრე თავად კრისტოფი. თუმცა ძლიერ უყვარდათ ერთმანეთი, გრძნობდა, საუკუნოდ დაკავშირებულად სულაც არ მიაჩნდათ თავიანთი თავი; სიყვარულისა და ქორწინების საკითხს თავისუფლად ეკიდებოდნენ. ამას თავისებური სილამაზე ახლდა, მაგრამ მკვეთრად ეწინააღმდეგებოდა usque ad mortem[1] ერთგულების ძველ შეხედულებებს. კრისტოფი ერთგვარი სევდით უყურებდა მათ... რარიგ შორს არიან უკვე მისგან! რარიგ სწრაფად მიცურავს ნავი, ჩვენს ბავშვებს რომ მიაქანებს! მოთმინება! დადგება დღე, როცა ყველანი ერთ ნავსაყუდარში აღმოვჩნდებით.

ჯერჯერობით კი, ვიდრე დარდი არა ჰქონდათ გეზისა, ქარი თავის ნებაზე დააქანებდა ნავს. სრულიად ბუნებრივი იქნებოდა, ეს სულისკვეთება თავისუფლებისა, იმ დროის ზნე-ჩვეულებათა შეცვლას რომ ესწრაფოდა. დამკვიდრებულიყო გონებრივი ცხოვრებისა და პრაქტიკული საქმიანობის სხვა სფეროებშიც. მაგრამ ასე სულაც არ მომხდარა. ადამიანის ბუნება როდი ამჩნევს წინააღმდეგურობას. სწორედ იმ დროს, როცა ზნე-ჩვეულებები სულ უფრო თავისუფალი ხდებოდა, გონება უფრო და უფრო ექცეოდა მონობაში, მოწადინებული იყო, რელიგიის უღელი დაედგა. ამგვარი გაორებისას, ურთიერთსაპირისპირო მიმართულებით ამგვარი მოძრაობისას, ერთი და იგივე ადამიანები ავლენდნენ ლოგიკის საკვირველ უქონლობას. ჟორჟი და ავრორა გაიტაცა ახალმა კათოლიკურმა მიმდინარეობამ, რამაც მოიცვა მაღალი საზოგადოებისა და ინტელიგენციის ერთი ნაწილი. სასეირო იყო, როცა ბუნებით მეამბოხე ჟორჟმა, ამ ნამდვილმა ურწმუნომ, თავის დღეში რომ არც ღმერთი, არც ეშმაკი არ სწამებია — ამ დასტურ ახალგაზრდა გალმა, ყველაფერს რომ აპამპულებდა — უეცრივ განაცხადა, ჭეშმარიტება რელიგიაშიაო. მას სჭირდებოდა რაიმე ჭეშმარიტება. ეს კი შეეფერებოდა მოქმედების მისეულ მოთხოვნილებას, ფრანგი ბურჟუას მისეულ ატავიზმს და ერთგვარ დაღლას თავისუფლები-

[1] სიკვდილის კარამდე (ლათ.).

საგან. აკიცს გული მოეჯერებინა ლაღობით; ეამებოდა, თავადვე შებმულიყო საკუთარი რასის გუთანში. რამდენიმე მეგობარმა მაგალითი აჩვენა, და ეს საკმარისი შეიქნა. ჟორჟი ფრიად მგრძნობიარე გახლდათ გარემომცველ იდეათა მცირედი ატმოსფერული წნევისადმიც, ასე რომ ერთი პირველთაგანი წამოეგო. ავრორაც მას მიჰყვა, — ასე გაჰყვებოდა, საცა გინდ ყოფილიყო. უმალვე გაუჩნდათ საკუთარი სიმართლის რწმენა და ზიზღი იმათ მიმართ, ვინც სხვაგვარად ფიქრობდა. ჰოი, ირონიავ! ეს ქარაფშუტა ბალღები ჭეშმარიტი მორწმუნენი შეიქნენ. გრაციასა და ოლივიეს კი, თუმცა ზნეობრივი სისპეტაკე, სერიოზულობა, იდეალისადმი მხურვალე მისწრაფება გამოარჩევდათ, ვერა და ვერ მოეპოვებინათ რწმენა, მიუხედავად სურვილისა.

კრისტოფი ცნობისწადილით ადევნებდა თვალს ამ-სულიერ ევოლუციას. არ ცდილა მასთან შებრძოლებას, როგორც ამას ცდილობდა ემანუელი, ვისი თავისუფალი აზროვნებაც ვერ შერიგებოდა ძველი მტრის დაბრუნებას. ვინ ებრძვის გამქრალ ქარს? უნდა დააცადო, მიყუჩდეს. გონება ადამიანისა მოქანცულია. ამ ცოტა ხნის წინათ იყო, დიდი ძალისხმევა დასჭირდა. ახლა რული ერევა; იმ ბალღის მსგავსად, მთელი დღის მანძილზე სირბილით რომ დაღლილა, ძილის წინ ლოცვას ამბობს. ფანტაზიის ბჭენი ხელახლა განიხვნა: რელიგიის მიყოლებით დასავლეთის გონებრივ ცხოვრებას კვალი გაავლო თეოსოფიამ, მისტიციზმმა, ეზოთერიზმმა, ოკულტიზმმა. ფილოსოფიაც კი უძლური აღმოჩნდა. ფიქრთამპყრობელ ღმერთებს — ბერგსონს, უილიამ ჯეიმზს[1] — ძლიერება შეერყათ. გონებრივი დაქანცულობის ნიშნები მეცნიერებასაც დაეტყო. განვლოს ამ ქამმა. ვაცალოთ სულის მოთქმა! ხვალ გონი გაიღვიძებს უფრო მკვირცხლი და ლაღი... კარგია წაძინება გულმოდგინე მუშაობის შემდეგ. კრისტოფს არასდროს ეცალა საამისოდ, ოღონდ ბედნიერი იყო თავისი ბავშვების გამო, რომლებიც მის წილ ტკბებოდნენ დასვენებით, სიმშვიდით, მტკიცე რწმენით და იმის ურყევი შეგნებით, ჩვენს ოცნებას ხორცს შეავასხამთო. კრისტოფს არ უნდოდა და ვერც შეძლებდა, მათთვის გაეცვალა ადგილი, ოღონდ გულში ფიქრობდა, გრაციას ურვა და ოლივიეს მღელვარება მათს შვილებში დაცხრა, და კარგია, ასე რომ მოხდაო.

„რაც ტანჯვა გადავიტანეთ მე, ჩემმა მეგობრებმა და ბევრმა სხვამაც, ვისაც ჩვენამდე უცხოვრია, იმისთვის გადავიტანეთ, რათა ამ ორ ბავშვს სიხარული ეგემა, ის სიხარული, რისთვისაც გაჩენილი იყავ შენ, ანტუანეტა, და რისკენაც გზა გადაგიკეტეს!.. ეჰ! ნეტამც შესძლებოდათ უბედურთ, წინასწარ განეცადათ ის ბედნიერება, მათი თავგანწირვის ფასად რომ დგება ერთ მშვენიერ დღეს!“

რატომ უნდა ეცადო, სათუო გახადო ეს ბედნიერება? რად უნდა გსურდეს, სხვები ბედნიერნი იყვნენ შენებურ ყაიდაზე. დე თავიანთებურად იყვნენ ბედ-

[1] უილიამ ჯეიმზი (1842—1910) — ამერიკელი ფსიქოლოგი და ფილოსოფოსი-იდეალისტი.

ნიერნი. კრისტოფი მხოლოდ მორჩილად ითხოვდა, ჟორჟსა და ავრორას მეტისმეტად არ სძაგებოდათ ისინი, ვინც, კრისტოფისა არ იყოს, არ იზიარებდა მათს რწმენას.

მაგრამ ჟორჟი და ავრორა კამათით თავს არც კი უყადრებდნენ კრისტოფს. თითქოს გუნებაში აგრე ამბობდნენ:

„იგი ამას ვერ გაიგებს“.

კრისტოფი მათთვის წარსული გახლდათ. წარსულს დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებდნენ და არცთუ მალავდნენ ამ ამბავს! ზოგჯერ გულუბრყვილო მსჯელობაც მოუხდებოდათ ერთმანეთში იმის თაობაზე, რას იზამდნენ შემდგომ, როცა კრისტოფი „აღარ იქნებოდა“. და მაინც ძლიერ უყვარდათ იგი... საშინელი ბავშვები. იზრდებიან და გარს ლიანებივით გეხვევიან! ბუნების ძალა, რაიცა გდენის.

„წადი აქედან! მოშორდი! აწ ჩემი ჯერია!..“

კრისტოფს ესმოდა მათი მუნჯური ენა და სურვილი აღეძროდა, ეთქვა:

„აგრე ნუ ჩქარობთ. აქ თავს კარგად ვგრძნობ. მიგულეთ, როგორც ჯერ კიდევ ცოცხალი“.

ახალისებდა მათი გულუბრყვილო სითამამე.

ერთხელ, როცა ნამეტურ თრგუნავდნენ თავიანთი ქედმაღლობით, კრისტოფმა გულკეთილად განაცხადა:

— ბარემ პირდაპირ მითხარით, ბებერი ჩერჩეტი ხარო.

— ოჰ, არა, ჩემო მეგობარო, — მიუგო ავრორამ და გულიანად გაეცინა,— ყველას სჯობიხართ, ოღონდ არის ზოგი რამ, რასაც ვერ გაიგებთ.

— თქვენ კი გესმით, გოგონო! დახე, რა ჭკუის კოლოფი ყოფილა.

— ნუ დამცინით. მე ბევრი არაფერი ვიცი. სამაგიეროდ, ჟორჟი ყველაფრის მცოდნეა.

კრისტოფს გაეღიმა:

— ჰო, მართალი ხარ, პატარავ. ვინც გიყვარს, მან მუდამ ყველაფერი იცის.

მაგრამ კრისტოფს გაცილებით ეიოლებოდა მათს გონებრივ უპირატესობას დამორჩილებოდა, ვიდრე მათი დაკვრა ესმინა. მძიმე განსაცდელს იტანდა ამ დროს. ჟორჟისა და ავრორას მოსვლისას პიანინოს წუთით მოსვენება აღარ ჰქონდა. იტყოდი, როგორც ფრინველებს, ისე ამათაც სიყვარული გალობის სურვილს აღუძრავსო. ოღონდ ფრინველებივით დახელოვნებულნი ვართო, სულაც ვერ დაიკვეხნიდნენ. ავრორა თავს როდი იტყუებდა, აქაოდა ნიჭით ცხებული ვარო. მაგრამ სხვაგვარი აზრისა გახლდათ, თუ საქმე საქმროს შეეხებოდა. ჟორჟისა და კრისტოფის დაკვრას შორის ვერავითარ განსხვავებას ვერ ხედავდა. შესაძლოა, ჟორჟისეულ შესრულების მანერას კიდევაც ამჯობინებდა. თვით ჟორჟი კი, თუმცა საერთოდ ირონია სჩვეოდა, აქ ნებას დაგყვებოდა და თავს დაგარწმუნებინებდათ, რომ ეს ასე იყო, რა არის სატრფოსათვის ეამები-

ნა. კრისტოფი არ დავობდა: ეს კია, ცოტა არ იყოს, ეშმაკურად უკრავდა კვერს ქალიშვილს და იშვიათად თუ აევსებოდა მოთმინების ფიალა. მაშინ თავის ოთახს მიაშურებდა და ჩვეულებრივზე მაგრად გაიჯახუნებდა კარს. კეთილი, შემწყნარებელი ღიმილით უსმენდა, როგორ უკრავდა ჟორჟი პიანინოზე „ტრისტანს“. საბრალო ბიჭი ამ მგზნებარე ვნებათაღელვას კეთილსინდისიერი მონდომებითა და იმ ყმაწვილქალის სასიამო დაშაქრულობით გადმოსცემდა, გული რომ კეთილი გრძნობებით აქვს სავსე. კრისტოფს თავისთვის ეცინებოდა. არ უნდოდა, ყმაწვილი კაცისთვის სიცილის მიზეზი აეხსნა და უსიტყვოდ ხვევდა ხელს. სწორედ ამგვარი უყვარდა იგი. შესაძლოა, ამის გამო კიდეკ უფრო მეტადაც ჰყვარებოდეს. საბრალო ბიჭი!.. ჰოი, ხელოვნებისმიერო პატივმოყვარეობავ!..

კრისტოფი ხშირად ესაუბრებოდა ემანუელს თავისი „შვილების გამო“ (აგრე უწოდებდა მათ). ემანუელს უყვარდა ჟორჟი და ხუმრობით ცდილობდა დაეყოლიებინა კრისტოფი, ის ბიჭი მე დამითმეო. შენ ხომ ავრორა გყავსო. აბა, სადაური სამართალია, ყველაფერი ერთად რომ მიგისაკუთრებიაო.

პარიზელთა საზოგადოებაში ლამის ლეგენდებს თხზავდნენ მათი მეგობრობის გამო. ემანუელს ძლიერ შეუყვარდა კრისტოფი. სიამაყის გამო იგი ერიდებოდა ამის გამომჟღავნებას, თავის გრძნობას გარეგნული უკმეხობით, ხშირად უხეშობითაც ჩქმალავდა. მაგრამ კრისტოფს ვერ მოატყუებდი. იცოდა, ემანუელი რომ ახლა მთელი არსებით მისი ერთგული იყო, იცოდა და ფრიად აფასებდა ამას. კვირა ისე არ გაივლიდა, ორ-სამჯერ არ ენახათ ერთიმეორე. როცა რომელიმე მათგანი შეუძლოდ გახდებოდა და შინ იჯდა, წერილებს სწერდნენ ერთმანეთს. ეს წერილები თითქოს შორეული მხრიდან მოდიოდა. გარეგანი ამბები ისე არ აინტერესებდათ, როგორც გონების ნებისმიერი მონაპოვარი მეცნიერებისა და ხელოვნების დარგში. თავიანთი იდეების სამყაროში ცხოვრობდნენ, ხელოვნების შესახებ ფიქრობდნენ, ანდა ფაქტების ქაოსში მიაკვლევდნენ ხოლმე პაწაწინა, ძლივს შესამჩნევ ნათელს, ის-ის იყო კაცობრიულ აზრის ისტორიაში რომ ისახებოდა.

უფრო ხშირად კრისტოფმა იცოდა ემანუელის მონახულება. თუმცა ამ ცოტა ხნის წინათ გადატანილი ავადმყოფობის შემდეგ თავის მეგობარზე უკეთესად როდი გრძნობდა თავს; ჩვეულების ძალით მაინც აგრე თვლიდა, ემანუელის ჯანმრთელობა უფრო მოსაფრთხილებელიაო. კრისტოფს უკვე უჭირდა ემანუელთან მეექვსე სართულზე ასვლა, ძალაუნებურად უნდა შეესვენა კიბეზე, სული მოუთქვა. არც ერთი მათგანი თავის ჯანმრთელობისათვის არ ზრუნავდა. ბრონქები დაავადებული ჰქონდათ, სულის ხუთვა დასჩემდათ, მაგრამ ორივენი მაინც თავგადაკლული მწეველნი იყვნენ. სწორედ ამიტომ კრისტოფი ამჯობინებდა, ემანუელისას შეხვედრილიყვნენ: შინ ავრორა ეჩხუბებოდა, ნუ სწევო, ეჩხუბებოდა და ეგეც უმალებოდა. მოხდებოდა ხოლმე, ორივე მეგობარს ბაასისას აუტყდებოდა ხველა: ზოგჯერაც ერთი მათგანი ჭკუას არიგებდა

მეორეს, ვისაც იმ დროს ახველებდა. მაგრამ გაუვლიდა თუ არა ხველება, ის მეორე გულმხურვალედ ირწმუნებოდა, კვამლი აქ არაფერ შუაშიაო.

ემანუელის საწერ მაგიდაზე, ხელნაწერებს შუა, რუხ კატას მოეკალათებინა; იგი სერიოზულად და საყვედურით შესქცეროდა მწევლებს. კრისტოფი ამბობდა, ეგ ჩვენი ცოცხალი სინდისიაო; და იმ სინდისის ხმა რომ ჩაეხშო, აიღებდა და კატას თავის ქუდს ჩამოაცმევდა. ერთი სუსტი, სულ უბრალო ფისო იყო, ემანუელს სადღაც ქუჩაში ენახა, ცემისაგან სული ძლივს შერჩენოდა. სასტიკი მოპყრობით დაბეჩავებული ვერ იქნა და მთლად ველარ გამომჯობინდა. ცოტას ჭამდა, თამაშით თითქმის არასდროს ერთობოდა. სრულიად უჩუმრად დადიოდა და პატრონს მორჩილი, ჭკვიანური თვალებით მისჩერებოდა. დარდობდა, თუ ემანუელი შინ არ ეგულებოდა და ნეტარებდა, როცა მაგიდაზე მოიკალათებდა მის გვერდით; ფიქრებისაგან იმისთვის თუ გამოერკვეოდა, აღტაცებამორეულს საათობით ეცქირა გალიისათვის, სადაც მისთვის მიუწვდომელი ჩიტები დაფრთხიალობდნენ. თუ შენიშნავდა, თუნდაც მცირედ ყურადღებას აქცევდი, ზრდილობიანად კნაოდა. მოთმინებით იტანდა, როცა ემანუელი ჟინიანად ეფერებოდა, ხოლო კრისტოფი, ცოტა არ იყოს, ტლანქად უსვამდა ხელს; ფხოჭნასა და კბენას ერიდებოდა. გაძვალტყავებული იყო, ცალი თვალი ეცრემლებოდა. ქსუტუნებდა და თუნდაც ლაპარაკი შესძლებოდა, ცხადია, საიმისო კადნიერება არ ეყოფოდა, ემტკიცებინა, როგორც ამას ორივე მეგობარი შვრებოდა, ვითომც „კვამლი აქ არაფერ შუაში ყოფილიყოს". მათგან ყველაფერს იტანდა და თითქოს ფიქრობდა:

„ეგენი ხომ ადამიანები არიან, არ იციან, რასა შვრებიან".

ემანუელი აგრე იმიტომ შეთვისებოდა, რომ მსგავსებას პოულობდა თავის ბედსა და ამ ავადმყოფი ცხოველის ხვედრს შორის. კრისტოფი იმასაც კი ამტკიცებდა, თვალების გამომეტყველება ორივეს ერთნაირი გაქვთო.

— რატომაც არა? — ეტყოდა ემანუელი.

გარემო ზეგავლენას ახდენს ცხოველებზე. ისინი თავიანთ პატრონებს ემსგავსებიან. ვინმე რეგვენის კატას სულ სხვაგვარი გამოხედვა აქვს, ვიდრე, ჭკვიანი კაცის ფისუნიას. შინაური ცხოველი შეძლება გახდეს კეთილი ან ავი, გულუბრყვილო ან ცბიერი, საზრიანი ან დამთხვეული და ეს დამოკიდებულია მარტოოდენ იმაზე კი არა, რას ასწავლის პატრონი, არამედ იმაზეც, როგორია თვით ის პატრონი. საამისოდ ადამიანთა ზეგავლენაც კი არ არის საჭირო. გარემო ისედაც თავის ბეჭედს ასვამს ცხოველს. გონივრულის ცქერა ცხოველის გამოხედვასაც აზრიანსა ხდის. ემანუელის რუხი კატა ესადაგებოდა სნეულ პატრონსა და დახუთულ მანსარდას, რომელსაც პარიზის ცა აშუქებდა.

ემანუელი უფრო ლბილი შეიქნა. უკვე სხვანაირი გახლდათ, ვიდრე კრისტოფის გაცნობისას იყო. ოჯახურმა ტრაგედიამ დიდად შეძრა. გაცხარების ჟამს მეგობარი ქალისთვის ფრიად აშკარად ეგრძნობინებინა, შენი სიყვარული გულს მიწუხებსო და ქალი ანაზდად გამქრალიყო. მთელ ღამეს ეძებდა, შფო-

თავდა და იტანჯებოდა. ბოლოს პოლიციის განყოფილებაში მიაკვლია, იქ დაეკავებინათ. თურმე სენაში გადავარდნა დაეპირებინა. ვიღაც გამვლელს კაბაზე სწორედ იმ წუთს ეტაცა ხელი, როცა ის იყო ხიდის მოაჯირზე გადაებიჯებინა. არც თავის მისამართს ამხელდა, არც ვინაობას. კვლავ თავისი განზრახვის შესრულებას აპირებდა. ემანუელს გული დაუმძიმა ამ საცოდაობამ. ის აზრი აწამებდა, — აი, მე, ადამიანთა გულისთვის ესოდენ ჭირნახული, ჩემთავად სხვას ვტანჯავო. სასოწარკვეთილი ქალი შინ წამოიყვანა, ჭრილობა მოვუშუშოო, ეჭვიანსა და მომთხოვნს ჩემმიერი სიყვარულის რწმენა დავუბრუნოო. გაცხარებისაგან თავს იკავებდა და უდრტვინველად დამორჩილდა ამ ყოვლისმშთანთქავ ვნებას, დარჩენილი სიცოცხლე მას მიუძღვნა. მთელი სულიერი ენერგია ემანუელისა გულისკენ წარიმართა. დიად ქმედებათა ეს მოციქული იმ დასკვნამდე მივიდა, ერთადერთი კეთილი საქმე ეს არისო: არვის უყო ბოროტი. მისი როლი შესრულებული გახლდათ. თითქოს იმ ძალას, ადამიანთა დიად მიქცევ-მოქცევას რომ განაგებდა, მხოლოდ იარაღად გამოეყენებინოს იგი, რათა გზა გაეხსნა მოქმედებისათვის. ბრძანება რა აღასრულა, არარად იქცა: მოქმედება უიმისოდ იშლებოდა უკვე. თვალს ადევნებდა, როგორ ვითარდებოდა იგი, თითქმის შერიგებოდა იმ უსამართლობას, რასაც პირადად მის მიმართ იჩენდნენ, ოღონდ ფარ-ხმალს არ ყრიდა, როცა საქმე მის რწმენას შეეხებოდა. თავისუფლად მოაზროვნე იყო, მაგრამ ამტკიცებდა, არავითარ რელიგიას არა ვცნობო. კრისტოფს შენიღბულ კლერიკალს უწოდებდა ხუმრობით. ვით ყოველი გამორჩეული გონების ადამიანს, ვინც ოცნებას აღმერთებს და მსხვერპლადაც ეწირება, ისე მასაც ჰქონდა თავისი საკურთხეველი. ახლა ის საკურთხეველი დაცარიელებულიყო და ემანუელი საშინლად იტანჯებოდა. განა გული არ გეტკინება, როცა ხედავ, როგორ თელავს ფეხით ახალი თაობა იმ წმიდათაწმიდა იდეებს, რომელთაც აგრე გაჭირვებით გაუმარჯვიათ და რომელთა გულისთვისაც საუკეთესო ადამიანებს ესოდენი ტანჯვა გადაუტანიათ მთელი საუკუნის მანძილზე! რა ულმობელი სიბრმავით სპობს თანადროული ახალგაზრდობა ფრანგული იდეალიზმის სასიქადულო მემკვიდრეობას, თავისუფლების რწმენას, თავისუფლებისა, რასაც ჰყავდა თავისი წმინდანები, თავისი მოწამეები, თავისი გმირები, სპობს სიყვარულს კაცობრიობისადმი, კეთილშობილურ მისწრაფებას ხალხთა და რასათა ძმობისადმი! რა სიგიჟე აიძულებთ, ენანებოდეთ ის ურჩხულები, რომლებიც დავამარცხეთ, ხელახლა იდგამდნენ იმ უღელს, რომელიც გადავაგდეთ, ყივილით მოუხმობდნენ ძალის სამეფოს, აღვივებდნენ სიძულვილსა და ომის ჟინს ჩემი საფრანგეთის გულში!

— განა მარტო საფრანგეთში, მთელს მსოფლიოში, — დამცინავი ღიმილით შეეპასუხა კრისტოფი. — ესპანეთიდან მოყოლებული ვიდრე ჩინეთამდე, ყველა ქვეყანაში ქარიშხალი მძვინვარებს. ისეთ კუთხეს ვერ იპოვი, გრიგალისაგან თავის შეფარებას მოახერხებდე. სასეირო ამბავი თუ გინდა, ეს არის: ჩემი შვეიცარიაც კი შოვინისტური ხდება!

— განუგეშებს ეს ამბავი?

— რა თქმა უნდა. ამით ჩანს, რომ ასეთ ქარიშხალს ცალკეულ ადამიანთა ვნებები კი არ აღძრავს, არამედ უხილავი ღმერთი, გამრიგე ქვეყნიერებისა. იმ ღმერთის წინაშე თავის მოდრეკა ვისწავლე. თუ მისი არ მესმის, ჩემივე ბრალია, მისი კი არა. უნდა ეცადო, გაუგო მას. მაგრამ რომელი თქვენგანი დაფიქრებულა ამაზე? დღევანდელი დღით ცხოვრობთ და არ იცქირებით უახლოესი საგზაო სვეტის იქით, გგონიათ, იგი გზის ბოლოს აღმართული ნიშან-სვეტიაო. ხედავთ ტალღას, რომელსაც მინდობიხართ, ზღვას კი ვერ ამჩნევთ! ამჟამინდელი ტალღა გუშინდელი ტალღაა, მას გზა გაუკვლია ჩვენთა სულთა ნაკადმა. ეს ახლანდელი ტალღა კი ბილიკს გაუკვალავს ხვალინდელს და ისევე მიეცემა დავიწყებას, როგორც ჩვენი მიეცა. აღტაცებას როდი მგვრის ამდროული ნაციონალიზმი, ოღონდ არც მეშინია მისი: დრო მოვა და გაიცლის, ქრება კიდეც, გაქრობის პირზეა. ეს მხოლოდ ერთი საფეხურია კიბის. ზეთავზე უნდა ახვიდე! ეს მხოლოდ მეწინავე რაზმია შემტევი არმიის. გესმის, უკვე მოისმის დაფისა და ნაღარის ხმა!

(კრისტოფმა თითები ააკაკუნა მაგიდაზე და კატა გააღვიძა; შემკრთალი კატა წამოხტა).

თითოეული ხალხი დღესდღეობით გრძნობს ძალების მოკრებისა და შედეგების შეჯამების მიუცილებელ მოთხოვნილებას, რადგან ჩვენმა საუკუნემ სახე უცვალა ხალხებს, უცვალა აზრთა ურთიერთგაზიარების წყალობით, იმ უდიდესი წვლილის წყალობით, რაც მთელი კაცობრიობის გამორჩეული გონების ადამიანებს მიუძღვით ახალი მორალის, მეცნიერების, ახალი რწმენის შექმნაში. დე, ყოველმა ადამიანმა მოახდინოს თავისი სინდისის დათვალიერება, რათა მანამდე, ვიდრე სხვებთან ერთად ახალ საუკუნეში შეუდგამს ფეხი, იცოდეს, ვინ არის იგი და როგორია მისი მონაპოვარი. ახლოვდება ახალი ერა. კაცობრიობა ეპირება ახალი ხელშეკრულება დადოს ცხოვრებასთან. საზოგადოება ახალი კანონების საფუძველზე აღორძინდება. ხვალ კვირაა. თითოეული აჯამებს კვირის შედეგს, თითოეული ილაგებს ბინას და ცდილობს სისუფთავე დაიმყაროს სახლში, ვიდრე სხვებთან ერთად წარუდგებოდეს საერთო ღმერთის ხატებას და ახალ ხელშეკრულებას დაუდებდეს მას.

ემანუელი შესცქეროდა კრისტოფს და მზერაში ესარკებოდა ჩვენებები, თვალწინ რომ გაუკრთოდა. კრისტოფს სიტყვის დამთავრება აცალა, ერთხანს იყუჩა და თქვა:

— ბედნიერი ხარ, კრისტოფ! ღამეს ვერ ხედავ.

— ღამეში დანახვა ძალმიძს, — მიუგო კრისტოფმა. — კარგა დიდხანს მიცხოვრია წყვდიადში. ბებერი ჭოტი ვარ.

დაახლოებით ამ დროს მეგობრებმა კრისტოფს ცვლილება შენიშნეს ქცევაში. ხშირად გონებაგაფანტული იყო, თითქოს გამოთიშულიაო. როცა რამეს

ეუბნებოდნენ, ყოველთვის როდი ესმოდა. ფიქრში წასული, ბედნიერი კაცის იერი ჰქონდა. როცა დასცინებდნენ გონებაგაფანტულობის გამო, გულწრფელად ითხოვდა პატიებას. ზოგჯერ თავის თავზე მესამე პირში იტყოდა:

— კრაფტი ამას თქვენთვის გააკეთებს...

ან კიდევ:

— კრისტოფი ამაზე ლაზათიანად იცინებს...

ვინც ცუდად იცნობდა მას, ამბობდა:

— რარიგ შეყვარებულია თავის თავზე!

სინამდვილეში, პირიქით იყო. კრისტოფი თითქოს გარედან უცქეროდა თავის თავს. იმგვარ ყოფას უწია, როცა მშვენიერისათვის ბრძოლაც აღარ გაინტერესებს, რადგან ყოველი, ვისაც თავისი ვალი აღუსრულებია, მიიჩნევს, სხვებიც ჩემსავით მოიქცევიანო და, ბოლოს და ბოლოს, როდენის ნათქვამისა არ იყოს, მშვენიერება მაინც გაიმარჯვებსო. ადამიანთა უკეთურობა და უსამართლობა აღშფოთებას აღარ გვრიდა. სიცილით იტყოდა გუნებაში: „ეს ამბავი ბუნების საწინააღმდეგო რამაა, მაშასადამე, სიცოცხლე იფერფლება ჩემში“.

მართლაც, წინანდებურად გამძლე აღარ იყო. მცირედი ფიზიკური ძალისხმევა, ხანგრძლივი გასეირნება ან ჩქარი სიარული ღლიდა. მაშინვე ქშენა აუვარდებოდა და გული აწუხებდა. ხანდახან თავის ძველ მეგობარს შულცეს გაიხსენებდა. შეუძლოდ რომ იყო, ამის თაობაზე არავის არაფერს ეუბნებოდა. ან რა საჭირო იყო! მხოლოდ შეაწუხებდი იმათ, შენს თავს კი ამით რას უშველიდი. ესეც კია, სერიოზულ მნიშვნელობას არ ანიჭებდა თავის სატკივარს. ავადმყოფობაზე მეტად იმისი ეშინოდა, მკურნალობას მაიძულებენო.

ბუნდოვანი წინათგრძნობის გავლენით კვლავ მოუნდა სამშობლოს მონახულება. ამ განზრახვას წლიდან წლამდე დებდა. გუნებაში იტყოდა: „აი, გაისად...“, მაგრამ ამჯერად აღარ გადაუდვია.

უჩუმრად გაემგზავრა, კაცი არ გაუფრთხილებია. მოგზაურობა ხანმოკლე გამოდგა. რასაც ეძიებდა, იმისი ვეღარაფერი იპოვა კრისტოფმა. ცვლილებები, ის-ის იყო რომ იწყებოდა მისი ბოლო ყოფნისას, უკვე განეხორციელებინათ: პაწია ქალაქი დიდ სამრეწველო ცენტრად ქცეულიყო. ძველი სახლები აეღოთ. გამქრალიყო სასაფლაო. საბინას ფერმის ადგილას ქარხანა აეშენებინათ და მაღალი მილები აღემართათ. მდინარეს მთლიანად დაეტბორა ის მდელოები, სადაც კრისტოფი ბალღობისას თამაშობდა. ერთ-ერთი ქუჩისათვის (ამასაც ქუჩა ერქვა, რაღა)!, სადაც ჭუჭყიანი ხუხულები ჩაერიგებინათ, მისი სახელი ეწოდებინათ. წარსული მთლიანად აღგვილიყო, თვით სიკვდილის ნაკვალევიც კი. რა გაეწყობა, აგრე იყოს! სიცოცხლე გრძელდება; ეგების, სხვა პატარა კრისტოფები ოცნებობენ, იტანჯებიან, იბრძვიან ამ ქუჩის სახლაკებში, ქუჩისა, მისი სახელი რომ ჰქვია.

უზარმაზარ Tonhalle-ში[1] გამართულ კონცერტზე მან მოისმინა, როგორ ასრულებდნენ მის ერთ-ერთ ნაწარმოებს, აცოდვილებდნენ და ამახინჯებდნენ იმ ნაწარმოების აზრს. დე, იყოს აგრე! თუნდაც ხეირიანად ვერ გაიგონ, ვინ იცის, იმ აზრმა სიცოცხლე შთაბეროს ახალ ძალებს. ჩვენ თესლი ჩავაგდეთ. აწ ის ჰქენით, რაც გინდათ. გაჯერდით ჩვენით! შეღამებისას ველ-მინდვრებში დასეირნობდა, ქალაქს რომ გარს ეკრა. ირგვლივ სქელი ნისლი წვებოდა და კრისტოფი ფიქრობდა ამ სქელი ნისლის გამო, მალე მის სიცოცხლეს რომ მოიცავდა, იმ საყვარელ არსებებზე, მიწის პირიდან რომ აღგვილიყვნენ და ნავსაყუდარი მის გულში ეპოვათ. წყვდიადი მოიწევდა და იმ არსებებთან ერთად თვით მასაც შთანთქავდა... დე, აგრე იყოს! არ მეშინია შენი, ღამევ, რამეთუ მზეს ატარებ საშოში! ერთი ჩამქრალი ვარსკვლავის წილ ათასობით ახალი აენთება. მდუღარე რძით სავსე ფიალის მსგავსად უძირო სივრცეც სინათლითაა გალიცლიცებული. ვერა, ვერ შემმუსრო. სიკვდილის სუნთქვისაგან კვლავ აენთვის ჩემი სიცოცხლის ლამპარი.

აქეთობისას კრისტოფს იმ ქალაქში ჩამოხტომა მოუნდა, სადაც ერთ დროს ანას შეხვდა. რაც დაშორებოდა, მას აქეთ არაფერი იცოდა ამ ქალისა, ამბის გამოკითხვასაც კი ვერ ბედავდა. მარტო მისი სახელის ხსენებაც წლების მანძილზე ჟრუანტელს ჰგვრიდა. ახლა მშვიდად იყო, აღარაფრისა ეშინოდა. ოღონდ მწუხრისას, როცა იჯდა სასტუმროს ნომერში, საიდანაც რაინის სანახები იშლებოდა, ხვალინდელი დღესასწაულის მაუწყებელმა ზარების ნაცნობმა მელოდიამ წარსულის სურათები გაუცოცხლა. მდინარიდან მოჰბერდა შორეული განსაცდელის სურნელი, რასაც ბუნდად შეიგრძნობდა კრისტოფი. მთელი ღამის განმავლობაში გარდასულს იგონებდა. გრძნობდა, მრისხანე მეუფის ბატონობას თავდაღწეული ვარო; და ეს ტკბილ ნაღველს აღუძრავდა. ვერა და ვერ გადაეწყვიტა, ხვალ რას იზამდა. ერთი პირობა გაიფიქრა (წარსული ისე შორს იყო!) მოდი, ბრაუნებთან მივალო. მაგრამ მეორე დღეს გამბედაობა აღარ ეყო. ისიც კი ვერ გაბედა, სასტუმროში ეკითხა, ცოცხალნი იყვნენ თუ არა ექიმი და მისი ცოლი. გამგზავრება გადაწყვიტა.

სწორედ გამგზავრების წინ მოუთოკავმა ძალამ იმ ტაძართან ამოაყოფინა თავი, სადაც ოდესღაც ანა ლოცულობდა. სვეტს ამოეფარა, აქედან შეეძლო კარგად დაენახა ის სკამი, სადაც ანა იჩოქებდა ხოლმე. იდგა კრისტოფი და ელოდა, დარწმუნებული იყო, თუ ცოცხალია, მოვაო.

მართლაც მოვიდა ქალი. კრისტოფს ვეღარ ეცნო იგი. სხვებსა ჰგავდა: ზორბა იყო, პირმსუქანი, გულგრილი და სუსხიანი გამომეტყველება ჰქონდა, ორნაკეცი ღაბაბი დასდებოდა. შავი კაბა ეცვა, დაჯდა სკამზე და გაშეშებული იჯდა. გეგონებოდა, არც ლოცულობს, არც რამე ესმისო. არაფრით მოაგონებდა იმ ქალს, ვისაც ეგრე ელოდა. მხოლოდ ეგ იყო: ორ-სამჯერ უცნაური მოძრაობით დაისვა ხელი კაბის კალთაზე, მუხლისთავებზე ნაკეცები გაისწორა. ერთ

[1] ქალაქის საკონცერტო დარბაზი (გერმ.).

დროს ეს მისეული ჟესტი იყო... წირვა რომ დამთავრდა, დინჯად წამოდგა, თავი ვაღლა ეჭირა და მუცელზე დაკრეფილ ხელებში ლოცვანი დაეკავებინა. ასე ჩაუარა კრისტოფს. ერთ წამს პირქუში და დაღვრემილი მზერა კრისტოფს მიაბჯინა... შეაცქერდნენ და — ვერ იცნეს ერთმანეთი. ჩაიარა თავაწეულმა, განზე არ მიუხედავს, ისე. წამიც და, თითქოს ელვა გაკრთა და მეხსიერება გაუნათაო, კრისტოფს მეყსეულად ეცნო, ეცნო ამ გულცივი ღიმილით, ბაგეთა რაღაცნაირი ძლივსშესამჩნევი მოფხუჭვით, მისი ტუჩპირი, ოდესღაც რომ უკოცნიდა... სუნთქვა შეეკრა და მუხლი მოეკვეთა. ძალაუნებურად გაიფიქრა:

„ღმერთო, ნუთუ ამ სხეულში დაეკანებინა მას, ვინც მე მიყვარდა? სად არის იგი? სად? ან თვითონ მე სად ვარ? სად არის, ვისაც იგი უყვარდა? რა დარჩა ჩვენგან და ჩვენი დამდაგველი საშინელი ვნებისაგან? ფერფლი, ცეცხლი კი სადღაა?“

და უფალმა თქვა:

„ჩემშია“.

მაშინ ზეაიხედა კრისტოფმა და უკანასკნელად ჰკიდა თვალი ხალხის გროვას მიყოლილ იმ ქალს: ტაძრიდან გადიოდა იგი მზით გაჩახჩახებულ ქუჩაში.

პარიზს ჩამობრუნებული კრისტოფი მალე თავის ძველ მტერს ლევი-კერს შეურიგდა. ლევი-კერი დიდი ხანია დევნიდა კრისტოფს, გესლიანად განაქიქებდა, კეთილსინდისიერება არად უღირდა. მერმე, როცა სახელი მოიხვეჭა, წარმატებას მიაღწია, პატივით გული მოიჯერა, როცა დაკმაყოფილდა და დაწყნარდა, საიმისო ჭკუა ეყო, კრისტოფის უპირატესობა ეღიარებინა. ყურადღებიანი შეიქნა მის მიმართ. მაგრამ კრისტოფი თავს ისე აჩვენებდა, თითქოს ვერ ამჩნევსო მის ლაციცს, ისევე როგორც წინათ მის თავდასხმას ვერ ამჩნევდა. ლევი-კერმა ბოლოს ხელი ჩაიქნია. ერთ უბანში ცხოვრობდნენ და ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს, ოღონდ თავი ისე ეჭირათ, თითქოს ვერ სცნობენო ერთიმეორეს. კრისტოფი გვერდით ჩავლისას თვალს არიდებდა ლევი-კერს, ვითომც ვერ შენიშნაო. ლევი-კერს გული მოსდიოდა, აგრე არხეინად და პირწმინდად როგორ უგულებელმყოფსო.

თვრამეტი-ოცი წლის ქალიშვილი ჰყავდა ლევი-კერს, ლამაზი, ტანწვრილი, ელეგანტური; კრავის უმანკო პროფილი ჰქონდა, ქერა ხვეული თმა ბაკმად მოვლებოდა, ლბილი, კეკლუცი გამოხედვა სჩვეოდა და ლუინისეული ღიმილი. ხშირად ერთად სეირნობდნენ; კრისტოფი ლუქსემბურგის ბაღის ხეივნებში შეეფეთებოდა ხოლმე მათ. ეტყობოდა, მამა და ქალიშვილი ერთობ მეგობრულად იყვნენ. ყმაწვილი ქალი მოხდენილად დანდობოდა მკლავზე მამამისს. მართალია, კრისტოფი მეტად გონებაგაფანტული გახლდათ, მაგრამ ეშხიანი სახე თვალში მოხვდებოდა ხოლმე. ეს ქალიშვილი დიაღ ეთნეოდა. ლევი-კერის გამო გაიფიქრა:

„ამ პირუტყვს ბედი ჰქონია!“

მაგრამ უმალვე ამაყად დასძინა გუნებაში:

„მეცა მყავს ქალიშვილი“.

გონების თვალით ავრორას შეადარა. რაკიღა მიუკერძებელი ვერ იქნებოდა, ავრორა ყველაფრით მჯობი გამოდგა. ეს კია, ამ შედარებამ უნებურად წარმოადგენინა მეგობრობის მაგვარი რამ ორ ასულს შორის, რომლებიც ერთმანეთს არ იცნობდნენ. ამ წარმოდგენამ, ასე გასინჯეთ, შეუმჩნეველად დააახლოვა ლევი-კერთან.

გერმანიიდან რომ ჩამობრუნდა, კრისტოფმა შეიტყო, „პატარა კრავი“ გარდაცვლილიყო. მამობრივი ეგოიზმის გამო უმალ ეს გაიფიქრა:

„მე რომ დამტეხოდა თავს ამგვარი უბედურება!“

გაიფიქრა და უსაზღვრო სიბრალული იგრძნო ლევი-კერის მიმართ. ერთი პირობა უნდოდა, წერილი მიეწერა. ჯერ ერთი ბარათის წერა დაიწყო, მერმე— მეორისა. მაგრამ არც ერთი არ ეპრიანა; რაღაც ყალბი სირცხვილის გრძნობა მოერია და აღარ გაუგზავნია. რამდენიმე დღის შემდეგ, როცა კვლავ შეხვდა ლევი-კერს და მისი ტანჯული, გაწამებული სახე დაინახა, გულმა აღარ მოუთმინა: ჯიქურ მიეახლა უბედურ მამას და ორივე ხელი გაუწოდა. ლევი-კერმა მყის უტაცა ხელი. კრისტოფმა უთხრა:

— ვაი, რომ დაკარგეთ!..

მეტად მღელვარე კილო ჰქონდა კრისტოფს და ლევი-კერს გული აუჩვილდა. ენით უთქმელ მადლიერებას გრძნობდა მისდამი... ერთმანეთს გაუზიარეს მწუხარების გამომხატველი სიტყვები. როცა დაცილდნენ, წინანდელი მათი გათიშულობისა კვალიც არ დარჩენილა. დიახ, ისინი ერთიმეორეს ებრძოდნენ; რა თქმა უნდა, ამას ვერ წაუხვალ: თითოეული თავისივე ბუნების კანონებს ემორჩილება. მაგრამ როცა ტრაგიკომედია დასასრულს უახლოვდება, თითქოს სათეატრო ნიღბები მოიხსნესო, ადამიანებიც ისე განიშორებენ ვნებებს: ორი ადამიანი, რომელთაგან ერთი მეორეზე უკეთესი როდია, პირისპირ შეიყრება — ახლა, როცა უკვე შეუსრულებიათ, ვისაც როგორ შეეძლო. თავთავისი როლი, ნება აქვთ ხელი გაუწოდონ ერთმანეთს.

ჟორჟსა და ავრორას გაზაფხულის დამდეგს უნდა ექორწილათ. კრისტოფს ჯანმრთელობა მკვეთრად გაუარესდა. შეამჩნია, ბავშვები შეშფოთებით მადევნებენო თვალს. ერთხელ ყური მოჰკრა მათს ხმადაბალ ლაპარაკს. ჟორჟმა თქვა:

— ძალიან ცუდად გამოიყურება. ვაითუ ლოგინად ჩავარდეს.

ავრორამ მიუგო:

— ნეტა ქორწილი არ შეგვიფერხდებოდეს მისი გამოისობით.

კრისტოფმა ცნობად იღო ეს ამბავი. საბრალონი! აბა, ბედნიერებას როგორ ჩაუმწარებს იმათ!

მაგრამ ქორწინების წინ (ისე სასაცილოდ ფაციფუცობდა ბოლო დღეებში

კრისტოფი, იტყოდი, თავად თუ აპირებსო ცოლის შერთვას) ისეთი წინდაუხედაობა გამოიჩინა, ისე უგუნურად მოიქცა, რომ კვლავ შეეყარა ის მისი ძველი სნეულება: პნევმონია განუმეორდა, პირველად რომ ჯერ კიდევ მოედანზე გამართულ ბაზრობის დროს იჩინა თავი. გულს ასკდებოდა. ჩერჩეტს უწოდებდა თავის თავს. არ დავეჯაბნებიო ავადმყოფობას, გულში დაიფიცა, ქორწინების შემდეგ კი ჯანდაბასო. თანაც მომაკვდავი გრაცია გაახსენდა. გრაციასაც არ უნდოდა, თავისი ავადმყოფობის ამბავი შეეტყობინებინა კონცერტის წინ, სამუშაოს არ მოვწყვიტო და არ ავაფორიაქოო. გულს უკეთებდა იმის ფიქრი, ამჯერად თავად გაეკეთებინა მისი ქალიშვილისათვის — თვით გრაციასათვის — ის, რაც მაშინ გრაციამ ქნა კრისტოფის გულისათვის. არ გაუმხელია, შეუძლოდ რომ იყო, ოღონდ სული კბილით ეჭირა. რაც უნდა იყოს, ბავშვების ბედნიერება თავადაც ისეთ ბედნიერებას ანიჭებდა, ბოლომდე გააძლებინა ბედნიერების ამ გრძნობამ. ხანგრძლივი საეკლესიო ცერემონიალის განმავლობაში სისუსტეს არ დანებებია. ოღონდ კოლეტის სახლში მიბრუნების უმალ ძალამ უმტყუნა, ძლივს მოასწრო რომელიღაც ოთახში შეერბინა, რომ გრძნობა დაკარგა. ერთ-ერთი მსახური გულშეღონებულს წაადგა თავზე. როცა კრისტოფი გრძნობაზე მოვიდა, იქ მყოფთ მკაცრად აუკრძალა, რაიმე ეთქვათ ახალდაქორწინებულთათვის. ისინი საღამოს სამოგზაუროდ მიდიოდნენ. ისე იყვნენ ერთმანეთით გართულნი, სხვებისათვის არ ეცალათ. მხიარულად გამოემშვიდობნენ კრისტოფს, შეჰპირდნენ, მოგწერთო ხვალ, ზეგ...

გაემგზავრნენ თუ არა ისინი, კრისტოფი ჩაწვა. ციებამ დარია ხელი, დარია და ბოლომდე აღარ მოშვებია. იგი მარტო იყო, რადგან ემანუელიც ავადმყოფობას დაეგდო. ექიმი არ გამოუძახებია კრისტოფს. რა საშიში რამე მე მჭირსო, აგრე ფიქრობდა. ესეც არ იყოს, მსახური არ ჰყავდა, ვინ უნდა გაეგზავნა ექიმის მოსაყვანად. დილ-დილობით, ორიოდე საათით, დამლაგებელი ქალი აკითხავდა, მაგრამ იმას კრისტოფის დარდი სულაც არ ჰქონდა. კრისტოფმა ბოლოს მოახერხა, თავიდან მოეშორებინა იგი. რამდენჯერ სთხოვა, ოთახის მილაგებისას ჩემს ხელნაწერებს ხელს ნუ ახლებო. ჯიუტი ქალი იყო და იფიქრა, რაღაი ლოგინსაა მიკრული, ახლა მეც ჩემებურად მოქცევის დრო დამიდგაო. ლოგინში მწოლი კრისტოფი შკაფის სარკეში ხედავდა, გვერდითს ოთახში მობორიალე ეს ქალი ყველაფერს თავდაყირა როგორ აყენებდა. ამ ამბავმა ისე გააცეცხლა (არა, აღრინდელი კრისტოფი დასტურ არ მომკვდარიყო მასში), ლოგინიდან წამოიჭრა, ხელნაწერთა დასტა გამოჰგლიჯა და გარეთ გააგდო. ამგვარი გულის მოსვლა ძვირად დაუჯდა: ციებ-ცხელება მიეძალა; იმ მოახლემ თავი განაწყენებულად ჩათვალა, წავიდა და აღარც გამოჩენილა, არც გაუფრთხილებია ამის თაობაზე. „გიჟი მოხუციო" — ასე უწოდებდა კრისტოფს. ასე რომ, ავადმყოფი კრისტოფი მარტოხელა დარჩა, მიმხედავი არავინ ჰყავდა. დილით წამოდგებოდა, აიღებდა თავის რძიან ქოთანს, კარის ზღურბლთან რომ იყო დატოვებული და მიათვალიერ-მოათვალიერებდა იქაურობას:

მეკარე ქალს კარქვეშ ხომ არ შემოუცურებიაო ახალგაზრდების მიერ დანაპირები წერილი. წერილი არ ჩანდა. ჟორჟი და ავრორა ისე ბედნიერნი იყვნენ, კრისტოფი დავიწყებოდათ. კრისტოფი არ უბრაზდებოდა მათ, იმათ ადგილას მეც ასე მოვიქცეოდიო, გუნებაში ამბობდა. როცა ჟორჟისა და ავრორას უშფოთველ ბედნიერებას წარმოიდგენდა, უხაროდა, ეს ბედნიერება მე მივანიჭეო.

ნელ-ნელა მომჯობინდა და ლოგინიდანაც დგებოდა უკვე, როცა ბოლოს ავრორასაგან წერილი მოუვიდა. ჟორჟი ხელის მოწერას დასჯერებოდა. ავრორა თითქმის არაფერს ეკითხებოდა კრისტოფს, კიდევ უფრო ცოტა რამეს იტყობინებოდა თავისი თავის შესახებ. სამაგიეროდ დავალებას აძლევდა: კოლეტისას გორჟეტი დარჩენოდა და იმის გამოგზავნას სთხოვდა. თუმცა ეს წვრილმანი ნივთი იყო (ავრორას მაშინღა მოაგონდა იგი, როცა წერილს სწერდა და ფიქრობდა, კიდევ რა მივწეროო), სიამაყით გაბრწყინებული კრისტოფი, აქაოდა შემიძლია ბავშვებს კიდევ რამეში გამოვადგეო, გორჟეტის წამოსაღებად გაემართა. საზიზღარი ამინდი იდგა, ზამთარს კუდი მოექნია და აღარ ხუმრობდა. თოვლ-ჭყაპი იყო, ქარი ძვალ-რბილში ატანდა. მეეტლეები არსად ჩანდნენ. კრისტოფი კარგა დიდხანს აყურყუტეს საფოსტო განყოფილებაში. ცეცხლს უკიდებდა მოხელეების უხეშობა და მათი განგებისი სიზანტე, მაგრამ რას გახდებოდა. ბრაზმა კიდევ უფრო უქეიფოდ გახადა. არადა გონების ხმა ჩასძახოდა, გულს ნუ აჰყვებიო; ისერიგად დარია სიშმაგემ ხელი, ტანი ერთიანად უძაგძაგებდა. ასე შეაძაგძაგებს ხოლმე მუხას, უკანასკნელად რომ შემოჰკრავენ ცულს და ის-ისაა, უნდა წამოიქცეს. შინ გათოშილი დაბრუნდა. მეკარე ქალი შემოეყარა და ჟურნალის ამონაჭერი გადმოსცა. ჩაათვალიერა ეს ამონაჭერი. გულღვარძლიანად დაწერილი სტატია იყო, ისევ დასხმოდნენ თავს. ბოლო ხანს იშვიათად იქცეოდნენ აგრე. ან ვის უნდა ეხალისებოდეს, უტევდეს ადამიანს, დარტყმას რომ ვერ ამჩნევს! ყველაზე მოსისხლე მტრები პატივისცემით განიმსჭვალნენ კრისტოფის მიმართ, თუმცა სიძულვილით კვლავინდებურად სძულდათ. ესეც კია, ეს პატივისცემა თავადვე აღიზიანებდათ.

„აგრე ჰგონიათ, — თითქოს გულნაკლულად ამბობდა ბისმარკი, — სიყვარული ყველაზე უნებური გრძნობაა. პატივისცემა კიდევ უფრო უნებურია...“.

ოღონდ სტატიის ავტორი ბისმარკზე უკეთესად გახლდათ შეიარაღებული, იმ ძლიერ ადამიანთა რიცხვს განეკუთვნებოდა, არც სიყვარულის, არც პატივისცემის უნარი რომ არ შესწევთ. კრისტოფს აგდებულად იხსენიებდა და იქადოდა, ორიოდე კვირის შემდეგ უახლოეს ნომერში გაგრძელება მოჰყვებაო. კრისტოფს გულიანად გაეცინა. ლოგინში დაწოლისას თქვა:

— გიყვარდეს, გავაცურებ! ვეღარ მომისწრებს და...

ნაცნობ-მეგობრები დაბეჯითებით ურჩევდნენ კრისტოფს, ვიდრე გამოჯანმრთელდებოდე, მომვლელი ქალი აიყვანეო, მაგრამ არამც და არამც არ

ქნა. ამდენხანს მარტო მიცხოვრია და რაღა ახლა შეველიო ამ სიკეთესო, აგრე ამბობდა.

ნაღველი არ მისძალებია. ამ ბოლო წლების განმავლობაში ნიადაგ თავის თავთან საუბრით იყო გართული; სული მისი თითქოს გაორდაო. ბოლო თვეების მანძილზე კი იმ ადამიანთა რიცხვი, მის შინაგან სამყაროში ვანი რომ დაედოთ, ერთობ გადიდებულიყო: ორი კი არა, ბარე ათი სული ბინადრობდა უკვე იქ. ერთურთს ეზრახებოდნენ ისინი, მეტწილად კი გალობდნენ. იმათ ნაუბარს და თავის პასუხს სანოტო ქაღალდზე იწერდა, ახარებდა მარჯვედ ნათქვამი რეპლიკა. სანოტო ქაღალდი მუდამქამს იქვე ჰქონდა, საწოლთან ან მაგიდაზე ეწყო. მიეჩვია, ორი რამ ერთდროულად და ანგარიშმიუცემლად ეკეთებინა: თან ეფიქრა და თან ეწერა. წერა და უაღრესი სიცხადით ფიქრი ერთსა და იმავეს ნიშნავდა მისთვის. ყველაფერი, რაც იმ სულებთან ურთიერთობას მოაცდენდა, მისსავ არსებაში რომ დაევანებინათ, ღლიდა და აგულისებდა. თვით ყველაზე საყვარელი მეგობრების სტუმრობაც კი ზოგჯერ აწუხებდა. თავს ძალას ატანდა, შეძლებისდაგვარად არაფერი შეემჩნევინებინა, მაგრამ ეს ძალისხმევა საოცრად ქანცავდა. გული ლხინით აევსებოდა, როცა მერმე კვლავ იპოვიდა საკუთარ თავს. იმიტომ რომ, ხანდახან გულისყური ეფანტებოდა: როცა ენას ატარტარებენ, შინაგან ხმებს რაღას მოუსმენ. კვლავ ჩამოდგებოდა ის ღვთაებრივი სიჩუმე...

მხოლოდ მეკარე ქალს ან მის რომელიმე შვილს რთავდა ნებას, დღეში ორ-სამჯერ შემოეხედათ და შეეტყოთ, ხომ არა სჭირდებოდა რა. მათვე გადასცემდა ემანუელთან გასაგზავნ წერილებს. ემანუელთან მიწერ-მოწერა უკანასკნელ დღემდე არ შეუწყვეტია. ორივე მეგობარს თითქმის ერთნაირად მძიმე ავადმყოფობა სჭირდა. ილუზიით თავს არ იტყუებდნენ. თავისუფალი გენია მორწმუნე კრისტოფისა და თავისუფალი გენია ურწმუნო ემანუელისა სხვადასხვა გზით ეზიარნენ სულის ერთსა და იმავე ერთობლივ სიცხადეს. ოკრობოკროდ ნაწერის გარჩევა სულ უფრო მეტად უჭირდათ, მაგრამ ისინი თავიანთი ავადმყოფობის თაობაზე როდი ესაუბრებოდნენ ერთმანეთს, კვლავინდებურად ერთ რასმე დასტრიალებდნენ ფიქრით: ხელოვნებას და თავიანთი იდეების მომავალ ბედს.

აგრე იყო სულ ბოლო დღემდე, როცა კრისტოფმა უღონო ხელით დაწერა შვედთა მეფის სიტყვები, ბრძოლის ველზე წარმოთქმული აღსასრულის წინ:

„Ich habe genug, Bruder; rette dich![1]".

საფეხურების უწყვეტი რიგი. კრისტოფს თვალწინ ჩაუვლის მთელი მისი ცხოვრება: წარმოუდგენელი ძალისხმევა სიჭაბუკისას, რათა თავის თავს დაე-

---

[1] ჩემდათავად კმარა, ძმაო; თავს უშველე!

ავტორს მხედველობაში ჰყავს შვეციის მეფე გუსტავ-ადოლფი (1611—1632). იგი დაიღუპა ოცდაათწლიანი ომის დროს, ლუცენის ბრძოლისას, გერმანიაში.

უფლოს. გააფთრებული ბრძოლა, რა არის, ლიტონი უფლება ცხოვრებისა მოიპოვოს და თვისი რასის დემონები დაიმორჩილოს. გამარჯვების შემდეგაც. დაუღალავად უნდა იცავდეს თავისსავე მონაპოვარს, იცავდეს თვით გამარჯვებისაგან. სიტკბო და გამოცდა მეგობრობისა, რისი წყალობითაც კენტად მებრძოლი გული კვლავ შეერთვის დიდ ადამიანურ ოჯახს. ზეობა სიცოცხლისა — ხელოვნების აყვავება. ამაყად მბრძანებლობს თავის დამორჩილებულ სულზე, თავისივე ბედის მეუფედ გრძნობს თავს. და ანაზდად გზის ასაქცევთან შემოეყრებიან აპოკალიფსის მხედრები[1]. **მწუხარება, ვნება, სირცხვილი.** ავანგარდი მეუფისა. ძირს დასცემენ, ფლოქვებით გადათქერავენ ცხენები; სისხლდამდიხაო მილასლასებს მწვერვალისკენ, სად ღრუბელთ შორის ანთია საოცარი განმწმენდი ცეცხლი. და, აი, პირისპირ უდგას ღვთაებას. ერკინება მას, ვით იაკობი ანგელოზს. სასტიკად მარცხდება ამ ჭიდილისას. ლოცავს ამ თავის დამარცხებას, შეიცნობს საკუთარ შესაძლებლობათა ზღვარს, ისწრაფის აღასრულოს ნება მეუფისა იმ სფეროში, წინასწარ რომ დაგვისაზღვრა იმ მეუფემ, რათა შემდგომ, რა რომ ხვნას, თესვასა და მკას მორჩება, დაამთავრებს ილაჯგამწყვეტსა და მშვენიერ შრომას, ალალი სიმშვიდე პოვოს მზეგადაფრქვეულ მთათა ძირას და უთხრას იმ მთებს: „კურთხეულ იყავით! არ მიწერია, ვინეტარო თქვენი სინათლით. მაგრამ ჩრდილი თქვენი საამურია ჩემთვის...“.

მაშინ სატრფო გამოეცხადა; ხელი ჩასჭიდა სატრფომ და, აჰა, სიკვდილმა სხეულისეული ზღუდე შეურღვია კრისტოფს, ნანდაურის წმინდა სული ჩაუღვარა სულში. გააღწიეს დედამიწის წყვდიადს და ნეტარების მწვერვალს უწიეს, სად სამი გრაციის[2] დარად ხელიხელჩაკიდებულნი ფერხულს უვლიან აწმყო, წარსული და მომავალი. იქ გულდაშოშმინებული კრისტოფი ჰვრეტს, როგორ იბადება, ფრთასა შლის და მერმე კვლავ ქრება მწუხარება და სიხარული, იქ ყოველივე ჰარმონიაა.

მეტისმეტად ჩქარობდა კრისტოფი, აგრე ეგონა, მიზანს მივაღწიეო. მაგრამ სულშეხუთულს რაღაც მარწუხივით უჭერდა ფილტვებზე, აღგზნებულ გონებაშიც ათასნაირი ხატება ერეოდა, და ეს მოაგონებდა, უკანასკნელი, ძნელზე ძნელი ლაშქრობა მელისო. მაშ, წინ!..

უძრავად იწვა სარეცელს მიჯაჭვული. ზემოთ, ერთი სართულით მაღლა, ვიღაც ჩერჩეტი ბანოვანი საათობით უტყაპუნებდა პიანინოზე. მხოლოდ ერთი ნაწარმოები დაესწავლა და გაუთავებლივ იმეორებდა ერთსა და იმავე მუსიკალურ ფრაზას. მაგრამ რამხელა სიამოვნებას განიცდიდა ის ვიღაცა! სწორედ რომ აღმაფრენას მისცემოდა. კრისტოფს ესმოდა მისი, ოღონდ გამწარებულს

---

[1] აპოკალიფსის ფანტასტიკური მხედრები, რომლებმაც თითქოსდა უნდა მოსპონ კაცთა მოდგმა.

[2] გრაციები — ანტიკურ მითოლოგიაში სილამაზის სამი ღმერთქალი.

ლამის ცრემლები დაეფრქვია. არა, გაგონილა ასე ყურისწამღებად უტყაპუნებდე! სიბილწესავით ეჯავრებოდა კრისტოფს ხმაური... რაღა გზა ჰქონდა, ბედს უნდა შერიგებოდა. ძლივს შეაჩვია თავი, ის ხმა არ გაეგონა. თუმცა, რომ ეგონა, ისე ძნელი არ გამოდგა ეს ამბავი. თავისსავე სხეულს შორდებოდა, ამ სხეულსა და ტლანქ სხეულს. რარიგ სამარცხვინოა, შენი დღე და მოსწრება შიგ ბინადრობდე! მზერდა, როგორ ერღვეოდა სხეული და გულში ფიქრობდა:

„დიდი დღე აღარ უწერია“.

ადამიანის ეგოიზმის ძალა რომ გამოეცადა, თავის თავს ჰკითხა:

„რას ამჯობინებდი: სამარადისო ყოფილიყო ხსოვნა კრისტოფის, მისი პიროვნების, მისი სახელისა, ქმნილებები კი კვლავწმინდად გამქრალიყო, თუ, შემოქმედებას ეცოცხლა, ხოლო მისი პიროვნების, მისი სახელის კვალი წარხოცილიყო?“

უყოყმანოდ გასცა პასუხი:

„დე, გაქრე, ოღონდაც იცოცხლოს ჩემმა შემოქმედებამ! ორწილად მოვიგებ ამით — მხოლოდ ის დარჩება ჩემგან, რაც საუკეთესოა, რაც ესოდენ ჭეშმარიტია. წარხდეს კრისტოფი!..“

ოღონდ მალევე იგრძნო, თავისი ქმნილებებიც რომ ისევე ეუცხოებოდა, როგორც თავისივე თავი. ბალღური თავის მოტყუებაა, საკუთარი ხელოვნების დღეგრძელობა გწამდეს! მშვენივრად ესმოდა, უბადრუკობაა მხოლოდ ის კი არა, რაც მე შემიქმნია, მთელ თანადროულ მუსიკასაც მოსპობა ელისო. სხვა რომელია, მუსიკის ენასავით მალე გაუდიოდეს ყავლი. ერთი-ორი საუკუნის შემდეგ ცოტა ვინმესღა თუ ესმის იგი, ესმით მხოლოდ იმათ, ვინც მის საიდუმლოს ზიარებია. ვისთვისღა არიან კვლავაც ცოცხალნი მონტევერდი და ლიული? უკვე ხავსი ეკიდება კლასიკური ტევრის მუხებს. ბგერითი ნაგებობანი, სადაც ჩვენი ვნებათაღელვის საგალობელო გაისმის, დაყრუებულ ტაძრებად იქცევა, დავიწყებას მიეცემა და ჩამოინგრევა... უკვირდა კრისტოფს, იმ ნანგრევების მაცქერალი ოდნავადაც რომ არ განიცდიდა მღელვარებას.

„ნუთუ გამინელდა სიცოცხლის სიყვარული?“ — გაოცებული ეკითხებოდა თავის თავს.

მაგრამ უმალვე მიხვდა, გაცილებით უფრო მეტად რომ უყვარდა სიცოცხლე. ღირს კი, ხელოვნების ნანგრევებს დასტიროდე? ხელოვნება ჩრდილია, ადამიანისაგან ბუნებას რომ წაეფინება. გაქრეს ის ჩრდილი! მზისგან შთაინთქას! აკი მზის ბრწყინვალების ხილვას გვიშლის. ბუნების აურაცხელი საგანძური თითებშუა გვებნევა. ადამიანის გონება ლამობს, წყალი ცხრილით ამოკრიფოს. ჩვენეული მუსიკა ილუზიაა. ჩვენი სკოლა ტონებისა, ჩვენი გამები გამოგონილია. ბუნების ერთ ცოცხალ ხმას არ შეესატყვისება. ეს არის გონებისა და წარმოსახვის კომპრომისი რეალური ბგერების მიმართ, მეტრული სისტემის გამოყენება მოძრავი უსასრულობისადმი. გონებას ეს სიცრუე მიუწვდომელის საწვდომად დასჭირდა. და რაკი ამ ტყუილის დაჯერება უნდოდა, დაიჯერა კი-

დეც. ყოველივე ამაში არც სიმართლეა, არც სიცოცხლე. ის სიამე, რასაც გონებასა ჰგვრის, მის მიერვე შექმნილი ეს წესრიგი, ოდენ შედეგია არსებულის ცინცხალი აღქმის შერყვნისა. ჟამ-ჟამად, მიწასთან წამიერი შეხებისას, გენიოსი მეყსეულად შენიშნავს რეალური ცხოვრების ნაკადს, ხელოვნების მიჯნებს რომ გადალახავს. ჯებირი იბზარება. სტიქიონი ნახვრეტისკენ მიექანება... მაგრამ ადამიანები იმ ნახვრეტს მაშინვე დაგმანავენ. აგრეა საჭირო კაცობრიული გონების დასაცავად. დაიღუპება გონება, თუ თვალს გაუსწორებს იეჰოვას[1] მზერას. და აი, გონება დუღაბით ამოქოლავს თავის სენაკს, სადაც მხოლოდ ის სხივნი შემოატანენ, თავად მას რომ გამოუგონია. ეგების, ეს უპრიანიც იყოს იმათთვის, ვისაც დანახვა არ სურს. მე კი მწადს ვიხილო შენი სახება, იეჰოვა. მინდა გავიგონო შენი მრისხანე ხმა, თუნდაც მაგ შენმა ხმამ შემმუსროს. ხელოვნებისმიერი ხმაური თავს მაბეზრებს. დე, გაყუჩდეს გონება! დადუმდი, ადამიანო!..

მაგრამ ამ დამაჯერებელი სიტყვის დამთავრებისთანავე კრისტოფმა ხელი მოაფათურა საბანზე, ზედ მიმოფანტულ ქაღალდის ფურცლებს ეძებდა, კიდევ რამდენიმე ნოტი წავბღაჯნოო. რა შენიშნა, ჩემსავე თავს ვეწინააღმდეგებიო, გაეღიმა და თქვა:

— ჰოი, მუსიკავ, ჩემო ძველო მეგობარო, შენ ჩემზე უკეთესი ხარ. მე უმადურობას ვიჩენ, თავიდან გიცილებ. შენ კი არა მტოვებ, ზურგს არ მაქცევ ჩემი მიზეზიანობის გამო. მომიტევე, აკი მშვენივრად იცი: ეს მხოლოდ ახირებაა. აროდეს მიღალატია შენთვის, არც შენ გიღალატია, გვჯერა ერთიმეორისა. ერთად წავალთ, ჩემო ნანდაურო. ბოლომდე ჩემთან იყავ.

Bleib bei uns[2]..



დიდხანს იყო ბურანში წასული, რა უცნაურ ზმანებებს არ ხედავდა. გამოფხიზლებულს ჯერაც არ გამონელებოდა შთაბეჭდილება. ტანზე იცქირე-

[1] ძველ ებრაელთა ღვთაება.
[2] დარჩი ჩვენთან (გერ.).

ბოდა, ხელით ისინჯავდა ყოველ ასოს, საკუთარ თავს ეძებდა და ვერ პოულობდა. ეგ „სხვა“ ვინმეაო, აგრე ეჩვენებოდა. სხვა. უფრო ძვირფასი, ვიდრე თავად გახლდათ. მაინც ვინ?.. ასე ეგონა, ვიდრე მეძინა, ვიღაც სხვას შეუსხამსო ხორცი ჩემში. ოლივიეს? გრაციას? გულშიც და თავშიაც საოცარ სისუფთეს გრძნობდა! ვეღარ არჩევდა თავის მეგობრებს. ან რაღა საჭირო იყო გარჩევა? ყველა ისინი ერთნაირად უყვარდა.

თითქოს შებოჭილი იწვა. რაღაცნაირ მტანჯველ ნეტარებას განიცდიდა, არ უნდოდა განძრეულიყო. იცოდა, ტკივილი ჩასაფრებულიყო და უდარაჯებდა, ისე როგორც კატა უდარაჯებს თაგვს. თავი მოიმკვდარუნა. აჰა... გვერდით აღარავინაა. ზემოთ პიანინოს ხმა მიყუჩდა. მარტოობა. სიჩუმე. კრისტოფმა ამოისუნთქა.

„რარიგ სასიამოა, სიცოცხლის ბოლოს შენს თავს უთხრა, არასოდეს მარტო არა ყოფილხარ, მაშინაც კი, როცა თავს ყველასაგან მიტოვებულად გრძნობდიო. ადამიანები, ვისაც ცხოვრების გზაზე შევხვედრივარ, ძმები, ვისაც წამიერად ხელი გამოუწვდია ჩემთვის, იდუმალი სულნი, ჩემივ. ცნობიერების მიერ წარმოქმნილნი, ყველანი, ვისაც უდგას სული თუ აღარ უდგას, ცოცახლნი არიან, დიახაც, ცოცხალია ყველა, ვინც მე მიყვარდა, ყველა, ვინც თავად შემიქმნია! მხურვალედ ჩაგიკრავართ თქვენ მკერდში. თქვენ აქ ხართ, ჩემ გვერდით, მესმის თქვენი ხმების მუსიკა. ვლოცავ ბედს, თქვენი თავი რომ მაჩუქა! მდიდარი ვარ, მდიდარი... გული ჩემი გრძნობას ვერ იტევს!..“

ფანჯარაში გაიხედა: მშვენიერი ცრიატი დღე იდგა, ერთი იმ დღეთაგანი, მოხუცი ბალზაკის[1] ნათქვამისა არ იყოს, უსინათლო მზეთუნახავს რომ მოგაგონებს. კრისტოფი გატაცებით უყურებდა ხის რტოს; მინას მოხუტებოდა ის რტო, კვირტები დაბერვოდა და ნამისაგან უბრწყინავდა, პაწია თეთრი ყვავილები ეშლებოდა; და ეს ყვავილები, ეს ფოთლები, მთლიანად ეს აღორძინებული არსება ამხელდა ისეთ თავგადაკლულ მორჩილებას განმაახლებელი ძალისადმი, რომ კრისტოფი აღარ გრძნობდა დაღლას, უგუნებობას, თავის დაძაბუნებულ სხეულს, რომელიც კვდებოდა, რათა ხის რტოში აღდგენილიყო. ეს სიცოცხლე ნელ ციალში ხვევდა, ამბორივით ესალბუნებოდა. სიყვარულით აღსავსე მისი გული იმ მშვენიერ ხეს მინებებოდა; ხეს, რომელიც უკანასკნელ წუთებში ულიმოდა. ამ წუთს ადამიანები სიყვარულსა და ცხოვრებას ეწაფებიანო, ფიქრობდა კრისტოფი. ჩემი აგონიის ჟამი სხვათათვის ექსტაზის ჟამიაო; მუდამ აგრეა — წუთით არ კნინდებაო სიცოცხლის მძლავრი სიხარული. და თუმცა ხმა აღარ მორჩილებდა ცნობიერებას (ეგებ ხმა არც გაუღია, ოღონდ ვერ ამჩნევდა ამას), სულშეხუთულმა დაიმღერა სიცოცხლის საგალობელი.

უხილავი ორკესტრი აჰყვა მის მელოდიას. კრისტოფმა გაიფიქრა:

„კი, მაგრამ საიდან იციან? აკი რეპეტიცია არ გაგვივლია. ნეტა, არ აურიონ!“

[1] იგულისხმება ჟან-ლუი გეზ დე ბალზაკი (1597—1654), ფრანგი მწერალი.

ცდილობდა წამომჯდარიყო, მთელმა ორკესტრმა კარგად დამინახოსო, თან დიდრონი ხელებით ტაქტს ითვლიდა. მაგრამ ორკესტრს არ ეშლებოდა. მუსიკოსები გულდაჯერებულნი უკრავდნენ. რა საუცხოო მუსიკაა! ორკესტრანტები ახლა პასუხთა იმპროვიზაციებს ასრულებდნენ. კრისტოფი ერთობოდა:

„დამაცა, ძმობილო! ნახე, რა გიყო“.

საჭე მოატრიალა. ჟინიანობას აყოლილი ხან აქეთ მიატორტმანებდა ხომალდს, ხან — იქით, სახიფათო ფარვატერისაკენ მიაქანებდა.

„აბა, ამას რას მოუხერხებ? ამას? მაგრა დადექ! აჰა, კიდევ!“

ყველაფერს ჩინებულად ართმევდნენ თავს. კრისტოფის გამბედაობას კიდევ მეტი გამბედაობითა და შემართებით უპასუხებდნენ.

„ნეტა, ახლა რაღას იღონებენ? აი, ეშმაკის კერძები! ოინბაზები!..“

„ყოჩაღო“, იძახდა კრისტოფი და ხმამაღლა იცინოდა.

„დალახვროს ეშმაკმა! როგორ მიჭირს თანდათან მაგათი მიყოლა! ნუთუ უნდა მაჯობონ? როგორ არა! დღეს მთლად უღონოდ კი ვარ... მაგრამ არა უშავს! ბოლო-ბოლო მაინც ვიმარჯვებ...“.

მაგრამ ორკესტრი ისეთ გერგილიანობას იჩენდა, ისე ფერადოვანი და ხალასი იყო მათი ხელოვნება, კრისტოფს ისღა დარჩენოდა, პირდაღებულს ესმინა. ასე გასინჯეთ, სუნთქვაც კი შეეკრა... თავისი თავისადმი ზიზღი იგრძნო კრისტოფმა.

— შე ოჯახქორო, — საკუთარ თავს ეუბნებოდა, — გამოიფიტე და ეგ არის. დადუმდი! რაც შეეძლო ინსტრუმენტს, ყველაფერი მოგცა. გეყო ამ ჩაჩანაკი სხეულის თრევა! სხვა რამ მჭირდება“.

მაგრამ სხეული შურს მიაგებდა. ხველა აუტყდებოდა და მუსიკის მოსმენას უშლიდა.

„გაჩუმდები თუ არა?“

ყელში წააფრინდა თავის თავს, მჯიღს იცემდა მკერდში, თითქოს მტერს ეჩხუბებაო. კვლავ თვალი ჰკიდა თავის თავს ქუჩაში მომხდარ შეტაკებისას, შუაგულ ჩხუბში გარეულს. ბრბო ღრიალებდა. ვიღაც კაცი ხელებს უქერდა და მოგუდვას უპირებდა. ორივენი მიწაზე გორაობდნენ. ის კაცი ზემოდან აწვებოდა. კრისტოფი ლამის გაგუდულიყო.

„ხელი მიშვი, ვუსმინო მინდა!.. მომასმენინე-მეთქი! გამიშვი, თორემ ჩაგაძაღლებ!“

იძალა კრისტოფმა და კედელზე თავი ახლევინა. მაინც ვერა და ვერ მოიცილა...

„ვინ არის ეგა? ვის შევჭიდებივარ, ვის ვერკინები? ვის გახურებულ სხეულსაა, ხელი რომ შემოვხვიე?“

ირგვლივ ათასნაირი ჰალუცინაცია, ჩვენება მოსჯარვია. ვნებათა ქაოსი. მრისხანება, ავხორცობა, კაცის კვლის წადილი, ხორციელი ხვევნით მოგვრი-

ლი ტკივილი, მთელი ის ლექი, საფლობის ფსკერიდან ამ უკანასკნელად რომ დაძრულა.

„ღმერთო ჩემო! განა ბოლო კიდევ შორსაა? ნუთუ ვერ მოგიცილებთ თქვენ, ტკიპებო, ტანს რომ მომკვრიხართ? ტანიც ჯანდაბას თქვენთან ერთად!..“

მხრებით, თეძოთი, მუხლებით იგერიებდა კრისტოფი უჩინარ მტერს... ბოლოს განთავისუფლდა! კვლავინდებურად უკრავდა მუსიკა, შორით თანდათან წყდებოდა მისი ხმა. ოფლად გაღვრილი კრისტოფი ხელს იწვდენდა მისკენ:

„მომიცადე! მომიცადე!“

მირბოდა, როგორმე მივეწიოო. წაიფორხილებდა... აყირავებდა, რაც წინ ხვდებოდა... ისე ფიცხლად მირბოდა, სული შეუგუბდა. გული გამალებით უძგერდა, სისხლი საფეთქლებში სცემდა. თითქოს მატარებელი მიქრისო გვირაბში, ისე მიექანებოდა...

„ღმერთო, რა უგუნურებაა!“

მუქარით ანიშნებდა ორკესტრს, დამიცადეთო...

როგორც იქნა, გააღწია გვირაბს! კვლავ ჩამოვარდა სიწყნარე. ისევ გაიგონა მუსიკის ხმა.

„რა საუცხოოა! რა მშვენიერია! კიდევ, უფრო გაბედულად, ბიჭებო! კი, მაგრამ ვისია ეგ მუსიკა?.. რაო? ჟან-კრისტოფ კრაფტისაა, ამბობთ? კარგით ერთი! ნეტა, რას სულელობთ! მე ხომ ვიცნობდი მას! ათიოდე ტაქტის დაწერასაც ვერ მოახერხებდა... ვინ ახველებს მანდ?

ნუ ხმაურობთ! რა აკორდია ეს? ან ისა? ცოტა უფრო ნელა! დაიცათ!“

კრისტოფი დაუნაწევრებელ ხმას გამოსცემდა; მისი ხელი საბანს ჩაფრენოდა და ზედ რაღაცის დაწერას ლამობდა, მიბნედილი ტვინი კი კვლავ ანგარიშმიუცემლად ეძიებდა, რა ელემენტთაგან შედგებოდა ეს აკორდები და რას გამოხატავდა ისინი. ვერ ახერხებდა გარკვევას, მღელვარებისაგან აზრები ერეოდა. თავიდან იწყებდა ძიებას. კმარა! ეს უკვე მეტისმეტია...

„შეჩერდით, შეჩერდით, მეტი აღარ ძალმიძს...“

ერთიანად მოდუნდა. დაშოშმინებულმა თვალი დახუჭა. ასე თვალდახუჭულს ღაპაღუპით სდიოდა ბედნიერების ცრემლები. პატარა გოგონა მიეახლა და ფრთხილად შეუმშრალა. ეს გოგონა მისი მომვლელი იყო, თუმცა კრისტოფი ვერც ამჩნევდა მას. აღარც არაფერი ესმოდა, რაც გარშემო ხდებოდა. ორკესტრი დადუმებულიყო, მაგრამ ისევ იმ თავბრუდამხვევი ჰარმონიისაგან აღძრული შთაბეჭდილების ტყვეობაში გახლდათ, ჰარმონიისა, რომლის საიდუმლოც ვერ ამოეცნო. ტვინი ჯიუტად იმეორებდა:

„მაინც რა აკორდია ეს? როგორ გამოვიცნო? მინდოდა გამეგო, ვიდრე აღსასრული დამდგარა...“.

ახლა ხმებს მოჰკრა ყური. ერთი მათგანი ვნებათაღელვით გაჯერებული-

ყო. წინ დაუდგა ანას ტრაგიკული თვალები. წამის შემდეგ კი ეს უკვე აღარ იყო ანა. თვალებს სიკეთის შუქი ჩასდგომოდა...

„გრაცია, შენ ხარ?.. რომელია იმ ორში? თვალი აღარ მიჭრის. ამდენ ხანს რატომ არა ჩანს მზე?“

სამმა ზარმა დარეკა. ფანჯარასთან ბეღურები ჟივჟივებდნენ, კრისტოფს მოაგონებდნენ, რომ მოწეულიყო ის დრო, როცა საუზმისაგან მონარჩენ ნამცეცებს უყრიდა ხოლმე ჩიტუნებს. კრისტოფს ესიზმრა ბავშვობისდროინდელი პატარა ოთახი... რეკავს ზარები, საცაა გარიჟრაჟი მოატანს. ნარნარი ხმები იღვრება გამჭვირვალე ჰაერში. შორიდან მოდის ის ხმები, აგერა იმ სოფლებიდან... სახლის უკან ყრუდ მიხმაურობს მდინარე. კრისტოფი თავის ხავს ხედავს: კიბის თავზე დამდგარი ფანჯარაში გადაყრდნობილა. მთელი ცხოვრება წყალუხვ რაინივით თვალწინ ჩაუვლის. მთელი მისი ცხოვრება, განუყოფელი თანაარსნი, ლუიზა, გოტფრიდი, ოლივიე, საბინა...

„დედა, სატრფონი, მეგობრები... რა ჰქვიათ მათ? სიყვარულო, სადა ხარ? სადა ხართ, სულნო ჩემნო? ვიცი, აქა ხართ, მაგრამ ვერ ვახერხებ, ხელი მოგავლოთ“.

„შენთანა ვართ. დაწყნარდი, საყვარელო!“

„აღარ მინდა, დაგკარგოთ. ისე დიდხანს გეძიებდით!“

„ნუ ღელავ! აღარ მიგატოვებთ“.

„ვაგლახ! დინებას მივყავარ“.

„მაგ მდინარეს შენთან ერთად ჩვენც მივყავართ“.

„საით მივექანებით?“

„ნავსაყუდარისკენ, იქ შეეერთდებით“.

„მალე იქნება ეს?“

„გახედე“.

უკანასკნელი ძალა მოიკრიბა კრისტოფმა და თავი წამოსწია (ღმერთო, როგორ დამძიმებია!). წამოსწია და დაინახა ნაპირებს გადმოსული მდინარე, ველ-მინდვრები რომ დაეტბორა; წყნარი იყო ადიდებული მდინარის ზედაპირი, ზვიადად და მდოვრედ დიოდა. თვალსაწიერზე კი გამოკრთოდა მზეზე მოციმციმე ვერცხლოვან ზვირთთა გრეხილი. ფოლადისებრ მოლაპლაპე ზოლივით გაჭიმული ის გრეხილი თითქოს მდინარის შემოსაგებებლად მოისწრაფოდა. ყურთასმენას სწვდებოდა ოკეანის გუგუნი... და განაბულმა გულმა კრისტოფისამ იკითხა:

„იგია?“

ნანდაურთა ხმებმა უპასუხეს:

„იგია“.

დაბინდულ გონებას გაუელვა:

„განიხვნა ბჭენი... აჰა, ის აკორდი, რომელსაც ვეძიებდი!.. ნუთუ ეს ბოლოა? რა სივრცე გაშლილა წინ... ხვალ გავაგრძელებთ...“

ჰოი, სიხარულო, სიხარულო, აღძრულო იმის შეგნებით, რომ შეერთვი ღვთაების უზენაეს სიმშვიდეს, ღვთაებისა, ვისადმი* მსახურებასაც მთელი შენი სიცოცხლე ესწრაფოდი!

„ზეციერო, ხომ არ მირისხდები მსახურს შენსას? მე ხომ ისე ცოტა რამ აღვასრულე! არ ძალმედვა მეტის ქმნა... ვიბრძოდი, ვეწამებოდი, ვცდებოდი, ვქმნიდი. მომათქმევინე სული, მამაშვილურად ჩამიკარ გულში. როდისმე კვლავ აღვდგები ახალ ბრძოლათათვის“.

მოგრიალე მდინარეცა და ბობოქარი ზღვაც მასთან ერთად იგალობდა:

„კვლავ აღდგინდები. განისვენე! ყოველივე ერთ გულში შერწყმულა უკვე. ღიმილით გადახლართულან ღამე და დღე. ჰარმონია ღვთაებრივი წყვილია სიყვარულისა და სიძულვილის. ვუგალობ ღმერთს, ორ მძლავრ ფრთაზე მონანავეს. ოსანა სიცოცხლეს! ოსანა სიკვდილს!“

წმიდა ქრისტოფორი მდინარის წიაღ მიტოპავს. მთელი ღამე დინების საპირისპიროდ მიიწევს. უზარმაზარი, გოლიათურ მხარბეჭიანი, იგი ტინივით წამომართულა წყალზე. მარცხენა მხარზე უზის სუსტი და მძიმე ყრმა. წმიდა ქრისტოფორი ძირიანად ამოგლეჯილ ფიჭვს დაბჯენია, ფიჭვი იდრიკება. თავადაც წელში გაზნექილა. ისინი, ვინც ნახა, როგორ დაადგა იგი გზას, ამბობდნენ, ვეროდეს მიატანსო გაღმა ნაპირს; დიდხანს მიაცილებდა იმათი ქირდვა და დაცინვა. ჩამოდგა ღამე, და ხალხი მოიქანცა. ქრისტოფორი შორსაა უკვე, მის ყურს ღარ სწვდება ნაპირზე დარჩენილთა გნიასი. მდინარის ხმაურში ყრმის წყნარი ხმა ჩაესმის მხოლოდ. ყრმას პაწია მუშტით ჩაუბღუჯავს გოლიათის ხუჭუჭა კულული და იმეორებს: „წინ!“ ისიც მიიწევს, მხრებში მოხრილა, მზერა მრუმე ნაპირისათვის მიუპყრია. მოყვანილობა ციცაბო ნაპირისა უკვე ილანდება შორით.

ანაზდად ზარის რეკვა გაისმის, ცისკრის ლოცვად რომ უხმობს. იღვიძებს წყება ზარებისა და ერთიმეორეს ეჯიბრება. აი, ახალი განთიადი! პიტალო კლდეს მიღმა ამოიწვერება ოქროვანი შარავანდი უჩინარი მზისა. ქრისტოფორი ბოლოს და ბოლოს ნაპირს მიატანს, ოღონდ ფეხზე ძლივსღა დგას. და იგი ეუბნება ყრმას:

— აჰა, მოვედით! რარიგ გამიჭირდა შენი ტარება! ერთი მითხარ, პატარავ, ვინა ხარ?

და ყრმა მიუგებს:

— ახალი დღე ვარ.

გამომშვიდობება ჟან-კრისტოფთან

დავწერე ტრაგედია მიმავალი თაობისა ისე, არა დამიმალავს რა. ვაჩვენე ყოველივე — მანკიერება და სათნოება, მდაგველი ჭმუნვა და სიამაყის ანაზდეული გამოვლენა, გმირული ძალისხმევა და ილაჯის გაწყვეტა ზეადამიანური ამოცანის კირთებისაგან: მთელი ჯამი სამყაროსი, მორალი, ესთეტიკა, რწმენა; ამგვარი იყო ამოცანა. — ამგვარნი ვიყავით ჩვენ.

დღეისდღის ადამიანებო, ახალგაზრდობავ, აწ თქვენი ჯერი დამდგარა! დე, ჩვენი სხეულები ისაფეხურეთ — გადაგვიარეთ და წინ გასწით. იყავით ჩვენზე აღმატებულნი და ბედნიერნი...

მე კი ვეთხოვები ამ ჩემს დრომოჭმულ სულს, ცარიელა ნაჭუჭივით მოვისვრი. სიცოცხლე მონაცვლეობაა სიკვდილისა და აღდგინებისა. მოვკვდეთ, კრისტოფ, რათა კვლავ აღვდგეთ!

რომენ როლანი.
1912 წ. ოქტომბერი.

შინაარსი

ნაწილი მეორე . 71

წიგნი მეათე. ახალი დღე. — თარგმნა ნათელა მეტრეველმა

ნაწილი პირველი . 158
ნაწილი მეორე . 190
ნაწილი მესამე . 244
ნაწილი მეოთხე 273
გამომშვიდობება ჟან-კრისტოფთან . 306

Ромен Роллан

ЖАН - КРИСТОФ Т. IV

(На грузинском языке)
Детюниздат Грузинской ССР
«Накадули», Тбилиси, 1979

ს. ბ. № 454

რედაქტორი გ. ბ უ ა ჩ ი ძ ე
გამომცემლობის რედაქტორი ნ. ლორთქიფანიძე
მხატვარი ჯ. ყავლაშვილი
მხატვრული რედაქტორი შ. დოლიძე
გადაეცა ასაწყობად 20.03.79.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 28.11.79
ანაწყ. ზომა 7×9
ქაღალდის ზომა 70×90¹/₁₆
ნაბეჭდი თაბახი 22,52
საბ. ქაღალდი № 3
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 20
ტირაჟი 20.000 შეკვ. № 2556
ფასი 1 მან. 75 კაპ.

გამომცემლობა „ნაკადული", თბილისი, მარჯანიშვილის 5.
Издательство «Накадули», Тбилиси, ул. Марджанишвили 5.

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თბილისის ი. ჭავჭავაძის სახ. წიგნის ფაბრიკა, მეგობრობის გამზირი № 7.
Тбилисская книжная фабрика, им. И. Чавчавадзе, Государственного комитета Грузинской ССР по делам издательств, полиграфии и книжной торговли, пр. Дружбы № 7.